

საქართველოს მენეჯერებთან აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის  
სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

**ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია,  
კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა**

# **საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები**

**აღმდინის კირითადი უფლებანი და თავისუფლებანი**

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი  
2005

კომენტარები მომზადდა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტის IRIS Center-ის ფინანსური მხარდაჭერით (კონტრაქტი №114-C-00-01-00136-00). კომენტარებში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს USAID-ის თვალსაზრისს.

წიგნი გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფინანსური ხელშეწყობით.

**პროექტის დირექტორი:**

გიორგი ზუბუა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**პროექტის კოორდინატორი:**

რუსუდან ბაქანიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სწავლული მდივანი

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2005

© ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ზუბუა

## წინათქმა

კარგად და სრულყოფილად ჩამოყალიბებული კანონის სიტყვა მხოლოდ სანახევროდ გაკეთებული საქმეა – „სიტყვა ნახევრად ეკუთვნის მთქმელს და ნახევრად გამგონეს“. იურისტებს ხშირად უწოდებენ სამართლის შემფარდებელ ლინგვისტებს. ნორმის ინტერპრეტაციის განვითარებული უნარ-ჩვევები წარმატებული იურიდიული კარიერის აუცილებელი პირობაა. კანონის ტექსტის წაკითხვის თვალსაზრისით განსაკუთრებულ, სპეციფიკურ პრობლემებთანაა დაკავშირებული კონსტიტუციის განმარტება. კონსტიტუციისათვის დამახასიათებელია აბსტრაქციის მაღალი დონე. კონსტიტუციის ტექსტში მრავლად გვხვდება ზოგადი დებულებები, რომლებიც მოითხოვენ შემდგომ კონკრეტიზაციას. კონსტიტუციური ნორმების ღია ხასიათი უზრუნველყოფს პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევას. ამავე დროს, იგი იძლევა ნორმის შინაარსის მუდმივი განახლების ფართო შესაძლებლობას.

კონსტიტუციის ტექსტის სწორი ინტერპრეტაციისათვის არ არის საკმარისი განმარტების ჩვეულებრივი მეთოდები. კონსტიტუციის განმარტების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა პრინციპებიც. კონსტიტუცია განსაზღვრავს საზოგადოების პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ერთიან წესრიგს. კონსტიტუციური ნორმები თანაბარი რანგისაა – მათ შორის არ არსებობს არანაირი იერარქია. შესაბამისად, კონსტიტუციური ნორმების განმარტებისას მაქსიმალურად უნდა იყოს რეალიზებული კონსტიტუციის ინტეგრაციული, ერთიანობის ჩამომყალიბებელი ფუნქცია. კონსტიტუციის განმარტება უზრუნველყოფს ნორმებს შორის შესაძლო წინააღმდეგობის პარმონიზაციას – არ დაიშვება კონსტიტუციით განმტკიცებული ღირებულების რეალიზაცია სხვა სამართლებრივი ღირებულების ხარჯზე. კონსტიტუციის განმარტების პროცესში უნდა განისაზღვროს თითოეული სამართლებრივი ღირებულების ფარგლები, რათა მიღწეულ იქნეს მათი ოპტიმალური მოქმედება. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით აქტუალურია ადამიანის უფლებების სფეროში.

წინამდებარე კომენტარების ავტორები მაქსიმალურად ეცადნენ, რომ გაეთვალისწინებინათ კონსტიტუციური ნორმების ინტერპრეტაციის ზემოაღნიშნული თავისებურებები. კომენტარების მომზადებისას, ასევე, დიდი ყურადღება დაეთმო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას. შეძლებისდაგვარად ფართოდ არის გამოყენებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, დასავლეთის ტრადიციული დემოკრატიისა და ე.წ. ახალი დემოკრატიის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა. როგორც სასამართლო პრაქტიკის მასალები, ისე სამეცნიერო ლიტერატურა გამოყენებულია 2004 წლის აკვისტოს მდგომარეობით (პროექტზე მუშაობა სწორედ ამ დროისთვის დასრულდა).

*გიორგი ხუბუა*

თბილისი, 2005 წლის სექტემბერი

# სარჩევი

შესავალი (გიორგი ხუბუა)-----	5
მუხლი 14 (გიორგი ხუბუა)-----	21
მუხლი 15 (კონსტანტინე კუბლაშვილი)-----	45
მუხლი 16 (გიორგი ხუბუა)-----	62
მუხლი 17 (კონსტანტინე კუბლაშვილი)-----	83
მუხლი 18 (კონსტანტინე კუბლაშვილი)-----	96
მუხლი 19 (კონსტანტინე კორკელია)-----	110
მუხლი 20 (კონსტანტინე კორკელია)-----	122
მუხლი 21 (ლევან იზორია)-----	141
მუხლი 22 (კონსტანტინე კორკელია)-----	174
მუხლი 23 (კონსტანტინე კუბლაშვილი)-----	182
მუხლი 24 (კონსტანტინე კუბლაშვილი)-----	192
მუხლი 25 (კონსტანტინე კუბლაშვილი)-----	216
მუხლი 26 (კონსტანტინე კუბლაშვილი)-----	224
მუხლი 27 (კონსტანტინე კორკელია)-----	236
მუხლი 28 (გიორგი ხუბუა)-----	242
მუხლი 29 (გიორგი ხუბუა)-----	257
მუხლი 30 (ლევან იზორია)-----	266
მუხლი 31 (ლევან იზორია)-----	287
მუხლი 32 (ლევან იზორია)-----	289
მუხლი 33 (ლევან იზორია)-----	292
მუხლი 34 (ლევან იზორია)-----	294
მუხლი 35 (ლევან იზორია)-----	298
მუხლი 36 (კონსტანტინე კორკელია)-----	303
მუხლი 37 (ლევან იზორია)-----	308
მუხლი 38 (გიორგი ხუბუა)-----	323
მუხლი 39 (გიორგი ხუბუა)-----	334
მუხლი 40 (კონსტანტინე კუბლაშვილი)-----	351
მუხლი 41 (გიორგი ხუბუა)-----	352
მუხლი 42 (კონსტანტინე კუბლაშვილი)-----	362
მუხლი 44 (გიორგი ხუბუა)-----	392
მუხლი 45 (კონსტანტინე კუბლაშვილი)-----	396
მუხლი 46 (კონსტანტინე კუბლაშვილი)-----	407
მუხლი 47 (კონსტანტინე კორკელია)-----	419
ავტორების შესახებ-----	427

## შესავალი

I. ძირითადი უფლებების ცნება<sup>1</sup>

ძირითადი უფლებების სფეროში კანონმდებელი არსებითად ვერ ჩაერევა.<sup>2</sup> ძირითადი უფლებები წინასახელწიფობრივია იმ გაგებით, რომ ისინი მოქმედებენ სახელმწიფოს მიმართ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. და პირიქით, სახელმწიფო ყოველთვის ვალდებულია დაასაბუთოს ადამიანის უფლებების შეზღუდვის მართლზომიერება. აღნიშნული თვალსაზრისით, ძირითადი უფლებები ინდივიდისათვის უფლებაა, ხოლო სახელმწიფოსათვის – ვალდებულება.

იურიდიული თვალსაზრისით, ძირითადი უფლებები სამართლის ნორმაა. ძირითადი უფლება, როგორც სამართლის ნორმა ნორმატიული ხასიათისაა და, მასთანადაე, სავალდებულო ძალა აქვს. როგორც კონსტიტუციურ ნორმას, ძირითად უფლებებს აქვს უზენაესი იურიდიული ძალა. საქართველოს კონსტიტუცია ძირითად უფლებებს განმარტავს როგორც უშუალოდ მოქმედ სამართალს. კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი უფლებები არ მოითხოვს შემდგომ დაკონკრეტებას მიმდინარე კანონებში – ისინი შეიძლება უშუალოდ იქნეს გამოყენებული სამართლის შეფარდების პროცესში.

## II. ძირითადი უფლებების სუბიექტი

კონსტიტუციით დადგენილი ძირითადი უფლებები ან ადამიანის უფლებებია, ან – სამოქალაქო უფლებები (თუ მისი მოქმედება შემოიფარგლება სუბიექტთა განსაზღვრული წრით – საქართველოს მოქალაქეებით).

ძირითადი უფლებების სუბიექტი არის ფიზიკური პირი. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ცალკეული ძირითადი უფლებების სუბიექტია „ყველა ადამიანი“. ამ შემთხვევაში კონსტიტუცია იყენებს ისეთ კონსტრუქციას, როგორცაა „ყველა ადამიანი“ (მ.14.); „ადამიანი“ (მ.15. პ.1.; მ.17.); „ყოველი ადამიანი“ (მ.19. პ.1.; მ.20. პ.1., და სხვ.).

ცალკეული ძირითადი უფლებების სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე (მ.26, პ.2; მ.28, პ.1; მ.29, პ.1 და სხვ.). ეს უფლებები ზშირად აღინიშნება როგორც სამოქალაქო უფლებები, რამდენადაც დაკავშირებულია მოქალაქეობასთან.

სიცოცხლის დაცვის უფლების სუბიექტი შეიძლება იყოს ჯერ კიდევ დაუბადებელი პირი – ჩანასახი. თუმცა სადავოა, ჩანასახი ძირითადი უფლებების სუბიექტია, თუ კონსტიტუცია მხოლოდ იცავს მისი სიცოცხლის უფლებას.<sup>3</sup>

პრობლემურია ადამიანის სიკვდილის ზუსტი მომენტის დადგენაც. ჩვეულებრივად ადამიანის სიკვდილი უკავშირდება ტვინის ფუნქციის შეწყვეტას. თუმცა, სადავოა

<sup>1</sup> ამ საკითხზე უფრო დეტალურად იხ.: კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები. იურიდიული სახელმძღვანელო, თბ., 2003.

<sup>2</sup> Bruno Schmidt-Bleibtreu; Franz Klein, Kommentar zum Grundgesetz, 9. Auflage, 1999, S. 115.

<sup>3</sup> ამ საკითხზე იხ.: კონსტიტუციის მე-15 მუხლის კომენტარი.

ისიც, თუ რამდენად შეიძლება ადამიანის სიცოცხლის დაყვანა მხოლოდ ტვინის ფუნქციამდე.

ცალკეული ძირითადი უფლებების მოქმედება გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. მაგალითად, ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია გარდაცვალების შემდეგაც.

ძირითადი უფლებები არ არის დაკავშირებული პირის ასაკთან. ძირითადი უფლებების სუბიექტურობა არ არის სამოქალაქო სამართალსუბიექტურობის იდენტური. ზოგჯერ ძირითადი უფლებების სამართალსუბიექტურობა უფრო ფართოა, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში – უფრო ვიწრო. სამოქალაქო სამართლის მიხედვით, არაქმედუნარიანი არასრულწლოვანი შეიძლება იყოს ძირითადი უფლებების სუბიექტი. ამავე დროს, სამოქალაქო სამართალსუბიექტურობის მქონე უცხოელი მოქალაქე ცალკეულ შემთხვევებში არ არის ძირითადი უფლებების სუბიექტი.

ძირითადი უფლებების სამართალსუბიექტურობისაგან უნდა განვასხვაოთ საკონსტიტუციო სარჩელის წარდგენის პროცესუალური სამართალსუბიექტურობა. პროცესუალური სამართალსუბიექტურობა გულისხმობს ძირითადი უფლებების დაცვის უფლებამოსილებას საკონსტიტუციო სარჩელის წარდგენის ფორმით. პირი შეიძლება იყოს ძირითადი უფლებების სუბიექტი, მაგრამ არ ჰქონდეს კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის უფლება. მაგალითად, არასრულწლოვან პირს აქვს საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმისა და გაერცყლების ძირითადი უფლება. ამავე დროს, იგი ვერ იქნება საკონსტიტუციო სასამართლოში პროცესის მონაწილე. არასრულწლოვან პირს თავისი ძირითადი უფლებების დაცვა შეუძლია მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

## II. 1. იურიდიული პირი როგორც ძირითადი უფლებების სუბიექტი

კერძო სამართლის იურიდიული პირი არის ძირითადი უფლებების სუბიექტი, მათი შინაარსის გათვალისწინებით (მ.45). „კერძო სამართლის იურიდიული პირის“ ცნება კონსტიტუციურ სამართალში, ჩვეულებრივ, ფართოდ არის განმარტებული. მაგალითად, პოლიტიკური პარტია, მისი სტატუსის მიუხედავად, ყველა შემთხვევაში განიხილება როგორც ძირითადი უფლებების სუბიექტი.<sup>1</sup>

ძირითადი უფლებების სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს იურიდიული პირი. იურიდიული პირის შიდასახელმწიფოებრივ ბუნებას, ფიზიკური პირისაგან განსხვავებით, არ განსაზღვრავს მისი წევრების მოქალაქეობა. თუ მოქალაქეობის ნიშნით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ ძირითადი უფლებების სუბიექტად უნდა ვაღიაროთ საზღვარგარეთ დაფუძნებული და მოქმედი იურიდიული პირი, რომლის წევრებიც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები არიან. და, პირიქით, საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი იურიდიული პირი, რომლის წევრებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები, ვერ იქნება ძირითადი უფლებების სუბიექტი. ძირითადი უფლებების სუბიექტობასთან დაკავშირებით გადაწყვეტი კრიტიკიუმი ა იურიდიული პირის ადგილსამყოფელი. იურიდიული პირი როგორც კონსტიტუციური უფლებების სუბიექტი, ასევე, თავის საქმიანობას ძირითადად უნდა ახორციელებდეს საქართველოს ტერიტორიაზე.

<sup>1</sup> Ipsen, J., in.: Sachs, Grundgesetz. Kommentar, 2. Auflage., München, 1999, Art. 21, Rdn. 27 ff.

უცხო სახელმწიფოს იურიდიული პირი არ არის ძირითადი უფლებების სუბიექტი. ცხადია, რომ უცხო სახელმწიფოს იურიდიული პირი სამართლებრივად დაცულია. იგი არის კონსტიტუციით განმტკიცებული, ე. წ. პროცესუალური ძირითადი უფლებების სუბიექტი. უცხო სახელმწიფოს იურიდიული პირი ძირითადი უფლებების სუბიექტი იმ შემთხვევაშიც ვერ იქნება, თუ საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე იგი გათანაბრებულია საქართველოს იურიდიულ პირთან. ეს წესი იმოქმედებს მხოლოდ მიმდინარე კანონმდებლობის და არა ძირითადი უფლებების სფეროში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი არ არის ძირითადი უფლებების სუბიექტი. საჯარო სამართლის იურიდიული პირი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი, შეზღუდულია ძირითადი უფლებებით. კონსტიტუცია არ იცავს სახელმწიფოს უფლებებს – ეს არ არის ძირითადი კანონის ფუნქცია. საჯარო სამართლის იურიდიული პირი ძირითადი უფლებების ადრესატია და არა სუბიექტი.<sup>1</sup> საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს კომპეტენციები და არა უფლებები.<sup>2</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის „უფლებაც“, რომელიც გარანტირებულია კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით, არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ძირითადი უფლება.

როგორც გამოთქმის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება იყოს ძირითადი უფლებების სუბიექტი, თუ კონსტიტუციურად დაცულ რომელიმე სფეროში საქმიანობისას (მეცნიერება, რელიგია და სხვ.) იგი რამდენადმე დისტანცირებულია სახელმწიფოსაგან (ეკლესია, უნივერსიტეტები და ფაკულტეტები, საზოგადოებრივი ტელევიზია და სხვ.).<sup>3</sup>

იურიდიული პირის სამართალსუბიექტურობისას უნდა გავითვალისწინოთ ძირითადი უფლებების და არა იურიდიული პირის საქმიანობის შინაარსი. მხოლოდ ძირითადი უფლების კონკრეტული შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება განესაზღვროთ იურიდიული პირის სამართალსუბიექტურობა. მაგალითად, იურიდიულ პირს არ ახასიათებს ადამიანის ღირსების გრძობა; იურიდიული პირისათვის უცხოა სიცოცხლე და სიკვდილი; იურიდიული პირი ვერ დაქორწინდება და არ ეყოლება შვილები. ამავე დროს, ეკონომიკური საქმიანობა, საკუთრება, პროფესიული საქმიანობა დამახასიათებელია იურიდიული პირისათვისაც. იურიდიული პირი ასევე შეიძლება იყოს რელიგიური თავისუფლების სუბიექტი და სხვ.

თუ კონსტიტუცია იყენებს ცნებებს: „ყველა ადამიანი“, „ადამიანი“, ეს არ ნიშნავს, რომ მისი მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ფიზიკურ პირებზე. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია...“. ცხადია, თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი ვრცელდება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზეც. კონსტიტუციის მე-16 მუხლით განმტკიცებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება (მაგალითად, ქცევის საყოველთაო თავისუფლება) მოიცავს იურიდიულ პირებსაც. კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული საცხოვრებელი ბინის ცნება

<sup>1</sup> Piero/Schlink, Grundrechte. Staatsrecht II, 11., überarbeitete Auflage, Heidelberg, 1995, S. 41 ff.; Pieper, H., Grundrechte, 2003, S. 44 ff.; Ipsen, J., Staatsrecht II. Grundrechte, 7., überarbeitete Auflage, 2004, S. 22 ff.

<sup>2</sup> Ipsen, J., Grundrechte, S. 22.

<sup>3</sup> ამ საკითხზე იხ. კონსტიტუციის 45-ე მუხლის კომენტარები.

მოიცავს არა მარტო ცხოვრებისეული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად (ჭამა, ძილი) აუცილებელ ადგილს, არამედ სამუშაო ადგილსაც. ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციით დაცული საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლება უნდა გავრცელდეს იურიდიულ პირებზეც.

საჯარო სამართლის იურიდიული პირებისაგან ცალკე უნდა გამოიყოს ეკლესია. ძირითადი უფლებებით დაცულია ეკლესიის საქმიანობა არა მარტო რწმუნისა და რელიგიური მსოფლმხედველობის, არამედ ყველა სფეროში, სადაც კი კერძო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება იყოს ძირითადი უფლებების სუბიექტი.

### III. ძირითადი უფლებების მოქმედების სფერო

ძირითადი უფლებების მოქმედების ფარგლები ემთხვევა საქართველოს კონსტიტუციის მოქმედების ტერიტორიულ საზღვრებს. მაშასადამე, ძირითადი უფლებები მოქმედებს საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიაზე 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით.

ძირითადი უფლებები ბოჭავს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებას ქვეყნის შიგნით. ამავე დროს, ამ უფლებებს შემოღვევი ძალა აქვთ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხელისუფლება ფაქტობრივად ან იურიდიულად მოქმედებს საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს გარეთ. თუმცა, არსებითად, გამორიცხულია, რომ ძირითად უფლებებზე დაყრდნობით საქართველოს სახელმწიფოს საზღვარგარეთ მოვთხოვოთ რამე მოქმედების განხორციელება. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა“. „მფარველობა“ გულისხმობს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქის დაცვის ღონისძიებების განხორციელებას საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე.

მოქმედების დროის მიხედვით, ძირითად უფლებებს უკუძალა არა აქვს. კონსტიტუციის მიღებამდე მოქმედი ნორმა, თუ იგი ეწინააღმდეგება ძირითად უფლებებს, ჩაითვლება იურიდიული ძალის არმქონედ. შესაძლებელია კონსტიტუციამ განსხვავებულად მოაწესრიგოს ის ურთიერთობები, რომლებიც ფაქტობრივად არსებობდა კონსტიტუციის ამოქმედებამდე. ამ ურთიერთობათა იურიდიული შედეგები არ შეიცვლება კონსტიტუციის ამოქმედების შემდეგაც (კერძოდ, ოჯახისა და ქორწინების სფეროში წარმოშობილი ურთიერთობები, მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებული ურთიერთობები და სხვ.).

კონსტიტუციის ამოქმედებამდე გამოცემული ადმინისტრაციული აქტები და სასამართლო გადაწყვეტილებები არ შეიძლება შეფასდეს ძირითადი უფლებების საფუძველზე. ძირითად უფლებებზე დაყრდნობით ასევე არ შეიძლება საქართველოს სახელმწიფოს მოვთხოვოთ პასუხისმგებლობა საბჭოთა რეჟიმის მოქმედებებისათვის (რომელიც არ იყო შებოჭილი საქართველოს მოქმედი კონსტიტუციით).



#### IV. ძირითადი უფლებები როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი

ძირითადი უფლებები პროგრამული დებულებები კი არ არის, არამედ უშუალოდ მოქმედი სამართალია. ძირითადი უფლებები ნორმატიულად ბოჭავს სახელმწიფო ხელისუფლებას. ძირითადი უფლებები სავალდებულოა და აღჭურვილია სათანადო სამართლებრივი სანქციებით. პროგრამული დებულებებისაგან გასხვავებით, ძირითადი უფლებების დარღვევა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. ძირითადი უფლებები კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილია და უზენაესი იურიდიული ძალა აქვს. კონსტიტუციური მართლმსაჯულება ახორციელებს ძირითადი უფლებების, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლის ზედამხედველობას.

როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, ძირითადი უფლებები ბოჭავს საჯარო ხელისუფლების ნებისმიერ ორგანოს. კერძო სამართლის სუბიექტები შეზღუდული არიან ძირითადი უფლებებით, თუ ისინი მონაწილეობენ საჯარო ხელისუფლების განხორციელებაში. მაგალითად, კერძო სასწავლო დაწესებულება არის კერძო სამართლის იურიდიული პირი და არ წარმოადგენს საჯარო ხელისუფლების ორგანოს. ამავე დროს, განათლების მოწოდების გაცემისას კერძო სასწავლო დაწესებულება ახორციელებს საჯარო ხელისუფლებას. კერძო ფასიანი სასწავლო დაწესებულების დიპლომს ან განათლების მოწოდებას იგივე ძალა აქვს, როგორც სახელმწიფოს სასწავლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომს ან განათლების მოწოდებას. შესაბამისად, კერძო სასწავლო დაწესებულება ისევე არის შეზღუდული მოსწავლის ან სტუდენტის ძირითადი უფლებებით, როგორც სახელმწიფო სასწავლო დაწესებულება.

რამდენადმე სპეციფიკურია ძირითადი უფლებების მოქმედება ეკლესიისა და რელიგიური გაერთიანებების (საზოგადოებების) მიმართ. ეკლესია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. იგი არ არის საჯარო ხელისუფლების ორგანო და არ ახორციელებს სახელმწიფოს აღმინისტრაციულ ფუნქციებს. ეკლესიას შეუძლია ნებისმიერ შემთხვევაში გამოიყენოს საკუთარი უფლებები სახელმწიფოს „წინააღმდეგ“. ამავე დროს, ეკლესიაც შეზღუდულია ძირითადი უფლებებით როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად, ძირითადი უფლებები ბოჭავს ზალხსა და სახელმწიფოს. მამასადამე, ძირითადი უფლებები, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, ვრცელდება მხოლოდ საჯარო ხელისუფლებაზე და არა კერძო სამართლის სუბიექტებზე (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მონაწილეობენ საჯარო ხელისუფლების განხორციელებაში). ძირითადი უფლებების მოქმედება ეხება მხოლოდ ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს და არა ე.წ. „მესამე პირებს“. თუმცა, „მესამე პირების“ მიმართ ძირითადი უფლებების მოქმედების საკითხი დღემდე სადავოა როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე კონსტიტუციური მართლმსაჯულების პრაქტიკაში.

ძირითადი უფლებები ბოჭავს კანონმდებელს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამცავი უფლებები, რომლებიც უკრძალავს კანონმდებელს ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევას. აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები არ არიან უფლებამოსილი გამოიყენონ კანონი, რომელიც არღვევს ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროს. სახელმწიფოს არა მარტო ეკრძალება ძირ-

ითადი უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევა, არამედ ეკისრება პოზიტიური ვალდებულება. კონსტიტუცია არ განსაზღვრავს სახელმწიფოს საქმიანობის კონკრეტულ ფორმებს – ეს ფუნქცია კანონმდებელს აკისრია (განსაკუთრებით, სოციალურ სფეროსა და ძირითადი უფლებების დაცვის ორგანიზაციულ-პროცედურულ ფორმებთან დაკავშირებით).

ძირითადი უფლებების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაში. მოქალაქეს ყველაზე ხშირი ურთიერთობა სწორედ აღმასრულებელ ორგანოებთან აქვს. აღმასრულებელი ორგანოების მიერ გამოცემული აქტები რაოდენობრივად მნიშვნელოვნად აღემატება პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებს. შესაბამისად, იზრდება სახელმწიფო ბიუროკრატიის მხრიდან ძირითადი უფლებების დარღვევის რისკიც. ძირითად უფლებებს აღმასრულებელი ხელისუფლება ვერ დაარღვევს, სანამ იგი მოქმედებს კანონის საფუძველზე. აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომელიც (საეარაულოდ) არღვევს ძირითად უფლებებს, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

ძირითადი უფლებების შემოზღუდვა ძალა ვრცელდება მხოლოდ ხელისუფლების ორგანოთა აღმასრულებელ საქმიანობაზე. ძირითადი უფლებები არ ბოჭავს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს, თუ იგი მონაწილეობს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში. ამ ურთიერთობებში აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედების თავისუფლება გაცილებით ფართოა, რამდენადაც იგი არ არის შეზღუდული ძირითადი უფლებებით. ამავე დროს, აღმასრულებელი ხელისუფლება არ არის უფლებამოსილი კერძო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციული ფორმისა და კერძო სამართლებრივი ინსტიტუტების (მაგალითად, კერძო სამართლებრივი ხელშეკრულებები) მეშვეობით თავი აარიდოს ძირითადი უფლებების დაცვას.

ძირითადი უფლებები ბოჭავს არა მარტო აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს, არამედ ყველა სუბიექტს, მათ შორის კერძო პირებსაც, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით (ხელშეკრულების საფუძველზე, სახელმწიფოს დავალებით და სხვ.) მონაწილეობენ აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაში.

ძირითადი უფლებები ბოჭავს სასამართლო ხელისუფლებასაც. კონსტიტუციის უზენაესი იურიდიული ძალიდან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია არ გამოიყენოს ნორმა, რომელიც არღვევს ძირითად უფლებებს. თუ საერთო სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ, შესაძლებელია მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. ამ შემთხვევაში, საქმის განხილვა განახლებება მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტს ამ საკითხს („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი მ.19, პ.2).

## V. ძირითადი უფლებების აღრესატი

ძირითადი უფლებების აღრესატი სახელმწიფო, რომელიც შეზღუდულია ძირითადი უფლებებით როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. სახელმწიფო რჩება ძირითადი უფლებების აღრესატი იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი გარკვეული ფუნქციების

განხორციელებას აკისრებს სხვა, არასახელმწიფო ინსტიტუტებს (თვითმმართველობის ორგანოებს, ფონდებს, სხვადასხვა გაერთიანებას). სახელმწიფო შებოჭილი ძირითადი უფლებებით იმ შემთხვევაშიც, როდესაც თავის ფუნქციებს ახორციელებს კერძო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმის მეშვეობით.

ძირითად უფლებებს შემზოჭველი ძალა აქვს მხოლოდ ხალხის და სახელმწიფოს მიმართ. უცხო სახელმწიფოს საჯარო ხელისუფლების მიმართ ძირითად უფლებებს შემზოჭველი ძალა არ აქვს.

## VI. ძირითადი უფლებების მოქმედება «მესამე პირების» მიმართ

ძირითადი უფლებები, კლასიკური გაგებით, აწესრიგებს ურთიერთობას ცალკეულ ინდივიდებსა და სახელმწიფოს შორის და მიზნად ისახავს სახელმწიფო ხელისუფლების შეზოჭვას. ისტორიულად, ძირითადი უფლებები წარმოიშვა როგორც სახელმწიფოსაგან დამცავი უფლება. ძირითადი უფლებები კონსტიტუციური სამართლის შემადგენელი ნაწილია. კონსტიტუციური სამართალი, ტრადიციულად, აწესრიგებს ურთიერთობას სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის. კერძო პირებს შორის ურთიერთობა, არსებითად, არ არის კონსტიტუციის რეგულირების სფერო და, ძირითადად, მოგვარებულია კერძო სამართლის ნორმებით.

კერძო სამართლებრივი ურთიერთობა, სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის არსებული ურთიერთობისაგან განსხვავებით, ინდივიდუალური ავტონომიის პრინციპს ეფუძნება და ხელშეკრულებების საფუძველზე ხორციელდება. სახელმწიფოს, პირიქით, სათანადო უფლებამოსილების არსებობისას შეუძლია ცალმხრივად ჩაერიოს მოქალაქის ცხოვრების სფეროში. სწორედ ეს მომენტი განსაზღვრავს კერძო და საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებს შორის არსებულ ძირითად განსხვავებას.<sup>1</sup>

მესამე პირების მიმართ ძირითადი უფლებების მოქმედების საკითხი განსხვავებულად არის მოწესრიგებული ევროპული ქვეყნების კონსტიტუციებსა და კონსტიტუციური მართლმსაჯულების პრაქტიკაში. შვეიცარიის ახალი კონსტიტუციის თანახმად (მ.35., აბზ.3.), სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან იზრუნონ, რომ ძირითადი უფლებები (რამდენადაც ისინი ამის საშუალებას იძლევიან) მოქმედებდეს კერძო პირებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებშიც. მესამე პირების მიმართ ძირითადი უფლებების უშუალო მოქმედებას ითვალისწინებს შვეიცარიის კონსტიტუციის 28-ე მუხლი (გაერთიანების თავისუფლება) და მე-8 მუხლი (ქალისა და მამაკაცის შრომის თანაბარი ანაზღაურება). იტალიის კონსტიტუციის თანახმად, ძირითადი უფლებები ბოჭავს არა მარტო ხელისუფლებას, არამედ (ნაწილობრივ) კერძო პირებსაც. იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ცალკეული სოციალური უფლებები (ჯანმრთელობის უფლება, დასვენებისა და შევებულების უფლება, უფლება თანაბარ და სათანადო ხელფასზე) უშუალოდ მოქმედებს მესამე პირების მიმართ.<sup>2</sup> პორტუგალიის კონსტიტუციის თანახმად (მ.18., აბზ.1.), ძირითადი უფლებები „ავალდე-

<sup>1</sup> Ipsen, J., Grundrechte, Rdn. 58.

<sup>2</sup> Polakiewicz, J., Soziale Grundrechte und Staatszielbestimmungen in den verfassungsordnungen Italiens, Portugal und Spaniens, in.: ZaäRV, 1994, S. 340, cit.: Dröge, C., Positive verpflichtungen der Staaten in der Europäischen Menschenrechtskonvention, 2003, S. 253.

ბულებს“ არასახელმწიფო, კერძო ორგანოებსაც. საფრანგეთის სასამართლოები აღიარებენ ძირითადი უფლებების (მაგრამ არა სოციალური უფლებების) მოქმედებას მესამე პირების მიმართ. ნიდერლანდში ეს საკითხი წყდება კონკრეტული ურთიერთობებიდან გამომდინარე. დიდ ბრიტანეთში მოქმედი common Law სავალდებულოა როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო ორგანოებისათვის. ამ თვალსაზრისით, ძირითადი უფლებების მოქმედება მესამე პირების მიმართ არ წარმოშობს რამე პრობლემას. Habeas Corpus-ის ადრესატია როგორც სახელმწიფო, ისე კერძო პირი. ამავე დროს, ძირითადი უფლებები უნდა იყოს მიმართული განსაზღვრული ადრესატისაკენ. ამიტომ, ბრიტანული სამართლის მიხედვით, ყველა ძირითადი უფლება ამავედროულად არ ბოჭავს კერძო პირს.<sup>1</sup>

ძირითადი უფლებები მიმართულია სახელმწიფო ხელისუფლებისაკენ და არ არის მიზანშეწონილი მისი მოქმედების გავრცელება კერძო პირებს შორის წარმოშობილ ურთიერთობაზე. ძირითადი უფლებები ბოჭავს სახელმწიფო ხელისუფლებას და იცავს ინდივიდის კერძო ცხოვრების სფეროს სახელმწიფოს უკანონო ჩარევისაგან. კერძო სამართალი, რომელიც ეფუძნება ინდივიდუალური ავტონომიის იდეას, იმთავითვე გამორიცხავს პიროვნული ცხოვრების სფეროში უკანონო ჩარევის შესაძლებლობას. კერძო სამართლის ნორმა, რომელიც ითვალისწინებს პიროვნული ცხოვრების სფეროში ჩარევას, უნდა დასაბუთდეს ძირითადი უფლებებიდან გამომდინარე.

ძირითადი უფლებების მოქმედება მესამე პირებზე უშუალოდ არ ვრცელდება. ამავე დროს, ძირითადი უფლებები მესამე პირების მიმართ გაშუალებულია მოქმედებს.<sup>2</sup> როდესაც ინდივიდუალური ინტერესი საკმარისად არ არის დაცული კერძო სამართლის ნორმებით, კონსტიტუცია თავის თავზე იღებს პირის ავტონომიის დაცვის ფუნქციას.

ფიზიკურ პირებს შორის წარმოშობილ დავას სასამართლო წყვეტს სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე. სასამართლო ახორციელებს საჯარო ხელისუფლებას და, შესაბამისად, შეიძლება ძირითადი უფლებებით. ასევე დიდია ძირითადი უფლებების გავლენა სამოქალაქო სამართალზე. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ძირითად უფლებებს. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტება უნდა მოხდეს ძირითადი უფლებების სულისკვეთებიდან გამომდინარე.<sup>1</sup> ძირითადი უფლებები სამოქალაქო სამართლებრივ დავას კონკრეტულად ვერ გადაწყვეტს, მაგრამ ამ ურთიერთობის მიმართ იგი გაშუალებულია მოქმედებს.<sup>2</sup>

<sup>1</sup> Drüge, C., Positive verpflichtungen der Staaten in der Europäischen Menschenrechtskonvention, 2003, S. 253.

<sup>2</sup> ამ საკითხზე, მთ შორის ტერმინთან დაკავშირებით, სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის აზრთა ერთობა იხ.: Stern, Staatsrecht III/1, S. 1514; Dreier H., (Hrsg.), Grundgesetz, Bd. I, Rdn. 57.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, შემდგომში.: BVerfGE 7, 198/205 f.; 73, 261/269.

<sup>4</sup> BVerfGE 81, 242/261.

## VII. ძირითადი უფლებების კლასიფიკაცია

ძირითადი უფლებების კლასიფიკაცია ხდება მისი მიზნიდან გამომდინარე, მოქმედების სფეროს გათვალისწინებით, შინაარსობრივი კრიტერიუმის მიხედვით და სხვ.<sup>1</sup> კლასიფიკაციის ყველაზე გავრცელებული სახეა ძირითადი უფლებების დაყოფა სოციალურ-ეკონომიკურ, პირად და პოლიტიკურ უფლებებად; თავისუფლების უფლებებად; დამცავ უფლებებად და სხვ.

თანამედროვე ლიბერალურ უფრო გავრცელებულია ძირითადი უფლებების კლასიფიკაცია სამართლის წყაროს მიხედვით. ამ ნიშნით შეიძლება გამოიყოს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი უფლებები; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციაში განმტკიცებული ძირითადი უფლებები; ადამიანის უფლებათა ევროპულ აქტებსა და საერთაშორისო სამართლის დოკუმენტებში აღიარებული უფლებები.

ძირითადი უფლებების კლასიფიკაცია ხდება სუბიექტთა წრის მიხედვით თუ ძირითადი უფლების სუბიექტად კონსტიტუცია მოიხსენიებს „ყველას“, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს ადამიანის უფლებებთან. სამოქალაქო უფლებები ვრცელდება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე. ცალკეული ძირითადი უფლების სუბიექტი შეიძლება იყოს პირთა უფრო ვიწრო წრეც (მაგალითად, მშობლები ან შვილები, პოლიტიკურად დევნილები და სხვ.).

ადრესატების მიხედვით შეიძლება გამოიყოს 1) ძირითადი უფლებები, რომლებიც ბოჭავს სახელმწიფო ხელისუფლებას და 2) ძირითადი უფლებები, რომლებიც, ასევე, ავალდებულებს კერძო პირებსაც (ე.წ. ძირითადი უფლებების მოქმედება შესაძლოა პირების მიმართ).

რეგულირების სფეროს მიხედვით შეიძლება გამოიყოს ძირითადი უფლებები, რომლებიც მოქმედებს რელიგიის, კულტურის, ეკონომიკის, პირადი ცხოვრების, პოლიტიკური საქმიანობის სფეროში და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი უფლებების მოქმედების სფეროების ერთმანეთისაგან გამოჯენა საკმაოდ პრობლემურია.

## VIII. ძირითადი უფლებების ფუნქცია

ძირითადი უფლებების კლასიკური ფუნქციები ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ ელინეკმა. მისი აზრით, ადამიანის უფლებებს აქვს შემდეგი ძირითადი ფუნქცია: 1) status negativus; 2) status positivus; 3) status activus.

Status negativus გულისხმობს ინდივიდის თავისუფლებას სახელმწიფოსაგან, ანუ საკუთარი ინდივიდუალური პრობლემების სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად და მისი ჩარევის გარეშე გადაწყვეტის უფლებას. სახელმწიფომ ხელი არ უნდა შეუშალოს ინდივიდს საკუთარი შეხედულების მიხედვით მოქმედებაში. აღნიშნული სტატუსი იცავს პირის თავისუფალი მოქმედების ფარგლებს. ძირითადი უფლებები, ამ თვალსაზრისით, უნდა განიმარტოს როგორც დამცავი უფლება.

Status positivus-ის თანახმად, ინდივიდს უფლება აქვს სახელმწიფოს მოსთხოვოს

<sup>1</sup> იხ.: Sachs, M., Verfassungsrecht II. Grundrechte, 2. Auflage, 2003., Bleckmann, A., Staatsrecht II – Die Grundrechte, 4., neubearbeitete Auflage, 1997.

გარკვეული მოქმედების განხორციელება. სახელმწიფომ ძირითადი უფლებები უნდა დაიცვას არა მარტო ხელისუფლების, არამედ სხვა სუბიექტების მხრიდან ხელყოფისაგანაც. თავისუფლება არ არსებობს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად და მის გარეშე. Status positivus გულისხმობს, რომ სახელმწიფო აქტიურ მოქმედებას ახორციელებს ძირითადი უფლებების დასაცავად.

Status activus გულისხმობს პოლიტიკური საქმიანობის სფეროში ინდივიდის მონაწილეობის უფლებას (საარჩევნო უფლება, სახელმწიფო სამსახურის უფლება და სხვ.). პოლიტიკურად მნიშვნელოვან თავისუფლებებს (აზრის გამოთქმის თავისუფლება ან შეკრების თავისუფლება) ხშირად მიაკუთვნებენ არა status negativus-ს, არამედ status activus-ს, რამდენადაც მათი მეშვეობით ინდივიდი მონაწილეობს დემოკრატიული ნების ფორმირების პროცესში.

ძირითადი უფლებები ესწრაფვის ადამიანის ღირსეულ ყოფასა და თავისუფლებას. ინდივიდუალური თავისუფლება დაცულია მხოლოდ თავისუფალ საზოგადოებაში და, პირიქით, მხოლოდ თავისუფალ ინდივიდებს შეუძლიათ შექმნან თავისუფალი საზოგადოება. ინდივიდუალური თავისუფლების რეალიზაცია მოითხოვს საკუთარი ღირსების განვითარებული გრძნობის მქონე, დამოუკიდებელი პასუხისმგებლობით მოქმედ სუბიექტებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი საქითხების გადაწყვეტაში და არ არიან სახელმწიფო მართვის პასიური ობიექტები.

ძირითადი უფლებების უმნიშვნელოვანესა ფუნქციაა ხელისუფლების შეზღუდვა, მისი მოქცევა საზოგადოებისათვის მისაღებ, მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში. მე-20 ს. დასაწყისში გავრცელებული შეხედულების თანახმად, ადამიანის თავისუფლების მასშტაბი განისაზღვრებოდა „სახელმწიფოსაგან თავისუფლებით“. სახელმწიფო არ უნდა ჩარეულიყო საზოგადოების საქმეებში, სახელმწიფოს ფუნქცია შემოიფარგლებოდა მხოლოდ საგარეო და საშინაო უსაფრთხოების დაცვით. მოგვიანებით, სახელმწიფოს როლის მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. პოლიტიკურმა პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ინდივიდუალურ თავისუფლებასა და პიროვნულ ავტონომიას აქვს საზოგადოებრივი და სახელმწიფო წინამძღვრები, რომელთაც პიროვნება თვითონ, დამოუკიდებლად ვერ შექმნის. პიროვნების თავისუფლების მასშტაბი განისაზღვრება უკვე არა „სახელმწიფოსაგან თავისუფლებით“, არამედ, პირიქით, ამ უფლების რეალიზაცია მოითხოვს სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას.

## IX. ძირითადი უფლებები როგორც პრინციპი .

ძირითადი უფლებები, როგორც სამართლის ნორმა, აყალიბებს ღირებულებით წესრიგს, რომელიც მოიცავს სამართლის მთელ სისტემას.<sup>1</sup> როგორც ღირებულებით წესრიგს, ძირითად უფლებებს აქვს „პრეტენზია“, რომ იმოქმედოს სამართლის ყველა სფეროში.<sup>2</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ძირითადი უფლებები აღგენს ღირებულებებს, რომლებიც სავალდებულოა სახელმწიფო ორგანოებისათვის.

ძირითადი უფლებები ხშირად განიხილება როგორც კონსტიტუციური წესრიგის და მთლიანად მართლწესრიგის პრინციპი. ძირითადი უფლებები განსაზღვრავს სახ-

<sup>1</sup> BVerfGE, 21, 372, 5, 204; 7, 204 ff.

<sup>2</sup> BVerfGE 49, 89.

ელმწიფოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო საქმიანობის ფარგლებს; ბოჭავს სახელმწიფო ხელისუფლებას; აყალიბებს მართლწესრიგის საფუძვლებს; მოითხოვს დაცვას სათანადო პროცედურების მეშვეობით. დემოკრატიული სახელმწიფო წესრიგის სამართლებრივ საფუძვლებს, თავის მხრივ, აყალიბებს თანასწორი, თავისუფალი და თაბრული არჩევნები, პოლიტიკური პარტიების შანსების თანასწორობა, რწმინის ფაისუფლება, აზრის გამოხატვის თავისუფლება. ადამიანის უფლებები აწესრიგებს მოქალაქეთა მონაწილეობას პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესში, ადგენს პოლიტიკურ პროცესში მონაწილე სუბიექტების უფლებების დაცვის ფორმასა და მათი შანსების თანასწორობას (მათ შორის საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში), პოლიტიკური პროცესის თავისუფალ, ღია და გამჭვირვალე ხასიათს როგორც დემოკრატიული წესრიგის აუცილებელ წინაპირობას. ადამიანის უფლებები აყალიბებს ერთიან სტანდარტებს, რაც მართლწესრიგის პომოგენურობის აუცილებელი პირობაა. ძირითადი უფლებების მნიშვნელობა, ამ თვალსაზრისით, სცილდება ინდივიდუალური თავისუფლების დაცვის სფეროს და მოიცავს მთელი სახელმწიფოს საქმიანობას.

## X. პირითადი უფლებები და სახელმწიფოს მიზანი<sup>1</sup>

სახელმწიფოს მიზანი არ აყალიბებს ინდივიდუალურ უფლებებს. სახელმწიფოს მიზანი დინამიკური ხასიათისაა და აღნიშნავს არა უკვე მიღწეულ მდგომარეობას, არამედ ადგენს მომავალი საქმიანობის მიმართულებებს. ცხადია, კონსტიტუციით დადგენილი მიზანი ბოჭავს სახელმწიფო ხელისუფლებას. ამავე დროს, ხელისუფლება უფლებამოსილია დამოუკიდებლად განსაზღვროს სახელმწიფოს მიზნის რეალიზაციის დრო და საშუალებები. ნორმატიული შებოჭვის ხარისხით მიზანი გაცილებით უფრო „სუსტად“ ზღუდავს სახელმწიფოს, ვიდრე ძირითადი უფლება.

კონსტიტუციურად დადგენილ მიზანს უპირატესობა უნდა მიენიჭოს პოლიტიკურ მიზნებთან შედარებით. ის, რაც უკვე დადგენილია კონსტიტუციურ სამართლებრივად, არ მოითხოვს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. სახელმწიფოს მიზანი ბოჭავს კანონმდებელსაც. სახელმწიფოს მიზანს, ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს ნორმის განმარტების პროცესში, სახელმწიფოს აღმასრულებელ და სასამართლო საქმიანობაში. სახელმწიფოს მიზანზე, იმ ფარგლებში, რომელშიც იგი ინარჩუნებს ნორმატიულად შემბოჭველ ძალას, ვრცელდება კონსტიტუციური კონტროლი. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებელი სახელმწიფოს მიზნის რეალიზაციისას საქმოდ თავისუფალია, ძნელია განისაზღვროს მათდამი კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების ფარგლები.

სახელმწიფოს მიზანს, როგორც კონსტიტუციის ნორმას, აქვს იურიდიულად შემბოჭველი ძალა. სახელმწიფოს მიზანი არ არის დეკლარაციული, პროგრამული დებულება. კონსტიტუცია საზოგადოებას არ უნდა ჰპირდებოდეს არარეალურ მიზნებს.

საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს მიზანი ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოს. ამ მიზნის რეალიზაციის დრო და ფორმები უნდა განისაზღვროს დემოკრატიულ პროცესში. სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს მიზანი უშუალოდ არ აყალიბებს ინდივიდუალურ

<sup>1</sup> ამ საკითხზე, ასევე, იხ.: კონსტიტუციის 39-ე მუხლის კომენტარი.

უფლებებს. ამავე დროს, მას დიდი მნიშვნელობა აქვს ძირითადი უფლებების განმარტების პროცესში.

ჩვენს დროში გარემოს დაცვა სულ უფრო ხშირად განიხილება როგორც სახელმწიფოს მიზანი. საბერძნეთის, ნიდერლანდის, პორტუგალიის, შვეიცარიისა და ესპანეთის კონსტიტუციებში გარემოს დაცვა უკვე განმტკიცებულია როგორც სახელმწიფოს მიზანი. თანამედროვე კონსტიტუციონალიზმში ასევე აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ცხოველების ისეთი ელემენტალური პირობები, როგორცაა ბინა, უშუალოდ განსაზღვრულია დაცვა, დაცვა მოხუცებულობისა და ავადმყოფობის შემთხვევაში, განათლებისა და კულტურის ხელშეწყობა აღიარებული იყოს სახელმწიფოს მიზნად.<sup>1</sup>

სახელმწიფოს მიზანი დაკავშირებულია ძირითად უფლებებთან. თუმცა, მათ შორის არსებობს განსხვავება. ძირითადი უფლებები სუბიექტურია, ანუ მიმართულია სახელმწიფოსაკენ და ბოჭავს მას. ამავე დროს, ძირითადი უფლებებიდან არ გამოდინარეობს ხელისუფლების ვალდებულება, რომ მან იმოქმედოს სახელმწიფოს მიზნის მისაღწევად. სახელმწიფოს მიზანი პირიქით, მიმართულია სახელმწიფო ორგანოებისაკენ, მაგრამ არ ადგენს ინდივიდუალურ უფლებებს.

## XI. ძირითად უფლებებზე უარის უფლება

ძირითადი უფლებები იცავს პირის ინდივიდუალურ ავტონომიას და ხელშეუხებლობას. საინტერესოა რამდენად დისპოზიციური შეიძლება იყოს ძირითადი უფლებები, ანუ რამდენად არის დასაშვები, რომ სახელმწიფო ჩაერიოს ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროში, თუ ამაზე თანახმაა თვითონ ინდივიდი? (მაგალითად, პირი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე თანახმაა, რომ გააზრიონ მისი ბინა; ამომრჩეველი საჯაროდ ავსებს საარჩევნო ბიულეტენს, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები ფარულია და ამომრჩეველთა ნების კონტროლი დაუშვებელია და სხვ.).

ძირითადი უფლებების სუბიექტს შეუძლია ეს უფლებები გამოიყენოს ან არ გამოიყენოს. ძირითად უფლებებზე უარის თქმა არ იწვევს არანაირ ოურიდოულ შედეგს. ძირითად უფლებებზე უარი შესაძლებელია განვიხილოთ როგორც ქვეყნის კონსტიტუციურად გაანტირებული თავისუფლების ერთ-ერთი ფორმა. უფლებებზე უარის თქმა არის უფლებების გამოყენების ერთ-ერთი ფორმა. თუმცა, გარკვეული პრობლემა წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ ძირითად უფლებებს განვიხილავთ არა როგორც ინდივიდუალურ უფლებას, არამედ როგორც მართლწესრიგის ფუძემდებლურ ნორმას. ამ შემთხვევაში ძირითად უფლებებს არ შეიძლება ჰქონდეს დისპოზიციური ხასიათი (როდესაც უფლების გამოყენება მთლიანად დამოკიდებულია მოქალაქის სუბიექტურ ნებაზე).

ძირითად უფლებებზე უარი უნდა იყოს აშკარად გამოხატული და ნებაყოფლობითი. იგი არ უნდა განხორციელდეს ზემოქმედების შედეგად ან რამე კომპენსაციის მოლოდინით. თუ უფლება „ინდივიდუალურია“, ეს ნიშნავს, რომ მის სუბიექტს შეუძლია უარი თქვას ამ უფლების გამოყენებაზე. ძირითად უფლებებზე უარის თქმას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა შედეგი. ძირითად უფლებებზე უარი მიუღებელია პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესში. დასაშვებია, რომ პირმა ნებაყოფლობით თქვას უარი ბინის ხელშეუხებლობის, მიმოწერისა და სატელეფონო საუბრის საიდუმლო-

<sup>1</sup> Ernst Benda, Werner Maihofer, Hans-Jochen Vogel (Hrsg.), Handbuch des Verfassungsrechts, Teil I, 1995, S. 147.



ბის უფლებაზე და, პირიქით, მიუღებელია, როდესაც პირი უარს ამბობს ფარული არჩევანის უფლებაზე და ღიად აცხებს საარჩევნო ბიულეტენს.

## XII. ძირითადი უფლებების რეგულირებისა და დაცვის სფერო

განსხვავებენ ძირითადი უფლებების რეგულირებისა და დაცვის სფეროს. ძირითადი უფლებების რეგულირების სფერო მოიცავს ურთიერთობათა განსაზღვრულ წრეს. რეგულირების სფერო განსხვავდება დაცვის სფეროსაგან. მაგალითად, კონსტიტუციის 25-ე მუხლის რეგულირების სფეროა შეკრებები და მანიფესტაციები. ამ მუხლის დაცვის სფერო კი არის მხოლოდ მშვიდობიანი და უიარალო შეკრება ან მანიფესტაცია. ძირითადი უფლებების გამოყენება და რეალიზაცია შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ დაცვის სფეროს ფარგლებში.

## XIII. ძირითადი უფლებების შეზღუდვის ფარგლები

აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს. ძირითადი უფლებების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებაში, სხვა ადამიანებთან მუდმივი ურთიერთობის პროცესში. ძირითადი უფლებების რეალიზაცია დასაშვებია მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში.

კონსტიტუციის ტექსტი, ხშირად, უშუალოდ არ ითვალისწინებს ძირითადი უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას. მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს აბსოლუტურ უფლებასთან. ძირითადი უფლების ფარგლები იმთავითვე განსაზღვრულია კონსტიტუციური მართლწესრიგის პრინციპებით. მაგალითად, კონსტიტუციის 23-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, დაუშვებელია ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლების შეზღუდვა თუნდაც კანონის ფორმით. ამავე დროს, ამ უფლების რეალიზაცია იმთავითვე ზღვარდადებულია კონსტიტუციური წესრიგით.

ძირითადი უფლებების შეზღუდვები შესაძლებელია გამომდინარეობდეს უშუალოდ კონსტიტუციიდან, როდესაც იგი ტექსტში პირდაპირაა მითითებული. კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით „დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამსხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.“ კონსტიტუციით გარანტირებული რომელიმე ძირითადი უფლების საზღვარს შესაძლებელია ადგენდეს სხვა ძირითადი უფლებაც.

ძირითადი უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მოხდეს იმ პირთა წრის მიხედვით, რომელთაც სპეციალური სტატუსი აქვთ. მაგალითად, სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში მყოფი პირი არ არის უფლებამოსილი გამოიყენოს შეკრების კონსტიტუციური თავისუფლება.

კონსტიტუცია, ცხადია, წინასწარ ვერ განსაზღვრავს ძირითადი უფლებების საზღვრებს. ამ უუნქიას იგი ანიჭებს კანონმდებელს. ძირითადი უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ კანონის ფორმით. კანონმდებელმა ზუსტად უნდა განსაზღვროს ძირითადი უფლებების შეზღუდვის ფარგლები – აღმასრულებელ

და სასამართლო ხელისუფლებებში არ უნდა ჰქონდეთ ამ საზღვრების თვითნებურად ინტერპრეტაციის შესაძლებლობა.

ძირითადი უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით. დაუშვებელია, რომ კანონმა შეზღუდოს ძირითადი უფლებები მხოლოდ ერთეულ შემთხვევასთან მიმართებაში. კანონი, რომელიც ზღუდავს ძირითადი უფლებების მოქმედების სფეროს, აუცილებლად უნდა შეიცავდეს მითითებას იმ კონსტიტუციურ ნორმაზე, რომელიც ადგენს ასეთი შეზღუდვის შესაძლებლობას.

#### XIV. თანაზომიერების პრინციპი

კანონმდებელი თვითნებურად ვერ შეზღუდავს ძირითადი უფლებების მოქმედების სფეროს, თუნდაც რომ კონსტიტუცია დასაშვებად მიიჩნევდეს ასეთი შეზღუდვის შესაძლებლობას. ძირითადი უფლებების შეზღუდვა დასაშვებია საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე ფარგლებში და თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით.

თანაზომიერების პრინციპი ნიშნავს, რომ 1) მიზანი, რომელსაც ესწრაფვის ძირითადი უფლებების შეზღუდვა, უნდა იყოს კონსტიტუციური; 2) კანონით გათვალისწინებული ღონისძიება უნდა იყოს მისაღები და სათანადო საშუალება მიზნის მისაღწევად; 3) გამოყენებული საშუალება უნდა იყოს აუცილებელი, რომ მიღწეულ იქნეს კანონით დასაზღვი მიზანი; 4) მიზანი და საშუალება ერთმანეთთან გონივრულ თანაფარდობაში უნდა იყოს.

მიზნის კონსტიტუციურობა არ ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად განმტკიცებულია კონსტიტუციაში. ძირითადი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს კანონმდებლობაში ნორმატიულად განმტკიცებული მიზნიდან გამომდინარე. მთავარია იგი არ ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციაში განმტკიცებულ მიზნებს. რეგულირების მიზანი უნდა დადგინდეს კანონის განმარტების პროცესში, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრეამბულას, კანონის ტექსტის შემუშავების ისტორიასა და საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარე დისკუსიის შედეგებს.

თანაზომიერების პრინციპი მოითხოვს, რომ არჩეული საშუალება იყოს აუცილებელი და სათანადო. საშუალება სათანადოა მაშინ, როდესაც ზრდის დასაზღვი მიზნის მიღწევის ალბათობას. აუცილებელი საშუალება ნიშნავს, რომ არ არსებობს ალტერნატივა, რომელიც მოგვცემდა დასაზღვი მიზნის მიღწევის შესაძლებლობას შედარებით ნაკლები შეზღუდვებით. ანუ არ არსებობს სხვა, უფრო „რბილი“ საშუალება, რომელიც უზრუნველყოფდა დასაზღვი მიზნის მიღწევას და, ამავ დროს, ძირითად უფლებებს საერთოდ არ შეზღუდავდა ან უფრო ნაკლებად შეზღუდავდა. რაც უფრო დიდია ძირითადი უფლებების შეზღუდვის მასშტაბი, მით უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს მიზანი, რომლის მიღწევასაც ვესწრაფვით შეზღუდვის ფორმით.

თანაზომიერების პრინციპი მოქმედებს როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ. თუმცა, ამ თვალსაზრისით კანონმდებელს თავისუფალი მოქმედების მეტი არეალი აქვს. კანონმდებელი, არსებითად, შეზღუდულია მხოლოდ კონსტიტუციით. აღმასრულებელი ხელისუფლება მიზნის მიღწევის საშუალების არჩევისას შეზღუდილია როგორც კონსტიტუციით, ისე კანონმდებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით.

თანაზომიერების პრინციპთან მიმართებაში ბევრ პრობლემას წარმოშობს ის გარე-

მოება, რომ კონსტიტუცია არ აღგენს ღირებულებით იერარქიას, რომლის საფუძველზეც განისაზღვრებოდა მიზნის და, აქედან გამომდინარე, მის მისაღწევად გამოყენებული საშუალებების სისტემა. არ არსებობს თანაზომიერების უნივერსალური, აბსტრაქტული ფორმულა – თანაზომიერების პრინციპის გამოყენებისას უნდა გავითვალისწინოთ განსახილველი ურთიერთობის კონკრეტული ასპექტები.

ძირითადი უფლებების შეზღუდვის პროცესში უნდა გავითვალისწინოთ სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი. სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ კანონი, რომელიც ზღუდავს ძირითად უფლებებს, უნდა იყოს მაქსიმალურად გასაგები და ნათელი. ინდივიდს ზუსტად უნდა შეეძლოს იმის გარკვევა, თუ რა ფარგლებში იზღუდება მისი უფლებები. რაც უფრო ფართოდ ზღუდავს კანონი ძირითად უფლებებს, მით უფრო ზუსტი და კონკრეტული უნდა იყოს მისი ტექსტი.

### XV. ძირითადი უფლებების დაცვა

კონსტიტუცია იცავს ძირითად უფლებებს ყოველგვარი რევიზიისაგან. მე-7 მუხლის თანახმად, სახელმწიფო აღიარებს ადამიანის უფლებებს როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს. ხალხიც და სახელმწიფოც შეიძლება არაან ამ უფლებებით როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი. ძირითადი უფლებები ბოჭავს კანონმდებელსაც – მას არა აქვს უფლებამოსილება მიიღოს ისეთი კანონი, რომელიც დაარღვევს ძირითად უფლებებს. კანონი, რომელიც არღვევს ძირითად უფლებებს, ანტიკონსტიტუციურია.

ძირითადი უფლებების დაცვის უზენაესი პრინციპია გარანტია საკონსტიტუციო სასამართლო. სასამართლოს შეფასების მასშტაბი შეიძლება იყოს მხოლოდ კონსტიტუცია. არასამართლებრივი, პოლიტიკური შეფასებები არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია. სასამართლო ვერ განსაზღვრავს, თუ რამდენად აუცილებელი ან მიზანშეწონილი იყო სახელმწიფოს ცალკეული მოქმედებები. საკონსტიტუციო სასამართლო ასევე ვერ განსაზღვრავს კანონის სამართლიანობის მასშტაბს – ეს მასშტაბი კანონმდებელმა თვითონვე უნდა „იპოვოს“. საკონსტიტუციო სასამართლომ პატივი უნდა სცეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. როგორც სასამართლო, ისე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია დაიცვას კონსტიტუციით დადგენილ უფლებამოსილებათა საზღვრები. კონსტიტუციური მართლმსაჯულება არ ზღუდავს სახელმწიფო ორგანოების თავისუფალი მოქმედების სფეროს. სასამართლო არ „ქმნის“ პოლიტიკას. ქვეყნის თავისუფლება პოლიტიკური მოღვაწეობის აუცილებელი პირობაა. ქვეყნის ასეთი თავისუფლება საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია, რამდენადაც იგი შეიძლება სარჩელით. სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს მხოლოდ მოსარჩელე მხარის მიერ დაყენებული საკითხები. საკონსტიტუციო სასამართლო არის მართლმსაჯულების და არა პოლიტიკის ორგანო.

სამართალი არის ერთადერთი მასშტაბი, რომლის შესაბამისადაც, სასამართლოს შეუძლია შეაფასოს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის სამართლებრივი და არა პოლიტიკური აქტი. საკონსტიტუციო სასამართლო ვერ შეაფასებს კანონის პოლიტიკურ მიზანშეწონილობას. სასამართლო არ არკვევს, არის თუ არა კანონმდებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიზანშეწონილი ან სწორი. საკონსტიტუციო სასამართლო არკვევს მხოლოდ კონსტიტუციასთან ნორმის შესაბამისობის საკითხს.

ძირითადი უფლებების დაცვის უმთავრესი ინსტიტუტია სასამართლო. კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. სასამართლო ვალდებულია პროცესის დროს დაიცავს ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ზემდგომ სასამართლო ინსტანციას შეუძლია გააუქმოს ქვედგომი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს. სასამართლო არ არის უფლებამოსილი გამოიყენოს კანონი, რომელიც არღვევს კონსტიტუციით დადგენილ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეაჩეროს პროცესი და დაელოდოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

## XVI. ძირითადი უფლებების კოლიზია და კონკურენცია

ძირითადი უფლებები მოქმედებს არა იზოლირებულად, არამედ ურთიერთკავშირში. ამ ურთიერთკავშირიდან გამომდინარე, დასაშვებია ცალკეულ უფლებებს შორის კონკურენცია და კოლიზია. ლიტერატურაში მას ხშირად მოიხსენიებენ როგორც კონფლიქტს ძირითად უფლებებს შორის.

ძირითადი უფლებების კოლიზიის დროს ცალკეული ინდივიდუალური უფლებები შეზღუდულია სხვა უფლებამოსილი სუბიექტის ინტერესების დასაცავად. ძირითადი უფლებების კოლიზიისას სახეზეა კონფლიქტი სუბიექტების განსხვავებულ ძირითად უფლებებს შორის, რომლის გადაწყვეტისას უნდა გავითვალისწინოთ ძირითადი უფლებების რანგი. კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებასა და კონსტიტუციური მართლმსაჯულების პრაქტიკაში სადავოა ძირითად უფლებებს შორის არსებული იერარქიის საკითხი. შესაბამისად, საკითხი უნდა გადაწყდეს კონკრეტული ვითარების მიხედვით, როდესაც სასამართლო შეაფასებს კონსტიტუციით განმტკიცებულ სამართლებრივ სიკეთეს, გადასაწყვეტი შემთხვევის დეტალებს და ამის საფუძველზე მიიღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას.

ძირითადი უფლებების კონკურენციისას კონკრეტული ქვეყნის მიმართ ერთდროულად მოქმედებს რამდენიმე ძირითადი უფლება. ძირითადი უფლებების კონკურენციისას პირს შეუძლია ერთდროულად დაეყრდნოს რამდენიმე ძირითად უფლებას. მაგალითად, შეკრებისაკენ მოწოდება მოიცავს როგორც შეკრების თავისუფლებას (მ. 25.), ისე სიტყვის თავისუფლებასაც (მ.19); გაზეთის რედაქციის უკანონო ჩხრეკა არღვევს როგორც საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის უფლებას (მ. 20. პ. 2), ისე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებას (მ. 24. პ. 2.).

ძირითადი უფლებების კონკურენციის შემთხვევაში საკითხი, ძირითადად, წყდება ზოგადი პრინციპის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, სპეციალურ ნორმას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს ზოგადი ნორმის მიმართ. ნორმა სპეციალურია, თუ მისი მოქმედება ვრცელდება ურთიერთობათა შედარებით ვიწრო წრეზე. მაგალითად, თუ კანონი გარკვეულ შეზღუდვებს ადგენს ეთნიკური ნიშნის მიხედვით, მაშინ მისი კონსტიტუციურობის დასადგენად უნდა გამოვიყენოთ არა კონსტიტუციის მე-14 მუხლით განმტკიცებული თანასწორობის ზოგადი ნორმა, არამედ 38-ე მუხლი (რომელიც უფრო სპეციალურია მე-14 მუხლთან მიმართებით).

## მუხლი 14.

*„ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, სოცხოვრებელი ადგილისა“.*

### I. ადამიანის თავისუფლების დაცვის სფერო

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ეხება ორ ფუძემდებლურ ღირებულებას – ადამიანის თავისუფლებასა და თანასწორობას.

ადამიანის თავისუფლება უზენაესი სამართლებრივი ღირებულებაა და დიდი ტრადიციები აქვს. ადამიანის თავისუფლების დაცვის პროცესუალური გარანტიების თვალსაზრისით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს Habeas Corpus Akte (1679). ადამიანის თავისუფლების კონსტიტუციური ცნება, არსებითად, მოიცავს სწორედ Habeas Corpus Akte-ს მოთხოვნას, რომ არაფერ არ შეიძლება იყოს უკანონოდ დაკავებული ან დაპატიმრებული.

ადამიანის თავისუფლება განუსხვისებელია. სახელმწიფო ხელისუფლება არ არის უფლებამოსილი თვითნებურად ჩაერიოს ადამიანის თავისუფლების სფეროში. ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა ან აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილი საფუძვლებით.

საქართველოს კონსტიტუცია „ადამიანის თავისუფლების“ ცნებას იყენებს როგორც მე-14, ისე მე-18 მუხლის პირველ პუნქტში. კონსტიტუციის მე-14 მუხლიდან გამომდინარე, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია...“. მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია“. 22-ე მუხლის შესაბამისად, ყველას აქვს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე „თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება“ (პ.1.); ყველას შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში (პ.2.). როგორც ვხედავთ, ადამიანის თავისუფლება კონსტიტუციას მოხსენიებული აქვს განსხვავებულ კონტექსტში. ნიშნავს, თუ არა ეს, რომ საქართველოს კონსტიტუცია „ადამიანის თავისუფლებას“ განსხვავებული შინაარსით განმარტავს?

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ხაზგასმით მიუთითებს თავისუფლების განუსხვისებელ ხასიათზე, როდესაც ადგენს, რომ ადამიანის თავისუფლება არ შეიძლება იყოს სახელმწიფოსაგან ოქტროირებული, ანუ სახელმწიფო ნებაზე დამოკიდებული. ამავე დროს, ადამიანის თავისუფლება არ უნდა გავიგოთ მხოლოდ ნეგატიური მნიშვნელობით, როგორც „თავისუფლება სახელმწიფოსაგან“. სახელმწიფოს არა მარტო ეკრძალება ადამიანის თავისუფლების სფეროში თვითნებური ჩარევა, არამედ, ასევე, აკისრია ვალდებულება, დაიცვას ინდივიდის თავისუფლება სხვა, გარეშე სუბიექტების ხელყოფისაგან.

ადამიანის თავისუფლების ცნების თანამედროვე, საყოველთაოდ დამკვიდრებულ შინაარსს უფრო შეესაბამება კონსტიტუციის მე-18 მუხლი, რომელიც მას განიხილავს თავისუფლების აღკვეთის ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის

კონტექსტში. როგორც აღვნიშნეთ, ადამიანის თავისუფლების ცნება, ისტორიულად, სწორედ ამ მნიშვნელობით დამკვიდრდა დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებში.

## II. ჩარევის ფარგლები

ადამიანის თავისუფლების სფეროში ნებისმიერი ჩარევა დაშვებულია მხოლოდ კანონის საფუძველზე და საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. პიროვნების თავისუფლება შესაძლებელია შეზღუდოს მხოლოდ სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილებით. თავისუფლების შეზღუდვის საკითხი მხოლოდ სასამართლოს საქმეა და მასზე არ ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოს ზედამხედველობა (თუ საკითხი არ ეხება კონსტიტუციურ სამართალს).

თავისუფლება არ არის და არ შეიძლება იყოს აბსოლუტური. ადამიანის თავისუფლების კონსტიტუციური ცნება მოიცავს მხოლოდ ფიზიკური მოქმედების თავისუფლებას და არ ნიშნავს თავისუფლებას ყოველგვარი სახელმწიფო იძულებისაგან.

თავისუფლების სფეროში ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მკაფიოდაა განსაზღვრული ამ ჩარევის მიზანი. ჩარევის მიზანი უნდა იყოს ლეგიტიმური. მაგალითად, ფსიქიკურად დაავადებული პირის იზოლაცია სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებაში ზღუდავს თავისუფლებას, მაგრამ მართლზომიერია.

კონსტიტუცია მკაფიოდ არ განსაზღვრავს თავისუფლების დაცვის სფეროს. ის საკითხი, დარღვეულია თუ არა თავისუფლების კონსტიტუციით დაცული სფერო, უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური თავისუფლებების გათვალისწინებით და კონსტიტუციური მართლწესრიგის საფუძველზე. კონსტიტუცია, რომელიც იცავს ინდივიდის პირად ავტონომიას დეტალურად არ არეგულირებს თავისუფლების ფარგლებს. რაც შეეხება თავისუფლების შეზღუდვას, კონსტიტუცია მკაცრად აწესრიგებს მისი გამოყენების ფარგლებს.

პირის დაკავება თავისუფლების შეზღუდვის ყველაზე მკაცრი ფორმაა. დაკავების ხანგრძლივობა უნდა ითვალისწინებდეს მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმეს. დასაშვებად არ მიიჩნევა, მაგალითად, წინასწარი დაკავება იმაზე უფრო მეტი ვადით, რომელსაც პირს სავარაუდოდ მიუსჯიან. დაუშვებელია პირის წინასწარი დაკავება იმ შემთხვევაში, თუ გარკვეულია, რომ მას სასჯელის სახით არ დაეკისრება თავისუფლების აღკვეთა. თუ პირი წინასწარ პატიმრობაში იმყოფება, სასამართლო პროცესი მაქსიმალურად დაჩქარებულად უნდა წარიმართოს. წინასწარი პატიმრობის ვადაზე ასევე ვრცელდება თანზომიერების პრინციპის მოქმედება.<sup>1</sup>

პიროვნების თავისუფლების სფეროში ჩარევის ერთ-ერთი ფორმაა ჩხრეკაც. მხოლოდ მოკლევადიანი დაკავება (მაგალითად, პიროვნების დადგენის მიზნით, ან საგზაო კონტროლის დროს) არ ჩაითვლება თავისუფლების სფეროში ჩარევად.<sup>2</sup> კონსტიტუციით დადგენილი მიმოსვლის თავისუფლების რეალიზაციისას უნდა გაეთვალისწინოთ მესამე პირის უფლებები ან ქცევის საყოველთაო წესები, რომლებიც ეხებიან არა ამ უფლებას როგორც ასეთს, არამედ — მისი განხორციელების ფორმებსა და წესებს (მაგალითად, დასაშვებია, რომ მიმოსვლა შეიზღუდოს კერძო საკუთრებაში

<sup>1</sup> BVerfGE, 20, 45.

<sup>2</sup> Von Münch/Kunig (Hrsg.), Grundgesetzkommentar, Band 1, Art. 2. Rdn. 78.

მყოფ მიწის ნაკვეთზე; გადაადგილების შესაძლებლობებს გარკვეულწილად ზღუდავს მოძრაობის წესები და სხვ). ამ სახის ამკრძალავი ნორმები (მათი მიზნიდან გამომდინარე) არ ერევა ადამიანის თავისუფლების კონსტიტუციით დაცულ სფეროში.

უვალო თავისუფლების აღკვეთა გამართლებულია იმდენად, რამდენადაც იგი გათვალისწინებულია ისეთი დანაშაულისათვის, რომელიც ხელყოფს უზენაეს და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეებს. ამავე დროს, მსჯავრდებულს უნდა მიეცეს თავისუფლების ხელახლა მოპოვების შესაძლებლობა. მსჯავრდებული პირი არ უნდა დარჩეს მხოლოდ შეწყალების იმედად. ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების განუსხვივებელი უფლებიდან გამომდინარე, კანონი უნდა ადგენდეს უვალო თავისუფლების აღკვეთისაგან განთავისუფლების პროცესულურ წესებსაც.<sup>1</sup>

ფორმალურად, ადამიანის თავისუფლების სფეროში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე. მატერიალური თვალსაზრისით, პირის თავისუფლების შეზღუდვა უნდა ითვალისწინებდეს თანაზომიერების პრინციპს.

## თანასწორობა

### 1. უმსავალი

კანონის წინაშე თანასწორობა მართლწესრიგის ფუძემდებლური პრინციპია. თანასწორობა ხშირად განიხილება როგორც სამართლის იდეის განუყოფელი ნაწილი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების პრაქტიკაში იგი სამართლის ზემოზიტიური პრინციპის მნიშვნელობითაც გამოიყენება.<sup>2</sup> „თანასწორობა ყოველთვის არის აბსტრაქცია არსებული უთანასწორობიდან“.<sup>3</sup> სამყაროში არ არსებობს ორი, აბსოლუტურად იდენტური მოვლენა. საზოგადოება ასევე ყალიბდება განსხვავებული ადამიანებისა და განსხვავებული ურთიერთობებისაგან, რომლებიც მხოლოდ გარკვეული ნიშნით შეიძლება შევადაროთ ერთმანეთს. სამართლის ნორმა, როგორც ქცევის ზოგადი წესი, განსაზღვრულ ურთიერთობებს არეგულირებს თანასწორად და, ამავე დროს, უთანასწოროდ. სამართალი, მთლიანობაში, არის დიფერენციაცია. კანონი თანასწორ იურიდიულ შედეგებს ადგენს მის მიერ რეგულირებული განსხვავებული და უთანასწორო ურთიერთობებისათვის. კანონი „ზოგადია“ და, მაშასადამე, ყველა უთანასწორო ურთიერთობა მან თანასწორად უნდა განიხილოს.<sup>4</sup>

თანასწორობის პრინციპი მოითხოვს, რომ პირი ნორმის სხვა ადრესატთან მიმართებით უთანასწოროდ შეიძლება იქნეს განხილული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებული განსხვავება იძლევა ამ უთანასწორობის მართლზომიერების დასაბუთების საშუალებას.<sup>5</sup>

თანასწორობა სამართლიანობის ფუნდამენტური მოთხოვნაა. ამავე დროს, თანასწორობა დამოუკიდებლად არ აყალიბებს და არც ამოწურავს სამართლიანობის მასშტაბს. იზოლირებულად განხილული თანასწორობა სემანტიკურად არაფრისმთქმელი, ში-

<sup>1</sup> BVerfGE, 45, 187.; 72, 105.

<sup>2</sup> BVerfGE, 1, 208.

<sup>3</sup> Radbruch, Rechtsphilosophie, 8. Aufl., 1973, S. 122.

<sup>4</sup> იხ. Grundgesetz, Kommentar, Hrsg. von Michael Saxes, München, 1996, S. 185.

<sup>5</sup> BVerfGE, 84, 133 ff.

ნაარსისაგან დაცლილი პრინციპია. თანასწორობის ნორმატიული შინაარსი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კონკრეტული ურთიერთობიდან გამომდინარე. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს, თუ რამდენად მართლზომიერია განსხვავებული ადამიანების თანასწორად ან უთანასწოროდ განხილვა, რამდენად და რა ფარგლებშია დასაშვები „სამართლიანი“ დიფერენციაცია. თანასწორობის შინაარსს არ განსაზღვრავს პრინციპი „ითოეულს თავისი“ ან „ითოეულს თანასწორად“ – ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკის შესასვლელში გაკრული იყო ლოზუნგი: „ითოეულს თავისი“...

## II. იურიდიული და ფაქტობრივი თანასწორობა

კანონის წინაშე იურიდიული თანასწორობა არ ნიშნავს ფაქტობრივ თანასწორობას. არსებული ფაქტობრივი უთანასწორობების დაძლევა მოითხოვს განაწილების პროცესში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას. ამ თვალსაზრისით, თანასწორობა შეიძლება განვიხილოთ როგორც სახელმწიფოს მიზანი.

სახელმწიფო ცდილობს, რომ რამდენადმე გაანეიტრალოს ფაქტობრივი უთანასწორობა. ამავე დროს, კანონის წინაშე თანასწორობის კონსტიტუციური ნორმა არ ავალდებულებს სახელმწიფოს, დაამკვიდროს ფაქტობრივი თანასწორობა. კონსტიტუცია განამტკიცებს მხოლოდ იურიდიული თანასწორობის უფლებას. სახელმწიფოს მიზანი არ შეიძლება იყოს არსებულ ფაქტობრივ განსხვავებათა ტოტალური გათანაბრება. ადამიანთა ფაქტობრივი თანასწორობა უტოპიაა, რომელიც არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს გონიერული მიზანი. არსებული ბუნებრივი უთანასწორობების დაძლევა არ არის თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქცია.<sup>1</sup> უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საზოგადოებაში იმთავითვე, წინასწარ მოცემულია თავისუფლება და უთანასწორობა, და არა თანასწორობა და არათავისუფლება.<sup>2</sup>

## III. სუბიექტი

კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, თანასწორობის სუბიექტია „ყველა“ ადამიანი, როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხოელი. თანასწორობა, როგორც კონსტიტუციური პრინციპი, მოქმედებს სამართლის ყველა დარგში.

კერძო სამართლის იურიდიული პირი არის მე-14 მუხლის სუბიექტი. თანასწორობის პრინციპი არ მოქმედებს საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ, თუ ისინი ახორციელებენ საჯარო ფუნქციებს.<sup>3</sup> ასევე, სადავოა თანასწორობის პრინციპის მოქმედება კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართ, თუ ისინი ახორციელებენ საჯარო ფუნქციებს (სახელმწიფო ორგანოთა თხოვნით ან დავალებით).

კონსტიტუციის მე-14 მუხლი არ ეხება უცხოელების განსაკუთრებულ სტატუსს. უცხოელებისათვის დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი შეზღუდვები არ ეწინააღმდეგება თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს. თანასწორობის კონსტიტუციური ნორმიდან გამომდინარეობს, რომ არ შეიძლება უფრო მაღალი გადასახადი დაუწესო უცხოელს ან უცხოელთან შედარებით აშკარად უთანასწორო მდგომარეობა-

<sup>1</sup> Mangold/Klein/Starck, Grundgesetz, Bd. 1, Art. 3. Rdn. 4.

<sup>2</sup> Ipsen, J., Staatsrecht II. Grundrechte, 7., überarbeitete Auflage, 2004. Rdn. 750.

<sup>3</sup> BVerfGE, 45, 78.



ში ჩააყენო საკუთარი ქვეყნის მოქალაქე. სასამართლო პროცესზე უცხოელი სარგებლობს საქართველოს მოქალაქის თანასწორი უფლებებით. ეს უფლება უშუალოდ არ გამოდინარეობს კონსტიტუციის მე-14 მუხლიდან, მაგრამ განმტკიცებულია ე. წ. პროცესუალურ ძირითად უფლებებში. კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ სამართლებრივი დაცვა არ უნდა შეიზღუდოს საქართველოს სახელმწიფო ენის არცოდნის გამო. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი.

თანასწორობის პრინციპს უკუძალა არა აქვს. თუ კანონი იურიდიულ ძალაში შევიდა კონსტიტუციამდე, მისი კონსტიტუციურობა არ შეიძლება შემოწმდეს თანასწორობის პრინციპთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

თანასწორობის პრინციპი უშუალოდ არ მოქმედებს მესამე პირების მიმართ. ამავე დროს, თანასწორობის პრინციპი მესამე პირების მიმართ მოქმედებს გაშუალებულიად, განსაკუთრებით შრომის სამართალში, და, ცალკეულ შემთხვევებში – სამოქალაქო სამართალში.

#### IV. დაცვის სფერო

კონსტიტუციის მე-14 მუხლის მოქმედება რომელიმე კონკრეტული სფეროთი არ შემოიფარგლება – იგი არსებითად მოიცავს ყველა ძირითად უფლებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი „კანონში“ გულისხმობს კანონს არა ფორმალური, არამედ მატერიალური გაგებით – როგორც ქვეყნის ზოგადი წესის შემცველ ნორმას, რომელიც მიმართულია სუბიექტთა განუსაზღვრელი წრისაკენ. მაშასადამე, კონსტიტუციით დადგენილია თანასწორობა არ ამართო პარლამენტის მიერ მიღებული კანონის, არამედ სახელმწიფოში მოქმედი ყველა ნორმის წინაშე.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ადგენს თანასწორობის საყოველთაო პრინციპს (როგორც ეს საქართველოს კონსტიტუციითა კათვალისწინებული). ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი ერთდროულად დისკრიმინაციას მასში ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით და მოქმედებს მხოლოდ კონვენციაში დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ. კონვენციის მე-14 მუხლი ადგენს იმ კრიტერიუმებს, რომელთაც სახელმწიფო ვერ დაუკავშირებს განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს.

თანასწორობის ზოგად პრინციპს ადგენს კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის (2000 წ. 4 ნომერი) პირველი მუხლი, რომლის თანახმადაც, კანონიერი უფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განსაკუთრებით სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონების, დაბადების ან სხვა სტატუსის მიხედვით. ამავე მუხლის მეორე აბზაცის მიხედვით, არავინ არ შეიძლება იყოს დისკრიმინირებული ზემოაღნიშნული ნიშნების საფუძველზე.

კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმი არ არის აქცესორული. ეს ნიშნავს, რომ მისი მოქმედება, კონვენციის მე-14 მუხლისაგან განსხვავებით, ვრცელდება არა მარტო კონვენციით დადგენილ უფლებებსა და თავისუფლებებზე, არამედ ეროვნული კანონმდებლობით ან საერთაშორისო სამართლით განმტკიცებულ ყველა უფლე-

ბაზეც.<sup>1</sup> აღნიშნული ოქმი კრძალავს დისკრიმინაციას (discrimination) და არა განსხვავებას (კონვენციის მე-14 მუხლის ავთენტურ ინგლისურ ვარიანტში distinction). ახალი ტერმინოლოგია, არსებითად, ბევრს არაფერს ცვლის – იგი მხოლოდ სრულყოფს კონვენციის მე-14 მუხლის ენობრივ კონსტრუქციას, რომლის თანახმადაც აკრძალულია, არა განსხვავება/დიფერენციაცია, არამედ მხოლოდ თვითნებური განსხვავება ანუ დისკრიმინაცია.<sup>2</sup> მე-12 დამატებითი ოქმი იმეორებს კონვენციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილ ნიშნებს, რომლებიც ასევე არ არის ამომწურავად ჩამოთვლილი. კავშირი მე-12 დამატებით ოქმსა და კონვენციის მე-14 მუხლს შორის, მთლიანობაში, ცოტა გაურკვეველია. რამდენადაც მე-12 ოქმის დაცვის სფერო უფრო ფართოა, კონვენციის მე-14 მუხლი შესაძლებელია განვიხილოთ როგორც სპეციალური ნორმა.

თანასწორობის პრინციპი ზღუდავს არა მარტო აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, არამედ კანონმდებელსაც. თუმცა, კონსტიტუციის მე-14 მუხლის დებულება, რომ „ყველა ადამიანი... კანონის წინაშე თანასწორია...“, ერთი შეხედვით, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს თანასწორობის პრინციპი მხოლოდ სამართლის შეფარდების პროცესში მოქმედებს. კანონმდებლის მოქმედების თავისუფლების ფარგლების დადგენა საკმაოდ პრობლემურია. იგი შეიძლება განისაზღვროს არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტული ურთიერთობების თავისებურებათა გათვალისწინებით.

თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ ორი ან მეტი ურთიერთობა შეიძლება განვიხილოთ თანასწორად ან უთანასწოროდ. ამასთანავე, ეს ურთიერთობები უნდა იყოს მსგავსი და უნდა იძლეოდეს შედარების საშუალებას. ერთმანეთს შეიძლება შევადაროთ მხოლოდ მსგავსი ურთიერთობები. აშშ უზენაესი სასამართლოს განმარტებით, თანასწორად შეიძლება იქნენ განხილული ის ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან მსგავს ვითარებაში („similarly situated“).<sup>3</sup>

იდენტური ურთიერთობების უთანასწორო განხილვა ისეთივე გამორიცხვულია. არსებითად უთანასწორო თვითნებურად არ უნდა იყოს განხილული როგორც თანასწორი, ისევე როგორც არსებითად თანასწორი. არ შეიძლება ცოც განხილული როგორც უთანასწორო.<sup>4</sup>

თანასწორობის პრინციპი კანონმდებელს არ ავალდებულებს, რომ თანასწორი ყველა შემთხვევაში განვიხილოთ თანასწორად, ზოლო უთანასწორო – უთანასწოროდ. თანასწორობის პრინციპი დარღვეულია იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლის მიერ განხორციელებულ დიფერენციაციას არა აქვს გონივრული, საგანთა ბუნებიდან ან სხვა პრინციპიდან გამომდინარე საფუძველი, ანუ როდესაც საკანონმდებლო რეგულირება შესაძლებელია დახასიათდეს როგორც თვითნებური.<sup>5</sup> აშშ-ის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, უთანასწორად განხილვა უნდა ეფუძნებოდეს გონივრულ

<sup>1</sup> Peters, A., Einführung in die Europäische Menschenrechtskonvention. Mit rechtsvergleichenden Bezügen zum deutschen Grundgesetz, München, 2003; Grabenwarter, Chr., Europäische Menschenrechtskonvention, 2003.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ციტ.: Currie, D. P., Die Verfassung der Vereinigten Staaten von Amerika, 1988, Frankfurt am Main, S. 53.

<sup>4</sup> BVerfGE 4, 144.

<sup>5</sup> BVerfGE 50, 177.

ბაზის („rational basis“).<sup>1</sup> სახელმწიფოს არ შეუძლია ამ შემთხვევაში იმოქმედოს თვითნებურად („arbitrary“).<sup>2</sup>

დიფერენციაციის კრიტერიუმთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ ნორმის ადრესატების ორი ჯგუფი უნდა იძლეოდეს შედარების საშუალებას. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა გაზეთ Sunday Times-თან დაკავშირებული საქმე. Sunday Times-ს აკრძალა სტატიის გამოქვეყნება მიმდინარე სასამართლო პროცესის შესახებ. Sunday Times აკრძალვის არამართლზომიერებას ასაბუთებდა იმ არგუმენტით, რომ საპარლამენტო დებატებში დასაშვები იყო დისკუსია მიმდინარე სასამართლო პროცესის შესახებ და ეს დებატები ასევე ქვეყნდებოდა. გაზეთი მიიჩნევდა, რომ პრესა და პარლამენტი თანასწორად უნდა ყოფილიყო განხილული. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა ეს არგუმენტი. სასამართლოს აზრით, პრესა და პარლამენტი არ არიან თანაბარ ვითარებაში, რამდენადაც მათი უფლებები და მოვალეობები ერთმანეთისაგან განსხვავდება „არსებითად და მთლიანად“. პრესა არ არის სახელმწიფო ორგანო და მას ასევე არ გააჩნია კანონშემოქმედების უფლებამოსილება.<sup>3</sup>

თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი მოქმედებს მხოლოდ მსგავსი ფაქტობრივი ურთიერთობების მიმართ, რომელთა შედარებაც უნდა მოხდეს დიფერენცირების განსაზღვრული კრიტერიუმის საფუძველზე. თუ, მაგალითად, მატერიალურად უზრუნველყოფილი და ნაკლებად უზრუნველყოფილი პირების ერთმანეთთან შედარების კრიტერიუმად ავიღებთ „პიროვნებას“, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ეს პირები თანასწორად უნდა განვიხილოთ და, პირიქით, თუ შედარება განხორციელდება „ქონების“ კრიტერიუმის მიხედვით, უნდა დაეუშვათ ამ პირების უთანასწორად განხილვის შესაძლებლობა.<sup>4</sup>

თანასწორობის უფლება დარღვეულია, როდესაც ნორმის ადრესატების ერთი ჯგუფი, სხვა ჯგუფთან შედარებით, განსხვავებულად განიხილება, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფებს შორის არსებული განსხვავება ვერ ამართლებს დადგენილ უთანასწორობას. საკანონმდებლო რეგულირების პროცესში კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს თანაზომიერების პრინციპი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეხედულებით, თანასწორობის დარღვევა ხდება მაშინ, როდესაც ა) დიფერენცირებულად განიხილება ერთნაირი შემთხვევები, გონივრული და ობიექტური საფუძვლების გარეშე და ბ) არ არის დაცული თანაზომიერება მიზანსა და მიზნის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებას შორის.

თანასწორობის პრინციპი მოითხოვს, რომ ერთმანეთს უნდა შეეუდაროთ კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობები. ეს ურთიერთობები, ცხადია, ვერ იქნება აბსოლუტურად მსგავსი, მათ ექნებათ მხოლოდ ცალკეული მსგავსი ნიშნები. კანონმდებელი დამოუკიდებლად განსაზღვრავს ამ მსგავსი ნიშნებიდან რომელი განიხილოს თანასწორად ან უთანასწორად.

<sup>1</sup> Currie, D., Die Verfassung der Vereinigten Staaten von Amerika, S.54.

<sup>2</sup> Massachusetts board of Retirement v. Mungia, 427 (U.S. 307, 1976, ციტ.: Currie, D., Die Verfassung der Vereinigten Staaten von Amerika, S.54.

<sup>3</sup> სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Sandy Times v.UK), (1976). (26/11/1991)

<sup>4</sup> Von Münch/Kunig (Hrsg.), Grundgesetzkommentar, Art. 3. Rdn. 16a.

დიფერენცირების კრიტერიუმის შერჩევა უნდა მოხდეს არა ლოგიკური აზრობრივი ოპერაციის, არამედ ღირებულებითი შეფასების გზით. საერთო და განმასხვავებელი ნიშნების ერთმანეთთან შედარება მოითხოვს შეფასებას.<sup>1</sup> დიფერენციაციის კრიტერიუმის შერჩევას უნდა გავითვალისწინოთ ის მიზანი, რომლის მიღწევასაც ვესწრავით ურთიერთობათა უთანასწოროდ განხილვის გზით. როგორც დიფერენციაციის კრიტერიუმი, ისე დიფერენციაციის მიზანი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.<sup>2</sup>

კანონმდებლის მოქმედების თავისუფლების ფარგლებს განსაზღვრავს კონსტიტუციური მართლწესრიგი. თანასწორობის ფორმალური კრიტერიუმები განსაკუთრებით მკაცრად ბოჭავს კანონმდებელს არჩევნების თანასწორობისა და შანსების თანასწორობის თვალსაზრისით. ქალსა და მამაკაცს შორის უფლებრივი დიფერენციაცია ასევე, მოითხოვს განსაკუთრებულ დასაბუთებას.

თანასწორობის პრინციპი, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, ბოჭავს არა მარტო კანონმდებელს, არამედ აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებასაც. ამ ორგანოს საქმიანობაში თანასწორობის პრინციპი დარღვეულია იმ შემთხვევაში, როდესაც არსებითად თანასწორობის განხილულია როგორც უთანასწორო ან არსებითად უთანასწორო განხილულია როგორც თანასწორო.<sup>3</sup>

თანასწორობის პრინციპი დარღვეულია იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებელი არ ითვალისწინებს მოსაწესრიგებელი ურთიერთობისათვის დამახასიათებელ საგნობრივ კანონზომიერებებს ან საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ წარმოდგენებს სამართლიანობის შესახებ.<sup>4</sup> ამ შემთხვევაში, კანონმდებლის მოქმედების შეფასების კრიტერიუმია არა სამართლიანობის სუბიექტური იდეა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, თვითონ ძირითად უფლებებში კონკრეტიზებული ღირებულებითი გადაწყვეტილებები და კონსტიტუციის ფუნდამენტური პრინციპები. ეს უკანასკნელი ზღუდავს კანონმდებლის მოქმედების თავისუფლებას, რამდენადაც იგი თვითნებურად ვერ განსაზღვრავს, თუ რა უნდა განიხილოს „თანასწორად“ ან „უთანასწორად“. თვითნებობაში იგულისხმება, რომ დადგენილი წესი ფაქტობრივად და ერთმნიშვნელოვნად არ შეესაბამება საკანონმდებლო რეგულირების საგანს.<sup>5</sup> კანონმდებლის მოქმედება თვითნებური იქნება, თუ მიღებული გადაწყვეტილება არ გამოდინარჯობს საგანთა ბუნებიდან ან არ არსებობს სხვა საფუძველი, რომელიც გაამართლებდა კანონით დაკვირვებულ თანასწორობას ან უთანასწორობას.<sup>6</sup>

შესაძლებელია თანასწორად განხილვაც გაუმართლებელი იყოს. „გაუმართლებელი თანასწორობის“ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საქმე თლიმენოსი საბერძნეთის წინააღმდეგ. თლიმენოსი ნასამართლევი იყო, რადგან, რელიგიური მოსაზრებიდან გამომდინარე უარი განაცხადა სამხედრო ფორმის ტარებაზე. სასჯელის მოხდის შემდეგ მან განაცხადა შეიტანა სახელმწიფო სამსახურში გამოცხადებულ

<sup>1</sup> იქვე, Rdn. 17.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> BVerfGE, 4, 144.

<sup>4</sup> BVerfGE, 13, 225.

<sup>5</sup> BVerfGE, 4, 144, 155.

<sup>6</sup> BVerfGE, 40, 4.

კონკურსზე, რომელზეც იგი ნასამართლობის გამო არ დაუშვეს, ისევე როგორც სხვა გასამართლებული პირები. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თანასწორობის მოთხოვნა დარღვეულია იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირებს სახელმწიფო დიფერენცირებულად არ განიხილავს, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება. ამ შემთხვევაში მომჩივანი გათანაბრებული იყო სისხლის სამართლის სხვა დამნაშავეებთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი მათგან განსხვავდებოდა თავისი რელიგიური მრწამსით. არ იყო გათვალისწინებული იმ პირის განსაკუთრებულიობა, რომელსაც მსჯავრი დაედო მხოლოდ და მხოლოდ რწმენის თავისუფლების რეალიზაციის გამო. სასამართლომ დაადგინა, რომ თანასწორად განიხილა უნდა ემსახურებოდეს საჯარო ინტერესებს. მომჩივნის ნასამართლობა არ მიუთითებდა მის ამორალურ, ანტისაზოგადოებრივ განწყობაზე. შესაბამისად, არ არსებობდა კონკურსიდან მოხსნის ლეგიტიმური მიზანი. გარდა ამისა, მიღებული გადაწყვეტილება არ იყო თანაზომიერი, მით უფრო, რომ მომჩივანს სასჯელი უკვე მოხდლი ჰქონდა.<sup>1</sup>

ბელგიური სამართლით, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის წარმომავლობის დადგენა ოფიციალურად ხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის დედა ფორმალურად დაადასტურებდა თავის დედობას. ასეთი წესი არ მოქმედებდა ქორწინებაში დაბადებული ბავშვის მიმართ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, ეს იწვევდა ოჯახების უსამართლო დისკრიმინაციას, რამდენადაც არ არსებობდა განსხვავებული რეგულირების „საგნობრივი და გონიერული საფუძვლები“. ბელგიის კანონით, დედობის აღიარების შემდეგ ნათესაური კავშირი წარმოიშობოდა მხოლოდ ბავშვსა და დედას, მაგრამ არა ბავშვსა და ოჯახს შორის. შესაბამისად, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს მემკვიდრეობის მხოლოდ შეზღუდული უფლება ჰქონდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კანონის აღნიშნული ნორმაც ჩათვალა კონვენციის დარღვევად.<sup>2</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა ორი, შედარებით მცირერიცხოვანი პროფკავშირების (ბელგიის პოლიციის ეროვნული პროფკავშირებისა და შვედეთის მეტანქანეთა პროფკავშირების) საჩივარი. ერთ-ერთი მათგანის აზრით, ადგილი ჰქონდა გაუმართლებელ დისკრიმინაციას, რამდენადაც მხოლოდ დიდ პროფკავშირულ გაერთიანებებს შეეძლოთ გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება შრომის პირობების მომწესრიგებელი ახალი პროექტის მიმართ. მეორე პროფკავშირული ორგანიზაცია საჩივრებდა, რომ შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები იმართებოდა მხოლოდ მრავალრიცხოვან პროფკავშირულ ორგანიზაციებთან (და არა მასთან). სასამართლომ არ დაამყარა არც ერთი მოთხოვნა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო დაწესებულება თვითონ წყვეტს, თუ რომელ პროფკავშირულ ორგანიზაციასთან დაამყაროს კონტაქტი. ამ შემთხვევაში სახელმწიფო დამოუკიდებლად განსაზღვრავს, თუ რომელი პროფკავშირული ორგანიზაციაა უფრო მნიშვნელოვანი.

გერმანიის მოქალაქე, რომელსაც ერთ-ერთი ხელმძღვანელი პოსტი ეკავა იელოვას მოწმეთა ორგანიზაციაში და სამუშაო დროის გარკვეულ ნაწილს უთმობდა ამ ფუნქციის შესრულებას, მიიჩნევდა, რომ დისკრიმინირებული იყო გერმანიის სახელმწიფო

<sup>1</sup> ოლიმენოსი საბერძნეთის წინააღმდეგ (*Thlimmenos v. Greece*), 2000 წლის 6 აპრილი.

<sup>2</sup> GH 31, 1979, S.454.

ორგანოების მხრიდან. იგი გაწვეული იყო ალტერნატიულ სამსახურში, მაგრამ მოითხოვდა იქიდან განთავისუფლებასაც (პროტესტანტი და კათოლიკე მღვდელთმსახურების მსგავსად). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი. სასამართლომ დაადგინა, რომ გერმანული კანონით გათვალისწინებული განსხვავება ეხება საეკლესიო ფუნქციებს და არა შესაბამისი პირების რელიგიას. გარდა ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანი მხოლოდ ნაწილობრივ იყო დაკავებული რელიგიური საქმიანობით და ა.¹ ფუნქციის შესრულება მას შეეძლო ალტერნატიული სამხედრო სამსახურის პერიოდ ზღაპრად.¹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, სამხედრო მოსამსახურეების მიერ დისციპლინური სახელეციის მოხდის განსხვავებული წესი ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, სამხედრო დისციპლინის დაცვას. ამ მიზნიდან გამომდინარე, საესეებით დასაშვებია სამხედრო ჩინის მიხედვით განხორციელებული ღიფერენციაცია. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სამხედრო მოსამსახურეთა თავისუფლება უფრო მკაცრად შეიძლება შეზღუდოს, ვიდრე სამოქალაქო პირებისა. აზრის გამოთქმის თავისუფლება, ცხადია, სამხედრო მოსამსახურეებსაც აქვთ ამავე დროს, წარმოუდგენელია, რომ არმიში არ აიკრძალოს პროპაგანდა, რომელიც საფრთხეს უქმნის სამხედრო დისციპლინას.² ნებისმიერი უთანასწორობისას დაცული უნდა იყოს თანაზომიერების პრინციპი. უთანასწორო რეგულირება არ უნდა იწვევდეს ზღვარგადასულ ნეგატიურ შედეგებს — იგი გონივრულად უნდა შეესაბამებოდეს დასახულ მიზანს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა ბელგიაში ენობრივ უმცირესობებთან დაკავშირებული საქმე. ბელგიაში მოქმედი კანონით, პოლანდიურენოვან ტერიტორიაზე მცხოვრებ ფრანკოფონ მშობლებს არ შეეძლოთ შეიღებები გაეგზავნათ ფრანგულენოვან სკოლებში (ბრიუსელის მოსაზღვრე კომუნებში), მაშინ როდესაც პოლანდიურენოვანი სკოლები ბავშვებს იღებდნენ მშობლების საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად. სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი განსხვავებული წესი არღვევდა კონვენციის მე-14 მუხლს პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან ერთად. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მოსაზღვრე კომუნების დისკრიმინაცია განხორციელდა არა ადმინისტრაციულ ან ფინანსურ საფუძველზე (რაც საესებით დასაშვებია), არამედ მხოლოდ ენობრივი ნიშნით. ასეთი დისკრიმინაცია სასამართლომ არ ჩათვალა თანაზომიერად, რამდენადაც ბელგიის პოლანდიურენოვან ტერიტორიაზე არ იყო ფრანგულენოვანი სკოლები.

როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს კანონის კონსტიტუციურობას თანასწორობის პრინციპთან შესაბამისობის თვალსაზრისით, იგი არ არის უფლებამოსილი, რომ კანონმდებელს სამართლიანობის საკუთარი მასშტაბი უკარნახოს.³ საკონსტიტუციო სასამართლო არ იკვლევს არის თუ არა კანონმდებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანი ან მიზანშეწონილი. საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ ამოწმებს დაიცვა თუ არა კანონმდებელმა თავისუფალი მოქმედების ის ფარგლები, რაც მას კონსტიტუციამ დაუდგინა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე.⁴ კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს ამა თუ იმ ურთიერთობისათვის

¹ E 2299/64, Jahrbuch X, 1967, 626.  
 ² GH 22, 1976, S. 221.  
 ³ BVerfGE, 12, 337.  
 ⁴ BVerfGE, 83, 395.

დამახასიათებელი კანონზომიერებები, აგრეთვე სამართლიანობის შესახებ საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებები და არა საკონსტიტუციო სასამართლოს სუბიექტური აზრი. კანონშემოქმედებით საქმიანობაში კანონმდებელი შეზღუდულია კონსტიტუციის ღირებულებითი გადაწყვეტილებებით და არა სამართლიანობის შესახებ სუბიექტური წარმოდგენებით.<sup>1</sup> ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დემოკრატიის, სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები, ძირითადი უფლებები და სხვ. თანასწორობის მასშტაბის დადგენისას კანონმდებელი ასევე შეზღუდულია თანაზომიერების პრინციპით – მის მიერ არჩეული დიფერენცირების კრიტერიუმი უნდა შეესაბამებოდეს დიფერენცირების მიზანს.<sup>2</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში 1/2/174,199, (2002 წლის 15 ოქტომბერი), მიუთითა, რომ „სასამართლო კოლეგია არ უარყოფს სხვადასხვა კატეგორიის სუბიექტთა სოციალური უზრუნველყოფის დარგში სამართლიანი განსხვავების შესაძლებლობას“. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დასავლურ პრაქტიკაშიც აღიარებულია, რომ განაწილების ასეთი სისტემა გამართლებული უნდა იყოს საგნობრივი და სამართლიანობაზე ორიენტირებული არგუმენტებით.<sup>3</sup> ამვე დროს, ცალკეული ჯგუფების უთანასწოროდ განხილვა ყოველთვის მითითებს განსაკუთრებულ ლეგიტიმაციას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმა „... არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციონალურად ერთნაირი სტატუსის მქონე პირებს (ხაზგასმა ჩვენი, გ. ზ.). კერძოდ, უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან პარლამენტის წევრები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უზენაესი საბჭოს დეპუტატებს საპენსიო უზრუნველყოფა პარლამენტის წევრებთან შედარებით ერთი წლით გადაუვადდათ. ... დაუშვებელია ერთი კატეგორიის სუბიექტების სოციალური უფლებისადმი პრინციპულად განსხვავებული მიდგომა, როცა მათთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული პენსიის გაცემა დამოკიდებული ხდება დიფერენცირებულ ვადებზე“ (ხაზგასმა ჩვენი, გ. ზ.).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში (N27/219 2003 წლის 7 ნოემბერი) აღნიშნულია, რომ „...სოციალურ, სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონმდებლის მიერ მოქალაქეთა საერთო მასიდან გარკვეული ჯგუფის გამოყოფა და მათთვის განსხვავებული, შედარებით არახელსაყრელი სამართლებრივი რეგულირების განსამდგურა განპირობებული უნდა იყოს არსებითი, გონივრული და ობიექტური მიზეზებით“. საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩლეების მოსაზრება, რომ „პირის ნების საწინააღმდეგოდ ადგილსამყოფელის გამოცვლის გამო დენილის სტატუსის ჩამორთმევა ანტიკონსტიტუციურია და ლახავს მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებას, ისარგებლოს სახელმწიფოს მფარველობითა და გარკვეული შეღავათებით როგორც დენილმა“. საკონსტიტუციო სასამართლოს შეხედულებით „კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა იმ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების თანაბრად აღიარებას და დაცვას, რომელიც იმყოფება თანაბარ პირობებში და კანონით განსაზღვრული საკითხის მიმართ აქვს ადეკვატური დამოკიდებულება. აღნიშნული პრინციპი მოიცავს ხელისუფლების საკა-

<sup>1</sup> B VerfGE 42, 64.

<sup>2</sup> Sachs, M. (Hrsg.), Grundgesetz. Kommentar, S. 191.

<sup>3</sup> B VerfGE, 38, 187.

ნონმდებლო საქმიანობის სპექტრს, რათა მოხდეს თანაბარ პირობებსა და გარემოებებში მყოფი ინდივიდებისათვის თანაბარი პრივილეგიების მინიჭება და თანაბარი პასუხისმგებლობის დაკისრება. განსხვავებული საკანონმდებლო რეგულირება, რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში არ ჩაითვლება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დარღვევად. კანონმდებელს უფლება აქვს, კანონით განსაზღვროს განსხვავებული პირობები, მაგრამ ეს განსხვავება უნდა იყოს დასაბუთებული, გონიერული და მიქანშეწონილი. ამასთან, უმრუნველყოფილი უნდა იქნეს დიფერენცირებულობის თანაბარი დონე ერთსა და იმავე პირობებში მყოფი სუბიექტებისათვის.<sup>1</sup>

მსგავსი თვალსაზრისით გ. შარტავენ თანასწორობის პრინციპს აღმოსავლეთ ევროპის კონსტიტუციური მართლმს. ჯგულების პრაქტიკაშიც. ბულგარეთის საკონსტიტუციო სასამართლომ თანასწორობის პრინციპის დარღვევად მიიჩნია კანონქვემდებარე ნორმა, რომლის საფუძველზეც ყოფილ (პარტიულ და სახელმწიფო) ფუნქციონერებს ეკრძალებოდათ საბანკო სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობა.<sup>1</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თანასწორობის პრინციპი ბოჭავს არა მარტო საკანონმდებლო ხელისუფლებას, არამედ მისი მოქმედება ერცელდება კანონქვემდებარე აქტებზეც. პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, კონსტიტუციაში ჩამოთვლილი დისკრიმინაციის ამკრძალავი ნიშნები არ არის ამომწურავი. პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ განსხვავებულ ვითარებაში მყოფ პირთა და პირთა ჯგუფის ასევე განსხვავებულად განხილვა დასაშვებია, თუ კავშირი დიფერენცირების ნიშანსა და განსხვავებულად განხილვას შორის იძლევა რაციონალური ახსნის საშუალებას და თუ სამართლებრივად განსხვავებული შედეგები ფაქტობრივად არსებული განსხვავების პროპორციულია. რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იურიდიული უთანასწორობა არსებული ფაქტობრივი განსხვავებულობის პროპორციული უნდა იყოს. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტთა განსხვავებული განხილვა არ ეწინააღმდეგება თანასწორობის პრინციპს. ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლოს შეხედულებით თანასწორობის პრინციპი დარღვეულია იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო მოხელეებს, სხვა საჯარო მოხელეებთან მიმართებით მიიჭებული აქვთ საგადასახადო შეღავათები.<sup>2</sup> რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, შრომითი ურთიერთობების ავტომატური შეწყვეტა მხოლოდ ასაკის საფუძველზე არღვევს თანასწორობის პრინციპს. რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შეხედულებით, დისკრიმინაციის ამკრძალავი ის სპეციალური ნიშნები, რაც ჩამოთვლილია თანასწორობის კონსტიტუციურ ნორმაში, არ არის ამომწურავი. შესაბამისად, თანასწორობის პრინციპი შესაძლებელია დაირღვეოს სხვა ნიშნების საფუძველზეც.<sup>3</sup>

კანონმდებლის მოქმედების თავისუფლება განსაკუთრებით ფართოა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი სუბვენციების გზით ცდილობს წაახალისოს გარკვეული ჯგუფის

<sup>1</sup> იხ: Zimmermann, A., Bürgerliche und politische Rechte in Mittel- und Osteuropa, in: Frowein, J., Marauhn, Th., Grundfragen der Verfassungsgerichtsbarkeit in Mittel- und Osteuropa, 1998, S. 97-98.

<sup>2</sup> იხ: Zimmermann, A., Bürgerliche und politische Rechte in Mittel- und Osteuropa, in: Frowein, J., Marauhn, Th., Grundfragen der Verfassungsgerichtsbarkeit in Mittel- und Osteuropa, 1998, S. 100.

<sup>3</sup> იქვე.



ეკონომიკური საქმიანობა. კანონმდებელს შეუძლია განსაზღვროს, თუ როგორ უნდა განაწილდეს კერძო პირების, ან ჯგუფებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები. ამავე დროს, კანონმდებელი შეზღუდულია თანასწორობის პრინციპით, როდესაც განსაზღვრავს განაწილების წესს ამა თუ იმ ჯგუფის წევრებს შორის. ერთ ჯგუფში განაწილების განსხვავებული წესის დადგენა მოითხოვს განსაკუთრებულ დასაბუთებას.

სუბვენციებისა და ეკონომიკური ხელშეწყობის პოლიტიკის გზით სახელმწიფო განსაზღვრავს ცალკეულ პრიორიტეტებს და აწესებს პრივილეგიებს, მათ შორის ტერიტორიული ერთეულების მიმართაც. კონსტიტუციის 31-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ – ეკონომიკური განვითარებისათვის. ეს მოთხოვნა გამომდინარეობს სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდანაც. ამ შემთხვევაში კონსტიტუცია გულისხმობს რეგიონების არა იურიდიულ, არამედ ფაქტობრივ თანასწორობას (თანაბარი სოციალური პირობების თვალსაზრისით). კონსტიტუციის 31-ე მუხლი მიმართულია არა იურიდიული, არამედ ფაქტობრივი თანასწორობის რეალიზაციისაკენ. კონსტიტუციის 31-ე მუხლი ავალდებულებს კანონმდებელს, რომ მაღალმთიან რეგიონებს დაუწესოს შეღავათები, რომელთა ფორმას და სახეებს იგი დამოუკიდებლად განსაზღვრავს [იხ. „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი (1999 წ.)]. ტერიტორიული ნიშნით დიფერენციაციის კრიტერიუმში შესაძლებელია იყოს ამა თუ იმ ტერიტორიის განსაკუთრებულობა [იხ. „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონი (1998), „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ“ კანონი (1998 წ.)].

კანონმდებლის მოქმედების თავისუფლება შეზღუდულია, როდესაც ინდივიდს, თანასწორობის ზოგად პრინციპთან ერთად, დამატებით შეუძლია დაეყრდნოს რომელიმე ძირითად უფლებას. მაგალითად, კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას“. ფაქტობრივი თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, გამართლებულია გადასახადების ისეთი სისტემა, რომელიც ითვალისწინებს პირის ოჯახურ მდგომარეობას. მრავალშვილიანი ოჯახის მქონე პირი და მარტოხელა პირი მატერიალური და ფინანსური თვალსაზრისით უთანასწორო ვითარებაში აღმოჩნდება, თუ დაბეგვრის წესი იქნება „თანასწორი“. დაბეგვრის სფეროში არსებული „უთანასწორობა“ მიზნად ისახავს სწორედ თანასწორობის ზოგადი პრინციპის რეალიზაციას.

## V. შანსების თანასწორობა

თანასწორობის პრინციპი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ გამორიცხავს დიფერენციაციას. ამავე დროს, თანასწორობის პრინციპი დარღვეული იქნება მაშინ, თუ კანონმდებელი დაადგენს დიფერენციაციას შანსების თანასწორობის თვალსაზრისით – შანსების თანასწორობა გამორიცხავს ნებისმიერ დიფერენციაციას.

გამოსაცდელი პირების, როგორც კონკურენტების, ფორმალური თანასწორობა განსაკუთრებით უნდა იყოს დაცული გამოცდების პროცესში.<sup>1</sup>გამოსაცდელისათვის

<sup>1</sup> BVerfGE 37, 342.

აუცილებელია მაქსიმალურად თანაბარ პირობებში ყოფნა. მათი ცოდნა ასევე უნდა შეფასდეს შეფასების თანაბარი კრიტერიუმების საფუძველზე. გათვალისწინებული უნდა იყოს გამოცდის შედეგების გადამოწმებისა და გადასინჯვის შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი, შეცდომის თავისებურებათა გათვალისწინებით, შეიძლება განახორციელოს როგორც გამომცდელმა, ისე სხვა პირმა. გამომცდელი, რომელიც შეცდომით გაცემულ პასუხებზე რეაგირებს სარკაზმითა და უსაგნო კრიტიკით, არღვევს შანსების თანასწორობის პრინციპს.<sup>1</sup> გამოსაცდელს აქვს უფლება მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება, თუ გამომცდელმა სათანადოდ არ განახორციელა მისთვის დაკისრებული მოვალეობა.<sup>2</sup>

შანსების თანასწორობით სარგებლობენ პოლიტიკური პარტიებიც. პოლიტიკური საქმიანობის სფეროში უზრუნველყოფილი უნდა იყოს პარტიათა შანსების თანასწორობა. თავისუფალი დემოკრატიული წესრიგის აუცილებელი პირობაა, რომ პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდეთ ხელისუფლებაში მოსვლის თანაბარი შანსი. თანასწორობის პრინციპი დაცული უნდა იყოს პარტიებისათვის სატელევიზიო საეთერო დროის გამოყოფისას, ასევე პარტიული კონკურენციის პროცესში.<sup>3</sup>

## VI. თანასწორობა გადასახადების სფეროში

თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი მოქმედებს გადასახადების სფეროშიც. ცალკეული საგადასახადო პრივილეგიები, აგრეთვე დაბეგერის შეღავათური რეჟიმი ისევე შეუთავსებელია თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპთან, როგორც არსებული (ქონებრივი) განსხვავების სრული იგნორირება.

სოციალური სახელმწიფოს პრინციპიც ამართლებს ეკონომიკურად სუსტი სუბიექტებისათვის ხელშეწყობის განსაკუთრებული პოლიტიკის გატარებას. ამავე დროს, ეს პოლიტიკა ცდილობს არსებული უთანასწორობის გამოსწორებას და არა აბსოლუტური თანასწორობის დამკვიდრებას. უშვილო პირისათვის დადგენილი განსხვავებული საგადასახადო რეჟიმი არ არღვევს თანასწორობის პრინციპს, რამდენადაც ბავშვის მოვლა ყოველთვის დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან. დიფერენცირებული გადასახადების მეშვეობით ხდება უთანასწორო პირობებში მყოფი შვილიანი და უშვილო ოჯახების ფინანსური მდგომარეობის გამოთანაბრება.

## VII. თანასწორობის პრინციპი და საარსებო მიწიშუმი

გადასახადისაგან თავისუფალი უნდა იყოს საარსებო მიწიშუმი, რომელიც აუცილებელია ადამიანისა და მისი ოჯახის (თუ ოჯახი მის კმაყოფაზეა) ღირსეული ყოფისათვის.<sup>4</sup> საარსებო მიწიშუმის დაბეგერისაგან განთავისუფლების მართლზომიერება გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა პალატამ დაადგინა არა

<sup>1</sup> BVerwGE (გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება) 55, 355. ციტ. Von Münch/Kunig (Hrsg.), Grundgesetzkommentar, S. 264.

<sup>2</sup> BGH, NJW 1983, 2241. ციტ. Von Münch/Kunig (Hrsg.), Grundgesetzkommentar, S. 264.

<sup>3</sup> BVerfGE 84, 264.

<sup>4</sup> BVerfGE, 87, 153 ff.

თანასწორობის, არამედ ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობისა და სოციალური სახელმწიფოს პრინციპის საფუძველზე.<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ იმავე სასამართლოს მეორე პალატამ ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარე.<sup>2</sup> ბავშვების სარჩენად აუცილებელი თანხის გადასახადისაგან განთავისუფლების მოთხოვნას გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო ასაბუთებს თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპის საფუძველზე. ამ შემთხვევაში ღირსების უწყობა და ოჯახისა და ბავშვის დაცვის კონსტიტუციური გარანტიები მხოლოდ დამატებით არის მოხმობილი სასამართლოს გადაწყვეტილებაში.<sup>3</sup>

კონსტიტუციური მართლმსაჯულების პრაქტიკაში განასხვავებენ ვერტიკალურ (რომელიც ითვალისწინებს დაბალი და მაღალი შემოსავლების განსხვავებულ დაბეგვრას) და ჰორიზონტალურ (რომელიც გულისხმობს თანაბარი შემოსავლების ასევე თანაბარ დაბეგვრას) საგადასახადო სამართლიანობას. გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი თანხა არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმზე ნაკლები. საარსებო მინიმუმი ხელშეუხებელია იქ, სადაც ის უკვე არსებობს და აუცილებლად უნდა შეიქმნას იქ, სადაც იგი არ არსებობს, თუნდაც მისი შემოღება დაკავშირებული იყოს სიმღიდრის ხელახლა გადანაწილებასთან.<sup>4</sup>

საარსებო მინიმუმი ისეთივე შეფარდებითი ცნებაა, როგორც „მდიდარი“ ან „ღარიბი“ და დამოკიდებულია ცხოვრების განსაზღვრულ სტილზე, კონკრეტულ ეპოქაზე, ასევე, მოხმარების ტრადიციულ დონეზე. საარსებო მინიმუმის განაგარიშების წესის შესახებ საქართველოს კანონით (1997 წ.) განსაზღვრულია, რომ „საარსებო მინიმუმი არის ერთ მოსახლეზე სამომხმარებლო საქონლის ღირებულებითი გამოხატულება, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შესაბამისად უზრუნველყოფს ადამიანის მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას“ (მ.2.). კანონის თანახმად, საარსებო მინიმუმი არის სოციალური ორიენტირი, რომელიც (სხვა მიზნებთან ერთად, გამოიყენება მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ნაწილის განსაზღვრისა და მიზნობრივი სოციალური პოლიტიკის გატარებისათვის, ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების, შემწვობებისა და სხვა სოციალური დახმარების მინიმალური ოდენობის განსაზღვრისათვის).

საარსებო მინიმუმი საკმარისი უნდა იყოს ყველა აუცილებელი მოთხოვნილების (და არა სურვილის) დასაკმაყოფილებლად. საარსებო მინიმუმი უფრო საგნობრივი მოცემულობებით გამოიხატება, ვიდრე ფულადი განზომილებით. „საგნებში“ იგულისხმება ყოფა-ცხოვრებისათვის საჭირო მატერიალური ნივთები. საარსებო მინიმუმი საკმაოდ დინამური და დროში ცვალებადი ცნებაა. თაობა, რომელიც დღემდე 2,5 გრამ ცხიმს იღებდა (მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გერმანია, გ.ხ.), დღეს სასამართლოს წინაშე აქტიურად დავობს იმაზე, მიეკუთვნება თუ არა ტელევიზორი საარსებო მინიმუმს და თუ მიეკუთვნება, რომელი – „შავ-თეთრი“, თუ „ფერადი“.<sup>5</sup> საარსებო მინიმუმის ცნება მოიცავს არა მარტო ფიზიკური არსებობისათვის საჭირო (საკვები, ტანსაცმელი და სხვ.) ნივთებს, არამედ სოციალურ-კულტურულ სასიცოცხლო მოთხ-

<sup>1</sup> BVerfGE, 82, 60.

<sup>2</sup> BVerfGE 87, 153.

<sup>3</sup> BVerfGE 82, 60 (86 f.).

<sup>4</sup> Maunz-Dürig, Grundgesetz. Kommentar, München, 2003, Art. 3, Abs.1, Rdnr 69.

<sup>5</sup> Maunz-Dürig, Grundgesetz. Kommentar, München, 2003, Art. 3, Abs.1, Rdnr 69.

ოვნილებებსაც. ტელევიზორის შემთხვევაში, მაგალითად, ეს არის მოთხოვნილება ინფორმაციაზე, კომუნიკაციაზე, გართობაზე.<sup>1</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2002 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაში (N1/1/126,129,158) აღნიშნა, რომ, საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შინაარსიდან გამომდინარე, „ყოველი სახელმწიფო ვალდებულია არსებული რესურსების ფარგლებში მოსახლეობის სოციალური უფლებების დასაცავად მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავდეს, რათა ამ უფლების დაცვის, სულ მცირე, მინიმალურად აუცილებელი დონე მაინც რომ უზრუნველყოს.“ სასამართლოს არ დაუკონკრეტებია, თუ რას გულისხმობს იგი „სოციალური უფლებების, სულ მცირე, მინიმალურად აუცილებელ დონეში“. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ საარსებო მინიმუმის ცნება არ შემოიფარგლება მარტო სოციალური უფლებებით. საარსებო მინიმუმის კატეგორია საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ადამიანის ღირსების, სიცოცხლის, თავისუფალი განვითარებისა და სხვა, არასოციალური ხასიათის უფლებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, სავსებით დასაშვებია, რომ საარსებო მინიმუმთან დაკავშირებული საკითხები გადაწყდეს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი უფლებების საფუძველზე.

გადასახადები უნდა ითვალისწინებდეს შემოსავლის ოდენობას. თანასწორობა არ გამორიცხავს გადასახადების სფეროში დიფერენცირების შესაძლებლობას. დიფერენცირება საგადასახადო კანონმდებლობაში, სხვა ფაქტორებთან ერთად, შესაძლებელია განხორციელდეს ეკონომიკის მართვის ამოცანებიდან გამომდინარე. ცხადია, ეკონომიკაც უნდა იმართებოდეს კონსტიტუციური პრინციპების დაცვით თავისუფალი კონკურენციის სფეროში საგადასახადო პოლიტიკის გზით ჩარევა დასაშვებია, თუ ამისათვის სათანადო საგნობრივი საფუძვლები არსებობს.<sup>2</sup>

გადასახადების სფეროში თანასწორობა გულისხმობს, რომ დაცული უნდა იყოს საყოველთაოობა<sup>3</sup> (უნდა მოიცავდეს მოქალაქეთა გარკვეულ წრეს); თანაბრობა<sup>4</sup> (უნდა მოიცავდეს თანაბარი სახის ურთიერთობებს, მაგალითად, შემოსავლების დონე, საზოგადოებრივი და სოციალური ფუნქცია, რჩენის ვალდებულება და სხვ.) და უნდა იყოს სათანადო<sup>5</sup> [თითოეულისათვის უნდა ადგენდეს შედარებით თანასწორ შეღავათებს ან, პირიქით (დაბეგერის პროგრესული სისტემის შემთხვევაში)].

კანონმდებელმა შეიძლება „უთანასწორო“ და დიფერენცირებული წესები დააწესოს ეკოლოგიური ან მომავალი თაობების სასიცოცხლო სივრცის დაცვის მოსაზრებიდან გამომდინარე. სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტისათვის დადგენილი დაბეგერის განსხვავებული რეჟიმი სწორედ გარემოს დაცვის მოსაზრებებს ეფუძნება.

<sup>1</sup> Maunz-Dürig, Grundgesetz. Kommentar, München, 2003, Art. 3, Abs.I, Rdnr 69.

<sup>2</sup> BVerfGE 43, 70.

<sup>3</sup> BVerfGE 19, 206.

<sup>4</sup> BVerfGE 6, 273.

<sup>5</sup> BVerfGE 8, 51.

## VIII. ქალისა და მამაკაცის თანასწორობა

თანასწორობის პრინციპი გამოირცხავს სქესის ნიშნით ნებისმიერ დისკრიმინაციას. საქართველოს კონსტიტუცია ხაზგასმით არ გამოყოფს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას („სქესი“ მოხსენიებულია დისკრიმინაციის ამკრძალავ სხვა ნიშნებთან ერთად). ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მკაცრად უდგება ქალისა და მამაკაცის ნებისმიერი უთანასწორობის გამოვლინებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, სქესის ნიშნით დადგენილი განსხვავება გამართლებულია, თუ არსებობს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საფუძველი.<sup>1</sup> აშშ-ის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ქალისა და მამაკაცის თანასწორობა უნდა ემსახურებოდეს მნიშვნელოვან მიზანს „important governmental goals“.<sup>2</sup>

დანის მოქალაქეს, Rasmussen-ს ეკვი ეპარებოდა, რომ იყო ქორწინებაში დაბადებული ქალიშვილის მამა. მან გადააცილა კანონით დადგენილ ვადას, რომლის განმავლობაშიც შეეძლო მოეთხოვა მამობის დადგენა. დანიური კანონმდებლობით, ასეთი შეზღუდვა დედაზე არ ვრცელდებოდა. დანიის სასამართლომ მომჩივანს განცხადების განხილვაზე უარი უთხრა ვადის გასვლის გამო. მომჩივნის აზრით, დარღვეული იყო კანონის წინაშე თანასწორობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა აშკარა უთანასწორობა. ამავე დროს, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს უთანასწორობა საგნობრივად გამართლებულია. მხოლოდ ბავშვის მამის მიმართ ვადის დადგენა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ უსაფრთხოებას და ბავშვის ინტერესების დაცვას (რაც უმეტეს შემთხვევაში, დედის ინტერესებს ემთხვევა).<sup>3</sup>

Hagmann-Hüsler-ი ასაჩივრებდა შვეიცარიაში მოქმედ წესს, რომლის თანახმადაც მას უნდა მიეღო მეუღლე-მამაკაცის გვარი. მომჩივანი ამ წესს დისკრიმინაციულად მიიჩნევდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ საჩივარი არ დააკმაყოფილა და მიუთითა, რომ შვეიცარიის სამართალი, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოების სამართალი, მოითხოვს, რომ ოჯახი იძლეოდეს „ადვილად იდენტიფიკაციის“ საშუალებას. ეს მოთხოვნა სავსებით ბუნებრივია, რამდენადაც ქორწინება წარმოშობს მთელ რიგ იურიდიულ შედეგებს. თანაზომიერების პრინციპს არ არღვევს წესი, რომელიც მეუღლეებს ავალდებულებს, რომ ატარონ ერთი გვარი (ამ შემთხვევაში, მეუღლე-მამაკაცის გვარი). შვეიცარიის საქორწინო სამართლის რეფორმის შემდეგ ქალებს, როგორც ცნობილია, მიეცათ ქალიშვილობის გვარის ტარების უფლება.

საქმეზე პეტროვიჩი ავსტრიის წინააღმდეგ დავის საგანი იყო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად მამას არ მისცეს ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული ფინანსური დახმარება (კერძოდ, არ აუნაზღაურეს მამისათვის დადგენილი შევებულება). პეტროვიჩი მიიჩნევდა, რომ ამ შემთხვევაში დარღვეული იყო კონვენციის მე-14

<sup>1</sup> კარლჰეინც შმიდტი გერმანიის წინააღმდეგ (*Karlheinz Schmidt v. Germany*), 1994 წლის 18 ივლისი

<sup>2</sup> Craig v. Boren, 429, U.S. 190 (1976). ციტ.: Currie, D., Die Verfassung der Vereinigten Staaten von Amerika, S. 54.

<sup>3</sup> რასმუსენი დანის წინააღმდეგ (*Rasmussen v. Denmark*), 1984 წლის 28 ნოემბერი

მუხლით განმტკიცებული თანასწორობის უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, სქესთან დაკავშირებული დიფერენციაცია უნდა მოხდეს „მკაცრი მასშტაბის“ საფუძველზე. ამავე დროს, სასამართლომ მიუთითა, რომ ამ საკითხზე კონვენციის ხელმომწერ ქვეყნებში განსხვავებული მიდგომებია. ახალია თვითონ ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული შევებულების კონცეფციაც. შესაბამისად, სახელმწიფოებს შეუძლიათ ეროვნულ კანონმდებლობაში ეს საკითხი მოაწესრიგონ თავიანთი შეხედულების შესაბამისად.<sup>1</sup>

საქმეზე ვილისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ მომჩივანი იყო ქვრივი და ჰყავდა ორი შვილი, რომლებიც იმყოფებოდნენ მისი მზრუნველობის ქვეშ. ინგლისის კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც მამას, მას არ ეკუთვნოდა არც ერთჯერადი (1000 გირვანქა ფუნტი სტერლინგის ოდენობით) და არც ყოველთვიური დახმარება (რომელიც გათვალისწინებული იყო მხოლოდ დაქვრივებული მეუღლე-ქალისათვის). აღნიშნული დახმარება გაიცემოდა სპეციალური ფონდიდან, რომელშიც შენატანებს იხდიდნენ როგორც ქალები, ისე მამაკაცები. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში დარღვეული იყო კონვენციის მე-14 მუხლი, პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან ერთად (საკუთრება), რამდენადაც უთანასწორობის ერთადერთი საფუძველი იყო მომჩივნის სქესი.<sup>2</sup>

საქმეზე ვან რაალტი ნიდერლანდების წინააღმდეგ დავა ეხებოდა საბავშვო ფონდში შენატანებს. 45 წლის ასაკს მიღწეული დაუქორწინებელი ქალები თავისუფლდებოდნენ ფონდში შესატანის გადახდისაგან. დაუქორწინებელი უშვილო მამაკაცები კი ვალდებული იყვნენ გადაეხადათ ეს შესატანი. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი წესი არღვევდა კონვენციის მე-14 მუხლს პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან ერთად. ნიდერლანდის მთავრობა მიიჩნევდა, რომ ამ ასაკის ქალებს, მამაკაცებისაგან განსხვავებით, გაცილებით მეტი ალბათობით არ უჩნდებათ შვილი. სტრასბურგის სასამართლომ არ გაიზიარა ეს არგუმენტი და აღნიშნა, რომ მამაკაცებიც ასევე შესაძლებელია იყვნენ უნაყოფო, მაშინ როდესაც ქალებს 45 წლის ასაკის მიღწევის შემდეგაც შეუძლიათ ბავშვი გააჩინონ.<sup>3</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დისკრიმინაციულად მიიჩნია დიდ ბრიტანეთში მოქმედი წესი, რომლის თანახმადაც, უცხოელ მეუღლე-ქალს (მაგრამ არა მეუღლე-მამაკაცს) ჰქონდა ინგლისში ცხოვრების ნებართვის მიღების უფლება, თუ ინგლისში იმყოფებოდა მისი (უცხოელი და არა ინგლისელი) მეუღლე. სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული წესი არღვევს თანასწორობის პრინციპს. ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობა არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის წევრი-სახელმწიფოების უპირატესი მიზანი და ნებისმიერი განსხვავება, რომელიც გამომდინარეობს სქესობრივი კუთვნილებიდან, სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული. ინგლისური მხარის მიერ მოყვანილი არგუმენტი, რომ მთავრობას ამ ფორმით სურდა შიდა სამუშაო ბაზრის დაცვა („სამუშაოს, როგორც წესი, ეძებენ უცხოელი მამაკაცები“), სასამართლომ არ გაიზიარა, როგორც „უსუსტი“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> პეტროვიჩი ავსტრიის წინააღმდეგ (*Petrovic v. Austria*), 1998 წლის 27 მარტი.

<sup>2</sup> ვილისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Willis v. The United Kingdom*), 2002 წლის 11 ივნისი

<sup>3</sup> ვან რაალტი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Van Raalte v. The Netherlands*), 1997 წლის 21 თებერვალი

<sup>4</sup> აბდულაზიზი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Abdulaziz v. The United Kingdom*), 1985 წლის

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ქალებისა და მამაკაცებისათვის დადგენილი განსხვავებული პირობები ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამართლებულად ჩათვალა უსაფრთხოების ტექნიკური საფუძვლებისა და თავისუფლების აღკვეთის შესაბამის ადგილებში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.<sup>1</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, პირად ცხოვრებაში ჩარევა და, შესაბამისად, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, როდესაც სისხლის სამართლის წესით ისჯება სრულწლოვან მამაკაცებს შორის კომოსექსუალური კავშირი, თუ იგი ორმხრივი თანხმობითა და ინტიმურად (ე. ი. არა სხვა პირების თანდასწრებით) ხდება. სასამართლომ, ამ შემთხვევაში, საჭიროდ არ მიიჩნია დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ შესაბამისი კანონი არ ითვალისწინებდა სისხლის -სამართლებრივ პასუხისმგებლობას ლესბიანობისათვის.<sup>2</sup>

ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებული ფაქტობრივი და ბიოლოგიური განსხვავება პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლომ საკმარის საფუძვლად მიიჩნია იმისათვის, რომ კონსტიტუციურად ჩათვალა ქალებისა და მამაკაცებისათვის დადგენილი განსხვავებული საპენსიო ასაკი. ამავე დროს, პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო წესი, რომლის თანახმადაც უნივერსიტეტის თანამშრომელი ქალები ვალდებული იყვნენ უფრო ადრე გასულიყვნენ პენსიაზე, ვიდრე მათი კოლეგა მამაკაცები.<sup>3</sup> მეორე მხრივ, პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს თანასწორობის პრინციპის შესაძლო შეზღუდვას, თუ იგი მიმართულია ფაქტობრივი თანასწორობის განმტკიცებისა და მიღწევისაკენ.<sup>4</sup> უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სამხედრო სამსახურში მხოლოდ მამაკაცების გაწვევა კონსტიტუციურია, რამდენადაც კანონმდებელი უფლებამოსილია გაითვალისწინოს ქალთა სქესის თავისებურებები და ასევე ისტორიული ტრადიციები, რომლის თანახმადაც, სამხედრო სამსახური მამაკაცის ფუნქციაა.<sup>5</sup>

## IX. თანასწორობა სასამართლო პროცესში

სასამართლო პროცესში მხარეებს უნდა ჰქონდეთ სამართლებრივი დაცვის თანაბარი შესაძლებლობა. სასამართლო პროცესის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანასწორობის დაცვა, ერთი მხრივ, (ფინანსურად) უზრუნველყოფილ და მეორე მხრივ, (ფინანსურად) ნაკლებად უზრუნველყოფილ მხარეებს შორის. კერძოდ, ეს გულისხმობს პროცესში ადვოკატის სავალდებულო ჩართვას, ასევე, ნაკლებად უზრუნველყოფილი მხარისათვის საპროცესო ხარჯების ანაზღაურების მიზნით გაწეულ დახმარებას. სამართლებრივი დაცვის ხარისხი არ უნდა იყოს დამოკიდებული პირის ეკონომიურ მდგომარეობაზე.<sup>6</sup> გაწეულმა საპროცესო ხარჯებმა, ასევე, არ უნდა შეუქმნან საფრთხე პირის საარსებო მინიმუმს.<sup>7</sup> როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში,

<sup>1</sup> E 831778 DR 20, 44.

<sup>2</sup> GH 45, 1983, S. 488.

<sup>3</sup> Frowein, J., Marauhn, Th. (Hrsg.), Grundfragen der Verfassungsgerichtsbarkeit in Mittel- und Osteuropa, 1998, S. 102.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> BVerfGE 50, 217.

<sup>7</sup> BVerfGE, 78, 104.

ისე კონსტიტუციური მართლმსაჯულების პრაქტიკაში დღემდე სადავოა ის საკითხი, უნდა გავრცელდეს თუ არა ეს მოთხოვნა სხვა (არასასამართლო) ორგანოებზეც.

განსაკუთრებით პრობლემატურია თანასწორობის პრინციპის მოქმედება სისხლის სამართალში. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი ნაკლებად ითვალისწინებს თანასწორობის პრინციპის მოთხოვნებს. სისხლის საპროცესო სამართალში თანასწორობის პრინციპი მოქმედებს სამართლებრივი დაცვის თანაბარი საშუალებების სახით. გარდა ამისა, თანასწორობის პრინციპი მოითხოვს, რომ ამნისტიის აქტი არ დაეფუძნოს თვითნებურ კრიტერიუმებს.<sup>1</sup>

## X. საარჩევნო თანასწორობა

არჩევნების საყოველთაოობა და თანასწორობა, რომელიც გამომდინარეობს კონსტიტუციის 28-ე მუხლიდან და კონკრეტიზებულია პარლამენტისა (მ.49) და პრეზიდენტის (მ. 69) არჩევნების პრინციპებით, გამომდინარეობს თანასწორობის ზოგადი პრინციპიდან. თითოეული ამომრჩევლის ხმას უნდა ჰქონდეს თანაბარი „წონა“. საარჩევნო სუბიექტების თანასწორობა არჩევნებში მონაწილეობის, საარჩევნო კამპანიის წარმართვისა და მანდატების გადანაწილების პროცესში გამომდინარეობს სწორედ თანასწორობის უფლებიდან, რომელიც განმტკიცებულია კონსტიტუციის მე-14 და 28-ე მუხლებით. საარჩევნო სფეროში თანასწორობის ნებისმიერი შეზღუდვა მოითხოვს განსაკუთრებულ დასაბუთებას. საარჩევნო ბარიერების შემოღება ეფუძნება საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციური ქმედუნარიანობის უზრუნველყოფას. არჩევნებში უცხოელების მონაწილეობის აკრძალვა არ ეწინააღმდეგება თანასწორობის პრინციპს, რამდენადაც „ხალხის“ (რომელიც არის სახელმწიფო ხელისუფლების წყარო) კონსტიტუციური ცნება პოლიტიკური შინაარსისაა და მოიცავს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს.

## XI. დისკრიმინაციის ნიშნები

კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილია ის ნიშნები, რომელთა საფუძველზეც დაუშვებელია ნებისმიერი დიფერენციაცია. ამასთანავე, დიფერენციაციის აკრძალვის მოთხოვნა მოქმედებს აბიეალებტურად, ანუ იგი კრძალავს ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით როგორც პრივილეგიების დადგენას, ისე დისკრიმინაციას.<sup>2</sup>

„სქესი“ მოიცავს ქალსა და მამაკაცს შორის არსებულ განსხვავებას. სქესის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ საზოგადოების პატრიარქალური სტრუქტურის დიდ ტრადიციებს (ცალკეულ სფეროებში იგი დღესაც იჩენს თავს). კონსტიტუციის მე-14 მუხლი კრძალავს განსხვავებული სამართლებრივი სტატუსის დადგენას მარტო სქესობრივი ნიშნის საფუძველზე. ქალსა და მამაკაცს შორის სქესობრივი ნიშნის მიხედვით დიფერენცირების აკრძალვა აბსოლუტურია.<sup>3</sup> ამ თვალსაზრისით, იგი არ უშვებს არანაირ გამონაკლისს.

<sup>1</sup> BVerfGE 10, 234.

<sup>2</sup> Dreier, H. (Hrsg.), Grundgesetz, Bd. I, Art. 3, Rdn. 104.

<sup>3</sup> Von Münch/Kunig (Hrsg.), Grundgesetz, Bd. 1. Art. 3. Rdn. 269.



სქესის მიხედვით დიფერენციაცია დასაშვებია მხოლოდ ობიექტური ბიოლოგიური ან ფუნქციური განსხვავებიდან გამომდინარე, კონკრეტული ურთიერთობების თავისებურებათა გათვალისწინებით.<sup>1</sup>

დღემდე სადავოა საკითხი ქალების მიმართ დაწესებული კვოტების მართლზომიერების შესახებ. ევროპული სასამართლო ქალთა კვოტებს დასაშვებად მიიჩნევს იმ წინაპირობით, რომ კონკურსში მონაწილეთა კვალიფიკაცია „თანაბარდირებული ან თითქმის თანაბარდირებულია“ (საქმე *Abrahamsson v. Anderson v. Fogelqvist*, 2000); განმცხადებელ ქალებს უპირატესობა არ უნდა მიენიჭოთ „აბსოლუტურად და უპირობოდ“ (საქმე *Kalanke v. Freie Hansestadt Bremen*, 1995); საკონკურსო განცხადება უნდა იყოს „ობიექტური შეფასების საგანი“, რომლის დროსაც ყველა პიროვნული ფაქტორი და კრიტერიუმი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს (საქმე *Marshall v. Land Nordrhein-Westfalen*, 1997), ხოლო შეფასების პროცედურა უნდა იყოს თანაზომიერი (საქმე *Abrahamsson u. Anderson v. Fogelqvist*, 2000).<sup>2</sup>

კონსტიტუციის მე-14 მუხლში გამოყენებული რელიგიის ცნება, ისევე როგორც რელიგიის პოზიტიური და ნეგატიური თავისუფლება, მოიცავს არრელიგიურ, ათეისტურ შეხედულებებსაც. რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვა არ ნიშნავს, რომ აკრძალულია რელიგიური სკოლა. ამავე დროს, განათლების დონე არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს დამოკიდებული სკოლის რელიგიურ ხასიათზე. თანამედროვე პლურალისტურ საზოგადოებაში იმდენად განსხვავებული ინტერესებია წარმოდგენილი, რომ შეუძლებელია თითოეული მათგანის გათვალისწინება. ინდივიდუალური უფლებების განხორციელება შეზღუდულია სხვა პირის უფლებით. სასკოლო განათლების პროცესში სავსებით რეალურია, რომ წარმოიშვას კოლიზია რელიგიის ნეგატიურ და პოზიტიურ თავისუფლებებს შორის. ასეთ შემთხვევებში კანონმდებელმა უნდა მონახოს გონივრული კომპრომისი რელიგიური შემწყყნარებლობის გათვალისწინებით.

საქმეზე პოფმანი ავსტრიის წინააღმდეგ ბავშვზე მზრუნველობის უფლება გამონაკლისის სახით მიენიჭა მამას, რადგან დედა იელოვას მიმდევარი იყო. ავსტრიული სასამართლოები მცირეწლოვანი ბავშვების მზრუნველობას, ჩვეულებრივ, დედას აკისრებენ, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ავსტრიის უზენაესმა სასამართლომ უპირატესობა მამას მიანიჭა. სასამართლოს აზრით, დედის რელიგიური რწმენა ბავშვის გაურთულებდა საზოგადოებაში სრულფასოვან ინტეგრაციას. გარდა ამისა, სისხლის გადასხმით მკურნალობის მიმართ მომჩივნის უარყოფით დამოკიდებულებას შეეძლო საფრთხე შეექმნა ბავშვის ჯანმრთელობისათვის. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ გადაწყვეტილება არღვევდა ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-14 და მე-8 მუხლებს. ავსტრიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ძირითადად ეფუძნებოდა დედის რელიგიურ რწმენას და არ ასაბუთებდა მამისათვის უპირატესობის მინიჭებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, ამ შემთხვევაში არ იყო გონივრული კავშირი მიზანსა (ბავშვის კეთილდღეობა) და რელიგიური ნიშნით დიფერენციაციას შორის.<sup>3</sup>

<sup>1</sup> იხ.: BVerfGE 74, 163.

<sup>2</sup> ციტ.: Peters, A., Einführung in die Europäische Menschenrechtskonvention, München, 2003.

<sup>3</sup> პოფმანი ავსტრიის წინააღმდეგ (*Hoffman v. Austria*), (1993).

საცხოვრებელი ადგილის ცნება გულისხმობს განსახლების გეოგრაფიულ ტერიტორიას. ამა თუ იმ ადგილიდან წასვლა, ისევე როგორც საცხოვრებელი ადგილის არჩევა, არ უნდა უკავშირდებოდეს რამე ნეგატიურ შედეგებს. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით თანასწორობა არ გამორიცხავს მოქალაქეობის ნიშნით დადგენილ ცალკეულ შეზღუდვებს, რამდენადაც „საცხოვრებელი ადგილი“ და „მოქალაქეობა“ არ არის იდენტური ცნებები.

რასის თავისებურებას განსაზღვრავს დაბადებით თანდაყოლილი ნიშნის მემკვიდრეობითობა. რასისადმი კუთვნილება, შეიძლება ითქვას, რომ გენეტიკურად კოდირებულია. მშობლების კულტურულ ან სოციალური ასიმილაცია ვერ შეცვლის მომავალი თაობის რასობრივ ნიშნებს. რასობრივი ნიშნები ხასიათდება უწყველობით და წინასწარ არის მოცემული. დაუშვებელია ადამიანთა დაყოფა „სრულყოფილ“ და „არასრულყოფილ“ რასებად. რასის ცნება ხშირად დაყვანილია კანის ფერზე ან სისხლზე. კონსტიტუციით გამოყვნიებული რასის ცნება ნორმატიულია და განსხვავდება რასის საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში მიღებული განმარტებისაგან. გაეროს 1966 წლის „საერთაშორისო შეთანხმება რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის დაძლევის შესახებ“ რასის ცნებაში გამოყოფს „ფერს“, „წარმოშობას“, „ეროვნულ ან ეთნიკურ კუთვნილებას“. აღნიშნული კონვენცია უშუალოდ კი არ მოქმედებს მოქალაქეობის, სასამართლოებისა და სახელმწიფო ორგანოების მიმართ, არამედ ავალდებულებს მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოებს. ამავე დროს, კონვენცია კრძალავს ნებისმიერ დისკრიმინაციას კერძო პირებს შორის ურთიერთობაში, მაგალითად, ტრანსპორტის, სასტუმროს, კაფის, თეატრისა და პარკის სარგებლობის თვალსაზრისით.

რასობრივი ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, საინტერესოა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. საკმაო ხნის მანძილზე აშშ-ის უზენაესი სასამართლო დაკავებული იყო შვეკანიანთა დისკრიმინაციის ფაქტებით. ახლა ვითარება შეიცვალა. და უზენაესი სასამართლო აქტიურად განიხილავს საკითხს, თუ რამდენად შესაბამისია თანასწორობის პრინციპს შვეკანიანებისათვის დაწესებული ცალკეული შეღავათები და პრივილეგიები. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა წესი, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო სკოლებში საერთო ადგილის 16% გამოყოფილი იყო შვეკანიანებისათვის.<sup>1</sup> ამ გადაწყვეტილების მიღებიდან ორი წლის შემდეგ აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ (სამი განსხვავებული ხმით) დაადგინა, რომ კონსტიტუციას შეესაბამებოდა წესი, რომელიც შვეკანიანებს სამუშაო ბაზარზე ანიჭებდა მთელ რივ პრივილეგიებს. უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ სფეროში კონგრესს შეეძლო გარკვეული კვოტაც კი დაედგინა.<sup>2</sup>

ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების ნიშნებს, ნაწილობრივ, მოიცავს „რასის“ ცნება. ზემოაღნიშნული ნიშნების საფუძველზე დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმით აკრძალვა არ გამორიცხავს დიფერენციაციას „უცხოელებსა“ და

<sup>1</sup> *Regenta of University of California v. Bakke*, 483 U. S. 265 (1978), ციტირებულია: Currie D., *Die Verfassung der Vereinigten Staaten von Amerika*, S. 51.

<sup>2</sup> *Fullilove v. Klutznick*, 448, U. S. 448 (1980), Currie D., ციტირებულია: *Die Verfassung der Vereinigten Staaten von Amerika*, S. 51.

„საქართველოს მოქალაქეებს“ შორის. სახელმწიფო დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავის პოლიტიკას უცხოელთა სამართლებრივი სტატუსის სფეროში.

კონსტიტუციაში გამოყენებული კანის ფერის ცნებას, არსებითად, მოიცავს რასის ცნება.

კონსტიტუციის მე-14 მუხლში გამოყენებული „ენის“ ცნება გულისხმობს მშობლიურ ენას. ამასთანავე, მშობლიურ ენას განეკუთვნება დიალექტიც. ენა პიროვნების იდენტიფიკაციის ფაქტორია. ნებისმიერ ჯგუფს თავისუფლად უნდა შეეძლოს მშობლიური ენით სარგებლობა. სახელმწიფო ენა არ არღვევს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულ თანასწორობის პრინციპს. ასევე, კონსტიტუციას საეხებით შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, ქართული ენის დადგენილ ფარგლებში ცოდნა აუცილებელია, რომ პირმა მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა. ენის ნიშნით ნებისმიერი დისკრიმინაცია განსაკუთრებით დაუშვებელია სასამართლო პროცესში.

პოლიტიკური და სხვა შეხედულებები გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებას. ეს დამოკიდებულება საჯაროდ უნდა იყოს გაცხადებული (და არ უნდა არსებობდეს მხოლოდ ინდივიდის შინაგანი განწყობის ფორმით). საკუთარი შეხედულებების საქვეყნოდ გაცხადებას არ უნდა მოჰყვეს რამე ნეგატიური შედეგი. კონსტიტუციით დაცული სფერო არ მოიცავს ისეთ შემთხვევებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის თავისუფალ დემოკრატიულ წესრიგს. დემოკრატიული მართლწესრიგის დასაცავად შესაძლებელია, მაგალითად, აიკრძალოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის საქმიანობა.

ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით დისკრიმინაცია არ გამოირიცხავს დაბეგერის პროგრესული სისტემის მართლზომიერებას.

წარმოშობის შინაარსს განსაზღვრავს „წინაპრების“ ცნება. წარმოშობის ცნება არ არის მოქალაქეობის პოლიტიკური კატეგორიის იდენტური. წარმოშობა გულისხმობს წინაპრებთან ბუნებრივ ბიოლოგიურ კავშირს. ამასთანავე, ეს კავშირი მოიცავს როგორც სამართლებრივ, ისე სოციოლოგიურ, სოციალურ და რასობრივ ასპექტებს. წარმოშობის მიხედვით პირი შეიძლება იყოს „ქართველი“, „გლეხი“, „თავადი“ და სხვ. შეილად აყვანილი თავის უფლებებში გათანაბრებულია მშობლების ბიოლოგიურ შეილთან. თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი კრძალავს კლანურ მმართველობას, რომელიც ეფუძნება პრივილეგიებს ნათესაური ნიშნით.

საქმეზე გოგუსუზი ავსტრიის წინააღმდეგ, თურქი მოქალაქე გოგუსუზი, როგორც დაქირავებული, უმუშევართა დაზღვევის ფონდში იხდიდა იმ ოდენობის შესატანებს, როგორც ავსტრიის მოქალაქე. როდესაც უმუშევარი გახდა, მას უარი ეთქვა სპეციალურ დახმარებაზე, რამდენადაც ავსტრიის მოქალაქე არ იყო. ავსტრიის მთავრობა ასაბუთებდა, რომ მას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია მხოლოდ საკუთარი მოქალაქეების წინაშე. დამატებითი არგუმენტის სახით ავსტრიის მხარე მიუთითებდა, რომ თურქეთის კანონმდებლობაც არ ითვალისწინებს უცხოელებისათვის საგანგებო დახმარების უფლებას (უმუშევრობის შემთხვევაში). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ შემთხვევაში დარღვეული იყო კონვენციის მე-14 მუხლი პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან ერთად. მართლ მოქალაქეობა არ შეიძლება იყოს დიფერენციაციის გამამართლებელი საფუძველი. ავსტრიის სახელმწიფო ორგანოებმა დიფერენცია-

ცია განახორციელეს მხოლოდ მოქალაქეობის საფუძველზე. ეს კი დისკრიმინაციულია, რამდენადაც დიფერენციაციას არ ამართლებს „ობიექტურად და გონივრულად“.<sup>1</sup>

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი დისკრიმინაციის ამკრძალავი ნიშნები ამომწურავია. სხვანაირად უდგება ამ საკითხს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. სასამართლოს აზრით, შესაძლებელია, რომ დისკრიმინაცია მოხდეს იმ ნიშნების მიხედვითაც, რომელიც არ არის შეტანილი კონვენციის მე-14 მუხლში (კერძოდ, შეზღუდული უნარიდან გამომდინარე, პროფესიული სტატუსის ან სამხედრო ინიის მიხედვით). საქმის სალგუერო და სილვა მუტა პორტუგალიის წინააღმდეგ, შინაარსი შემდეგი იყო: განქორწინებულ პორტუგალიელ მამას უარი ეთქვა შვილის მინართ მზრუნველობის უფლებაზე. თავის გადაწყვეტილებაში პორტუგალიის სასამართლო ძირითადად ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ ბავშვის (ქალიშვილი) მამა სხვა მამაკაცთან ერთად ცხოვრობდა. მომჩივანი ეყრდნობოდა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებას ოჯახურ ცხოვრებაზე. ბავშვის დედასა და მამას შორის დიფერენციაციის ნიშანს კონვენციის მე-14 მუხლი უშუალოდ არ ითვალისწინებდა. იგი გამომდინარეობდა სხვა, პიროვნული კრიტერიუმებიდან, კერძოდ, მომჩივნის სექსუალური ორიენტაციიდან. პორტუგალიის სასამართლოს ლეგიტიმური მიზანი იყო ბავშვის ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობდა სათანადო კავშირი მიზანსა და საშუალებას შორის. კერძოდ, არ ჩანდა ის ზიანი, რომელიც ბავშვისთვის შეეძლო მოეტანა მამასთან ცხოვრებას.<sup>2</sup>

<sup>1</sup> კოვუსუზი ავსტრიის წინააღმდეგ (*Gaugusuz v. Austria*), (1996 წელი).

<sup>2</sup> სალგუერო დე სილვა მუტა პორტუგალიის წინააღმდეგ (*Salguero da Silva Mouta v. Portugal*), 1999 წლის 21 დეკემბერი

## მუხლი 15

„1. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.

2. სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ამ სასჯელის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს.“

## I. შესავალი

სიცოცხლის ძირითადი უფლება, ისევე როგორც ფიზიკური ხელშეუხებლობისა (მ. 17, პ. 2) და ადამიანის თავისუფლების (მ. 18) უფლებები, იცავს ადამიანის არსებობის იმ ბიოლოგიურ და ბუნებრივ საფუძველს, აუცილებელია ძირითადი უფლებების კატალოგში ჩამოთვლილი ადამიანის სულიერი, იდეური, კულტურული და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობათა რეალიზაციისათვის.

სიცოცხლის უფლება მიეკუთვნება უზენაეს სამართლებრივ ღირებულებებს. მიუხედავად იმისა, რომ, საკონსტიტუციო სამართლის თეორეტიკოსთა და მეცნიერთა გარკვეული ნაწილის აზრით, უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლება ადამიანის ღირსებაა, იგი წარმოდგენილია სიცოცხლის უფლების გარეშე, რომელიც ადამიანის ღირსების არსებითი ელემენტი და ყველა დანარჩენი ძირითადი უფლების „სასიცოცხლო“ წინაპირობაა. ამიტომ სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვას ადამიანის სიცოცხლე, გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის არა მარტო მე-15, არამედ მე-17 მუხლის დებულებიდანაც.

კონსტიტუცია მე-15 მუხლის პირველი პუნქტით აღიარებს სიცოცხლის ძირითად უფლებას: „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი“. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ამ სასჯელის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს.“ ეს დებულება კონსტიტუციის მიღების დროს ქვეყანაში არსებული ვითარების გამოძახილია: 1995 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლი ჯერ კიდევ ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. კონსტიტუციის აღნიშნულმა ნორმამ (მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი) ღღეს უკვე დაკარგა თავისი მნიშვნელობა, რადგან განხორციელდა მასში მითითებული მოქმედება – „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ“ საქართველოს კანონით<sup>1</sup> სიკვდილით დასჯა გაუქმებულად გამოცხადდა და მოქმედ საკანონმდებლო აქტებში შევიდა შესაბამისი ცვლილებები. საყურადღებოა, რომ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ფორმულირება უკვე აღარ იძლევა სიკვდილით დასჯის კვლავ შემოღების კონსტიტუციურ შესაძლებლობას, რადგან, ამ პუნქტის მიხედვით, სიკვდილით დასჯას შეიძლება ემოქმედა კონსტიტუციით განსაზღვრული წესით (ანუ მხოლოდ ორგანული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში) „მის სრულ გაუქმებამდე“. იმედგარეულად, გარდამავალი დებულებით (მ.107)

<sup>1</sup> 1997 წლის 11 ნოემბერი.

კონსტიტუცია ავალდებულებდა საქართველოს პარლამენტს „კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში“ მიეღო „კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანული კანონები“ (პ.3). მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ორგანული კანონი კი საქართველოს პარლამენტს არ მიუღია. პირიქით, კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადის ამოწურვამდე (1997 წლის 25 ნოემბრამდე) ორი კვირით ადრე (11 ნოემბერს) პარლამენტმა სიკვდილით დასჯა გაუქმებულად გამოაცხადა. აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, მე-15 მუხლის ფორმულირების მიხედვით, სიკვდილით დასჯის შემოღება დღეს უკვე კონსტიტუციურ-სამართლებრივად შეუძლებელია, რადგან იგი „სრულად გაუქმდა“ შესაბამისი საკანონმდებლო აქტით. ნებისმიერი აქტი, რომელიც გათვალისწინებს სიკვდილით დასჯას კონკრეტული დანაშაულისათვის, კონსტიტუციის საწინააღმდეგო და სიცოცხლის ძირითადი უფლების ხელშეუვალობის შეუსაბამო აქტი იქნება.

## II. დაცული სფერო

სიცოცხლის უფლება არის დამცავი უფლება. იგი იცავს ადამიანის სიცოცხლეს და უკრძალავს სახელმწიფოს ადამიანის მოკვლას, აგრეთვე ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რომლებსაც ამკარად ადამიანის სიკვდილი მოჰყვება.

სიცოცხლის უფლების სუბიექტია ყოველი ადამიანი. ამასთან, ქალის ორგანიზმში სპერმატოზოიდით კვერცხუჯრედის განაყოფიერების შედეგად წარმოშობილ ნაყოფს (ემბრიონს) აქვს არა მხოლოდ ღირსება, არამედ, იმედროულად, ასევე აქვს სიცოცხლის უფლება, რადგან სწორედ ამ მომენტიდან იწყება თანამიმდევრული ბიოლოგიური განვითარების პროცესი, რომლის განმავლობაშიც უკვე საკუთარი, კონკრეტული ინდივიდუალობის მქონე სიცოცხლე თანდათანობით ადამიანის სახეს იძენს. სწორედ განაყოფიერების შედეგად წარმოშობილი ემბრიონის მიმართ იწყება სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვას ადამიანის სიცოცხლე. საყურადღებოა, რომ დიდი ხნის განმავლობაში საკამათო იყო, კონკრეტულად როდის წარმოიშობოდა სახელმწიფოს ვალდებულება დაეცვა ადამიანის სიცოცხლე: კვერცხუჯრედის განაყოფიერების მომენტიდან (მიუხედავად იმისა, განაყოფიერება მიხდა ქალის ორგანიზმში თუ მის გარეთ (ე.წ. in vitro განაყოფიერება) ან ნაყოფის განვითარება გაგრძელდა საშვილოსნოს გარეთ (ექტოპიური განაყოფიერება)) თუ განაყოფიერებული კვერცხუჯრედის საშვილოსნოში გადასვლის მომენტიდან (ნიდაცია, N' dation). დღეისათვის გაბატონებული სამართლებრივი შეხედულებით, გადამწყვეტია ემბრიონის, ახალი სიცოცხლის წარმოშობის მომენტი და არა ნიდაცია. ამის საფუძველია თუნდაც ის, რომ წარმოშობილ ნაყოფს აქვს არა მარტო სიცოცხლის უფლება, არამედ იგი ფლობს ადამიანის ღირსებასაც. ახლად წარმოშობილი ემბრიონი უკვე ყველასაგან განსხვავებული, თავისებური და შემდეგ დაბადებული ადამიანის იდენტური ინდივიდია, რაც კიდევ ერთი საფუძველია იმისათვის, რომ ვალიაროთ: იგი სიცოცხლის უფლების სუბიექტია.

საყურადღებოა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის<sup>1</sup> მიხედვით, ადამიანის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა არა ჩასახვისთანავე, არამედ დაბადების მომენტიდან

<sup>1</sup> 1997 წლის 26 ივნისი; ამოქმედდა 1997 წლის 25 ნოემბრიდან.

(მ. 11, ნაწ. 1), ხოლო თანამედროვე მედიცინის მიხედვით, დაბადების მომენტად ითვლება ნაყოფის გამოყოფა დედის საშვილოსნოდან. სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ჩასახვისთანავე წარმოიშობა მემკვიდრედ ყოფნის უფლება, თუმცა „ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე“.

სიცოცხლის უფლება ადამიანის გარდაცვალებით. ადამიანის გარდაცვალების მომენტად კი ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა (მ. 11, ნაწ. 3).

სიცოცხლის უფლება სახელმწიფოს არა მარტო უკრძალავს ადამიანის მოკვლას, არამედ, იმავდროულად, ავალდებულებს მას აქტიურად დაიცავს ადამიანის სიცოცხლეს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სიცოცხლის ეფექტიანი დაცვა. ეს განსაკუთრებით ეხება სიცოცხლისათვის საშიშ ტერორისტულ აქტს – ადამიანის გატაცებას და მძევლად აყვანას. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს (პოლიციას და უშიშროების სამსახურებს) აუცილებლად უნდა ჰქონდეს უფლება გამოიყენოს ისეთივე ძალისმიერი საშუალებები (ცეცხლსასროლი იარაღი), როგორსაც იყენებს დამნაშავე. ამავე დროს, სახელმწიფომ ეს საშუალებები უნდა გამოიყენოს თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპის შესაბამისად, ანუ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა მხოლოდ ასე და არა სხვაგვარად (უფრო ნაკლებად რადიკალური საშუალებებით) არის შესაძლებელი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა. სწორედ ამ ვალდებულებიდან გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის<sup>1</sup> 114-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, „მკვლელობა დამნაშავეის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, – ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.“

უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია საკანონმდებლო აქტებით კონკრეტულად განისაზღვროს, როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო ზემოხსენებული შემთხვევების დროს. განსაზღვრული შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია და ვალდებულია გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება იმისათვის, რათა დაიცავს ადამიანის სიცოცხლეს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა ეს მიდგომა საქმეზე „მაკკანი და სხვები ვაერო-თიანებული სამეფოს წინააღმდეგ“<sup>2</sup>. ამ საქმეში დავის საგანი იყო ქალაქ გიბრალტარში დიდი ბრიტანეთის უშიშროების ორგანოების მიერ ირლანდიის რესპუბლიკური არმიის (IRA) სამი აქტივისტის მკვლელობა. სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც მიუთითებდა, თუ რა შემთხვევაში ჩათვლებოდა სიცოცხლის მოსპობა მართლზომიერ აქტად, განსაზღვრავდა არა ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობის შემთხვევებს, არამედ აღწერდა ვითარებას, როდესაც დასაშვები იქნებოდა „ძალის გამოყენება“, რომელსაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა სახელმწიფოს მიერ სიცოცხლის განზრახ მოსპობა.<sup>3</sup> სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მე-2

<sup>1</sup> 1999 წლის 22 ივლისი.

<sup>2</sup> მაკკანი და სხვები ვაერო-თიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*McCann and Others v. the United Kingdom*), 1995 წლის 27 სექტემბერი.

კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი: „მოკვლეობა არ განიხილება ამ მუხლის დარღვევად, თუ ის შედეგად მოჰყვამ ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურად აუცილებელია: ა) ნებისმიერი პირის უკანონო ძალადობისაგან დასაცავად; ბ) კანონიერი დაპატიმრებისათვის ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად; გ) ამბოხების ან აჯანყების ჩანასშობად კანონიერად განხორციელებული მოქმედებისას.“

მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოს მიერ „ძალის გამოყენება“ უნდა ყოფილიყო „უკიდურესად აუცილებელი“ იმავე პუნქტში მითითებული ერთ-ერთი ლეგიტიმური საჯარო მიზნის მისაღწევად. სასამართლომ განმარტა, რომ სწორედ სახელმწიფოს ეკისრებოდა იმის მტკიცების ტვირთი, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ძალის გამოყენება სახელმწიფოს მხრიდან იყო „უკიდურესად აუცილებელი“ და, შესაბამისად, მართლზომიერი აქტი. სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისას გამოჩენილი სიფრთხილის ხარისხი არ შეესაბამებოდა იმას, რასაც ღწე უკრავთულ საზოგადოებაში ადამიანები ელიან სამართლდაცვის ორგანოების თანამართლელთა მხრიდან და რაც სავალდებულოა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ინსტრუქციებით. მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცები ოპერაციის განხორციელებისას დარწმუნებული იყვნენ, რომ IRA-ს წევრების ლიკვიდაცია აუცილებელი იყო სხვათა სიცოცხლის დაცვისათვის, ოპერაციის ორგანიზება, მისი განხორციელების კონტროლი და, განსაკუთრებით, ზელისუფლების მიერ ჯარისკაცთათვის მიწოდებული ინფორმაცია არაადეკვატური იყო და, შესაბამისად, სახელმწიფოს ასეთი მოქმედება არღვევდა კონვენციის მე-2 მუხლს. ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა სახელმწიფოს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას სიცოცხლის ძირითადი უფლების მიმართ და აღნიშნა, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია არა მარტო თავისი მხრიდან ძალის გამოყენების შედეგებისათვის, არამედ თავად ძალის გამოყენების მართლზომიერებისათვის, ანუ თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპთან შესაბამისობისათვის.

კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც აცხადებს, რომ ადამიანის ხელშეუვალ უფლებას – სიცოცხლეს – „იციავს კანონი“, სახელმწიფოს ასევე ავალდებულებს შექმნას ისეთი კანონმდებლობა, რომელიც დანაშაულის კვალიფიკაციას მისცემს სახელმწიფოსა თუ კერძო პირების მიერ ჩადენილ მკვლელობებს. ამავე დროს, სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს ამ კანონმდებლობის რეალური განხორციელება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია მკაცრი სასჯელი ადამიანის სიცოცხლის ხელყოფისათვის<sup>1</sup>. სწორედ ეს დებულებები წარმოადგენს სიცოცხლის ძირითადი უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებას შექმნას შესაბამისი კანონმდებლობა და არა მარტო აქტიურად და ქმედითად დაიცავს ადამიანის სიცოცხლეს, არამედ მიიღოს პრევენციული ზომები ადამიანის სიცოცხლის დაცვის უზრუნველსაყოფად. უფრო მეტიც, სიცოცხლის ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, ადამიანს არა აქვს საკუთარი სიცოცხლის განკარგვის უფლება და სახელმწიფოს შეუძლია შესაბამისად ასახოს ძირითადი უფლების ეს მოთხოვნა კანონმდებლობაში. საქართველოს კანონმდებლობით, თვით მკვლელობის მცდელობა დასჯადი არ არის, ასევე არ არის დასჯადი თავად თვითმკვლელობა (რაც სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია), მაგრამ სისხლის სამართლის

<sup>1</sup> სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) მ. 108 – განზრახ მკვლელობა, მ. 109 – განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, მ. 110 – მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით, მ. 111 – განზრახ მკვლელობა უტარი, ძლიერი სულიერი აღულებების მდგომარეობაში, მ. 112 – დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა, მ. 113 – მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, მ. 114 – მკვლელობა დანაშაულის შეფარებისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, მ. 115 – თვითმკვლელობაზე მიყვანა, მ. 116 – სიცოცხლის მოსპობა აუცილებლობით.



კოდექსით დასჯადია მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით (მ. 110)<sup>1</sup> და თვითმკვლელობაზე მიყვანა (მ. 115)<sup>2</sup>. გარდა ამისა, ასევე არ არის დაშვებული პაციენტის სურვილის საფუძველზე ექიმის ან სხვა პირის მიერ პაციენტის სიკვდილის დაჩქარება (ვეთანაზია). ძირითადი უფლების ეს მოთხოვნა განმტკიცებულია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით<sup>3</sup>, რომლის 151-ე მუხლის მიხედვით, „სამედიცინო პერსონალს, აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს, ეკრძალება ვეთანაზიის განხორციელება ან ამ უკანასკნელში მონაწილეობის მიღება.“

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვეთანაზიასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ცნობილ მეცნიერ-კონსტიტუციონალისტთა შორის. ზოგიერთი ქვეყნის (მაგალითად, პოლანდიის) კანონმდებლობა, გარკვეული შეზღუდვებითა და პირობებით, დასაშვებად მიიჩნევს ადამიანის თხოვნით მისი სიკვდილის დაჩქარებას. არგუმენტები ეფუძნება ადამიანის მიერ ნების დამოუკიდებლად გამოვლენის მნიშვნელობას და მის უფლებას ღირსეულ სიკვდილზე. ეს ე.წ. „სიკვდილის თავისუფლება“ ეფუძნება მოსაზრებას, რომ სიკვდილი არის ადამიანის ბუნებრივი არსებობის შემადგენელი ნაწილი. მიუხედავად ამისა, საყურადღებოა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოთა დიდ უმრავლესობაში აღიარებულია სიცოცხლის უფლების უზენაესი ღირებულება, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა და შესაბამისი კანონმდებლობით ვეთანაზია აკრძალულია. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც აღიარებენ ადამიანის სიცოცხლის ხელშეუვალობას. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი დებულებების შინაარსი სწორედ ამ გაბატონებულ სამართლებრივ შეხედულებას წარმოადგენს და პრაქტიკულად შეუძლებელია მათი სხვაგვარად განმარტება.

ადამიანის სიცოცხლის დაცვის ვალდებულება სახელმწიფომ უნდა შეასრულოს ყოველი კონკრეტული შემთხვევის კონკრეტული გარემოებების შესაბამისად. თუ გატაცებული პირების და მძევლების სიცოცხლის გადასარჩენად სახელმწიფო იძულებულია გაათავისუფლოს მძიმე დანაშაულის ჩამდენი ტერორისტები, მან უნდა გაითვალისწინოს განთავისუფლებული ტერორისტების მომავალი პოტენციური მსხვერპლი, გარდა ამისა, ყველაფერი უნდა იღონოს ამ პირთა ხელშეწყობის დასაქველად. აღნიშნულის თვალსაჩინო დადასტურებაა 1977 წელს გერმანიაში მომხდარი შემთხვევა, როცა ტერორისტებმა გაიტაცეს გერმანიის დამსაქმებელთა გაერთიანების ფედერალური ასოციაციისა და სამრეწველო საწარმოთა ფედერალური გაერთიანების პრეზიდენტი დოქტორი შლეიერი. ტერორისტები მისი მოკვლით იმუქრებოდნენ (მოგვიანებით მათ მართლაც მოკლეს მძევალი) და სახელმწიფოსაგან მოითხოვდნენ თერთმეტი დაკავებული ტერორისტის განთავისუფლებას. ფედერალური მთავრობა არ აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნას და ცდილობდა გამტაცებლებთან მოლაპარაკებით დროის

<sup>1</sup> „მკვლელობა მსხვერპლის დაინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მოპაკდავის ძლიერი ფიზიკური ტვიდისაგან გათავისუფლების მიზნით, – ისევე თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.“

<sup>2</sup> „თვითმკვლელობაზე ან თვითმკვლელობის მცდელობაზე მიყვანა მსხვერპლისადმი მუქარით ან სასტიკი მოპყრობით ანდა მისი პატივის ან ღირსების სისტემატური დამცირებით, – ისევე თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.“

<sup>3</sup> 1997 წლის 10 დეკემბერი.

გაწელებას, იმავდროულად კი მათი ადგილსამყოფლის დადგენას. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ გატაცებულის ვაჟმა საკონსტიტუციო სასამართლოში წარადგინა სარჩელი, რომელშიც მოითხოვდა საკონსტიტუციო სასამართლოს საეციალური გადაწყვეტილებით სახელმწიფო ორგანოების დაკალდებულებას, რომ მათ გაეთავისუფლებინათ დაპატიმრებული ტერორისტები, რათა ამით გადაერჩინათ შლეიერის სიცოცხლე. საკონსტიტუციო სასამართლომ უარყო შლეიერ-უმცროსის სარჩელი. რა თქმა უნდა, არსებობდა სახელმწიფოს მოვალეობა დაეცვა მოქალაქის სიცოცხლე, მაგრამ ეს მოვალეობა სახელმწიფოს პქონდა არა მარტო შლეიერის, არამედ აგრეთვე ყველა სხვა მოქალაქის მიმართ, რომელთა სიცოცხლესაც საფრთხე შეექმნებოდა ტერორისტების განთავისუფლების შემთხვევაში. თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ სახელმწიფო ორგანოები მსგავსი კონფლიქტის შემთხვევაში, არ იყო განსაზღვრული კონსტიტუციისა და შესაბამისი კანონმდებლობის რომელიმე მუხლით<sup>1</sup>.

### III. ღაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის ქონსტიტუციური-სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მიხედვით, სიცოცხლის უფლება, ფაქტობრივად, აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლებაა. მე-15 მუხლი „ხელშეუვალად“ აცხადებს ამ უფლებას და არ მიუთითებს მისი შეზღუდვის შემთხვევებს. მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი გარკვეული პერიოდის განმავლობაში („სრულ გაუქმებამდე“) მხოლოდ სიკვდილით დასჯის არსებობის შესაძლებლობას ეხება, ეს სასჯელი კი, როგორც უკვე აღინიშნა, 1997 წლის 11 ნოემბრის კანონით გაუქმებულად გამოცხადდა. აქედან გამომდინარე, 1997 წლის 11 ნოემბრიდან საქართველოში დაუსვებელია სიცოცხლის უფლების რაიმე სახით შეზღუდვა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, არის შემთხვევები, როცა სახელმწიფო ვალდებულია და უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, ამისათვის კი შეიძლება აუცილებელი იყოს სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. აქ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია უნდა გამოვიყენოთ, რომელიც ადგენს ზემოხსენებულ კონკრეტულ შემთხვევებს და განსაზღვრავს სახელმწიფოს მოქმედების ფარგლებს (მ. 2 პ. 2). ასეთ შემთხვევებში, ანუ როცა სიცოცხლის წინააღმდეგ ასევე სიცოცხლე დგას, სახელმწიფოს შეუძლია და უნდა გადაწყვიტოს კიდევ, რომელი სიცოცხლისათვის იბრძვის იგი თავისი ძალაუფლებრივი საშუალებებით. აქედან გამომდინარე, როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფოს უფლება აქვს მოკლას დამნაშავე დანაშაულის ჩადენის მომენტში თანაზომიერების (იგივე პროპორციულობის) პრინციპის გათვალისწინებით, ანუ როცა მხოლოდ ასე და არა სხვაგვარად არის შესაძლებელი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა (მაგალითად, მძევლების აყვანის დროს). რადიკალური ზომების მიღების უფლება აქვს სახელმწიფოს იმ შემთხვევაშიც, როცა დამნაშავე პირი (პირები) შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს სამართალდაცვის ორგანოების თანამშრომლებს მისი დაკავებისას (ან, მაგალითად, სასჯელაღსრულების დაწესებულებისაგან მისი გაქცევის აღკვეთისას) და ამით სა-

<sup>1</sup> იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ტ. 46, გვ. 160 და გომდევნო.

ფრთხეს უქმნის სახელმწიფოს წარმომადგენლების ან სხვა ადამიანთა სიცოცხლეს. სახელმწიფო ასევე უფლებამოსილია გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა კონსტიტუციური უფლებამოსილება და კანონიერი საშუალება შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ მოწყობილი ბუნტისა თუ ამბოხების წინააღმდეგ, რათა უზრუნველყოს კონსტიტუციური წყობილების ურღვევობა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება და დაცვას ადამიანთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ასეთი შემთხვევების გარდა კონსტიტუციით უზრუნველყოფილი სიცოცხლის ძირითადი უფლება კანონმდებელს არ აძლევს კანონის საფუძველზე მასში ჩარევის არავითარ სხვა საშუალებას. კანონი, რომელიც სახელმწიფო ორგანოებს ადამიანის მოკვლის ნებას დართავდა იმ შემთხვევებში, როცა ეს არ არის აუცილებელი ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად და ზემოთ აღნიშნული სხვა ლეგიტიმური საჯარო მიზნის მისაღწევად, იქნებოდა კონსტიტუციის საწინააღმდეგო, რადგან იგი დაარღვევდა ადამიანის ღირსებას, სიცოცხლის უფლების ხელშეუხებლობის გარანტიას და თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპს. იმავეს მოითხოვს სახელმწიფოებისაგან კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ადამიანის სიცოცხლის უფლებით დაცულ სფეროში კანონიერი, გამართლებული ჩარევისას (ამ დებულებით განსაზღვრულ კონკრეტულ შემთხვევებში) სახელმწიფოს უფლებამოსილების განხორციელების მარეგულირებელი პრინციპი არის ის, რომ ძალის გამოყენება უნდა იყოს „უკიდურესად აუცილებელი“.

სიცოცხლის ძირითად უფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორსულობის შეწყვეტის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხში. საერთოდ, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აბორტთან დაკავშირებული პრობლემა ხშირად ქვეულა მწვავე საჯარო დისკუსიისა და პოლემიკის საგნად, რადგან იგი მოიცავს როგორც მორალურ, პოლიტიკურ, რელიგიურ და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ, ისე კონსტიტუციურ-სამართლებრივ საკითხებს. საკითხი პრობლემურია იმდენად, რამდენადაც აქ ნაყოფის სიცოცხლის ძირითადი უფლება უპირისპირდება ქალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ასევე ძირითად უფლებას. ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიამ 1978 წელს დაადგინა, რომ ნაყოფის სიცოცხლის აბსოლუტური უფლების აღიარება ეწინააღმდეგება კონვენციის საგანსა და მიზანს. კომისიის აზრით, სახელმწიფოს შეუძლია დააწესოს გარკვეული შეზღუდვები ფეხმძიმე ქალის აბორტის უფლებაზე.<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი სრულყოფილად, სიცოცხლის ძირითადი უფლების მნიშვნელობისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით, ამ ურთიერთობებს აწესრიგებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

აღნიშნული კანონის 136-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს შვილების რაოდენობა და დაბადების დრო. სახელმწიფოს პრიორიტეტული ამოცანაა ქალთა ჯანმრთელობის დაცვა აბორტების შემცირების გზით (მ. 139, პ. 1). ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია მხოლოდ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ლიცენზირებული ექიმის მიერ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი არ მიუთითებს ჩასახვის მომენტიდან სიცოცხლის უფლების არსებობაზე, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ეს მიდგომა გაბატონებულ სამართლებრივ შეხედულებას წარმოადგენს.

„ა) ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება თორმეტ კვირას;

ბ) ორსულს სამედიცინო დაწესებულებაში ჩაუტარდა წინასწარი გასაუბრება და გასაუბრებიდან ოპერაციამდე გასულია სამი დღის მოსაფიქრებელი ვადა.“ ამასთან, გასაუბრების დროს ექიმი ვალდებულია უპირატესობა მიანიჭოს ნაყოფის სიცოცხლის დაცვას და ყველანაირად შეეცადოს დაარწმუნოს დედა ნაყოფის შენარჩუნების აუცილებლობაში. არჩევანი ყველა შემთხვევაში ქალის პრეროგატივაა (მ. 139, პ. 2).

აბორტი ნებადართულია თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაშიც, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს ნაყოფის სიცოცხლის ძირითად უფლებაში ასეთი ჩარევის სამართლებრივი საფუძველი: სამედიცინო ან სოციალური ჩვენებები (მ. 140). სამედიცინო ჩვენება ნიშნავს მდგომარეობას, როცა აუცილებელია ორსულობის შეწყვეტა ქალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სერიოზული საფრთხის თავიდან ასაცილებლად; სოციალური ჩვენების მიხედვით კი ნაყოფის მშობლები ისეთ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში არიან, რომელიც შეუძლებელს ხდის შვილის ნორმალურ გაზრდას და ჯანმრთელობის უზრუნველყოფას. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში ორსულობის შეწყვეტის დამატებით სამართლებრივ საფუძვლად მიჩნეულია აგრეთვე ე.წ. ეთიკური და ევგენური ჩვენებები. ეთიკური ჩვენება ნიშნავს, რომ ორსულობა წარმოშობილია დანაშაულებრივი ჩარევის (გაუპატიურების) შედეგად, ევგენური ჩვენების დროს კი არსებობს ავადმყოფი, ფიზიკური ნაკლის მქონე ახალშობილის დაბადების საშიშროება. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში კანონმდებელმა არ გაითვალისწინა ორსულობის შეწყვეტის ეს ორი საფუძველი და მსგავსი შემთხვევების დროს უპირატესობა მიანიჭა ნაყოფის სიცოცხლეს, რაც სავსებით შეესაბამება სიცოცხლის ძირითადი უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ამავე დროს, კანონმდებელმა უკანონო აბორტისათვის დააწესა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლით<sup>1</sup>. კოდექსის 112-ე მუხლით ასევე დაწესებულია პასუხისმგებლობა დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობისათვის<sup>2</sup>. გარდა ამისა, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>3</sup> 36-ე მუხლით სახელმწიფო ვალდებულია გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება ნაყოფის სიცოცხლის დასაცავად. ამ მუხლის მიხედვით, მშობიარე ქალს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის და ნაყოფისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის შესახებ, მაგრამ სახელმწიფო ვალდებულია გაუწიოს სამედიცინო მომსახურება მშობიარეს მისი ნების საწინააღმდეგოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მომსახურება უზრუნველყოფს ცოცხალი ნაყოფის დაბადებას და იმავდროულად მშობიარის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მინიმალურ რისკს შეიცავს.

<sup>1</sup> ამ მუხლის მიხედვით, დასჯადია უკანონო აბორტი (ნაწ. 1), აგრეთვე უკანონო აბორტი, რომელიც ჩადენილია უკანონო აბორტისათვის მსჯავრდებულის მიერ, ან რამაც გამოიწვია შვილოსნობის საშუალო მოშლა ან სხვა მძიმე შედეგი (ნაწ. 2) და უკანონო აბორტი, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (ნაწ. 3).

<sup>2</sup> „დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა მშობიარობისას ან უმაღლე მშობიარობის შემდეგ, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე“.

<sup>3</sup> 2000 წლის 5 მაისი.

## 2. ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება

### მუხლი 17, პუნქტი 2

„2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან ჰატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.“

### I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სიცოცხლის ძირითადი უფლება საფუძვლად უდევს ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებას. კონკრეტულად ამ უფლების შესახებ კონსტიტუცია არაფერს ამბობს, მაგრამ, როგორც აღინიშნა, იგი გამოდინარეობს სიცოცხლის ძირითადი უფლებიდან და, გარდა ამისა, კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულია ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების ძირითადი შინაარსი, რომლის მიხედვითაც „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან ჰატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება“. ამ დებულების მიუხედავად, ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება შინაარსობრივად გაცილებით ფართო და მრავლისმომცველია, არ შემოიფარგლება მხოლოდ წამებისა და სასტიკი მოპყრობის აკრძალვით, მჭიდროდ არის დაკავშირებული სიცოცხლის ძირითად უფლებასთან და იმდენად მნიშვნელოვანი ძირითადი უფლებაა, რომ მისი განხილვა აუცილებელია სიცოცხლის უფლებასთან ერთად.

### II. დაცული სფერო

ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება არის ადამიანის უფლება საკუთარი სხეულის ჯანმრთელ მდგომარეობაზე. იგი, სიცოცხლის უფლების მსგავსად, დამკავი უფლებაა და, უპირველეს ყოვლისა, იცავს ადამიანის სხეულს ფიზიკური დაზიანებისაგან. გარდა ამისა, იგი იცავს ადამიანს ნებისმიერი სახის ზემოქმედებისაგან, რომელიც ტკივილს იწვევს და ამით უთანაბრდება ფიზიკურ დაზიანებას. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება აერცობს ადამიანის ხელშეუხებლობისა და ფიზიკური არსებობის (სიცოცხლის უფლება) უფლებას ადამიანის სხეულის ხელშეუხებლობით და ადგენს ადამიანის დაცვის ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურ საზღვარს.

როგორც აღინიშნა, მოცემული ძირითადი უფლებით ადამიანი დაცულია არა მარტო ფიზიკური, არამედ ნებისმიერი სხვა სახის, მაგალითად, ფსიქიკური ზემოქმედებისაგან. ფსიქიკური ავადმყოფობა პრაქტიკულად ყოველთვის დაკავშირებულია ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობასთან. სწორედ ამიტომ, ფიზიკური ხელშეუხებლობა ადამიანის ყოველგვარი პათოლოგიური გადაზრისა და, შესაბამისად, ფსიქიკური ავადმყოფობისაგან თავისუფლად ყოფნას მოიცავს. ადამიანის ამ ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურ მთლიანობაზე ზემოქმედების ერთ-ერთი არაფიზიკური ზემოქმედების მაგალითი შეიძლება იყოს თვითმფრინავების ხმაური, რომელიც არღვევს მშვიდ ძილს და ამით უთანაბრდება ფიზიკურ დაზიანებას. იმავდროულად, მშვიდი ძილის დარღვევამ შეიძლება ფსიქიკური მოშლილობაც გამოიწვიოს. საინტერესოა, რომ კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება, შინაარსობრივად დაკავშირებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დად-

გენილ განსაზღვრებასთან, რომლის მიხედვითაც, ჯანმრთელობა არის „ადამიანის სრულყოფილი ფიზიკური, სულიერი და სოციალური არსებობა“ და არა მარტო ავადმყოფობისა და დაზიანებებისაგან თავისუფალი ყოფნა. თუმცა, ეს განსაზღვრება ძალიან ფართოა და ძირითადი უფლებით დაცული სფეროს ფარგლებს საკმაოდ სცილდება. თავის მხრივ, ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცული სფერო გაცილებით ფართოა ჯანმრთელობის ფიზიოლოგიურ განსაზღვრებასთან შედარებით, რომლის მიხედვითაც ჯანმრთელობა ავადმყოფობისა და სისუსტის არარსებობას ნიშნავს, ძირითადი უფლებით კი დაცულია არა მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ორგანოთა ფუნქციების მოშლის, სხეულის დაზიანების ან ფსიქოპათიური დარღვევების თვალსაზრისით, არამედ ადამიანის ფიზიკური მთლიანობა ზოგადად ტკივილის მიყენების თვალსაზრისითაც.

### III. დაცულ სფეროში ჩარევა

ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში უმძიმესი ჩარევა ადამიანის წამება, არაკუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება. კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი დაუშვებლად მიიჩნევს და სახელმწიფოს უკრძალავს აღნიშნული მოქმედებების განხორციელებას. თითოეული შემთხვევა, სადაც დადგინდება პირის მიმართ არაადამიანური, სასტიკი ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან პირის წამება, უნდა ჩაითვალოს უმძიმეს, გაუმართლებელ ჩარევად პირის ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებითა და ადამიანის ღირსებით დაცულ სფეროში. აქ არ მოქმედებს კანონის საფუძველზე განხორციელებული და თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპის შესაბამისი ჩარევის არგუმენტები, რადგან სახელმწიფოს ეკრძალება ასეთი მოქმედებების განხორციელება და ამ წესიდან გამონაკლისი არ არსებობს. ადამიანი აბსოლუტურად დაცულია სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ მსგავსი მოქმედებების განხორციელებისაგან.

სახელმწიფოს მიერ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის შესაფასებლად აუცილებელია კონკრეტული კრიტერიუმების განსაზღვრა, რომლის მიხედვითაც, დადგინდება „წამების“, „არაკუმანური“ და „ღირსების შემლახველი“ (ანუ „დამამცირებელი“) მოპყრობისა და დასჯის შინაარსი. ეს განსაკუთრებით აუცილებელია იმის გამო, რომ ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიხედვით ამ კრიტერიუმებს შეიძლება სუბიექტური ხასიათი ჰქონდეს. ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიამ და შემდეგ სასამართლომ საკმაოდ მკაცრად განმარტეს ამ სიტყვების („წამება“, „არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა და დასჯა“ – კონვენციის მ. 3) მნიშვნელობა. თავდაპირველად მათ აღნიშნეს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ფასეულობას ასახავს, რომლითაც აბსოლუტურად აკრძალულია ადამიანის წამება, არაადამიანური ან ღირსების დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი, განურჩევლად საქმის გარემოებებისა და მსხვერპლის ქცევისა.<sup>1</sup> კონვენციის მე-3 მუხლის სწორედ ამ განსაკუთრებული მნიშვნელობის შესაბამისად განხორციელდა ამ მუხლის შინაარსის განმარტება, რომელსაც საფუძველად დაედო მოპყრობისა და სასჯელის

<sup>1</sup> ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ (*Labita v. Italy*), 2000 წლის 6 აპრილი.

სისასტიკის ზარისხი. აქედან გამომდინარე, 1969 წელს სახელმწიფოთა შორის მიმდინარე დავაზე<sup>1</sup> კომისიამ დაადგინა შემდეგი კრიტერიუმები:

ა) წამება – არაადამიანური ქმელობა, რომელიც მიზნად ისახავს ინფორმაციის მოპოვებას ან დანაშაულის აღიარებას, ან პირის დასჯას;

ბ) არაადამიანური მოპყრობა ან დასჯა – ისეთი მოპყრობა, რომელიც განზრახ იწვევს სასტიკ მორალურ ან ფიზიკურ ტკივილს და რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში გაუმართლებელია;

გ) დამამცირებელი მოპყრობა ან დასჯა – მოპყრობა, რომელიც განსაკუთრებით ამცირებს პირს სხვების წინაშე ან აიძულებს მას იმოქმედოს საკუთარი ნების ან სინდისის წინააღმდეგ.

რამდენიმე წლის შემდეგ, ასევე სახელმწიფოთა შორის დავის<sup>2</sup> განხილვის შედეგად კრიტერიუმები ოდნავ შეიცვალა:

ა) წამება – განზრახი არაადამიანური მოპყრობა, რომელიც იწვევს გაუსაძლის და სასტიკ ტკივილს;

ბ) არაადამიანური მოპყრობა ან დასჯა – ინტენსიური ფიზიკური ან მორალური ტკივილის მიყენება;

გ) დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი – მოპყრობა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანში შიშის, მწუხარების და დათრგუნვილობის გრძნობის აღძვრას, რამაც შეიძლება დაამციროს იგი, შელახოს მისი ღირსება და გატეხოს მისი ფიზიკური და მორალური მდგრადობა.

აღნიშნული საქმის განხილვისას ასევე დაზუსტდა, რომ, ადამიანის სქესის, ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სისასტიკის გარკვეულ დონეს, რის შედეგადაც ჩაითვლება, რომ დარღვეულია ადამიანის ფიზიკური ზელშეუხებლობის ძირითადი უფლება და მისი ღირსება. ამასთან, ტერმინი „დამამცირებელი“ არ გულისხმობს „მიუღებელს“ ან „არაკომფორტულს“. ამვე დროს, სასამართლომ განაცხადა, რომ ადამიანის დამამცირებელი და ღირსების შემლახველი შეიძლება იყოს როგორც სხვების თანდასწრებით მის მიმართ განხორციელებული ზემოაღნიშნული შინაარსის მოპყრობა, ისე სხვა პირთა დასწრების გარეშე განხორციელებული მსგავსი მოქმედებები. სასამართლო მიიჩნევს, რომ სისასტიკის მინიმალური ზღვრის შეფასება შედარებითაა და დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე, მათ შორის მოპყრობის ინტენსიურობასა და ხანგრძლივობაზე, მოპყრობით გამოწვეულ ფიზიკურ და სულიერ ტკივილსა და შედეგებზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი – პირის სქესსა, ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. გარდა ამისა, როცა სასამართლო იხილავს საკითხს – არის თუ არა მოპყრობა „დამამცირებელი“ – იგი ყოველთვის ამხვილებს ყურადღებას მოპყრობის მიზანზე, ანუ იყო თუ არა მოპყრობის მიზანი პირის დამცირება და აბუჩად აგდება. სწორედ ასეთი მოპყრობა დააფიქსირა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ვალასინასი ლიტვის წინააღმდეგ.“<sup>3</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ სასჯელადსრულების დაწესებულებაში

<sup>1</sup> დანია, საფრანგეთი, ნორვეგია, შვედეთი და ნიდერლანდები საბერძნეთის წინააღმდეგ (Denmark, France, Norway, Sweden and Netherlands v. Greece), 1969 წლის 5 ნოემბერი.

<sup>2</sup> ორლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. the United Kingdom), 1978 წლის 18 იანვარი.

<sup>3</sup> ვალასინასი ლიტვის წინააღმდეგ (Valašinas v. Lithuania), 2001 წლის 24 ივლისი.

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან დანაშაულის აღსაკეთად ზოგჯერ შეიძლება მართლაც საჭირო იყოს ადამიანის გამოშვლება და მისი ჩხრეკა, მაგრამ ეს მოქმედებები შესაბამისი წესების დაცვით უნდა განხორციელდეს. როცა დაწესებულების ადმინისტრაცია პატიმარს აიძულებს გამოშვლდეს ქალის თანდასწრებით, შემდეგ კი ზედამხედველი შიშველი ხელებით შეეხება მის სასქესო ორგანოებსა და საკეებს, ეს უკვე პატიმრის პიროვნების მიმართ უპატივცემულობას და მისი ღირსების დამცირებას ნიშნავს. ასეთი მოპყრობა პატიმარში ნამდვილად გამოიწვევდა აბუჩად ავლების, დამცირებისა და ღირსების შემლახველი ტკივილის გრძნობას. აქედან გამომდინარე, სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად მიიჩნია სასჯელალსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის ზემოთ აღწერილი მოქმედება.

სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის წამება და არაჰუმანური, სასტიკი მოპყრობა განსაკუთრებით ხშირია წინასწარი დაკავების დაწესებულებებში, როდესაც პირი ფაქტობრივად მთლიანად (მიუხედავად კონსტიტუციით უზრუნველყოფილი საპროცესო ძირითადი უფლებებისა) პოლიციისა თუ უშიშროების ორგანოების განკარგულებაში იმყოფება. შესაბამისად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა და ვალდებულებები აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს ვალდებულებაა შექმნას ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობა, იმავდროულად კი უზრუნველყოს ამ კანონმდებლობის შეუფერხებელი გამოყენება და განხორციელება დაკავებულის მიერ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „*აქსოი თურქეთის წინააღმდეგ*“<sup>1</sup> დაადგინა, რომ თუ ჯანმრთელ ადამიანს პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ აღმოაჩნდება სხეულის დაზიანებები, სახელმწიფო ვალდებულია წარმოადგინოს დამაჯერებელი განმარტება ამ დაზიანებათა მიზეზების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოს დაეკისრება პასუხისმგებლობა. ამ საქმეში თურქეთის მთავრობამ ვერ შეძლო დასაბუთებული არგუმენტების წარმოდგენა დაზიანებების შესახებ. სასამართლოს აზრით, დაპატიმრებულის მიმართ განხორციელებულ მოქმედებებს (იგი გამოშვლებული და ზურგზე ხელშეკრული ჩამოკიდეს საკანში, აწამებდნენ ელექტროშოკით და შეურაცხყოფდნენ სიტყვიერად) ჰქონდა ისეთი მიძიმე და სასტიკი ზემოქმედების ხასიათი, რომ მას უნდა მისცემოდა „წამების“ კვალიფიკაცია. საქმეებზე „*ტომასი საფრანგეთის წინააღმდეგ*“<sup>2</sup> და „*რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ*“<sup>3</sup> სასამართლომ კვლავ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ყოველთვის ეკისრებოდა მორალური პასუხისმგებლობა პატიმრობაში მყოფ ნებისმიერ პირზე. ამ პირის სხეულის დაზიანების შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებული იყო წარმოედგინა მტკიცებულებები და დამაჯერებლად აეხსნა, თუ როდის, როგორ და რა ვითარებაში ჰქონდა დაზარალებულს აღნიშნული დაზიანებები მიღებული. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ დაპატიმრებული პირის მიმართ ნებისმიერი ფიზიკური ძალადობა, როცა მისი გამოყენება აუცილებელი არ არის თავად დაპატიმრებულის ქცევიდან გამომდინარე არის არაჰუმანური, დამამცირებელი, მისი ღირსების შემლახველი მოპყრობა და არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს.<sup>4</sup> ამასთან, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ

<sup>1</sup> *აქსოი თურქეთის წინააღმდეგ (Aksoy v. Turkey)*, 1996 წლის 18 დეკემბერი.

<sup>2</sup> *ტომასი საფრანგეთის წინააღმდეგ (Tomasi v. France)*, 1992 წლის 27 აგვისტო.

<sup>3</sup> *რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ (Ribitsch v. Austria)*, 1995 წლის 4 დეკემბერი.

<sup>4</sup> მუხლი 3: „ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა, დაუშვებელია“



ხელისუფლების მიერ არაადამიანურ მოპყრობაში დამნაშავე პოლიციელის გასამართლება და სამსახურიდან დათხოვნა არ ათავისუფლებს სახელმწიფოს კონვენციის მე-3 მუხლით მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან.

ევროპული სასამართლო წლების განმავლობაში ყოველ ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, აძლევდა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის კვალიფიკაციას, მაგრამ ბოლო წლებში შეცვალა ეს პრეცედენტი და პრინციპულად ახალი პოზიცია დაიკავა: საქმეში „სელმუნის საფრანგეთის წინააღმდეგ“<sup>1</sup> სასამართლომ პოლიციელთა მიერ დაპატიმრებული პირის ფიზიკური, სექსუალური და სიტყვიერი შეურაცხყოფა „წამებად“ მიიჩნია და არა „დამამცირებელ მოპყრობად.“ წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული მიდგომისა და პრეცედენტის ასეთი პრინციპული შეცვლის განმარტებისას სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპული კონვენციის დანიშნულება – ყოფილიყო „ცოცხალი ინსტრუმენტი“ – გულისხმობდა ამ დებულების განმარტებას თანამედროვე, რეალური მოთხოვნების გათვალისწინებით. დემოკრატიული საზოგადოების უმთავრესი ღირებულებების უზრუნველყოფა კი თანამედროვე პირობებში საჭიროებდა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში სტანდარტების ამაღლებას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მოქმედებები, ადრე „არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად“ რომ განიხილებოდა, ამიერიდან დაკვალიფიცირდებოდა როგორც „წამება“. საყურადღებოა, რომ რამდენიმე საქმეში ევროპულმა სასამართლომ საპატიმრო ადგილების გაუსაძლისი პირობები, მათ შორის სანიტარულიც, წამებად და, შესაბამისად, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად მიიჩნია.<sup>2</sup> სასამართლომ ზაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირის პატიმრობა ისეთ პირობებში, რაც შეესაბამება მე-3 მუხლის მოთხოვნებს, რათა პატიმრობის განმავლობაში პირი არ დაექვემდებაროს ისეთ ინტენსიურ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეგავლენას, ისეთ აუტანელ საყოფაცხოვრებო მდგომარეობას, რაც აღემატება პატიმრობისათვის დამახასიათებელი სულიერი ტკივილის უკიდურეს ზღვარს.<sup>3</sup>

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, სახელმწიფომ ასევე უნდა გაითვალისწინოს, რომ ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით ფიზიკური პირი დაცულია სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემისა და ექსტრადიციისაგან იმ შემთხვევაში, თუ იკვეთება გარემოებები, რომელთა მიხედვითაც, მიმღებ ქვეყანაში იგი შეიძლება დაექვემდებაროს წამებას და სისტიკა ან არაკონვენსიური მოპყრობას. საქართველოს კონსტიტუცია ამ მხრივ გარკვეულ ზღვარს ადგენს და, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მოქალაქის გაძევებას დაუშვებლად აცხადებს, საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემას კი დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ შემთხვევებში (მ. 13, პ. პ. 3, 4). გარდა ამისა, კონსტიტუციის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაცემა შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედობისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულ-

<sup>1</sup> სელმუნის საფრანგეთის წინააღმდეგ (*Selmouni v. France*), 1999 წლის 28 ივლისი.

<sup>2</sup> კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (*Kalashnikov v. Russia*), 2002 წლის 15 ივლისი; დუგოზი საბერძნეთის წინააღმდეგ (*Dougoz v. Greece*), 2001 წლის 6 მარტი.

<sup>3</sup> კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (*Kudla v. Poland*), 2000 წლის 26 ოქტომბერი; იხ. აგრეთვე ვალასინას ლიტივის წინააღმდეგ (*Walassinias v. Lithuania*), 2001 წლის 24 ივლისი.

ად არ ითვლება.“ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი კონსტიტუციის აღნიშნულ დებულებათა ფარგლებში აკონკრეტებს ამ საკითხს და აცხადებს, რომ „საქართველოს მოქალაქის, აგრეთვე საქართველოში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის გადაცემა ზორციელდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებით (რომის სტატუტით) და „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით“ (მ. 6, პ. 1) კოდექსი ასევე აკონკრეტებს, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევები ან ერთად არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომ ღის მიერ „ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს“ (მ. 6, პ. 3). აღნიშნულ ნორმებთან ერთად, ფიზიკური პირის ექსტრადიციის თუ გადაცემის დროს სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლების მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულებაა დაადგინოს პოლიტიკური მდგომარეობა მიმღებ ქვეყანაში და შეაფასოს ის სამართლებრივი და რეალური გარემოებები, რომლებშიც გადაცემულ პირს მოუწევს ყოფნა. საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში აღნიშნულ საფუძველზე წარდგენილი საჩივრების უმრავლესობა არ დაკმაყოფილდა, მაგრამ რამდენიმე საქმეში სასამართლომ დააფიქსირა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. მაგალითად, საქმეში „სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“<sup>2</sup>, რომელშიც მკვლელობის ბრალდების გამო გერმანიის მოქალაქის გადაცემას მოითხოვდა ამერიკის შეერთებული შტატები, სასამართლომ აღნიშნა, რომ გადაცემის შემთხვევაში ეს პირი შეიძლებოდა გაურკვეველი ვადით ყოფილიყო დაკავებული ე.წ. „სიკვდილის რიგში“ (death row). სასამართლოს აზრით, „სიკვდილის რიგში“ დგომა პირდაპირ არღვევდა კონვენციის მე-3 მუხლის დებულებას წაჩივრის, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის დაუშვებლობის შესახებ. სხვა საქმეებზე<sup>3</sup> სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ როდესაც სახელმწიფოს სურს მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებული პირის ან იმ პირის ექსტრადიცია, რომელიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას, მან უნდა შეისწავლოს და შეაფასოს მიმღებ სახელმწიფოში არსებული ვითარება და სამართლებრივი მდგომარეობა. თუ ამის შემდეგ იკვეთება, რომ პირი შესაძლებელია დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ და სასტიკ, დამამცირებელ მოპყრობას, ამ პირის გადაცემით დაირღვევა როგორც შიდასახელმწიფოებრივი შესაბამისი ნორმები (თუკი ამათი არსებობს), ისე კონვენციის მე-3 მუხლი. ამასთან, სასამართლოს აზრით, მიმღებ ქვეყანაში არსებული ზოგადი არასტაბილური და ძალადობრივი ვითარება, როგორც წესი, არ იწვევს პირის გამცემი სახელმწიფოს მიერ კონვენციის დარღვევას.<sup>4</sup>

<sup>1</sup> 2003 წლის 14 აგვისტო.

<sup>2</sup> *სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Soering v. the United Kingdom)*, 1989 წლის 7 ივლისი.

<sup>3</sup> *ამჰდი აესტრიის წინააღმდეგ (Ahmed v. Austria)*, 1996 წლის 17 დეკემბერი; *ჩაჰალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Chahal v. the United Kingdom)*, 1996 წლის 15 ნოემბერი.

<sup>4</sup> *ჟ. ლ. რ. საფრანგეთის წინააღმდეგ (H.L.R. v. France)*, 1997 წლის 29 აპრილი; იხ. აგრეთვე *დ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (D. v. the United Kingdom)*, 1997 წლის 2 მაისი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა ევროპული სასამართლოს უახლესი გადაწყვეტილება საქმეზე „შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“<sup>1</sup> ამ საქმეში სასამართლომ კიდევ ერთხელ დეტალურად განმარტა სახელმწიფოს ვალდებულება პირის ექსტრადიციის პროცესში და აღნიშნა, რომ დაუშვებელია პატიმარი დარჩეს გაურკვეველ მდგომარეობაში, მხოლოდ ჭირებისა და მასშედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის ამარა და ბოლო მომენტამდე არ იცოდეს ემუქრება თუ არა მას ექსტრადიცია. სახელმწიფო ვალდებულია დროულად და სათანადო ფორმით შეატყობინოს პირს მის მიმართ კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება. შესაბამისად, მიუღებელია პატიმარი დადგეს ფაქტის წინაშე და მხოლოდ მაშინ გაიგოს მისი სხვა ქვეყნისათვის გადაცემის შესახებ, როდესაც მას მოსთხოვენ დატოვოს საკანი. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ჯგუფური წინააღმდეგობა, რაც პატიმრებმა გაუწიეს სახელმწიფო მოხელეებს, დაკავშირებული იყო მათ კანონიერ შიშთან, რასაც მათში აღძრავდა ექსტრადიციის იდეა. სახელმწიფოს ნაჩქარევმა მოქმედებამ და ექსტრადიციის აღსრულების ასეთმა ფორმამ პატიმრებს ბუნტისაკენ უბიძგა. სასამართლომ აღნიშნა, რომ პატიმართა მხრიდან დაუმორჩილებლობის პირობებში საჭირო ხდება სპეციალური ძალების გამოძახება, მაგრამ ფიზიკური ძალის გამოყენება პატიმრის მიმართ, როდესაც ის თავისი საქციელით ამას არ იმსახურებს, დაუშვებელია. სასამართლოს აზრით, მოცემულ საქმეში სწორედ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, რადგან ზემოაღნიშნულ პირობებში ფიზიკური ძალის გამოყენება არ შეიძლება გამართლებულ იქნეს პატიმართა ქცევიდან გამომდინარე (ვინაიდან პატიმრების ასეთი საქციელი სახელმწიფოს არასწორმა მოქმედებამ განაპირობა). აქედან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დარღვეულ იქნა კონვენციის მე-3 მუხლი.

#### IV. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ადამიანის წაძვლა და მის მიმართ არაჰუმანური, სასტიკი და ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის გამოყენება აბსოლუტურად, ყოველგვარი გამოწვევის გარეშე, აკრძალულია და ნებისმიერი ასეთი მოქმედება წარმოადგენს ფიზიკური ხელშეუხებლობისა და ღირსებით დაცულ სფეროში გაუმართლებელ ჩარევას. რაც შეეხება ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში სხვა სახის ჩარევას, ისინი დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე და მხოლოდ თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპის დაცვით ჩარევად ითვლება ადამიანის სხეულზე ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს სხეულის თვისებების ცვლილება. აქ იგულისხმება არა მარტო ჯანმრთელობისათვის ზიანის, ტკივილის მიყენება ან სხეულის დაზიანება ვიწრო გაგებით, არამედ აგრეთვე სისხლის ანალიზისათვის საჭირო სისხლის აღება, თმის შეჭრა, ოპერაციული და ადამიანის სხეულზე განხორციელებული სხვა სამკურნალო ჩარევა, სამკურნალო ნივთიერებების, მათ შორის ნარკოტიკული საშუალებების შეყვანა სხეულში, ინიექციის გაკეთება, მკურნალობისათვის აუცილებელი იძულებითი კვება და ა.შ. ასეთი ჩარევები ძირითად გამართლებუ-

<sup>1</sup> შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ (Shamshiev and Others v. Georgia and Russia), 2005 წლის 12 აპრილი.

ლია თავად ადამიანის ნებართვის შემდეგ, რომელიც თანახმა მის მიმართ გამოყენებულ იქნეს განკურნებისათვის აუცილებელი ყველა საშუალება. ასეთი ჩარევა შეიძლება განხორციელდეს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროსაც, როცა აუცილებელია ჩადენილი დანაშაულის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა. თანაზომიერების, იგივე პროპორციულობის პრინციპი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოითხოვს, რომ ჩარევა იყოს აუცილებელი, დანაშაულის სიმძიმის შესაბამისი და არსებული ეჭვის დასაბუთებულობით გამართლებული. სისხლის აღება როგორც წესი, დასაშვებია, თუ ამას აკეთებს (საფუძვლიანი ეჭვის დროს) ექიმი იმ ფაქტების დასადგენად, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის საქმისათვის. ასევე დასაშვებია სისხლის აღება და სხვა შესაბამისი კვლევის ჩატარება, თუ ეს კეთდება კონკრეტულ შემთხვევაში მამობის დადგენის მიზნით. იძულებითი აცრა და რენტგენის საშუალებით იძულებითი გამოკვლევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს ვირუსული ეპიდემიების გავრცელების აფრთხე და ამ საფრთხის თავიდან აცილება საჯარო ინტერესს წარმოადგენს. ამის საპირისპიროდ, თავისა და ზურგის ტვინიდან სითხის ამოღება წარმოადგენს მძიმე ფიზიკურ ჩარევას, რომელიც დასაშვებია მხოლოდ მძიმე სისხლისსამართლებრივი ბრალდების დროს პირის ქმედუნარიანობის დასადგენად და არა უმნიშვნელო დელიქტების გახსნის მიზნით. ყველა შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი საშუალებები, რომლებიც უკეთეს (ან ისეთივე) შედეგს იძლევა და ამავე დროს ნაკლებად არღვევს პირის ფიზიკურ მთლიანობას. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია დღეისათვის საუკეთესო ტექნიკური საშუალების – კომპიუტერული ტომოგრაფიის და არა ძველი სამედიცინო საშუალებების გამოყენება, რომლებიც უხეშად არღვევს ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითად უფლებას. კომპიუტერული ტომოგრაფია ასევე არ არის დაკავშირებული პირის ჯანმრთელობის რისკთან.

დაუშვებელია ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულ სფეროზე ირიბი ზემოქმედება. ასეთია, მაგალითად, მდგომარეობა, როცა არსებობს აშკარა და კონკრეტული საფრთხე, რომ ბრალდებულის ჯანმრთელობას შეიძლება მძიმე ზიანი მიადგეს ან იგი შეიძლება გარდაიცვალოს სასამართლო პროცესებზე სიარულითა და ფიზიკური გადატვირთვის გამო. თუმცა ჯანმრთელობის დარღვევის ყველა სახის საფრთხე არ იწვევს პროცესის შეჩერებას. საკითხი – გავრძელდეს თუ არა პროცესი – უნდა გადაწყდეს ყველა გარემოების შეფასებით და გათვალისწინებით, განსაკუთრებით დანაშაულის სიმძიმის, პროცესის გაგრძელების სავარაუდო ვადისა და პირის ჯანმრთელობის დარღვევის განგრძობითი თუ დროებითი ხასიათის მიხედვით.

ასეთივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა დგას 'სამართლოს გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების დროებითი ან ხანგრძლივი შეჩერების საკითხი. მაგალითად, დაუშვებელია საცხოვრებელი ფართობის დაცლის შესახებ გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება მოქირავნის მიმართ, რომელიც მძიმედ არის ავად და რომლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას გამოსახლების შემთხვევაში აშკარა საფრთხე დაემუქრება. სწორედ ასეთ დავასთან დაკავშირებით სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მოქირავნის სასარგებლოდ, რომელსაც აღსრულების სამსახურმა (სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე) წაუყენა ფართობის ნებაყოფლობით დაცლის მოთხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში ფართის დაცლა მოხდებოდა იძულებით მოხუცმა მოქირავნემ მოითხოვა ფართობის იძულებითი დაცლის მოთხოვნის გაუქმება, ვინაიდან დიდი ხანია დაავადებული იყო მძიმე

ენდოგენური დეპრესიით, რისგან განკურნებისთვისაც მხოლოდ თერაპიული ჩარევა არ იყო საკმარისი, თანაც დაავადებას თან ახლდა გულის ფუნქციონირებისა და სისხლის მიმოქცევის დარღვევები. მოხუცმა სამჯერ სცადა თვითმკვლელობა და მისი გადარჩენა მოხერხდა სტაციონარული მკურნალობით საცხოვრებლის დაკარგვის შემთხვევაში მოსალოდნელი იყო მძიმე ფსიქიკური დარღვევები და თვითმკვლელობის მუდმივი საფრთხე. აღნიშნული არგუმენტების საფუძველზე სასამართლომ მოქირავნეს გადაუვად საცხოვრებლის დაცლის ვადა 7 თვით. თუმცა ამ ვადის შემდგომი გაგრძელება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა უარყვეს, მიუხედავად იმისა, რომ მოხუცის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ხნის განმავლობაში არ გაუმჯობესებულა. სასამართლომ ზაზგასმით აღნიშნა, რომ დაირღვა მოხუცის ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უვლება, რადგან თუ მოქირავნის მიერ მითითებული საფრთხე მართლაც არსებობდა და მისი აცილება მხოლოდ ფართობის დაცლის გადავადებით იყო შესაძლებელი (ეს მართლაც ასე იყო, რადგან მოხუცს ჰქონდა დამამტკიცებელი საბუთები საავადმყოფოდან), მაშინ მისი აღსრულება კიდევ ღირსი ხნით უნდა გადავადებულიყო.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ტ. 52, გვ. 214 და მომდევნო.

მუხლი 16.

„ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.“

I. შესავალი

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას დიდი ტრადიციები არა აქვს. მისი ისტორია მხოლოდ მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან იღებს სათავეს. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება პირველად განმტკიცებული იყო იტალიის რესპუბლიკის 1947 წლის კონსტიტუციაში. ამავე დროს, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ფესვები უფრო შორეული წარსულიდან იწყება. ჯერ კიდევ ვირჯინიის ბილი უფლებათა ქესახე (1776 წ.) აღიარებდა ადამიანის თანდაყოლილ უფლებას „ბუნებრივებასა და უსაფრთხოებაზე“. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1848 წლის 10 დეკემბერი) ანალოგიურად განსაზღვრავს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შინაარსს.

ევროპული კონსტიტუციების უმრავლესობა არ იცნობს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ისეთ კონსტრუქციას, რომელიც ჩამოყალიბებულია საქართველოს კონსტიტუციაში. ევროპული კონსტიტუციები, როგორც წესი, იცავენ პიროვნების თავისუფალი მოქმედების ცალკეულ სფეროებს და არა ზოგადად პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას.

არც აშშ-ის კონსტიტუცია იცავს მკაფიოდ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას. ამავე დროს, „მარტო ყოფნის უფლება“ „right to be let alone“, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში ფორმულირებულია, როგორც ცივილიზებული ადამიანების უმნიშვნელოვანესი უფლება.<sup>1</sup> კონსტიტუციის მე-14 დამატებითი მუხლი ფართოდაა განმარტებული. კერძოდ, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს აზრით, სახელმწიფოებო თავისუფლება მოიცავს ცხოვრების საყოველთაო საქმიანობას, ცოდნის მოპოვებას, დაქორწინებას, შვილების გაჩენას, ღვთისადმი რწმენას, ანუ ყველაფერს, რაც აუცილებელია თავისუფალი ადამიანის ბუნებრივებისათვის.<sup>2</sup>

საქართველოს კონსტიტუციაში თავისუფალი განვითარების უფლებას პირობითული ადგილი უკავია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველმა კანონმდებელმა ხაზგასმით გამოყო პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელობა ძირითადი უფლებების საერთო სისტემაში.

ადამიანის თავისუფალი პიროვნულობა უზენაესი ძირებულია.<sup>3</sup> პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება უზრუნველყოფს ადამიანის ნიჭისა და უნარის რეალიზაციას. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება აყალიბებს ადამიანის ღირსების მატერიალურ და შინაარსობრივ მხარეს. ამიტომ, ეს უფლება ხშირად განიხილება როგორც ღირსების უფლების კონკრეტიზაცია. ისევე როგორც ადამიანის ღირსება, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ხელშეუვლია. საზოგადოება პატივს უნდა სცემდეს და ყურადღებით ეკიდებოდეს ადამიანს. ადამიანი არ შეიძლება იყოს არც საზოგადოების და არც სახელმწიფოს ობიექტი.<sup>4</sup>

<sup>1</sup> *Griswold v. Connecticut*, 381 U. S. 479, 485 (1965). ციტი.: Lehnig, K., *Der verfassungsrechtliche Schutz der Würde des Menschen in Deutschland und in den USA. Ein Rechtsvergleich*, S. 193.

<sup>2</sup> *Meyer v. Nebraska*, 262 U. S. 390, 399 (1923). ციტი.: Lehnig, K., *Der verfassungsrechtliche Schutz der Würde des Menschen in Deutschland und in den USA. Ein Rechtsvergleich*, S. 193.

<sup>3</sup> BVerfGE 7, 405.

<sup>4</sup> BVerfGE 49, 23.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ეფუძნება ინდივიდის თვითგამორკვევის იდეას. სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს ინდივიდის თავისუფალ თვითგამორკვევას და, ამავე დროს, დაიცავს იგი ყოველგვარი ხელყოფისაგან. საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება იცავს ადამიანის პირადი ცხოვრების სფეროს გარეშე სუბიექტების ჩარევისაგან. პირადი ცხოვრების ცნება, ამ თვალსაზრისით, მოიცავს როგორც ფიზიკური ყოფიერების, ისე სულიერ და ინტელექტუალურ სფეროსაც.

თავისუფალი განვითარების უფლება, არსებითად, განამტკიცებს ქცევის საყოველთაო თავისუფლებას. თავისუფალი განვითარების უფლება მოიცავს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ქცევას. ინდივიდს შეუძლია განახორციელოს როგორც აქტიური ქცევა, ისე უარი თქვას გარკვეულ ქცევაზე.

კონსტიტუციის მე-16 მუხლი მოითხოვს, რომ ინდივიდს საკუთარი პიროვნების განვითარებისათვის მიეცეს მოქმედების განსაზღვრული არეალი, რომელიც არ ექვემდებარება კონტროლს არც საჯარო ხელისუფლებისა და არც სხვა სუბიექტების მხრიდან. ინდივიდი დამოუკიდებლად განსაზღვრავს ქცევის საყოველთაო თავისუფლების ფარგლებს, სანამ იგი არ არღვევს სხვათა უფლებებს, მორალურ კანონებს ან კონსტიტუციურ წესრიგს. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება ყველა ნორმა, რომელიც ფორმალურად და მატერიალურად შეესაბამება კონსტიტუციას.<sup>1</sup>

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს, რომ ინდივიდი დაცული იყოს სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევისაგან. თუ ჩარევა გარდაუვალია, კანონიერი მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალება უნდა იყოს სათანადო და მან ზომაზე მეტად არ უნდა დაზარალოს ინდივიდი.<sup>2</sup>

კონსტიტუცია განსაზღვრავს ადამიანის თავისუფლების ცალკეულ სფეროებში ჩარევის ფარგლებს. თუ ინდივიდის ამა თუ იმ კონკრეტული საქმიანობის სფერო არ ხვდება კონსტიტუციით დადგენილი სხვა, საპეციალური უფლებების მოქმედებაში, მას შეუძლია საჯარო ხელისუფლების ჩარევისაგან დაცვის მიზნით დაეყრდნოს კონსტიტუციის მე-16 მუხლს.

## II. სუბიექტი

კონსტიტუციის მე-16 მუხლის სუბიექტია „ყველა ადამიანი“ – როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხოელი. ამ მუხლის მოქმედება არ უკავშირდება განსაზღვრულ ასაკს. თუმცა, კონსტიტუციის ტექსტიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ პირი საკმარისად ქმედუნარიანი უნდა იყოს იმისათვის, რომ აცნობიერებდეს საკუთარი პიროვნულობის განმსაზღვრელ ნიშნებს. ჯერ კიდევ დაუბადებელი პირი, ასევე, ვერ იქნება კონსტიტუციის მე-16 მუხლის სუბიექტი.<sup>3</sup>

მცირეწლოვანი არის პიროვნების განვითარების უფლების სუბიექტი. მართალია,

<sup>1</sup> B VerfGE 55, 159.

<sup>2</sup> B VerfGE 17, 306.

<sup>3</sup> „პიროვნების“ ცნება უნდა განვასხვავოთ „პირის“ ცნებისაგან. „პიროვნულობა“ მოიცავს იდენტურობის განმსაზღვრელ ინდივიდუალურ ნიშნებს. ეს ნიშნები ინდივიდუალურია, ანუ მათი შინაარსის განსაზღვრა მთლიანად სუბიექტზეა დამოკიდებულია. „პიროვნების“ ცნების შინაარსზე ღირს გავლენას ახდენს პირის სოციალიზაციის პროცესი. პირი, რომელიც მოკლებულია იდენტიფიკაციის ინდივიდუალური ნიშნების დამოუკიდებლად დეფინირების უნარს, ვერ იქნება „პიროვნება“.

ასაკიდან გამომდინარე, მას არა აქვს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება, მაგრამ ეს უფლება შეუძლია განახორციელოს მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლების მეშვეობით.

გარდაცვლილი ადამიანი არ შეიძლება იყოს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების სუბიექტი.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ნაწილობრივ შეიძლება გავრცელდეს კერძო სამართლის იურიდიულ პირზეც. კერძო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება განვიხილოთ როგორც ინსტიტუტი, სადაც ადამიანებს ეძლევათ საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა.<sup>1</sup> მაგალითად, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების სუბიექტი სავსებით დასაშვებია იყოს იურიდიული პირი. საზღვარგარეთის იურიდიული პირი და პირთა გაერთიანება ვერ იქნება ამ უფლების სუბიექტი. პიროვნების თავისუფალი განვითარების სუბიექტი ვერ იქნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რამდენადაც იგი ავითარებს არა „საკუთარ პიროვნებას“, არამედ ახორციელებს მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.<sup>2</sup>

### III. დაცვის სფერო

კონსტიტუციის მე-16 მუხლი საგნობრივად არ განსაზღვრავს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დაცვის სფეროს. ეს მუხლი იცავს არა ადამიანის კონკრეტულად განსაზღვრულ, ცალკეულ თავისუფლებას, არამედ მთლიანად თავისუფლებას, როგორც ასეთს. აღნიშნული მუხლი იცავს ინდივიდუალური თავისუფლების იმ სფეროებს, რომლებიც კონსტიტუციაში სხვა ძირითადი უფლებებით კონკრეტულად არ არის დაცული.

მე-16 მუხლის მოქმედება ვრცელდება ყველა ურთიერთობაზე, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იგი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის.

თუ მოსარჩლის აზრით დარღვეულია კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს ხომ არ არის დარღვეული სხვა, ძირითადი უფლებები. თუ დარღვეულია რომელიმე სხვა ძირითადი უფლება, სპეციალურ ნორმებს უპირატესი მოქმედების ძალა აქვს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების მიმართ. მაშასადამე, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება სხვა ძირითადი უფლებების მიმართ მოქმედებს სუბსიდიარულად.<sup>3</sup> თავისუფალი განვითარების უფლების სუბსიდიარობა არ ვრცელდება თანასწორობის უფლებებთან მიმართებით. ერთი და იმავე ქცევამ შესაძლოა დაარღვიოს თანასწორობა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაც.<sup>4</sup>

თავისუფალი განვითარების უფლება იცავს ადამიანის პირადი და ინტიმური ცხოვრების სფეროებს. თავისუფალი განვითარების კონსტიტუციური უფლებიდან გამომდინარე, დაუშვებელია რომ საჯარო ხელისუფლება ჩაერიოს ადამიანის ინტიმური ცხოვრების სფეროში. ეს მოთხოვნა ვრცელდება სასამართლოზეც.<sup>5</sup>

<sup>1</sup> BVerfGE 44, 353.

<sup>2</sup> Mangoldt/Klein/Starck, Grundgesetz, B. I, Art. 2, Rdn. 46.

<sup>3</sup> Dreier H., (Hrsg.), Grundgesetz, B. I, Art. 2 I, Rdn. 66.

<sup>4</sup> Sachs, Grundgesetz, S. 162.

<sup>5</sup> BVerfGE 34, 209.



ინტიმურია ის სფერო, სადაც ადამიანს სურვილი აქვს „იყოს მარტო“, გადაწყვეტილებები მიიღოს საკუთარი პასუხისმგებლობით და დაცული იყოს ყოველგვარი ჩარევისაგან.<sup>1</sup> პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება საშუალებას აძლევს ადამიანს განავითაროს და დაიცვას საკუთარი ინდივიდუალობა. ინდივიდი, არსებითად, დამოუკიდებლად წყვეტს, თუ როგორ და რა ფარგლებში შეუძლიათ სხვებს ჩაერიონ მისი პიროვნული ავტონომიის სფეროში. პირადი ცხოვრების აბსოლუტურად დაცულ სფეროში ჩარევას მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესებიც კი ვერ გაამართლებს.<sup>2</sup>

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება არ იცავს პირადი ცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფეროს. ადამიანი სოციალური ერთობის წევრია. ინდივიდი ვალდებულია „მოითმინოს“ პირად ცხოვრებაში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა, თუ იგი ეფუძნება საზოგადოების მნიშვნელოვან ინტერესებს, თანაზომიერების პრინციპს და არ ერევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებელ სფეროებში.<sup>3</sup> სახელმწიფოს ჩარევა პიროვნების თავისუფალი განვითარების სფეროში არის დასაშვები და ლეგიტიმური. ამ ჩარევის ფარგლები ზღვარდადებულია თანაზომიერების პრინციპით.

### III. 1. ქვევის თავისუფლების დაცვა

საკუთარი პიროვნების განვითარებისაკენ სწრაფვა ერთგვარად კოდირებულია ადამიანში. „განვითარება“ გულისხმობს ადამიანის მიერ გააზრებულად განხორციელებულ აქტიურ მოქმედებას. პირი საკუთარი სურვილის მიხედვით განსაზღვრავს, თუ რა სახით სურს ინდივიდუალური ნიშნების განვითარება. კონსტიტუციის მე-16 მუხლი, არსებითად, განამტკიცებს პიროვნების ქცევის საყოველთაო თავისუფლებას. ქცევის საყოველთაო თავისუფლების ასეთ გარანტიებს კონსტიტუციის სხვა ნორმა არ იცნობს.

ქცევის საყოველთაო თავისუფლებიდან გამომდინარეობს ის, რომ უნდა დასაბუთდეს ყველა სახელმწიფო აქტის მართლზომიერება, რომელიც ზღუდავს ადამიანის ქცევის ბუნებრივ შესაძლებლობებს.<sup>4</sup> თავისუფლება არის კანონსაწინააღმდეგო იძულებისაგან თავისუფლება (ელინეკი).<sup>5</sup> ადამიანი როგორც ავტონომიური პიროვნება, არსებითად, თავისუფლად განსაზღვრავს საკუთარ ქცევას. ჯერ კიდევ ადამიანისა და მოქალაქის დეკლარაცია (1789 წ.) მიუთითებდა, რომ თავისუფლება ნიშნავს ყველაფრის გაკეთების შესაძლებლობას, რომელიც სხვას ზიანს არ აყენებს (მ. 4.). თუ ინდივიდის ქცევის თავისუფლებას ზღუდავს სახელმწიფო, ეს უკანასკნელი ვალდებულია დასაბუთოს შეზღუდვის მართლზომიერება.<sup>6</sup> საკუთარი მოქალაქეების „გაკეთილშობილება“ არ არის სახელმწიფოს ფუნქცია. ამიტომ, სახელმწიფოს უფლება არა აქვს საკუთარ მოქალაქეებს თავისუფლება მხოლოდ იმისათვის წაართვას, რომ ისინი (მოქალაქეები) „უფრო უკეთესი“ გახდნენ.<sup>7</sup> ქცევის საყოველთაო თავისუფლებაში

<sup>1</sup> BVerfGE 34, 269.

<sup>2</sup> BVerfGE 34, 245.

<sup>3</sup> BVerfGE 27, 351; 54, 146.

<sup>4</sup> Ipsen, Staatsrecht II. Gundrechte, 7., überarbeitete Auflage, 2004, Rdn. 726.

<sup>5</sup> ციტი.: Ipsen, Staatsrecht II. Gundrechte, Rdn. 726.

<sup>6</sup> Ipsen, Staatsrecht II. Gundrechte, Rdn. 726.

<sup>7</sup> BVerfGE, 22, 180.

სახელმწიფო ვერ ჩაერევა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ჩარევა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს ეფუძნება.<sup>1</sup>

კონსტიტუციის მე-16 მუხლი იცავს პიროვნებას საზოგადოებრივი ურთიერთობების ტოტალური იურიდიზაციისაგან. სამართლებრივი რეგულირების სფერო მოიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობების სულ უფრო ფართო წრეს. საკანონმდებლო ექსპანსიის პარალელურად იზღუდება ინდივიდის პირადი ავტონომიის სფეროც. ამ ტენდენციების გათვალისწინებით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებამ სრულიად ახალი მნიშვნელობა შეიძინა. საკანონმდებლო რეგულირების მასშტაბების განუზრელი ზრდის პირობებში პირადი ცხოვრების სფერო უნდა დარჩეს თავისუფლების ხელშეუხებელ ადგილად, რომელიც დაცული იქნება საჯარო ხელისუფლების ჩარევისაგან.<sup>2</sup>

ამ თუ იმ ურთიერთობის სამართლებრივი რეგლამენტაცია (ჯანმრთელობის დაცვა, ოჯახი ან სკოლა) უნდა განხორციელდეს იმ სახით, რომ ამ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტებს (ექიმებს, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს) შეუნარჩუნდეთ დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით მოქმედების შესაძლებლობა.<sup>3</sup> თავისუფალი განვითარების უფლება იცავს პიროვნებას იმ საფრთხისაგან, რომელიც ემუქრება მის ინდივიდუალურ ავტონომიას სამართლებრივი რეგულირების ყოველისმომცველი ბუნებიდან გამომდინარე.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება ობიექტურად აუცილებელია, მან არ უნდა შეავიწროოს ადამიანის განვითარების სფერო, ასევე, ინდივიდის მოქმედების თავისუფლება. გარდა ამისა, ინდივიდს უნდა შეეძლოს, დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი პიროვნულობის განვითარების ფორმები და საშუალებები. ცალკეულ შემთხვევებში პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას აქვს დამცავი ხასიათი (როდესაც სხვა სუბიექტებს აკრძალული აქვთ ამ სფეროში ჩარევა), ზოგჯერ, პირიქით, იგი მოითხოვს „გარეშე“ სუბიექტების აქტიურ მონაწილეობას.

„ქცევის თავისუფლება“ შინაარსობრივად მოიცავს მართლსაწინააღმდეგო ასოციალურ ქცევასაც. ამავ დროს, მართლსაწინააღმდეგო ასოციალური ქცევა არ არის ძირითადი უფლებების დაცვის ობიექტი. ქცევის საყოველთაო თავისუფლების ფარგლებს განსაზღვრავს სხვა პირთა ინტერესი და კონსტიტუციური მართლწესრიგის პრინციპები. აბსოლუტური უფლება არ არსებობს. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ფარგლებიც კონსტიტუციური წესრიგითაა განსაზღვრული.<sup>4</sup>

საკუთარ მოქმედებებში ინდივიდი, ასევე, ვალდებულია გაითვალისწინოს სოციალური თანაცხოვრების წესები, იმ პირობით, რომ ამავდროულად დაცული იქნება პიროვნების დამოუკიდებლობა. ადამიანის უფლებათა კომისიამ ჩათვალა, რომ პიროვნების ინდივიდუალობას არ ხელყოფს უსაფრთხოების ქამრების სავალდებულო გამოყენება, ასევე, ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების დაცვისაკენ მიმართული მოძრაობის წესები და ტექნიკური უსაფრთხოების წესები.<sup>5</sup> სასამართლოს აზრით, ეს ჩარევა

<sup>1</sup> BVerfGE 19, 215 ff; 84, 372 ff.

<sup>2</sup> BVerfGE 6, 32.

<sup>3</sup> Kommentar zum Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Band 1, 1984, S. 335.

<sup>4</sup> BVerfGE 7, 92.

<sup>5</sup> E 8707/79 DR, 18, 255. ციტირებული: Frowein/Peukert, Europäische Menschenrechtskonvention. EMRK-Kommentar, 1985, S. 197.

გამართლებულია არა მარტო პირის უსაფრთხოების მოსაზრებიდან გამომდინარე, არამედ ითვალისწინებს საფრთხეს მესამე პირებისათვის ან სოციალურ დანახარჯებს, რომელიც შესაძლებელია დადგეს, ავარიის ან სხვა უბედური შემთხვევის დროს. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, განათლების უფლება არ გამომდინარეობს თავისუფალი განვითარების უფლებიდან. მოქმედ საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღების მოთხოვნა შეიძლება დაეფუძნოს თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს, მაგრამ არა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას.<sup>1</sup> სასაფლაოებზე სავალდებულო დაკრძალვა, სასამართლოს შეხედულებით, არ ხელყოფს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას.<sup>2</sup>

თავისუფალი განვითარების უფლება იცავს ინდივიდუალური ქცევის თავისუფლებას ცალკეულ, კონკრეტულ სფეროებში. კერძოდ, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება იცავს სახელშეკრულებო თავისუფლებას; კონკურენციის თავისუფლებას; საერთო სარგებლობის ობიექტების (ქუჩა და სხვ.) თავისუფალ გამოყენებას; ქვეყნიდან გასვლის უფლებას; უცხოელების ქვეყანაში შემოსვლის უფლებას; თავისუფლებას სექსუალურ სფეროში; უფლებას ღია და სამართლიან სასამართლო პროცესზე; უფლებას მოწმეებზე.<sup>3</sup>

უნდა ვივარაუდოთ, რომ კონსტიტუციის მე-16 მუხლი უზრუნველყოფს ქცევის საყოველთაო თავისუფლების უფლებას არა მარტო ფიზიკური, არამედ კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვისაც.

### III. 2. ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება

ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება პიროვნების განვითარების უფლების რეალიზაციის ელემენტარული პირობაა. პირის ფიზიკურ ხელშეუხებლობაში ჩარევა შესაძლებელია მოხდეს სხვადასხვა ფორმით. გადაუდებელი იძულებითი ოპერაცია, სასმელი წყლის დაქლორვა და სხვ, გარკვეულწილად ერევა პირადი ცხოვრების განვითარებაში. ზემოაღნიშნული ჩარევა, მეტწილად, გამომდინარეობს საჯარო ინტერესიდან და ემსახურება საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მსგავს ჩარევას მართლზომიერად მიიჩნევს.

იძულებითი გამოკვლევაები, მაგალითად, ბავშვების გამოკვლევა ტუბერკულოზზე, სისხლის ანალიზის აღება (იძულებით), დასაშვებია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ასეთი ღონისძიება ზიანს არ აყენებს პირის ჯანმრთელობას. განსაკუთრებულ მდგომარეობაში მოთხოვნის ისეთი გამოკვლევაები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასთან (მაგალითად, შიდს-ზე სავალდებულო გამოკვლევამ შესაძლებელია ფატალურად შეცვალოს ინდივიდის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება).

დღემდე სადავოა საკითხი იმის შესახებ, გამომდინარეობს თუ არა ქალის უფლება აბორტზე მისი ფიზიკური თვითგამორკვევის უფლებიდან. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის აზრით, ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვი არ განეკუთვნება მხოლოდ პირადი ცხოვრების სფეროს – იგი ნაწილობრივ იმ პირადი ცხოვრების

<sup>1</sup> BVerfGE 47, 201.

<sup>2</sup> BVerfGE 50, 265.

<sup>3</sup> დაწერილობით იხ.: Bruno Schmidt-Bleibtreu, Franz Klein, Kommentar zum Grundgesetz, 9. Auflage, 1999, S. 151-152.

მიღმა, რომელსაც დედის მიმართ იცავს კონვენციის მე-8 მუხლი. შესაბამისად, ორსულობა და მისი დასრულება არ არის მხოლოდ და მხოლოდ დედის კერძო საქმე.<sup>1</sup> შვეიცარიის უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ ბავშვის ყოლის სურვილი წარმოადგენს პიროვნების განვითარების ელემენტარულ გამოვლინებას. ამავე დროს, სადავო საკითხი, აქვს თუ არა ჩანასახს უფლება გენეტიკურად ბიოლოგიურ მშობლებზე (ჩანასახისა და განაყოფიერების თანამედროვე სამედიცინო მიღწევათა გათვალისწინებით).<sup>2</sup>

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად აღიარა შტატის კანონი, რომლითაც აკრძალული იყო კონტრაცეფტივების მიღება. უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს საკითხი განეკუთვნებოდა ქალისა და მამაკაცის ინტიმური ურთიერთობების სფეროს, რომელიც დაცულია კონსტიტუციით.<sup>3</sup> მოგვიანებით, უზენაესმა სასამართლომ კონტრაცეფტივების გამოყენების უფლება მიანიჭა დაუქორწინებელ პირებსაც.<sup>4</sup> ფიზიკური თვითგამორკვევის უფლება მკაფიოდ იქნა აღიარებული, როდესაც სრულწლოვან ქალს უფლება მიენიჭა დამოუკიდებლად გადაეწყვიტა აბორტის საკითხი. აღნიშნულ საქმეზე მომჩივანი ასაჩივრებდა ტენასის შტატის კანონს, რომელიც აბორტისათვის ითვალისწინებდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. მომჩივნის აზრით, ლეგალურად აბორტის გაკეთება მას შეეძლო მხოლოდ სხვა შტატში. ყველა შემთხვევაში, ტენასის შტატში შეუძლებელი იყო კლინიკური წესით აბორტის გაკეთება, რამდენადაც ამ შემთხვევაში პასუხს აგებდა ექიმიც. სასამართლოს არ უღიარებია, რომ მომჩივანს აქვს ფიზიკური ხელშეუხებლობის და, მაშასადამე, აბორტის აბსოლუტური უფლება. სასამართლოს აზრით, ყველა შემთხვევაში, უნდა იქნეს დაცული ბალანსი სახელმწიფო და პირად ინტერესს შორის.<sup>4</sup> ამერიკის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა არ აღიარებს, რომ კონსტიტუცია იცავს საერთოდ სექსუალური ცხოვრების სფეროს (განსხვავებით გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსაგან).

### III. 3. უფლება საკუთარ ბარმზნობაზე

თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარე, პიროვნება დამოუკიდებლად განსაზღვრავს საკუთარ გარეგნობას (თმის ვარცხნილობას, ჩაცმულობას და სხვ.). პიროვნება თვითონ წყვეტს მოუშვას თუ არა წვერი ან უღვაში, ატაროს თუ არა (მამაკაცმა) საყურე. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ამ სფეროში დასაშვებია ცალკეული შეზღუდვები ფედერალური სამხედრო მოსამსახურეებისათვის ჰიგიენური მოსაზრებიდან გამომდინარე ან მათი ფუნქციური ქმედუნარიანობის გათვალისწინებით.<sup>5</sup> ამ სფეროში ჩარევის ტიპური მაგალითებია, ასევე,

<sup>1</sup> Villiger, M., Handbuch der Europäischen Menschenrechtskonvention (EMRK) unter besonderer Berücksichtigung der schweizerischen Rechtslage, Zürich, 1999, S. 353.

<sup>2</sup> Griswold v. Connecticut, 381, U. S. 479 (1965). ციტი.: Lehnig, K., Der verfassungsrechtliche Schutz der Würde des Menschen in Deutschland und USA, S. 198.

<sup>3</sup> Eisenstadt v. Baird, 405 U. S. 438 (1972), ციტი.: Lehnig, K., Der verfassungsrechtliche Schutz der Würde des Menschen in Deutschland und USA, S. 198

<sup>4</sup> Roe v. Wade, 410 U. S. 113 (1973), ციტი.: Lehnig, K., Der verfassungsrechtliche Schutz der Würde des Menschen in Deutschland und USA, S. 198.

<sup>5</sup> BVerwGE 46, 1.

გარკვეული კატეგორიის მოხელეებისათვის სავალდებულო ფორმის ტარება, მოკლე თმის ვარცხნილობა სამხედრო მოსამსახურეებისათვის და სხვ. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, პოლიციელებისათვის დაწესებული სავალდებულო მოკლე თმის ვარცხნილობა არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. ასეთი ფორმა საშუალებას იძლევა, რომ პოლიციელი ადვილად გაეარჩიოთ სხვებისაგან. გარდა ამისა, იგი განამტკიცებს პოლიციელებს შორის ერთიანობის გრძნობას. ეს კი, თავის მხრივ, არააპირდაპირ განამტკიცებს ადამიანებისა და საკუთრების უსაფრთხოებას.<sup>1</sup>

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარე, პირს აქვს უფლება საკუთარ ფოტოგამოსახულებაზე. საჯარო ინტერესების დაცვის მიზნით სახელმწიფოს შეუძლია გამოაქვეყნოს დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის სურათი. ამავე დროს, არც დანაშაულის გამოძიების სახელმწიფო ინტერესი და არც სხვა საჯარო ინტერესი იმთავითვე ვერ აძარტლებს პიროვნულობის სფეროში ჩარევას.<sup>2</sup> გაცილებით უფრო ლიბერალურია ამ საკითხში აშშ-ის უზენაესი სასამართლო. ამერიკის უზენაესი სასამართლოს აზრით, აშშ-ის კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება ისეთი პრაქტიკა, როდესაც ქურდის სურათი მასობრივად არის დარიგებული იმ მიზნით, რომ მოსახლეობამ (განსაკუთრებით, მაღაზიის მეპატრონეებმა) მასზე ყურადღება გაამახვილოს. სასამართლოს აზრით, ეს წესი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციით დაცულ არც ერთ უფლებას, მათ შორის არც პირადი ცხოვრების სფეროს.<sup>3</sup> გერმანული სამართლით, ასეთი ქმედობა ეწინააღმდეგება საკუთარ გამოსახულებაზე უფლებას, რომელიც განიხილება როგორც ერთ-ერთი ინდივიდუალური უფლება.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება გაცილებით მაღალი რანგისაა და კონსტიტუციურად დაცული ადამიანის ღირსებიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, კონკრეტული შემთხვევის განხილვის დროს უნდა მოხდეს სამართლით დაცული განსხვავებული სიკეთეების აწონ-დაწონა და უნდა გაირკვეს, თუ რამდენად დასაშვებია, რომ უპირატესობა მიენიჭოს საჯარო ინტერესს. პირადი ცხოვრების სფეროში ჩარევის სახე და ფარგლები უნდა ითვალისწინებდეს საკითხის მნიშვნელობას.<sup>4</sup>

### III. 4. სიტყვის უფლება

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ასევე, იცავს უფლებას სიტყვაზე.<sup>5</sup> თითოეული ადამიანი დამოუკიდებლად განსაზღვრავს მისი სიტყვის ჩაწერის და ამ ჩანაწერების გამოყენების ფორმას, ასევე, ინდივიდუალურად წერს, ვისაც ამის უფლება მოსიძლევა აქვს.<sup>6</sup> პირადი ცხოვრების სფეროში ჩარევა იქნება, თუ პირის თანხმობის გარეშე ან სურვილის საწინააღმდეგოდ გამოიყენებენ არასაჯაროდ წარმოთქმულ სიტყვებს. ადამიანს არ უნდა ჰქონდეს მუდმივი შიში, რომ ყოველი სიტყვა (ხშირად

<sup>1</sup> *Kelley v. Johnson*, 425 U. S. 238 (1976). ციტი.: Lehnig, K., *Der verfassungsrechtliche Schutz der Würde des Menschen in deutschland und USA*, S. 211-212.

<sup>2</sup> BVerfGE 35, 220 ff.

<sup>3</sup> *Paul v. Davis*, 424 U. S. 693, 713 (1976). ციტი.: Lehnig, K., *Der verfassungsrechtliche Schutz der Würde des Menschen in Deutschland und in den USA*, S. 207.

<sup>4</sup> BVerfGE 35, 221.

<sup>5</sup> BVerfGE 34, 246.

<sup>6</sup> BVerfGE 34, 246.

მოუფიქრებლად წარმოთქმული ან მხოლოდ წინასწარი შეხედულება) შეიძლება გამოიყენონ მის საწინააღმდეგოდ.<sup>1</sup>

### III. 5. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება

ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება თავისუფალი განვითარების უფლების განუყოფელი ნაწილია. აღსანიშნავია, რომ პირის ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება კონსტიტუციური მართლმსაჯულების პრაქტიკაში წარმოებულია სწორედ თავისუფალი განვითარების უფლებიდან. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება იცავს ინდივიდის ავტონომიას მონაცემების მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გადაცემის პროცესში. კონსტიტუციის მე-16 მუხლის საფუძველზე, ინდივიდი უფლებამოსილია დამოუკიდებლად განსაზღვროს ამ სახის მონაცემთა გამოყენების ფორმა. პიროვნება, ასევე, თვითონ წყვეტს, თუ როდის და რა ფარგლებში შეიძლება გახდეს ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის მისი ინდივიდუალური მონაცემები.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება გულისხმობს, რომ დაცული უნდა იყოს ინფორმაცია ინდივიდის პერსონალური მონაცემების შესახებ. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინდივიდუალური მონაცემების ელექტრონული დამუშავების პროცესში (დამოუკიდებლად იმისა, მას საჯარო ხელისუფლება, თუ კერძო დაწესებულება ახორციელებს). მონაცემთა ელექტრონული დამუშავების შესაძლებლობები უფრო აქტუალურს ხდის მონაცემთა არაკანონიერი მიზნით გამოყენებისა და მისი შემდგომი გავრცელებისაგან დაცვის გარანტიებს.<sup>2</sup> მონაცემთა ელექტრონული დამუშავების თანამედროვე სისტემა იძლევა არსებითად შეუზღუდავი ინფორმაციის შენახვის საშუალებას, რომელიც ოპერატიულად, დროის უაღრესად მცირე მონაკვეთში ხელმისაწვდომია მომხმარებელთა ფართო წრისათვის. რაც ყველაზე უფრო პრობლემურია, პიროვნებას ამ მონაცემების სისწორის კონტროლის მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობა აქვს. პიროვნების ინდივიდუალურ მონაცემთა დაცვისას კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიები.<sup>3</sup>

პიროვნებას უნდა შეეძლოს იმის პროგნოზირება, თუ რა ზომით და რა ფარგლებში შეიძლება საზოგადოება ფლობდეს ინდივიდუალურ ინფორმაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი ვერ შეძლებს ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციას. თუ პირს ეჭვი აქვს, რომ შეკრებებში მონაწილეობა ოფიციალურად იქნება რეგისტრირებული, მან შესაძლოა უარი თქვას შეკრების უფლების განხორციელებაზე. ინფორმაციული თვითგამორკვევა დემოკრატიული, თავისუფალი პოლიტიკური წესრიგის აუცილებელი პირობაა.

პიროვნება დაცული უნდა იყოს მონაცემთა არამართლზომიერი მოპოვების, დამახსოვრების, გამოყენებისა და გადაცემისაგან.<sup>4</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეხედულებით, მონაცემთა დაცვა ინდივიდის პირადი ავტონომიის უმნიშვნელოვანესი სფეროა. თუ სახელმწიფო ფლობს ინფორმაციას ინდივიდის პირადი

<sup>1</sup> BVerfGE 34, 246.

<sup>2</sup> BVerfGE 65, 46.

<sup>3</sup> BVerfGE 65, 44.

<sup>4</sup> BVerfGE 65, 42.

ცხოვრების შესახებ, მას არა აქვს ამ ინფორმაციის რეგისტრაციის ან სხვა მიზნებისთვის მისი გამოყენების უფლება.<sup>1</sup> დაცული უნდა იყოს ინდივიდის არა მარტო პირადი მონაცემები, არამედ ინფორმაცია მისი სამსახურებრივი საქმიანობის ან საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ (მაგალითად, ინფორმაცია მისი პოლიტიკური საქმიანობის შესახებ).<sup>2</sup> სასამართლოს აზრით, სამსახური ის ადგილია, რომელიც პიროვნებას აძლევს სხვა ადამიანებთან კონტაქტების დამყარებისა და განვითარების შესაძლებლობას. მით უფრო, რომ კერძო და სამსახურებრივი სფეროების ერთმანეთისაგან მკაცრი გამიჯვნა სულ უფრო რთული ხდება.<sup>3</sup>

ინდივიდი დამოუკიდებლად განსაზღვრავს იმ პირად მონაცემებს, რომელიც შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მესამე პირებისათვის. ამავე დროს, პირად მონაცემებზე უფლება არ არის აბსოლუტური და შეუზღუდავი. პიროვნება არის საზოგადოების წევრი, ხოლო პირად (თუნდაც პერსონალურ) ინფორმაციაში ყოველთვის აისახება სოციალური რეალობა. ინდივიდს აქვს ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება იმ ფარგლებში, სანამ საერთო ინტერესი არ უშვებს ამ შეზღუდვის შესაძლებლობას. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს საერთო ინტერესებიდან გამომდინარე და თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე. შეზღუდვის ფარგლები უნდა დადგინდეს საერთო ინტერესიდან გამომდინარე.<sup>4</sup> უნდა განისაზღვროს მონაცემთა მოპოვების მიზანი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დადგეს ამ უფლების შეზღუდვის მართლზომიერების საკითხი. მონაცემთა გამოყენება უნდა შემოიფარგლებოდეს კანონით განსაზღვრული მიზნით.

სტატისტიკის მიზნით მოპოვებულ მონაცემებს ახასიათებს განსაკუთრებული თავისებურება. სტატისტიკური მონაცემები აუცილებელია სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში გონივრული სახელმწიფო პოლიტიკის განსახორციელებლად.<sup>5</sup> მოსახლეობის აღწერის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია (მოსახლეობის რაოდენობის, სოციალური სტრუქტურის შესახებ და სხვ.) და მისი შემდგომი სტატისტიკური დამუშავება მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკური დაგეგმვის პროცესში. სახელმწიფო მომზადებული უნდა შეხვედეს ინდუსტრიული საზოგადოების განვითარების ტენდენციებს.<sup>6</sup> მოსახლეობის აღწერის დროს სქესთან, დაბადების ადგილთან, მოქალაქეობრივ მდგომარეობასა და სხვა პირად დეტალებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება დასაშვებია იმ პირობით, რომ მათი დამუშავება მოხდება ობიექტურად. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის აზრით, ევროსაბჭოს წევრ-სახელმწიფოებში მოსახლეობის აღწერისას მოპოვებული მონაცემები, როგორც წესი, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისათვის.<sup>7</sup> სტატისტიკური მოცემების მიზნის წინასწარ განსაზღვრა საკმაოდ ძნელია. სტატისტიკური დამუშავების შემდეგ მონაცემების გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა მიზნით. რამ-

<sup>1</sup> ლიდერი შვედეთის წინააღმდეგ (*Leader v. Sweden*), (1987).

<sup>2</sup> EGMR, Ur. v. 25.3.1998, Kopp, RJD 1998-II, Z.53; EGMR, Ur. v. 4.5.2000, Rotaru, Nr. 28341/95, Z. 43 f. ციტ.: Grabenwarter, Ch., Europäische Menschenrechtskonvention, Wien, 2003, S. 207.

<sup>3</sup> EGMR, Ur. v. 16.12.1992, Niemietz, Serie A 251-B; EGMR, Ur. v. 16.2. 2000, Amann, Nr. 27798/95, Z.65. ციტ.: Grabenwarter, Ch., Europäische Menschenrechtskonvention, Wien, 2003, S. 209.

<sup>4</sup> BVerfGE 65, 1.

<sup>5</sup> BVerfGE 65, 47.

<sup>6</sup> BVerfGE 65, 47.

<sup>7</sup> EKMR, Entsch. v. 6.10. 1982.

დენადაც სტატისტიკის მიზანს წინასწარ ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ, ამ სფეროში მოქმედებს ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების დაცვის სხვა წესები. მოსახლეობის საყოველთაო აღწერა შეიცავს ინდივიდის „სრული რეგისტრაციისა და კატალოგიზაციის“ საფრთხეს. სახელმწიფო არ არის უფლებამოსილი განახორციელოს ადამიანის „რეგისტრირება და კატალოგიზაცია“ მთელ მის პერსონალურობასა და ინდივიდუალობაში.<sup>1</sup> მიუხედავად სტატისტიკური მიზნის მულტიფუნქციური ხასიათისა, მას სახელმწიფო ამოცანების განხორციელების პროცესში მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა ეკისრება. მოსახლეობის აღწერისას პირად მონაცემთა დამუშავებამ ცალკეული პირებს არ უნდა შეუქმნას მათ მიმართ სხვადასხვა „კლიმის“ გამოყენების საფრთხე (როგორცაა მაგალითად, „ნარკომანი“, „ნაციზარი“, „ფსიქიკურად დაავადებული“, „ასოციალური“). გარდა ამისა, უნდა გაირკვეს, რამდენად არის შესაძლებელი ამ ინფორმაციის არა ინდივიდუალიზებულიად, არამედ ანონიმური ფორმით მოპოვება.<sup>2</sup>

კონსტიტუციის მე-16 მუხლი იცავს მხოლოდ ინდივიდუალურ ან ინდივიდუალიზებულ ინფორმაციას შენახვას, დამუშავებას და მათ შემდგომ გამოყენებას. დაცული სფერო მოიცავს მონაცემებს ჯანმრთელობის, სულიერი, ფსიქიკური მდგომარეობის და ხასიათის შესახებ.<sup>3</sup> სამედიცინო გამოკვლევათა შედეგები, მართალია არ არის ზელშეუხებელი, მაგრამ რამდენადაც იგი მოიცავს ადამიანის ინტიმურ სფეროს, პრინციპულად არ ექვემდებარება ჩარევას საჯარო ზელისუფლების მხრიდან.<sup>4</sup> პიროვნების თავისუფალი განვითარების სფერო მით უფრო მკაცრადაა დაცული, რაც უფრო ინტიმურ სფეროს ეხება ეს მონაცემები.<sup>5</sup> პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების კონსტიტუციური ნორმა განსაზღვრავს, მაგალითად, იმ ფარგლებს, რა საზღვრებშიც დასაშვებია სამედიცინო-ფსიქოლოგიური დასკვნის წარდგენა ავტომანქანის მართვის უფლების მოსაპოვებლად.<sup>6</sup>

ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებაში ჩარევა უნდა განხორციელდეს თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე, საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვით. ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იყოს მონაცემთა სახეები და მათი მნიშვნელობა პიროვნების ინდივიდუალური, ინტიმური ცხოვრების სფეროსათვის. მონაცემთა მოპოვება უნდა ემსახურობდეს ლეგიტიმურ მიზანს (მაგალითად, სისხლის სამართლის დანაშაულის გახსნასა და აღკვეთას). ამავე დროს, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულის ხასიათი და ინდივიდუალური ცხოვრების სფეროში ჩარევის მასშტაბები.

პიროვნული მონაცემების დაცვის საკითხს განსხვავებულად უდგება აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. ამერიკის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, პიროვნული მონაცემების მოპოვება და დამუშავება არ ზღვდება კონსტიტუციით დაცულ პირად ცხოვრებაში. ამავე დროს, დაცულია ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია კონსტიტუციით განმტკიცებულ სხვა უფლებებთან. მაგალითად, დაცულია მონაცემთა

<sup>1</sup> B VerfGE 26, 169.

<sup>2</sup> B VerfGE 65, 48.

<sup>3</sup> B VerfGE 32, 378 ff.

<sup>4</sup> B VerfGE 32, 373.

<sup>5</sup> B VerfGE 65, 45.

<sup>6</sup> B VerfGE 89, 69.



მოპოვება სიჭყვისა და შეკრების თავისუფლების სფეროში, ისევე როგორც აბორტის შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება.<sup>1</sup> ამერიკის სასამართლო პრაქტიკა პიროვნულ მონაცემთა მოპოვებისა და დამახსოვრების პროცესის კონტროლს არ განიხილავს როგორც ფუნდამენტურ უფლებას, თუ იგი არ ეხება აბორტს.<sup>2</sup> არ არსებობს სფერო, რომლის შესახებაც არ დაიშვება ინფორმაციის მოპოვება. პიროვნული ინფორმაციები ყოველთვის შეიძლება მოპოვებულ იქნეს, თუ, ამავედროულად, დაცულია განსაზღვრული პროცედურები და საიდუმლოება.<sup>3</sup>

### III. 6. სოციალური იდენტურობა

პიროვნებას უფლება აქვს დაიცვას საკუთარი სოციალური იდენტურობა.<sup>4</sup> ღირსებისა და იდენტურობის დაცვის ერთმანეთისაგან გაიჩვენა საკმაოდ რთულია. ტერმინოლოგიურად განასხვავებენ „იდენტურობის დაცვისა“ და „ღირსების დაცვის“ ცნებებს. თუმცა, პირადი იდენტურობის ხელშეუხებლობა და ღირსება ხშირად განიხილება როგორც სინონიმური ცნებები.<sup>5</sup> პიროვნების სოციალური იდენტურობა დაცული უნდა იყოს სახელის გამტეხი ინფორმაციისაგან, რამდენადაც დადასტურებულია ამ ინფორმაციის მცდარობა.<sup>6</sup> თუმცა, უფლების დაცვის აღნიშნული ფორმა არ განიხილება როგორც ადამიანის ღირსების დაცვის ეფექტიანი საშუალება.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა პატივის დაცვასთან მიმართებით უპირატესობას ანიჭებს აზრის გამოთქმის თავისუფლებას.<sup>7</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს შეხედულებით, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხებისადმი დამოკიდებულების გამოხატვა პრაქტიკულად დასაშვებია მიუღებელი კრიტიკის ზღვრამდეც კი.<sup>8</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება წააწყდა მძაფრ კრიტიკას. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ აზრის გამოთქმის თავისუფლებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიისათვის. ამ გადაწყვეტილების კრიტიკოსთა აზრით, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ პატივის დაცვას ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს არა მარტო ადამიანის ღირსების, არამედ თავისუფალი და ღია დემოკრატიული აზრის ფორმირების პროცესისათვის. აზრის გამოთქმის თავისუფლებას კონსტიტუცია არ ანიჭებს უპირატესობას პატივის დაცვის უფლების მიმართ. პატივის დაცვაც, ასევე, კონსტიტუციური რანგისაა. კანონი, რომელიც იცავს ადამიანის პატივს, არ უნდა იქნეს შეზღუდულად ინტერპრეტირებული აზრის გამოთქმის თავისუფლებასთან მიმართებით. უფრო მეტად სასურველია, რომ კანონმა ანგარიში გაუწიოს კონსტიტუციურ სამართლებრივად დაცულ ორივე სიკეთეს და მიიღოს აწონ-დაწონილი გადაწყვეტილება.<sup>9</sup>

<sup>1</sup> Brugger, W., Grundrechte, S. 128.

<sup>2</sup> Lehnig, K., Der verfassungsrechtliche Schutz der Würde des Menschen in Deutschland und in den USA, S. 209.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> BVerfGE 54, 148.

<sup>5</sup> Sachs, Grundgesetz. Kommentar, München, 1996, S. 151.

<sup>6</sup> BVerfGE 54, 208.

<sup>7</sup> Sachs, Grundgesetz, S. 161.

<sup>8</sup> BVerfGE 82, 272.

<sup>9</sup> ამ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა იხ.: Sachs, Grundgesetz, S. 161.

მასმედიაში გამოქვეყნებულმა სახელის გამტეხმა ყალბმა ცნობებმა, მათი გავრცელების მასშტაბების გამო, შესაძლოა დაარღვიოს პიროვნების პირადი ცხოვრების სფერო. პრესისა და ინფორმაციის თავისუფლება უნდა ითვალისწინებდეს პირად უფლებებს. რაც უფრო დიდია ინფორმაციის მიმართ საზოგადოების ინტერესი, მით უფრო დიდია პირადი ცხოვრების სფეროში ჩარევის ინტენსიურობა, რომელიც მოითხოვს მეტ დასაბუთებასა და გამართლებას.<sup>1</sup>

ადამიანს უფლება აქვს დაიცვას საკუთარი ავტორიტეტი საზოგადოებაში გავრცელებული სახელის გამტეხი, ან ასწორი ინფორმაციისაგან. ეს უფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე პერიოდში, როდესაც მასმედია დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში. პირს უფლება აქვს მოიზოგოს, რომ იმავე საინფორმაციო საშუალებაში (სადაც გამოქვეყნდა მისი სახელის გამტეხი ინფორმაცია) და იმავე ფორმით (რა ფორმითაც იყო იგი მკითხველისათვის მიწოდებული) გამოთქვას საწინააღმდეგო აზრი მის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაზე. მხოლოდ ამ სახით შეუძლია პიროვნებას ოპერატიულად დაიცვას საკუთარი უფლებები, რამდენადაც სასამართლო პროცესი შესაძლებელია დროში იმდენად გაიწელოს, რომ საზოგადოებას საერთოდ დაავიწყდეს დავის საგანი. ამ უფლებას კონსტიტუცია უშუალოდ არ ადგენს, მაგრამ იგი გამომდინარეობს პიროვნების თავისუფალი განვითარების კონსტიტუციური ნორმიდან. ადამიანი არ შეიძლება იყოს საზოგადოებრივი აზრის განსჯის უფლებო ობიექტი.<sup>2</sup>

### III. 7. სახელისა და ბეჭდის დაცვის უფლება

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება იცავს ინდივიდის სახელსა და გვარს – ეს პიროვნების იდენტურობის განმსაზღვრელი ელემენტებია. სახელის ან გვარის შეცვლისა და დგენილი შეზღუდვები არ არღვევს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას.<sup>3</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, სახელმწიფოებს შეუძლიათ თავიანთი შეზღუდვებით სწავსრივონ ამ სფეროში წარმოშობილი ურთიერთობები. გვარის გამოცვლაზე უარი სასამართლო არ განიხილავს როგორც კონვენციით დაცული პირადი ცხოვრების დარღვევას. საქმეზე *Guillot საფრანგეთის წინააღმდეგ*, სასამართლომ მიუთითა, რომ ლეგიტიმურ საჯარო ინტერესთან მიმართებით მომჩივნის ინტერესები შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი იყო. კონვენცია არ დაურღვევიათ საფრანგეთის სახელმწიფო ორგანოებს, როდესაც მათ მშობლებისათვის სასურველი სახელის „Fleur de Marie“ ნაცვლად, ბავშვის (ქალიშვილი) დოკუმენტებში შეიტანეს სახელი: „Fleur Marie“.<sup>4</sup>

აკადემიური სამეცნიერო ხარისხის გამოყენება, ასევე, დაცულია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით. ამავე დროს, ინდივიდს არა აქვს უფლება მოითხოვოს პირადობის დამადასტურებელი საბუთებში აკადემიური სამეცნიერო ხარისხის შეტანა.<sup>5</sup>

<sup>1</sup> BVerfGE 63, 131.

<sup>2</sup> BVerfGE 63, 142.

<sup>3</sup> BVerwGE, 1982, 111. ციტირებული: Sachs, Grundgesetz, S. 162.

<sup>4</sup> ვიო საფრანგეთის წინააღმდეგ (*Guillot v. France*), 1996 წლის 24 ოქტომბერი

<sup>5</sup> იხ. Sachs, Grundgesetz, S. 162.

## III. 8. ინტიმური სფეროს დაცვა

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება იცავს ადამიანის ინტიმურ და სექსუალურ სფეროს როგორც პირადი ცხოვრების ნაწილს.

კონსტიტუციის მე-16 მუხლის საფუძველზე, ადამიანი დამოუკიდებლად განსაზღვრავს სქესისადმი დამოკიდებულებას, სექსუალური ორიენტაციის ჩათვლით ადამიანს, ასევე, შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი სექსუალური ცხოვრების სფეროში სხვა, გარეშე პირების მონაწილეობის ფორმა. ამ თვალსაზრისით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების სუბიექტია მოზარდიც.

მოზარდი არ არის მხოლოდ აღზრდის ობიექტი მშობლების ან სახელმწიფოს მხრიდან. მოზარდის პიროვნულობა დაცულია კონსტიტუციით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე, რომლის კონკრეტული გარემოებებიც შემდეგი იყო: ინგლისის სახელმწიფო ორგანოებმა დააყადეს „პატარა წითელი სახელმძღვანელო“, რომელშიც განხილული იყო აღზრდის, მეცადინეობისა და სექსუალურობის საკითხები. მათი აზრით, წიგნი მიმართული იყო ახალგაზრდობის მორალური გარყენისაკენ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობს მორალის „საერთოევროპული“ კონცეფცია. ამიტომ, ეროვნულ კანონმდებელს უკეთესად შეუძლია შეაფასოს, თუ რა არის „მორალი“. სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა, რომ წიგნი განკუთვნილი იყო 12-იდან 18 წლამდე მოზარდებისათვის. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საფუძვლიანად ჩათვალა ინგლისელი მოსამართლეების დასკვნა, რომ წიგნი მანვე გავლენას იქონიებდა ახალგაზრდა მკითხველზე. განსახილველ შემთხვევაში არ იყო დარღვეული კონვენციის მოთხოვნები. სასამართლოს აზრით, ეროვნულ კანონმდებელს აქვს მოქმედების ფართო თავისუფლება, რომ დამოუკიდებლად განსაზღვროს ის ღონისძიებები, რომლებიც (სახელმწიფოს აზრით) აუცილებელია საზოგადოებრივი მორალის დასაცავად.<sup>1</sup>

მოზარდის ინტიმურ სფეროზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს სკოლაში შემოღებული სექსუალური აღზრდის გაკვეთილები. არასწორმა სექსუალურმა აღზრდამ შესაძლებელია სულიერად დაამახინჯოს მოზარდი თაობა და ხელი შეუშალოს სექსუალურ სფეროში მის ნორმალურ განვითარებას. სექსუალური აღზრდის გაკვეთილებზე ახალგაზრდობა ფსიქიკურად არ უნდა დამახინჯდეს. განსაკუთრებული ყურადღება სექსუალურობის სულიერ ასპექტებზე უნდა გამახვილდეს.<sup>2</sup>

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება იცავს პირის სექსუალურ ხელშეუხებლობას. აქედან გამომდინარეობს სახელმწიფოს ვალდებულება სისხლის სამართლის წესით დასაჯოს სექსუალური ხელშეუხებლობის ნებისმიერი დარღვევა.

ადამიანი თვითონ განსაზღვრავს, თუ რომელ სქესს მიეკუთვნება იგი საკუთარი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. ინდივიდს, არსებითად, აქვს სქესის შეცვლის უფლება. ამავე დროს, სადავოა, უნდა აღიაროს თუ არა სახელმწიფომ სქესის შეცვლასთან დაკავშირებული იურიდიული შედეგები. Sheffield-მა და Horsham-მა სქესი შეიცვალეს – მამაკაციდან ქალზე. დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ორგანოები უარს აცხადებდნენ სქესის შეცვლის სამართლებრივი შედეგების აღიარებაზე, რამდენადაც მომჩივნები თავიანთი ქრომოსომებით მიეკუთვნებოდნენ სა-

<sup>1</sup> ჰენდისაიდ ვერტიანგული სამეფოს წინააღმდეგ (*Handyside v. UK*), 1997 წლის 22 აპრილი

<sup>2</sup> B VerfGe, 47, 73 f.

პირისპირო სქესს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ შემთხვევაში კონვენცია არ იყო დარღვეული. სასამართლომ მიუთითა, რომ ამ საკითხზე ევროპის სახელმწიფოებში არ არსებობს აზრთა ერთიანობა. სასამართლომ, ასევე, დაადასტურა, რომ სქესის შეცვლის იურიდიული შედეგების გათვალისწინება მხოლოდ „შეზღუდულად შეიძლება“. მართალია, მომჩივნებს აეკრძალათ ქორწინება და გასამრჯელოსაც წინა სქესის მიხედვით იღებდნენ, მაგრამ, ამავე დროს, სასამართლოს აზრით, მომჩივან პირებს შეეძლოთ თავიანთი ყოველდღიური ცხოვრება წარემართათ ახალი სქესის შესაბამისად, მით უფრო, რომ მათ სახელიც შეიცვალეს.<sup>1</sup> საქმეზე *B. ზაფრანგეთის წინააღმდეგ* გაირკვა, რომ ფრანგ სახელმწიფო მოხელეებს დოკუმენტებში (პასპორტი, საჯარო დოკუმენტები, ავტომობილის მართვის მოწმობა) არ შექონდათ შეცვლილი სქესი და სახელი. მომჩივანის მიმართ სახელმწიფო მოხელეთა არაკორექტული დამოკიდებულებისა და ამკარად შეცვლილი გარეგნობის გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში დარღვეული იყო კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლომ მიუთითა, რომ შეცვლილი გარეგნობის გამო მომჩივანს მუდმივად უნდა აეხსნა, თუ რატომ განსხვავდებოდა იგი დოკუმენტებში დაფიქსირებული ფოტოსურათისაგან.<sup>2</sup> საქმეზე *X., Y. და Z დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ*, ტრანსსექსუალი X მოითხოვდა, რომ ეცნოთ მისი პარტნიორი (ქალის) Y-ის შვილის – Z-ს მამად. Z დაიბადა სხვა, გარეშე პირის მხრიდან ხელოვნური ჩასახვის გზით. სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ შემთხვევაში კონვენცია არ იყო დარღვეული. სხვა გარემოებებთან ერთად, სასამართლო დაეყრდნო ბავშვის ინტერესებს. სასამართლოს აზრით, X-ს ხელი არ ეშლებოდა, რომ თავის წრეში წარმოჩენილიყო როგორც ბავშვის მამა.<sup>3</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ მეცნიერების თანამედროვე მიღწევათა გათვალისწინებით არ არსებობს სამედიცინო საფუძველი იმისათვის, რომ ტრანსსექსუალებს აეკრძალოთ სქესის შეცვლიდან გამომდინარე შედეგების სრული იურიდიული აღიარება. სასამართლო, ასევე, აღნიშნავს, რომ ტრანსსექსუალების სექსუალური იდენტურობა სულ უფრო ფართო საერთაშორისო აღიარებას პოულობს.<sup>4</sup>

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, კონსტიტუცია არ იცავს ქორწინებას, ქორწინების გარეშე და ჰომოსექსუალურ კავშირებს ანუ ზოგადად ყველა იმ კავშირს, რომელიც არ განეკუთვნება ქორწინებასა და ოჯახის ტრადიციულ გაგებას. საქმეზე – *Bowers v. Hardwick* – აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ გარკვევით მიუთითა, რომ ჰომოსექსუალური კავშირი არ უნდა განვიხილოთ როგორც კონსტიტუციით დაცული ტრადიციული თავისუფლება.<sup>5</sup>

<sup>1</sup> რისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Rees v. UK*), (1986 წლის 17 ოქტომბერი); კოსეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Cossey v. UK*), 1990 წლის 27 სექტემბერი. *შევილდ უ. პოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Scheffield u. Horsham v. UK*), (1998).

<sup>2</sup> *B. ზაფრანგეთის წინააღმდეგ* (*B. v. France*), 1992 წლის 25 მარტი

<sup>3</sup> *X., Y. u. Z. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*X., Y. u. Z. v. UK*), 2001 წლის 20 მაისი

<sup>4</sup> *I. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*I. v. UK*), (2002); *ქრისტინა გუდუინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Christine Goodwin v. UK*), 2002 წლის 11 ივლისი

<sup>5</sup> *Bowers v. Hardwick* (1986), ციტ.: Lehnig, K., *Der verfassungsrechtliche Schutz der Würde des Menschen in Deutschland und in den USA*, S. 211. Brugger, W., *Grundrechte*, S. 131

### III. 8. საკუთარი წარმომავლობის ცოდნის უფლება

პირს უფლება აქვს იცოდეს საკუთარი წარმომავლობა.<sup>1</sup> ამ შემთხვევაში, შესაძლებელია ერთმანეთთან კოლიზიაში მოვიდეს ბავშვის უფლება საკუთარ წარმომავლობაზე და ქალის უფლება სქესობრივი კავშირის საიდუმლოებაზე (მათ შორის, ბავშვის ჩასახვის დროისათვის). ბავშვს, ასევე, უფლება აქვს იცოდეს იგი მშობლების ბიოლოგიური შვილია, თუ ნაშვილები.

### III. 9. ეკონომიური თავისუფლება. სახელმწიფოებო თავისუფლება

ქვეყნის საყოველთაო თავისუფლებიდან გამომდინარეობს ეკონომიური და სახელმწიფოებო თავისუფლებაც, თუ იგი არ ზედება სხვა, სპეციალური ძირითადი უფლებების მოქმედებაში.

პიროვნების თავისუფალი განვითარების კონსტიტუციური ნორმა მოითხოვს ინდივიდს მიეცეს სამეწარმეო ნიჭისა და უნარის განვითარების შესაძლებლობა. სამეწარმეო უნარის განვითარების სფერო ხელშეუხებელია.<sup>2</sup> ამასთანავე, სამეწარმეო და ეკონომიკური საქმიანობა უნდა წარიმართოს არსებული კონსტიტუციური მართლწესრიგის ფარგლებში. გადასახადის დადგენა, მართალია, ერევა ინდივიდის ეკონომიკური თავისუფლების სფეროში, მაგრამ არ არღვევს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, თუ მეწარმეს აქვს შესაბამისი სფეროს ეკონომიკურად განვითარების შესაძლებლობა.<sup>3</sup>

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის უცხოა დაეგვიზოს ინსტიტუტი, ასევე ფასების სახელმწიფო რეგულირება. ამავე დროს, ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია, თუ იგი გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.<sup>4</sup> საჯარო სამართლებრივი გაერთიანების სავალდებულო წევრობა არ ეწინააღმდეგება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, თუ ეს გაერთიანება ახორციელებს ლეგიტიმურ საჯარო სამართლებრივ ფუნქციებს და თუ დაცულია თანაზომიერების პრინციპი.<sup>5</sup> ამ თვალსაზრისით, სავსებით დასაშვებია, რომ დადგინდეს სხვადასხვა სამეურნეო-ეკონომიკურ და თავისუფალი პროფესიის პალატებსა და გაერთიანებებში სავალდებულო წევრობა.<sup>6</sup>

გადასახადები უნდა დადგინდეს კონსტიტუციის მოთხოვნათა დაცვით.<sup>7</sup> გადასახადები გარკვეულ ფარგლებში აქცევს პირის ეკონომიკური მოქმედების თავისუფლებას. ამავე დროს, გადასახადები არ არღვევს თავისუფალი განვითარების უფლებას, თუ პიროვნებას დატოვებული აქვს თავისუფალი ეკონომიკური მოქმედების საკმარისი სფერო.

გადასახადის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს სამართლებრივი სახელმწიფოსა და თანაზომიერების პრინციპს. ეს იმას ნიშნავს, რომ გადასახადის გადამხდელ პირს თავისი საშემოსავლო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების (გადასახადების

<sup>1</sup> BVerfGE 79, 256 ff.

<sup>2</sup> BVerfGE 50, 366.

<sup>3</sup> BVerfGE 75, 154.

<sup>4</sup> BVerfGE 18, 327.

<sup>5</sup> BVerfGE 15, 235.

<sup>6</sup> Schmidt-Bleibtreu, Klein, Kommentar zum Grundgesetz, S. 159.

<sup>7</sup> BVerfGE 6, 32.

გადახდის) შემდეგ უნდა რჩებოდეს მინიმალური საარსებო საშუალება (მათ შორის ოჯახისათვისაც).<sup>1</sup>

#### IV. ჩარევის ფარგლები

თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევის ფარგლებს განსაზღვრავს კანონმდებელი, და არა აღმასრულებელი ხელისუფლება. აღმასრულებელ ხელისუფლებას მხოლოდ კანონის საფუძველზე შეუძლია ჩაერიოს პიროვნების თავისუფალი განვითარების სფეროში.

ნებისმიერი აქტი, რომელიც პიროვნების თავისუფალი განვითარების სფეროს ეხება, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნორმის ადრესატისათვის და აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს.

კანონი მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს ჩარევის შინაარსს, მიზანსა და ფარგლებს. მოქალაქეს წინასწარ უნდა შეეძლოს ჩარევის ფარგლების განსაზღვრა და მათი პროგნოზირება.<sup>2</sup> თავისუფალი განვითარების უფლების სფეროში შეზღუდვები უნდა იყოს საკმარისად კონკრეტული. დაუშვებელია უკუშაბლა მიენიჭოს ისეთ კანონს, რომელიც ამძიებს პირის მდგომარეობას სახელმწიფოსთან მიმართებით (განსაკუთრებით საგადასახადო კანონმდებლობას).

სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპიდან გამომდინარე, მოქალაქეს უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ ერთხელ მიღებული გადაწყვეტილება აღიარებული იქნება როგორც მართებული და სწორი. სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის შინაარსს აყალიბებს არა მარტო მატერიალური სამართლიანობა, არამედ სამართლებრივი უსაფრთხოებაც. სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი ხშირად ეწინააღმდეგება მატერიალური სამართლიანობის იდეას. კანონმდებელი წყვეტს, თუ რომელ მათგანს მიანიჭოს უპირატესობა.

მე-16 მუხლით დაცული უფლება აქვს ადამიანს, როგორც სოციალური ერთობის, საზოგადოების. წევრს. მხოლოდ საზოგადოებაში შეუძლია ადამიანს საკუთარი პიროვნულობის რეალიზაცია. საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება არ უნდა არღვევდეს საზოგადოებრივ წესებს, სხვათა უფლებებსა და დემოკრატიულ კონსტიტუციურ წესრიგს. ინფორმაციული თვითგამორჩევის სფეროში ადამიანის უფლების ნებისმიერი შეზღუდვა გამართლებულია საერთო ინტერესებიდან გამომდინარე და უნდა მოხდეს მხოლოდ კანონით. კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს თანაზომიერების პრინციპი, აგრეთვე პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დაცვის ორგანიზაციული და პროცესუალური გარანტიები.<sup>3</sup>

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება იცავს არა პირის უსაზღვრო თავისუფლებას, არამედ მხოლოდ ინდივიდუალური თვითგამორჩევისა და გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებას. ამ უფლებიდან არ გამომდინარეობს, რომ პიროვნება დაცულია ნებისმიერი შეზღუდვისაგან. ამა თუ იმ საზოგადოებრივი ან კერძო დაწესებულებებით სარგებლობის შეზღუდვა არ ნიშნავს, რომ დარღვეულია თავისუფალი

<sup>1</sup> BVerfGE 78, 232ff

<sup>2</sup> *სადავო თამისი ვაერთანებული სამეფოს წინააღმდეგ (Sunday Times v. UK)*, 1979 წლის 26 აპრილი.

<sup>3</sup> BVerfGE 35, 399.

განვითარების უფლება, თუ იგი დაკავშირებულია გარკვეული საფასურის გადახდასთან (მაგალითად, გამოფენაზე დასასწრებად აუცილებელია ბილეთის შეძენა), ან იცავს სხვა სამართლებრივ სიკეთეს (მაგალითად, კერძო საკუთრებას).

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ განავითარა ე.წ. სფეროების თეორია, რომლის თანახმადაც, პიროვნების თავისუფალი განვითარების განსხვავებული სფეროები ერთმანეთისაგან გამოიჯნულია ჩარევის განსხვავებული შესაძლებლობის მიხედვით. კერძოდ, სასამართლო გამოყოფს ინტიმურ, პირად და სოციალურ სფეროებს. ინტიმური სფერო განმარტებულია როგორც ხელშეუხებელი, და რომელიც უნდა იყოს საჯარო ხელისუფლების ყოველგვარი ზემოქმედებისაგან.<sup>1</sup> პირად სფეროში ჩარევა, მართალია, დასაშვებია, მაგრამ უნდა მოხდეს თანაზომიერების პრინციპის მკაცრი დაცვით<sup>2</sup> სოციალურ სფეროში ჩარევა დასაშვებია „ნორმალური“ კრიტერიუმების საფუძველზე.<sup>3</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხორციელებული ზემოაღნიშნული კლასიფიკაცია გაკრიტიკებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ სფეროების ერთმანეთისაგან გამოიჯნა პრაქტიკულად შეუძლებელია და, გარდა ამისა, მათ, ასევე, განსხვავებული შინაარსი აქვს.<sup>4</sup> ამ საკითხზე არაერთგვაროვანია კონსტიტუციური მართლმსაჯულების პრაქტიკაც. მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ პირადი დღიური არ მიაკუთვნა ინტიმურ სფეროს და დაუშვა მისი გამოქვეყნების შესაძლებლობა სისხლის სამართლის სასამართლო პროცესში.<sup>5</sup>

საბანკო ანგარიშებისა და საგადასახადო მონაცემების ხელმისაწვდომობა არ ზღუდავს არც ბანკების, არც მისი კლიენტების ეკონომიკური საქმიანობისა და სახელმეკრულებო თავისუფლებას.

ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება არ გამოძინარეობს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან. ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების სამართლებრივი აკრძალვები და შეზღუდვები არ არღვევს კონსტიტუციით დაცულ პიროვნების თავისუფალი განვითარების სფეროს.<sup>6</sup>

## V. შუილუდვის ფარგლები

თავისუფალი განვითარების უფლება დაცულია მხოლოდ კონსტიტუციური წესრიგის ფარგლებში. კონსტიტუციური წესრიგის ცნება მოიცავს იმ ნორმების ერთობლიობას, რომლებიც ფორმალურად და მატერიალურად შეესაბამება კონსტიტუციას. კონსტიტუციურ წესრიგს აყალიბებს არა მარტო კანონები (ფორმალური გაგებით), არამედ სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე აქტები (მათ შორის, თვითმმართველობის ორგანოთა აქტებიც). ინდივიდის თავისუფალი მოქმედების სფერო შეიძლება შეზღუდოს არა მარტო კონსტიტუციამ ან კონსტიტუციის საფუძველზე გამოცემულმა ნორმამ, არამედ სამართლის ყველა ნორმამ, რომელიც ფორმალურად და მატერიალურად შეესაბამება კონსტიტუციას. ნორმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციურ პრინციპებსაც.

<sup>1</sup> BVerfGE 6, 32.

<sup>2</sup> BVerfGE 27, 344.

<sup>3</sup> BVerfGE 35, 35.

<sup>4</sup> Mangoldt/Klein, Grundgesetz. Kommentar, I, Art. 2. Rdn 11.

<sup>5</sup> BVerfGE 80, 367.

<sup>6</sup> BVerfGE 96 145.

## V. I. თანაზომიერების პრინციპი

თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვისას უნდა გავითვალისწინოთ თანაზომიერების პრინციპი. თანაზომიერების პრინციპი არის დაუწერელი კონსტიტუციური პრინციპი და, მასმასაღამე, კონსტიტუციური რანგისაა. თავისუფალი განვითარების უფლების ნებისმიერი შეზღუდვა მართლზომიერი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი (სხვა პირობებთან ერთად) განხორციელებულია თანაზომიერების პრინციპის დაცვით. თანაზომიერების პრინციპი არკვევს, თუ რით უკავშირდება სხვა პირობისა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებს ის ინდივიდუალური ქცევა, რომელიც (სავარაუდოდ) უნდა შეიზღუდოს. უნდა დადგინდეს, რამდენად გამართლებულია ჩარევა საერთო ინტერესიდან და, მასმასაღამე, კონსტიტუციური მართლწესრიგის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე. ამასთანავე, უნდა გაირკვეს, რამდენად დასაშვებია მსგავსი საშუალებით თავისუფალი ქცევის სფეროში ჩარევა.

თანაზომიერების პრინციპი დარღვეული იქნება იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოზე მისაღებად კანონი მოითხოვს ისეთი ცნობებისა და ინფორმაციის წარდგენას, რომლებიც არ უკავშირდება სამსახურებრივ საქმიანობას. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით პიროვნების თავისუფალი განვითარების სფეროში თანაზომიერების პრინციპს არღვევდა კანონი ნადირობის წესების შესახებ, რომელიც მტაცებელი ფრინველით (ქორით) ნადირობის უფლების მოსაპოვებლად პირისაგან მოითხოვდა იარაღის ტექნიკურ-სამართლებრივ ცოდნასა და სროლაში გამოცდის ჩაბარებას.<sup>1</sup> საერთო სარგებლობის ადგილებში (ქუჩა, მოედანი) მტრედებისათვის საკვების მიცემის აკრძალვა არ ეწინააღმდეგება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდი ამ ფორმით გამოხატავს ცხოველებისადმი სიყვარულს. მართალია, ეს უკანასკნელი პიროვნული განვითარების სფეროს განეკუთვნება, მაგრამ ექვემდებარება საჯარო ზელისუფლების ჩარევას. მოქალაქე ვალდებულია დაიცვას საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე მოთხოვნები, რომლებიც შეესაბამება საზოგადოების ინტერესებს და თანაზომიერების პრინციპს.<sup>2</sup>

კანონმდებელი, რომელიც თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარე, ზედამხედველობას უწევს ცალკეულ ქვეყნებს, ადგენს, რომ ცალკეული საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა სახელმწიფო ორგანოების წინასწარი ნებართვა. მთავარია, რომ კანონმდებელმა გადაწყვეტილება მიიღოს თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე. სახელმწიფო კონტროლის ფარგლები და ფორმა უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული ვითარების ინდივიდუალურ თავისებურებებს. გარდა ამისა, კანონი შინაარსობრივად უნდა არეგულირებდეს ამ სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობას. კანონი, ასევე, ზუსტად უნდა განსაზღვრავდეს ამა თუ იმ საქმიანობაზე ნებართვის გაცემის (ან არგაცემის) წესსა და პირობებს, იმ საფუძველზე, რომელზე დაყრდნობითაც სახელმწიფო ორგანოს შეუძლია არ გასცეს ნებართვა. ასეთი უარი გამართლებული უნდა იყოს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე. რაც უფრო გამკაცრებულია ნებართვის მიღების საფუძველები, მით უფრო დასაბუთებული და გამართლებული უნდა იყოს იგი.

<sup>1</sup> B VerfGE 55, 159 ff.

<sup>2</sup> B VerfGE 54, 143.



## V. 2. მორალი

პიროვნების თავისუფალი საქმიანობის უფლება ზღვარდადებულია გაბატონებული მორალური წარმოდგენებით. ამავე დროს, სადავოა, თუ რა უნდა ვიგულისხმობთ „მორალში“. ცალკეული შეხედულებების თანახმად, „მორალის“ ცნება მოიცავს ტრადიციულად ჩამოყალიბებულ მორალურ წარმოდგენებს.<sup>1</sup> თუმცა, მორალურ წარმოდგენათა სწრაფი და დინამიკური ცვლილებების გათვალისწინებით ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რა არის „ტრადიციული მორალი“.<sup>2</sup>

კანონმდებლობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მორალს – ამორალური კანონი არ შეიძლება იყოს კონსტიტუციური წესრიგის ნაწილი. კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს, თუ რამდენად შესაბამეა მის მიერ დადგენილი ქცევის წესი გაბატონებულ მორალურ წარმოდგენებს. თუ ესა თუ ის ქცევა საზოგადოების მიერ განიხილება როგორც ამორალური, კანონმდებელი უფლებამოსილია თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე იგი სასჯელის მუქართაც აკრძალოს.<sup>3</sup>

„მორალი“ არ გულისხმობს მხოლოდ მოცემული დროისათვის გაბატონებულ მორალურ წარმოდგენებს. ეთიკურ ნორმებს შესაძლებელია მიენიჭოს ფუნდამენტური მნიშვნელობა, როდესაც ისინი მოქმედებს როგორც ხელშეუხებელი ზეპოზიტიური ნორმები. თუ კონსტიტუცია ზეპოზიტიურ ნორმებს სავალდებულოდ აღიარებს, იგი მთლიანად დაემორჩილება ამ (ზეპოზიტიური) ნორმების ლოგიკას, რამდენადაც ეს ნორმები აბსოლუტურად მოქმედებს (თუ ისინი საერთოდ მოქმედებს).<sup>4</sup> ამ შემთხვევაშიც აუცილებელია მორალური კანონის კონკრეტიზაცია.

ბუნებისამართლებრივი შეხედულებებიც ექვემდებარება ცვალებადობას. კონსტიტუცია, რომელიც აღიარებს მსოფლმხედველობით ნეიტრალიტეტს, გამორიცხავს ეთიკური წარმოდგენების იდენტიფიკაციას განსაზღვრული მსოფლმხედველობის ან რელიგიის საფუძველზე.<sup>5</sup> სამართლებრივ სახელმწიფოში მორალურ კანონს პრაქტიკული დანიშნულება არა აქვს, რადგან პოზიტიური სამართალი არ უშვებს ადამიანის ღირსების შელახვას და, შესაბამისად, მორალური კანონის შეუსრულებლობა არღვევს კონსტიტუციური მართლწესრიგის ფარგლებს. მორალური კანონი მხოლოდ მაშინ იძენს მნიშვნელობას, თუ კანონმდებელი არ იცავს ადამიანის ღირსებას და აუქმებს შესაბამის დამცავ ნორმას.<sup>6</sup>

თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარეობს, რომ უმრავლესობა ტოლერანტული უნდა იყოს უმცირესობის მიმართ, რომლის მორალური წარმოდგენებიც საერთო-საზოგადოებრივი ზნეობრივი ორიენტირებისაგან რამდენადმე განსხვავებულია.

<sup>1</sup> იხ.: Sachs, Grundgesetz, S. 154.

<sup>2</sup> იქვე. 155.

<sup>3</sup> BVerfGE 6, 433.

<sup>4</sup> იხ.: Sachs, Grundgesetz, S. 155.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე.

## V. 3. „სხვათა უფლებები“

ადამიანის თავისუფალი განვითარების უფლება მხოლოდ იმ საზღვრებშია დაცული, სანამ იგი არ არღვევს სხვა ადამიანის უფლებებს. „სხვათა უფლება“ გულისხმობს სამართლით დადგენილ უფლებებს, და არა ინტერესს.<sup>1</sup> ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ამ შემთხვევაში „სხვათა უფლებები“ არ გულისხმობს კონსტიტუციით დადგენილ ძირითად უფლებებს, რომლებიც არ მოქმედებენ მესამე პირების მიმართ. ძირითად უფლებებს კერძო პირები ვერ დაარღვევენ და ამიტომ, ეს ნორმები თავისუფლების საზღვრებსაც ვერ დაადგენს.<sup>2</sup> ამავე დროს, კერძო სამართლის სათანადო ნორმები განმარტებული უნდა იყოს ძირითადი უფლებების გათვალისწინებით და კონსტიტუციის შესაბამისად.<sup>3</sup>

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების რეალიზაცია არ უნდა მოხდეს სხვათა უფლებების ხარჯზე. ამავე დროს, „სხვათა უფლებებიც“ არ უნდა იყოს იმ სახით ჩამოყალიბებული, რომ შეზღუდოს ინდივიდის თავისუფლება. ბინის გამქირავებელი, რომელიც სარგებლობს მესაკუთრის სტატუსით, გამქირავებელს ხელშეკრულებით უკრძალავს სახლში სტუმრების მიღებას. გამქირავებლის მოქმედება (მიუხედავად იმისა, რომ იგი ბინის მესაკუთრეა) მხოლოდ მაშინ იქნება მართლზომიერი, თუ დაამტკიცებს, რომ ბინაში სტუმრების მიღება დაარღვევს მესამე მხარის (მაგალითად, სხვა დამქირავებლის) უფლებებს.<sup>4</sup>

<sup>1</sup> Pieroth/Schlink, Grundrechte, S. 102.

<sup>2</sup> Sachs, Grundgesetz, S. 154.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> Reihe Alternativkommentare. Kommentar Zum Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, 1984, S. 311.

*მუხლი 17.*

*„1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.*

*2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.“*

**I. შესავალი**


თავისუფალი პიროვნება და მისი ღირსება საქართველოს კონსტიტუციის უზენაესი ღირებულება და უმნიშვნელოვანესი პრინციპია. კონსტიტუციით ადამიანი მიჩნეულია ინდივიდად, რომელსაც აქვს თავისი ცხოვრების დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით ჩამოყალიბების შესაძლებლობა და უნარი. ამ უნარიდან გამომდინარე, ყველა უნდა იყოს უზრუნველყოფილი საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების შესაძლებლობით. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალური სფეროებისათვის ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ საშუალება შეძლებისდაგვარად ხშირად და მასშტაბურად მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სახელმწიფო ვალდებულია ადამიანს ამისათვის შეუქმნას შესაბამისი პირობები და მისცეს თავისუფალი ცხოვრებისა და საქმიანობის საშუალება. სწორედ აქ დევს თვითმმართველობისა და დემოკრატიის ფესვები და სწორედ ადამიანის ღირსების ფუნდამენტური მნიშვნელობა უდევს საფუძვლად დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს პრინციპს – ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვას.

**II. დაცული სფერო**

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, *„ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.“* იმავე მუხლის მე-2 პუნქტით კი *„დაუშვებელია ადამიანის წამება, მის მიმართ არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის მეოხედების გამოყენება.“* კონსტიტუციის მე-15 მუხლის განხილვისას უკვე აღინიშნა, რომ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით ფაქტობრივად გადმოცემულია ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლების შინაარსი, რომლის საფუძველია სიცოცხლის უფლება. ეს უფლება ავრცობს ადამიანის, როგორც დამოუკიდებელი ინდივიდისა და თავისუფალი პიროვნების ხელშეუხებლობისა და ფიზიკური არსებობის უფლებას ადამიანის სხეულის ხელშეუხებლობით და ადგენს ადამიანის დაცვის ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურ საზღვარს. ამავე დროს, ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება განუყოფლად არის დაკავშირებული ღირსებასთან და სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლების თითქმის ყველა დარღვევა ასევე არღვევს ადამიანის ღირსებას. სწორედ ამიტომ არის გადმოცემული აღნიშნული უფლება კონსტიტუციის მე-17 მუხლში ადამიანის ღირსებასთან ერთად.

აღნიშნულ მუხლში მოცემული ძირითადი უფლების შინაარსისა და ამ უფლებით დაცული სფეროს განსაზღვრა მეტად რთულია. საუკუნეების განმავლობაში ფილოსოფიური მოძღვრებები მას სხვადასხვაგვარად განსაზღვრავდნენ. თუმცა უდავოა ის გარე-

მოება, რომ ადამიანის ღირსების“ შინაარსისა და მნიშვნელობის განვითარება ისტორიულად მჭიდროდ არის დაკავშირებული ქრისტიანობასთან. მოძღვრება ადამიანის უფლებებზე სწორედ ქრისტიანულ სამყაროში წარმოიშვა და განვითარდა. ამ განვითარების შედეგად თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში ადამიანი აღიარებულია როგორც თავისუფალი პიროვნება და დამოუკიდებელი ინდივიდი, რომელსაც აქვს საკუთარი ღირსება, ღირებულება, რის გამოც იგი არ შეიძლება იქცეს რაიმეს ობიექტად ან ინსტრუმენტად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანი არასოდეს არ უნდა იქცეს მიზნის მისაღწევ საშუალებად, იგი ყოველთვის მიზანი უნდა იყოს.



საყურადღებოა, რომ მე-17 მუხლში ადამიანის „ღირსებასთან“ ერთად მოხსენიებულია „პატივი“ და გაცხადებულია „პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა“, რაც გაუგებრობას იწვევს, რადგან „პატივი“ სულაც არ არის „ღირსების“, როგორც ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე ძირითადი უფლების, თანასწორი კონსტიტუციური სიკეთე. საყარაულოა, რომ კონსტიტუციის შექმნისას მე-17 მუხლში მარტივად მოხდა სამოქალაქოსამართლებრივი ტერმინის „პატივისა და ღირსების“ გადმოტანა, რომელსაც სულ სხვა დატვირთვა აქვს და არ შეესაბამება ადამიანის ღირსების ფუნდამენტურ მნიშვნელობას და მის კონსტიტუციურ გაგებას. სამოქალაქოსამართლებრივი თვალსაზრისით, პიროვნების „პატივი“ ნიშნავს პიროვნების მორალური თუ სხვა თვისებების საზოგადოებრივ შეფასებას. პატივი ადამიანის ობიექტური საზოგადოებრივი შეფასებაა, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას კონკრეტული პიროვნების მიმართ. პიროვნების „ღირსება“ კი სამოქალაქოსამართლებრივი გაგებით ნიშნავს საკუთარი მორალური თუ სხვა თვისებების, უნარის, საზოგადოების წინაშე მისი ვალის მოხდის, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასებას თვით პიროვნების მიერ. ამასთან, ეს თვითშეფასება ემყარება მორალური თუ სხვა თვისებების შეფასების საზოგადოების მიერ აღიარებულ კრიტერიუმებს.<sup>1</sup> ადამიანის ღირსების, როგორც ფუნდამენტური ძირითადი უფლებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპის კონსტიტუციური გაგება სულ სხვაა, იგი არ გულისხმობს ადამიანის საზოგადოებისაგან შეფასებას ან პიროვნების მიერ საკუთარი მორალური თვისებებისა და საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის თვითშეფასებას, იგი გაცილებით უფრო არსებითია, უფრო მნიშვნელოვანია და განსაზღვრავს თვით ადამიანის რაობას, დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის

<sup>1</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, „სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი“, მ. 18 - პირადი არაქონებრივი უფლებები, თ. ნინიძის კომენტარი.

მნიშვნელობას და როლს. ადამიანის ღირსების, როგორც ფუნდამენტური კონსტიტუციური სიკეთის, მნიშვნელობა კვინდება იმაშიც, რომ ადამიანის ღირსების ძირითადი უფლებით დაცული სფერო მოიცავს აბსოლუტურად ყველა ადამიანს. აქ ადამიანთა ღირსების დაცვა რამე ნიშან-თვისების მიხედვით დაუშვებელია. კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული „ადამიანის ღირსება“ ერთდროულად აქვს ქალს და კაცს, ბავშვს და მოზუცს, კანონმორჩილ მოქალაქეს და არცეიღვისს. ღირსება თვით დედის სხეულში მყოფ ემბრიონსაც აქვს. ღირსება არ არის დაკავშირებული:

- ა) უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობასთან;
- ბ) ღირსების შეგრძნების შესაძლებლობასთან;
- გ) შეგნებასთან, რომ ღირსების მფლობელი ხარ.

შესაბამისად, ღირსება აქვს როგორც ნაყოფს (nasciturus), ისე რამე ფიზიკური ნაკლით დაბადებულს თუ სულით ავადმყოფს. ადამიანის ღირსება ვრცელდება აგრეთვე გეგმზე და გარდაცვლილი ადამიანის ხსოვნაზე. პატიმრებსაც, რომლებიც ბრალდებული თუ მსჯავრდებული არიან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისათვის, აქვთ ღირსება.

ადამიანის ღირსების ფუნდამენტური კონსტიტუციური მნიშვნელობა იმაშიც გამოიხატება, რომ სწორედ ღირსების საფუძველზე ყოველი ადამიანი აღიარებულია საკუთარი პასუხისმგებლობის მქონე დამოუკიდებელ და თავისუფალ პიროვნებად. ღირსების მნიშვნელობიდან გამომდინარე, არავინ არ შეიძლება გახდეს სახელმწიფოს საქმიანობის „შემველი ობიექტი“. ადამიანის ღირსება დაირღვევა მაშინ, როცა მას ღვენის, დამცირების, უფლების აყრის გზით მოეპყრობიან, როგორც საგანს. ამასთან, ღირსება არ არის ხელშესახები, ასევე არ შეიძლება მისი დაკარგვა. არც სახელმწიფოს შეუძლია რამე პირობების არსებობისას ადამიანს ღირსება მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოართვას და არც ადამიანი კარგავს ღირსებას თავისი უღირსი საქციელით, საქმიანობით თუ ცხოვრების სტილის გამო. ასეთი საქციელითა თუ ცხოვრების სტილით ადამიანმა შეიძლება დაკარგოს პატივი, უფრო სწორად, პატივის ხარისხი და საზოგადოების მხრიდან მისი თვისებების შეფასება სრულიად სხვაგვარი იყოს, მაგრამ ეს არ ეხება კონსტიტუციის მე-17 მუხლით აღიარებულ „ღირსებას“, რომელიც გულისხმობს, რომ სადაც კი არსებობს ადამიანი, იქვეა მისი ღირსებაც და არა აქვს მნიშვნელობა, ღირსების მფლობელს ესმის თუ არა ეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ღირსებით გარანტირებული დაცვა, მისი შინაარსიდან გამომდინარე, არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე.

ღირსების ძირითადი უფლებით ადამიანის დაცვა უზრუნველყოფილია ოთხი ძირითადი მიმართულებით, ესენია:

- ა. ადამიანის სხეულის მთლიანობის, ფიზიკური ხელშეუხებლობის დაცვა;
- ბ. ადამიანის ღირსეულად ცხოვრებისათვის აუცილებელი სამართლიანი სოციალური პირობების უზრუნველყოფა;
- გ. სამართლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფა;
- დ. ადამიანის, როგორც თავისუფალი ინდივიდის პიროვნულობის დაცვა კონსტიტუციის მე-16 მუხლით აღიარებული საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან კავშირში.

ა) ადამიანის სხეულის მთლიანობის, ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების ანალიზი მოცემულია კონსტიტუციის მე-15 მუხლის განხილვისას სიცოცხლის ძირითად უფლებასთან კავშირში. იქ უკვე აღინიშნა, რომ მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით

ფაქტობრივად გადმოცემულია ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების ძირითადი შინაარსი. მიუხედავად ამ დებულების მე-17 მუხლში არსებობისა, ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება შინაარსობრივად გაცილებით ფართო და მრავლისმომცველია, არ შემოიფარგლება მხოლოდ წამებისა და სასტიკი მოპყრობის აკრძალვით და მჭიდროდ არის დაკავშირებული სიცოცხლის ძირითად უფლებასთან. სიცოცხლის უფლება, ადამიანის ღირსებასთან ერთად, ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლების საფუძველია. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია ამ უფლების ცალკე, დამოუკიდებელ ძირითად უფლებად განხილვა. ყოველივე ამასთან ერთად, როგორც უკვე აღინიშნა, ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება განუყოფლად არის დაკავშირებული ღირსებასთან და სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლების თითქმის ყველა დარღვევა ასევე არღვევს ადამიანის ღირსებას. სწორედ ამიტომ არის გადმოცემული ეს უფლება მე-17 მუხლში ადამიანის ღირსებასთან ერთად.

მედიცინის სფეროში ბოლო წლების განმავლობაში განვითარებული მეცნიერული მიღწევების პარალელურად კიდევ უფრო ნათელი გახდა ადამიანის ღირსების, როგორც დემოკრატიულ საზოგადოებაში თავისუფალი პიროვნების არსებობისა და რაობის განმსაზღვრელი უზენაესი ღირებულების, მნიშვნელობა. ადამიანის ორგანიზმის ინტენსიური მეცნიერული შესწავლის შედეგად მიღწეული წარმატებების შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა პიროვნების ფიზიკურ მთლიანობაში ჩარევის ახალი სამედიცინო მეთოდების „ადამიანის ღირსებასთან“ შესაბამისობის საკითხი. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ხელოვნური განაყოფიერების სფეროს, კონკრეტულად ე.წ. in-vitro განაყოფიერებას. თავად ეს პროცესი და შემდგომ ემბრიონის გადატანა ქალის სხეულში სრულად შეესაბამება ადამიანის ღირსებას, რადგან, სწორედ ღირსებიდან გამომდინარე, ადამიანს აქვს უფლება თავად განსაზღვროს შეიღების დაბადების დრო და რაოდენობა, ხოლო, თუ გარკვეული ბიოლოგიური მიზეზების გამო შეუძლებელია მეუღლეებს (ან მარტოხელა ქალს) ჰყავდეთ ბავშვი, მათ შეუძლიათ მიმართონ სპეციალურ სამედიცინო დაწესებულებას და გამოიყენონ in-vitro, იგივე ექსტრაკორპორული განაყოფიერების მეთოდი. ასევე დასაშვებია აღნიშნული განაყოფიერების მეთოდის გამოყენება განაყოფიერების თვალსაზრისით მამაკაცის ბიოლოგიური შესაძლებლობების დადგენის მიზნით. მაგრამ ამ პროცესში შეიძლება წარმოიშვას დამატებითი ემბრიონები და აუცილებელია მათი სამართლებრივი მდგომარეობის დადგენა იმ თვალსაზრისით, დასაშვებია თუ არა მათი კონსერვაცია, სელექცია ან კვლევების ჩატარება და სამედიცინო ექსპერიმენტისათვის გამოყენება. ამ საკითხზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სწორედ ადამიანის ღირსების მნიშვნელობის გათვალისწინება. დღეისათვის დემოკრატიულ სახელმწიფოთა გარკვეული ნაწილი ასეთ ემბრიონებზე მათი ბიოლოგიური მშობლების (ან კონკრეტული პიროვნების) უფლებას ადასტურებს, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება. თუმცა, როცა დგება საკითხი ემბრიონების შენარჩუნების, ანუ საერთოდ მათი არსებობის შესახებ, აქ უკვე გასათვალისწინებელია სიცოცხლისა და, მასთან ერთად, ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებები. ყველა შემთხვევაში, აღნიშნული თვალსაზრისით, საკითხი საკმაოდ პრობლემატურია და მასზე ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული საერთო სამართლებრივი შეხედულება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გენური ინჟინერიის განვითარების შედეგად აღ-

ამიანის გენებზე, გენეტიკურ კოდზე მიმდინარე მეცნიერული კვლევებისა და მათ შედეგად მიღებული შედეგების კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეფასება. ადამიანის სომატურ (soma) უჯრედებზე ჩატარებული სამედიცინო კვლევების კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეფასება პრობლემურია, რადგან აქ საქმე ეხება ერთ ან რამდენიმე ადამიანს, ანუ ადამიანთა შეზღუდულ რაოდენობას, რომლებიც თანხმანი არიან ასეთ მკურნალობაზე. შეფასებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აქ წინა პლანზე გამოდის არა ღირსება, არამედ ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება. გარკვეული სირთულეები წარმოიშობა ადამიანის მყიფე, განაყოფიერების უნარის მქონე სქესობრივ უჯრედებზე (gameta, „გამეტა“) განხორციელებული კვლევების კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეფასებისას. სახელმწიფოთა უმრავლესობაში ასეთი კვლევები დაუშვებლად არის მიჩნეული. თუმცა, სავარაუდოა, რომ, თუ შესაძლებელი იქნება კონტროლირებადი და ქმედითი მანიპულაციების განხორციელება ადამიანის გამეტაზე, შეიძლება დასაშვები იყოს ე.წ. ნეგატიური (კურაციული, პრევენციული) მკურნალობის განხორციელება. ასეთი მკურნალობის დასაშვებობის აუცილებელი პირობა იქნება მძიმე გენეტიკურ (მემკვიდრეობით) დაავადებათა კატალოგის შედგენა და სამართლებრივი განსაზღვრა, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება კონკრეტულ შემთხვევაში მკურნალობის ჩატარება და მოცემული გენეტიკური დაავადების განკურნება. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, არ შეიძლება დასაშვებად მივიჩნიოთ ე.წ. პოზიტიური („მელიორაციული“) მკურნალობა, როცა ექიმებს ექნებათ საშუალება ჩაერიონ ჯანმრთელი ადამიანის გენეტიკურ კოდში და შექმნან კიდევ უფრო ჯანმრთელი, ახალი „ჯიშის“, მაგალითად, ყინვაგამძლე ადამიანები. ამას უკავშირდება მუტანტების, ჰიბრიდებისა თუ კლონირების პრობლემაც. სწორედ ადამიანის ღირსების ფუნდამენტური კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობა წარმოადგენს ადამიანის „ოპტიმიზაციის“ მიზნით ასეთი სისტემატური ჩარევის წინააღმდეგ მიმართულ გადაულახავ სამართლებრივ ზღუდეს.

ბ) ღირსების განსაკუთრებული, ფუნდამენტური მნიშვნელობა იკვეთება მეორე მიმართულებითაც, კერძოდ კი იმით, რომ იგი არა მარტო დამცავი ძირითადი უფლებაა (status negativus — სახელმწიფომ არ უნდა განახორციელოს არავითარი ინტერვენცია ადამიანის ღირსებით დაცულ სფეროში, არ უნდა შელახოს ადამიანის ღირსება), არამედ მას ე.წ. „აქტიური სტატუსიც“ (status activus) აქვს. იგი სახელმწიფოსაგან მოითხოვს ადამიანების ელემენტარული სამართლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფას. ადამიანებს არ შეიძლება მიენიჭთ განსხვავებული (დაბალი და მაღალი რანგის) სამართლებრივი სტატუსი. სწორედ აქედან გამომდინარე, დაუშვებელია და ადამიანის ღირსების შელახვად ითვლება მონობა და რასისტული დისკრიმინაცია, აგრეთვე სავალდებულო ან იძულებითი შრომა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მონობა, დამონებული მდგომარეობა მოიცავს ფიზიკური პირის კონტროლის განხორციელების შორს მიმავალ ფორმებს და ხასიათდება ყოფის ჩაგრული, შეურაცხყოფილი პირობებით, რომლის შეცვლაც პირს არ ძალუძს და რომლისგანაც თავის დაღწევა შეუძლებელია.<sup>1</sup> ტერმინის — „იძულებითი ან სავალდებულო შრომა“ — განსაზღვრისას კი სასამართლომ გამოიყენა შრომის

<sup>1</sup> ვან დროენბროეკი ბელგიის წინააღმდეგ (Van Droogenbroeck v. Belgium), 1982 წლის 24 ივნისი.

საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ დადგენილი დეფინიციები, სადაც „იძულებითი ან სავალდებულო შრომა“ განსაზღვრულია როგორც „ნებისმიერი სამუშაო ან სამსახური, რომლის შესრულებაც მოითხოვება ნებისმიერი პირისაგან რაიმე სასჯელის დაკისრების მუქარით, ან რომლის შესასრულებლადაც კონკრეტულმა პირმა საკუთარი ნებით არ წარადგინა საკუთარი თავი.“<sup>1</sup>

გ) ადამიანის ღირსების ზემოაღნიშნული „აქტიური სტატუსი“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მესამე მიმართულებით, სადაც იგი სახელმწიფოსაგან მოითხოვს ადამიანის ღირსეულად ცხოვრებისათვის აუცილებელი სამართლიანი სოციალური უზრუნველყოფის სისტემისა და მინიმალური მატერიალური პირობების შექმნას. აქ იგულისხმება როგორც ქვეყნის საზოგადოებრივი, ისე სოციალური სისტემა. ადამიანს უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ საკუთარი უნარის შესაბამისად მიიღოს საჭირო განათლება და საკუთარი შრომით მოიპოვოს ის კანონიერი შემოსავალი, რაც აუცილებელია ღირსეულად ცხოვრებისათვის. აქედან გამომდინარე, ადამიანის ღირსების დარღვევად შეიძლება შეგვაფასოთ სახელმწიფოში არსებული ძალიან მაღალი, არაგონიერული გადასახადები, რომელთა გადახდის შემდეგაც ადამიანს რჩება ის შემოსავალი, რაც არ აძლევს მას ღირსეულად ცხოვრების საშუალებას (მაგალითად, არ შეუძლია თვითონ და საკუთარი ოჯახი უზრუნველყოს ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობებით (შესაბამისი საცხოვრებლით, საკვებით, ტანსაცმლით და ა.შ.)) და აიძულებს შემოსავლის მიღებას არაკანონიერი გზებით.

ადამიანის ღირსების მნიშვნელობა ასევე კარგად ჩანს სისხლის სამართალში, სადაც ეს ძირითადი უფლება ადგენს სახელმწიფო ზელისუფლების საქმიანობის საზღვრებს და ზღუდავს მას. სასჯელი უნდა იყოს სამართლიანი და შეესაბამებოდეს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და დამნაშავეს ბრალს; დაუშვებელია სახელმწიფოს მხრიდან სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი სასჯელის გამოყენება. დანაშაულის ჩამდენი პირი არ უნდა იქცეს დანაშაულთან ბრძოლის შიშველ ობიექტად. ადამიანის არსებობისათვის აუცილებელი ინდივიდუალური და სოციალური პირობები შენარჩუნებული უნდა იყოს ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ეხება სასჯელის აღსრულებასაც. ამ მოთხოვნის გამო უნებურად ჩნდება კითხვა: სამართლიანია თუ არა სასჯელად უკადო თავისუფლების აღკვეთის დადგენა და გამოყენება? აღნიშნულ კითხვას პასუხი გაეცა კონკრეტული სასამართლო საქმის საფუძველზე.<sup>2</sup> ამ საქმეში ადვოკატმა საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი თავისი კლიენტის სახელით, რომელსაც უკადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ადვოკატი სარჩელში მოითხოვდა სასჯელის ამ სახის გაუქმებას. მისი აზრით, უკადო თავისუფლების აღკვეთა არღვევდა ადამიანის ღირსებას, რადგან ამით ადამიანი მთელი სიცოცხლე ოთხ კედელს შორის იქნებოდა გამოწყვედილი, ვეღარ შეძლებდა საკუთარი პიროვნების განვითარებას და, როგორც ინდივიდი, სიცოცხლეშივე მკვდარი იქნებოდა, რადგან იცოდა, რომ საერთოდ არ ჰქონდა განთავისუფლების რეალური, სამართლებრივი შანსი. ადვოკატი იმეორებდა, რომ „დაუშვებელია და ადამიანის ღირსებას არღვევს ისეთი ნორმა, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფომ შეიძლება იძულებით უკადოდ აღუკვეთოს თავისუ-

<sup>1</sup> *Van der Mussel v. Belgium*, 1983 წლის 23 ნოემბერი.  
<sup>2</sup> იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ტ. 45, გვ. 187 და მომდენო.



ფლება პირს, ყოველგვარი შანსისა და იმ იმედის გარეშე, რომ იგი რაღაც დროის შემდეგ შეიძლება განთავისუფლდეს.“ სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს სასჯელი ადამიანის ღირსების უმძიმესი დარღვევაა, მაგრამ მისი არსებობა დასაშვებია, თუ ამასთან ერთად დამნაშავეს ექნება შანსი გარკვეული დროის შემდეგ ისევ მოიპოვოს თავისუფლება. საკონსტიტუციო სასამართლომ მოსთხოვა კანონმდებელს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეეტანა ნორმა, რომლის მიხედვითაც, დამნაშავე, რომელსაც უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, შეიძლება გაათავისუფლებულიყო 20 ან 25 წლის შემდეგ შესაბამისი პირობების არსებობისას (მისი ბრალის სიმძიმე, პატიმრობის პერიოდში მისი საქციელი და ცხოვრების სტილი). აღნიშნული არგუმენტაცია მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან გაბატონებულ სამართლებრივ შეხედულებას წარმოადგენს და შესაბამისი ნორმები არსებობს ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს კანონმდებლობაში. ერთი მხრივ, ამ სასჯელის მიზანია საშიში დამნაშავეს იზოლაცია საზოგადოებისაგან, მეორე მხრივ კი – ადამიანის ღირსება და თავისუფლება, დემოკრატიული საზოგადოების ორი ფუნდამენტური ღირებულება – სახელმწიფოსაგან მოითხოვს ასეთი დამნაშავეისათვის სამართლებრივი შანსის მიცემას, რათა ადამიანს, როგორც სოციალურ ინდივიდს, ჰქონდეს საზოგადოებაში დაბრუნების შესაძლებლობა. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ადამიანის ღირსებიდან გამომდინარე ამ მოთხოვნას და აცხადებს, რომ „*მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოზღისაგან შეიძლება გაათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხდა თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წელი და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა*“<sup>1</sup>.

დ) როგორც აღინიშნა, ღირსების საფუძველზე ადამიანის დაცვის მეოთხე მიმართულებაა ადამიანის, როგორც თავისუფალი ინდივიდის, პიროვნული უფლებების დაცვა კონსტიტუციის მე-16 მუხლით აღიარებული საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან კავშირში. ამას ადასტურებს ის რეალობა, რომლის მიხედვითაც, ადამიანი, როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი პიროვნება და მისი ღირსება საქართველოს კონსტიტუციის უზენაესი ღირებულებებია. მათი განვითარება – ადამიანის თვითგანვითარება – თითოეული ძირითადი უფლების უმთავრესი მიზანია. ღირსება და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება უზრუნველყოფს ადამიანში არსებული პიროვნული უნარის, ძალებისა და შესაძლებლობების თავისუფალ განვითარებას. ასე რომ, კონსტიტუციის მე-17 მუხლი მჭიდროდ უკავშირდება მე-16 მუხლს, რომლითაც აღიარებულია საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება იცავს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა, ერთმანეთისაგან გარკვეული ნიშნებით გამოყოფილ სფეროებს. უპირველეს ყოვლისა, იგი მოიცავს ყოველი ინდივიდის პირადი ცხოვრების სფეროს, რომელსაც იცავს ზოგადი პიროვნული უფლებით, აგრეთვე, ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა ფორმას, რომლებიც დაცულია საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებით. სწორედ ამ ორი ყოვლისმომცველი უფლების ფრთხილად ერთობადაა ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა ზემოხსენებული სფერო. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად ადამიანის ყოველი მოქმედება და უმოქმედობა ხდება


<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 72, ნაწ. 7.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით უზრუნველყოფილი დაცვის ქვეშ. თავის მხრივ, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ყველა მოქმედება, რომლითაც იზღუდება ადამიანის თავისუფლება, არის ჩარევა აღნიშნული ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში; შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფოს ამ მოქმედებებს ჰქონდეს კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კონსტიტუციის მე-16 მუხლი, ადამიანის ღირსების საფუძველზე და მასთან კავშირში მოიცავს ადამიანის საქმიანობის ყველა სახესა და ცხოვრები; ყველა სფეროს, რომელიც არ ზღვდება რომელიმე სპეციალური ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში და ამით უზრუნველყოფს ადამიანის სრულყოფილ დაცვას. უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ღირსებიდან და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილი ყოველი ადამიანის შესაძლებლობა საკუთარი შეზღუდულებისამებრ ჩამოაყალიბოს პირადი ცხოვრების სფერო და შეინარჩუნოს მისი ძირითადი პირობები, ანუ ადამიანის ღირსების საფუძველზე ინდივიდი დაცულია ისეთი ჩარევისაგან, რომელსაც შეუძლია მისი პიროვნულობის შელახვა. აქედან გამომდინარე, სწორედ ადამიანის ღირსება ყველა იმ კონკრეტული უფლების საფუძველი, რომლებითაც დაცულია ადამიანის პირადი ცხოვრების სფერო. ამ კონკრეტულ უფლებათა შორის შეიძლება გამოვყოთ, მაგალითად, ყოველი ადამიანის უფლება საკუთარი წარმოშობის გარკვევაზე, საკუთარი პიროვნების შეგრძნებაზე, საკუთარ სიტყვაზე, საკუთარ სურათზე და საკუთარი პიროვნების წარმოსახვაზე.<sup>1</sup> ადამიანის ღირსების მნიშვნელობა თითოეული ამ უფლების შინაარსში იკვეთება. მაგალითად, საკუთარი პიროვნების შეგრძნების უფლება ნიშნავს თითოეული ინდივიდის თავისუფლებას თავად, ყოველგვარი გარეგანი ჩარევისაგან დამოუკიდებლად შეიგრძნოს და განსაზღვროს საკუთარი პიროვნება ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად, აგრეთვე განსაზღვროს საკუთარი სახელი, სქესი, შეილების რაოდენობა და მათი დაბადების დრო. არავის აქვს უფლება ჩაერიოს თვითგამორკვევის ამ კონკრეტულ სფეროში. ასევე დაუშვებელია აღნიშნული უფლების შემზღუდავი ნორმების დადგენა. აქედან გამომდინარე, თუ ადამიანი დაიბადა სამაკაცად, მაგრამ საკუთარ თავს იგი შეიგრძნობს როგორც ქალს, მას უფლება აქვს დაიკეთოს სქესის შესაცვლელი ოპერაცია და თავისი პიროვნების დამაჯასტურებელ ყველა დოკუმენტში შეიცვალოს სქესი და სახელი. ღირსების ფუნდამენტური მნიშვნელობა აქ სწორედ საკუთარი პიროვნების შეგრძნების შესაბამისად გამოიხატება თავისუფალი გადაწყვეტილების მიღებაში, რომლის მიხედვითაც, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თვითონ განსაზღვროს, თუ როგორ შეიგრძნობს იგი საკუთარ ინდივიდუალიზმს და, საერთოდ, საკუთარ პიროვნებას. ადამიანს აქვს უფლება თვითონ განკარგოს საკუთარი თავი და თვითონ, საკუთარი პასუხისმგებლობით, წარმართოს თავისი ცხოვრება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: ყოველ ადამიანს აქვს ღირსება, რომელიც გამოდინარეობს ადამიანად ყოფნისაგან. ღირსება ადამიანს არ მიენიჭება სახელმწიფოსაგან (პრეზიდენტის, პარლამენტის ან სსსამართლოს მიერ). იგი იმანენტურია ადამიანად ყოფნისათვის. ამის გამო დაუშვებელია ადამიანი იყოს რაიმე საქმიანობის ობიექტი ან ინსტრუმენტი. ადამიანი არასოდეს არ შეიძლება იყოს საშუალება მიზნის მისაღწევად, იგი ყოველთვის მიზანი უნდა იყოს.

<sup>1</sup> ამ უფლებების ანალიზი იხ. კონსტიტუციის მე-16 მუხლის კომენტარების ფარგლებში.




### III. დაცულ სფეროში ჩარევა

მიუხედავად ზემოხსენებული იმპერატიული მოთხოვნისა, ადამიანი მაინც, და არცთუ იშვიათად, ხდება იმ საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და სამართლის ნორმების შიშველი ობიექტი, რომლებსაც იგი უნდა დაემორჩილოს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს ღირსების ძირითადი უფლების დარღვევად. აუცილებელია, ყველაფერ ამას თან ახლდეს გარემოება, რომლის გამოც ადამიანი განსაკუთრებული ზეგავლენის ქვეშ ხვდება, რაც პრინციპულად ეჭვქვეშ აყენებს მისი, როგორც ინდივიდის, სუბიექტის ზარისხს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანის ღირსების ფუნდამენტური მნიშვნელობა, მისი უზენაესი ღირებულება არ უფასურდება დაცულ სფეროში მსუბუქი ჩარევით. ადამიანის ღირსების დარღვევა ხდება ამ უფლებით დაცულ სფეროში მხოლოდ მძიმე ჩარევის დროს. ნაკლები ინტენსივობის ღონისძიებები კი, რომლებიც მხოლოდ დროებით გაელენას ახლენს და რომელთა მიზანი სულაც არაა ადამიანის დამცირება, არ არღვევს ადამიანის ღირსებას. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია სასამართლო საქმე ტერორისტული ორგანიზაციის წევრის შესახებ, რომელსაც ბრალად ედება რამდენიმე მძიმე დანაშაულის ჩადენა. დაკავებისას მას ჰქონდა ულვაშები და ქერად შეღებილი თმა, ასევე რამდენიმე ყალბი პასპორტი, რომლებშიც იგი სულ სხვა სახით (განსხვავებული წევრითა და ულვაშებით, ვარცხნილობითა და თმის ფერით) იყო წარმოდგენილი. მოწმებთან დაპირისპირების მიზნით, გამოძიებელმა ბრძანა, ეჭვმიტანილის სურვილის საწინააღმდეგოდ, ძალით შეეღებათ მისთვის თმა, და, საერთოდ, გრიმირების დახმარებით ეჭვმიტანილს უნდა მიეღო ისეთი იერი, როგორითაც იგი მოწმებთან ნახეს. მიუხედავად დაკავებულის წინააღმდეგობისა, მას რამდენჯერმე (დაპირისპირების რაოდენობის შესაბამისად) შეუცვალეს იერი, სპეციალური საშუალებებით მიაკრეს ულვაშები, წვერები, შეუღებეს თმა და შეუცვალეს ვარცხნილობა. დაკავებულის საჩივრის განხილვის შემდეგ კომპეტენტურმა სასამართლომ განმარტა, რომ აქ არ მომხდარა ადამიანის ღირსების შელახვა, რადგან: გამოძიებლის მიერ მიღებული ზომები იყო (1) ნაკლები ინტენსიურობის და (2) დროებითი ხასიათის, (3) არ წარმოადგენდა ბრალდებულს შიშველ ობიექტად და (4) მიზნად ისახავდა არა მის დამცირებას, არამედ მძიმე დანაშაულთა გახსნას.

დროთა განმავლობაში, დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოთა მდიდარი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, გამოიკვეთა შემთხვევათა ჯგუფები, რომელთა დროსაც ირღვევა ადამიანის ღირსება. ესენია:

- (რასისტული) დისკრიმინაცია, რომელიც დისკრიმინირებულ პირის ადამიანობას უარყოფს;
- მონობა, ადამიანებით ვაჭრობა;
- წამება, არაჰუმანური და სასტიკი მოპყრობა, ფიზიკური სასჯელი;
- ე.წ. „ტენის გამორეცხვა“, ფსიქიკური წამება ან ჰიპნოზი;
- სისტემატური დამცირება და შეურაცხყოფა;
- ფიზიკური და სულიერი სიმშვიდისა და ერთიანობის მასობრივი, ინტენსიური შელახვა და დარღვევა;
- საარსებო მინიმუმის ქელიდან გამოცლა (მაგალითად, ძალიან მაღალი, არასამართლიანი გადასახადებით);
- გამოუვალ, უიმედო ძღვომარეობაში ჩაყენება;
- ინდივიდის მიმართ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის მასობრივი უარყოფა;
- ადამიანის გენებზე კანონსაწინააღმდეგო კვლევების ჩატარება;
- ბავშვის მიჩნევა ზიანად.



#### IV. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

ადამიანის ღირსება აბსოლუტურად უსრუნველყოფილი ძირითადი უფლებაა. საქართველოს კონსტიტუცია აცხადებს, რომ ადამიანის ღირსება „ხელშეუვალია“ და არ აკეთებს არანაირ მითითებას მისი შეზღუდვის კონსტიტუციურ საფუძვლებზე. ამის მიზეზი ადამიანის ღირსების ფუნდამენტური კონსტიტუციური მნიშვნელობაა. თავისუფალი პიროვნება, საკუთარი პასუხისმგებლობის მქონე ინდივიდი და მისი ღირსება საქართველოს კონსტიტუციის უზენაესი ღირებულებებია. გარდა ამისა, ადამიანის ღირსების ფუნდამენტური მნიშვნელობა საფუძვლად უდევს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს პრინციპს – ადამიანის ძირითადი უფლებებითა და

თავისუფლებებით სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვას. აქედან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუცია დაუშვებლად და გაუმართლებლად მიიჩნევს ადამიანის ღირსების დარღვევის ნებისმიერ გამოვლინებას. მე-17 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული მოქმედებები თუ ზემოთ მოცემული შემთხვევათა ჯგუფები წარმოადგენენ ღირსებით დაცულ სფეროში განხორციელებულ კონსტიტუციურ-სამართლებრივად გაუმართლებელ ჩარევებს, რადგან მათ არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ კონსტიტუციური საფუძველი. ყველა შემთხვევაში ეს მოქმედებები არღვევს ადამიანის ღირსებას და ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, კონკრეტულ შემთხვევებში შეიძლება მოხდეს დაპირისპირება ძირითად უფლებათა შორის, ანუ როცა დაპირისპირებულ მხარეთა ინტერესები დაცულია კონკრეტული ძირითადი უფლებებით და მათ შორის ერთ-ერთი შეიძლება ღირსება იყოს. ეს ნამდვილად შესაძლებელია მოხდეს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ღირსებიდან გამომდინარე (კონსტიტუციის მე-16 მუხლით აღიარებული საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან კავშირში) დაცულია ადამიანის პიროვნული უფლებები. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ კონსტიტუციის მე-16 მუხლი, ადამიანის ღირსების საფუძველზე და მასთან კავშირში მოიცავს ადამიანის საქმიანობის ყველა სახესა და ცხოვრების ყველა სფეროს, რომელიც არ ხდება რომელიმე საკვალურ ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში და ამით უზრუნველყოფს ადამიანის სრულყოფილ დაცვას. უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ღირსებიდან და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილია ყოველი ადამიანის შესაძლებლობა საკუთარი შეხედულებისამებრ ჩამოაყალიბოს პირადი ცხოვრების სფერო და შეინარჩუნოს მისი ძირითადი პირობები, ანუ ადამიანის ღირსების საფუძველზე ინდივიდი დაცულია იმ ჩარევებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ მისი პიროვნულობის შელახვა. ამდენად, სწორედ ადამიანის ღირსება ყველა იმ კონკრეტული უფლების საფუძველი, რომლებითაც დაცულია ადამიანის პირადი ცხოვრების სფერო. აქედან გამომდინარე, როდესაც პიროვნება შელახულად მიიჩნევა თავის პიროვნულ უფლებებს, პირადი ცხოვრების სფეროს და დაპირისპირებულ მხარეზეც ასევე ძირითადი უფლება დგას, აქ შელახულად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის ღირსებაც, როგორც პიროვნული უფლებების საფუძველი. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეს დაპირისპირება სხვა ძირითადი უფლების სასარგებლოდ გადაწყდება, ამით შეიზღუდება როგორც კონკრეტული პირის პიროვნული უფლებები, ისე მისი ღირსება. ამდენად, ადამიანის ღირსება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ ისეთ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა მის წინაშე სხვა ძირითადი უფლება დგას.

აღსანიშნავია, რომ საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანის პიროვნულ უფლებებს და, შესაბამისად, ღირსებას უპირისპირდება ასევე ძალიან მნიშვნელოვანი, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის არსებითად აუცილებელი ძირითადი უფლება – აზრის თავისუფლება, აგრეთვე პრესისა და ელექტრონული მედიის თავისუფლებები. ძირითად უფლებათა ყოველი ასეთი კონფლიქტის დროს კოლიდირებული უფლებების შედარება და აწონ-დაწონა უნდა მოხდეს მოცემული შემთხვევის კონკრეტული გარემოებების მიხედვით. გარდა ამისა, ყოველი ასეთი საქმის განხილვისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპს და მოცემულ დაპირისპირებაში საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის არსებობას. ამ ინტერესის არსებობის დადგენა ხორციელდება ე.წ. „პიროვნული“ და

„შინაარსობრივი“ მასშტაბების საფუძველზე. პიროვნული მასშტაბის დროს ივარაუდება საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება საჯარო პირს, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მყოფ პიროვნებას და მის საქმიანობას. შინაარსობრივი მასშტაბის დროს კი საქმე გვაქვს საგანთან ან მოვლენასთან, რომლის მიმართაც არსებობს საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი, რის გამოც გამართლებულია ამ საკითხზე საჯარო დისკუსიისა და დებატების, ხშირად კი მწვავე, ბევრისათვის არასასიამოვნო და აღმამფოთებელი კრიტიკის გამოთქმა და კამათი.

ზემოაღნიშნული შემთხვევები განხილვისა და გადაწყვეტისას სასამართლომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული ლეგიტიმური ინტერესის მნიშვნელობა. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ საჯარო კამათისა და დისკუსიის დროს საქმე გვაქვს არა მარტო ორ დაპირისპირებულ ინდივიდუალურ ინტერესთან, რომელთა შედარებაც უნდა მოხდეს, არამედ ამ კამათში (კომუნიკაციაში) შემოიღოს აგრეთვე ზინდიდიდუალური, იგივე საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი, რომლის გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული პროცესის არსებობა და განვითარება. თუმცა დემოკრატიის პრინციპთან უშუალო კავშირშია არა მარტო ე.წ. კომუნიკაციის ძირითადი უფლებები (აზრის, პრესისა და ელექტრონული მედიის თავისუფლებები). ფაქტობრივად ყველა ძირითადი უფლება უზრუნველყოფს დემოკრატიის პროცესს იმით, რომ ისინი ბოჭავს სახელმწიფო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ინდივიდის პირად სფეროს, რომელშიც მას შეუძლია საკუთარი პიროვნება თავისი შეხედულებისამებრ განავითაროს, აგრეთვე ხელს უშლის იმას, რომ პოლიტიკურმა აქტიურობამ ეკონომიკური ან პროფესიული პრობლემები შეუქმნას მოქალაქეებს. მაგრამ სხვა ძირითადი უფლებებისაგან განსხვავებით, კომუნიკაციის ძირითადი უფლებები უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული დემოკრატიასთან: თავისუფალი აზრი და სიტყვა, თავისუფალი კომუნიკაცია და ამით შექმნილი საჯაროობა დემოკრატიის არსებობის მთავარი წინაპირობა და დემოკრატიის პრინციპის უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. მათთვის ხელის შემშლა მაშინვე პირდაპირ დარტყმას აყენებს დემოკრატიის კანონრეგულაციების შესაძლებლობას. ამდენად, კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებში დებულებათა გამოყენების დროს მუდმივად უნდა ექცეოდეს ყურადღება იმ უკურვაქცეობას, რასაც გამოიწვევს აზრის თავისუფლების ძირითადი უფლების შეზღუდვა დემოკრატიის პრინციპისათვის. ამის მაგალითად შეიძლება წარმოვადგინოთ შემთხვევა, რადესაც არსებობს საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი. ასეთი შეიძლება იყოს არალამენტის კულუარებში რამდენიმე ფრაქციის მიერ გამართული საიდუმლო მოლაპარაკება ან რომელიმე კონკრეტულ თანამდებობის პირზე გავრცელებული ინფორმაცია და შემდეგ მასზე განვითარებული საჯარო დისკუსია. მიუხედავად იმისა, რომ დისკუსიის დროს უამრავი მწვავე, პოლემიკური, დაუფიქრებელი და ირონიულ-სარკასტული აზრი შეიძლება გამოითქვას, საიდუმლო მოლაპარაკების მონაწილეებმა და კონკრეტულმა თანამდებობის პირმა, რომელიც საჯარო პირია, უნდა მოითმინონ და აიტანონ ეს დისკუსია და გამოთქმული კრიტიკა. თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით ამ ადამიანის პიროვნება და საქმიანობა საზოგადოების ყურადღების ცენტრშია და მის შესახებ ყოველგვარ ინფორმაციაზე არსებობს საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი. იგი იძულებით არ დაუნდნავთ თანამდებობაზე, თავისი სურვილით დაიკავა საპასუხისმგებლო პოსტი, შესაბამისად, თავიდანვე უნდა შეეუოს, რომ მის პიროვნებასა და საქმიანობას ყოველთვის ყურადღება მიექცევა საზოგადოების, განსაკუთრებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებების

მხრიდან. ეს ზოგჯერ მეტად მწვავე, ზედმეტად კრიტიკული, მისი შეხედულებით „უსამართლო შეფასებები“, რომლებიც ძლიერ განსხვავდება საკუთარი შეფასებებისაგან, მან, როგორც საჯარო პირმა, უნდა მოითმინოს და აიტანოს. იგივე შეიძლება ითქვას კულუარებში მიმდინარე მოლაპარაკების მონაწილეებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ თუ ისინი ჩათვლიან, რომ საჯარო დისკუსიისას დაირღვა მათი უფლებები, სახეზე გვექნება სწორედ ზემოხსენებული სახის დაპირისპირება, სადაც უპირატესობა მიენიჭება აზრის თავისუფლებას, რადგან საქმე ეხება საჯარო პირის საქმიანობას და საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის საგანს (პოლიტიკურ პარტიათა კულუარულ მოლაპარაკებას) და არა მოქალაქეთა ჩვეულებრივ დავას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ, როცა ადამიანის პიროვნულ უფლებებსა (შესაბამისად, ღირსებასა) და აზრის თავისუფლებას შორის დაპირისპირების დროს საქმე ეხება საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხს (ე.წ. შინაარსობრივი მასშტაბი) ან საჯარო პირს, მის ფუნქციებსა და საქმიანობას (ე.წ. პიროვნული მასშტაბი), დავა ძალიან ხშირად შეიძლება დამთავრდეს აზრის თავისუფლების სასარგებლოდ და ამით შეიზღუდოს ადამიანის პიროვნული უფლებები და, შესაბამისად, მისი ღირსება.

მუხლი 18

„1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუხებელია.

2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საა იის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

4. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.

5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

6. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა – 9 თვეს.

7. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.“

I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით უზრუნველყოფილია თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი და უზენაესი ღირებულება – ადამიანის თავისუფლება. თავისუფალი ადამიანი, როგორც საკუთარი პასუხისმგებლობის მქონე ინდივიდი და დამოუკიდებელი პიროვნება, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის საფუძველია. მეორე მხრივ, თავისუფლება საფუძვლად უდევს ადამიანის მიერ კონსტიტუციით აღიარებული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალურ გაძიყენებას და, შესაბამისად, სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარი პრინციპის – ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის ამოქმედებას.

მე-18 მუხლის პირველი პუნქტით კონსტიტუცია „ხელშეუვალად“ აცხადებს ადამიანის თავისუფლებას. იმავე მუხლის სხვა პუნქტებში მოცემულია ადამიანის თავისუფლების გარანტიები, რომლებითაც უზრუნველყოფილია თავისუფლების საპროცესო მხარე. იმავდროულად, კონსტიტუცია კანონით დასჯადად აცხადებს ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევას, უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს კი ანიჭებს კომპენსაციის მიღების უფლებას. უნდა აღინიშნოს, რომ მე-18 მუხლს პირდაპირი კავშირი აქვს კონსტიტუციის მე-40 და 42-ე მუხლებთან და მათთან ერთად ქმნის ადამიანის ე.წ. საპროცესო ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ბლოკს.



## II. დაცული სფერო

ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ადამიანის უფლებას თავისუფლად და უსაფრთხოდ გადაადგილდეს და იმოქმედოს საკუთარი სურვილის შესაბამისად. სხვაგვარად: ადამიანის თავისუფლება პიროვნების დამცავი ძირითადი უფლებაა და მიზნად ისახავს ადამიანის დაცვას თვითნებური დაკავებისა და თავისუფლების შეზღუდვისაგან. აქედან გამომდინარე, ადამიანის თავისუფლება იმპედროულად მის უსაფრთხოებასაც მოიცავს, ეს ცნებები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და ადამიანის თავისუფლებიდან გამომდინარე უსაფრთხოება ნიშნავს, რომ იკრძალება პირის უკანონო დაკავება. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციაც ერთად მოიხსენიებს მათ: „ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება“ (მ. 5, პ. 1).

ადამიანის თავისუფლების შინაარსიდან გამომდინარე, ყველას აქვს უფლება დაუბრკოლებლად და უსაფრთხოდ იმოძრაოს საქართველოს ტერიტორიაზე. ეს უფლება არ უნდა აეურიოთ მიმოსვლის თავისუფლებაში (კონსტიტუციის მ. 22), რომლითაც უზრუნველყოფილია ადამიანის თავისუფალი გადაადგილება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ ეს გადაადგილება დაკავშირებულია საცხოვრებელი ადგილის თავისუფალ არჩევასთან ან შეცვლასთან. ადამიანის თავისუფლება კი პირის დაუბრკოლებელ ფიზიკურ გადაადგილებას ნიშნავს. ამავე დროს, ადამიანის თავისუფლება მის უსაფრთხოებასაც მოიცავს, ანუ დაცულია პიროვნების უსაფრთხოება სახელმწიფოს ჩარევისაგან. ამ ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ისეთი კანონმდებლობა, რომლითაც სამართლებრივად უზრუნველყოფილი იქნება ადამიანის თავისუფლება და უსაფრთხოება, აკრძალული იქნება თავისუფლების თვითნებური შეზღუდვა და ფიზიკურ პირთა თვითნებური დაკავება, ამასთანავე, ეს კანონმდებლობა რეალურად ხელმისაწვდომი, არაორაზროვანი და ადვილად განჭვრეტადი უნდა იყოს თითოეული ადამიანისათვის, რათა მათ შეძლონ საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ნორმების გამოყენება. აღნიშნული კანონმდებლობის შექმნისას სახელმწიფო ვალდებულია გაითვალისწინოს ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლების უდიდესი მნიშვნელობა და სწორედ აქედან გამომდინარე განსაზღვროს ის შემთხვევები, როცა სახელმწიფო უფლებებაპოსილია ჩაერიოს დაცულ სფეროში ლეგიტიმური საჯარო მიზნის მისაღწევად.

ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლება არ მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ხდება თავისუფლების არაინტენსიური, ნაკლებად სერიოზული შეზღუდვა. ასეთი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქეებისა და უცხოელების კანონით განსაზღვრული სავალდებულო რეგისტრაცია, პირობით გაათავისუფლებულ მსჯავრდებულებზე გათვალისწინებული ზედამხედველობა, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისას შექმნილი ვითარება და კონტროლის სხვა მსგავსი ფორმები, რომლებიც ინტენსიურად და მძიმედ არ ზღუდავენ ადამიანის თავისუფლებას იმოძრაოს და გადაადგილდეს სახელმწიფოში. მეორე მხრივ, ადამიანის თავისუფლება იმდენად მნიშვნელოვანი ძირითადი უფლებაა, რომ პიროვნებას არ შეუძლია უარი თქვას კონსტიტუციის მე-18 მუხლით უზრუნველყოფილ საკუთარ უფლებებზე. ანუ იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირი საკუთარი ნებით ჩაბარდება ხელისუფლების ორგანოებს და თანხმობას განაცხადებს დაკავებასა და დაპატიმრებაზე, ეს არ ნიშნავს, რომ მასზე აღარ მოქმედებს მე-18

მუხლით სახელმწიფოსაკენ მიმართული მოთხოვნები. სახელმწიფო ვალდებულია ასეთი პირის მიმართ სრულად შეასრულოს მე-18 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებები და უზრუნველყოს პირის საპროცესო ძირითადი უფლებების დაცვა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ადამიანის თავისუფლება მეტად მნიშვნელოვანია კონვენციით გათვალისწინებულ „დემოკრატიულ საზოგადოებაში“ იმისათვის, რომ „პირმა დაკარგოს ამ უფლებით უზრუნველყოფილი დაცვა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი თავად ბარდება ხელისუფლების ორგანოსს“.<sup>1</sup>

### III. დაცულ სფეროში ჩარევა

კონსტიტუციის მე-18 მუხლის ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ ადამიანის თავისუფლება არ არის აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლება. სახელმწიფოს უფლება აქვს კონკრეტულ შემთხვევებში ჩაერიოს ამ ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში და ფიზიკურ პირს შეუზღუდოს ან აღუკვეთოს თავისუფლება. ადამიანის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევას, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს თავისუფლების „შეზღუდვა“, რომელიც ჩარევის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინია, კონკრეტულად კი თავისუფლების შეზღუდვის სახეებია ეჭვმიტანილის დაკავება, ბრალდებულის დაპატიმრება და მისი წინასწარი პატიმრობა, შინაპატიმრობა, პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა, გირაო, ხელწერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა,<sup>2</sup> აგრეთვე თავისუფლების აღკვეთის შესახებ განაჩენის აღსრულება. თავისუფლების შეზღუდვად არ ჩაითვლება პირის დაკავდებულება მითითებულ დროს გამოცხადდეს კონკრეტულ ორგანოში, მაგალითად, საავადმყოფოში სავალდებულო გამოკვლევების ჩასატარებლად ან მარევისტირიბელ ორგანოში კანონმდებლობით დადგენილი წესით საცხოვრებელი ადგილის შეცვლისას, აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულება, რომლის მიხედვითაც, პირი უნდა გამოცხადდეს მომკვლევის, გამოძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით და შეატყობინოს მათ, თუ შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი (მ. 152, ნაწ. 2). დაცულ სფეროში ჩარევას ასევე არ წარმოადგენს, მაგალითად, სკოლაში ან სამსახურში, აგრეთვე სამხედრო სამსახურში გამოცხადების ვალდებულება და საგზაო მოძრაობის კონტროლის დროს ფიზიკური პირის მოკლე დროით გაჩერება.

როგორც აღინიშნა, ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევად ითვლება დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ გამოტანილი სასამართლო განაჩენის აღსრულება. აქედან გამომდინარე, ასევე ჩარევას წარმოადგენს კონკრეტული დანაშაულისათვის დაწესებული სასჯელის სახეები, რომელთაც აქვთ ლეგიტიმური საჯარო მიზანი: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეის რესოციალიზაცია.<sup>3</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლით განსაზღვრულია სასჯელის სახეები, რომელთაგან განსაკუთრებით ინტენსიურ

<sup>1</sup> *დე ვილდე, ომსი და ვერსიპი ბელგიის წინააღმდეგ (De Vilde, Ooms and Versip v. Belgium)*, 1971 წლის 18 ივნისი, ე.წ. „მაწანწალების საქმე“.

<sup>2</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მ. 152, ნაწ. 1 – „აღკვეთის ღონისძიების სახეები“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 39, პ. 1.

ჩარევას დაცულ სფეროში წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვა, ტუსალობა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და უვადო თავისუფლების აღკვეთა.<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ „თავისუფლების შეზღუდვა“ სასჯელის კონკრეტული სახეა და ნიშნავს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის თითხმეტ წელს მიღწეული მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე მოთავსებას სპეციალურ დაწესებულებაში – გამასწორებელ ცენტრში, მასზე ზედამხედველობის განხორციელებით. როგორც ვხედავთ, „თავისუფლების შეზღუდვას“, როგორც სასჯელის ერთერთ სახეს კონკრეტული შინაარსი აქვს და სრულიად განსხვავდება კონსტიტუციის მე-18 მუხლში მოცემული „თავისუფლების შეზღუდვისაგან“, რომელიც ზოგადად სახელმწიფოს მიერ ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლების შეზღუდვის შესაძლებლობისა და დაცულ სფეროში ჩარევის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინია. რაც შეეხება ტუსალობას, იგი ნიშნავს მსჯავრდებულის მკაცრ იზოლაციას საზოგადოებისაგან,<sup>2</sup> ვადიანი თავისუფლების აღკვეთა კი – მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციას და კანონით განსაზღვრულ სასჯელდსრულების დაწესებულებაში მოთავსებას.<sup>3</sup> სწორედ ამის გამო მიჩნეულია, რომ ეს სასჯელები დაცულ სფეროში განსაკუთრებით მძიმე და ინტენსიური ჩარევაა.

კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით უზრუნველყოფილია ე.წ. „Habeas Corpus“ პრინციპი („Habeas corpus ad subjiciendum“ – „სხეული უნდა წარედგინოს სასამართლოს“), რომლის მიხედვითაც, ადამიანი დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა უნდა წარედგინოს სასამართლოს, რომელმაც შემდგომი 24 საათის განმავლობაში უნდა გადაწყვიტოს პირის დაპატიმრების ან გაათავისუფლების საკითხი. სახელმწიფოს მიერ ადამიანის დაკავება და დაპატიმრება ამ მოთხოვნების დარღვევით იქნება დაცულ სფეროში კონსტიტუციურ-სამართლებრივად გაუმართლებელი ჩარევა. საყურადღებოა, რომ საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული დებულება ოდნავ განსხვავდება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის დებულებისაგან, რომლის მიხედვითაც, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი „დაუყოვნებლივ“ უნდა წარედგინოს სასამართლოს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს,<sup>4</sup> ანუ კონვენცია არ ითვალისწინებს კონკრეტულ ვადას. ამ საკითხთან დაკავშირებით განხილულ საქმეებში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ყოველი დაკავებული ან დაპატიმრებული პირი უნდა წარედგინოს მოსამართლეს „გაუმართლებელი დავიანების“ გარეშე. საქმეზე „ბროგანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“<sup>5</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ დაკავებულის წარდგენა მოსამართლის წინაშე დაკავებიდან ოთხ დღესა და ექვს საათში მეთისმეტად ხანგრძლივი დროა, რის გამოც იგი არ აკმაყოფილებს კონვენციის ამ მუხლის მოთხოვნებს. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ კონვენციის აღნიშნული დებულება არ უნდა

<sup>1</sup> უვადო თავისუფლების აღკვეთის შესახებ იხ. ქვემოთ IV ნაწილი – „IV. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი“.

<sup>2</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 48.

<sup>3</sup> იქვე, მ. 50.

<sup>4</sup> იხ. კონვენციის მ. 5, პ. 3 და საქმე *შისერი შვეიცარიის წინააღმდეგ (Schiesser v. Switzerland)*, 1979 წლის 4 დეკემბერი.

<sup>5</sup> *ბროგანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Brogan and Others v. the United Kingdom)*, 1988 წლის 29 ნოემბერი.

იყოს იმგვარად გაგებული, თითქოს სახელმწიფოს შეუძლია პირი დაპატიმროს განუსაზღვრელი დროით. საქმეზე „შტოგმიულერი ავსტრიის წინააღმდეგ“<sup>1</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ „საფუძვლიანი ეჭვი“ აღარ არსებობს, პირის პატიმრობაში ყოფნის გაგრძელება არღვევს კონვენციის მე-5 მუხლს. საყურადღებოა აგრეთვე სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „კოსტერი ნიდერლანდების წინააღმდეგ“<sup>2</sup>. ამ საქმეში განმცხადებელი იყო ჯარისკაცი, რომელიც დააკავეს ოთხშაბათს, მაგრამ მომდევნო ორშაბათმდე არ წარუდგინეს სამხედრო სასამართლოს. სახელმწიფომ განაცხადა, რომ სასამართლოს წინაშე ჯარისკაცის წარდგენის ოთხდღიანი დაგვიანება განაპირობა სამხედრო მანერებმა, მაგრამ სასამართლომ არ მიიღო ეს განმარტება და აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში პირი სასამართლოსათვის შაბათს ან კვირა დღეს უნდა წარედგინათ.

#### IV. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

კონსტიტუციის მე-18 მუხლი ადგენს იმ წინაპირობებს, რომლებიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს სახელმწიფომ და დაცულ სფეროში ყოველი ჩარევისას იმოქმედოს ამ წინაპირობების შესაბამისად. უპირველეს ყოვლისა, ამ წინაპირობათაგან უნდა გამოვიყოს მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების ნებისმიერი სხვაგვარი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. აქ კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ კონსტიტუცია ერთმანეთისაგან განასხვავებს თავისუფლების „აღკვეთას“ და თავისუფლების „შეზღუდავას“, მე-2 პუნქტის ტექსტიდან კი საბოლოოდ ნათელი ხდება, რომ „შეზღუდავა“ მოიცავს „აღკვეთასაც“, რომელიც თავისუფლების შეზღუდვის მაქსიმალური, რადიკალური ფორმაა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც აღნიშნავს, რომ თავისუფლების აღკვეთასა და შეზღუდავას შორის განსხვავება „მხოლოდ ინტენსივობის ხარისხშია და არა თვისებრიობაში“<sup>3</sup>. ამასთან ერთად, ცხადია ისიც, რომ საქართველოს კონსტიტუცია (მ. 18, პ. 2) ყველა შემთხვევაში, განურჩევლად თავისუფლების შეზღუდვის ფორმისა, სავალდებულოდ მიიჩნევს სასამართლოს გადაწყვეტილებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით ყველა ასეთ შემთხვევაში იგულისხმება კომპეტენტური სასამართლო, რომელსაც საქმე წარედგინება განსჯადობის მიხედვით და რომელიც მოქმედებს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საქმის მხარეებისაგან დამოუკიდებლად.

გარდა მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი სავალდებულოდ შესასრულებელი პირობისა, მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს დაცულ სფეროში ჩარევის კიდევ ერთ ვალდებულებას: ამ პუნქტის მიხედვით, ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა და დაცულ სფეროში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით განსაზღვრული წესით ნებისმიერ სხვა შემთხვევაში და სხვაგვარად განსაზღვრული

<sup>1</sup> შტოგმიულერი ავსტრიის წინააღმდეგ (*Stögmüller v. Austria*), 1969 წლის 10 ნოემბერი.

<sup>2</sup> კოსტერი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Koster v. Netherlands*), 1991 წლის 29 ნოემბერი; იხ. აგრეთვე ენგელი და სხვების ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Engel and Others v. Netherlands*), 1976 წლის 8 ივნისი.

<sup>3</sup> გუზარდი იტალიის წინააღმდეგ (*Guzzardi v. Italy*), 1980 წლის 6 ნოემბერი.

წესით ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა დაცული სფეროს დაუშვებელი და გაუმართლებელი დარღვევა იქნება. ამასთან, კანონმდებელს არა აქვს უფლება საკუთარი შეზღუდვებისამებრ განსაზღვროს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის ან აღკვეთის შემთხვევები. პიროვნული თავისუფლება იმდენად მაღალი რანგის სამართლებრივი სიკეთეა, რომ იგი შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პირობების არსებობისას, რომლის საფუძველზეც უნდა განისაზღვროს შეზღუდვის შემთხვევები. გარდა ამისა, კანონით განსაზღვრული შემთხვევების ჩამონათვალი უნდა იყოს ამომწურავი და ამ შემთხვევებში ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა უნდა განხორციელდეს კონსტიტუციის მე-18 მუხლის საპროცესო დებულებათა შესაბამისად. აღნიშნულ შემთხვევათა განსაზღვრისას კონსტიტუციის დებულებათა ერთად კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციაც, რომლის მე-5 მუხლში მოცემულია იმ შემთხვევათა ამომწურავი სია, როდესაც სახელმწიფოს შეუძლია ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა.<sup>1</sup> ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კონვენციის მონაწილე მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს, მათ შორის საქართველოს, არა აქვს უფლება დაადგინოს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის (კონვენციის მე-5 მუხლისაგან) განსხვავებული, დამატებითი შემთხვევები. ამ მოთხოვნის დაუცველობის გამო სასამართლომ რამდენჯერმე მე-5 მუხლის დარღვევად და თვითნებურ დაკავებად მიიჩნია კონკრეტულ პირთა თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევები,<sup>2</sup> მათ შორის ასანიძის პატიმრობაც და აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ასანიძის დაუყოვნებელი გათავისუფლება ბრძანა (2001 წლის 29 იანვარს), არ არსებობდა რაიმე საკანონმდებლო ნორმა ან სამართლებრივი საფუძველი მისთვის თავისუფლების აღკვეთისა. სასამართლომ „დაუჯერებლად“ მიიჩნია ის ფაქტი, რომ „სახელმწიფოში, რომელიც ექვემდებარება კანონის უზენაესობას, შეიძლება გრძელდებოდეს ადამიანისათვის თავისუფლების აღკვეთა, მიუხედავად მისი გათავისუფლების შესახებ სასამართლოს ბრძანებისა.“<sup>3</sup> ასევე აღსანიშნავია საქმე „რანინენი ფინეთის წინააღმდეგ“<sup>4</sup>, რომელზეც სასამართლომ განაცხადა, რომ დაუშვებელია რელიგიური საფუძველით სამხედრო სამსახურსა და ალტერნატიულ სამსახურზე უარის განმცხადებელი პირის დაკავება და მისი თავისუფლების შეზღუდვა.

როგორც უკვე აღინიშნა, ის საკანონმდებლო ნორმები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება განხორციელდეს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა ან აღკვეთა, სრულად უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მოთხოვნებს. სახელმწიფოს მიერ ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა სწორედ ასეთი ნორმების საფუძველზე იქნება კონსტიტუციურსამართლებრივად გამართლებული. ამასთან, ეს საკანონმდებლო ნორმები უნდა შეესაბამებოდეს თანაზომიერების პრინციპს, ანუ, უპირველეს ყოვლისა, მათ უნდა ჰქონდეთ ლეგიტიმური საჯარო მიზანი, მაგალითად, მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის დაცვა. ასეთი ნორმებში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ის საკანონმდებლო დებულებები,

<sup>1</sup> იხ. კონვენციის მ. 5, პ. 1 ქვბ. „ა“ – „ჟ“.

<sup>2</sup> *კუინი საფრანკეთის წინააღმდეგ (Quinn v. France)*, 1995 წლის 22 მარტი; *ლუკანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Lukanov v. Bulgaria)*, 1997 წლის 20 მარტი; *ცირილის და კულუმპასი საბერძნეთის წინააღმდეგ (Tsirlis and Kouloumpas v. Greece)*, 1997 წლის 29 მაისი.

<sup>3</sup> *ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ (Asanidze v. Georgia)*, 2004 წლის 8 აპრილი.

<sup>4</sup> *რანინენი ფინეთის წინააღმდეგ (Ranninen v. Finland)*, 1997 წლის 16 დეკემბერი.

რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა ან აღკვეთა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს ადამიანის დაკავების ან სხვაგვარად თავისუფლების შეზღუდვის კონსტიტუციის მე-18 მუხლის მოთხოვნათა შესაბამის პროცესუალურ ნორმებს. ამ ნორმების მიხედვით, განსაზღვრულია პირის დაკავების კონკრეტული შემთხვევები (მ. 142), სახელმწიფოს აქვს მხოლოდ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის (მ. 141, ნაწ. 1) არა უმეტეს 72 საათით დაკავების უფლება, ამასთან, ეჭვმიტანილის დაკავების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. დაკავებულს ამ ვადის ამოწურვისთანავე უნდა წაეყენოს ბრალდება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს (მ. 72, ნაწ. 2 და მ. 146, ნაწ. 7, წინ. 1). დაკავებულ ეჭვმიტანილს დაუყოვნებლივ უნდა განემართოს, რომ აქვს დუმილის უფლება, უფლება – არ დაიბრალოს დანაშაული და დამცველის მოწვევის უფლება (მ. 72, ნაწ. 3). გარდა ამისა, საეალდებულოა დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდული პირის განსჯადობის მიხედვით სასამართლოსათვის წარდგენა არა უგვიანეს 48 საათისა დაკავების მომენტიდან; მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში პირი დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლდეს (მ. 146, ნაწ. 7, წინ. 2). კოდექსის აღნიშნული ნორმები შეესაბამება კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2, მე-3, მე-5 და მე-9 პუნქტების მოთხოვნებს.

მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადების მიხედვით, დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს. ამ ნორმით სახელმწიფოს ევალება დაუყოვნებლივ შეასრულოს პირის მოთხოვნა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ნორმით, მართალია, არ არის დადგენილი დამცველის საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაშვების კონკრეტული ვადა, მაგრამ თავად ამ ნორმის არსიდან გამომდინარე, „დაკავებული ან დაპატიმრებული პირის მოთხოვნა დამცველის დახმარების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს დაუყოვნებლივ – მაქსიმალურად გონიერულ ვადაში“.<sup>1</sup> სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „დაკავებულ ეჭვმიტანილს დამცველის დახმარება ესაჭიროება არა მარტო დაკითხვაში, არამედ დაკავების მომენტიდან, მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად და მისთვის კვალიფიციური იურიდიული დახმარების გასაწევად“.<sup>2</sup> სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულია დაცვის და დასაცავი პირის უფლება, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს დასაცავი პირის სურვილიდან. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ „საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს დაცვის უფლების ისეთ პირობებს, როდესაც უპირატესობა ენიჭება დასაცავი პირის სურვილსა და უნარს, ჰყავდეს დამცველი“.<sup>3</sup> სასამართლოს

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშურიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №2/3/182, 185, 191; 2003 წლის 29 იანვარი.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

აზრით, დაცვის მხარეს უნდა მიეცეს გონიერული, საკმარისი დრო და შესაძლებლობა განახორციელოს სრულფასოვანი დაცვა, რაც გულისხმობს ისეთ დროს და შესაძლებლობას, რომელიც, სისხლის სამართლის ყოველი კონკრეტული საქმის სირთულედან გამომდინარე, დაცვის მხარეს მისცემდა სრულფასოვანი მომზადების შესაძლებლობას. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადების ზემოაღნიშნული განმარტებების საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულება, რომლის მიხედვითაც, დამკველთან კონსულტაციისათვის პირისპირ შეხვედრის ვადა განსაზღვრული იყო არა უმეტეს ერთი საათით.

აღმინანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისაგან განსხვავებით, რომელიც არ ადგენს წინასწარი დაკავების მაქსიმალურ ვადას, საქართველოს კონსტიტუცია მე-18 მუხლის მე-6 პუნქტით ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრავს 9 თვეს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მე-18 მუხლის აღნიშნული დებულება განსაზღვრავს მხოლოდ ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადას და „არ შეიცავს განსასჯელის პატიმრობის ვადას მისთვის სასამართლოს მიერ კონკრეტული დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდებაზე“.<sup>1</sup>

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ევროპული კონვენცია მოითხოვს, რომ წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა გონიერული იყოს.<sup>2</sup> აქ იგულისხმება მაქსიმალური ვადა – წინასწარი დაკავებიდან სასამართლოს მიერ პირისათვის კონკრეტული დანაშაულის ჩადენის გამო სასჯელის შეფარდებაზე. ამ ვადის ხანგრძლივობის გონიერულობა კი უნდა შეფასდეს კონკრეტული საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით. მაგალითად, საქმის სირთულემ, მათ შორის დანაშაულის ხასიათმა და ეჭვიმტანხილთა რაოდენობამ, შეიძლება გაამართლოს წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივი დრო. დროის იგივე ხანგრძლივობით პირის დაკავება შედარებით მარტივ საქმეზე არ ჩაითვლება გონიერულად და, შესაბამისად, მიიჩნევა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევად. აღნიშნული კრიტერიუმებიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ ერთ შემთხვევაში წინასწარი პატიმრობის 15 თვიანი ვადა არაკონიერულად მიიჩნია, სხვა საქმეში კი ორ წელზე მეტი ხანგრძლივობის ვადა დასაშვებად ჩათვალა.<sup>3</sup> სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ განსასჯელი დაკავებული პირის საქმე უნდა სარგებლობდეს უპირატესობით იმ ბრალდებულებთან შედარებით, რომლებიც არ არიან მოთავსებული დაკავების ადგილებში.<sup>4</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია 2005 წლის 25 მარტს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომლითაც მნიშვნელოვნად შემცირდა წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა და საერთო ვადა განისაზღვრა არა უმეტეს 4 თვით (მ. 162,

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფიროზ ბერაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №2/3/182, 185, 191; 2003 წლის 29 იანვარი.

<sup>2</sup> კონვენციის მ. 5, პ. 3: დაპატიმრებულ პირს „უფლება აქვს სასამართლო პროცესის გონიერულ ვადაში ჩატარებაზე“.

<sup>3</sup> ლუტელიე საფრანგეთის წინააღმდეგ (*Letellier v. France*), 1991 წლის 26 ივნისი; იხ. აგრეთვე ბარფუსი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (*Barfuss v. Czech Republic*), 2000 წლის 31 ივლისი.

<sup>4</sup> ვემჰოფი გერმანიის წინააღმდეგ (*Wemhoff v. Germany*), 1968 წლის 27 ივნისი.

ნაწ. 1), ზოლო საერთო სასამართლოებში (I ინსტანციის სასამართლოდან უზენაესი სასამართლოს ჩათვლით) საქმის განხილვისას განსასჯელის პატიმრობის მაქსიმალური ვადა შეადგენს 12 თვეს, ნაცვლად აღრინდელი 30 თვისა (მ. 162, ნაწ. 11). ეს ცვლილებები მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ადამიანის უფლებათა დაცვის გზაზე და სრულად შეესაბამება ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. აღნიშნული ცვლილებები 2006 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება.

კონსტიტუციის მე-18 მუხლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული დებულებებიდან ნათლად ჩანს, რომ დასაშვებია მხოლოდ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავება, რომლის ლეგიტიმური საჯარო მიზანია მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის დაცვა – პირის დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთა, მისი გაქცევის, დამალვის ან მტკიცებულებათა მოსპობის თავიდან აცილება. ასეთვე მნიშვნელოვანი საჯარო მიზანია მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის თავიდან აცილება ფსიქიკურად დაავადებული ადამიანებისაგან. ამ მიზნის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს უფლება აქვს დააკავოს პირი, დაუნიშნოს მას სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება და მოათავსოს სპეციალურ დაწესებულებებში.<sup>1</sup> ასევე დაშვებულია მზრუნველობითი ხასიათის ჩარევაც, თუ ასეთი ჩარევა მიმართულია მეურვეობაში მყოფი პირის დასაცავად და ამ მიზნით პირს ათავსებენ სპეციალურ საავადმყოფოში, სადაც მას არა აქვს საშუალება ზიანი მიაყენოს საკუთარ თავს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებას წარმოადგენს პირის დისპანსერული ფსიქიატრიული მკურნალობა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება ჩვეულებრივი, გამოიერებული ან მკაცრი მეთვალყურეობით (მ. 102, ნაწ. 1). ამავე დროს, ყველა ასეთ შემთხვევაში გულდასმით უნდა შემოწმდეს, აქვს თუ არა ამ ფსიქიკურ მოშლილობას ავადმყოფობის ის ხარისხი, რომელიც ამართლებს თავისუფლების ასეთ ინტენსიურ შეზღუდვას. აღნიშნულ პირთა მხოლოდ გამოსწორება და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება სრულიადაც არ არის საკმარისი საფუძველი თავისუფლების აღსაკვეთად, რადგან თავისი მოქალაქეების „გამოსწორება“ და „გაკეთილშობილება“ არ არის სახელმწიფოს მიზანი და ამოცანა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ობიექტური სამედიცინო კრიტერიუმები იმის დასადგენად, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს პირი „ფსიქიკურად დაავადებულად“. გარდა ამისა, ფსიქიკური დაავადების ბუნება და სიმძიმე საკმარისად ცხადი უნდა იყოს იმისათვის, რომ გამართლდეს პირის იძულებითი მოთავსება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. დაბოლოს, სახელმწიფოს უფლება აქვს დააკავოს პირი და დაუნიშნოს მას სამედიცინო ხასიათის იძულებითი მკურნალობა არა განუსაზღვრელი, არამედ მხოლოდ იმ ვადით, რა ვადითაც გაგრძელდება ფსიქიკური აშლილობა.<sup>2</sup> აღნიშნული ვალდებულება თავისთავად გულისხმობს პირის უფლებას „ფსიქიკური მოშლილობის“ საფუძველზე განხორციელებული დაკავების პერიოდულ გადახედვაზე. ამასთან, აუცილებელია პირის დაკავება

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, კარი მეექვსე – „სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების სახეები, მათი გამოყენების საფუძველი და წესი“.  
<sup>2</sup> იხ. ვინტერვერპი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Winterwerp v. the Netherlands), 1979 წლის 24 ოქტომბერი.



მონდეს ლიციენზირებულ ფსიქიატრიულ კლინიკასა თუ საავადმყოფოში. სახელმწიფოს არა აქვს უფლება დააყოვნოს იმ პირის ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გამოშვება, რომელსაც აღარ აწუხებს ფსიქიკური დაავადება.<sup>1</sup>

ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში გამართლებული ჩარევისა და ამით ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერების საკითხი უნდა განისაზღვროს და გადაწყდეს ყოველი კონკრეტული საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. სასამართლომ უნდა შეამოწმოს იმ საკანონმდებლო ნორმების შესაბამისობა არა მარტო კონსტიტუციის მე-18 მუხლის მოთხოვნებთან, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა ჩარევა დაცულ სფეროში, არამედ აგრეთვე აღნიშნული ნორმების შესაბამისობა თანაზომიერების პრინციპთან. ეს პრინციპი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოსამართლის მიერ წინასწარი პატიმრობის შესახებ ბრძანების გაცემის დროს. წინასწარი პატიმრობის საკითხის გადაწყვეტისას ერთ მხარეს დგას ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლება – თავისუფლება, მეორე მხარეს კი – კონკრეტული დანაშაულის გახსნისათვის აუცილებელი, ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება. ამ ორი მნიშვნელოვანი სიკეთის კონფლიქტისას, პიროვნულ თავისუფლებაში ჩარევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც, ერთი მხრივ არსებობს კონკრეტულ ფაქტებზე დაფუძნებული ეჭვი დაკავებული პირის უდანაშაულობაზე და, მეორე მხრივ, დანაშაულის სრულყოფილი გამოძიება და გახსნა შესაძლებელია მხოლოდ ეჭვმიტანილის წინასწარ პატიმრობაში ყოფნით. წინასწარი პატიმრობა არ უნდა ემსახურებოდეს სხვა მიზნებს. სწორედ აქ მოქმედებს თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპი განსაკუთრებით ძლიერად, რომლის მიხედვითაც მოსამართლე განსაზღვრავს: (1) აქვს თუ არა სახელმწიფოს მოქმედებას ლეგიტიმური საჯარო მიზანი, (2) არსებობს თუ არა ამ მიზნის მისაღწევად სხვა, ადამიანის დაპატიმრებაზე უფრო ნაკლებად რადიკალური საშუალება და (3) აუცილებელია თუ არა მიზნის მისაღწევად პირის წინასწარ პატიმრობაში აყვანა, ანუ არის თუ არა სახელმწიფოს მოქმედება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციული (თანაზომიერი).

სახელმწიფოს მიერ ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში განხორციელებული ჩარევა, რომელიც ეყრდნობა საკანონმდებლო ნორმას, რომელიც, თავის მხრივ, არ შეესაბამება კონსტიტუციის მე-18 მუხლის მოთხოვნებს და თანაზომიერების პრინციპს, დაცულ სფეროში გაუმართლებელი ჩარევაა. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებიდან 2003 წლის იანვრამდე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეიცავდა რამდენიმე არაკონსტიტუციურ დებულებას, რაც, ბუნებრივია, წარმოადგენდა ადამიანის თავისუფლების მძიმე დარღვევას და დაცულ სფეროში გაუმართლებელ საკანონმდებლო ჩარევას. ყველაზე თვალსაჩინო არაკონსტიტუციური ნორმა იყო კოდექსის 72-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი პირი დაკავებიდან პირველი 12 საათის განმავლობაში სრულიად უფლებობდ რჩებოდა. პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის სხვა ორგანოში მიყვანიდან 12 საათის განმავლობაში მას ფაქტობრივად არ ჰქონდა კონსტიტუციითა და კოდექსით განსაზღვრული არანაირი სტატუსი. დანაშაულის ჩადენაში

<sup>1</sup> ემინდლინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ashingdane v. the United Kingdom*), 1985 ლის 28 მისი; ჯონსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Johnson v. the United Kingdom*), 1997 წლის 24 ოქტომბერი.

ექვემოტანილის სტატუსს პირი იღებდა დაკავებიდან 12 საათის გასვლისას და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო ესარგებლა კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებით. ამჟამად, რომ ეს დებულება პირდაპირ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 და მე-9 პუნქტებს, რომელთა მიხედვითაც, ვერ ერთი, დასაშვებია მხოლოდ ექვემოტანილის დაკავება, ანუ დაკავებისას პირი უკვე ექვემოტანილად უნდა იყოს ცნობილი და ეს არ უნდა მოხდეს დაკავებიდან 12 საათის შემდეგ, და მეორე, დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრების თანავე (და არა დაკავებიდან 12 საათის შემდეგ) უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავებისთანავე ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს. ამ ნორმით სახელმწიფო ვალდებულია დაკავებული ექვემოტანილის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს იგი დამცველით.

სხვა დებულებებთან ერთად სასამართლომ ასევე განიხილა კოდექსის 142-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონსტიტუციურობის საკითხიც. ამ ნაწილში მოცემული იყო ორანზოვანი და ბუნდოვანი დებულება, რომელიც წარმოადგენდა პირის დაკავების ზოგად საფუძველს, რაც არ შეესაბამებოდა კონსტიტუციის მე-18 მუხლის მოთხოვნებს და თანაზომიერების პრინციპს, შესაბამისად, აღნიშნული ნორმის საფუძველზე ხდებოდა დაცულ სფეროში გაუმართლებელი ჩარევა. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ეს შეუსაბამობა იმის გამოც, რომ კოდექსის 141-ე მუხლი განსაზღვრავდა „დაკავების“ შინაარსს<sup>1</sup>, 142-ე მუხლის პირველი ნაწილით კი განსაზღვრული იყო ექვემოტანილი პირის დაკავების ხუთი კონკრეტული საფუძველი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი აფართოებდა დაკავების კონკრეტულ საფუძველებს და მიუთითებდა, რომ შეიძლებოდა პირის დაკავება არა მხოლოდ „საფუძვლიანი ეჭვის“ არსებობისას და პირველი ნაწილით განსაზღვრულ კონკრეტულ შემთხვევებში, არამედ მაშინაც, როცა არსებობდა „სხვა მონაცემები“ და პირს არ გააჩნდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან დადგენილი არ იყო მისი ვინაობა. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ამ ნაწილით, ფაქტობრივად, დადგენილი იყო არა ის საფუძველები ან კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად კანონით განსაზღვრული შემთხვევები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შეიძლება პირის დაკავება, არამედ „სხვა მონაცემები, რომლებიც საფუძველს იძლევა დანაშაულის ჩადენის ეჭვი (ქნეს მიტაილ პირზე“. საქართველოს კონსტიტუცია კი არ იცნობს პირის დაკავების შესაძლებლობას „სხვა მონაცემების“ საფუძველზე, ეს მონაცემები შესაძლოა დაედოს საფუძველად ეჭვს და არა პიროვნების თავისუფლების შეზღუდვას. საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, კოდექსის 141-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული „საფუძვლიანი ეჭვი“ ნიშნავს „ისეთი ფაქტებისა და ინფორმაციის არსებობას, რომელიც დააკმაყოფილებდა დამოუკიდებელ დამკვირვებელს, რომ სწორედ დაკავებულ პირს შეეძლო ჩაედინა დანაშაული“<sup>2</sup>. „სხვა მონაცემების“ საფუძველზე კი იმ პირის დაკავება, რომლის ვინაობა არ არის დადგენილი ან რომელსაც არა აქვს

<sup>1</sup> მ. 141 – „დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა, რომელიც გამოიყენება, თუ არსებობს საკმარის საფუძველი ეჭვი მიიტანონ პირზე იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, მისი დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთის, გაქცევის, დაშლის ან მტკიცებულებათა მოსპობის თავიდან ასაცილებლად.“

<sup>2</sup> ფოქსი, კემპბელი და ჰარტილი *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom)*, 1990 წლის 30 აპრილი.

მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ნამდვილად არ შეესაბამება „საფუძვლიანი ეჭვის“ შინაარსს. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ 142-ე მუხლის მე-2 ნაწილი საკმარისად ორაზროვნად იყო ჩამოყალიბებული და გაუგებარი იყო რას გულისხმობდა კანონმდებელი ფრაზაში „დანაშაულის ჩადენის ეჭვი იქნეს მიტანილი პირზე“ – უკვე ჩადენილ დანაშაულს თუ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობასაც. აქ სასამართლომ დაადგინა თანაზომიერების პრინციპის შემადგენელი ნაწილის – კანონის განჭვრეტადობისა და არაორაზროვნების პრინციპის დარღვევა და განაცხადა, რომ „საპროცესო კოდექსის დებულებები უნდა იყოს მაქსიმალურად ცალსახა და გასაგები, რათა არ იძლეოდეს მათი ორაზროვნანი განმარტების შესაძლებლობას“. სასამართლოს აზრით, საპროცესო კოდექსში 142-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულების არსებობა, ერთი მხრივ, სახელმწიფოს აძლევდა ადამიანის თვითნებური დაკავების უფლებას, მეორე მხრივ კი აკანონებდა ამგვარ დაკავებას, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ადამიანის თავისუფლების ძირითად უფლებას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოხსენებული ნორმები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად გამოცხადდა.<sup>1</sup>

უვადო თავისუფლების აღკვეთა ადამიანის თავისუფლებაში უმძიმესი ჩარევაა. იგი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ გამსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ადამიანის ღირსების ძირითადი უფლების განხილვისას უკვე წარმოდგენილ იქნა კონკრეტული სასამართლო საქმის ანალიზი, რომელშიც მოსარჩელეს ეს სასჯელი არაკონსტიტუციურად მიაჩნდა და მის გაუქმებას მოითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა ადამიანის თავისუფლებითა და პიროვნების თავისუფალი განვითარების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში უმძიმეს, მაგრამ, ამასთანავე, კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებულ ჩარევას წარმოადგენს და იგი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, რადგან, ჯერ ერთი, ჩარევას აქვს ლეგიტიმური საჯარო მიზანი – მოახდინოს მძიმე დანაშაულთა ჩამდენი პირის იზოლაცია საზოგადოებისაგან და ამით მოქალაქებს ააცილოს პოტენციური საფრთხე, და, მეორე, საქართველოს კანონმდებლობა ასეთ დანაშაულებსაც უტოვებს განთავისუფლებისა და საზოგადოებაში სრულუფლებიან წევრად დაბრუნების შანსს. ამდენად, უვადო თავისუფლების აღკვეთა არ ნიშნავს, რომ ადამიანი მთელი სიცოცხლე ოთხ კედელს შორის იქნება გამოშვებულ, ვეღარ შეძლებს საკუთარი პიროვნების განვითარებას და, როგორც ინიციელი, სიცოცხლეშივე „მკვდარ“ და დათრგუნვილ არსებად იქცევა. ეს იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ მას ეცოდინება, რომ საერთოდ აღარაა აქვს განთავისუფლების რეალური, სამართლებრივი შანსი. სწორედ ადამიანის ღირსება, პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და ადამიანის თავისუფლების ძირითადი უფლებები მოითხოვს სახელმწიფოსაგან ამ სამართლებრივი შანსის ასახვას კანონმდებლობაში და ეფექტიანი, განხორციელებადი სამართლებრივი მექანიზმის შექმნას. ამ მოთხოვნას შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-7 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, „*მსჯავრდებული უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან შეიძლება გაათავისუფლდეს, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცდახუთი წელი და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სჭირად აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს ამ სასჯელის მოხდა*“.

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერაშვილი, რევაზ ჯიმშურიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №2/3/182, 185, 191; 2003 წლის 29 იანვარი.

მე-18 მუხლის მე-7 პუნქტით, კანონით დასჯადად ცხადდება სახელმწიფოს მიერ ამ მუხლის წინა პუნქტების მოთხოვნათა დარღვევა. ამ პუნქტის მე-2 წინადადების მიხედვით კი „უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება“: უფრო ფართოდ და სრულყოფილად არის გადმოცემული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისა და მიღების უფლება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით, რომლის მიხედვითაც, „*ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან*“. ამ ორი დებულების შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი სპეციალური ნორმაა და ფიზიკურ პირს კომპენსაციის მოთხოვნისა და მიღების უფლება აქვს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში – სახელმწიფოს მიერ მე-18 მუხლის 1-ლი – მე-6 პუნქტების მოთხოვნათა დარღვევისას, ანუ უკანონოდ დაპატიმრების ან დაკავების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ სასამართლომ დაადგინოს კომპენსაციის მოთხოვნისა და მიღების უფლების დარღვევა, მან თავდაპირველად უნდა დააფიქსიროს მე-18 მუხლის წინა პუნქტების მიერ უზრუნველყოფილი ერთი ან მეტი საპროცესო ძირითადი უფლებების დარღვევა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ადასტურებს ამ განმარტებას<sup>1</sup> და ადგენს, რომ კომპენსაციის მოთხოვნისა და მიღების უფლებისაგან გამომდინარე, პრეტენზიებს ადამიანი წარუდგენს ხელისუფლების ორგანოებს, რის განსახორციელებლადაც სახელმწიფო ვალდებულია შექმნას შესაბამისი კანონმდებლობა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ადამიანის თავისუფლების პრევენციული დაცვა და, იმავდროულად, უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ ინდივიდს ექნება შესაძლებლობა გამოიყენოს კომპენსაციის მოთხოვნისა და მიღების ეფექტიანი და რეალური სამართლებრივი მექანიზმი. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „საკიკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ“<sup>2</sup> დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის<sup>3</sup> დარღვევა და აღნიშნა, რომ თურქეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო კონკრეტული შემთხვევის წარმოდგენა, როგორც კონკრეტულმა პირმა მიიღო კომპენსაცია შინადასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, „სასამართლომ ასევე დააფიქსირა მე-5 მუხლის მე-5 პუნქტთან დარღვევა საქმეზე „ცირლისი“ და კულუმპასი საბერძნეთის წინააღმდეგ“<sup>4</sup>, რომელმაც მოსარჩელები დაკავებულ იქნენ ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით,<sup>5</sup> ხოლო ევროპულმა სასამართლოებმა უარი უთხრეს მათ კომპენსაციის მიღების უფლებაზე იმ მეტად საეჭვო საფუძველით, რომ დაკავება გამაწყვეული იყო თავად მოსარჩელების დაუდევრობის შედეგად.

<sup>1</sup> მიურეი ვაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Murray v. the United Kingdom*), 1994 წლის 28 ოქტომბერი.

<sup>2</sup> საკიკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (*Sakik and Others v. Turkey*), 1997 წლის 26 ნოემბერი.

<sup>3</sup> კონვენციის მ. 5, პ. 5: „ყველა მსხვერპლს, ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დააკავეს ან დაპატიმრეს, აქვს კომპენსაციის ქმედითი უფლება“.

<sup>4</sup> ცირლისი და კულუმპასი საბერძნეთის წინააღმდეგ (*Tsirlis and Kouloumpas v. Greece*), 1997 წლის 29 მაისი.

<sup>5</sup> იხ. კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც მოიცავს ექვს ქვეპუნქტს, რომლებშიც ამოწურავად არის ჩამოთვლილი ადამიანის დაკავებისა და დაპატიმრების კონკრეტული შემთხვევები და საფუძველები.

კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტით უზრუნველყოფილი კომპენსაციის მოთხოვნისა და მიღების უფლებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულება – უზრუნველყოს ადამიანის თავისუფლების პრევენციული დაცვა – გამოიხატება სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით, რომელთა მიხედვითაც, დასჯადა: თავისუფლების უკანონო აღკვეთა (მ. 143), უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში (მ. 146), განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება (მ. 147), აგრეთვე უკანონო მოთავსება ან დაკავება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (მ. 149). გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით უზრუნველყოფილია სახელმწიფოს კიდევ ერთი ვალდებულება – უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს შეუქმნას იმის სამართლებრივი შესაძლებლობა, რომ ამ უკანასკნელმა საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს კომპენსაციის მოთხოვნისა და მიღების უფლების განხორციელების ეფექტიანი და რეალური სამართლებრივი ნორმები. საპროცესო კოდექსში ამ საკითხს XXVIII თავი ეთმობა: „რეაბილიტაცია და სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება“, რომელშიც დაწერილებით არის აღწერილი ზიანის ანაზღაურების საფუძვლები და საპროცესო წესი. 219-ე მუხლი იმპერატიულად აცხადებს, რომ უკანონოდ ან დაუსაბუთებლად მსჯავრდებულ, ბრალდებულ ან იძულებითი მკურნალობისათვის გაგზავნილ პირს „უნდა აღუდგეს უფლებები (რეაბილიტირებულ უნდა იქნეს), თუ დადგინდება მისი უდანაშაულობა ან იძულებითი მკურნალობისათვის გაგზავნის უსაფუძვლობა“. ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანი, რომელიც პირს მიადგა „უკანონოდ ან დაუსაბუთებლად დაკავების, დაპატიმრების ანდა სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსების შედეგად, აგრეთვე თანამდებობიდან გადაყენების, ჩხრეკის, ამოღების, ქონებაზე ყადაღის დადების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, შემოწმების, სამართალწარმოების ორგანოების სხვა უკანონო და დაუსაბუთებელ მოქმედებათა შედეგად, რომლებმაც ბრალდებულსა თუ სხვა პირს ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი მიყენა“ (მ. 221). კოდექსის 222-ე მუხლით გათვალისწინებულია მიყენებული ზიანის სავალდებულო ანაზღაურება და ყველა გადასახდელის გადახდა სისხლის სამართალწარმოების ორგანოების თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად, მომდევნო მუხლებში კი დაწერილებით არის აღწერილი უკანონო ან დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების შედეგად რეაბილიტირებულისა და დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანებრივი (მ. 223), ფიზიკური (მ. 224) და მორალური (მ. 225) ზიანის ანაზღაურების შინაარსი. რეაბილიტირებულ და დაზარალებულ პირს უნდა აღუდგინოს აგრეთვე სხვა უფლებებიც, მაგალითად, თუ იგი სამუშაოდან (თანამდებობიდან) გაათავისუფლეს ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით, მას უნდა მიეცეს წინანდელი სამუშაო (თანამდებობა), ხოლო თუ ეს შეუძლებელია – სხვა ტოლფასი სამუშაო (თანამდებობა), თუ დაკარგა საცხოვრებელი ბინა – უნდა დაუბრუნდეს ეს ბინა ან მიეცეს ახალი, უნდა აღუდგეს წოდებები და საკლასო ჩინები და ა.შ. (მ. 226). დაზარალებულ პირს უფლება აქვს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით საჩივარი შეიტანოს სასამართლოში, რომელიც განსაზღვრავს ზიანის ოდენობას და გამოიტანს განჩინებას ყველა სახის ზიანის ანაზღაურების შესახებ. განჩინების ასლი გადაეცემა ან ეგზავნება რეაბილიტირებულს, ხოლო მისი გარდაცვალების შემთხვევაში – მის მემკვიდრეებს, რათა ეს ასლი წარუდგინონ შესაბამის ორგანოებს, რომლებიც ვალდებული არიან ანაზღაურონ ყველა სახის ზიანი (მ. 227).

მუხლი 19.

„1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლენა არ ლახავს სხვათა უფლებებს“.

I. ლაცული სუფრო

რწმენის, აღმსარებლობის, და სინდისის თავისუფლებებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ უფლებებსა და თავისუფლებებს შორის. კონსტიტუციის რამდენიმე დებულება ეძღვნება ამ თავისუფლებებს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია კონსტიტუციის მე-19 მუხლი, რომლის თანახმადაც:

„1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.“

კონსტიტუციის მე-9 მუხლით გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი დებულება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად, აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

საქართველოს კონსტიტუცია ასევე ადგენს დებულებას დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ, რომლის თანახმადაც, კანონი. წინაშე ყველა თანასწორია, განურჩევლად, *inter alia*, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებებისა.<sup>1</sup> კონსტიტუციის 26-ე მუხლი, რომელიც ეხება გაერთიანების თავისუფლებას, კრძალავს ისეთი გაერთიანების შექმნასა და საქმიანობას, რომლიც მიზანია რელიგიური შუღლის გაღვივება.<sup>2</sup>

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული დებულებები უზრუნველყოფს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებს, რაც მოიცავს პირის უფლებას ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად აღიარებდეს ნებისმიერ რელიგიას ან არ აღიარებდეს არცერთს, თავისუფლად აირჩიოს, ჰქონდეს და გაავრცელოს რელიგიური ან არარელიგიური (მსოფლმშედეველობრივი) მრწამსი და იმოქმედოს მათ შესაბამისად. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებანი ნიშნავს, რომ პირი არ შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ მოპყრობას, რომლის მიზანია აზროვნების წესის შეცვლა. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება მოიცავს პირის უფლებას, იყოს ან არ იყოს რელიგიის მიმდევარი.

<sup>1</sup> 1998 წლის 20 თებერვალი.

<sup>2</sup> მე-14 მუხლი. ასევე იხ. კონსტიტუციის 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული სფერო მოიცავს როგორც ადამიანის შინაგან რელიგიურ და მსოფლმხედველობრივ რწმენას (შინაგანი თავისუფლება), ისე რელიგიური და მსოფლმხედველობრივი რწმენის გამოვლინების თავისუფლებას (გარეგანი თავისუფლება). ამ მუხლით დაცულია პირის უფლება, ერთი მხრივ, დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი რელიგიური და მსოფლმხედველობრივი შეხედულებები (რწმენა), ხოლო მეორე მხრივ, საჯაროდ გამოხატოს და გაავრცელოს ისინი. ეს მოიცავს რიტუალების შესრულებას, რელიგიურ პროცესებს, რელიგიურ სწავლებას, რელიგიური და მსოფლმხედველობრივი დღესასწაულების მოწყობას.

რწმენის თავისუფლებით დაცულია პირის უფლება ჰქონდეს და გამოავლინოს თავისი რელიგიური თუ მსოფლმხედველობრივი რწმენა, აგრეთვე უფლება უარყოს ისინი ან არ გამოთქვას თავისი შეხედულება საკუთარი რელიგიური თუ მსოფლმხედველობრივი რწმენის შესახებ. ამას პირდაპირ ადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად დაუშვებელია ადამიანის იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება რწმენისა და აღმსარებლობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს, *inter alia*, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებანი, ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს, რომ დაუშვებელია ადამიანის დევნა აღმსარებლობის ან რწმენის (მაგრამ არა სინდისის) გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ. ამდენად, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტში „სინდისი“ გამოტოვებულია იმ საფუძვლებიდან, რომელთა გამო დაუშვებელია ადამიანის დევნა. თუმცა ეს პრობლემა შეიძლება გადაწყდეს სამართლებრივი ინტერპრეტაციის გზით, დაცული უფლების ობიექტისა და მიზნის შესაბამისად.

საყურადღებოა, რომ კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტისაგან განსხვავებით, რომელიც კრძალავს პირის დევნას აღმსარებლობის ან რწმენის, მაგრამ არა სინდისის გამო, სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლი ასევე მოიცავს „სინდისს“ და ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ამ მიზეზით პირის დევნისათვის. თუმცა სისხლის სამართლის კოდექსი არ ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას პირის იძულებისათვის, გამოთქვას თავისი შეხედულება სინდისის, აღმსარებლობის ან რწმენის შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულია არა მარტო იმ პირების რწმენა და აღმსარებლობა, რომლებიც ტრადიციული რელიგიის მიმდევრები არიან, არამედ მისი მოქმედება ვრცელდება ყველა რელიგიურ მიმდინარეობაზე. ამდენად, კონსტიტუციით გათვალისწინებული თავისუფლება ვრცელდება როგორც ტრადიციულ, ისე არატრადიციულ რელიგიურ მიმდინარეობებზე და მათი მიმდევრები თანაბრად არიან დაცული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ რელიგიურ გაერთიანებას ეკუთვნიან.

კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული თავისუფლებები ვრცელდება ნებისმიერ პირზე და არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე. აქედან გამომდინარე, რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება უზრუნველყოფილია ნებისმიერი პირისათვის, მისი მოქალაქეობრივი სტატუსის მიუხედავად. ეს დასტურდება კონსტიტუციის მე-14 მუხლით და 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტით.

რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებით სარგებლობა პირს შეუძლია როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად. კოლექტიურად ეს თავისუფლება შეიძლება

განხორციელდეს იურიდიული პირის, რელიგიური და მსოფლმხედველობრივი გაერთიანებების მეშვეობით.

ამის დასტურად შეიძლება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონპროექტის მოშველიება, რომელიც მიზნად ისახავს რელიგიურ გაერთიანებათა სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგებას.<sup>1</sup> კანონპროექტის მიხედვით, რელიგიური გაერთიანება არის ერთი და იმავე სარწმუნოების, სრულწლოვან მოქალაქეთა ან საქართველოს ტერიტორიაზე ჯედმეად მცხოვრებ, მოქალაქეობის არმქონე პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც შექმნილია არანაკლებ 50 პირის მიერ ერთიანი აღმსარებლობისა და მრწამსის გაერცელების მიზნით და რეგისტრირებულია ამ კანონით დადგენილი წესით.<sup>2</sup>

კონსტიტუციურად რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება შეიძლება განხორციელდეს რელიგიური და მსოფლმხედველობრივი რწმენის ქადაგებით, რელიგიური და მსოფლმხედველობრივი სწავლებით, რიტუალების შესრულებით და ა.შ.<sup>3</sup>

კონსტიტუციით განმტკიცებული თავისუფლებანი ვრცელდება არა მარტო რელიგიურ, არამედ არარელიგიურ რწმენაზეც. გარდა რელიგიური რწმენისა, პირს შეუძლია აირჩიოს, ჰქონდეს და გააერცელოს მსოფლმხედველობრივი რწმენა და იმოქმედოს მის შესაბამისად. მსოფლმხედველობრივი რწმენის მაგალითია პაციფიზმი.<sup>4</sup>

რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებანი სახელმწიფოს აკისრებს არა მარტო ნეგატიურ, არამედ ასევე პოზიტიურ ვალდებულებასაც. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ ის, რომ სახელმწიფო ორგანოები და მისი წარმომადგენლები არ ჩაერვიან კონსტიტუციით განმტკიცებული თავისუფლებებით სარგებლობაში, არამედ ისიც, რომ განსხვავებული რწმენის მქონე პირებმა ან მათმა ჯგუფებმა არ შეზღუდონ სხვა რწმენის მიმდევარ პირთა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებანი. ამის დასტურად შეიძლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებანი მოშველიება, რომელიც უხელოდა რელიგიის თავისუფლებას (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი). საქმეზე – ოტო-პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ (*Otto-Preminger-Institut v. Austria*) – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ: „პირებს, რომლებიც ავლენენ თავიანთ რელიგიას, მიუხედავად იმისა, ისინი რელიგიურ უმრავ-

<sup>1</sup> რელიგიური გაერთიანებების კონკრეტულ იურიდიულ სტატუსთან დაკავშირებით უკვე არსებობს გარკვეული საკანონმდებლო საფუძვლები. საქართველოს საშრობაქო კოდექსის 1509-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საშრობაქო კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ითვლებიან საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები (პოლიტიკური პარტიები, რელიგიური გაერთიანებები და სხვ.).

<sup>2</sup> მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტი.

<sup>3</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იმეორებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც: „რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით აღიარებულ სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლებას, იგი მინარსის გათვალისწინებით ადამიანის ძირითადი უფლება და შეიძლება ჰქონდეს გაერთიანების წევრებს და არა იურიდიულ პირს.“ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საშრობაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატის განჩინება, საქმე №33/599, 2001 წლის 22 თებერვალი.

<sup>4</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მოხსენება, საქმე *ეროუსმისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Arrowsmith v. the United Kingdom)*, 1978 წლის 10 ოქტომბერი, 69-ე პუნქტი.



ლესობას განეკუთვნებიან თუ უმცირესობას, არა აქვთ გონიერული საფუძველი ვარაუდ-ისა, რომ მათ არ გააკრიტიკებენ. ამ პირებმა უნდა მოითმინონ და შეეგუონ იმას, რომ სხვა რელიგიურმა ჯგუფმა შეიძლება უარყოს მათი რელიგიური მრწამსი და გაავრცელოს კიდევ მათი მრწამსის საწინააღმდეგო სწავლება. თუმცა კრიტიკის ხერხებმა ან რელიგიური სწავლებისა და მრწამსის უარყოფამ შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, თუ იგი ვერ უზრუნველყოფს მე-9 მუხლით გარანტირებული უფლების მშვიდობიან სარგებლობას ყველასათვის, ვინც ამ სწავლებასა და მრწამსს ემხრობა. ექსტრემალურ შემთხვევებში კრიტიკის ან რელიგიური მრწამსის უარყოფის შედეგმა შეიძლება ხელი შეუშალოს ამ პირთა მიერ თავიანთი მრწამსის მიმდევრობას ან გამოხატვას.<sup>1</sup>

რწმენის ან სინდისის გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გათვალისწინებული რწმენისა და სინდისის თავისუფლების ფუნდამენტური ასპექტია.<sup>2</sup> რწმენისა და სინდისის გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლების განხორციელება სამი ათეული წლის განმავლობაში ევროპის საბჭოს მუდმივი ზრუნვის საგანია.<sup>3</sup> ევროპის საბჭოს წევრი-სახელმწიფოების უმრავლესობამ თავიანთი კანონმდებლობაში გაითვალისწინა რწმენისა და სინდისის გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლება.<sup>4</sup>

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა თავის 1987 წელს მიღებულ რეკომენდაციაში აღნიშნა, რომ „ნებისმიერ სამხედროვალდებულ პირს, რომელიც მრწამსის გამო უარს აცხადებს იარაღის გამოყენებაზე, აქვს უფლება გათავისუფლდეს ასეთი სამსახურის გავლის ვალდებულებისაგან, დადგენილი პირობების გათვალისწინებით. ასეთ პირებს შეიძლება დაეკისროთ ალტერნატიული სამსახურის შესრულება.“<sup>5</sup>

რწმენის ან სინდისის გამო სამხედრო სამსახურზე უარი არ ანიჭებს პირს სამოქალაქო სამსახურისაგან გათავისუფლების უფლებას. მისი გავლა პირს შეიძლება დაეკისროს, როგორც სამხედრო სამსახურის ნაცვლად. ამდენად, სახელმწიფოს შეუძლია დააწესოს სამოქალაქო სამსახურის გავლა და დააკისროს პასუხისმგებლობა მათ, ვინც უარს აცხადებს ამ სამსახურის გავლაზე.

სხვა ევროპული სახელმწიფოების მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს რწმენისა და სინდისის გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლებას.<sup>6</sup>

<sup>1</sup> 1994 წლის 20 სექტემბერი, Series A no. 295-A, 47-ე პუნქტი.

<sup>2</sup> Para. 2, Recommendation 1518 (2001) on “Exercise of the Rights of Consciences Objections to Military Service in Council Europe Member States”.

<sup>3</sup> Para. 1, Recommendation 1518 (2001) on “Exercise of the Rights of Consciences Objections to Military Service in Council Europe Member States”.

<sup>4</sup> Para. 3, Recommendation 1518 (2001) on “Exercise of the Rights of Consciences Objections to Military Service in Council Europe Member States”.

<sup>5</sup> Recommendation No. R(87)8. See also Resolution No. 337 (1967) of the Parliamentary Assembly of the Council of Europe and Recommendation 1518 (2001) on “Exercise of the Rights of Consciences Objections to Military Service in Council Europe Member States”.

<sup>6</sup> კანონი არასამხედრო, ალტერნატიული შრომით სამსახურის შესახებ (1997 წლის 28 დეკემბერი); დებულება არასამხედრო შრომით სამსახურის გავლის შესახებ (2001 წლის 1 მაისი); მოქალაქეთა არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისიის დებულება (2001 წლის 1 მაისი); განკარგულება მოქალაქეთა არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (2001 წლის 10 დეკემბერი); საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არასამხედრო, ალტერნატიული შრომით სამსახურის დეპარტამენტის დებულება (2002 წლის 2 აპრილი).

იმ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება, რომლებიც უარს აცხადებენ სამხედრო სამსახურზე რწმენისა და სინდისის გამო, ხდება საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით. სპეციალური კანონი „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ აწესრიგებს სამხედრო ვალდებულების არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის ფორმით მოხდასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

კანონი განსაზღვრავს არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს, როგორც საზოგადოებრივად სასარგებლო სამოქალაქო სამსახურს, რომელიც ცვლის სამხედრო სამსახურს და ემყარება სამხედრო ვალდებულების სამხედრო სამსახურის ფორმით მოხდაზე უარის თქმის დასაბუთებას სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების საფუძველზე.<sup>1</sup> არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევას აწარმოებს მოქალაქეთა სამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისია.<sup>2</sup>

სამხედროვალდებული საქართველოს მოქალაქე (ე.ი. პირი 18-იდან 27 წლამდე), რომელიც აზრის, სინდისის ან რელიგიის გამო უარს აცხადებს სამხედრო სამსახურზე, გაიწვევა არასამხედრო, ალტერნატიულ სამსახურში.<sup>3</sup> პირები, რომლებიც გადიან არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს, დაკავებული არიან ისეთი საქმიანობით, რომელიც დაკავშირებულია საავარიო-სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებთან, ეკოლოგიასთან, მშენებლობასთან, სოფლის მეურნეობასთან, ჯანმრთელობასა და კომუნალურ მომსახურებასთან.<sup>4</sup>

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ მიჯნავს იმ პირთა სხვადასხვა კატეგორიას, რომლებიც უარს აცხადებენ სამხედრო სამსახურზე მრწამსის გამო, იმის მიხედვით, თუ ვინ შეიძლება გათავისუფლდეს სამხედრო სამსახურისაგან და გაიაროს არასამხედრო, ალტერნატიული სამსახური. საქართველოს კანონმდებლობა არ იზიარებს ზოგიერთი სახელმწიფოს მიდგომას, რომ მხოლოდ იეპოვას მოწმეები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურისაგან. ამდენად, საქართველოს ყველა მოქალაქე, რომელიც უარს აცხადებს სამხედრო სამსახურის გავლაზე რწმენის, სინდისის ან აღმსარებლობის გამო (და არა მხოლოდ იეპოვას მოწმეები) თავისუფლდება სამხედრო სამსახურისაგან და გადის არასამხედრო, ალტერნატიულ სამსახურს.

კანონის მიხედვით, არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის ვადაა 18 თვე უმაღლესი განათლების მქონე პირებისათვის, ხოლო 24 თვე უმაღლესი განათლების არმქონე პირებისათვის.<sup>5</sup> აღსანიშნავია, რომ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით, სამხედრო სამსახურის ვადაა 12 თვე უმაღლესი განათლების მქონე პირებისათვის და 24 თვე უმაღლესი განათლების არმქონე პირებისათვის.<sup>6</sup>

<sup>1</sup> მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტი.

<sup>2</sup> მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტი.

<sup>3</sup> მე-3 მუხლი.

<sup>4</sup> მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტი.

<sup>5</sup> მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი.

<sup>6</sup> 32-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

კანონი დაწერილებით განსაზღვრავს წესებს, პროცედურებსა და პირობებს, რომლებიც გამოიყენება არასამხედრო, ალტერნატიული სამსახურის მიმართ, მათ შორის სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლების შესახებ განაცხადთა განხილვასთან დაკავშირებით.<sup>1</sup> პირს, რომელიც ითხოვს არასამხედრო, ალტერნატიული სამსახურის გაკლას, უფლება აქვს, დაესწროს იმ კომისიის სხდომას, რომელიც წყვეტს ამ საკითხს და დაასაბუთოს თავისი მოსაზრება.<sup>2</sup> არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის ან გაწვევაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და შესაბამის ბრძანებას გამოსცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისიის დასკვნის საფუძველზე. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში 10 დღის განმავლობაში. სასამართლო ვალდებულია 10 დღის განმავლობაში განიხილოს საკითხი და გამოიტანოს გადაწყვეტილება მინისტრის ბრძანების ძალაში დატოვების ან გაუქმების შესახებ.<sup>3</sup>

საქართველოს კანონმდებლობა არასამხედრო, ალტერნატიული სამსახურის გაცდენის ან მისთვის თავის არიდებისათვის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ კანონი ადგენს, რომ არასამხედრო, ალტერნატიული სამსახურის გაცდენილი დღეები გაორმაგდება.<sup>4</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ასევე ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ალტერნატიული შრომითი სამსახურისაგან თავის არიდებისათვის.<sup>5</sup>

აღსანიშნავია, რომ ამჟამად არ არსებობს სპეციალური კანონი, რომელიც ყოველისმომცველად მოაწესრიგებდა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, კანონპროექტი სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებათა ყოველისმომცველად მოწესრიგებას, უკვე შეიმუშავა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ.<sup>6</sup> კანონპროექტი ემსახურება კონსტიტუციით აღიარებული სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებათა გარანტირებას და აწესრიგებს რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივ სტატუსს და მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.<sup>7</sup>

კანონპროექტი ადგენს ძირითად პრინციპებს, რომლებითაც უზრუნველყოფილია ყველა პირის აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებანი. ეს პრინციპებია: მოქალაქეთა თანასწორობა რელიგიისადმი მათი დამოკიდებულების მიუხედავად, რელიგიური გაერთიანებების დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან და რელიგიური გაერთიანებების თანასწორობა კანონის წინაშე.<sup>8</sup>

<sup>1</sup> სახელმწიფო კომისიამ დაახლოებით 200 განაცხადი მიიღო, რომლებშიც ითხოვენ არასამხედრო, ალტერნატიული სამსახურის გაკლას.

<sup>2</sup> მე-7-მე-10 მუხლები.

<sup>3</sup> მე-11 მუხლი.

<sup>4</sup> მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტი.

<sup>5</sup> 356-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>6</sup> იხ. Draft Law on the Freedom of Conscience and Religious Entities of Georgia and Explanatory Note, Strasbourg, 27 November 2003, CDL (2003) 90.

<sup>7</sup> 1-ელი მუხლი.

<sup>8</sup> მე-3 მუხლი.

კანონპროექტი განსაზღვრავს პირის სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის ძირითად უფლებას. კანონპროექტის მე-4 მუხლი ადგენს: „საქართველოში გარანტირებულია სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. ყოველი 14 წლის ასაკს მიღწეული პირი თავისუფალია რელიგიური მრწამსის არჩევანში, უფლება აქვს ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად აღიარებდეს ნებისმიერ რელიგიას ან არ აღიარებდეს არავითარს, შეიცვალოს რელიგიური მრწამსი ან უარი თქვას რწმენის აღმსარებლობაზე, თავისუფლად გამოხატოს თავისი რელიგიური მრწამსი და იმოქმედოს მის შესაბამისად.“<sup>1</sup> ამასთანავე, იკრძალება ადამიანის იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება რელიგიისადმი დამოკიდებულების, და რელიგიური გაერთიანების საქმიანობაში მისი მონაწილეობის შესახებ, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.<sup>2</sup>

პროექტი ითვალისწინებს, რომ უცხოელი მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი საქართველოს მოქალაქის თანაბრად სარგებლობს სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებებით.<sup>3</sup> დაუმუშაველია რაიმე უპირატესობის მინიჭება, შეზღუდვა, დევნა ან დისკრიმინაციის სხვა ფორმის გამოყენება რელიგიური აღმსარებლობის გამო.<sup>4</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ასევე აწესრიგებს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებათა დაცვისათვის სამართლებრივ გარანტიებს. კოდექსის 155-ე მუხლი ადგენს, რომ ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ერთ წლამდე ვადით, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე (1-ელი ნაწილი). იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ (მე-2 ნაწილი).

სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლი ითვალისწინებს სასჯელს ჯარიმის ან ვადით ორ წლამდე თავისუფლების შეზღუდვის, ანდა იმავე ვადით თავისუფლების აღკვეთის სახით სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის რელიგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ადამიანის დევნისათვის (1-ელი ნაწილი). 156-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს უფრო მძიმე სასჯელს, თუ ამ მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

ამასთან ერთად, სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი ადგენს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას რელიგიისადმი დამოკიდებულების ან აღმსარებლობის გამო ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევისათვის.

<sup>1</sup> 1-ელი პუნქტი.

<sup>2</sup> მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>3</sup> მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი. იხ. ასევე კანონპროექტის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტი.

<sup>4</sup> მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

## II. დაცულ სფეროში ჩარევა

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლიდან გამომდინარე, გარკვეულ გარემოებებში სახელმწიფო შეიძლება ჩაერიოს ამ მუხლით გათვალისწინებული თავისუფლებებით სარგებლობაში. ამგვარ ჩარევაში იგულისხმება სახელმწიფოს მიერ ისეთი ღონისძიების გატარება, რომელიც პირს საერთოდ უკრძალავს ან ზღუდავს კონსტიტუციით გათვალისწინებული თავისუფლებებით სარგებლობას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი ზოგადად კრძალავს ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვას, მაგრამ დასაშვებად მიიჩნევა გამონაკლისის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით. ამ დებულებიდან გამომდინარე, დასაშვებია მე-19 მუხლით გათვალისწინებულ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს.

რადგან კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული სფერო მოიცავს როგორც ადამიანის რელიგიური და მსოფლმხედველობრივი რწმენის შინაგან თავისუფლებას, ისე რწმენის გამოვლინების თავისუფლებას (გარეგანი თავისუფლება), ნათელია, რომ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი დასაშვებად მიიჩნევა თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას მხოლოდ დაცული თავისუფლების გამოვლინებასთან დაკავშირებით (მაგ., რიტუალების შესრულება, რელიგიური პროცესიები, რელიგიური სწავლება, რელიგიური და მსოფლმხედველობრივი დღესასწაულების ჩატარება).

ამდენად, შინაგანი თავისუფლების შეზღუდვა იკრძალება ნებისმიერ გარემოებაში. რაც შეეხება გარეგან თავისუფლებას, ანუ მე-19 მუხლით დაცული თავისუფლების გამოვლინებას, კონსტიტუცია დასაშვებად მიიჩნევა მისი შეზღუდვის შესაძლებლობას. კონსტიტუციით გათვალისწინებული მიდგომა შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტებს, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.<sup>1</sup>

საქართველოს კონსტიტუცია დასაშვებად მიიჩნევა მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თავისუფლების შეზღუდვას მხოლოდ ერთი მიზეზით – თუ თავისუფლების გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს. მე-19 მუხლით დაცული თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი (სხვათა უფლებები) მეტად შეზღუდულია საერთაშორისო დოკუმენტებთან შედარებით. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს რამდენიმე საფუძველს, რომელთა გამოც შეიძლება შეიზღუდოს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება. კერძოდ, ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს რწმენისა და აღმსარებლობის შეზღუდვისათვის ისეთ საფუძველებს, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარდა, როგორცაა საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, საზოგადოებრივი წესრიგი, ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვა.

რადგან საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი აწესებს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვის ერთადერთ საფუძველს, ეს თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სხვათა უფლებების დაცვისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენცია (რომლის მონაწილე საქართველოცაა)

<sup>1</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი. ასევე იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *კოკინაკის საერძნოთის წინააღმდეგ (Kokkinakis v. Greece)*, 1993 წლის 25 მაისი, Series A no. 260-A, 33-ე პუნქტი.

ასევე ითვალისწინებს სხვა საფუძვლებს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვისათვის. კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, არც ერთი სხვა საფუძვლით (მაგ., საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები, საზოგადოებრივი წესრიგი) არ შეიძლება შეიზღუდოს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება.

მიუხედავად ამისა, სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ შემუშავებული კანონპროექტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ: „სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კონსტიტუციითა და კანონით და აუცილებელია კონსტიტუციური წყობილების, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, საქართველოს მოქალაქეთა და სხვა პირთა თანასწორობის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, აგრეთვე მათი უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.“<sup>1</sup>

ამკარაა, რომ საქართველოს კონსტიტუციისაგან განსხვავებით, რომელიც ადგენს რწმენისა და აღმსარებლობის შეზღუდვის მხოლოდ ერთ მიზეზს (სხვათა უფლებები), კანონპროექტი ითვალისწინებს ამ თავისუფლებათა შეზღუდვის რამდენიმე საფუძველს (მაგ., კონსტიტუციური წყობილება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება და წესრიგი), რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

ანალოგიური პრობლემა არსებობს სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონპროექტში რელიგიური გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის შეზღუდვასთან დაკავშირებით. ამ კანონპროექტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რელიგიური გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობისათვის შეზღუდვის დაწესება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, რაც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ან დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, ზნეობის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.<sup>2</sup>

რადგან საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს ერთადერთ საფუძველს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებათა შეზღუდვისათვის, კანონპროექტის დებულებები, რომლებიც ამ თავისუფლებათა შეზღუდვის სხვა საფუძვლებსაც ადგენს, ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტთან შესაბამისობის თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ზემოხსენებული კანონპროექტის სხვა დებულებებიც. როგორც აღინიშნა, კონსტიტუციის თანახმად, დაუშვებელია ადამიანის იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება აღმსარებლობის ან რწმენის გამო. ამ დებულების შესაბამისად, იკრძალება შინაგანი თავისუფლების შეზღუდვა. ამის მიუხედავად, კანონპროექტის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს, რომ „დაუშვებელია ადამიანის იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება რელიგიისადმი დამოკიდებულების ... შესახებ, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.“

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე

<sup>1</sup> იხ. Draft Law on the Freedom of Conscience and Religious Entities of Georgia and Explanatory Note, Strasbourg, 27 November 2003, CDL (2003) 90.

<sup>2</sup> მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტი.

ეობს, რომ შეიძლება შეიზღუდოს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების მხოლოდ გამოვლინება, ანუ გარეგანი და არა შინაგანი თავისუფლება, კანონპროექტი მინც დასაშვებად მიიჩნეეს ადამიანის იძულებას, გამოთქვას თავისი შეხედულება რელიგიისადმი დამოკიდებულების შესახებ, გარდა კანონით დადგენილი შეზღუდვებისა.<sup>1</sup>

### III. დაცულ სფეროში ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გაპარტოლება

როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს, რომ დაუშვებელია რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ დებულების მიხედვით, სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებანი, მან თითოეული ასეთი შეზღუდვა უნდა გაამართლოს. სახელმწიფომ უნდა შეადაროს, აწონ-დაწონოს ის უფლებები და ინტერესები, რომლებიც კონკრეტულ გარემოებაში ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ასეთი შედარების (აწონ-დაწონის) საფუძველზე სახელმწიფომ უნდა დაადგინოს კონკრეტულ გარემოებაში რომელი მხარის უფლებები და ინტერესები იმსახურებს უფრო მეტად დაცვას.

რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებათა შეზღუდვა მაშინ იქნება გამართლებული, თუ მათი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს. კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 მუხლის მიხედვით, ამ მუხლით გათვალისწინებული თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ მართლზომიერად უნდა მოხდეს. ცხადია, თუ დაცული თავისუფლება იზღუდება იმაზე მეტად, ვიდრე ამას სხვა პირთა უფლებების დაცვა მოითხოვს, ასეთი შეზღუდვა არამართლზომიერად უნდა იქნეს მიჩნეული.

როგორც უკვე აღინიშნა, რწმენის თავისუფლება მოიცავს პირის უფლებას ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღოს რელიგიური წესებისა და შინაგანი რწმენის შესაბამისად და იმოქმედოს მათ მიხედვით. ეს საკითხი განსაკუთრებით საინტერესოა სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით. ამ კონტექსტში რწმენის თავისუფლება უნდა განიშარტოს ისე, რომ პირს ჰქონდეს უფლება თავად გადაწყვიტოს, ისარგებლოს თუ არა სამედიცინო მომსახურებით. ეს საკითხი წყაროდება საქართველოს კანონმდებლობით. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, ქმედუნარიან პაციენტს უფლება აქვს უარი თქვას ნებისმიერ სამედიცინო ჩარევაზე, თუმცა კანონი ადგენს გამონაკლისს განსაკუთრებით საშიში გადაამდები დაავადებების განვითარების მაღალი რისკის მქონე მოქალაქეებისათვის სამკურნალო, პროფილაქტიკური და საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით.<sup>2</sup>

კანონის 146-ე მუხლი ასევე აწესებს, რომ კრიტიკულ მდგომარეობაში და/ან ტერმინალურ სტადიაშიც კი ავადმყოფს აქვს სამედიცინო ჩარევაზე უარის თქმის უფლება.

<sup>1</sup> იხ. Opinion of the Draft Law on Freedom of Conscience and Religious Entities of Georgia, the Venice Commission for Democracy Through Law, 57th Plenary Session, 12-13 December 2003, CDL-AD (2003) 20, N 262/2003, 16 December 2003, para. 10.

<sup>2</sup> ასევე იხ. „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლი.

კანონი ადგენს გონივრულ ბალანსს მხარეთა უფლებებსა და ინტერესებს შორის – ერთი მხრივ, პირის უფლებასა, იმოქმედოს თავისი რელიგიური თუ არარელიგიური რწმენის მიხედვით და, მეორე მხრივ, სხვა პირების ინტერესებს შორის, დაცული იყოს მათი ჯანმრთელობა. პირის უფლების შეზღუდვა იმოქმედოს თავისი რწმენის მიხედვით, მართლზომიერად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ საფრთხე ექმნება სხვა პირების ჯანმრთელობას, ხოლო არამართლზომიერი იქნება პირის უფლების შეზღუდვა, თუ არ არსებობს საფრთხე სხვა პირების ჯანმრთელობისათვის.

რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთ-ერთი საქმის მოშველიება, რომელიც ჯერ საბერძნეთის სასამართლომ, ხოლო შემდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა. საქმეში – *კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Kokkinakis v. Greece)* – ბ-ნი კოკინაკისი და მისი მეუღლე, რომლებიც იეპოვას მოწმეები იყვნენ, სახლში მივიდნენ ქ-ნ კირიაკაკისთან, რომელიც მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, და მასთან დისკუსია გამართეს.<sup>1</sup> ქ-ნ კირიაკაკის მეუღლემ გამოიძახა პოლიცია, რომელმაც დააკავა ცოლ-ქმარი კოკინაკისები. ორივეს ბრალი დაედო პროზელიტიზმისათვის საბერძნეთის 1363/1938 კანონის მიხედვით. აღნიშნული კანონი ადგენს, რომ „ნებისმიერ პირს, რომელიც განახორციელებს პროზელიტიზმს, შეეფარდება პატიმრობა და ფულადი ჯარიმა. ... პროზელიტიზმი ნიშნავს, კერძოდ, პირის რელიგიურ მრწამსში ჩარევის ნებისმიერ – პირდაპირ თუ არაპირდაპირ – ცდას, რომელიც მიზნად ისახავს ამ მრწამსის დაქინებებს ნებისმიერი სახის ცდუნების ან მორალური თუ მატერიალური დახმარების დაპირებების მეშვეობით, მოტყუებით, ან პირის გამოუცდლობით, ნდობით, საჭიროებით, დაბალი ინტელექტით ან გულუბრყვილობით სარგებლობით.“

ცოლ-ქმარი კოკინაკისები დააჯარიმეს და მიუსაჯეს პატიმრობა. აპელაციის შედეგად ქ-ნ კოკინაკისის მსჯავრდება გაუქმდა, მაგრამ სასამართლომ ძალაში დატოვა მისი მეუღლის მიმართ გამოტანილი განაჩენი. ამ საქმესთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ განაცხადა:

„პირველ რიგში, განსხვავება უნდა გაკეთდეს ქრიატიანული მრწამსის პროპაგანდასა და არასათანადო პროზელიტიზმს შორის. პირველი შესაბამება ჭეშმარიტ ევანგელიზმს, რომელსაც მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს ეგიდით შემუშავებული 1956 წლის მოხსენება განსაზღვრავს როგორც ყოველი ქრისტიანისა და ყოველი ეკლესიის ძირითად მისიასა და პასუხისმგებლობას. ხოლო მეორე – მისი არასათანადო და მიუღებელი ფორმაა. იმავე მოხსენების მიხედვით, მან შეიძლება მიიღოს ისეთი საქმიანობის ფორმა, რომელიც ცალკეულ პირებს სთავაზობს გარკვეულ მატერიალურ თუ სოციალურ უპირატესობას, რათა რომელიმე ეკლესიამ შეიძინოს ახალი მორწმუნეები ან ახდენს მიუღებელ ზემოქმედებას სასოწარკვეთილებაში მყოფ ან გაჭირვებულ პირებზე. მას ასევე შეიძლება მოჰყვეს ძალადობის გამოყენება. უფრო ზოგადად, პროზელიტიზმი შეუთავსებელია სხვა პირთა აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების პატივისცემასთან.“<sup>2</sup>

რადგან ეროვნულმა სასამართლომ არ დააზუსტა რა უკანონო საშუალებები იქნა გამოყენებული რელიგიური მრწამსის შესახებ დისკუსიის დროს, მან ვერ დაადგინა

<sup>1</sup> 1993 წლის 25 მაისი, Series A no. 260-A.

<sup>2</sup> 48-ე პუნქტი.



ბ-ნი კოკინაქისის მსჯავრდების მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება. ევროპული სასამართლოს აზრით, მსჯავრდება არ იყო კანონიერი მიზნის პროპორციული, რის გამოც იგი უკანონოდ იქნა მიჩნეული.<sup>1</sup>

ევროპული სასამართლო მიემხრო მსგავს პოზიციას საქმეში – *ლარისის და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Larissis and Others v. Greece)*, რომელშიც გამოიწვნა კანონიერი და უკანონო პროზელიტიზმი.<sup>2</sup> მან აღნიშნა, რომ „მე-9 მუხლი არ იცავს ყველა მოქმედებას, რომელიც მოტივირებულია ან შთაგონებულია რელიგიით ან მრწამსით. ის არ იცავს, მაგალითად, უკანონო პროზელიტიზმს, როგორცაა ნივთების ან სოციალური უპირატესობების შეთავაზება, ან უკანონო ზეგავლენის გამოყენება ეკლესიის ახალ წევრთა მოზიდვის მიზნით.“<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> 49-ე პუნქტი.

<sup>2</sup> 1998 წლის 24 თებერვალი, 1998-1, 362.

<sup>3</sup> 45-ე პუნქტი.

**მუხლი 20.**

„1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

2. არაგის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა“.

**1. დაცული სფერო**

პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებები განეკუთვნება ადამიანის ძირითად უფლებებს. კონსტიტუციურ დონეზე ისინი ძირითადად უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით, თუმცა ამ უფლებათა სხვადასხვა ელემენტს კონსტიტუციის სხვა მუხლებიც ითვალისწინებს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მიხედვით:

„1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

2. არაგის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მათ მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.“

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის მე-20 მუხლის მიზანია ზოგადად პირადი სფეროს დაცვა, განსაკუთრებით საყურადღებოა დაცული უფლებათა შემდეგი სამი ასპექტი: ა) პირადი ცხოვრება; ბ) მიმოწერის ხელშეუხებლობა; და გ) საცხოვრებლის ხელშეუხებლობა.

ამიტომ, მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილდეს აღნიშნულ სამ ასპექტზე.

**1.1. პირადი ცხოვრება**

პირადი ცხოვრების უფლება უზრუნველყოფს ადამიანის კერძო სფეროს დაცვას მასში სხვა პირების ჩარევისაგან. რთული და, ალბათ, შეუძლებელია, პირადი ცხოვრების კონცეფციის ამომწურავად განსაზღვრა. საყურადღებოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ამომწურავად არასოდეს განუსაზღვრავს პირადი ცხოვრების კონცეფცია. საქმეზე – *კოსტელო-რობერტსი გაერთიანებული სამეფოს*

წინააღმდეგ (*Costello-Roberts v. the United Kingdom*) – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პირადი ცხოვრება ფართო კონცეფციაა, რომელიც „არ ექვემდებარება ამომწურავად განსაზღვრას“.<sup>1</sup>

პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს პირის უფლებას დაამყაროს და ჰქონდეს სხვა ადამიანებთან ურთიერთობა მესამე მხარის, მათ შორის სახელმწიფოს, ჩარევის გარეშე. საქმეზე – *ნიმიცი გერმანიის წინააღმდეგ (Niemietz v. Germany)* – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ:

„სასამართლო არ თვლის შესაძლებლად ან აუცილებლად, ამომწურავად განსაზღვროს „პირადი ცხოვრების“ კონცეფცია. თუმცა მეტად შეზღუდული იქნებოდა ამ კონცეფციის შემოფარგვლა „შიდა წრით“, რომელშიც ინდივიდი შეიძლება თავისივე არჩეული პირადი ცხოვრებით ცხოვრობდეს და მისგან გამორიცხავდეს გარესამყაროს, რომელიც არ შედის ამ წრეში. პირადი ცხოვრების პატივისცემა ასევე უნდა მოიცავდეს, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას.“<sup>2</sup>

კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული უფლებები ვრცელდება ნებისმიერ პირზე და არა მარტო საქართველოს მოქალაქეებზე. აქედან გამომდინარე, პირადი ცხოვრების უფლება უზრუნველყოფილია ნებისმიერი პირისათვის, მისი მოქალაქეობრივი სტატუსის მიუხედავად.

პირადი ცხოვრების უფლება სახელმწიფოს აკისრებს არა მარტო ნეგატიურ, არამედ ასევე პოზიტიურ ვალდებულებას.<sup>3</sup> სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ ის, რომ სახელმწიფო ორგანოები და მისი წარმომადგენლები არ ჩაერევიან პირადი ცხოვრების უფლებით სარგებლობაში, არამედ ისიც, რომ უზრუნველყოფილი იქნება ამ უფლების დაცვა მესამე მხარის ხელყოფისაგან.

პირადი ცხოვრების უფლება რამდენიმე ელემენტს მოიცავს, რომლებიც დაკავშირებულია: ა) პირის ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობასთან; ბ) სახელმწიფოს მიერ პირადი მონაცემების შეგროვებასა და შენახვასთან და პირადი ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან; გ) სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოებასთან; და დ) სახელმეობთან.

მიზანშეწონილია თითოეული ელემენტის განხილვა დეტალურად.

### 1.1.1. პირის ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა

პირადი ცხოვრების კონცეფცია მოიცავს პირის ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობას. საქართველოს კანონმდებლობა იცავს პირის როგორც ფიზიკურ, ისე მორალურ ხელშეუხებლობას. მორალური ხელშეუხებლობის საკითხის მოწესრიგება ხდება კონსტიტუციურ დონეზე. კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ელი პუნქტი ადგენს, რომ „ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.“

რაც შეეხება ფიზიკურ ხელშეუხებლობას, საყურადღებოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ (X and Y v. Netherlands)*. ამ საქმის განხილვისას ევროპულმა სასამართ-

<sup>1</sup> 1993 წლის 25 მარტი, Series A no. 247-C, 36-ე პუნქტი.

<sup>2</sup> 1992 წლის 16 დეკემბერი, Series A no. 251-B, 29-ე პუნქტი.

<sup>3</sup> *მარქსი ბელგიის წინააღმდეგ (Marckx v. Belgium)*, 1979 წლის 13 ივნისი, Series A, no. 31.

ლომ ნათელი გახდა, რომ ერთი პირის მიერ განხორციელებულმა ფიზიკურმა თავდასხმამ შეიძლება ხელყოს მეორე პირის პირადი ცხოვრება.<sup>1</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს პირად ჩხრეკასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ფიზიკური ხელშეუხებლობის კონტექსტში.<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ, ჩვეულებრივ, აუცილებელია მოსამართლის ბრძანების ან ს.სამართლოს განჩინების (დადგენილების) მიღება პირადი ჩხრეკის ან ამოღებისათვის, კოდექსი ითვალისწინებს, რომ პირადი ჩხრეკა და ამოღება შეიძლება განხორციელდეს მათ გარეშე კანონით დადგენილ შემთხვევებში.<sup>3</sup> კოდექსის მიხედვით, მოსამართლის ბრძანების ან სასამართლოს განჩინების (დადგენილების) გარეშე პირადი ჩხრეკა ან ამოღება შეიძლება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ ეჭვმიტანილის შეკვრობისას არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ მას თან აქვს იარაღი ან ცდილობს თავიდან მოიშოროს მტკიცებულება, რომელიც ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში;

ბ) პოლიციაში ან მოკვლევის სხვა ორგანოში ეჭვმიტანილის მიყვანის შემდეგ დაკავების ოქმის შედგენისას;

გ) ბრალდებულის დაპატიმრებისას, თუ საკმარისი საფუძველი არსებობს ვარაუდისათვის, რომ მას თან აქვს იარაღი, საგანი, რომლის შენახვაც კანონით იკრძალება, ანდა საგანი ან დოკუმენტი, რომელსაც საქმისათვის მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს;

დ) თუ საკმარისი საფუძველი არსებობს ვარაუდისათვის, რომ ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების ადგილას მყოფი პირი მალავს ამოსაღებ საგანს ან დოკუმენტს.<sup>4</sup> კოდექსი ადგენს პირადი ჩხრეკის წესებსა და პროცედურას, ასევე გარანტიებს ხელისუფლების მიერ ამ უფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. კოდექსი ითვალისწინებს პირადი ჩხრეკის დროს მოწმეთა მონაწილეობას,<sup>5</sup> უკანონო და უსაფუძვლო ამოღებისა და ჩხრეკის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას,<sup>6</sup> ჩხრეკის ოქმის შედგენის აუცილებლობას.<sup>7</sup>

მეუღლის მიერ გაუპატიურების საკითხი შეიძლება წამოიჭრას პირადი ცხოვრების საკითხთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის კოდექსი პირდაპირ არ ახდენს მეუღლის მიერ გაუპატიურების კრიმინალიზაციას. სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლი, რომელიც ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გაუპატიურებისათვის, გამოიყენება ასევე მეუღლის მიერ გაუპატიურების შემთხვევაში.

სექსუალური შეურაცხყოფა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის ფორმად და იგი დასჯადი მოქმედებაა სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.<sup>8</sup>

<sup>1</sup> X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ (X and Y v. Netherlands), 1985 წლის 26 მარტი, Series A no. 91, 22-ე პუნქტი; ასევე იხ. S.W. ვაერთანებული სამეფოს წინააღმდეგ (S.W. v. the United Kingdom), 1995 წლის 22 ნოემბერი, Series A no. 335-B.

<sup>2</sup> 325-ე მუხლი.

<sup>3</sup> 325-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>4</sup> 325-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>5</sup> 321-ე მუხლი.

<sup>6</sup> 324-ე მუხლი.

<sup>7</sup> 326-ე და 327-ე მუხლები.

<sup>8</sup> იხ. კოდექსის 138-ე და 139-ე მუხლები.

ოჯახური ძალადობის საკითხი ასევე შეიძლება დადგეს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების უფლებასთან დაკავშირებით. კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ოჯახური ძალადობისათვის, თუმცა კოდექსის ორი მუხლი ეხება ამ საკითხს: კოდექსის 125-ე მუხლის მიხედვით, ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, სისხლისსამართლებრივად დასჯადია; 126-ე მუხლი ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სისტიმატური ცემისა ან სხვაგვარი ძალადობისათვის, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია.

სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს დებულებებს, რომლებიც სხვადასხვა კონტექსტში ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას პირის ფიზიკური ხელშეუხებლობის დარღვევისათვის.<sup>1</sup>

რაც შეეხება მორალურ ხელშეუხებლობას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება.<sup>2</sup>

სიკეთის [ე.ი. პატივის, ღირსებისა და პირადი ცხოვრების საიდუმლოების] დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეულის მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეულის ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.<sup>3</sup>

### 1.1.2. პირადი მონაცემების უმბრომება, უნახვა და ბაგოყმნება სახელმწიფოს მიმართ და პირადი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

სახელმწიფო მოხელეთა მიერ პირის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, შენახვა და გამოყენება მისი თანხმობის გარეშე წამოჭრის პირადი ცხოვრების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხს. პირადი ცხოვრების საკითხს ასევე უკავშირდება სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული პირადი ინფორმაციის გაცნობის შეუძლებლობა.<sup>4</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განხილული საქმე – *გასკინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Gaskin v. the United Kingdom)* – განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მიმართებით.<sup>5</sup> განმცხადებელი ბავშვობაში იმყოფებოდა სახელმწიფო მეურვეობაში. ადგილობრივი სახელმწიფო ორგანო ინახავდა დოსიეს მისი მეურვეობის შესახებ. მას შემდეგ, რაც იგი ზრდასრული ადამიანი გახდა, გასკინმა მოისურვა გაცნობოდა თავის დოსიეს. სახელმწიფო ორგანომ უარი განაცხადა ასეთი ინფორმაციის გაცემაზე. მან ყურადღება გაამახვილა დოსიეს კონფიდენციალურად

<sup>1</sup> განსაკუთრებით, 117-ე, 118-ე, 120-ე, 125-ე, 126-ე, 137-ე-140-ე მუხლები.

<sup>2</sup> სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>3</sup> სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>4</sup> იხ. პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალის საქმე K.21/96, 1997 წლის 24 ივლისი.

<sup>5</sup> 1989 წლის 7 ივლისი, Series A no 160.

შენახვის მნიშვნელობაზე მეურვეობის სისტემის ეფექტიანობისათვის. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ:

„განმცხადებლის მდგომარეობაში მყოფ პირებს აქვთ კონვენციით დაცული ისეთი ინფორმაციის მიღების სასიცოცხლო ინტერესი, რომელიც აუცილებელია მათთვის, რომ იცოდნენ თავიანთი ბავშვობისა და განვითარების შესახებ.“<sup>1</sup>

პირადი მონაცემების დაცვას მესამე მხარისაგან ან საზოგადოებისაგან დიდი მნიშვნელობა აქვს პირადი ცხოვრების უფლებით სარგებლობისათვის.<sup>2</sup> საქმეზე – „ზ“ ფინეთის წინააღმდეგ (*Z v. Fin. and*) – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების კონფიდენციალურობა უნდა იქნეს დაცული.<sup>3</sup>

საყურადღებოა, რომ ევროპული სასამართლო პირადი ცხოვრების უფლებაში გულისხმობს პირის უფლებას გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციას საკუთარი თავის შესახებ, მაშინ როდესაც საქართველოს კონსტიტუცია სპეციალურ მუხლს უძღვნის ამ საკითხს (41-ე მუხლი).

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ:

„1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისათვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თითოეულ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.“

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (1999 წლის 25 ივნისი) აწესრიგებს, *inter alia*, პირადი მონაცემების შეგროვებას, შენახვას და გამოყენებას სახელმწიფოს, მიერ და პირადი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.<sup>4</sup> კოდექსის მიხედვით, საიდუმლო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სასამართლოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს, *inter alia*, პირად საიდუმლოებას.<sup>5</sup>

<sup>1</sup> 1989 წლის 7 ივლისი, Series A no 160. 49-ე პუნქტი.

<sup>2</sup> ამ თვალსაზრისით საინტერესოა პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალის საქმე, რომლის მიხედვით, საგადასახადო სამსახურისათვის ხელმისაწვდომი იყო გადასახადის გადახდელის საბანკო ანგარიში. საბოლოოდ, ტრიბუნალმა დასაშვებლად მიიჩნია საბანკო ანგარიშების შემოწმება საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ გააუქმა დებულება, რომელიც ფინანსთა მინისტრს ამ ინფორმაციის გაცემის უფლებას აძლევდა. იხ. პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალის საქმე K. 21/96, 1997 წლის 24 ივლისი.

<sup>3</sup> 1997 წლის 25 თებერვალი.

<sup>4</sup> ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, მისი მოქმედება არ ვრცელდება ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია, *inter alia*, დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასა და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან, ასევე ოპერატიულ სამებრო საქმიანობასთან.

მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი.

კოდექსის მე-10 მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით: „ყველას აქვს უფლება გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მათი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ, *inter alia*, პირად საიდუმლოებას.“<sup>1</sup>

კოდექსის 39-ე მუხლი აწესრიგებს პირადი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. იგი აღგენს, რომ:

„პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც იძლევა ამ პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და ამ კოდექსის თანახმად სხვა პირებისათვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს. პირს აქვს უფლება გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები.“

კოდექსი ასევე ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს. კოდექსის 43-ე მუხლის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, *inter alia*:

ა) შეაგროვოს, დაამუშაოს, შეინახოს მხოლოდ ის მონაცემები, რომელთა შეგროვების უფლებას მას პირდაპირ და უშუალოდ ანიჭებს კანონი და რომლებიც აუცილებელია ამ საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად;

ბ) არ დაუშვას საჯარო დაწესებულების მიერ ისეთი სახის პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა ან გაცემა, რომელიც დაკავშირებულია პირის რელიგიურ, სექსუალურ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ ან მსოფლმხედველობრივ შეხედულებებთან;

გ) პირის მოთხოვნით ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაანადგუროს კანონით განსაზღვრული მიზნებით გაუთვალისწინებელი, აგრეთვე არაზუსტი, არასარწმუნო, არასრული და საქმესთან დაუკავშირებელი მონაცემები და შეცვალოს ისინი ზუსტი, სარწმუნო, დროული და სრული მონაცემებით;

კოდექსი აღგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, არ გაახმაუროს პირადი ინფორმაცია. 44-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნიებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა.“

კოდექსის 47-ე მუხლის მიხედვით, პირს აქვს უფლება საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის, პერსონალური მონაცემების უკანონოდ შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელებისას, ასევე მათი სხვა პირისა ან საჯარო დაწესებულებისათვის უკანონოდ გადაცემისას.

სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას პირისათვის უკანონოდ უარის თქმისათვის მასზე არსებული ინფორმაციის ან ოფიციალური დოკუმენტის გაცნობაზე ან იმ დოკუმენტის თუ მასალის წარდგენაზე, რომელიც უშუალოდ შეეხება მის უფლებებსა და თავისუფ-

<sup>1</sup> იხ., ასევე, კოდექსის 28-ე მუხლი.

ფლებებს.<sup>1</sup> ამასთანავე, სისხლის სამართლის კოდექსი აგრეთვე ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ მოპოვების, შენახვის ან გავრცელებისათვის.

საქართველოს როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს დახურულ სასამართლო მოსმენას, თუ პირადი და ოჯახური ცხოვრების ინტიმური საკითხების გამჟღავნება სარისკო ხდება.<sup>2</sup>

### 1.1.3. სემსობრივი ცხოვრების საიდუმლოება

სექსობრივი ურთიერთობა ჰედის პირადი ცხოვრების სფეროში. საქმეზე – *დადჯენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Dudgeon v. the United Kingdom)*, – რომელიც ეხებოდა ურთიერთი ანხმობით ჰომოსექსუალურ ურთიერთობას სრულწლოვან მამაკაცებს შორის, სასამართლომ სექსობრივი ცხოვრება აღწერა როგორც პირადი ცხოვრების „ყველაზე ინტიმური ასპექტი“.<sup>3</sup> ამ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ ისეთი კანონმდებლობის არსებობამ, რომელიც უკანონოდ აცხადებდა ჰომოსექსუალურ ურთიერთობას, შელახა განმცხადებლის პირადი ცხოვრების უფლება.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მსგავსად, მამაკაცებს შორის ურთიერთთანხმობით ჰომოსექსუალური ურთიერთობის დამყარება არ ითვლება სისხლისსამართლებრივ დანაშაულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს, რომ სექსობრივი ურთიერთობა ურთიერთთანხმობის გარეშე მამაკაცებს შორის სისხლისსამართლებრივად დასჯადია (138-ე მუხლი). იგივე წესი გამოიყენება ურთიერთთანხმობის გარეშე ქალებს შორის ლესბოსური ურთიერთობის მიმართ, რაზეც პირდაპირ მიუთითებს 138-ე მუხლი. კოდექსის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, სექსუალური ზასიათის ძალმომრეობით მოქმედება იმის მიმართ, ვისაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი, მიჩნეულია სისხლისსამართლებრივ დანაშაულად.

სქესის შეცვლა მიჩნეულია პირადი ცხოვრების საკითხად. საქმეზე – *რეისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Rees v. the United Kingdom)*, (1986 წელი) – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ჰოჯერობას არ შეუღალხავს ტრანსსექსუალის პირადი ცხოვრების უფლება დაბადების რეგისტრაციის არსებული სისტემის შეცვლაზე უარის გამო, რათა შეცვლილიყო დაბადების მოწმობაში შეტანილი ინფორმაცია განმცხადებლის სქესის შესახებ. სასამართლომ ჩაიკაყალიბა მსგავსი პოზიცია საქმეზე – *კოსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Cossey v. the United Kingdom)*, (1990 წელი).<sup>4</sup> თუმცა საქმეზე – „ბ“ *საფრანგეთის წინააღმდეგ (B v. the United Kingdom)* – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფოს უარმა, განმცხადებლისათვის დაერთო ნება, შეეცვალა თავისი სახელი ქალის სახელით, რასაც დაემატა სახელმწიფოს უარი, ცვლილება შეეტანა მოქალაქეობრივი მდგომარ-

<sup>1</sup> 167-ე მუხლი.

<sup>2</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი.

<sup>3</sup> 1981 წლის 22 ოქტომბერი, Series A no. 45, 52-ე პუნქტი.

<sup>4</sup> ასევე იხ. *ვან ოოსტერვიკი ბელგიის წინააღმდეგ (Van Oosterwijk v. Belgium)*, კომისიის მოხსენება, 1979 წლის 1 მარტი, Series B no. 36, 52-ე პუნქტი.



ეობის ჩანაწერში, განმცხადებელს შეუქმნა სირთულეები ყოველდღიურ ცხოვრებაში, რადგან სახელმწიფომ არ გაატარა საკმარისი ღონისძიებები კონვენციის მე-8 მუხლით (პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება) გათვალისწინებული პირადი ცხოვრების უფლების უზრუნველსაყოფად.<sup>1</sup>

საქართველოში არ არსებობს კანონი, რომელიც აწესრიგებს სქესის შეცვლასთან დაკავშირებულ სამედიცინო საკითხებს, თუმცა კანონი „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“<sup>2</sup> საინტერესოა სახელის/გვარის საკითხთან დაკავშირებით, რადგან ისეთი სახელის ქონამ, რომელიც არ შეესაბამება პირის სქესს, შეიძლება პრობლემა შეუქმნას პირს, რომელმაც შეიცვალა იგი. კანონი ითვალისწინებს, რომ დაბადების აქტი<sup>3</sup> და დაბადების მოწმობა შეიცავს ინფორმაციას, *inter alia*, პირის სქესის შესახებ. ასეთი ინფორმაცია არ შეიტანება ქორწინების აქტის ჩანაწერს<sup>4</sup> და ქორწინების მოწმობაში.<sup>5</sup>

კანონი აწესრიგებს სახელისა და გვარის შეცვლის წესებსა და პროცედურას.<sup>6</sup> იგი ჩამოთვლის სახელებისა და გვარების შეცვლის მიზეზებს, თუმცა არ მიუთითებს სქესის შეცვლაზე როგორც სახელის/გვარის შეცვლის მიზეზზე.<sup>7</sup> მიუხედავად ამისა, კანონში აღნიშნულია, რომ სახელის/გვარის შეცვლის მიზეზი შეიძლება იყოს მისი დამაქინებელი ხასიათი. კანონის მიხედვით, სახელის ან გვარის შეცვლა იწვევს პირადობის დამადასტურებელი საბუთის შეცვლას.

კანონი ასევე აწესრიგებს შესწორებებისა და ცვლილებების შეტანას სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში. მიუხედავად იმისა, რომ კანონის 104-ე მუხლი, რომელიც ეხება სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში შესწორებებისა და ცვლილებების შეტანის საფუძვლებს, არ შეიცავს სქესის შეცვლას, როგორც სახელის/გვარის შეცვლის მიზეზს, კანონი პირდაპირ აღნიშნავს სახელის/გვარის შეცვლას სქესის შეცვლის შედეგად (იხ. 106-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი და 107-ე მუხლის 1-ელი ქვეპუნქტი).

ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ კანონი „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ ძალზე ბუნდოვანია სქესის შეცვლის შედეგად სახელის/გვარის შეცვლის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ კანონი აღიარებს სახელის/გვარის შეცვლის შესაძლებლობას სქესის შეცვლის შედეგად, იგი შეიცავს პროცედურულ ხარვეზებს და საჭიროებს ცვლილებებს, რათა სქესის შეცვლის შედეგად სახელის/გვარის შეცვლა ადეკვატურად მოაწესრიგოს.

სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოების ერთ-ერთი ასპექტია ჰომოსექსუალთა უფლება იყვნენ დაცული თავიანთი უფლებების მუზღუდვისაგან სექსუალური ორიენტაციის გამო. ევროპული კონვენციის სტანდარტების გათვალისწინებით, საინტერესოა იმის დადგენა, არსებობს თუ არა რამე თანამდებობა საჯარო და კერძო სამსახურში, პირველ რიგში, შეიარაღებულ ძალებში, რომელთა დაკავებაც ჰომოსექსუ-

<sup>1</sup> 1992 წლის 25 მარტი, Series A no. 232-C.

<sup>2</sup> 1998 წლის 15 დეკემბერი.

<sup>3</sup> 25-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>4</sup> 36-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>5</sup> 45-ე მუხლი.

<sup>6</sup> 47-ე მუხლი

<sup>7</sup> იხ. კანონის მე-9 თავი.

ალებს ეკრძალებათ. საქმეზე – *სმისი და გრედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Smith and Grady v. the United Kingdom)*, – რომელიც ეხებოდა განმცხადებელთა განაცხადს, რომ მათი ჰომოსექსუალობის გამო განხორციელდა მოკვლევა და ჰომოსექსუალობის მიზეზით ისინი გაათავისუფლეს სამეფო საჰაერო ძალებიდან, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.<sup>1</sup>

საქართველოს შრომის არც მოქმედი კანონმდებლობა და არც შრომის კოდექსის პროექტი არ შეიცავს დისკრიმინაციულ დებულებებს ჰომოსექსუალების მიმართ საჯარო ან კერძო სექტორში გარკვეული თანამდებობების დაკავებასთან დაკავშირებით. კანონმდებლობა, რომელიც აწესრიგებს სამხედრო საკითხებს, არ კრძალავს ჰომოსექსუალთა სამხედრო სამსახურს. კანონი „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“, რომელიც აწესრიგებს, *inter alia*, სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებას, არ ითვალისწინებს, რომ ჰომოსექსუალობა შეიძლება გახდეს ასეთი სამსახურიდან სამხედრო მოსამსახურის გათავისუფლების საფუძველი.<sup>3</sup> კანონი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ არც იმას ითვალისწინებს, რომ ჰომოსექსუალი არ შეიძლება შევიდეს სამხედრო სამსახურში და არც იმას, რომ ჰომოსექსუალობის გამო იგი შეიძლება განათავისუფლდეს სამსახურიდან.<sup>4</sup>

#### 1.1.4. სახმელბი

კონსტიტუციის მე-20 მუხლით უზრუნველყოფილი პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს სახელის/გვარის არჩევის უფლებას, რადგან ეს არის ინდივიდუალური პირადი იდენტიფიცირების საშუალება.<sup>5</sup>

კანონი „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ აწესრიგებს, *inter alia*, სახელების რეგისტრაციისა და სახელის/გვარის შეცვლის საკითხებს. ბავშვი დაბადებისთანავე რეგისტრირდება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. დაბადების აქტის ჩანაწერი და დაბადების მოწმობა შეიცავს ისეთ პირად მონაცემებს, როგორიცაა სახელი და გვარი. ბავშვის სახელი ჩაიწერება მშობლების ურთიერთშეთანხმებით.<sup>7</sup> ბავშვის გვარი ჩაიწერება მშობლების გვარების მიხედვით. თუ მშობლებს საერთო გვარი არა აქვთ, ბავშვის გვარი ჩაიწერება მამის ან დედის გვარის მიხედვით ან მიეთითება შეერთებული გვარი ურთიერთშეთანხმებით.

კანონი განსაზღვრავს სახელებისა და გვარების შეცვლის წესებსა და პროცედურას.<sup>8</sup> კანონის 73-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეთა მიერ სახელისა

<sup>1</sup> 1999 წლის 27 სექტემბერი, 29 EHRR 493, 111-ე და 112-ე პუნქტები.

<sup>2</sup> შრომის კოდექსის პროექტი იხ. ჟურნალში – „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 6, №1, 2003. ჟურნალი ასევე ხელმისაწვდომია ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის ინტერნეტ-გვერდზე: [www.geplac.org].

<sup>3</sup> 1998 წლის 25 ივნისი, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>4</sup> 1997 წლის 17 სექტემბერი, იხ., ასევე, საქართველოს შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდება, 1994 წლის 2 სექტემბერი.

<sup>5</sup> *სტიერნა ფინეთის წინააღმდეგ (Stjerna v. Finland)*, 1994 წლის 25 ნოემბერი, Series A no. 299-B; *გიუილო საურანგელის წინააღმდეგ (Guillot v. France)*, 1996 წლის 24 ოქტომბერი, RJD 1996-V, №19.

<sup>6</sup> 1998 წლის 15 დეკემბერი.

<sup>7</sup> 26-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

<sup>8</sup> იხ. კანონის მე-9 თავი.

და გვარის შეცვლა დასაშვებია მათ მიერ პირადობის დამადასტურებელი საბუთის მისაღებად დადგენილი ასაკის მიღწევის შემდეგ (1-ელი პუნქტი). არასრულწლოვან მოქალაქეთა სახელისა და გვარის შეცვლა შესაძლებელია მათი მშობლების ან იმ მშობლის თანხმობით, რომელთანაც ცხოვრობს ბავშვი, აგრეთვე მშობლების მონაცემულ პირთა თანხმობით.<sup>1</sup>

კანონის 74-ე მუხლის მიხედვით, სახელის ან გვარის შეცვლა შესაძლებელია ერთ-ერთი შემდეგი მიზეზის არსებობისას:

ა) სახელი ან გვარი რთულად წარმოსათქმელი, არაკეთილხმოვანი ან დამაკნინებელია;

ბ) განმცხადებელს სურს მიიღოს ან თავის გვარს შეუერთოს მეუღლის გვარი – თუ ეს არ განხორციელდა ქორწინების რეგისტრაციისას;

გ) განმცხადებელს სურს მიიღოს თავისი ფაქტობრივი აღმზრდელის გვარი;

დ) განმცხადებელს სურს დაიბრუნოს თავისი ქორწინებამდელი გვარი – თუ ეს არ განხორციელდა განქორწინების რეგისტრაციისას;

ე) განმცხადებელს სურს მიიღოს თავისი პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის გვარი.

გადაწყვეტილებას სახელის/გვარის შეცვლის შესახებ იღებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის კომისია.<sup>2</sup> სახელისა და გვარის შეცვლა იწვევს პირადობის დამადასტურებელი საბუთის შეცვლას. კანონი ასევე ადგენს სახელისა და გვარის შეცვლაზე უარის თქმის საფუძვლებს. ესენია:

ა) მესამე პირთა ინტერესების შელახვის რეალური საფრთხე;

ბ) განმცხადებლის სურვილი, აირჩიოს გვარად ფსევდონიმი ან შექმნას ახალი გვარი;

გ) განმცხადებლის ეჭვმიტანილობა დანაშაულის ჩადენაში;

დ) განმცხადებლის ნასამართლობა დანაშაულის ჩადენისათვის – თუ ნასამართლობა მოხსნილი არ არის.<sup>3</sup>

სახელის/გვარის შეცვლაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძვლებთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს, რომ ზოგიერთი საფუძველი ფორმულირებულია ზოგადად და, შესაბამისად, არ არის დამაკმაყოფილებელი. მაგალითად, კანონიდან არ არის ნათელი, რა იგულისხმება „მესამე პირთა ინტერესების შელახვის რეალურ საფრთხეში.“ კანონის საფუძველზე რთულია იმის განსაზღვრა, როგორ შეილახება მესამე პირის ინტერესები, როდესაც სხვა პირს სურს სახელის შეცვლა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას უნდა ისეთივე ან მსგავსი სახელის არჩევა, რომელიც აქვს მესამე პირს. კანონის დაზუსტების გარეშე, როგორც ჩანს, რთული იქნება პირადი ცხოვრების უფლების ასეთი შეზღუდვის გამართლება.

<sup>1</sup> 73-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>2</sup> 78-ე მუხლის მე-3 პუნქტი. იხ. მოქალაქობრივი აქტების რეგისტრაციის კომისიის წესდება, 2000 წლის 26 ივნისი, №128, იუსტიციის სამინისტრო.

<sup>3</sup> 84-ე მუხლი.

## 1.2. მიმოწერის ხელშეუხებლობა და სატელეფონო საუბრის საიდუმლოება

მიმოწერის ხელშეუხებლობა და სატელეფონო საუბრის საიდუმლოება სხვებთან კონტროლის გარეშე კომუნიკაციის უფლებაა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით:

„ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, ... მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია.“<sup>1</sup>

კონსტიტუციის მე-20 მუხლის 1-ელი პუნქტი განასხვავებს არა მხოლოდ „მიმოწერას“ და „საუბარს სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით“, არამედ „მიმოწერას“ და „ტექნიკური საშუალებებით მიღებულ შეტყობინებასაც“.

თუმცა, რთულია კანონმდებლის განზრახვის დადგენა, რატომ განასხვავა ერთმანეთისაგან „მიმოწერა“ და „ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი“ ამ დებულების შემუშავების დროს, საკმარისი საფუძველია ვარაუდისათვის, რომ კანონმდებლის განზრახვა იყო, მოეცვა პირებს შორის მიმოწერის ყველა ჩვეულებრივი საშუალება. ეს შეიძლება მოიცავდეს მიმოწერას ჩვეულებრივი ფოსტის, ტელეფაქსის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის საშუალებით.<sup>2</sup> ახალი ტექნოლოგიის განვითარებამ შეიძლება კიდევ უფრო მრავალფეროვანი გაზადოს მიმოწერის საშუალებები.

კონსტიტუციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული მიმოწერის ხელშეუხებლობა უზრუნველყოფს პირებს შორის ურთიერთობას კონტროლის გარეშე როგორც საფოსტო, ისე ნებისმიერი სხვა საშუალებით. შესაბამისად, სახელმწიფოს ეკრძალება საფოსტო გზაენილის შინაარსის გაცნობა.

საქართველოს კონსტიტუცია ასევე იცავს ყოველი ადამიანის სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით საუბრის უფლებას. მიმოწერის მსგავსად, სახელმწიფოს ეკრძალება გაეცნოს სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით საუბრის შინაარსს, დააწესოს კონტროლი ვისთან და რა ინტენსივობით შედგა ასეთი საუბარი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლი (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა) ადგენს:

„არავის არა აქვს უფლება თვითნებურად ან უკანონოდ ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში. საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის, მიმოწერის, საფოსტო გზაენილის, პირადი ჩანაწერის, სატელეგრაფო შეტყობინების, სატელეფონო საუბრის, სხვა ტექნიკური საშუალებით გადაცემული ან მიღებული პირადი ხასიათის ინფორმაციის ხელშეუხებლობა გარანტირებულია კანონით.“<sup>3</sup>

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, თბილისი, 2002, გვ. 25.

<sup>2</sup> კ. კულაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003, გვ. 156.

<sup>3</sup> 1-ელი პუნქტი.

### 1.3. საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცულია საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლება. იგი ანიჭებს პირს თავის საცხოვრებელში მშვიდად ცხოვრების უფლებას სახელმწიფოსა და მისი წარმომადგენლების ჩარევის გარეშე.

ზოგადად „საცხოვრებელი“ ის ადგილია, სადაც პირი მუდმივად ცხოვრობს. საქმეზე – *ნიმიცი გერმანიის წინააღმდეგ (Niemiets v. Germany)* – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სამსახურებრივი სათავსო შეიძლება მოცულ იქნეს „საცხოვრებლის“ ცნებით.<sup>1</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან „პროფესიასთან ან მეწარმეობასთან დაკავშირებული საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს პირის კერძო საცხოვრებელი სახლიდან, ხოლო საქმიანობა, რომელიც არ ეხება მას, შეიძლება განხორციელდეს ოფისში ან კომერციულ სათავსოში“, „ყოველთვის შესაძლებელი არ არის მათი ზუსტი გამოიჯენა“.<sup>2</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს, რა შეადგენს „საცხოვრებელ ადგილს“. იგი ადგენს, რომ „ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი რეგულბრირ ცაცხოვრებლად ირჩევს“.<sup>3</sup>

თუმცა, კონსტიტუციური დებულების საფუძველზე შეიძლება იმის მტკიცება, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეზღუდვითად არ განმარტავს „საცხოვრებლის“ ცნებას. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი, რომელიც აწესრიგებს პირადი ცხოვრების საკითხებს, მიუთითებს არა მარტო „საცხოვრებელ ბინასა და სხვა მფლობელობაზე“,<sup>4</sup> არამედ ასევე „პირადი საქმიანობის ადგილზე“ (1-ელი პუნქტი).<sup>5</sup> აქედან გამომდინარე, „საცხოვრებელი ბინა და სხვა მფლობელობა“ ფართოდ უნდა განიმარტოს და მან უნდა მოიცავს პირის სამუშაო ადგილი (სამსახურებრივი სათავსო). ასეთი განმარტება შესაბამება ევროპული სასამართლოს მიერ „საცხოვრებლის“ განმარტებას.

„საცხოვრებლით“ დაცული ინტერესები მოიცავს საცხოვრებლით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებას. უფრო კონკრეტულად, იგი მოიცავს საცხოვრებლის დაცვას განზრახ ზიანის მიყენებისაგან და დაცვას ზემოქმედებისაგან, მათ შორის ბუნებრივისაგან.

#### 1.3.1. საცხოვრებლის დაცვა განზრახ ზიანის მიყენებისაგან

საცხოვრებლის ხელშეუხებლობა ნიშნავს, რომ დაცულია პირის საცხოვრებელი განზრახ ზიანის მიყენებისაგან სახელმწიფოსა და მისი წარმომადგენლების მხრიდან. საქმეზე – *აკდივარი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Akdivar and Others v. Turkey)* – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ უშიშროების ძალები პასუხისმგებელი იყვნენ განმცხადებელთა საცხოვრებლების დაწვისათვის და დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება) დარღვევა.<sup>6</sup>

<sup>1</sup> 1992 წლის 16 დეკემბერი, Series A no. 251-B, 30-ე პუნქტი.

<sup>2</sup> 1992 წლის 16 დეკემბერი, Series A no. 251-B, 30-ე პუნქტი.

<sup>3</sup> კოდექსის მე-20 მუხლის 1-ელი პუნქტი.

<sup>4</sup> მე-2 პუნქტი.

<sup>5</sup> 1-ელი პუნქტი.

<sup>6</sup> 1996 წლის 16 სექტემბერი, 1996-IV-1193, 1 BHRC 137; ასევე იხ. *სელჩუკი და ასკერი თურქეთის წინააღმდეგ (Selcuk and Asker v. Turkey)*, 1998 წლის 24 აპრილი, 26 EHRR 477, 1998-II.

## 1.3.2. დაცვა ზემოთმხედვისას, მათ შორის ბუნებრივისაგან

საცხოვრებლის კონცეფცია მოიცავს საცხოვრებლით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებას. ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში – *ფაუელი და რაინდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Powell and Rayner v. the United Kingdom)* – განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ თვითმფრინავის ხმის ინტენსივობა და ხანგრძლივობა, რომელსაც იწყევდა საჰაერო მიმოსვლა ჰისროუს აეროპორტში (ლონდონი), შელახა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. იმის გამო, რომ უნდა დადგინდეს ბალანსი ინდივიდისა და საზოგადოების ინტერესებს შორის, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება).<sup>1</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ზემოქმედების გარეშე საცხოვრებლით სარგებლობის უფლებას. კოდექსის 174-ე მუხლის თანახმად, „მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრე, გარდა კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებისა, ვალდებული არიან პატივი სცენ ერთმანეთს. მეზობლად მიიჩნევა ყველა ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება, საიდანაც შესაძლებელია გამოძინარეობდეს ორმხრივი ზემოქმედება.“

ამასთანავე, კოდექსი ადგენს სამეზობლო ზემოქმედების თმენის ვალდებულებას.<sup>2</sup> კოდექსის მიხედვით, „მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე გაზის, ორთქლის, სუნის, ჭვარტლის, კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევების ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი, თუკი ისინი ზელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში ან უმნიშვნელოდ ზელყოფენ მის უფლებას.“<sup>3</sup>

ზემოქმედების თმენის ვალდებულებასთან ერთად, კოდექსი ადგენს მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის უფლებას – მოითხოვოს კომპენსაცია. 175-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით: „თუ მესაკუთრე მოვალეა ითმინოს ასეთი ზემოქმედება, მას შეუძლია, ზემოქმედების გამომწვევი ნაკვეთის მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ფულადი კომპენსაცია იმ შემთხვევაში, როცა ზემოქმედება აღმატება მოცემულ ადგილას ჩვეულებრივად მიჩნეულ სარგებლობას და ეკონომიკურად დასაშვებ ფარგლებს.“

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ასევე აწესრიგებს ზეგავლენისაგან დაცვის საკითხებს, თუმცა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. კოდექსის მე-80 მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სანქციებს ისეთი ავტომობილების, თვითმფრინავების, გემებისა და სხვა მოძრავი საშუალებებისა თუ დანადგარების საექსპლუატაციოდ გაშვებისათვის, რომელთა გამონახობაში გამაჭუჭყიანებულ ნივთიერებათა შემცველობა, აგრეთვე მუშაობისას მათ მიერ წარმოქმნილი ხმაურის დონე აღმატება დადგენილ ნორმატივებს.<sup>4</sup>

საცხოვრებლის კონცეფცია ასევე მოიცავს დაცვას ბუნებრივი ზემოქმედებისაგან. ევროპული სასამართლოს საქმე – *ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (López Ostra v. Spain)* – ეხებოდა საჩივარს სუნის, ხმაურისა და კვამლით ჰაერის დაბინ-

<sup>1</sup> 1990 წლის 21 თებერვალი, Series A no. 172, 45-ე პუნქტი.

<sup>2</sup> 175-ე მუხლი.

<sup>3</sup> 175-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

<sup>4</sup> ასევე იხ. კოდექსის 81-ე მუხლი.

ძურების გამო, რასაც იწვევს განმცხადებლის საცხოვრებელთან ახლომდებარე ნარჩენების გადამამუშავებელი საამქრო.<sup>1</sup> განმცხადებლის მტკიცებით, ისინი არღვევდნენ მისი საცხოვრებლის, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას. სასამართლომ საჭიროდ არ ჩათვალა ჯანმრთელობისათვის ფაქტობრივი ზიანის მიყენება და აღნიშნა, რომ „ბუნებრივია, გარემოს მნიშვნელოვანმა დაზიანებებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ინდივიდთა კეთილდღეობაზე და ხელი შეუშალოს მათ, ისარგებლონ თავიანთი საცხოვრებლით, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს მათ პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე, იმის მიუხედავად, მნიშვნელოვანი საფრთხე შეექმნა თუ არა მათ ჯანმრთელობას.“<sup>2</sup>

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლთან ერთად, რომელიც იცავს, *inter alia*, საცხოვრებელს ზოგადად, კონსტიტუციის 37-ე მუხლი ეხება *in concreto* დაცვას ბუნებრივი ზემოქმედებისაგან. 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში. ...“

კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს, რომ „ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.“

კონსტიტუციასთან ერთად, პირთა ბუნებრივი ზემოქმედებისაგან დაცვა წესრიგდება კანონით „გარემოს დაცვის შესახებ“.<sup>3</sup> კანონი ადგენს, რომ მისი მიზანია, *inter alia*, დაიცვას ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების ძირითადი უფლება.<sup>4</sup> კანონი ასევე ადგენს, რომ გარემოს დაცვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საზოგადოებისათვის.<sup>5</sup>

კანონი განსაზღვრავს ინდივიდთა უფლებებს გარემოს დაცვის სფეროში. კონსტიტუციის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებებთან (ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება და ადამიანის უფლება – მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ) ერთად, „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის „ზ“ პუნქტი ითვალისწინებს, რომ პირს აქვს უფლება მიიღოს ანაზღაურება მისთვის მიყენებული ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია საქართველოს გარემოს დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობამ.<sup>6</sup>

ამასთანავე, კანონის მე-9 მუხლის „თ“ პუნქტი ანიჭებს პირებს უფლებას სასამართლო წესით მოითხოვონ ეკოლოგიურად საშიში ობიექტების განთავსების, პროექტირების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის შესახებ გადაწყვეტილებათა შეცვლა.<sup>8</sup>

<sup>1</sup> 1994 წლის 9 დეკემბერი, Series A no. 303-C.

<sup>2</sup> 1994 წლის 9 დეკემბერი, Series A no. 303-C, 51-ე პუნქტი.

<sup>3</sup> 1996 წლის 10 დეკემბერი.

<sup>4</sup> მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>5</sup> მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

<sup>6</sup> „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები.

<sup>7</sup> ამ კონტექსტში იხ. საქმე – *ლოპეზ ოსირა ესპანეთის წინააღმდეგ (López Osira v. Spain)*, 1994 წლის 9 დეკემბერი, Series A no. 303-C, 51-ე პუნქტი.

<sup>8</sup> *გურუა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Guerra and Others v. Italy)*, 1998 წლის 19 თებერვალი, ECHR 1998-1.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გარემოს დაცვის წესების დარღვევისათვის, რომელმაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება.<sup>1</sup>

### 1.3.3. საცხოვრებლის ჩხრეკა

საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლება მოიცავს სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ჩხრეკის, ამოღებისა და შემოწმებისაგან დაცვას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს საცხოვრებლის დაცვას, ადგენს, რომ „არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.“

კონსტიტუცია დასაშვებად მიიჩნევს ორ შემთხვევას, როდესაც საცხოვრებლის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობა შეიძლება შეიზღუდოს: მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საცხოვრებლის დაცვის უფლების შეზღუდვა დასაშვებია სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში.

## II. დაცულ სფეროში ჩარევა

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლიდან გამომდინარე, გარკვეულ გარემოებებში სახელმწიფო შეიძლება ჩაერიოს ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობაში, ანუ შეზღუდოს ამ მუხლით დაცული სამართლებრივი სიკეთე. ასეთი ჩარევა ნიშნავს სახელმწიფოს მიერ ისეთი ღონისძიების გატარებას, რომელიც პირს საერთოდ უკრძალავს ან ზღუდავს კონსტიტუციით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობას.

მე-20 მუხლით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვის მაგალითია სახელმწიფო ორგანოების მიერ საფოსტო მიმოწერის გახსნა და მისი შინაარსის გაცნობა, სატელეფონო საუბრების, მათ შორის საერთაშორისო საუბრების, მოსმენა. სახელმწიფოს წარმომადგენლები ასევე შეიძლება შევიდნენ საცხოვრებელ ბინაში და ჩაატარონ ჩხრეკა, რაც საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვად მიიჩნევა.

## III. დაცულ სფეროში ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბაზარტილება

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებებს, იგი დასაშვებად მიიჩნევს ამ უფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობას. მე-20 მუხლის 1-ელი პუნქტი, რომელიც ძირითადად პირად ცხოვრებასა და მიმოწერის ხელშეუხებლობას ეხება, ითვალისწინებს, რომ „აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული

<sup>1</sup> იხ., განსაკუთრებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 287-ე, 288-ე და 295-ე მუხლები.



გადაუდებელი აუცილებლობისას“. ამავ ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს მსგავს დებულებას, რომლის თანახმადაც საცხოვრებლის ხელშეუხებლობა შეიძლება შეიზღუდოს, თუ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

ცხადია, რომ სახელმწიფო, კერძოდ კანონმდებელი, რომელიც ადგენს კანონმდებლობას ამ უფლებათა შეზღუდვის გარემოებებთან დაკავშირებით (და რომლითაც ხელმძღვანელობს სასამართლო პირის უფლების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას), შეზღუდულია ამ უფლებების არსით. შესაბამისად, მას არა აქვს უფლება დააწესოს ამ უფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობა ნებისმიერ, მისთვის სასურველ გარემოებაში. ისეთი გარემოებების დადგენისას, რომელთა არსებობის დროსაც შეიძლება შეიზღუდოს მე-20 მუხლით დაცული უფლებები, კანონმდებელი ახდენს შედარებას ამ მუხლით დაცულ სიკეთესა და იმ სიკეთეს შორის, რომლის დაცვასაც მიზნად ისახავს ასეთი შეზღუდვა. სიკეთე, რომლის დაცვასაც ისახავს მიზნად ასეთი შეზღუდვა, უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე ძირითადი უფლებით დაცული სიკეთე.

მიმოწერის შემოწმების ზუსტი წესების მოწესრიგება ხდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით<sup>1</sup> და კანონით „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“.<sup>2</sup> აღნიშნულია კანონი ადგენს ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მიზნებს. კერძოდ, ძირითადი უფლების შეზღუდვის მიზანია:

ა) დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება;

ბ) იმ პირის დადგენა, რომელიც ამზადებს, სჩადის ან რომელსაც ჩადენილი აქვს დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება;

გ) იმ პირის ძებნა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოსათვის წარდგენა, რომელიც ემალება მოკვლევას, წინასწარ გამოძიებას, სასამართლოს, თავს არიდებს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ან იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიების მოხდას;

დ) დანაშაულებრივი ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შედეგად დაკარგული ქონების ძებნა და დადგენა;

ე) უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ძებნა;

ვ) სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება.

ამ მიზნების მისაღწევად კანონი უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს ანიჭებს უფლებას განახორციელოს ვიზუალური კონტროლი,<sup>3</sup> დაკავებულის, დაპატიმრებულის და მსჯავრდებულის კორესპონდენციის ცენზურა,<sup>4</sup> მოსამართლის ბრძანებით სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა, ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან

<sup>1</sup> 1998 წლის 20 თებერვალი.

<sup>2</sup> 1999 წლის 30 აპრილი.

<sup>3</sup> მე-7 მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>4</sup> მე-7 მუხლის 1-ელი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

ან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადაგურო აპარატურასთან მიერთებით), საფოსტო-სატელეგრაფო გზაწინა კონტროლი (გარდა დიპლომატიური ფოსტისა),<sup>1</sup> ფარული ვიდეო- და აუდიოჩანაწერა, კინო- და ფოტოგადაღება; ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენებაც ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს.<sup>2</sup>

კანონი ითვალისწინებს გადაუღებელი აუცილებლობის შემთხვევებსაც, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როდესაც შეუძლებელია მოსამართლის ბრძანების მიღება მისი ადგილზე არყოფნის გამო, და ადგენს, რომ ასეთი ღონისძიებები შეიძლება განზორციელდეს მოსამართლის ბრძანების გარეშეც. ამასთანავე, ასეთ შემთხვევებში კანონი ითვალისწინებს, რომ ამ ღონისძიებათა დაწყებდან არა უგვიანეს 72 საათისა მოსამართლე ამოწმებს ჩატარებულ ღონისძიების შესაბამისობას კანონთან და იღებს გადაწყვეტილებას ღონისძიების კანონიერად ცნობის ან უკანონოდ ცნობის, მისი შედეგების გაუქმებისა და ამ ღონისძიებით მოპოვებული მონაცემების განადგურების შესახებ, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება.<sup>3</sup>

მიმოწერის პატივისცემის უფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაპატიმრებული პირების მიმართ. საქმეზე – *გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Golder v. the United Kingdom)* – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმრისათვის ხელის შეშლამ – თავის ადვოკატთან აწარმოოს მიმოწერა – დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლი.<sup>4</sup>

საქმეში – *კემპბელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Campbell v. the United Kingdom)* – განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ თავის ადვოკატსა და კომისიასთან მიწერილი წერილები გახსნა და წაიკითხა ციხის ადმინისტრაციამ. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პატიმრის მიმოწერა ადვოკატთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე-8 მუხლის მიხედვით და, შესაბამისად, ამ უფლების შეზღუდვა არსებით გამართლებას მოითხოვს. სასამართლომ განაცხადა.<sup>5</sup>

„... ციხის ადმინისტრაციას შეუძლია გახსნას ადვოკატისაგან პატიმრის სახელზე შემოსული წერილი, როდესაც მას აქვს დასაბუთებული ეჭვი ვარაუდისათვის, რომ წერილი შეიცავს უკანონო მასალას, რომელიც ვერ იქნა აღმოჩენილი შემოწმების ჩვეულებრივი საშუალებით თუმცა წერილი შეიძლება მხოლოდ გახსნან, მაგრამ არ უნდა წაიკითხონ, რისთვისაც საჭიროა ჯეროვანი გარანტიების დაცვა, მაგალითად, წერილის გახსნა პატიმრის თანდასწრებით. ამავე დროს ადვოკატისადმი მიმართული პატიმრის წერილების წაიკითხვა შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ადმინისტრაციას აქვს დასაბუთებული ეჭვი, რომ ადვოკატთან მიმოწერის უფლებით ბოროტად სარგებლობენ და წერილის შინაარსი საფრთხეს უქმნის ციხის უშიშროებას ან სხვათა უსაფრთხოებას, ან სხვაგვარად დანაშაულებრივი ხასიათისაა. რა მიიჩნევა „დასაბუთებულ ეჭვად“, ეს ბევრ გარემოებაზეა

<sup>1</sup> მე-7 მუხლის 1-ელი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

<sup>2</sup> მე-7 მუხლის 1-ელი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

<sup>3</sup> მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები.

<sup>4</sup> 1975 წლის 21 თებერვალი, Series A no. 18.

<sup>5</sup> 1992 წლის 25 მარტი, Series A no. 233.

დამოკიდებული, მაგრამ იგი გულისხმობს ისეთი ფაქტის ან ინფორმაციის არსებობას, რომელიც დააკმაყოფილებს ობიექტურ დამკვირვებელს, რომ ადვოკატთან ურთიერთობის გზა ბოროტად გამოიყენება.<sup>1</sup>

სატელეფონო მოსმენასთან დაკავშირებით საყურადღებოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. საქმეზე – *კრუსლინი საფრანგეთის წინააღმდეგ (Kruslin v. France)*, რომელიც ეხება სატელეფონო მოსმენას, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა:

„სატელეფონო საუბრების მოსმენა, ისევე როგორც სატელეფონო საუბრების სხვაგვარი მიყურადება, პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის უფლების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეზღუდვაა და ამიტომ უნდა ემყარებოდეს „კანონს“, რომელიც განსაკუთრებით ზუსტია. მნიშვნელოვანია ზუსტი, დეტალური წესების არსებობა ამ საკითხზე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ტექნოლოგია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, განუწყვეტელი ვითარდება.“<sup>2</sup>

მთხოვნა – პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევა უნდა ეფუძნებოდეს კანონს, ნიშნავს, რომ ჩარევას უნდა ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი და შესაბამისი კანონი უნდა იყოს საკმარისად ზუსტი და შეიცავდეს საჯარო ხელისუფლების უკანონობისაგან დაცვის გარანტიებს. საქმის – *კრუსლინი საფრანგეთის წინააღმდეგ (Kruslin v. France)* – განხილვისას მოპასუხე მთავრობა დაეყრდნო საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლს, რომელიც ადგენდა, რომ:

„გამომძიებელ მოსამართლეს შეუძლია, კანონის თანახმად, გაატაროს ნებისმიერი საგამომძიებო ღონისძიება, რომელსაც იგი სასარგებლოდ მიიჩნევს ჭეშმარიტების დასადგენად.“<sup>3</sup>

თუმცა საფრანგეთის კანონმდებლობა ითვალისწინებდა ზემოაღნიშნულ დებულებას, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მას ჰქონდა ხარვეზები, ვინაიდან კანონი არ ადგენდა მინიჭებული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის გარანტიებს და სატელეფონო მოსმენის წესებსა და პროცედურას. სასამართლომ ამ მიმართებით აღნიშნა, რომ:

„უწინარეს ყოვლისა, სისტემა არ იძლევა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სხვადასხვა შესაძლო გამოვლენისაგან ადეკვატური დაცვის საშუალებას. მაგალითად, არსად არის განსაზღვრული პირთა კატეგორიები, რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ სატელეფონო მოსმენას სასამართლოს ბრძანებით და იმ დანაშაულების ზსიათით, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს ასეთი ბრძანება. არაფერი ავალდებულებს მოსამართლეს, დაადგინოს ვადა სატელეფონო მოსმენისათვის. ასევე არ არის დაზუსტებული იმ მოხსენების შედგენის პროცედურა, რომელიც შეიცავს მოსმენილ საუბრებს, ... გარემოებები, რომლებშიც ჩანაწერები შეიძლება ან უნდა წაიშალოს, ან ფირები განადგურდეს, განსაკუთრებით, როდესაც ბრალდებულს მოეხსნა ბრალდება გამომძიებელი მოსამართლის მიერ, ან განთავისუფლდა სასამართლოს მიერ.“<sup>4</sup>

<sup>1</sup> იხ. 48-ე პუნქტი.

<sup>2</sup> 33-ე პუნქტი.

<sup>3</sup> 1990 წლის 24 აპრილი, Series A no. 176-A, მე-17 პუნქტი.

<sup>4</sup> 35-ე პუნქტი; ასევე იხ. *კლასი გერმანიის წინააღმდეგ (Klass v. Germany)*, 1978 წლის 6 სექტემბერი, Series A no. 28, 50-ე პუნქტი.

საქართველოს კანონმდებლობა საკმარისი სიზუსტით აწესრიგებს სატელეფონო მოსმენასთან დაკავშირებით ხელისუფლების ორგანოთა უფლებამოსილების განზორციელების ფარგლებს. როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ისე კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ ითვალისწინებს სახელმწიფოსათვის მინიჭებული უფლებამოსილების უკანონოდ გამოყენების საწინააღმდეგო გარანტიებს, კერძოდ, სატელეფონო მოსმენის წესებსა და პროცედურას და ამ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის გარანტიებს. თუმცა კონვენციის მოთხოვნებისაგან განსხვავებით, არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და არც კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ არ ითვალისწინებს, მოსამართლის ვალდებულებას, დადგინოს შეზღუდვა სატელეფონო მოსმენის ხანგრძლივობაზე, გარემოებებს, როჭლებშიც ჩანაწერები შეიძლება ან უნდა წაიშალოს, ან განადგურდეს ფირი, განსაკუთრებით, როდესაც ბრალდებული სასამართლომ გაათავისუფლა ანდა გაამართლა.<sup>1</sup>

საცხოვრებელში შესვლა მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ და ჩხრეკის ჩატარება საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლების სარგებლობაში ჩარევაა, რაც სახელმწიფომ უნდა გაამართლოს.

აღმართის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ შეიძლება საჭიროდ მიიჩნოს ისეთი ღონისძიების გატარება, როგორცაა საცხოვრებლის ჩხრეკა, რათა მოიპოვოს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ნივთმტკიცება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ღონისძიებები ზღუდავს პირადი ცხოვრების ან საცხოვრებლის პატივისცემის უფლებას, სახელმწიფოს მიერ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების გამართლება უნდა იყოს მნიშვნელოვანი, საკმარისი და დასახული მიზნის პროპორციული. სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ შესაბამისმა კანონმდებლობამ და პრაქტიკამ პირებს მისცეს საშუალება, რათა ადეკვატურად და ეფექტიანად დაიცვან თავი სახელმწიფოს მხრივ თავისი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან.

საქმის -- *კამენზინდი შვეიცარიის წინააღმდეგ (Can.enzind v. Switzerland)*, – რომელიც ეხებოდა შვეიცარიის კანონმდებლობას საცხოვრებლის ჩხრეკის შესახებ და ამ უფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვას, განხილვისას ევროპულმა სასამართლომ მიუთითა შემდეგ ელემენტებზე:<sup>2</sup>

1. ჩხრეკა შეიძლება განზორციელდეს შეზღუდული ჩაოღენობის მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოხელეთა წერილობითი ბრძანებით და იგი შეიძლება ჩაატარონ ამისათვის სპეციალურად მომზადებულმა მოხელეებმა;

2. ეს მოხელეები ვალდებული არიან მისცენ აციქება, თუ არსებობს გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ შიუკერძობელობაზე;

3. ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს საცხოვრებელ სახლებსა და სხვა სათავსებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკარაულოა, რომ იქ იმალება ეჭვმიტანილი, შეიძლება აღმოჩნდეს დანაშაულის ჩადენის მტკიცებულება, აგრეთვე საგანი ან ფასეულობა, რომელიც ამოღებას ექვემდებარება.

<sup>1</sup> *კრუსლინი საფრანკეთის წინააღმდეგ (Kruslin v. France)*, 1990 წლის 24 აპრილი, Series A no. 176-A, 35-ე პუნქტი.

<sup>2</sup> 1997 წლის 16 დეკემბერი.

4. ჩხრეკა არ შეიძლება განხორციელდეს კვირას ან საღმისსწაულო დღეს, ან ღამით, აგრდა მნიშვნელოვანი ან გარდაუვალი საფრთხის შემთხვევისა.“

5. ჩხრეკის დასაწყისში გამოძიებულმა უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და სათავის მფლობელს აცნობოს ჩხრეკის მიზანი. ამ უკანასკნელს, მის ნათესავს ან ოჯახის სხვა წევრებს უნდა ეთხოვოთ დაესწრონ ჩხრეკას;

6. ჩხრეკას ასევე უნდა დაესწროს საჯარო მოხელე, რათა უზრუნველყო, რომ ჩხრეკამ არ გადაუხვიოს თავის მიზანს;

7. ჩხრეკის ოქმი დაუყოვნებლივ უნდა შედგეს იმ პირების თანდასწრებით, რომლებიც ესწრებოდნენ მას, და თუ ისინი ამას მოითხოვენ, მათ უნდა მიეცეთ ჩხრეკის ორდერისა და ჩხრეკის ოქმის ასლები;

8. დოკუმენტების ჩხრეკა ექვემდებარება სპეციალურ შეზღუდვებს;

9. გარემოების მიუხედავად, ეჭვმიტანილებს აქვთ წარმომადგენლობის უფლება;

10. ნებისმიერ პირს, რომელსაც შეეფარდა საგამოძიებო მოქმედება და რომელიც ამ ღონისძიების კანონიერების შემოწმებითა დაინტერესებული, უნდა შეეძლოს საჩივრის შეტანა ფედერალურ სასამართლოში;

11. თუ ვარაუდი არ დადასტურდა, „ეჭვმიტანილს“ შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება მიყენებული ზარალისათვის.<sup>1</sup>

შვეიცარიის კანონმდებლობით დადგენილი გარანტიების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-8 მუხლი არ დარღვეულა.

მართალია, ჩვეულებრივ, ჩხრეკისათვის საჭიროა სასამართლო ორდერის წინასწარი გაცემა, რათა ეს მოქმედება მიჩნეულ იქნეს მე-8 მუხლით (პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება) გათვალისწინებული მიზნის პროპორციულად, საქმემ – *ნიმიტი გერმანიის წინააღმდეგ (Niemiets v. Germany)* – ნათელია, რომ სასამართლო ორდერის არსებობის ფაქტი ყოველთვის საკმარისი არ არის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა შესასრულებლად. თუ ჩხრეკის ორდერი არ არის გაცემული, ასეთი ღონისძიება მხოლოდ მაშინ შეესაბამება მე-8 მუხლს, როდესაც ჩხრეკის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი წესები საკმარისად იცავს განმცხადებლის უფლებას ამ დებულების თანახმად.

როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუცია დასაშვებად მიიჩნევს ორ შემთხვევას, როდესაც საცხოვრებლის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობა შეიძლება შეზღუდოს: მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საცხოვრებლის დაცვის უფლების შეზღუდვა დასაშვებია სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში.

საცხოვრებლისა და სხვა სათავსების გაჩხრეკის წესები და პროცედურა წესრიგდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.<sup>2</sup> კოდექსის მე-13 მუხლის 1-ელი ნაწილი ადგენს, რომ „საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის ... ხელშეუხებლობა გარანტირებულია კანონით.“<sup>3</sup>

<sup>1</sup> 1997 წლის 16 დეკემბერი, 46-ე პუნქტი.

<sup>2</sup> 1998 წლის 20 თებერვალი. ასევე იხ. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შესახებ კანონის მე-8 მუხლის 1-ელი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>3</sup> 1-ელი პუნქტი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაწერილებით აღწერს საცხოვრებლის ჩხრეკისა და ამოღების წესს (315-ე–332-ე მუხლები). კოდექსის 315-ე მუხლის მიხედვით, ჩხრეკა და ამოღება ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოაჩინონ და ამოიღონ დანაშაულის იარაღი, საგანი, რომელსაც დანაშაულის კვალი ატყვია, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთი და ფასეულობა, სხვა საგანი და დოკუმენტი, რომლებიც საჭიროა საქმის გარემოებათა გასარკვევას.

კოდექსი ადგენს, რომ ჩხრეკა და ამოღება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე (319-ე მუხლი), თუმცა განსაზღვრავს, რომ ჩხრეკა, საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერება მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ გადაუდებელ შემთხვევებში შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე, მომკვლევის, გამოძიების, პროკურორის დადგენილებით, რაც 24 საათის განმავლობაში უნდა ეცნობოს შესაბამის მოსამართლეს. ამ უკანასკნელს გამოაქვს დადგენილება ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობისა და ამ მოქმედებით მიღებულ მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ (კოდექსის 290-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

მართალია, სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებები, მაგრამ მან თითოეული ასეთი შეზღუდვა უნდა გაამართლოს. სახელმწიფომ უნდა შეადაროს, აწონ-დაწონოს ის უფლებები და ინტერესები, რომლებიც კონკრეტულ გარემოებაში ეწინააღმდეგება ერთმანეთს და დაადგინოს კონკრეტულ გარემოებაში რომელი მხარის უფლებები და ინტერესები იმსახურებს უფრო მეტად დაცვას.

მე-20 მუხლით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა მხოლოდ მართლზომიერად უნდა მოხდეს. დაცული უფლება არ შეიძლება შეიზღუდოს იმაზე მეტად, ვიდრე ამას სხვა პირთა უფლებების დაცვა მოითხოვს.

მუხლი 21.

„1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ ქუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუღებელი აუცილებლობისა და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით“.

1. საკუთრების უფლება საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით

კერძო საკუთრების უფლება საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 114-ე მუხლშია მოცემული. იგი ორი წინადადებისაგან შედგება: „საკუთრების იძულებით ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესით. ჩამორთმეულ ქონებაში მიეცემა სათანადო საფასური, თუ კანონში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.“

1921 წლის კონსტიტუციის 114-ე მუხლში განსაზღვრულ საკუთრების უფლებას საფუძვლად ედო XIX საუკუნის საკუთრების ლიბერალური კონცეფცია.<sup>1</sup> მართალია, მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა სამოქალაქო კოდექსი,<sup>2</sup> მაგრამ აშკარა იყო საკუთრების კონსტიტუციური უფლების სამოქალაქო-სამართლებრივი ორიენტაცია.<sup>3</sup> საკუთრების კონსტიტუციური ცნების განმსაზღვრელი ფაქტორი მხოლოდ საკუთრების ქონებრივი ღირებულება იყო.

1921 წლის კონსტიტუციის 114-ე მუხლს მხოლოდ ქონებრივი გარანტიის ფუნქცია ჰქონდა მინიჭებული, რომელიც მართო ჩამორთმეული ქონების სათანადო საფასურით უზრუნველყოფას ითვალისწინებს. კონსტიტუციური გარანტიის მთავარი მიზანი საკუთრების ობიექტის ფინანსური ღირებულების შენარჩუნება იყო. აქედან გამომდინარე, 1921 წლის კონსტიტუციის 114-ე მუხლი ნიშნავდა არა იმდენად საკუთრების, რამდენადაც ექსპროპრიაციის კონსტიტუციურ გარანტიას.

1921 წლის კონსტიტუციის ოთხდღიანი არსებობის განმავლობაში შეუძლებელი იყო ზოგადად კონსტიტუციის და კონკრეტულად 114-ე მუხლის მიმართ რაიმე სასამართლო პრაქტიკა არსებულიყო ან ლიტერატურაში საკუთრების კონსტიტუციური უფლების გარკვეული განსაზღვრება ჩამოყალიბებულიყო. მიუხედავად ამისა, საკუთრების

<sup>1</sup> საკუთრების ლიბერალური კონცეფციის მიხედვით, საკუთრება ასოლუტურია და შეზღუდვა აქედან გამომდინარე, იგი ლიბერალური სახელმწიფოს დოქტრინას უკავშირდება, რომელიც ცარიზმის რუსეთის სახელმწიფოს აქტიურ რეგულირებას გამოირიცხავს.

<sup>2</sup> საქართველოში პირველი სამოქალაქო კოდექსი შეიქმნა საჭირო პერიოდში.

<sup>3</sup> საკუთრების სამოქალაქო-სამართლებრივი გაგება ძირითადად საკუთრების ანგარიშს ქონებრივ ღირებულებაზე აკეთებს აქცენტს (Böhmer, W.: Probleme der Dogmatik und Systematik der Eigentumsverhältnisse aus Grundgesetze, AgrarR 1984, Beilage I)

უფლების მართო ტექსტი ცხადყოფს, რომ სასამართლო, მისი ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, სამოქალაქო-სამართლებრივ გაგებაზე იქნებოდა ორიენტირებული, ანუ აქცენტს საკუთრების მხოლოდ ქონებრივი ღირებულების სამართლებრივ გარანტიებზე გააკეთებდა.

1921 წლის კონსტიტუცია არ ცნობდა უშუალოდ მოქმედი ძირითადი უფლებების მნიშვნელობას და, შესაბამისად, ძირითადი უფლებებით ხელისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას.<sup>1</sup> ძირითადად უფლებებს კონსტიტუციური კონტროლის სასამართლო ორგანოს გარეშე მხოლოდ პროგრამული ხასიათი ჰქონდა. საკუთრების კონსტიტუციური უფლებაც იურიდიულ მნიშვნელობას იყო მოკლებული და მას მხოლოდ აბსტრაქტული ხასიათი ჰქონდა. საკუთრების უფლების შემზღუდავი კანონმდებლის შესაბამისად 1921 წლის კონსტიტუციის ავტორები ორიენტირებული იყვნენ პრინციპულად შეუზღუდავი და აბსოლუტური საკუთრების ცნებაზე. ქონებრივ ღირებულებაზე დაყვანილი სამოქალაქო-სამართლებრივი საკუთრების ცნება მხოლოდ ექსპროპრიაციის კონსტიტუციურ გარანტიაში ხელდავდა საკუთრების შემზღუდავი კანონმდებლის შებოჭვის ერთადერთ სამართლებრივ საშუალებას.

კონსტიტუციური კონტროლის სასამართლო ორგანოს არსებობა და, შესაბამისად, ადამიანის უფლებების დაცვის რეალური სამართლებრივი წინაპირობის შექმნა პირველად 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციამ უზრუნველყო.

## II. საქართველოს უფლება საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში კერძო საკუთრების უფლება გაუქმდა. ჯერ კიდევ კომუნისტური პარტიის მანიფესტში პროლეტარიატის უმნიშვნელოვანეს ამოცანად კერძო საკუთრების სრული გაუქმება გამოცხადდა.<sup>2</sup> განსაკუთრებით ეს ეხებოდა მიწაზე კერძო საკუთრებას. 1917 წლის 26 ოქტომბრის დეკრეტის მიხედვით, ყოველკაცი კომუნისაციის გარეშე მესაკუთრეებს მიწები ჩამოერთვა.

მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების მიხედვით, საკუთრება არის საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლისა და ექსპლუატაციის მიზეზი. იგი, მხოლოდ კაპიტალიზმის პირობებშია შესაძლებელი. ამ უკანასკნელას დამხობა კი მარქსიზმის ძირითადი ამოცანა იყო. კერძო საკუთრების გაუქმებას უნდა მოჰყოლოდა საყოველთაო საზოგადოებრივი კეთილდღეობა და თანასწორობა.

აღნიშნული იდეოლოგიის შესაბამისად, საქართველოს სოციალისტურ საკუთრებას საბჭოთა კონსტიტუციები განამტკიცებდა, რომელიც, თავის მხრივ, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პირადი საკუთრების ფორმებისაგან შედგებოდა. სოციალისტური სამართლის მეცნიერებაც საკუთრებას სწორედ ამ ფორმების მიხედვით იკვლევდა და სამომავლოდ მათი შერწყმის შესაძლებლობას ასაბუთებდა. რადგანაც საბჭოთა სამართლის ლიტერატურა მხოლოდ კოლექტიური საკუთრების უპირატესობას აღიარებდა, შესაბამისად, კვლევის გარეშე რჩებოდა კერძო საკუთრების პრობლემატიკა.

<sup>1</sup> ძირითადი უფლებების როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლის ცნება პირველად საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-7 მუხლში ჩამოყალიბდა.

<sup>2</sup> Marx/Engels, Manifest der Kommunistischen Partei, 1848, S. 484 in: Werke, Bd., 4, 1959, S. 460 ff.



## III. საქართველოს უფლება საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 21-ე მუხლით საკუთრება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებაში უკანონოდ ჩარევისას პირს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. ამის ნორმატიულ საფუძველს კონსტიტუციის მე-7 მუხლი და 89-ე მუხლის „ვ“ პუნქტი იძლევა. მე-7 მუხლის მიხედვით, ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს უშუალოდ მოქმედი სამართლის ხასიათი აქვს. ადამიანს შეუძლია საკუთრების დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, რამდენადაც ეს უფლება სახელმწიფოს სამივე ხელისუფლების შეზღუდვის საფუძველია.

მესაკუთრის სარჩელის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანომ, უნდა განიხილოს სახელმწიფოს მხრიდან საკუთრებაში ჩარევის კონსტიტუციურობის საკითხი. ამ შემთხვევაში მისი გადაწყვეტილების საფუძველს ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, მასშტაბს,<sup>1</sup> ზოგადად კონსტიტუცია, კერძოდ კი, კონსტიტუციის 21-ე მუხლი წარმოადგენს. გასარკვევია, როგორია ამ მასშტაბის ფარგლები და შინაარსი, ანუ ის, თუ რაზეა ამ კონკრეტულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლო ორიენტირებული.

თავიდანვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლის საკუთრების უფლების შინაარსი და ფარგლები მხოლოდ კონსტიტუციის საფუძველზე, კონსტიტუციურ-სამართლებრივი კრიტერიუმებით უნდა განისაზღვროს.<sup>2</sup>

## ა) ინსტიტუტის გარანტია

კონსტიტუციის 21-ე მუხლში განმტკიცებული კერძო საკუთრების უფლება, ერთი მხრივ, არის საკუთრების როგორც ინსტიტუტის გარანტია და, მეორე მხრივ, საკუთრების როგორც პიროვნების უფლების გარანტია.<sup>3</sup>

ინსტიტუტის გარანტიის ცნება ზოგადად სამართლის მეცნიერებაში ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდს უკავშირდება.<sup>4</sup> მისი დანიშნულება იყო ძირითადი უფლებები კანონმდებლის თვითნებობისაგან დაეცვა.<sup>5</sup> საკუთრების კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებაში ეს ნიშნავდა ისეთი სამართლებრივი ნორმების უზრუნველყოფას, რომლებიც კერძო საკუთრების არსებობას კანონმდებლის არაკანონიერი ჩარევისაგან

<sup>1</sup> ლ. იზორია, საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გაგების რამდენიმე ასპექტი, ჟურნალი „სამართალი“, 2002, №9, გვ. 21.

<sup>2</sup> განსაკუთრებით ნათლად წარმოაჩინა ეს დებულება ბოემერმა: Böhmer, Die rechtsgeschichtlichen Grundlagen der Abgrenzungsproblematik von Sozialbindung und Enteignung, Der Staat 24 (1985), S. 157 ff.; Grundfragen der verfassungsrechtlichen Gewährleistung des Eigentums in der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, NJW 1988, S. 2561 ff.; Eigentum aus verfassungsrechtlicher Sicht, in: Baur, (Hrsg.), Das Eigentum, 1989, S. 39 ff. Ö

<sup>3</sup> Papier, Entwicklung der Rechssprechung zur Eigentumsgarantie des Art. 14, NWVBl 1990, 397; Schoch, Die Eigentumsgarantie des Art. 14 GG, Jura 1989; Ipsen, Neuere Entwicklungen der Eigentumsdogmatik, 1985; Schwerdtfeger, Dogmatische Struktur der Eigentumsgarantie, 1983.

<sup>4</sup> Bryde, Grundgesetz, Kommentar, (Hrsg.) Münch / Kunig, 4. Aufl., 1992, S. 843.

<sup>5</sup> Carl Schmitt, Freiheitsrechte und institutionelle Garantien der Reichsverfassung (1931), in: ders., Verfassungsrechtliche Aufsätze, 1958, S. 140.

დაიცავდა. პრაქტიკულად იგივე შინაარსი აქვს საკუთრების ინსტიტუტის გარანტიას თანამედროვე გერმანულ იურიდიულ მეცნიერებაში.<sup>1</sup> საკუთრების შემზღუდავ კანონმდებელს იგი ერთგვარ ფარგლებს უწესებს.

მართალია, დღეს როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი,<sup>2</sup> ისე საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია ძირითად უფლებებს აღიარებს, როგორც უშუალოდ მოქმედ სამართალს, რომელიც ხელისუფლების სამივე შტოს ზღუდავს, მაგრამ ამით ინსტიტუტის გარანტიას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. იგი პიროვნებისგან დამოუკიდებლად აღიარებს და იცავს კერძო საკუთრებას როგორც ობიექტურ ღირებულებას.<sup>3</sup> მისი პრაქტიკული დანიშნულება კერძო საკუთრების არსებობის რეალური უზრუნველყოფაა. ამ თვალსაზრისით, იგი, პირველ რიგში, კანონმდებლისკენაა მიმართული. საკუთრების შეზღუდვისა და მისი შინაარსის განსაზღვრისას კანონმდებელს არ შეუძლია ისეთი ნორმების გამოცემა, რომლებიც კერძო საკუთრებას, როგორც ინსტიტუტს, საერთოდ ეჭვქვეშ დააყენებს. ამდენად, საკუთრების ინსტიტუტის გარანტია იმ გარეგან საზღვრებს ადგენს, რომელთა გადალახვა კანონმდებელს არ შეუძლია.<sup>4</sup>

საკუთრების ინსტიტუტის გარანტია მემკვიდრეობის ინსტიტუტთან ერთად, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაშია განმტკიცებული. ამავე პუნქტის მეორე წინადადებაში იგი უფრო მკაფიოადა გამოხატული. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის პრაქტიკაში დაამკვიდრა საკუთრების ინსტიტუტის ცნება.<sup>5</sup>

**ბ) პიროვნების უფლების გარანტია**

საკუთრების ობიექტურ-სამართლებრივ უზრუნველყოფასთან ერთად, კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება იცავს თითოეული პირის საკუთრებას.<sup>6</sup> ამ კუთხით, იგი სუბიექტური უფლების გარანტიაა, რომლის საფუძველზეც მესაკუთრეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის უფლება აქვს. ის, პირველ რიგში, იცავს მესაკუთრის სამართლებრივ მდგომარეობას, კერძოდ, მის პირად უფლებას გარკვეულ ქონებაზე.<sup>7</sup> თუმცა, ამით თავად ქონებრივი მხარე არ არის

<sup>1</sup> Ehlers, Eigentumschutz, Sozialbindung und Enteignung bei der Nutzung von Boden und Umwelt, VVDStRL 51 (1992), 211; Sendler, Eigentumsgarantie in der Verfassungsdebatte, ZfBR 1992, 55; Papier, Entwicklung der Rechtsprechung zur Eigentumsgarantie des Art. 14; Schoch, Die Eigentumsgarantie des Art. 14 GG, Jura 1989, 113; Brünneck, Die Eigentumsgarantie des Grundgesetzes, 1984; Schwerdtfeger, Dogmatische Struktur der Eigentumsantie, 1983.

<sup>2</sup> გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის პირველი მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, ძირითადი უფლებები, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი, ზღუდავს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას.

<sup>3</sup> Sieckmann, in: Berliner Kommentar zum GG, 2000, Art. 14 Rn. 81.

<sup>4</sup> Papier, in: Manz/Dürig, GG – Kommentar.

<sup>5</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები №2/31-5; 2/50-8.

<sup>6</sup> Isoria, Eigentumschutz von Grund und Boden, insbesondere im Naturschutzrecht, 2002, S. 59.

<sup>7</sup> Schoch, Die Eigentumsgarantie des Art. 14 GG, Jura 1989, S. 117; Sendler, Eigentumsgarantie in der Verfassungsdebatte, ZfBR 1992, 55; Böhmer, Eigentum aus verfassungsrechtlicher sicht, in: Baur (Hg), Das Eigentum, 1989; Hendlr, Zur bundesverfassungsgerichtlichen Konzeption der grundgesetzlichen Eigentums-garantie, DVBl 1983, 873.

დაცული (საკუთრების ქონებრივ გარანტიას 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი წარმოადგენს). სამოქალაქო-სამართლებრივი თვალსაზრისით, მესაკუთრის უფლების გარანტიას, პირველ რიგში, საკუთრების ქონებრივი ღირებულების შენარჩუნების ფუნქცია ექნებოდა.<sup>1</sup> ეს საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივ გაგებას ეწინააღმდეგება, რომლის მიხედვითაც საკუთრების უფლება არის, უწინარესად, სახელმწიფოს მოსალოდნელი ჩარევისაგან თავის დაცვის უფლება. როგორც თავის დაცვის უფლება ის ძირითადად წარმოადგენს სამართლებრივ შესაძლებლობას, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციით განმტკიცებული საკუთრების უფლება სახელმწიფოს არაკანონიერი ჩარევისაგან უნდა იყოს დაცული. კონსტიტუციით განმტკიცებული საკუთრების უფლება არ არის კონკრეტული მესაკუთრის ხელში არსებულ საკუთრების იდენტური, ისე როგორც პიროვნული აზრი არ არის აზრის თავისუფლების იდენტური.<sup>2</sup>

საკუთრების კონსტიტუციური გარანტია, პირველ რიგში, ადამიანის უფლებაა, და არა ქონებრივი გარანტია.<sup>3</sup> საკუთრების უფლების საფუძველზე ცალკეულ პირს ეძლევა ქონებრივ სფეროში თავისუფლება და ამით საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობა.

აღნიშნული თავისუფლება არ არის აბსოლუტური და შეუზღუდავი. კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავს კანონმდებლის მიერ შექმნილ სამართლებრივ პოზიციას. ეს შეესაბამება საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივ ცნებას, რომლის მიხედვითაც, საკუთრების სამართლებრივი მდგომარეობა კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში საკუთრების ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმებით (კერძო – სამართლებრივი და საჯარო – სამართლებრივი) განისაზღვრება.<sup>4</sup>

კანონმდებლობით საკუთრების უფლების შინაარსის განსაზღვრა არ ნიშნავს იმას, რომ მესაკუთრეს საკუთრების კონსტიტუციური უფლების საფუძველზე არ ჰქონდეს კანონმდებლისაგან თავის დაცვის უფლება. ადამიანის უფლებების კლასიკური თავის დაცვის ფუნქციიდან გამომდინარე, მესაკუთრისთვის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უზრუნველყოფილია ხელისუფლების სამივე შტოსა და, მათ შორის, საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან თავის დაცვის უფლება. მაშასადამე, მესაკუთრის თავის დაცვის უფლება ეხება 21-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულ უფლებამოსილებასაც, რომლის მიხედვითაც აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების დროს კანონმდებელს საკუთრების შეზღუდვის უფლება აქვს.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ მესაკუთრის პირადი უფლება არ უკრძალავს კანონმდებელს შეზღუდოს საკუთრება. ამ თვალსაზრისით, არ არსებობს სუბსტანციური, შეუზღუდავი საკუთრება. მეტიც, განსაკუთრებული წინაპირობების შემთხ-

<sup>1</sup> Schoch, Die Eigentumsgarantie des Art. 14 GG, Jura, 1989; Böhmer, Eigentum aus verfassungsrechtlicher Sicht, in: Baur (Hg.), Das Eigentum, 1989; Isoria, Eigentumsschutz von Grund und Boden, insbesondere im Naturschutzrecht, 2002.

<sup>2</sup> Böhmer, Probleme der Dogmatik und Systematik der Eigentumsbestimmungen des Grundgesetzes, AgrarR 4/1984, S. 10.

<sup>3</sup> Isoria, Eigentumsschutz von Grund und Boden, insbesondere im Naturschutzrecht, 2002, S. 60. BVerfGE 61, 82 (108 f.); BVerfGE 75, 192 (196); Breuer, Bodennutzung, 1976, S. 22; Ronellenfitch, JuS 1983, 596;

<sup>4</sup> Erbuth, Zur verfassungsrechtlichen Eigentumsgarantie – anhand eines praktischen Beispiels, JuS 1988, S. 702; BVerfGE 58, 300 (336); Ehlers, Eigentum, Sozialbindung und Enteignung bei der Nutzung von Boden und Umwelt, VVDStRL 51(1992), S. 214.

ვევაში 21-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე კანონმდებლის მიერ საკუთრების შეზღუდვა შეიძლება ფაქტობრივად საკუთრების ჩამორთმევასაც გაუტოლდეს. ასეთი სახის შეზღუდვების კონსტიტუციურობა საბოლოო ჯამში თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპით უნდა განისაზღვროს.<sup>1</sup>

ამგვარად, მესაკუთრის თავის დაცვის უფლება კანონმდებლის არაკანონიერი და, შესაბამისად, არაკონსტიტუციური შეზღუდვებისკენაა მიმართული. ასეთი შეზღუდვები კი მაშინ ხდება, როდესაც კანონმდებლისათვის საკუთრების შეზღუდვის მიზანს კი არა აქვს უპირატესობა, არამედ მესაკუთრის ინტერესებს.

## II. 21-ე მუხლის მეორე პუნქტი

21-ე მუხლის მეორე პუნქტი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების დროს კანონმდებელს საკუთრების შეზღუდვის უფლებას აძლევს, ე.ი. საზოგადოებრივი საჭიროების დროს კანონმდებელი თავისუფალია საკუთრების შეზღუდვისა და მისი შინაარსის განსაზღვრის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, საკუთრების კონსტიტუციური უფლების საზოგადოებრივი ინტერესით შეზღუდვის შესაძლებლობა თავად კონსტიტუციური უფლების შინაგან სტრუქტურაშია მოცემული.<sup>2</sup>

საკუთრების კონსტიტუციური უფლების სტრუქტურა საზოგადოებრივი განვითარების დინამიკას ექვემდებარება.<sup>3</sup> ამ თვალსაზრისით, საკუთრების კონსტიტუციური ფარგლები და შინაარსი ყოველი კონკრეტული ისტორიული სიტუაციით განისაზღვრება. ის არ არის აბსოლუტური კატეგორია.<sup>4</sup> კანონშემოქმედებითი საქმიანობაც სწორედ ამ რეალური საზოგადოებრივი ურთიერთობის შეფასება და მისი სამართლიანი მოწესრიგებაა. კანონმდებელმა უნდა დაადგინოს საზოგადოებრივი ინტერესი და მის საფუძველზე შეზღუდოს მესაკუთრე. კერძო და საჯარო ინტერესების შეჯერებით მან უნდა შექმნას სამართლიანი და გონივრული წესრიგი.<sup>5</sup>

საკუთრება ზოგადად პირისათვის ქონებრივი სიკეთის სამართლებრივი მიკუთვნებაა.<sup>6</sup> ამ ზოგად განსაზღვრებაში თვალსაჩინოა სუბიექტის, ობიექტისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების სამი ასპექტი. სუბიექტის, ე.ი. მესაკუთრის დამოკიდებულება ობიექტთან, ანუ ქონებრივ სიკეთესთან, ითხოვს სამართლებრივ მოწესრიგებას, კერძოდ, სამართლებრივ მიკუთვნებას. ამით შესაძლებელი ხდება პირთა ქონებრივი სფეროს

<sup>1</sup> თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპის შესახებ დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ გვ. Bryde, in: von Münch/Kunig (Hrsg.), GGK, Bd. I, 4. Aufl. 1992, Art. 14 Rn. 62; Wieland, in: Drcier (Hrsg.), GG, Bd. I, 1996, Art. 14 Rn. 119; Pieroth/Schlink, Grundrechte – Staatsrecht II, 13. Aufl. 1997.D

<sup>2</sup> Kimminich, GG – Kommentar, 2. Aufl. 1992, S. 23.

<sup>3</sup> Böhmer, Grundfragen der Verfassungsrechtlichen Gewährleistung des Eigentums in der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, NJW 1988, S. 2561 ff.; იგივე: Eigentum aus verfassungsrechtlicher Sicht, in: Baur, (Hrsg.), Das Eigentum, 1989, S. 39 ff.

<sup>4</sup> BVerfGE 58,300 (338); auch Bryde, in: Münch/Kunig (Hrsg.), GG-K, Bd. I, 4. Aufl., 1992, Art. 14 GG, Rn 59; Jarass, in: Jarass/Pieroth, GG, 3. Aufl., 1995, Art. 14 GG Rn. 37; Wieland, in: Draier (Hrsg.) GG, Bd. I, 1996, Art. 14 Rn 21; Stern, Staatsrecht III/2, 1994; Schmidt – Bleibtreu-Klein, Kommentar zum GG, 9. Aufl. 1999, S. 389; Sieckmann, in Friauf GG, Art. 14 Rn. 1.

<sup>5</sup> ჭანტურია, უძრავი ქონების საკუთრება, 2001, გვ. 145. Thormann, Abstufungen in der Sozialbindung des Eigentums, 1996.

<sup>6</sup> BVerfGE 58, 300 (330); 79, 29 (40); Böhmer, NJW 1988, 2566; Schink DVBI 1990, 1380.

გამიჯენა, ჩემისა“ და „შენის“ განსხვავება, რის ნორმატიულ საფუძველსაც კერძო სამართალი იძლევა.<sup>1</sup>

ჩემისა“ და „შენის“ სამართლებრივ მოწესრიგებასთან ერთად საზოგადოებაში წარმოიშეება თავად საზოგადოებრივთან, ე.ი. „ჩვენთან“ დამოკიდებულების სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებლობა. სწორედ ეს სამი ელემენტი ქმნის კონსტიტუციური საკუთრების შინაგან სტრუქტურას.<sup>2</sup> კონსტიტუციის 21-ე მუხლი არ იცავს ინდივიდის საკუთრებას იზოლირებულად. შესაკუთრე საზოგადოების წევრია. საკუთრების კონსტიტუციური ბუნებაც საზოგადოებრივი შეზღუდვით, ე.ი. საზოგადოებრივ ინტერესთან, ანუ ჩვენთან დამოკიდებულებითაა განპირობებული. ამდენად, კანონმდებლობით საკუთრების შეზღუდვა საკუთრების კონსტიტუციური უფლების შინაგანი ელემენტია.

ყოველ კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში კანონმდებელი განსაზღვრავს საკუთრების შინაარსს.<sup>3</sup> ამ თვალსაზრისით, მან, როგორც აღინიშნა, კერძო და საჯარო ინტერესები უნდა გააწონასწოროს. ამას კი იგი, როგორც კერძოსამართლებრივი, ისე საჯაროსამართლებრივი ნორმების თანაბარი გამოყენებით ახორციელებს.<sup>4</sup> საკუთრების კონსტიტუციური გაგება არ შემოიფარგლება მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივი ან საჯარო-სამართლებრივი საკუთრების ცნებით. კონსტიტუციის უზენაესობიდან გამომდინარე, იგი საკუთრების, როგორც კერძო-სამართლებრივ, ისე საჯარო-სამართლებრივ რეგულირებაზე მაღლა დგას.<sup>5</sup>

#### ა) კანონმდებლის შებოძვა საკუთრების შეზღუდვის დროს

კანონმდებელი, რომელიც შესაკუთრეს ზღუდავს, არ არის თავისუფალი; მართო ფორმალური, ანუ კანონიერი საფუძველი ჯერ კიდევ არ ნიშნავს საკუთრების შეზღუდვის გამართლებას. ამ შეზღუდვის დროს კანონმდებელი აუცილებლად გარკვეული მატერიალური ფარგლებით უნდა იყოს შეზოჭილი.<sup>6</sup> მატერიალური კრიტერიუმის გათვალისწინებლობა საკუთრების კანონიერი შეზღუდვის კონსტიტუციურობას ეჭვქვეშ დააყენებს.

მატერიალური თვალსაზრისით, კანონმდებელი საკუთრების შეზღუდვისა და ამით მისი შინაარსის განსაზღვრის პროცესში, ერთი მხრივ, შეზოჭილია კონსტიტუციის 21-ე მუხლის საკუთრების ინსტიტუტისა და საკუთრების დაცვის უფლების გარანტიით. მეორე მხრივ, მას საჯარო ინტერესების გათვალისწინების ვალდებულება აკ-

<sup>1</sup> Böhmer, Grundfragen der verfassungsrechtlichen Gewährleistung des Eigentums in der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, NJW 1988, S. 2561 ff.

<sup>2</sup> Böhmer, Eigentum aus verfassungsrechtlicher Sicht, in: Baur (Hg.), Das Eigentum, 1989, S. 39 ff.

<sup>3</sup> Schmidt-Abmann, in: FS 600 Jahre Universität Heidelberg, 1986, S. 112; Wendt, Eigentum und Gesetzgebung, 1985, S. 62 ff.; Lee, Eigentumsgarantie und Bestandsschutz im Immissienschutzrecht, 1994, S. 32; Ossenbühl, Staatshaftungsrecht, 4. Aufl. 1991, S. 252 f.; Maurer, Allgemeines Verwaltungsrecht, 11. Aufl. 1997, E 29 Rn. 5.

<sup>4</sup> Kleinlein, Die ausgleichspflichtige Inhaltsbestimmung – eine Alternative zur Enteignung?, DVBl. 1991, S. 369;

<sup>5</sup> Böhmer, Eigentum aus verfassungsrechtlicher Sicht, in: Baur (Hg.), Das Eigentum, 1989, S. 39 ff.; Schoch, Die Eigentumsgarantie des Art. 14 GG, Jura 1989, S. 113 ff.

<sup>6</sup> BVerfGE 50, 290 (340); 58, 137(148); Erguth, JuS 1988, 704 ff.; Schoch, Jura 1989, S. 119; Maurer, Allgemeines Verwaltungsrecht, 11. Aufl. 1997, E 26 Rn. 28; Melchinger, Die Eigentumsdogmatik des Grundgesetzes und das Recht des Denkmalschutzes, 1994, S. 113 f.

ისრია, ე. ი. საკუთრების შეზღუდვის მატერიალური სისწორე კერძო და საჯარო ინტერესების თანაზომიერად შეფარდებით განისაზღვრება.<sup>1</sup>

საკუთრების საჯარო ინტერესით შეზღუდვის აუცილებლობა კი მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში ჩნდება. ამდენად, ყველა საკუთრება როდია თავიდანვე სოციალურად განსაზღვრული და, შესაბამისად, შეზღუდვას დაქვემდებარებული.<sup>2</sup> (მაგალითად, ჩემი პიჯაკი არ ექვემდებარება სოციალურ შეზღუდვებს).

საკუთრების შეზღუდვის სფეროში კანონმდებლის უფლებამოსილება მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტია საკუთრების ობიექტის სოციალური ფუნქცია,<sup>3</sup> თავად საკუთრების უფლების სოციალური ფუნქციის დადგენისათვის კი მნიშვნელოვანია, თუ რამდენად ეხება ეს საკუთრება საზოგადოებრივ ინტერესებს. მაგალითად, მიწის საკუთრება, გარემოს დაცვის თვალსაზრისით, ეხება საზოგადოებრივ ინტერესებს და, შესაბამისად, სოციალური ფუნქციითაა დატვირთული, განსხვავებით წიგნებისა ან ტანისამოსის საკუთრებისგან. კანონმდებლის უფლებამოსილებაც საკუთრების შეზღუდვის სფეროში მხოლოდ საკუთრების სოციალური ფუნქციის ადეკვატური უნდა იყოს. საკუთრება არ შეიძლება იმაზე მეტად შეიზღუდოს, ვიდრე ამას საზოგადოებრივი საჭიროება მოითხოვს.<sup>4</sup> ამდენად, კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტში მოცემული საზოგადოებრივი საჭიროება კანონმდებლისათვის საკუთრების შეზღუდვის არა მარტო საფუძველია, არამედ იგი ამავე შეზღუდვის მატერიალურ ფარგლებსაც ადგენს.<sup>5</sup>

კანონმდებელმა, კონკრეტული ისტორიული სიტუაციიდან გამომდინარე, უნდა შეაფასოს საკუთრების სოციალური დანიშნულება და, შესაბამისად, ასახოს იგი კანონმდებლობაში შესაქონრისა და საზოგადოების ინტერესის შეჯერებული და გაწონასწორებული ურთიერთობისა.<sup>6</sup> ამგვარად, საკუთრების შეზღუდვის აუცილებლობა ჩნდება მხოლოდ საკუთრების სოციალური ფუნქციით. შესაბამისად, სწორედ აქაა საჭირო კერძო და საჯარო ინტერესების თანაზომიერი შეჯერების მატერიალური ვალდებულების დაცვა.

*ა) თანაზომიერების პრინციპი როგორც მატერიალური კრიტერიუმი*

საკუთრების შემზღუდავი კანონმდებლის შებოჭვის თვალსაზრისით, თანაზომიერების პრინციპს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული პრინციპი კონსტიტუციური ხასიათისაა. იგი კონსტიტუციაში განმტკიცებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და ძირითადი კონსტიტუციური უფლებების არსიდან გამომდინარეობს.<sup>7</sup>

თანაზომიერების პრინციპი, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელო-

<sup>1</sup> BVerfGE 25, 112 (117); 26, 215(222); 37, 132 (140); 50, 290(339); 52, 1(29); 58, 137(146); 68, 361 (368); 72, 66(77); 79, 179 (198); 87, 114(138).

<sup>2</sup> Böhmer, Eigentum aus verfassungsrechtlicher Sicht, in : Eigentum, (Hrsg.) Baur, 1988, S. 82.

<sup>3</sup> BVerfGE 50, 290 (340); 52, 1(32); 79, 29 (40) 79, 292 (302 ff.); 87, 114 (146).

<sup>4</sup> BVerfGE 79, 174 (198).

<sup>5</sup> BVerfGE 52, 1(29); 87, 114 (138).

<sup>6</sup> BVerfGE 50, 290 (340); 58, 81 (112); 79, 283 (289).

<sup>7</sup> Lerche, Übermaß und Verfassungsrecht, 1961, S. 61 ff.; Bull, Allgemeines Verwaltungsrecht, 4. Aufl. 1993, Rn. 289 ff.; Wolf, Allgemeine Verwaltungsrecht, 1986, S. 164 ff.; Erichsen, in: Erichsen-Martens, Allgemeines Verwaltungsrecht, 9. Aufl. 1991, E 10 II Rn. 2; Münch, GG – Kommentar, Bd. 1, 4. Aufl.; 1992, Vorb. Art. 1-19 Rn. 55; Jakobs, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 1985, S. 45; Bleckmann, Begründung und Anwendungsbereich des Verhältnismäßigkeitsprinzips, JuS 1994, S. 117 ff.

ვანესი პრინციპი, სამართლიანობის იდეის განსახიერება.<sup>1</sup> სამართლებრივ სახელმწიფოდ ორგანიზებული საზოგადოების თითოეული წევრი ელის, რომ საზოგადოებაში სიკეთეთა განაწილება სამართლიანი იქნება. ადამიანის უფლებებისა და, შესაბამისად, კერძო ინტერესების საკანონმდებლო შეზღუდვა მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესების საფუძველზეა გამართლებული. არ შეიძლება მოქალაქის ინდივიდუალური სფეროს შეზღუდვა იმაზე მეტი მოცულობით, ვიდრე ეს აუცილებელია.<sup>2</sup> რაც უფრო მეტად ერევა კანონმდებელი ადამიანის თავისუფალი განვითარების ელემენტარულ სფეროში, მით უფრო დიდია მისი გამართლების მოთხოვნები.<sup>3</sup> თანაზომიერების პრინციპის ფუნქციაა საპირისპირო ინტერესებს შორის სამართლიანი და გაწონასწორებული ურთიერთობის უზრუნველყოფა.<sup>4</sup>

თანაზომიერების პრინციპი კონსტიტუციური კონტროლის მნიშვნელოვანი ელემენტია. ამ თვალსაზრისით, მისი ფუნქციაა, ზოგადად, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა მოქმედების კონსტიტუციურობის შემოწმება, განსაკუთრებით კი – სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების შეზღუდვის ფარგლების განსაზღვრა.<sup>5</sup>

მიუხედავად იმისა, რომ თანაზომიერების პრინციპის შინაარსი, სამართლის ნორმისაგან განსხვავებით, მოკლებულია კონკრეტულ ფაქტობრივ შემადგენლობას, შეიძლება მისი ძირითადი სტრუქტურული ელემენტების გამოყოფა. ესენია: დასაშვებობის, აუცილებლობისა და შესაბამისობის, ანუ პროპორციულობის ელემენტები.<sup>6</sup> თანაზომიერების პრინციპის აღნიშნულ ელემენტებს დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთრების შემზღუდავი ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის დადგენისას.

თანაზომიერების პრინციპის უწინარესი მოთხოვნაა, რომ ნორმატიული აქტი გარკვეული მიზნის მისაღწევად მისაღები საშუალება იყოს. ე. ი. ნორმატიული აქტი, ანუ საშუალება, რომელიც მიზნის მიღწევას ართულებს ან მას შეუძლებელს ხდის, დაუშვებელია და, შესაბამისად, არაკონსტიტუციურიც.<sup>7</sup>

თანაზომიერების პრინციპის მეორე ელემენტის მიხედვით, ნორმატიული აქტი აუცილებელი უნდა იყოს დასახული მიზნის მისაღწევად. აუცილებელია ის ნორმატიული აქტი, რომელიც მიზნის მისაღწევად ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანია როგორც საზოგადოებისათვის, ისე თითოეული ადამიანისათვის.<sup>8</sup>

თანაზომიერების პრინციპის მესამე ელემენტია პროპორციულობის კრიტერიუმი. იგი განსაზღვრავს დამოკიდებულებას მიზანსა და საშუალებას შორის, კერძოდ კი ადგენს, არის თუ არა ამ საშუალებით, ე. ი. ნორმატიული აქტით გამოწვეული უფლების შეზღუდვა შეზღუდვის მიზანთან პროპორციული, თანაზომიერი.<sup>9</sup> ამ თვალ-

<sup>1</sup> ლ. იზორია, ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, ადამიანის უფლებათა დაცვა, 2002, გვ.44.

<sup>2</sup> ლ. იზორია, ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, ადამიანის უფლებათა დაცვა, 2002, გვ. 46.

<sup>3</sup> BVerfGE 42, 263 (294).

<sup>4</sup> Larenz, Methodenlehre der Rechtswissenschaft, 6. Aufl. 1991, S. 424; Ossenbühl, Festschrift für Lerche, 1993, S. 152.

<sup>5</sup> Badura, Staatsrecht, 2. Aufl., 1996, S. 105.

<sup>6</sup> BVerfGE 72, 9(23).

<sup>7</sup> Pieroth/Schlink, Grundrechte – Staatsrecht II, 13. Aufl., Rn. 283.

<sup>8</sup> Pieroth/Schlink, Grundrechte – Staatsrecht II, 13. Aufl., Rn. 283.

<sup>9</sup> იქვე გვ. 67

საზრისით, გადამწყვეტი სიტყვა შეზღუდული სიკეთისა და შეზღუდვის მიზნის შეფასებას, კერძოდ, მათ შეპირისპირებას ეკუთვნის. მან უნდა უზრუნველყოს, რომ ერთი სიკეთე არ იყოს ცალმხრივად მეორე სიკეთის ხარჯზე არაპროპორციულად შეფასებული.<sup>1</sup>

საკუთრების შემზღუდავი კანონმდებლისთვის თანაზომიერების პრინციპის მნიშვნელობა ვლინდება, ერთი მხრივ, საკუთრების ინსტიტუტისა და საკუთრების პიროვნული გარანტიის (კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი) და, მეორე მხრივ, საკუთრების სოციალური შებოჭვის ჯეროვნად გათვალისწინების აუცილებლობაში.<sup>2</sup> კანონმდებლის მიერ საკუთრების შეზღუდვა დასახული მიზნის მისაღწევად დასაშვები და აუცილებელი უნდა იყოს. კანონმდებელმა ზომაზე მეტად, არაპროპორციულად არ უნდა შეზღუდოს მესაკუთრე. შეზღუდვა, რომელიც ამ პირობებს არ აკმაყოფილებს, არაკონსტიტუციურია.

ამგვარად, საკუთრების შემზღუდავი კანონის კონსტიტუციურობის გასარკვევად, საბოლოო ჯამში, დასადგენია, არსებობს თუ არა საკუთრების შეზღუდვის საფუძველი, ე.ი. აქვს თუ არა საკუთრებას სოციალური დანიშნულება. ამის შემდეგ გასარკვევია, ეყარება თუ არა სადავო საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგება კერძო საკუთრების აღიარებას და, ამასთან, ადეკვატურად ითვალისწინებს თუ არა იგი საკუთრების სოციალური ვალდებულების ამოცანებს. რომელიმე მათგანისათვის არაჯეროვანი ყურადღების მიქცევის შემთხვევაში, დღის წესრიგში დგება კანონის არაკონსტიტუციურობის საკითხი.<sup>3</sup>

*აბ) თანასწორობის პრინციპი და სხვა კონსტიტუციური პრინციპები*

თანაზომიერების პრინციპთან ერთად, საკუთრების შეზღუდვის დროს კანონმდებელი შებოჭილია თანასწორობის პრინციპით და სხვა კონსტიტუციური პრინციპებით.<sup>4</sup> თანასწორობის პრინციპი კრძალავს თვითნებობას.<sup>5</sup> საკუთრებასთან მიმართებაში აღნიშნული პრინციპი მოითხოვს, რომ საკუთრების შინაარსის განმსაზღვრელი ნორმები განსხვავებულად არ აწესრიგებდეს საკუთრებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და, ამასთან, თანასწორად იყოს გათვალისწინებული როგორც მესაკუთრის, ისე საზოგადოების ინტერესები. ამ ბოლო ასპექტში იგი თანაზომიერების პრინციპის პროციულობის ელემენტის იდენტურია.

საკუთრების შეზღუდვის დროს კანონმდებელი შებოჭილია ასევე სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპებით.<sup>6</sup> ეს პრინციპები თანაზომიერების პრინციპთან ერთად უმაღლესი რანგის სამართლის წყაროა, რომელიც სამართლიანობის იდეიდან გამომდინარეობს.<sup>7</sup> სამართლის პრინციპები ზოგადად სა-

<sup>1</sup> ლ. იზორია, ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, ადამიანის უფლებათა დაცვა, 2002, გვ. 49.

<sup>2</sup> BVerfGE 37, 132 (141); 52, 1(32); 51, 193 ff.

<sup>3</sup> BVerfGE 51, 193 ff.; 52, 1(27); 58, 137 (152).

<sup>4</sup> BVerfGE 34, 139 (146); 37, 132 (143); 42, 263(305); 52, 1(30); 58, 137(148).

<sup>5</sup> Stein, in: Alternativkommentar GG, 2. Aufl., 1984, Art. 3 Rn. 29; Heun, in: Dreier (Hrsg.), Grundgesetz,

Art. 3.

<sup>6</sup> BVerfGE 14, 263 (278).

<sup>7</sup> ლ. იზორია, ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, ადამიანის უფლებათა დაცვა, 2002, გვ. 44



მართლის სისტემის მატერიალური საფუძველია – ნორმათა იერარქიაში მათ უმაღლესი რანგი ენიჭებათ.<sup>1</sup>

## 8. კონსტიტუციურ-სამართლებრივი საკუთრების უფლება უზინარესად თავის დაცვის უფლება

თუ კანონმდებელი საკუთრების შეზღუდვისას, შებოძვის მატერიალურ ფარგლებს უგულებელყოფს, ეს თავიდანვე არაკონსტიტუციურია. ასეთი შეზღუდვის შემთხვევაში, მესაკუთრეს უფლება აქვს 21-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. 21-ე მუხლის პირველი პუნქტი, პირველ რიგში, წარმოადგენს თავის დაცვის უფლებას და არა ქონებრივ გარანტიას. მისი ძირითადი ფუნქციაა მესაკუთრის დაცვა არაკანონიერი შეზღუდვებისაგან.

### ა) დაუშვებელია საკუთრების უფლებადვის გაიზიარება საკუთრების ჩამორთმევასთან

21-ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე საკუთრების არათანაზომიერი, ანუ უკანონო შეზღუდვა არ შეიძლება ქონების ჩამორთმევასთან გაიგივდეს.<sup>2</sup> მაშინაც კი, როდესაც მესაკუთრე ზომავს მეტადაა შეზღუდული და მისი მდგომარეობა საკუთრების ჩამორთმევის ტოლფასია, ეს შეზღუდვა არ სცილდება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის ფარგლებს. ამ შემთხვევაში ხდება საკუთრების უკანონო, არაკონსტიტუციური შეზღუდვა. ასეთი სახის შეზღუდვები არ შეიძლება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე იყოს კომპენსირებული.<sup>3</sup>

21-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საკუთრების არაკონსტიტუციური შეზღუდვა კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით არ ითვალისწინებს ქონების ჩამორთმევისთვის გათვალისწინებული კომპენსაციის მოთხოვნას, იგი საკუთრების უფლების კლასიკური, თავის დაცვის ფუნქციის მიხედვით თავიდან უნდა ავიცილოთ.

მესაკუთრეს უკანონო ჩარევის სანაცვლოდ არ წარმოიშვება კომპენსაციის მოთხოვნის უფლება. კონსტიტუციით უზრუნველყოფილი საკუთრების უფლება მას, უწინარესად, სახელმწიფოს უკანონო ჩარევისაგან თავის დაცვის საშუალებას აძლევს.<sup>4</sup>

### ბ) უფლებდები, რომლებიც ითხოვს გაწონასწორებას

21-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, პრაქტიკაში შესაძლებელია საკუთრების ისეთი შეზღუდვები მოხდეს, როდესაც, მართალია, საკუთრების შემზღუდავი ნორმები კონსტიტუციას შეესაბამება, მაგრამ გამონაკლისი შემთხვევებისათვის აღნიშნული ნორმების კონსტიტუციურობა საეჭვო გახდება. ეს ისეთი გამონაკლისი შემთხვევებია, როდესაც აღნიშნული ნორმების თანაზომიერების პრინციპთან შეუსაბამობა ითვალისწინება.<sup>5</sup>

<sup>1</sup> Alexy, Zum Begriff des Rechtsprinzips, Rechtstheorie, Beiblatt I (1979), S. 63.

<sup>2</sup> BVerfGE 52, 1(27); 58, 137 (145).

<sup>3</sup> Ossenbühl, Staatshaftungsrecht, 4. Aufl. 1991, S 192 f.; Maurer, Allgemeines Verwaltungsrecht, 11. Aufl., 1997, E 26, Rn. 91.; Rozek, Die Unterscheidung von Eigentumsbindung und Enteignung, 1998, S. 55 ff.

<sup>4</sup> Isoria, Eigentumschutz von Grund und Boden, insbesondere im Naturschutzrecht, 2002, S. 76.

<sup>5</sup> Burmeister / Röger, Die unbegrenzte Naturschutzpflichtigkeit des Eigentums, JuS 1994, S. 842; Heinz / Schmitt, Vorrang des primärrechtsschutzes und ausgleichspflichtige Inhaltsbestimmung des Eigentums, NVwZ 1992, S. 514; Rozek, Die Unterscheidung von Eigentumsbindung und Enteignung, 1998, S. 76 ff.

აქედან გამომდინარე, შესაძლოა საკუთრებაში სახელმწიფოს ჩარევის 4 ფორმა გამოიყოს: პირველი – საკუთრების ჩამორთმევა, მეორე – საკუთრების კონსტიტუციის შესაბამისი შეზღუდვა, მესამე – საკუთრების არაკანონიერი შეზღუდვა და მეოთხე – საკუთრების ისეთი შეზღუდვა, რომელიც ზოგადად კონსტიტუციურია, მაგრამ გამონაკლის შემთხვევაში თანაზომიერების პრინციპთან შეუსაბამობის გამო ერთგვარ გაწონასწორებას მოითხოვს.

ამგვარი გამონაკლისი შემთხვევების წარმოჩენის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მაგალითის მოყვანა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკიდან. „სავალდებულო ეკზემპლარის“<sup>1</sup> სახელწოდებით ცნობილ გადაწყვეტილებაში ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ჰესენის მხარის პრესის კანონის მეცხრე პარაგრაფი საკუთრების კონსტიტუციურ უფლებასთან შეუსაბამიად ცნო. აღნიშნული პარაგრაფის თანაშემად, გამომცემლობა ვალდებულია, გამონაკლისის გარეშე, ბიბლიოთეკებს დაუზღუდოს მის მიერ გამოცემული ნაშრომების ეკზემპლარი უფასოდ. ასეთი სახით გამომცემლობის როგორც მესაკუთრის შეზღუდვა, საჯარო ინტერესიდან გამომდინარე (მაგალითად სახელმწიფო ბიბლიოთეკები), ზოგადად კონსტიტუციურია, მაგრამ, თუ ცალკეული ნაშრომის გამოცემა ღიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და მცირე რაოდენობითაა გამოცემული, მაშინ თანაზომიერება ირღვევა და მესაკუთრე ზომავზე მეტად იზღუდება. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ასეთი გამონაკლისი შემთხვევებისათვის საკუთრების შეზღუდვის ერთგვარი გაწონასწორების ვალდებულება დააწესა, რომლის მიხედვითაც, საკუთრების შეზღუდვის საკანონმდებლო საფუძველი კონსტიტუციის შესაბამისია, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში უნდა მოხდეს საკუთრების ზომავზე მეტად შეზღუდვის გაწონასწორება.<sup>2</sup> სავალდებულო ეკზემპლარის კაზუსისთვის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გაწონასწორების ფორმად ფულადი ანაზღაურების ვალდებულება მიიჩნია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკუთრების ისეთი შეზღუდვა, რომელიც თანაზომიერების პრინციპს ეწინააღმდეგება, არაკონსტიტუციურია. ამასთან, აღინიშნა ისიც, რომ ასეთი სახის შეზღუდვები არ შეიძლება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე იყოს კომპენსირებული. ამიტომ ლოგიკურია ის, რომ საკუთრების არათანაზომიერი შეზღუდვებისაგან თავის დაცვა არ გადაიხარდოს ქონების ჩამორთმევისათვის გათვალისწინებული კომპენსაციის მოთხოვნაში.<sup>3</sup> სწორედ ამ პრინციპით იხელმძღვანელა გერმანიის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლომ და საკუთრების შეზღუდვა საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტისაგან მკაცრად გამოიჯნა.

ერთი შეხედვით, საკუთრების შეზღუდვის გაწონასწორების მიზნით სახელმწიფოსაგან ფულადი ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება კონსტიტუციურად ერთგვარ ეჭვს იწვევს, რადგან ეს ინსტიტუტი ძალიან ჰგავს ქონების ჩამორთმევისათვის გათვალისწინებულ კომპენსაციის ფორმას. კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, საკუთრების შეზღუდვისთვის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა პირდაპირ არაა გათვალისწინებული. ეს მხოლოდ იმ გამონაკლის შემთხვევებს ეხება,

<sup>1</sup> BVerfGE 58, 137 ff.

<sup>2</sup> BVerfGE 58, 137 (152)

<sup>3</sup> Melchinger, Die Eigentumsdogmatik des Grundgesetzes und das Recht des Denkmalschutzes, 1994, S. 139.; Schoch, Der Rechtsweg bei ausgleichspflichtigen Eigentumsinhaltsbestimmungen, JZ 1995, S. 770. Wicland, GG, Bd. I, Art. 14 Rn. 126.

როდესაც, მართალია, საზოგადოებრივი საჭიროების გამო შესაკუთრის შეზღუდვა გამართლებულია, მაგრამ ეს შეზღუდვა შესაკუთრეს ზომაზე მეტად ეხება. ამასთან, ასეთი გამონაკლისი შემთხვევებისათვის არა მარტო ფულადი ანაზღაურება, არამედ სხვა გარდამავალი ხასიათის დებულებებიცაა გათვალისწინებული.

ამდენად, კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საკუთრების შეზღუდვის გაწონასწორების მიზნით სახელმწიფოსთვის ფულადი ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება ემსახურება შესაკუთრესა და საზოგადოების ინტერესებს შორის თანაზომიერი დამოკიდებულების უზრუნველყოფას. საკუთრების ისეთი შეზღუდვებისათვის, რომლებიც ზოგადად კონსტიტუციურობის ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ერთეულ, გამონაკლის შემთხვევაში არათანაზომიერად ეხება შესაკუთრეს, კანონმდებელმა თვითონ, რაც შეიძლება დეტალურად უნდა განსაზღვროს გაწონასწორების პირობები.<sup>1</sup>

კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტით შეზღუდული საკუთრების გაწონასწორების ინსტიტუტს არ იცნობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკა. ქვემოთ აღნიშნული სასამართლო პრაქტიკის გაცნობის დროს ნაჩვენები იქნება საქართველოში ამ ინსტიტუტის აღიარების მნიშვნელობა და აუცილებლობა.<sup>2</sup>

## 9. საკუთრების ჩამორთმევა კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით

კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტი განსაზღვრავს საკუთრების ჩამორთმევის პირობებს. მის მიხედვით, საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი თავის დაცვის უფლება (კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი) იძენს საკუთრების ქონებრივი გარანტიის მნიშვნელობას. აქ წინა პლანზე უკვე საკუთრების ქონებრივი მხარე გამოდის.<sup>3</sup>

### ა) საზოგადოებრივი საჭიროება

კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, საკუთრების ჩამორთმევის მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესები, ანუ, კონსტიტუციის ენით რომ ვთქვათ, საზოგადოებრივი საჭიროება. შინაარსობრივად ეს ცნება კონსტიტუციაში განმარტებული არ არის. აბსტრაქტულად იგი მრავალ მიზანს და გარემოებას შეიძლება მოიცავდეს. კონკრეტულად კი კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს, თუ რა წინაპირობების არსებობის შემთხვევაშია საკუთრების ჩამორთმევა მიზანშეწონილი.<sup>4</sup> შესაბამისად, მხოლოდ კანონში პოვნებს საზოგადოებრივი ინტერესი კონკრეტულ ფაქტობრივ შემადგენლობას. საზოგადოებრივი ინტერესის გან-

<sup>1</sup> Melchinger, Die Eigentumsdogmatik des Grundgesetzes und das Recht des Denkmalschutzes, 1994, S. 140.

<sup>2</sup> გერმანიაში როგორც სასამართლო პრაქტიკაში, ისე იურიდიულ ლიტერატურაში საკუთრების შეზღუდვის გაწონასწორების ინსტიტუტმა ფართო აღიარება პოვა: BGHZ 100, 136 ff.; 102, 350 ff.; 110, 12 ff.; 121, 73 ff.; 123, 242 ff.; 128, 204; Schulze – Osterloh, Entschädigungspflichtige Inhalts – und Schrankenbestimmung des Eigentums und Enteignung, NJW 1981, s. 2543 ff.; Hender, Zur bundesverfassungsrechtlichen Konzeption der grundgesetzlichen Eigentumsgarantie, DVBl. 1983, S. 880; Götz, DVBl. 1984, S. 395; Nüßgens / Boujong, Eigentum, Sozialbindung, Enteignung, 1987, Rn. 339 f.; Lubberger, Aufopferung – Enteignung und Staatshaftung, 1991, S. 211; Thormann, Abstufungen in der Sozialbindung des Eigentums, 1996, S. 11; Eschenbach, Die ausgleichspflichtige Inhaltsbestimmung, Jura 1998, S. 401 ff.

<sup>3</sup> BVerfGE 58, 300 (323); Böhmer, NJW 1988, S. 2564.

<sup>4</sup> BVerfGE 24, 367 (403).

საზღვრის ამოცანა არ არის სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქცია.<sup>1</sup>

კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტში განმტკიცებული საზოგადოებრივი ინტერესი იმ თანაზომიერების პრინციპის ერთგვარი გამოხატულებაა, რომელიც საკუთრების ჩამორთმევის წინაპირობების განსაზღვრის დროს ბოჭავს კანონმდებელს.<sup>2</sup> ამის შესაბამისად, საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით საკუთრების ჩამორთმევა არა მარტო დასაშვებია, არამედ აუცილებელი საშუალებაც უნდა იყოს, ანუ სხვა ალტერნატიულ საშუალებებთან შედარებით – მესაკუთრისათვის ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანი (მაგალითად, ნაწილობრივი ჩამორთმევა, ნაცვლად სრული ჩამორთმევისა). ქონების ნაწილობრივ ჩამორთმევა მაშინ ზდება, როცა, მართალია, მესაკუთრე სამართლებრივად რჩება საკუთრების ობიექტის მფლობელად, მაგრამ მას ფაქტობრივად საკუთრებაზე არაეითარი სარგებლის უფლება არ რჩება.<sup>3</sup> ქონების სრული ჩამორთმევისას კი, მესაკუთრე მთლიანად კარგავს თავის საკუთრებას.

საზოგადოებრივი საჭიროების ცნება, რომელიც საკუთრების ჩამორთმევისთვის კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტშია მოცემული, განსხვავდება საზოგადოებრივი საჭიროების ცნებისგან, რომელიც კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტში საკუთრების შესაზღვრდავდაა გათვალისწინებული.<sup>4</sup> 21-ე მუხლის მეორე პუნქტის ფარგლებში კანონმდებელი უფრო თავისუფალია, ვიდრე საკუთრების ჩამორთმევის დროს. როგორც ზემოთ დავინახეთ, საკუთრების შეზღუდვის დროს კერძო და საზოგადოებრივი ინტერესები თანაბრად უნდა იყოს დაცული. ამ თვალსაზრისით, კანონმდებელს შედარებით ფართო უფლებამოსილება აქვს.<sup>5</sup> ამის საპირისპიროდ, მესამე პუნქტში განმტკიცებული საზოგადოებრივი საჭიროების ცნების ფუნქციას წარმოადგენს მესაკუთრის დაცვა და საკუთრებაში ჩარევის დროს კანონმდებლისთვის მკაცრი საზღვრების დადგენა.

### ბ) საკუთრების ჩამორთმევა კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევაში

კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, საკუთრების ჩამორთმევა კანონით პირდაპირ დადგენილი უნდა იყოს, განსაკუთრებულ ინტერპრეტაციას მოითხოვს. ამის მიხედვით, კანონმა არა მარტო საკუთრების ჩამორთმევის, არამედ მისი კომპენსაციის სახე და მოცულობაც უნდა განსაზღვროს.<sup>6</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, ეჭვქვეშ კანონის კონსტიტუციურობა დადგება.

საკუთრების ჩამორთმევისა და ჩამორთმეული საკუთრებისათვის კომპენსაციის მარეგულირებელი ნორმების მჭიდრო კავშირი ორ ძირითად მიზანს ემსახურება. პირველ რიგში, მესაკუთრეს ჩამორთმეული საკუთრებისთვის ყველა შემთხვევაში უნდა აუნაზღაურდეს საკუთრების ჩამორთმევით მიყენებული ზარალი. ამასთან, კანონმდებელმა უნდა გაიცნობიეროს, რომ მას მიერ გამოცემული ნორმები იმ საკუთრების

<sup>1</sup> BVerfGE 58, 300 (324).

<sup>2</sup> Bryde, GG, 1992, Art. 14 Rn. 85.

<sup>3</sup> BVerfGE 50, 290 (341).

<sup>4</sup> Melchinger, Die Eigentumsgarantie, 1994, S. 150.

<sup>5</sup> Melchinger, Die Eigentumsgarantie, 1994, S. 151.

<sup>6</sup> Böhrer, AgrarR 4/1984, S. 15; Papier, NWVBI 1990, S. 399; Rozek, Die Unterscheidung, 1998, S. 86 ff.

ჩამორთმევას ეხება, რომლისთვისაც სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ხდება ანაზღაურება. ამით, საბიუჯეტო ურთიერთობების რეგულირების თვალსაზრისით, ერთი მხრივ კანონმდებლის პრეროგატივაა აღიარებული, და, მეორე მხრივ, ბიუჯეტი გაუთვალისწინებელი ხარჯვისგან არის დაცული.<sup>1</sup>

კონსტიტუცია საკუთრების ჩამორთმევის ერთ-ერთ პირობად სასამართლოს გადაწყვეტილებას მიიჩნევს. ეს დებულება ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოსდა კანონმდებელთან ერთად სასამართლოს ხელისუფლებაც იყო უფლებამოსილი დამოუკიდებლად განესაზღვრა საკუთრების ჩამორთმევის შემთხვევა. აქ საბიუჯეტო ურთიერთობების მოწესრიგებაში კანონმდებლის პრეროგატივა ირვევა და ბიუჯეტის გაუთვალისწინებელი ხარჯვის საშიშროებაც იქმნება. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციაში მოცემული სასამართლო გადაწყვეტილების ცნება უნდა გავიგოთ როგორც საკუთრების ჩამორთმევისა და ჩამორთმეული საკუთრებისათვის კომპენსაციის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება.

რაც შეეხება თავად კომპენსაციის სახესა და მოცულობას, კანონმდებელი ამ შემთხვევაში აწონ-დაწონის მოთხოვნას ექვემდებარება.<sup>2</sup> ამ თვალსაზრისით, კანონმდებელი ვალდებული არ არის საბაზრო ღირებულების მიხედვით დააწესოს საკუთრების რამე ნომინალური ფასი.<sup>3</sup> მან უფრო საქმის ფაქტობრივი შემადგენლობიდან გამომდინარე, ანუ კონკრეტული სიტუაციის თავისებურებებისა და დროის შესაბამისად უნდა განსაზღვროს საკუთრების ღირებულება.<sup>4</sup> აწონ-დაწონის მოთხოვნის საფუძველზე შეიძლება (თუმცა ეს სავალდებულო არ არის) ანაზღაურება საბაზრო ფასის მიხედვითაც მოხდეს. მხოლოდ კანონმდებელია უფლებამოსილი, მესაკუთრისა და საზოგადოების ინტერესების აწონ-დაწონით განსაზღვროს ჩამორთმეული საკუთრების კომპენსაციის სახე და მოცულობა.

## ბ) სააკუთრების ჩამორთმევა და კონფისკაცია

საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტი განსხვავდება კონფისკაციისაგან. კონფისკაცია არის სახელმწიფოს მიერ საკუთრების ისეთი ჩამორთმევა, რომელიც, საკუთრების ანტისახელმწიფოებრივი და ანტიისოციალური ხასიათიდან გამომდინარე, ანუ პოლიტიკური მოტივებით მართლდება.<sup>5</sup> ამასთან კონფისკაციისას არ ხდება სათანადო ანაზღაურების გადახდა. ეს არის კონსტიტუციურად დამტკიცებული კერძო საკუთრების დისკრიმინაცია, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს ეწინააღმდეგება.<sup>6</sup> საკუთრების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესების საფუძველზე და არასოდეს არ შეიძლება პოლიტიკური გადაწყვეტილების საგანი გახდეს. ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.

<sup>1</sup> Detterbeck, Salvatorische Entschädigungsklauseln vor dem Hintergrund der Eigentumsdogmatik des Bundesverfassungsgerichts, DÖV 1994, S. 276 ff.; Ehlers, VVDStRL 1992, S. 242; Maurer, Der enteignende Eingriff und die ausgleichspflichtige Inhaltsbestimmung des Eigentums, DVBl. 1991, S. 781. ff.; Pietzcker, JuS 1991, S. 371 ff.; Streiberg/Lubberger, Aufopferung, S. 145 ff.; Schlink, Umweltschutz, DVBl. 1990, S. 1385.

<sup>2</sup> BVerfGE 24, 367 (421).

<sup>3</sup> Papier, GG-K, Rn. 513; Rittstig, GG-K, Rn. 221

<sup>4</sup> BVerfGE 24, 367 (421).

<sup>5</sup> Huber, 1954, S.42

<sup>6</sup> Kimminich, BK, Rn. 208

დ) საკუთრების ჩამორთმევის მსგავსი ჩარევაში

საკუთრების ჩამორთმევის ცნება მკაცრად ფორმალურ ხასიათს ატარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებშია დასაშვები.<sup>1</sup> საკუთრებაში ჩარევა, რომელიც კანონიერ საფუძველს მოკლებულია, არ შეიძლება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით ანაზღაურდეს. ასეთ შემთხვევებში შესაკუთრებ სარჩელს უნდა მიმართოს სასამართლოს და სახელმწიფოს არაკანონიერი ჩარევის აქტის გაუქმება მოითხოვოს.

საკუთრების ჩამორთმევი მსგავსი ჩარევა გულისხმობს ისეთი სახის ჩარევას, როდესაც, მართალია, კანონიერი საფუძველის გარეშე ხდება საკუთრებაში ჩარევა, მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლება კომპენსაციის საკითხი დადგეს.<sup>2</sup> ეს ეხება იმ გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც საკუთრებაში ფაქტობრივი ჩარევა ხდება და როდესაც შესაკუთრე ასეთი ჩარევის თავიდან აცილების მიზნით არანაირ ფორმალურ საფუძველს არ ფლობს. კონსტიტუციაში განმტკიცებული საკუთრების უფლებისაგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც საკუთრებაში არაკანონიერი ჩარევისაგან თავის დაცვის უფლება წინა პლანზე დგას, საკუთრების ჩამორთმევის მსგავსი ჩარევის ინსტიტუტის დანიშნულებას არ შეადგენს საკუთრებაში სახელმწიფოს ჩარევის კანონიერების თუ უკანონობის გარკვევა.<sup>3</sup>

საკუთრების ჩამორთმევის მსგავსი ჩარევის ინსტიტუტი გერმანიის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაში სამოსამართლო სამართლის საფუძველზე წარმოიშვა.<sup>4</sup> ეს არის სახელმწიფოს შეზღუდვის ინსტიტუტი, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს საკუთრების კონსტიტუციური უფლების დოგმატიკასთან, განსაკუთრებით კი საკუთრების ჩამორთმევის მარეგულირებელ პუნქტთან. ის დამოუკიდებელი ინსტიტუტია.

საკუთრების ჩამორთმევის მსგავსი ჩარევის ორ ტიპურ შემთხვევას გამოყოფენ. პირველ ვეგუფს მიეკუთვნება ისეთი ფაქტები, როდესაც საკუთრების ჩამორთმევის მსგავსი ჩარევა მოიცავს ზოგადად სახელმწიფოს კანონიერ მოქმედებას, რომელმაც სრულიად შემთხვევით და გაუთვალისწინებლად შესაკუთრეს დიდი ზიანი მიაცენა.<sup>5</sup> მაგალითად, გზის კანონიერი მშენებლობის გამო მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ბენზინგასამართი სადგურის ან საეკსპლოატაციო ცენტრის მუშაობა საგრძნობლად შეიზღუდა, რასაც დიდი დანაკარგები მოჰყვა.

საკუთრებაში ასეთი ჩარევის კომპენსაცია შეუძლებელია კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით მოხდეს, რადგანაც კომპენსაცია მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებს მოიცავს. არც კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის ფარგლებშია ანაზღაურება შესაძლებელი. მართალია, ერთი შეხედვით, შეიძლებოდა ასეთი სახის ჩარევა კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე საკუთრების ისეთ შეზღუდვასთან გაიგივებულიყო, რომელიც შეზღუდვის გასაწონასწორებლად სახელმწიფოსაგან ფულადი ანაზღაურების ვალდებუ-

<sup>1</sup> BVerfGE 58, 300 (319)

<sup>2</sup> Isoria, Eigentumsschutz von Grund und Boden, Insbesondere im Naturschutzrecht, 2002, S. 87.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 88

<sup>4</sup> Bryde, GG-K, Rn. 100

<sup>5</sup> Ossenbühl, Staatshaftungsrecht, 4. Aufl. 1991, S. 226 ff.; Maurer, allgemeines Verwaltungsrecht, E 26, Rn. 58; Schoch, Haftung aus enteignungsgleichem und enteignenden Eingriff, Jura 1990, S. 140 ff.

ბულების დაკისრებას ითვალისწინებს,<sup>1</sup> მაგრამ ეს არ იქნებოდა მართებული. საკუთრების ჩამორთმევის მსგავსი ჩარევის პირველი ჯგუფი ეხება სრულიად შემთხვევით და გაუთვალისწინებელ მოვლენებს. ამის საპირისპიროდ, საკუთრების შეზღუდვა (კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტი), რომელიც სახელმწიფოსაგან შეზღუდვის გასაწონასწორებლად ფულად ანაზღაურებას მოითხოვს, ეხება ტიპურ, კანონმდებლისათვის წინასწარ გასათვალისწინებელ შემთხვევებს.<sup>2</sup> აქედან გამომდინარე, კანონმდებელი საკანონმდებლო მოწესრიგებას ექვემდებარება, რომელიც როგორც ფულადი ანაზღაურების კონკრეტულ შემთხვევებს, ისე ანაზღაურების მოცულობასაც განაზღვრავს.

საკუთრების ჩამორთმევის მსგავსი ჩარევის მეორე ჯგუფს განეკუთვნება ისეთი შემთხვევები, როდესაც მესაკუთრის პოზიციები სახელმწიფოს არაკანონიერი ჩარევით შეიღაცა.<sup>3</sup> ერთი შეხედვით, რჩება იმის შთაბეჭდილება, რომ აქ საკუთრების ჩამორთმევის მსგავსი ინსტიტუტის გამოყენება ზედმეტია. და, მართლაც, საკუთრების კონსტიტუციური უფლება, პირველ რიგში, არაკანონიერი ჩარევისაგან მესაკუთრის თავის დაცვის უფლებას გულისხმობს. კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტიც მხოლოდ საკუთრების კანონიერი ჩამორთმევის შემთხვევაში ითვალისწინებს ფულად კომპენსაციას. აქედან გამომდინარე, თითქოსდა არაკონსტიტუციურია არაკანონიერი ჩარევის კომპენსაციის მიზნით საკუთრების ჩამორთმევის მსგავსი ჩარევის ინსტიტუტის გამოყენება.

საკუთრების ჩამორთმევის მსგავსი ჩარევის მეორე ჯგუფი ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც სახელმწიფოს უკანონო ჩარევა უკვე განხორციელდა და, მისი გასაჩივრების მიუხედავად, მესაკუთრეს მნიშვნელოვანი ზიანი უკვე მიადგა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სახის ჩარევის თავიდან აცილება სამართლებრივად დროულად შეუძლებელია, არსებობს იმის აუცილებლობა, რომ მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისათვის მესაკუთრეს ზარალი აუნაზღაურდეს. აღნიშნული ანაზღაურება გამოდინარეობს არა კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტიდან, არამედ სამოსამართლო სამართლის ფარგლებში ჩამოყალიბებული საკუთრების ჩამორთმევის მსგავსი ჩარევის ინსტიტუტიდან.<sup>4</sup>

ქართული სამართლის მეცნიერება და ქართული სამართლის პრაქტიკა არ იცნობს საკუთრების ჩამორთმევის მსგავსი ჩარევის ინსტიტუტს. მისი გამოყენების აუცილებლობა ჩნდება იმის გამო, რომ ასევე აუცილებელია საკუთრების ჩამორთმევისათვის მსგავსი ჩარევის სამართლებრივი მოწესრიგება.

<sup>1</sup> Ossenbühl, Staatshaftungsrecht, 4. Aufl. 1991, S. 226 ff.; Maurer, allgemeines Verwaltungsrecht, E 26, Rn. 58; Schoch, Haftung aus enteignungsgleichem und enteignenden Eingriff, Jura 1990, S. 140 ff. ვ. 15

<sup>2</sup> BGHZ 91, 26 ff.; Schmit – Kammler, NJW 1990, S. 2520; Nüßgens / Boujong, Eigentum, Rn. 452

<sup>3</sup> Maurer, Allgemeines Verwaltungsrecht, E 26 Rn. 41 ff.; Ossenbühl, Staatshaftungsrecht, S. 173 ff.; Steinberg/Lubberger, Aufopferung – Enteignung und Staatshaftung, 1991, S. 327 ff.

<sup>4</sup> BGHZ 91, 26 ff.; 99, 24 (29); 102, 350 (357); 111, 349 (353); Ossenbühl, Abschied vom enteignungsgleichen Eingriff? NJW 1983, S. 5; Schenke, Staatshaftung und Aufopferung. Der Anwendungsbereich des Aufopferungsanspruchs, NJW 1991, S. 1778 f.; Nüßgens / Boujong, Eigentum, Sozialbindung, Enteignung, 1987, Rn. 430; Papier, in: Maunz/Dürig, GG, Art. 14 Rn. 722.

10. საქართვების უფლებების დარღვევის  
კონსტიტუციური კონტროლის  
მეთოდოლოგია

სახელმწიფოს მიერ საკუთრების შეზღუდვის კონსტიტუციური გამართლება საბოლოო ჯამში თანაზომიერების პრინციპზეა დამოკიდებული. თუ საკუთრების კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის მიზნით სახელმწიფოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი თანაზომიერები<sup>1</sup>: პრინციპის სამივე ელემენტის მოთხოვნებს თანამიმდევრულად აკმაყოფილებს, მ. შინ მისი კონსტიტუციურობაც უზრუნველყოფილია, ე.ი. აღნიშნული აქტი, კონსტიტუციური გამართლების ასპექტით, პირველ რიგში, დასახული მიზნის მისაღწევად უნდა იყოს დასაშვები; მეორე, იგი უნდა იყოს აუცილებელი, ანუ შესაკუთრისათვის მინიმალური ზიანის მომტანი, დაბოლოს, პროპორციული, ანუ შეზღუდვით გამოწვეული ზიანისა და შეზღუდვის მიზნის თანაზომიერი შეფარდების გარანტი.

სასამართლო პრაქტიკა

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში<sup>1</sup> სადავო გახდა „ქ. ფოთის სამეგრელოს ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე ნავთობგადამტვირთავი ტერმინალის მშენებლობის კანონიერების შესახებ“ ქ. ფოთის მერის 1996 წლის 9 აგვისტოს №452 განკარგულების კონსტიტუციურობა.

განკარგულების მიხედვით, ყოვლად გაუმართლებლად და მიზანშეწონლად მიჩნეული ნავთობგადამტვირთავი ტერმინალის დაპროექტებაში, მშენებლობასა და ექსპლუატაციაში კერძო სტრუქტურების, ამ შემთხვევაში შპს „კოლხის“ მონაწილეობა. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებლად მიჩნეული მიმდინარე მშენებლობის დამფუძნებელთა ხელახალი რეგისტრაცია, რათა დამფუძნებლებად მომავალში გ. მოსულიყენენ მხოლოდ სახელმწიფო ორგანიზაციები და საწარმოები. რაც შეეხება ყოფილ დამფუძნებლებს — კერძო საწარმოებს, ქალაქ ფოთის მერის განკარგულებით, მათ გარანტირებული აქვთ გაწეული ზარჯის უკლებლივ ანაზღაურება.

ა) დაცვის სფერო

განკარგულების კონსტიტუციურობის გარკვევის თვალსაზრისით, პირველ რიგში, დასადგენია განკარგულებით შელახული უფლების დაცვის სფეროს შინაარსი და ფარგლები. ფოთის მერის აღნიშნული განკარგულება ლაშავს შპს „კოლხის“ საკუთრების უფლებას, კერძოდ, საკუთრების ინსტიტუტის (კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი) და საკუთრების ქონებრივ გარანტიას (კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტი).

საკუთრების ინსტიტუტის გარანტიის დაცვის სფერო არის კერძო საკუთრება როგორც ობიექტური ღირებულება. მისი პრაქტიკული დანიშნულებაა კერძო საკუთრების არსებობის რეალური უზრუნველყოფა. საკუთრების შეზღუდვისა და მისი შინაარსის განსაზღვრისას როგორც კანონმდებელს, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებას არ შეუძლია ისეთი ნორმების თუ აქტების გამოცემა, რომლებიც კერძო საკუთრებას, როგორც ინსტიტუტს, საერთოდ საეჭვოს გახდის.

<sup>1</sup> № 2/1-7 1996 წლის 30 ოქტომბერი



ფოთის მერის განკარგულება კრძალავს ნავთობგადამტვირთავი ტერმინალის მშენებლობაში, დაპროექტებასა და ექსპლუატაციაში კერძო სტრუქტურების მონაწილეობას. მშენებარე ობიექტის სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, განკარგულების მიხედვით, მომავალში მშენებლობა მხოლოდ სახელმწიფო ორგანიზაციებს უნდა დაკისრებოდეს.

საკუთრების ქონებრივი გარანტიის (კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტი) დაცვის სფერო განსხვავდება საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი თავის დაცვის უფლებისაგან იმ თვალსაზრისით, რომ აქ პიროვნული უფლებების ადგილს იკავებს საკუთრების ქონებრივი გარანტია, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში ჩამორთმეული საკუთრებისათვის მესაკუთრეს უნდა აუნაზღაურდეს ჩამორთმეული საკუთრების ქონებრივი ღირებულება. ამასთან ერთად, საზოგადოებრივი საჭიროების განსაზღვრის ამოცანა მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქცია უნდა იყოს.

ფოთის მერიის განკარგულება ყოფილ დამფუძნებლებს ართმევს ქონებას და მის სანაცვლოდ ითვალისწინებს გაწეული ხარჯის უკლებლივ ანაზღაურებას, რაზეც მიღებული იყო საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თანხმობა (განკარგულების მესამე პუნქტი). აქ საქმე გვაქვს საკუთრების ქონებრივი გარანტიის დაცვის სფეროში ჩარევასთან.

### ბ) უფლების შეზღუდვა

ფოთის მერის 1996 წლის 9 აგვისტოს №452 განკარგულებით შეღაზული უფლებების დაცვის სფეროს შინაარსისა და ფარგლების დადგენის შემდგომ ეტაპზე უნდა დადგინდეს მეთოდოლოგიურად უფლების შეზღუდვის ფაქტი.

ამ შემთხვევაში საკუთრების უფლება მაშინ იქნებოდა შეზღუდული, თუ სახელმწიფო ნორმატიული აქტის საფუძველზე უშუალოდ და განზრახ უფლების შეზღუდვაზე იქნებოდა ორიენტირებული.

ფოთის მერის განკარგულება ზემოაღნიშნულ სამივე ელემენტს აკმაყოფილებს: იგი არის ნორმატიული აქტი. განკარგულებაში გაუმართლებელადაა მიჩნეული ნავთობგადამტვირთავი ტერმინალის დაპროექტებასა და მშენებლობაში არა კონკრეტულად შპს „კოლხის“, არამედ საერთოდ კერძო სტრუქტურების მონაწილეობა, რის გამოც, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილადაა მიჩნეული მშენებარე ნავთობგადამტვირთავი ტერმინალის აქციონერთა და დამფუძნებელთა ზეღაზალი აქციონირება-რეგისტრაცია, რათა მომავალში დამფუძნებელად მხოლოდ სახელმწიფო ორგანიზაციები და საწარმოები გამოსულიყვნენ.

ამასთან, განკარგულება უშუალოდ და განზრახ მესაკუთრის შეზღუდვაზეა ორიენტირებული. იგი უშუალოა იმდენად, რამდენადაც პირდაპირ, უშუალოდ ორიენტირებულია საზიანო შედეგზე და იგი სახელმწიფო მოქმედების გაშუალებულ შედეგს არ წარმოადგენს. განკარგულება ასევე განზრახი ხასიათის ჩანს, რადგან მის გამოცემამ სახელმწიფო ორგანოს გამიზნულად სურს მესაკუთრის შეზღუდვა.

### ბ) უფლების შეზღუდვის კონსტიტუციური ბაპარტილება

უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობის გარკვევის თვალსაზრისით, მეთოდოლოგიურად ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია უფლების შეზღუდვის კონსტიტუცი-

ური გამართლება. მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში, გასარკვევია მესაკუთრის შეზღუდვის კონსტიტუციური საფუძვლები.

კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტთან დაკავშირებით, მესაკუთრის შეზღუდვის ფორმალურ საფუძვლებს 21-ე მუხლის მეორე პუნქტი იძლევა, სადაც აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მესაკუთრის შეზღუდვა დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ე. ი. კონსტიტუციით მესაკუთრის შეზღუდვის ფორმალური საფუძველი კანონისმიერი დათქმაა. კანონიერი დათქმის მიხედვით, საკუთრებაში სახელმწიფოს ჩარევა იქნება ფორმალურად კონსტიტუციური, თუ იგი უშუალოდ კანონით არის გათვალისწინებული ან კანონის საფუძველზე სრულდება. ფოთის მერის ზემოაღნიშნული განკარგულება ამ ფორმალურ საფუძველს მოკლებულია და თავიდანვე არაკონსტიტუციურია. იგი ვერ მიუთითებს კონკრეტულ ნორმას, სადაც კანონმდებელი ნათვბგადამტვირთავი ტერმინალის მშენებლობაში, დაპროექტებასა და ექსპლუატაციაში კერძო სტრუქტურების მონაწილეობას საეჭვოს გახდიდა. ასეთი ნორმა რომც არსებულიყო, მაშინ თავად ამ ნორმის მატერიალური შინაარსით გაუმართაობა, ანუ კონსტიტუციასთან შეუსაბამობა იქნებოდა თვალსაჩინო, რადგან იგი ეჭვექემ დააყენებდა კერძო საკუთრების ინსტიტუტის არსებობას და, შესაბამისად, კერძო სამეწარმეო საქმიანობის თავისუფალ განხორციელებას.

კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტთან დაკავშირებით, მესაკუთრისათვის საკუთრების ჩამორთმევის ფორმალური საფუძველია კანონისმიერი დათქმა. მხოლოდ კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს, თუ რა წინაპირობების არსებობის შემთხვევაშია საკუთრების ჩამორთმევა მიზანშეწონილი. შესაბამისად, მხოლოდ საკანონმდებლო აქტში პოვებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება (კონსტიტუციის 21-ე მუხლი მესამე პუნქტი) კონკრეტულ ფაქტობრივ შემადგენლობას. ამის განსაზღვრის უფლებამოსილება არ შეიძლება ჰქონდეს სასამართლო ან აღმასრულებელ ხელისუფლებას. შესაბამისად, №452 განკარგულებით ქ. ფოთის მერი აშკარად გასცდა თავის კომპეტენციას, როდესაც მესაკუთრეს საკუთრება ჩამოართვა.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში<sup>1</sup> სადავო გახდა საქართველოს საბინაო კოდექსის 154-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის მიხედვით, განუსაზღვრელი ვადით დადებული საცხოვრებელი სახლის ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს მესაკუთრის მოთხოვნით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სადგომი პირადი სარგებლობისათვის სჭირდებათ თვით სახლის მესაკუთრეს და მისი ოჯახის წევრებს, და თუ მესაკუთრე სამი თვით ადრე გააფრთხილებს დამქირავებელს ხელშეკრულების მოშლის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში დამქირავებელი უნდა გამოასახლონ სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.

მოსარჩლე მოითხოვდა საქართველოს საბინაო კოდექსის 154-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობას. მისი აზრით, რადგანაც საქართველოს საბინაო კოდექსის 154-ე მუხლით მესაკუთრე ვერ განკარგავს თავის საკუთრებას, თუ არ დამტკიცდა, რომ მას თავისი საკუთრება სჭირდება, იურიდიული ნონსენსია და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.

<sup>1</sup> №2/31-5 1997 წლის 25 მარტი

## ა) დაცვის სფერო

გამჭირავებლის საკუთრების დაცვის სფეროს შინაარსისა და ფარგლების დადგენის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, აქვს თუ არა გამჭირავებელს აბსოლუტური უფლება მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება ნებისმიერ დროს, თუ აუცილებელია, რომ მან ამისათვის დაამტკიცოს გაჭირავებული საკუთრების პირადი სარგებლობისათვის გამოყენების საჭიროება და, ამასთან, ვალდებული იყოს სამი თვით ადრე გააფრთხილოს დამჭირავებელი ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის შესახებ, როგორც ამას საქართველოს საბინაო კოდექსის სადავო, 154-ე მუხლი ითვალისწინებდა.

საკუთრების ობიექტის ხასიათი განსაზღვრავს ზოგადად მისი შეზღუდვის მოცულობას და შინაარსს. აბსოლუტური უფლება შეიძლება მესაკუთრეს ჰქონდეს ისეთ ობიექტზე, რომელიც, როგორც სხვა პირის, ისე საზოგადოების ინტერესებს არ ეხება (მაგალითად, ტანისმაროსი საკუთრება).

რაც შეეხება საკუთრების ისეთ ობიექტს, რომელსაც ერთგვარი სოციალური ფუნქცია აქვს ან სხვის ინტერესს ეხება, კანონმდებლისაგან ყოველთვის ადეკვატურ შეზღუდვას ექვემდებარება. ქირავნობის ხელშეკრულების ობიექტია ისეთი საკუთრება, რომელიც ორი პირის – გამჭირავებლისა და დამჭირავებლის ინტერესებს ეხება. შესაბამისად გამჭირავებლის როგორც მესაკუთრის უფლება გარკვეულ შეზღუდვას ექვემდებარება და ამით მისი საკუთრების დაცვის სფერო განსაზღვრულ ფარგლებში იქცევა.

## ბ) უფლების შეზღუდვა

გამჭირავებლის საკუთრების უფლების შეზღუდვა მაშინ მოხდებოდა, თუ სახელმწიფო, ნორმატიული აქტის საფუძველზე, უშუალოდ და განზრახ, უფლების შეზღუდვაზე იქნებოდა ორიენტირებული.

საქართველოს საბინაო კოდექსის 154-ე მუხლი ნორმატიულია. იგი ზოგადად განსაზღვრავს მესაკუთრის მიერ განუსაზღვრელი ვადით დადებული საცხოვრებელი სახლის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის პირობებს. ამასთან, კანონმდებელს აღნიშნული მუხლით უშუალოდ ან განზრახ შეუძლია მესაკუთრის შეზღუდვა: უშუალოდ იმდენად, რამდენადაც გამჭირავებლის შეზღუდვა არ არის სახელმწიფო მოქმედების გაშუალებული შედეგი, ხოლო განზრახი იმდენად, რამდენადაც სახელმწიფოს გამიზნულად სურს მისი შეზღუდვა.

## გ) უფლების შეზღუდვის კონსტიტუციური ბამართლობა

მოცემულ შემთხვევაში მესაკუთრის (გამჭირავებლის) შეზღუდვის ფორმალურ საფუძველებს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი იძლევა, სადაც მესაკუთრის შეზღუდვა დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში და დადგენილი წესით. ამდენად, მესაკუთრის უფლებაში ჩარევა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ფორმალურად კონსტიტუციურია, რადგან იგი უშუალოდ არის კანონით გათვალისწინებული. რაც შეეხება თავად ამ ნორმის მატერიალურ მხარეს, ანუ მისი შინაარსის კონსტიტუციასთან შესაბამისობას, ეს საკითხი საბოლოოდ თანაზომიერების პრინციპზე დამოკიდებულია. აღნიშნული პრინციპი კრძალავს ადამიანის უფლებების ზომაზე მეტად შეზღუდვას. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მან უნდა გავცეცეს პასუხი კითხვაზე,

არის თუ არა გამჭირავებელი (მესაკუთრე) საბინაო კოდექსის 154-ე მუხლით ზომაზე მეტად შეზღუდული.

საქმის არსებითად განხილვისას, საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიამ სპეციალისტების არგუმენტაცია მოიხმინა. ერთერთი სპეციალისტის მოსაზრებით, საქართველოს საბინაო კოდექსის 154-ე მუხლი არის სოციალისტური იდეოლოგიის შედეგი, რომელიც სახელმწიფო ინტერესებს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებთან მიმართებაში წინა პლანზე აყენებდა. ამავე დროს, სადავო მუხლი მესაკუთრეს ზღუდავს უფლების სრულ რეალიზაციაში. მესაკუთრე ფაქტობრივად ვერ უზრუნველყოფს საკუთარი შეხედულებისამებრ საკუთრების სარგებლობასა და განკარგავს. სპეციალისტის აზრით, საქართველოს საბინაო კოდექსის 154-ე მუხლის მოთხოვნა, რომ მესაკუთრეს და მისი ოჯახის წევრებს პირადი სარგებლობისათვის საჭიროების შემთხვევაში აქვთ სადგომის სარგებლობისა და განკარგვის უფლება, არ უნდა იყოს უპირატესი პირობა მესაკუთრისათვის კონსტიტუციური უფლების უგულებელყოფისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საბინაო კოდექსის 154-ე მუხლი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს.

მეორე სპეციალისტის აზრით, არ არსებობს აბსოლუტურად თავისუფალი (შეუზღუდავი) სანივთო უფლება, ამ შემთხვევაში – საკუთრების უფლება. ყოველი მესაკუთრე მხოლოდ კანონისმიერი და სახელშეკრულებო შეზღუდვის ფარგლებშია თავისუფალი სარგებლობდეს და განკარგავდეს საკუთრების ობიექტს. სპეციალისტის აზრით, სოციალური ინტერესი გვაკვალდებულებს ზომიერად შევზღუდოთ საკუთრების უფლება. საქართველოს საბინაო კოდექსის 154-ე მუხლი ერთგვარად ზღუდავს მესაკუთრის უფლებებს სწორედ დამჭირავებელთა ინტერესების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, მეორე სპეციალისტის არგუმენტაციით, საქართველოს საბინაო კოდექსის 154-ე მუხლი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საბინაო კოდექსის 154-ე მუხლი არაკონსტიტუციურად ცნო. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ არგუმენტს, რომ საქართველოს საბინაო კოდექსის 154-ე მუხლი ზღუდავს მესაკუთრის უფლებებს, ვინაიდან მესაკუთრეს აქვს თავისი ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება. ამ შემთხვევაში კი იზღუდება მესაკუთრის განკარგვის უფლება, რადგან განკარგვა გულისხმობს მესაკუთრის მიერ თავისი ქონების ბედის გადაწყვეტას ყოველგვარი პირობის დათქმის გარეშე (საჭიროებისათვის თუ სხვა მიზნით).

ნათელია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საბინაო კოდექსის 154-ე მუხლის ინტერპრეტაციისას კონსტიტუციურ ფარგლებს გაცდა. კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტი საკუთრებითი ურთიერთობების ისეთ სამართლიან მოწესრიგებას უზრუნველყოფს, სადაც როგორც მესაკუთრის, ისე სხვისი ინტერესებიც თანაზომიერად იქნება გათვალისწინებული. ქირავნობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთრების მფლობელობისა და სარგებლობის უფლება არა მარტო მესაკუთრის დაცვის სფეროს განეკუთვნება, არამედ დამჭირავებლის ინტერესებსაც ეხება.

ადვილად შეიძლება იმის შემჩნევა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში იმ არგუმენტაციისკენ იხრებოდა, რომელიც საბინაო კოდექსის 154-ე მუხლს სოციალისტური იდეოლოგიის შედეგად თვლიდა: „კონკრეტულ შემთხ-

ვევაში საქმე არ გვაქვს აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებასთან, რადგან საქართველოს კონსტიტუცია უკვე აღარ ავალდებულებს სახელმწიფოს უზრუნველყოს მოქალაქენი საცხოვრებელი ბინით.“ ამით საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს გარკვეულ ვალდებულებას აკისრებს თითოეული მოქალაქის ღირსეული ცხოვრებისა და განვითარებისთვის აუცილებელი სოციალური პირობების შექმნის თვალსაზრისით (სოციალური სახელმწიფოს პრინციპი). გამჭირავებლის ბინის საკუთრების სოციალური შებოჭვა სწორედ იმ გარემოებას ემყარება, რომ იგი არ არის შეუზღუდავი და რომ ის ასევე დამჭირავებლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორიცაა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაქირავებული ბინების სოციალური ფუნქცია ჯეროვნად ვერ შეაფასა. აქედან წარმოიშვა იმის საშიშროება, რომ არამესაკუთრის ხარჯზე მოსამართლე მესაკუთრეს ცალმხრივად უპირატესობას მიანიჭებდა, რაც ფაქტობრივად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოხდა. ამის საპირისპიროდ უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობამ საბინაო კოდექსის 154-ე მუხლში გამჭირავებლისა და დამჭირავებლის ინტერესები თანაზომიერად აწონ-დაწონა და გამოხატა. იმისათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსაც მსგავსი გადაწყვეტილება მიეღო, ანუ საბინაო კოდექსის 154-ე მუხლში ეჭვი არ შეეტანა, მას კონსტიტუციის 21-ე მუხლის ინტერპრეტაციის დროს თანაბარი მნიშვნელობით უნდა გაეთვალისწინებინა, როგორც 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პიროვნების უფლების გარანტიის, ისე სოციალურად სამართლიანი საკუთრების მოთხოვნა (კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტი).

3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში<sup>1</sup> სადავო აღმოჩნდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე და 96-ე მუხლებში დამატებით სასჯელად ქონების კონფისკაციის არსებობის კონსტიტუციურობა. კერძოდ, კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად დაუშვებელია საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმება. საკუთრების შეზღუდვა კი დასაშვებია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. ქონების კონფისკაცია კი გულისხმობს მსჯავრდებულისა და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლების გაუქმებას ან შეზღუდვას, რაც არ არის გამოწვეული საზოგადოებრივი საჭიროებით და ამიტომ არ ზღვება მისი ანაზღაურება. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა დაედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე და 96-ე მუხლებში დამატებით სასჯელად ქონების კონფისკაციის არსებობის კონსტიტუციურობა.

ზემოთ, საკუთრების კონსტიტუციური უფლების დოგმატიკის გაცნობისას, წარმოჩნდა მეთოდოლოგიურად ადამიანის უფლებების დაცვის სფეროს დადგენის, მისი შეზღუდვისა და ამ შეზღუდვის კონსტიტუციური გამართლების ეტაპები. აღნიშნული მეთოდოლოგიით კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი, მნიშვნელობას იძენს საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი თავდაცვის უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით. რაც შეეხება საკუთრების ჩამორთმევას (და არა შეზღუდვას), კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტი მკაცრად განსაზღვრავს მის წინაპირობებს. ამდენად, აქ სწორედ მისი შინაარსის წარმოჩენაა მნიშვნელოვანი.

<sup>1</sup> №1/51 1997 წლის 21 ივლისი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ქონების კონფისკაციის არსებობა დამატებითი სასჯელის სახით არაკონსტიტუციურად მიიჩნია. მისი არგუმენტაცია ძალიან ზედაპირულია: „საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან გამომდინარე, საკუთრების უფლება წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებაა, საყოველთაოდ აღიარებული ძირითადი უფლება, დემოკრატიული საზოგადოების, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედი. საკუთრება ადამიანის ყოფიერების არსებითი საფუძველია... ქონების კონფისკაციის დაკანონება კი საკუთრების უფლების დაუცველობის გამოვლენაა. ამიტომ ქონების კონფისკაციის არსებობა დამატებითი სასჯელის სახით ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტს... იგი არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტით დადგენილ საკუთრების ჩამორთმევას, რომლისთვისაც ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს სათანადო ანაზღაურება.“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით კონფისკაციის ინსტიტუტი, საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტი და სასჯელის სახით საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტი ერთმანეთთან გააიგივა, რაც მიუღებელია. კონფისკაცია არის სახელმწიფოს მიერ საკუთრების ისეთი ჩამორთმევა, რომელიც მართლდება საკუთრების ანტისახელმწიფოებრივი და ანტისოციალური ხასიათიდან გამომდინარე, ანუ პოლიტიკური მოტივებით. იგი ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს. შესაბამისად, კონფისკაციის ინსტიტუტი შეუსაბამოა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოების კონსტიტუციებისთვის. როდესაც სისხლის სამართლის დოკმატიკა და, შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონფისკაციის საკითხს ეხება, ეს სინამდვილეში სასჯელის სახით საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტთან შეხებაა. კონფისკაცია საბჭოთა სამართლის სისტემაში დამკვიდრებული ტერმინია და აუცილებლად მოითხოვს სასჯელის სახით საკუთრების ჩამორთმევის ცნებით შეცვლას.

კონფისკაციისგან განსხვავებით, საკუთრების ჩამორთმევა (კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტი) შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესების საფუძველზე და არასდროს არ შეიძლება პოლიტიკური გადაწყვეტილების საგანი გახდეს. ამასთან, იგი ჩამორთმეული ქონებისთვის ყოველთვის ითვალისწინებს კომპენსაციას. სასჯელის სახით საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტი კი დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონებისა და დანაშაულის ჩადენის იარაღის უსასყიდლოდ ჩამორთმევას გულისხმობს.

ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლომ, მართალია, სწორად აღნიშნა თავის გადაწყვეტილებაში კონფისკაციის არადემოკრატიული ბუნება და მისი კონსტიტუციასთან შეუსაბამობა, მაგრამ სინამდვილეში სასჯელის სახით საკუთრების ჩამორთმევის კონსტიტუციურობა განიხილა და ამით დემოკრატიული ინსტიტუტის დემოკრატიულ სახელმწიფოში არსებობის მიზანშეწონილობაში ეჭვი შეიტანა.

თავად სასჯელის სახით საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტის კონსტიტუციურობის დადგენის მასშტაბად არ შეიძლება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტი მივიჩნიოთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ორი ინსტიტუტის ერთმანეთში არევა დაუშვებელია, შესაბამისად, სასჯელის სახით საკუთრების ჩამორთმევის საფუძველი არ შეიძლება იყოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტი. აღნიშნული

პუნქტი მხოლოდ კანონიერი საკუთრების ქონებრივ გარანტიას წარმოადგენს. რაც შეეხება დანაშაულებრივი გზით შეძენილ ქონებას და დანაშაულის ჩადენის იარაღს, ასეთ „საკუთრებას“ კონსტიტუცია არ იცავს.

ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საპირისპიროდ, სასჯელის სახით საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტის კონსტიტუციურობა არ უნდა იწვევედეს არავითარ ეჭვს. კონსტიტუციის საწინააღმდეგო შეიძლება იყოს მისი შინაარსი, ანუ მისი გავრცელების ფარგლები და მოცულობა (მაგალითად, რამდენად კონსტიტუციურია მისი გავრცელება მსჯავრდებულის მთელ ქონებაზე და სხვა).

ამავე გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთრების უფლების შეზღუდვა (კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტი) და საკუთრების ჩამორთმევა (კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტი) ერთ სიბრტყეზე დააყენა, რაც გაუმართლებელია. ამაში მიზეზი იყო არასწორად გაგებული საკუთრების სოციალური ფუნქცია. საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთრების სოციალური ფუნქცია საკუთრების უფლების ისეთ განხორციელებაში დაინახა, რომელმაც „არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები, ხოლო საკუთრებით სარგებლობა იმავდროულად უნდა ემსახურობდეს საერთო კეთილდღეობას.“ საკონსტიტუციო სასამართლომ იქვე დასძინა: „თუ ეს მოთხოვნები არ სრულდება ან არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სათანადო გარემოებანი, მაშინ საქართველოს კონსტიტუცია არ გამოიცხავს საკუთრების უფლების შეზღუდვას – თანახმად 21-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საკუთრების ჩამორთმევას – შესაბამისად 21-ე მუხლის მესამე პუნქტისა.“

უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრების კონსტიტუციური უფლების სოციალური ფუნქცია გამოძინარეობს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტში განმტკიცებული საზოგადოებრივი საჭიროების ცნებიდან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კი საკუთრების კონსტიტუციური უფლების სოციალურ ფუნქციას 21-ე მუხლის პირველ პუნქტში ზედაც და 21-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ საკუთრების შეზღუდვის შესაძლებლობას განიხილავს საკუთრების შეუზღუდავ უფლებაში ჩარევად. ასეთი გაგება ამახინჯებს საკუთრების სოციალურ ფუნქციას და ართმევს მას დამოუკიდებელ მნიშვნელობას. კანონმდებელი კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე საკუთრების ობიექტის სოციალური ფუნქციის ადეკვატურად განსაზღვრავს საკუთრების შინაარსსა და მოცულობას.

კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტისა და მესამე პუნქტების მნიშვნელობა საკონსტიტუციო სასამართლოს გათანაბრებული აქვს. საკუთრების უფლებასთან მიმართებაში ორივეს ნეგატიური ხასიათი აქვს.

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში<sup>1</sup> სადავო იყო „მეწარმეთა შესახებ“ 1994 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს კანონის 46-ე და 47-ე მუხლები. აღნიშნული მუხლების მიხედვით, მესაკუთრეები, ანუ პარტნიორები, რომლებმაც თავიანთი წილი შეიტანეს „მეწარმეთა შესახებ“ კანონით დადგენილი ერთ-ერთი სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციაში, ამ ორგანიზაციის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების შემდეგ უფლებას კარგავენ თავისი ნებით განკარგონ თავიანთი საკუთრება. საერთო საკუთრების განკარგვის ეს უფლება მთლიანად გადადის პარტ-

<sup>1</sup> №2/36-7 1998 წლის 29 იანვარი

ნიორთა საერთო კრების იურისდიქციაში, რომელიც ხმების უბრალო უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას ყველა საკითხზე.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე და 47-ე მუხლები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს. მისი აზრით, კონსტიტუციით და სანიეთო სამართლით აღიარებული საკუთრების ფლობისა და განკარგვის უფლება შესაკუთრეთა პრეროგატივაა და არა საერთო კრების გადასაწყვეტი.

### ა) დაცვის სფერო

პირველ რიგში, უნდა გარკვეულიყო არის თუ არა დაცული პარტნიორის საკუთრება კონსტიტუციის 21-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც შესაკუთრეს მინიჭებული აქვს თავისი ქონების თავისუფლად განკარგვის უფლება.

ამ საკითხთან დაკავშირებით საქმეზე სპეციალისტად მოწვეული მეცნიერების აზრით, „მეწარმეთა შესახებ“ კანონით დადგენილი სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციაში, ამ შემთხვევაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, კონსტიტუციის 21-ე მუხლის დაცვის სფეროა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის, და არა მეწილეების, როგორც ფიზიკური პირების, საკუთრება. კონსტიტუციის 21-ე მუხლი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, როგორც იურიდიულ პირს, სრულად ანიჭებს საკუთრების გასხვისების უფლებას და მის შეზღუდვას მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიიჩნევს დასაშვებად.

მას შემდეგ, რაც შპს-ის პარტნიორები საკუთარ ქონებას შპს-ის საწესდებო კაპიტალში შეიტანენ და ამით უფლებას კარგავენ თავისუფლად განკარგონ ეს ქონება, სპეციალისტები ასეთ შედეგს შემდეგი სახის არგუმენტაციით ამართლებენ: „კონსტიტუციის 21-ე მუხლის საფუძველზე შესაკუთრებებს უფლება აქვთ მინიჭებული თავიანთი ქონება თავისუფლად განკარგონ. განკარგვის ერთ-ერთი ფორმაა ამ საკუთრების გამოყენება კერძო სამართლის იურიდიული პირების დასაფუძნებლად, კერძოდ, მათ საკუთრებაში გადასაცემად... მას შემდეგ, რაც შპს-ის დამფუძნებლებმა ქონება გადასცეს შპს-ს, ამ ქონების შესაკუთრე არის შპს. როგორც შესაკუთრეზე, მასზე ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი... იურიდიული პირის ქონება იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის საკუთრებაა და არა მისი დამფუძნებლების ან მასში მონაწილეებისა.“

აღნიშნული არგუმენტაცია გაიზიარა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ. სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის მიხედვით, კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, იურიდიულ პირებზეც ვრცელდება. შპს, რომელიც ნებაყოფლობით ყალიბდება, თვითონ ზდება შეტანილი ქონების შესაკუთრე და მას ისევე იცავს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, როგორც ნებისმიერ ფიზიკურ პირს.

საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული პოზიცია გარკვეულ კითხვებს ბადებს: როგორ არის შპს-ის მეწილე, როგორც შესაკუთრე, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული? შპს-ს საკუთრების მეწილემ უნდა დაკარგოს თავისი საკუთრება იურიდიული პირის სასარგებლოდ?



მართლაც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია არ შეესაბამება ძირითადი უფლებების კლასიკურ ფუნქციას, რომლის მიხედვითაც, უწინარესად, დასაცავია ინდივიდის უფლებები. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლომ სიტყვიერად აღიარა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი შპს-ს მეწილის უფლებებსაც იცავს, მაგრამ ფაქტობრივად წინა პლანზე იურიდიული პირის საკუთრების უფლების დაცვა დააყენა. ეს ეწინააღმდეგება კერძო საკუთრების მნიშვნელობას, რომლის მიხედვითაც კერძო საკუთრების კონსტიტუციური უფლება უშუალოდ პირის თავისუფლებას უკავშირდება. საკუთრების კონსტიტუციური უფლების კლასიკური ფუნქციის მიხედვით, პირველ რიგში, ცალკეული მესაკუთრის ინტერესია დასაცავი, მათ შორის, როდესაც საქმე შპს-ის მეწილის საკუთრების უფლების დაცვასაც ეხება.

ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლოს შპს-ის მეწილის საკუთრება უნდა მოექცია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის დაცვის სფეროში, რომლის ძირითადი ფუნქცია და მიზანია კერძო მესაკუთრის დაცვა. საკონსტიტუციო სასამართლოს სამოტივაციო ნაწილში არგუმენტაციის საფუძველი უნდა ყოფილიყო შპს-ის მეწილის საკუთრების დაცვა კონსტიტუციის 21-ე მუხლის მიხედვით. იურიდიული პირის საკუთრების წინა პლანზე წამოწევა საეჭვოს ხდის შპს-ის მეწილის საკუთრების საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცვის შესაძლებლობას.

### ბ) უფლების ვიზუალიზაცია

შპს-ის მეწილის საკუთრების უფლების შეზღუდვა მაშინ მოხდებოდა, თუ სახელმწიფო ნორმატიული აქტის საფუძველზე უშუალოდ და განზრახ შეზღუდავდა მის კონსტიტუციურ უფლებას.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმატიული ხასიათი აქვს. იგი ზოგადად აღგენს 46-ე და 47-ე მუხლების მიხედვით იმ მესაკუთრების, ანუ პარტნიორების მიერ საკუთრების განკარგვის შესაძლებლობის შეზღუდვას, რომლებმაც თავიანთი წილი შეიტანეს შპს-ში. კერძოდ, მათი საკუთრების განკარგვის უფლება მთლიანად გადადის პარტნიორთა საერთო კრების იურისდიქციაში, რომელიც ხმების უბრალო უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას ყველა საკითხზე, ე.ი მეწილეს თავის ნებით არ შეუძლია განკარგოს თავისი საკუთრება, რომელიც მან შპს-ს გადასცა. ამისთვის მას ესაჭიროება პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის აღნიშნული მუხლებით კანონმდებელს უშუალოდ და განზრახ სურს მესაკუთრის შეზღუდვა. ამ შემთხვევაში შეზღუდვა უშუალოა იმიტომ, რომ შპს-ის მეწილის შეზღუდვა არ წარმოადგენს სახელმწიფო მოქმედების გაშუალებულ შედეგს, ხოლო განზრახვია, რადგან კანონმდებელს გამიზნულად სურს მისი შეზღუდვა.

### ბ) უფლების ვიზუალიზაციის კონსტიტუციური გამართლება

მესაკუთრის (შპს-ის მეწილის) შეზღუდვის ფორმალურ კონსტიტუციურ საფუძველებს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტი წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც, მესაკუთრის შეზღუდვა დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში და დადგენილი წესით. ე.ი. მეწილის (მესაკუთრის) უფლებაში ჩარევა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ფორმალურად კონსტიტუციურია, რადგანაც მას უშუალოდ კანონი,

კერძოდ კი, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს. ამდენად, მნიშვნელოვანია თავად ამ კანონის შინაარსის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა.

შპს-ის მეწილის (მესაკუთრის) საკუთრების შეზღუდვა მისი საკუთრების ობიექტის ადეკვატურია და თანაზომიერების პრინციპს შეესაბამება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, საკუთრების ობიექტის ხასიათიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იქნებოდა საკუთრების პიროვნული და სოციალური ფუნქციების გამოიყენა და ამ დიფერენციაციის საფუძველზე წილის საკუთრების თავისებულებების განსაზღვრა.

შპს-ში წილის საკუთრების თავისებურება ისაა, რომ იგი საზოგადოებრივ პარტნიორების მონაწილეობით განპირობებული საკუთრებაა. მესაკუთრეები, რომლებმაც თავიანთი წილი შეიტანეს შპს-ის ორგანიზაციაში, ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბების შემდეგ უფლებას კარგავენ თავისი ნებით განკარგონ თავიანთი საკუთრება. ეს უფლება პარტნიორთა საერთო კრების პეროგატივაა. თუ მეწილეები მოისურვებენ შპს-ის საწესდებო კაპიტალიდან შესატანის უკან დაბრუნებას, მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ, მოახდინონ ამ ცვლილებების რეგისტრაცია სასამართლოში და რეგისტრაციიდან 12 თვის გასვლის შემდეგ გაიტანონ ქონება. წესდებაში ცვლილებების შესატანად აუცილებელია პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

როგორც ჩანს, მეწილის უფლებამოსილება საკუთრების სარგებლობისა და განკარგვის საქმეში საგრძნობლად შეზღუდულია. ამ თვალსაზრისით, მეწილის საკუთრება მნიშვნელოვნად განსხვავდება ნივთზე საკუთრებისაგან, სადაც ნივთის სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილება უშუალოდ მესაკუთრის პეროგატივაა. საკუთრების ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე, აქ ვლინდება პირადი და სოციალური ფუნქციების დიფერენციაცია. მეწილის საკუთრებისთვის პირადი მომენტი თავიდანვე შეზღუდულია, რასაც ვერ ვიტყვით ნივთის საკუთრებაზე.

მეწილის საკუთრების სოციალური ფუნქცია პარტნიორთა ინტერესებითაა განპირობებული. აღნიშნული სოციალური ფუნქცია არ ნიშნავს იმას, რომ მეწილის საკუთრებამ ინდივიდუალური მნიშვნელობა დაკარგოს და მისი სუბსტანცია საზოგადოების საკუთრებაში გაიგივდეს, როგორც ეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტაციაშია. ისტორიულად და თანამედროვე გაგებითაც საკუთრება არის ელემენტარული ძირითადი უფლება, რომელიც პიროვნების თავისუფლებას უკავშირდება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შპს-ის მეწილის საკუთრების თანაზომიერი, კონსტიტუციის შესაბამისი შეზღუდვის აუცილებლობა თავად აღნიშნული საკუთრების თავისებურებაში, კერძოდ, ამ საკუთრების სოციალურ ფუნქციაში უნდა ენახა. ამის საპირისპიროდ საკონსტიტუციო სასამართლომ აღიარა, რომ შპს თვითონ ზდება შეტანილი ქონების მესაკუთრე და მას იცავს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი. იგი იქვე დასძენს, რომ იურიდიული პირის ქონება იურიდიული პირის როგორც სამართლის სუბიექტის საკუთრებაა და არა მისი დამფუძნებლების ან მასში მონაწილეებისა.

შპს-ის მეწილის საკუთრება კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტითაა დაცული. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო 46-ე და 47-ე მუხლებზე

ბი მესაკუთრეს ზღუდავს კონსტიტუციის შესაბამისად, კერძოდ, ეს შეზღუდვა საკუთრების ობიექტის, მისი სოციალური ფუნქციის ადეკვატურია. ამასთან, მეწილის შპს-ის საწესდებო კაპიტალიდან შესატანის უკან დაბრუნების უფლებამოსილება თანაზომიერად არის უზრუნველყოფილი.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში<sup>1</sup> სადავო გახდა „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „წინანდლის“ – საქართველოს ღვინის საგანძურის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების მეორე პუნქტის პირველი წინადადებისა და – „ბორჯომ–ლიკანის სახელმწიფო რეზიდენციის, ვარციხისა და ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენციების, ალექსანდრე ჭავჭავაძის სასახლის და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობა–ნაგებობების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მესამე პუნქტებთან დაკავშირებით.

პირველი სადავო ნორმით სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის სახაზინო საწარმო „წინანდლის“ ბაზაზე შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „წინანდალი“ – საქართველოს ღვინის საგანძური. მეორე სადავო ნორმის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლად გამოცხადდა კულტურის ძეგლად აღრიცხული ალექსანდრე ჭავჭავაძის პარკისა და სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სამთავრობო რეზიდენციის შენობა–ნაგებობანი და ღვინის ქარხანა.

ორივე სადავო ნორმით, მოსარჩელების აზრით, მათ გაუუქმდათ შეძენილ აქციებზე საკუთრების უფლება. ისინი მიიჩნევენ, რომ აქციებზე მათი საკუთრების უფლების გაუქმების მოთხოვნა უშუალოდ სადავო ბრძანებულებებიდან გამომდინარეობს, რადგან სახაზინო საწარმო, რომლის შექმნასაც ბრძანებულება ითვალისწინებს, ვერ შეიქმნებოდა სააქციო საზოგადოების გაუქმების გარეშე. სახაზინო საწარმო მთლიანად (100%-ით) სახელმწიფო საკუთრებაა.

#### ა) დაცვის სფერო

პრეზიდენტის ბრძანებულებათა კონსტიტუციურობის გარკვევის მიზნით, უწინარესად, დასადგენი იყო ბრძანებულებებით შეღავათი უფლების დაცვის სფეროს შინაარსი და ფარგლები. პრეზიდენტის ბრძანებულება ლახავს შპს „წინანდლის“ საკუთრების უფლებას, რომლის მიხედვითაც, ალექსანდრე ჭავჭავაძის პარკისა და სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სამთავრობო რეზიდენციის შენობა–ნაგებობანი და ღვინის ქარხანა (შპს „წინანდალი“), რომელიც კერძო საკუთრება იყო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლად გამოცხადდა, შესაბამისად, მისი პირადი სარგებლობისთვის გამოყენება მნიშვნელოვნად შეიზღუდა.

საკუთრების კონსტიტუციური გარანტია იცავს მესაკუთრის უფლებას საკუთრების თავისუფალ სარგებლობასა და განკარგვაზე. ამ შემთხვევაში შპს „წინანდლის“ საკუთრების თავისუფალი სარგებლობის შესაძლებლობებიც საკუთრების კონსტიტუციური უფლების (21-ე მუხლის პირველი პუნქტი) დაცვის სფეროს განეკუთვნება.

<sup>1</sup> №2/85/1 1999 წლის 21 დეკემბერი

ბ) უფლების ვიზუალიზაცია

უფლების შეზღუდვის კლასიკური ცნების მიხედვით, სახელმწიფო ნორმატიული აქტის საფუძველზე უშუალოდ ან განზრახ უნდა იყოს კონკრეტული უფლების შეზღუდვაზე ორიენტირებული.

პრეზიდენტის ბრძანებულება აღნიშნულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ბ) უფლების ვიზუალიზაციის კონსტიტუციური გამართლება

საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა დაედგინა, შეიძლება თუ არა ღვინის ქარხნის შენობის განსაკუთრებულ დაცვაში მოქცევა. საკონსტიტუციო სასამართლომ ბრძანებულების კონსტიტუციურობა და, შესაბამისად, ღვინის ქარხნის შენობის დაცვის აუცილებლობაც აღიარა. სამოტივაციო ნაწილში მან საქართველოს საკონსტიტუციო კოდექსის 150-ე მუხლზე მითითა, რომლის მიხედვითაც, შენობა მიწის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მასთან ერთად ერთ სამართლებრივ რეჟიმს ექვემდებარება. ამ ნორმის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ საწარმოს შენობის, როგორც „ისტორიული ძეგლის“, განსაკუთრებული დაცვა მიწის განსაკუთრებული სტატუსიდან გამომდინარე დაასაბუთა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ბრძანებულების ფორმალური კონსტიტუციურობის, ანუ მისი კანონიერი საფუძვლების საკითხის გარკვევით შემოიფარგლა. რაც შეეხება თავად ამ საფუძვლების მატერიალურ სისწორეს, იგი ყურადღების მიღმა დატოვა. თანაზომიერების პრინციპის, როგორც კონსტიტუციური კონტროლის, მნიშვნელობა სწორედ აღნიშნული მატერიალური სისწორის დადგენაში მდგომარეობს. მან უნდა უზრუნველყოს ნორმატიული აქტის შინაარსის კონსტიტუციურობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჯერ პრეზიდენტის ბრძანებულებით შეზღუდული ღვინის ქარხნის მესაკუთრის დაცვის სფერო და აღნიშნული უფლების შეზღუდვის ფაქტი უნდა დაედგინა, შემდეგ კი, ამ შეზღუდვის კონსტიტუციური გამართლების დასასაბუთებლად, თანაზომიერების პრინციპით უნდა ეხელმძღვანელა. თანაზომიერების პრინციპით მას უნდა დაედგინა უფლები; შეზღუდვის კანონისმიერი საფუძვლების შინაარსის კონსტიტუციურობა, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბრძანებულების სამართლიანობა.

ამ თვალსაზრისით, თანაზომიერების პრინციპის პირველი ელემენტის – დასაშვებობის მოთხოვნის საფუძველზე, უწინარესად, გასარკვევი იქნებოდა საკითხი იმის შესახებ, იყო თუ არა ბრძანებულება მიზნის მისაღწევად დასაშვები საშუალება. ამ შემთხვევაში ბრძანებულება ზღუდავდა მეწარმის თავისუფლებას ისტორიული ძეგლის დაცვისა და ამ ძეგლის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, შენარჩუნების მიზნით. მეორე საფეხურზე უნდა გაერკვია საკონსტიტუციო სასამართლოს საშუალების, ე. ი. ბრძანებულების აუცილებლობის საკითხი. მიზნის განხორციელების თვალსაზრისით, ბრძანებულება აუცილებელი საშუალება იქნებოდა იმდენად, რამდენადაც ამ მიზნის მისაღწევად ნორმატიული აქტის სახით არ იარსებებდა სხვა ალტერნატივა, რომელიც მეწარმეს უფრო ნაკლები ინტენსიურობით შეზღუდავდა. მეწარმის უფლების შეზღუდვის კონსტიტუციური გამართლებისათვის თანაზომიერების პრინციპის სტრუქტურული ელემენტების საბოლოო საფეხურზე საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა გაერკვია კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციული

დამოკიდებულების საკითხი. ამ შემთხვევაში კერძო ინტერესს საკუთრების უფლება, ხოლო საჯარო ინტერესს ისტორიული ძეგლის დაცვა წარმოადგენდა. კონკრეტული სიტუაციის საფუძველზე სასამართლოს უნდა მოეხდინა აღნიშნული ინტერესების შეფასება, მათი შეპირისპირება, კერძოდ, მესაკუთრის შეზღუდვის მოცულობა მას ისტორიული ძეგლის კულტურული ღირებულებიდან გამომდინარე უნდა განესაზღვრა და არა მიწის განსაკუთრებული სტატუსის მიხედვით. საკითხის ასეთი სახით დასმით შესაძლოა ღვინის ქარხნის ისტორიულ ძეგლად აღიარებაც სადავო გამხდარიყო. ეს კი ბრძანებულების კონსტიტუციურობას გახდიდა სადავოს. თუ საკონსტიტუციო სასამართლო ღვინის ქარხნის კულტურულ ღირებულებას დაასაბუთებდა, მაშინ ღვინის ქარხნის მესაკუთრის შეზღუდვის მოცულობა თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე კერძო (მესაკუთრე) და საჯარო (ისტორიული ძეგლის კულტურული ღირებულება) ინტერესების თანაზომიერ შეფარდებაზე იქნებოდა დამოკიდებული.

მუხლი 22.

„1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.

2. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

3. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით“.

1. დაცული სფერო

თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება ერთ-ერთ ძირითად უფლებას განეკუთვნება. საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლი უზრუნველყოფს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პირთა თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლებას. ამ მუხლის მიხედვით:

„1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.

2. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

3. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.“<sup>1</sup>

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლი იცავს პირის უფლებას სახელმწიფოს კონტროლისა და ნებართვის გარეშე თავისუფლად გადაადგილდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და თავისუფლად აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი.

კონსტიტუციის 22-ე მუხლის 1-ელი პუნქტი აწესრიგებს სახელმწიფოში კანონიერად მყოფი პირების გადაადგილების თავისუფლებას სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში, მაშინ როდესაც ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ეხება სახელმწიფოდან გასვლასა და სახელმწიფოში შემოსვლას.

საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება ვრცელდება ნებისმიერ პირზე და არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე, რაც დასტურდება ტერმინით „ყველა“, რომელიც გამოყ-

<sup>1</sup> თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება გათვალისწინებულია არა მარტო საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით, არამედ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ადამიანის უფლებათა სფეროში (მაგ., საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მე-12 მუხლი) და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 ოქმი (მე-2 მუხლი; მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი)), რომლის მიზანწილცაა საქართველო.

ენებულება აღნიშნულ მუხლში. ამდენად, თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება უზრუნველყოფილია ნებისმიერი პირისათვის, მისი მოქალაქობრივი სტატუსის მიუხედავად. კონსტიტუციიდან გამომდინარე, იკრძალება რაიმე განსხვავებული რეჟიმის დადგენა მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებს შორის, ამ უფლებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება გამოიყენება ნებისმიერი პირის მიმართ მოქალაქობრივი სტატუსის მიუხედავად, კონსტიტუცია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ეს უფლება ვრცელდება იმ პირებზე, „ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში“. ამ მითითებით, ცხადია, გამოირიცხებიან ის პირები, რომლებიც უკანონოდ იმყოფებიან საქართველოში (მაგ.: პირები, რომლებმაც უკანონოდ გადმოკვეთეს საქართველოს საზღვარი ან პირები, რომლებიც, მართალია, კანონიერად შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ ამოიწურა მათი საქართველოში კანონიერად ყოფნის ვადა).<sup>1</sup> ამდენად, საქართველოში უკანონოდ მყოფი პირებისათვის არ არის უზრუნველყოფილი კონსტიტუციით განმტკიცებული თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება. საყურადღებოა, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებული ფორმულირება („ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში“) ეხება უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებს, რადგან საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება უკანონოდ იმყოფებოდეს საქართველოს ტერიტორიაზე.

კონსტიტუციის 22-ე მუხლით დაცულია როგორც პირის უფლება – სახელმწიფოს ნებართვის გარეშე დატოვოს თავისი საცხოვრებელი ადგილი და მუდმივ საცხოვრებლად სხვა ადგილი აირჩიოს, ისე დროებით საცხოვრებლად სხვა ადგილას გადავიდეს (მაგ., აგარაკზე). ცხადია, რომ პირს შეიძლება რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი ჰქონდეს.

კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი უზრუნველყოფს საქართველოში კანონიერად მყოფი ყველა პირისათვის ქვეყნის დატოვების უფლებას. ეს უფლება ვრცელდება როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ისე სხვა სახელმწიფოს მფარველობაში მყოფ ნებისმიერ პირზე. საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საქართველოდან თავისუფალი გასვლის უფლება არ ნიშნავს, რომ მას ყოველთვის აქვს უფლება შევიდეს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. საქართველოს მოქალაქეს, რომელმაც დატოვა საქართველოს ტერიტორია, შეიძლება არ მიეცეს სხვა სახელმწიფოში შესვლის უფლება.

საქართველოს კონსტიტუციის მსგავსად, კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ ადგენს, რომ „საქართველოს მოქალაქეს აქვს საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის უფლება.“<sup>2</sup> ამავე კანონის მე-16 მუხლი ითვალისწინებს, რომ „საქართველოს მოქალაქეს ნებისმიერ დროს უფლება აქვს შემოვიდეს საქართველოში, რისთვისაც ნებართვა არ სჭირდება“. ამ დებულების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს არ შეიძლება უარი ეთქვას საქართველოში შემოსვლაზე.

<sup>1</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის საქმე – *მარამატარი ვერმანის წინააღმდეგ (Paramathan v. Germany)*, N12068/86, 51DR 240.

1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტი.

საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, საქართველოში თავისუფლად შემოსვლის უფლება უზრუნველყოფილია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთათვის. შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებზე არ ვრცელდება იმის გარანტია, რომ ისინი თავისუფლად შემოვლენ საქართველოში.

უცხოელების მიმართ საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის დებულებები დაზუსტებულია კანონში „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ (1993 წლის 3 ივნისი), რომელიც უცხოელად მიიჩნევს უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს და საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს. კანონი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში უცხოელთა სამართლებრივ სტატუსს, უფლებებსა და მოვალეობებს, ადგენს, რომ უცხოელები საქართველოში თანასწორი არიან კანონის წინაშე წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასის, ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, საქმიანობის სფეროს და სხვა გარემოებების მიუხედავად.<sup>1</sup>

საქართველოს კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც აისახა მის 22-ე მუხლში, ზემოაღნიშნული კანონის მე-18 მუხლი ითვალისწინებს, რომ უცხოელები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სარგებლობენ საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებით. ამასთან, კანონი ითვალისწინებს, რომ „უცხოელთა მიმოსვლა და მათ მიერ საცხოვრებელი ადგილის არჩევა საქართველოში შეიძლება შეიზღუდოს, როცა ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობის, საქართველოს მოქალაქეთა და სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად.“<sup>2</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კონსტიტუციის 22-ე მუხლით დაცული უფლებების დარღვევისათვის. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, საქართველოში კანონიერად მყოფი ათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის ან საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლების, აგრეთვე საქართველოს მოქალაქისათვის საქართველოში თავისუფლად შემოსვლის უფლების განხორციელებაში უკანონოდ ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან კამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.<sup>3</sup> იგივე ქმდება, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.<sup>4</sup>

<sup>1</sup> მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>2</sup> მე-18 მუხლი.

<sup>3</sup> იხ. კოდექსის 152-ე მუხლი.

<sup>4</sup> იხ. კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 პუნქტი.



## II. დაცულ სფეროში ჩარევა

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ გარკვეულ გარემოებებში სახელმწიფო შეიძლება ჩაერიოს პირთა თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლებით სარგებლობაში, ანუ სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს ამ მუხლით გათვალისწინებული უფლება. ასეთი ჩარევა ნიშნავს, რომ სახელმწიფო საერთოდ უკრძალავს ან ზღუდავს პირის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლებით სარგებლობას.

22-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვის მაგალითია სახელმწიფო ორგანოების მიერ ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც პირს ხელს უშლის ან საერთოდ უკრძალავს თავისუფლად იმობრაოს საქართველოს ტერიტორიაზე ან თავისუფლად აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი. ამ უფლების შეზღუდვა შეიძლება გამოიხატოს პირისათვის ისეთი მოთხოვნის დაწესებით, რომელიც მას ავალდებულებს წინასწარ შეატყობინოს თავისი გადაადგილების შესახებ. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლების შეზღუდვის მაგალითია ის, რომ პირმა მიიღოს სახელმწიფოსაგან ნებართვა, რომლის გარეშეც მას არა აქვს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის უფლება.

## III. დაცულ სფეროში ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბაზარქმება

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი *თავისუფლებას რომ შეიძლება შეიზღუდოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება. ამ დებულებით პარლამარი დადგენილია ის პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც მართლსაწიერი იქნება პირთა თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლების შეზღუდვა. კერძოდ, მე-3 პუნქტი ადგენს:*

*„ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, ღონისძიებული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი საბუნებისურობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის და მშენებლის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.“*

კონსტიტუციის აღნიშნული დებულებიდან გამომდინარეობს, რომ *ღონისძიებული მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლებას შეზღუდვამ უნდა დააკმაყოფილოს სამი მოთხოვნა, რათა მართლზომიერად ჩაითვალოს ამ დებულების მიხედვით, შეზღუდვა უნდა:*

- ა) იყოს კანონის შესაბამისად;
- ბ) ემსახურებოდეს კანონიერი მიზნის მიღწევას (მაგ., სახელმწიფო უსაფრთხოება).

<sup>1</sup> ამ უფლების შეზღუდვის 3 პირობა გათვალისწინებულია საკრძოროს პიქსი პირისა და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მე-12 მუხლი) და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი). ევროპულ კონვენციასთან დაკავშირებით იხ. D. Harris, M. O'Byrne & C. Mackenzie, *Law of the European Convention on Human Rights*, 1995, 560-561.

ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით); და

გ) იყოს აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის.

აქედან გამომდინარე, თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლების ნებისმიერმა შეზღუდვამ უნდა დააკმაყოფილოს კონსტიტუციით გათვალისწინებული სამი მოთხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა შეზღუდვა არ იქნება მართლზომიერი.

კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირველ მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით შეზღუდვა უნდა იყოს კანონის შესაბამისად, ანუ კანონით გათვალისწინებული, აღსანიშნავია შემდეგი: საქართველოს რამდენიმე კანონი ადგენს მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას.

კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ადგენს უცხოელთა როგორც საქართველოში შემოსვლის, ისე საქართველოდან გასვლის საკითხებს. კანონის მიხედვით, უცხოელ მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირს საქართველოდან გასვლა ეკრძალება:

ა) თუ მისი გასვლა ეწინააღმდეგება სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებს – ამ გარემოებათა მოქმედების შეწყვეტამდე;

ბ) თუ იგი ეჭვმიტანილია ან ბრალდებულია დანაშაულის ჩადენაში – მის მიმართ საქმის წარმოების შეტყვევამდე;

გ) თუ გასამართლებულია დანაშაულისათვის – სასჯელის მოხდამდე ან სასჯელისაგან გათავისუფლებამდე;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.<sup>1</sup>

კანონი ასევე ადგენს, რომ შეიძლება უცხოელი მოქალაქის და მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გასვლის გადაადება, სანამ მოიხდის სამოქალაქო-სამართლებრივ ვალდებულებებს.<sup>2</sup>

კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ასევე ადგენს, რომ უცხოელებს საქართველოდან გასვლაზე უარი შეუძლიათ გაასაჩივრონ 10 დღის ვადაში სასამართლო წესით.<sup>3</sup>

საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეთა საქართველოდან დროებითი გასვლის უფლების შეზღუდვის საფუძველს. კანონის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოდან დროებითი გასვლაზე იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე;

ბ) არ მოუხდია სასამართლოს განაჩენით გათვალისწინებული სასჯელი;

გ) მის მიმართ აღძრულია სამოქალაქო სარჩელი;

დ) შესრულებული აქვს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულება;

ე) წარმოადგენს ყალბ ან ძალის არმქონე საბუთებს;

<sup>1</sup> 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>2</sup> 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>3</sup> 26-ე მუხლი.

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.<sup>1</sup>

მიმოსვლის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“<sup>2</sup> და „საომარი მდგომარეობის შესახებ“<sup>3</sup> კანონების თანახმად. კანონით „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საგანგებო მდგომარეობა ცხადდება ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა თუ შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს, სტიქიურ უბედურებათა, დიდი ავარიების, ეპიზოტების ან სხვა შემთხვევებში.<sup>4</sup> სხვა უფლებებთან ერთად, რომლებიც შეიძლება შეიზღუდოს საგანგებო მდგომარეობის დროს, კანონი ითვალისწინებს კონსტიტუციის 22-ე მუხლით განმტკიცებული უფლებების შეზღუდვას. ეკრძოდ, კანონის მე-4 მუხლი ადგენს, რომ საგანგებო მდგომარეობის დროს, კონკრეტულ გარემოებათა შესაბამისად, შეიძლება დროებით გაასახლონ მოქალაქეები საცხოვრებლად საშიში რაიონებიდან, ამასთან, აუცილებლად მისცენ სტაციონარული ან სხვა საცხოვრებელი სადგომები („ბ“ პუნქტი); საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ადგილებში შემოიღონ მოქალაქეთა შესვლისა და გასვლის განსაკუთრებული რეჟიმი („გ“ პუნქტი); აუცილებლობის შემთხვევაში შეუზღუდონ მოქალაქეებსა და მოქალაქეების არმქონე პირებს თავისუფალი გადაადგილების უფლება, აუკრძალონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ადგილსამყოფელის დატოვება სათანადო ნებართვის გარეშე, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევნი, რომლებიც არ არიან მოცემული ადგილის მცხოვრებნი, გააძეონ საკუთარი ზარჯით თავიანთ მუდმივ ადგილსამყოფელში ან საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ფარგლებს გარეთ („დ“ პუნქტი).

თავისუფალი მიმოსვლის უფლების შეზღუდვის მსგავს ღონისძიებებს ითვალისწინებს კანონი „საომარი მდგომარეობის შესახებ“. კანონის მიხედვით, საომარი მდგომარეობის გამოცხადება მიზნად ისახავს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას.<sup>5</sup>

რაც შეეხება მეორე მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც თავისუფალი მიმოსვლის უფლების შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, აღსანიშნავია შემდეგი: საქართველოს კონსტიტუცია კონკრეტულად ადგენს იმ მიზნებს, რომელთა მისაღწევადაც შეიძლება შეიზღუდოს თავისუფალი მიმოსვლის უფლება. ეს იმას ნიშნავს, რომ არც ერთი სხვა მიზეზით არ შეიძლება ამ უფლების შეზღუდვა (მაგ., ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა, ზნეობის დაცვა). კანონიერი მიზეზები, რომელთა მისაღწევადაც შეიძლება შეიზღუდოს კონსტიტუციის 22-ე მუხლით დაცული უფლებები, შეზღუდვითად უნდა განიმარტოს.

კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, რომელიც ითვალ-

<sup>1</sup> მე-10 მუხლი.

<sup>2</sup> 1997 წლის 17 ოქტომბერი.

<sup>3</sup> 1997 წლის 31 ოქტომბერი.

<sup>4</sup> 1-ელი მუხლი.

<sup>5</sup> 1-ელი მუხლი.

ისწინებს თავისუფალი მიმოსვლის უფლების შეზღუდვას, ადგენს, რომ კონსტიტუციით განმტკიცებული მიზნების მისაღწევად შეიძლება შეიზღუდოს ეს უფლება. შესაბამისად, ეს კანონი განსაზღვრავს თავისუფალი მიმოსვლის უფლების შეზღუდვას ისეთი მიზნების მისაღწევად, რომელთაც საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი პირდაპირ ითვალისწინებს (მაგ., სახელმწიფო უშიშროების დაცვა, მართლმსაჯულების განხორციელება).

„საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ და „საომარი მდგომარეობის შესახებ“ კანონები ასევე ადგენს იმ მიზნებს, რომელთა მიღწევის გამო შეიძლება შეიზღუდოს მიმოსვლის თავისუფლება. ამ კანონებით განსაზღვრული მიზნები ასევე შეესაბამება კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მიზნებს, რომელთა გამოც შეიძლება შეიზღუდოს თავისუფალი მიმოსვლის უფლება.

რაც შეეხება მესამე მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც თავისუფალი მიმოსვლის უფლების შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის, იგი ადგენს, რომ ამ უფლების შეზღუდვისაკენ მიმართული ღონისძიება უნდა იყოს ამ უფლების შეზღუდვით დასახული ერთ-ერთი კანონიერი მიზნის მიღწევის პრობორციული. სხვა სიტყვებით, თავისუფალი მიმოსვლის უფლება არ შეიძლება შეიზღუდოს იმაზე მეტად, ვიდრე ეს არის აბსოლუტურად აუცილებელი უფრო დიდი სიკეთის დაცვისათვის. თუ თავისუფალი მიმოსვლის უფლება იზღუდება იმაზე მეტად, ვიდრე ამას სხვა პირთა უფლებების დაცვა მოითხოვს, ასეთი შეზღუდვა არამართლზომიერად უნდა იქნეს მიჩნეული.

აღსანიშნავია, რომ „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ და „საომარი მდგომარეობის შესახებ“ კანონები პირდაპირ ითვალისწინებს თანაზომიერების პრინციპს. „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებებს, რომლებიც ზღუდავს ადამიანის უფლებებს, მიუთითებს, რომ საგანგებო მდგომარეობისას სახელმწიფოს შეუძლია განახორციელოს ადამიანის უფლებების შეზღუდვისაკენ მიმართული ღონისძიებები „კონკრეტულ გარემოებათა შესაბამისად“. ამავე მუხლის „დ“ პუნქტი, რომელიც ეხება მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ასევე სათანადო ნებართვის გარეშე თავიანთი საცხოვრებელი ადგილის ან სხვა მფლობელობის დატოვების აკრძალვას, მიუთითებს, რომ ასეთი შეზღუდვა განხორციელდება „აუცილებლობის შემთხვევაში“. ამ დებულებათა ასეთი ფორმულირებიდან გამომდინარეობს ის, რომ თავისუფალი მიმოსვლის უფლება შეიზღუდება არა ყველა შემთხვევაში, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელი იქნება და მხოლოდ იმ ხარისხით, რაც განპირობებულია მდგომარეობის სიმწვავეთ. ანალოგიური დებულებებია გათვალისწინებული „საომარი მდგომარეობის შესახებ“ კანონით.<sup>1</sup>

სახელმწიფომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეადაროს, აწონ-დაწონოს ის უფლებები და ინტერესები, რომლებიც კონკრეტულ გარემოებაში ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ასეთი შედარების (აწონ-დაწონის) საფუძველზე სახელმწიფომ უნდა დაადგინოს კონკრეტულ გარემოებაში რომელი მხარის უფლებები და ინტერესები იმსახურებს უფრო მეტად დაცვას.

საქართველოში კანონიერად მყოფი პირების თავისუფალი მიმოსვლისა და საცხ-

<sup>1</sup> მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

ოვრებული ადგილის თავისუფალი არჩევის უფლებას ასევე უზრუნველყოფს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ“.<sup>1</sup> კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა შესახებ მონაცემების დადგენის, აგრეთვე მოქალაქეთა უფლებების და მოვალეობების განხორციელების მიზნით დაწესებულია საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაცია.“<sup>2</sup>

კანონის მიხედვით, საქართველოს მოქალაქე და საქართველოში მცხოვრები უცხოელი ვალდებული არიან გაიარონ რეგისტრაცია თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ მათ აქვთ რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის – ერთ-ერთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.<sup>3</sup> საქართველოში მცხოვრებ პირთა რეგისტრაციას ახორციელებენ შინაგან საქმეთა ორგანოები.<sup>4</sup> რეგისტრაციის შედეგად საქართველოს მოქალაქე იღებს პირადობის მოწმობას, ხოლო უცხოელი – ბინადრობის მოწმობას.<sup>5</sup>

კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ“ სრულად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლს, რადგან რეგისტრაცია არის არა სანებართვო სისტემა (განსხვავებით ე.წ. ჩაწერის სისტემისაგან), არამედ რეჟიმი, რომლის დროსაც პირი დამოუკიდებლად ირჩევს საცხოვრებელს, რის შესახებაც მოგვიანებით ატყობინებს სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს და მიუთითებს თავის ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილს.

<sup>1</sup> 1996 წლის 27 ივნისი.

<sup>2</sup> 1-ელი პუნქტი.

<sup>3</sup> მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტი.

<sup>4</sup> მე-7 მუხლი.

<sup>5</sup> მე-11 მუხლი.

**მუხლი 23.**

*„1. ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია.*

*2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.*

*3. შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.“*

**I. შესავალი**

ბევრი დემოკრატიული სახელმწიფოსაგან განსხვავებით, რომელთა კონსტიტუციები ხელოვნების თავისუფლებაზე კონკრეტულ მითითებას არ შეიცავს, საქართველოს კონსტიტუცია ცალკე გამოყოფს ამ ძირითად უფლებას და 23-ე მუხლით აღიარებს მას. აღნიშნული მუხლის გაცნობისას, უპირველეს ყოვლისა, შესაძრწევია ერთი გარემოება: ტექსტში ვერ ვხვდებით სიტყვას „ხელოვნება“. პირველი პუნქტის მიხედვით, უზრუნველყოფილია „ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება“. მიუხედავად ამისა, უმჯობესი და მოსახერხებელი იქნება (ძირითადად) გამოვიყენოთ ტერმინი „ხელოვნების თავისუფლება“ (ან „ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლება“). მით უმეტეს, რომ მე-2 პუნქტში უკვე სხვა ტერმინებია მოცემული – „შემოქმედებით პროცესი“ და „შემოქმედებითი საქმიანობა“. „ხელოვნების თავისუფლება“ სრულად ასახავს და მოიცავს სამივე ზემოხსენებული ტერმინის და, შესაბამისად, მთლიანად 23-ე მუხლის შინაარსს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ თავისუფლების ძირითადი უფლებები ადამიანისათვის უზრუნველყოფს საქმიანობის და მოქმედების თავისუფალ სფეროს, რომელშიც სახელმწიფო საერთოდ ვერ ერევა ან ერევა მხოლოდ სპეციალური დასაბუთებით: (კანონის საფუძველზე), ცხადი გახდება, რომ ხელოვნების თავისუფლება, ისევე როგორც ძირითადი უფლებების უმეტესობა, სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნება.

კონსტიტუციის 23-ე მუხლის შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ ხელოვნების თავისუფლება უზრუნველყოფილია არა მარტო საქართველოს მოქალაქის, არამედ ყველა ადამიანისათვის და, შესაბამისად, წარმოადგენს არა „სამოქალაქო“, არამედ „ადამიანის უფლებას“.

**II. დაცული სფერო**

ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია – 23-ე მუხლით აღიარებული ეს ძირითადი უფლება შესაძრწებელია ასეც გადმოცეით: „ხელოვნება თავისუფლია“. დაუშვებელია, რომ თავისუფლების ეს გარანტია შეიზღუდოს ისეთი დეფინიციით, რომელიც განსხვავებულად აფასებს გამოსახვის რამდენიმე ფორმას და მხოლოდ ზოგიერთს აღიარებს „ხელოვნებად“. „ხელოვნების“ ცნება არ შემოიფარგლება რომელიმე კონკრეტული, განსაზღვრული დონით ან რამე „ვიზიუალური“ თუ კლასიკური ხელოვნებით. ხელოვნების (შემოქმედებითი საქმიანობის) მთავარი არსი არის თავისუფალი შემოქმედებითი პროცესი, რომლის დროსაც ხელოვნის შთაბეჭდილებები, გამოცდილება და წარმოდგენები უშუალო გამოხატულებას

პოვებს გამოსახვის კონკრეტული ფორმის საშუალებებით. შემოქმედებითი საქმიანობა ფაქტობრივად წარმოადგენს იმ გაცნობიერებული და გაუცნობიერებელი განცდების ნაერთს, რომელთა რაციონალური ახსნაც შეუძლებელია. შემოქმედებითი პროცესის დროს ერთად მოქმედებს ინტუიცია, ფანტაზია და ხელოვნების გაგება. ეს პროცესი და მიღებული შედეგი (ხელოვნების ქმნილება) არის ხელოვნის პიროვნების უშუალო გამოხატულება, კერძოდ — ხელოვნება. ზემოაღნიშნულ დებულებას ხელოვნების მატერიალურ ცნებას უწოდებენ. თუმცა, გაბატონებული სამართლებრივი შეხედულების თანახმად, ხელოვნების ამომწურავად დეფინირება შეუძლებელია. ჯერ ვერ მოხერხდა ასეთი დეფინიციის ჩამოყალიბება და, როგორც ჩანს, თანამედროვე ცოდნის დონის მიხედვით, ვერც მოხერხდება. ზემოხსენებული მატერიალური ცნების გარდა დღეს გამოყოფენ ხელოვნების კიდევ ორ ცნებას: ფორმალურს და ღიას.

ხელოვნების ფორმალური ცნება მოიცავს შემოქმედების სხვადასხვა კონკრეტულ ფორმას: მხატვრობას, პოეზიას, პროზას, მუსიკას, თეატრალურ და კინოხელოვნებას და ა.შ.

ხელოვნების ე. წ. ღია ცნების მიხედვით კი, შემოქმედებითი საქმიანობის საშუალებათა მრავალფეროვნების გამო, შესაძლებელია ხელოვნების ყოველი კონკრეტული ქმნილება (შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი) ფართო ინტერპრეტაციის გამოყენებით სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობით გავიგოთ და ამით მნახველს ამოუწურავი და მრავალფეროვანი ინფორმაცია მივაწოდოთ.

ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლება იცავს და ხელოვანისათვის უზრუნველყოფს თავისუფალ შემოქმედებით პროცესს. ეს განმტკიცებულია კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის მიხედვითაც, „შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია“. კონსტიტუცია ამ დებულებით იმპერატიულად და გარკვევით აცხადებს, რომ დაუშვებელია სახელმწიფომ ხელოვანს დაუდგინოს, თუ როგორ უნდა დაინახოს მან სინამდვილე და როგორ უნდა ასახოს ეს ხედავს საკუთარ შემოქმედებაში. მხოლოდ თავად ხელოვანს შეუძლია გადაწყვიტოს და განსაზღვროს სინამდვილესთან თავისი დამოკიდებულების „სისწორე“. გარდა ამისა, „შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურის დაუშვებლობა“ ნიშნავს, რომ აკრძალულია შემოქმედებითი საქმიანობის შეზღუდვაზე, შინაარსსა და ტენდენციებზე შემოქმედება, განსაკუთრებით — შემოქმედებითი საქმიანობის სფეროს შეზღუდვა ან ამ სფეროში შეჭრა, ანდა შემოქმედებითი პროცესისათვის ზოგადად საკვალდებულო წესების დადგენა. აქედან გამომდინარე, ამორიცხებული და დაუშვებელია ხელოვნის მიერ თემის არჩევის თავისუფლებაში და ამ თემის შემოქმედებით ასახვაში ჩარევა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ე.წ. ანგაჟირებული ხელოვნების სფეროს, რომელიც განსაკუთრებით ერჩის აქტუალურ თემებს.

ხელოვნების თავისუფლებით დაცულ სფეროში, უპირველეს ყოვლისა, შედის თვით სახელოვნებო (შემოქმედებითი) საქმიანობა. ხელოვნების თავისუფლება უზრუნველყოფს და იცავს საზოგადოების, ხალხის წინაშე (მუზეუმში, გალერეაში) ხელოვნების ქმნილების წარდგენისა და გავრცელების პროცესსაც, რის გარეშეც ხელოვნებას არავითარი ზემოქმედების ძალა არ ექნებოდა. აქედან გამომდინარე, ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლების გამოყენება შეუძლიათ არა მარტო ხელოვნების ქმნილების ავტორებს, ანუ შემოქმედ პირებს, არამედ იმათაც, ვინც მონაწილეობს ხელოვნების ნაწარმის გავრცელებაში, მაგალითად, გამომცემელს.

მუსიკალური დისკების ან ფილმების პროდიუსერს. ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლება შეიძლება გამოიყენოს არა მარტო ცნობილმა და აღიარებულმა, პროფესიონალმა ხელოვნმა, არამედ ნებისმიერმა თვითნასწავლმა და ნაკლებად ცნობილმა, სახელოვნებო საქმიანობით დაკავებულმა პირმაც. ამასთან, არაკეთილშინიერი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად ღირებულია ხელოვნის ესა თუ ის ნაწარმი, ანუ მაღალხარისხოვნად არის იგი შესრულებული, თუ საშუალო ან დაბალი დონის შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია. ხელოვნების თავისუფლებით დაცულ სფეროში ზედბა აგრეთვე ე.წ. აღმამფოთებელი ან არაესთეტიკური ნაწარმოებები და კონკრეტულ პირთა მიმართ აგრესიული გამონათქვამებიც, მაგალითად, სატირა, კარიკატურა, პოპსიმღერები და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას გამოსახვის ისეთ უჩვეულო ფორმებზე, როგორცაა პანტომიმა, ნაჭრებით შეფუთული საკანონმდებლო ორგანოს შენობა<sup>1</sup> და სხვ. რომელიმე ხელოვნების ქმნილების შესახებ რეკლამა ასევე დაცულია ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლებით.

კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება ინტელექტუალური საკუთრების უფლებას ხელშეუვალად აცხადებს. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლი ერთმნიშვნელოვნად და გარკვევით აღიარებს საკუთრების უფლებას, როგორც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მოქალაქის – თავისუფალი პიროვნების – უმნიშვნელოვანეს უფლებას, კანონმდებელი 23-ე მუხლში მაინც გამოყოფს „ინტელექტუალური საკუთრების უფლებას“ და ამით ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელოვნების თავისუფლება იცავს ინტელექტუალურ საკუთრებას, ანუ შემოქმედებითი ნაწარმოები მისი ავტორის (ხელოვნის) საკუთრებაა და ინტელექტუალური საკუთრების უფლება დაცულია როგორც კონსტიტუციური, ისე შესაბამისი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ფართოდ განმარტა აღნიშნული დებულება: „ინტელექტუალური საკუთრების ხელშეუვალობა ვრცელდება შემოქმედებითი საქმიანობის შედეგებზე ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში“.<sup>2</sup> გარდა ამისა, მოცემულ სფეროში საქართველოში მოქმედებს კანონი „საავტორო და მომთხროველ უფლებების შესახებ“,<sup>3</sup> რომლის მიზანია დაცუას ის საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და გამოყენების დროს (საავტორო უფლებები), აგრეთვე ზოგიერთი მათი მომიჯნავე უფლება, დაკავშირებული შემსრულებლებთან, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლებთან და მანუწყებლობის ორგანიზაციებთან (მომიჯნავე უფლებები) (მ. 1). კანონი ითვალისწინებს ხელოვნების თავისუფლების შინაარსს, რომლის მიხედვითაც, არაკეთილშინიერი ხელოვნობა არა აქვს, თუ რამდენად ღირებულია ხელოვნის კონკრეტული ნაწარმი,

<sup>1</sup> ეს ფაქტი მოხდა გერმანიაში, სადაც ორმა მხატვარმა ნაჭრებით მოლიანად შეფუთა გერმანიის რაიხსტაგის (დღეს ბუნდესტაგის ადგილსამყოფელი) ისტორიული შენობა. თითქმის ერთი წელი ამგვარად შეფუთული შენობა მოსახლეობის დიდ ინტერესს იწვევდა მიუღი გერმანიის მასშტაბით, იზიდავდა უამრავ ტურისტს და ითვლებოდა განსაკუთრებულ, გამორჩეულ შემოქმედებით საქმიანობად.

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „მალხაზ მუხომეძე და სხვები საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წინააღმდეგ“, №2/77/11, 1999 წლის 27 ივლისი.

<sup>3</sup> 1999 წლის 22 ივნისი.



ანუ მაღალხარისხოვნად არის იგი შესრულებული თუ საშუალო ან დაბალი დონის შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია – სახელოვნებო საქმიანობის შედეგად მიღებული ნებისმიერი ხარისხის პროდუქტი დაცულია ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლებით. აღნიშნულის შესაბამისად, კანონი აცხადებს, რომ საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების იმ ნაწარმოებებზე, რომლებიც ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა (მ. 5, პ. 1). გარდა ამისა, კანონით დადგენილია, რომ „საავტორო უფლება არ არის დამოკიდებული იმ მატერიალური ობიექტის საკუთრების უფლებაზე, რომელშიც გამოხატულია ნაწარმოები“ (მ. 7, პ. 1).

ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლება შეიძლება გამოიყენონ არა მარტო ფიზიკურმა, არამედ იურიდიულმა პირებმაც. ესენია, მაგალითად, სახელოვნებო, მუსიკალური სასწავლებლები, ანსამბლები, ორკესტრები, თეატრები და სხვა გაერთიანებები. აღნიშნული ძირითადი უფლების გამოყენება შეუძლიათ არა მხოლოდ კერძო, არამედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსაც. ეს გამოწვეულია შემდეგი მიზეზით: როგორც ცნობილია, საჯარო ხელისუფლება აფუძნებს და, იმავდროულად, უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის გაერთიანებების არსებობას, რომელთა საქმიანობაც უშუალოდ არის დაკავშირებული ხელოვნებასთან. ასეთია, მაგალითად, გალერეები, მუზეუმები, ორკესტრები და თეატრები. მათი საშუალებით საზოგადოება ახლოს ეცნობა ხელოვნების ნიმუშებს; ამასთან ერთად, ეს გაერთიანებები ისეთივე საზიფათო მდგომარეობაშია სახელმწიფოს მხრიდან მათი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩარევის თვალსაზრისით, როგორც ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირები. შესაბამისად, ისინიც ისევე უნდა იყვნენ დაცული ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლებით, როგორც ფიზიკური პირები. ამდენად, სახელოვნებო და მუსიკალურმა უმაღლესმა სასწავლებლებმაც და თეატრებმაც (რომლებიც შესაძლებელია იყვნენ როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის იურიდიული პირები), საჭიროების შემთხვევაში შეიძლება სახელმწიფოს მხრიდან მათი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩარევისაგან სწორედ ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლების გამოყენებით დაიცვან თავი.

### III. დაცულ სფეროში ჩარევა

ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა ხდება იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ხელს უშლის შემოქმედს სახელოვნებო საქმიანობის განხორციელებაში და ამ საქმიანობის შედეგის (ხელოვნების ქმნილების) გავრცელებაში. სახელმწიფომ ამისათვის შესაძლებელია გამოიყენოს აკრძალვები და სისხლისსამართლებრივი ან სხვა სახის სანქციები. როგორც ზემოთ აღინიშნა, კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტით სახელოვნებო საქმიანობა, ანუ შემოქმედებითი პროცესი აბსოლუტურად დაცულია სახელმწიფო ჩარევისაგან. ამ მიმართულებით ხელოვნების თავისუფლება აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლებაა და დაუშვებელია მისი შეზღუდვა. სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი მოქმედება, რომელიც დაავალდებულებს ხელოვანს, რომ მან სწორედ ასე და არა სხვაგვარად უნდა დაინახოს სინამდვილე და, შესაბამისად, ასე უნდა ასახოს ეს ხედვა თავის შემოქმედებაში, ხელოვნების თავისუფლებით

დაცულ სფეროში კონსტიტუციურ-სამართლებრივად გაუმართლებელი ჩარევა იქნება. გარდა ამისა, იქიდან გამომდინარე, რომ „შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია“, დაცულ სფეროში ასევე გაუმართლებელი ჩარევა იქნება სახელმწიფოს მიერ შემოქმედებითი საქმიანობის მეთოდებზე, შინაარსსა და ტენდენციებზე ზემოქმედება ან შემოქმედებითი პროცესისათვის ზოგადად სავალდებულო წესების დადგენა. შესაბამისად, ასევე კონსტიტუციურ-სამართლებრივად გაუმართლებელია სახელმწიფოს მხრიდან ხელოვნის მიერ თემის არჩევის თავისუფლებაში და ამ თემის შემოქმედებით ასახვაში ჩარევა.

#### IV. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

ხელოვნების თავისუფლებით დაცულ სფეროში კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებული ჩარევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღებით და მისი გავრცელების აკრძალვით, თანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოების გავრცელება ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს. ამის საფუძველს გვაძლევს თავად კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც გარკვევით მიუთითებს, რომ „შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს“. აღნიშნული დებულებისა და იმავე მუხლის მე-2 პუნქტის კომპლექსური ანალიზის შედეგად აშკარა ხდება, რომ, ჯერ ერთი, კონსტიტუციით არ არის შეზღუდული თვით სახელოვნებო საქმიანობა, ანუ შემოქმედებითი პროცესი. ამ ნაწილში ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლება კონსტიტუციის მიერ აბსოლუტურად უზრუნველყოფილია და, შესაბამისად, დაუშვებელია მისი რაიმე სახით (თუნდაც კანონის საფუძველზე) შეზღუდვა სახელმწიფოს მხრიდან; და მეორე: კონსტიტუცია „გარკვეულ შეზღუდვას აწესებს მხოლოდ სახელოვნებო საქმიანობის შედეგის („შემოქმედებითი ნაწარმოების“) გავრცელების მიმართ. ეს შეზღუდვა იწოდება, კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულების თანახმად, არის „სხვა ადამიანის კანონიერი უფლებები“. ამდენად, შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელება შესაძლებელია შეიზღუდოს ან აიკრძალოს მხოლოდ აღნიშნულ (სხვა ადამიანის კანონიერი უფლებების დარღვევის) და არა რაიმე სხვა საფუძველზე. ეს იმას ნიშნავს, რომ დაუშვებელია შემოქმედებითი ნაწარმოების (მაგალითად, რომანის) სხვა დასხვა ნაწილის განხილვა იზოლირებულად, ერთმანეთისაგან მოწყვეტილად და შემდეგ მასზე მსჯელობა არა როგორც სახელოვნებო საქმიანობის ერთ განსაზღვრულ ფორმაზე, არამედ როგორც კონკრეტული აზრის გამოთქმაზე, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება ამ შემოქმედებითი ნაწარმოების მიმართ საქართველოს კონსტიტუციით აზრის თავისუფლებისათვის დადგენილი შეზღუდვა იწოდება, რომელიც გაცხადებულია მრავალრიცხოვანი და ფართო, ვიდრე 23-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვა.

„სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებში“ იგულისხმება ყველა უფლება, რომელიც ადამიანს კონსტიტუციით ან კანონით აქვს უზრუნველყოფილი. ამ უფლებათა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვყოთ ადამიანის ღირსება, როგორც კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უმნიშვნელოვანესი ძირითადი უფლება. იგივე შეიძლება ითქვას ადამიანის პიროვნულ უფლებებზე, საკუთრების უფლებაზე და ა.შ. სწორედ

კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ ამ უფლებებზე დაყრდნობითა და ასევე კანონით განსაზღვრული პროცედურის დაცვით სახელმწიფოს აქვს უფლება ჩაერიოს ხელოვნების თავისუფლებით დაცულ სფეროში და დაიცვას სხვა პირთა ინტერესები. ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხელოვნების თავისუფლებასა და სხვა ძირითად უფლებებს შორის დაპირისპირებისას არც ერთ მათგანს არა აქვს ე.წ. გენერალური უპირატესობა ხელოვნების თავისუფლების მიმართ. როგორც უკვე აღინიშნა, ძირითად უფლებათა შორის ასეთი კონფლიქტის შემთხვევაში გამოიყენება შედარების ცნობილი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოცემული გარემოებების მიხედვით, უნდა შეფასდეს, თუ რომელ უფლებას მიეცეს უპირატესობა. დაუშვებელია იმ მოსაზრების მიღება, რომ ხელოვნების თავისუფლებასა და ადამიანის პიროვნულ უფლებებს შორის კონფლიქტი კონსტიტუციის დონეზე და თანაც პიროვნული უფლებების დაცვის სასარგებლოდ თავიდანვე გადაწყვეტილია. ყოველი კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტისას საჭიროა შედარების მეთოდის გამოყენება და მოცემული გარემოებების საფუძველზე გარკვევა იმისა, თუ რომელ სამართლებრივ სიკეთეს მიენიჭოს უპირატესობა.

შედარების მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით აუცილებელია იმ შემთხვევებში, როცა ხელოვანი კრიტიკულად წარმოსახავს ცოცხალ პირს და ამით ერევა მის პიროვნულ უფლებებში. ამ დროს აუცილებლად უნდა გაირკვეს: (ა) არის თუ არა ეს პირი ხელოვნის მიერ იმდენად თავისებურად წარმოსახული (ანუ მნიშვნელოვნად გაუცხოებული), რომ მისი ინდივიდუალურ-კონკრეტული სახე გამოსახვის საყოველთაო-სიმბოლურ ფონთან შედარებით უკანა პლანზე გადადის და არ იგრძნობა, ან (ბ) წარმოსახა თუ არა ხელოვანმა ეს პირი შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად სინამდვილესთან მიახლოებულად და ამით განსაკუთრებით ინტენსიურად ჩაერია მის პიროვნულ უფლებებში. პირველ შემთხვევაში უპირატესობა ხელოვნების თავისუფლებას უნდა მიეცეს, ხოლო მეორეში, საკარადოდ, წინა პლანზე პიროვნული უფლების დაცვის ინტერესი გამოვა.

ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით განხილულ იქნა ერთი მეტად საინტერესო საკმე, რომელიც ეხებოდა ცნობილი გერმანელი მწერლის, კლაუს მანის რომანის მთავარ მოქმედ გმირს. რომანში „მეფისტო – ერთი კარიერის რომანი“ ასახული იყო უნიჭიერესი მსახიობის ჰენდრიკ ჰოფგენის (Hendrik Hofgen) აღმასვლა, რომელიც უარყოფს (გააყალბებს) თავის პოლიტიკურ შეხედულებებს, გაწყვეტს და ჩამოიშორებს ყოველგვარ ადამიანურ კავშირსა და ეთიკურ თვისებებს, რათა ნაციონალ-სოციალისტურ ხელისუფლებას შეეკრას და გაიკეთოს ხელოვნის ბრწყინვალე კარიერა. კლაუს მანი თავისი რომანის მთავარ გმირს ახასიათებდა სიტყვებით: მას არა აქვს არავითარი ზასიათი და ნებისყოფა, მას ახასიათებს მხოლოდ პატივმოყვარეობა, განდიდების მანია და ნარცისიზმი; ის „არ არის ადამიანი, იგი მხოლოდ კომპლიანტია“.

რომანის ავტორს ამ პერსონაჟის პროტოტიპად გამოყენებული ჰყავდა გუსტავ გრუნდგენსი (Gustaf Grundgens). ეს იყო სახელგანთქმული მსახიობი, 1934-45 წლებში ბერლინის მსახიობთა სახლის და 1945 წლიდან სიკვდილამდე (1963) დასავლეთ გერმანიის მსახიობთა სახლების ინტენდანტი. 20-იან წლებში გრუნდგენსი მეგობრობდა კლაუს მანთან, ცოლად ჰყავდა მისი და, რომელსაც სულ მალე გამოირადა. რომანის მთავარი გმირის, ჰენდრიკ ჰოფგენის მრავალი ნიშანი – მისი შესახედაობა, პიესები, რომლებშიც ის მთავარ როლებს განასახიერებდა, და მათი თანამიმდევრობა დროში, პრუსიის სახელმწიფო საბჭოს წევრობა და გენერალ-ინტენდანტის თანამდევ-

ბრუნდგენის დანიშნულება — შეესაბამებოდა გრუნდგენის გარეგნობას და მის მიერ განვლილ ცხოვრებისეულ გზას. რომანში ასევე მოქმედებდნენ პირები გრუნდგენის მამინდელი ახლო წრიდან. გრუნდგენისა და რომანის მთავარი გმირის ურთიერთობის თაობაზე კლაუს მანმა 1942 წელს განმარტა, რომ მას თავისი ყოფილი სიძე მიანდა „იდეალურ მოლაპატელ“, ცინიზმისა და კორუფციის განსახიერებად. მისი სამარცხვინო დიდება იმდენად მომხიბლავი იყო, რომ მან, კლაუს მანმა, გადაწყვიტა „მეფისტო-გრუნდგენის“ პორტრეტი თავის სატირულ რომანში გამოესახა. თუმცა მოგვიანებით მან რომანს დაურთო განმარტება, რომ ყველა პერსონაჟი წარმოადგენდა ზოგად ტიპს და არა რომელიმე პიროვნების პორტრეტს.

გრუნდგენის სარჩელის საფუძველზე, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ შეიღმა გააგრძელა, სასამართლომ აკრძალა ნაწარმოების გამოქვეყნება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რადგან მიიჩნია, რომ გრუნდგენის პიროვნება, რომელიც ამკარად პროტოტიპად იყო გამოყენებული, იმავდროულად ავტორმა თვითნებურად გამოგონილი თვისებებითა და ხასიათის ნიშნებით ძირითადად ნეგატიურად წარმოადგინა. აქ სასამართლომ იხელმძღვანელა ზემოთ აღწერილი პრინციპით, რომლის მიხედვითაც, თუ ხელოვანმა კონკრეტული პირი სინამდვილესთან მაქსიმალურად მიახლოებულად წარმოსახა და, ამასთან ერთად, მის სახეს დაამატა უარყოფითი ნიშნები, ამ დროს ხელოვანი განსაკუთრებით ინტენსიურად ერევა მის პიროვნულ უფლებებში. სასამართლომ აღნიშნა, რომ რომანი წარმოადგენს ხელოვნების ქმნილებას, მაგრამ, ამასთანავე, იგი არის „პასკვილი რომანის ფორმაში“ და შეიცავს ზეპირ შეურაცხყოფას და ცილისწამებას.<sup>1</sup>

ხელოვნების თავისუფლებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რადგან ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, ბევრი დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციის მსგავსად და საქართველოს კონსტიტუციისაგან განსხვავებით, ცალკე მუხლად არ გამოყოფს ხელოვნების თავისუფლებას. ხელოვნების თავისუფლებას მოიცავს კონვენციის მე-10 მუხლი — „ამონატის-თავისუფლება“. ევროპული სასამართლოს განმარტებით ტერმინი „ამონატის-თავისუფლება“ არ შემოიფარგლება შეხედულებების, აზრის გამოთქმის ზეპირი ფორმით. იგი მოიცავს ნებისმიერ საშუალებას, რომელიც იდეების გამოთქმასთან ან ინფორმაციის გადაცემასთან არის დაკავ-

<sup>1</sup> აღნიშნავთ, რომ გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ძალაში დატოვა ეს გადაწყვეტილება (ზმთა თანხარად გაყოფის გამო: 4 - 4) და აღიარა საერთო სასამართლოს ზემოხსენებული შეფასებები, იხ. გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ტ. 40, გვ. 173 და მომდევნო.

<sup>2</sup> მ. 10 — ი. ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას გააჩნდეს საკუთარი მოსაზრებები, მიიღოს. ან აუცილებელი ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ევრო დაბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიოსამუშაო, სატელევიზიო და კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც მას თან ახლავს ვალდებულებანი და პასუხისმგებლობა, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწყისიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან ზნეობის დასაცავად, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლო ინფორმაციის გამოქვეყნების თავიდან ასაცილებლად ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“

შირებული: ინფორმაციის წარმოების, გადაცემის, გავრცელების საშუალებები – ბეჭდვითი მასალები, რადიომაუწყებლობა, ხელოვნების ნიმუშები, ფილმები, ელექტრონული საინფორმაციო სისტემები დაცულია მე-10 მუხლით.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, მხატვრული ნაწარმოების შექმნა, აგრეთვე მისი გავრცელება, ინფორმაციის გავრცელების ელემენტია. სასამართლომ აღნიშნა, რომ სამსახიობო თავისუფლების, მხატვრული ნამუშევრების გავრცელების შეზღუდვა მხოლოდ ტოტალიტარული მმართველობის სისტემისათვის არის დამახასიათებელი. ცნობილი საქმის – „ოტო-პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ“<sup>1</sup> განხილვისას სასამართლომ განაცხადა, რომ „შემოქმედი თავის ნაწარმოებში გამოხატავს არა მარტო პირად მსოფლმხედველობას, არამედ აზრს იმ სამყაროს შესახებ, რომელშიც იგი ცხოვრობს. ამ გაგებით ხელოვნება ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას და საზოგადოების წინაშე აყენებს აქტუალურ საკითხებს“. კონვენციის მე-10 მუხლით დაცულია უხეში, უტრირებული ფორმით გამოთქმული აზრიც და ხელოვნების ნაწარმოებით ასევე უტრირებულად გამოხატული შეხედულება. ასეთი შინაარსის შეხედულებების დაცვის ხარისხი, ერთი მხრივ, დამოკიდებულია იმ კონტექსტზე, რომელშიც გამოყენებულია გადმოცემული ინფორმაცია, მეორე მხრივ კი იმ მიზნებზე, რომელთაც ემსახურება მოცემული კრიტიკა.

საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად მიიჩნია ავსტრიის ხელისუფლების სათანადო ორგანოების მოქმედება, რომლებმაც დააყადაღეს და ოფიციალური გაქირავებიდან ამოიღეს მხატვრული ფილმი „სიყვარულის ტაძარი“ („Liebeskonzil“). ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას საფუძველად დაედო ფილმის სიუჟეტი, რომლის მიხედვითაც, ღმერთი ავადმყოფი და დავარდნილი მოხუცია, იესო ქრისტე – შეზღუდული ინტელექტის მქონე „დედოკოს ბიჭი“, მარიამი კი – მსუბუქი ყოფაქცევის ქალი. სასამართლოს შეფასებით, მართალია, მოხდა სახელმწიფოს მხრიდან გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევა, მაგრამ ეს ჩარევა განხორციელდა შესაბამისი კანონის საფუძველზე და გამართლებული იყო კონსტიტუციურ-სამართლებრივად. ევროპულმა სასამართლომ ზაზი გაუსვა დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების უდიდეს მნიშვნელობას და განაცხადა, რომ გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფერო მოიცავს არა მარტო იმ ინფორმაციებისა და იდეების გადმოცემას, რომლებიც ყველასათვის მისაღები, სასარგებლო ან სრულიად უმნიშვნელოა, არამედ ისეთ შეხედულებებსაც, რომლებიც მთლიანად სახელმწიფოსათვის ან მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის შოკის მომგვრელი, აღმაშფოთებელი, შეურაცხმყოფელი და მიუღებელია. მიუხედავად ამისა, სასამართლოს აზრით, დემოკრატიულ საზოგადოებაში, ძირითად უფლებათა შეზღუდვის თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპთან შესაბამისობის საფუძველზე, შეიძლება შეიზღუდოს და სანქციაც კი დაედოს რელიგიური გრძნობების მძიმედ შეურაცხმყოფელ მოქმედებებს. ამასთან, რელიგიური პერსონაჟებისა და საგნების პროვოკაციული გამოხატვა არღვევს დემოკრატიული საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანეს შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის ატმოსფეროს. განსახილველ შემთხვევაში ფილმის დაყადაღება და გაქირავებიდან ამოღება არის მიზნების (მოსახლეობის უდიდესი ნაწილის რელიგიური გრძნობების შელახვის

<sup>1</sup> ოტო-პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ (Otto-Preminger Institut v. Austria), 1994 წლის 20 სექტემბერი.

თავიდან აცილების, ქვეყანაში რელიგიური მშვიდობის შენარჩუნებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის) მისაღწევად აუცილებელი და თანაზომიერი საშუალება. აქედან გამომდინარე, სასამართლოს აზრით, კონვენციის მე-10 მუხლით დაცულ სფეროში განხორციელებული ჩარევა (ანუ ფილმის დაყადლება და გაქირავებიდან ამოღება) კანონიერი, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი და კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებული იყო. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ საქმეზე „*უინგროუ ვაერთიანებული საჯაროს წინააღმდეგ*“<sup>1</sup>.

ევროპულმა სასამართლომ ასევე გაამართლა და არ მიიჩნია კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევად შვეიცარის ხელისუფლების ორგანოების მოქმედება საქმეში „*მიულერი და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ*“<sup>2</sup>. შვეიცარიის ხელისუფლებებს უფლებამოსილება ორგანოებმა მოაქციეს რამდენიმე სექსუალური ხასიათის ნახაჩის კონფისკაცია და დააჯარიმეს მსაბურველები უცნაურად, შეურაცხყოფელი მასალის გამოქვეყნებისათვის. სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები განხორციელდა კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ფარგლებში და რომ სახელმწიფოებს აქვთ თავისუფალი მოქმედების ფართო არე იმის განსაზღვრისას, თუ რა არის „აუცილებელი ზნეობის დაცვად“. ამავე დროს, სასამართლომ კიდევ ერთხელ ზახი გაუსვა, რომ მე-10 მუხლით გათვალისწინებული ტერმინი „გამოხატვა“ მოიცავს შემოქმედებითი ხასიათის გამოხატვასაც, „რაც იძლევა ყველა სახის კულტურული, პოლიტიკური და სოციალური ინფორმაციისა და იდეების საზოგადოებრივ გაცვლაში მონაწილეობის შესაძლებლობას“.

შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად მოსახლეობის გარკვეული ნაწილის რელიგიური გრძნობების შესაძლო შეურაცხყოფის შემთხვევებში დაკავშირებით აღსანიშნავია კიდევ ერთი საქმე, რომელსაც საფუძველად დაედო ახალი მსაბურველი ფილმის აფიშის წინააღმდეგ მიმართული სარჩელი. კათოლიკეთა ერთ-ერთი ჯგუფი ითხოვდა კინოფილმის „ამინ“ სარეკლამო აფიშის აკრძალვას. აფიშაზე გამოხატული იყო სვასტიკისა და ჯვრის კომბინაცია, კინოფილმი კი მოგვითხრობდა ნაცისტების მბრძანებლობის პერიოდში კათოლიკური ეკლესიის ისტორიის სიღუმლოებით მოცულ ეპიზოდებზე. მისარჩელე კათოლიკეთა აზრით, აფიშა მათ რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფდა, რადგან მასზე ერთად იყო მოცემული „აბსოლუტური სიძულვილისა და აბსოლუტური სიყვარულის სიმბოლოები“. სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობდა კანონი, ანუ სამართლებრივი საფუძველი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა აფიშების გავრცელების აკრძალვა; გარდა ამისა, ასევე დაუშვებელია კონკრეტული ნორმების დაწესება, თუ რა უნდა გამოისახოს აფიშაზე და რა არა. ასევე დაუშვებელია იმის დადგენა, რომელ საგნებთან თუ სიმბოლოებთან ერთად და რა მდგომარეობაში უნდა გამოისახოს ჯვარი. ყოველი აფიშა გამოხატავს მისი ავტორის, ანუ ხელოვნის წარმოდგენას კონკრეტული ფილმის (თუ სპექტაკლის) შესახებ და მისი ფანტაზიის ნაყოფია. ამდენად, აფიშის გავრცელების აკრძალვა ან მისი შინაარსის შეცვლის მოთხოვნა ხელოვნათა შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვას ნიშნავს, რაც დაუშვებელი და არაკონსტიტუციურია. საქმის განმხილველმა სასამართლომ სწორედ ასეთი დასაბუთებით არ დააკმაყოფილა აღნიშნული სარჩელი.

<sup>1</sup> *უინგროუ ვაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Wingrove v. the United Kingdom)*, 1996 წლის 25 ნოემბერი.

<sup>2</sup> *მიულერი და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ (Müller and Others v. Switzerland)*, 1988 წლის 24 მაისი.

რაც შეეხება საჯარო პირებისა და ხელოვნების თავისუფლების ურთიერთმიმართებას, აქ მოქმედებს აზრის თავისუფლებიდან გამომდინარე დ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მრავალწლიანი პრაქტიკით<sup>1</sup> დადგენილი პრინციპები. ეს იმას ნიშნავს, რომ, რადგან პოლიტიკოსის საქმიანობის მიზანი სწორედ საჯარო ცხოვრების ცენტრში ყოფნა, საკუთარი პიროვნების საზოგადოებაში გამორჩეულად წარმოდგენა და დამკვიდრება, აგრეთვე საზოგადოებრივ აზრზე გარკვეული ზემოქმედებაა, მან თავიდანვე უნდა იცოდეს და შეეგუოს, რომ მისი პიროვნება კონკრეტული მხატვრული ნიმუშის ფარგლებში შეიძლება წარმოისახოს ისეთი სახითაც, რომელიც მნიშვნელოვნად გაცდლება „წარმოსახვის მისთვის მოსაწონ ფარგლებს“, ანუ იგი შეიძლება წარმოისახოს სინამდვილესთან სრულიად შეუსაბამო ფორმით თუ შინაარსით. ეს ყველაფერი შეიძლება განხორციელდეს, მაგალითად, კარიკატურის ფორმით. კარიკატურის მნიშვნელობა სწორედ ისაა, რომ მისი შინაარსით რაღაც უნდა წარმოისახოს დამახინჯებული, არასწორი, სინამდვილესთან შეუსაბამო ფორმით. სწორედ ასე ეცნობა თავდაპირველად მის შინაარსს მნახველი, რომელიც შესაბამისად შეიგრძნობს კარიკატურის არსს და ამგვარად გადმოცემულ გამოსახულებას. ამიტომაც კარიკატურაში ძალიან იშვიათად შეიძლება დაეინახოთ გამოსახული პირის პიროვნული უფლებების მიძიმე შელახვა.

გარდა ზემოთქმულისა, ასევე ცხადია, რომ, კონსტიტუციის 23-ე მუხლის მიხედვით, კარიკატურა ხელოვნების ნიმუშია. იგი არის თავისუფალი შემოქმედებითი საქმიანობის დასრულებული შედეგი, რომელშიც ავტორმა საკუთარი წარმოდგენები, გამოცდილება და შთაბეჭდილება გამოსახვის განსაზღვრული ფორმის საშუალებით – ხშირ შემთხვევაში ხატვის ფორმით – საჩვენებლად გამოიტანა. ამასთან, კონსტიტუციის 23-ე მუხლით განმტკიცებული ნორმა იცავს არა მხოლოდ ხელოვნების ნიმუშს (შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს), არამედ ხელოვნების მოქმედების სფეროს, ანუ მის გამოქვეყნებასა და გავრცელებასაც; გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ ავტორის (შემოქმედის) ფანტაზიის ნაყოფთან, კონკრეტულად – ნახატთან, რომელიც წარმოადგენს კარიკატურას. კარიკატურა კი სწორედ იმით ხასიათდება, რომ ამ დროს შემოქმედებითი საშუალებით ხდება დამახინჯება და გაუცხოება რეალურ სინამდვილეში არსებული, მაგრამ არცთუ ნათელი და მკაფიო სიმართლისა, რათა ეს სიმართლე, ავტორის წარმოსახვის შესაბამისად, უკეთესად გასაგები გახდეს. მეორე მხრივ, კარიკატურას შეიძლება მიზნად ჰქონდეს მხოლოდ იუმორისტული ფუნქცია და შედეგის მიღწევა. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ კარიკატურა სინამდვილის შემოქმედებითად გაუცხოებული გამოხატვაა, რომელიც თითქმის ყოველთვის თავისი შინაარსით არ შეესაბამება სინამდვილეს და არც არის სავალდებულო, რომ შეესაბამებოდეს მას. გამოსახულება აშკარად შემოქმედის გამოგონებაა, მისი შეხედულების შედეგი, რითაც ფაქტობრივად არც არის გადმოცემული ავტორის კონკრეტული წარმოდგენა თუ აზრი; მისი მიზანი უფრო მეტად ტენდენციური შინაარსის გადმოცემაა. სწორედ ამის გამო კარიკატურა ყოველთვის დაცულია ხელოვნების თავისუფლებით და ასევე (თითქმის) ყოველთვის უპირატესობა ენიჭება ადამიანის პიროვნულ უფლებებთან დაპირისპირებისას.

<sup>1</sup> უპირველეს ყოვლისა, იხ. *ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (Lingens v. Austria)*, 1986 წლის 8 ივლისი, აგრეთვე *ჰენდისაიდი ვაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Handiside v. the United Kingdom)*, 1976 წლის 7 დეკემბერი; *დალბანი რუმინეთის წინააღმდეგ (Dalban v. Romania)*, 1999 წლის 28 სექტემბერი; *ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ (Oberschlik v. Austria)*, 1991 წლის 23 მაისი.

მუხლი 24.

„1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გააერცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გააერცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.

3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გაერცელების საშუალება: მა მონოპოლიზაციის უფლება.

4. ამ მუხლის პირველ დ მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერატორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“

I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი შინაარსობრივად ყველა სხვა მუხლზე მდიდარია. იგი მოიცავს სამ უმნიშვნელოვანეს ძირითად უფლებას. ესენია: ინფორმაციის, აზრისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებები. შეიძლება ითქვას, რომ 24-ე მუხლით აღიარებულია ე.წ. კომუნიკაციის ძირითადი უფლებები, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების არსებობისა და გამართული ფუნქციონირებისათვის.

24-ე მუხლთან დაკავშირებით თავდაპირველად აუცილებელია აღინიშნოს ის საინტერესო გარემოება, რომ აზრის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციით მე-19 მუხლითაც არის გარანტირებული. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.“ ამავე დროს, როგორც აღინიშნა, კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით ფაქტობრივად აზრის თავისუფლების შინაარსია გადმოცემული: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გააერცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გააერცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.“ ამ დებულების პირველი წინადადებით უზრუნველყოფილია ინფორმაციის თავისუფლება, ხოლო მეორე წინადადებით, როგორც აღინიშნა, მოცემულია აზრის თავისუფლების ძირითადი შინაარსი. ასეთი დაჯგუფება საკმაოდ ლოგიკურია, რადგან ინფორმაციის თავისუფლება აზრის თავისუფლებისაგან სრულიად დამოუკიდებელი ძირითადი უფლებაა, მაგრამ, ამავე დროს, მასთან შინაარსობრივი კავშირი აქვს. რაც შეეხება აღნიშნული მუხლების დებულებათა გარკვეულ იდენტურობას, ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მოცემულ ძირითად უფლებათა, განსაკუთრებით აზრის თავისუფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მიუხედავად ამისა, ამ ძირითად უფლებათა მნიშვნელობის წარმოსაჩენად მიზანშეწონილია მათი ცალ-ცალკე განხილვა. აზრის თავისუფლების კომენტარი მოცემულია მე-19 მუხლის ანალიზის ფარგლებში, ინ-



ფორმაციის და მასობრივი ინფორმაციის თავისუფლებათა კომენტარი კი წარმოადგენილი იქნება 24-ე მუხლის განხილვისას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, აღნიშნულ ძირითად უფლებათა განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, თავდაპირველად, საჭიროა კიდევ ერთხელ გაეყვას ხაზი ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსს და მათი მოქმედების ძალას. დაეიწყეთ იმით, რომ ძირითადი უფლებები არა მარტო იცავს ადამიანს მისი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ჩარევისაგან, არამედ, ამავე დროს, წარმოადგენს ობიექტურ პრინციპებს, რომლებიც, როგორც ძირითადი კონსტიტუციურ-სამართლებრივი გადაწყვეტილება, მოქმედებს სამართლის ყველა სფეროს მიმართ, მათ შორის, ბუნებრივია, კერძო სამართლის მიმართაც. უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს, რომ კერძო სამართლის ნორმები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ძირითად უფლებებს; გარდა ამისა, კერძო სამართლის ნორმები უნდა განიმარტოს ძირითადი უფლებების არსისა და სულისკვეთების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სამართლის ზეგავლენა სამართლის ნორმათა დადგენით არ მთავრდება; იგი მოქმედებს სამართლის ნორმათა გამოყენებაზეც. როცა იკვეთება, რომ სამართლებრივი დავის შესახებ გადაწყვეტილება უნდა დაეყრდნოს ნორმებს, რომლებიც ძირითადი უფლებებით გარანტირებულ თავისუფლებას ზღუდავს ან კონკრეტულ შემთხვევაში ახდენს ძირითადი უფლებების შემზღუდავ ზემოქმედებას, ამ ნორმათა ინტერპრეტაციისათვის უნდა მოვიხმოთ ისევ ძირითადი უფლებები.

ძირითადი უფლებების ობიექტურ-სამართლებრივი შინაარსი, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ საერთო სასამართლოებმა, მნიშვნელობას იძენს სუბიექტურ-სამართლებრივადაც. თუ მოსამართლე არ მიაქცევს ყურადღებას საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებზე ძირითადი უფლებების ზეგავლენას, ამით იგი მარტო ობიექტურ სამართალს როდი დაარღვევს. როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი, ასეთ შემთხვევაში მოსამართლე თავისი გადაწყვეტილებით არღვევს ძირითად უფლებას, რომლის მნიშვნელობაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს სასამართლო ხელისუფლებამ, ზოლო ინდივიდს აქვს აღნიშნულის კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება.

24-ე მუხლთან, ანუ ინფორმაციის, აზრისა და მასობრივი ინფორმაციის თავისუფლებებთან დაკავშირებით, მოქმედებს სწორედ ზემოაღნიშნული პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ორგანული და ჩვეულებრივი კანონები, ძირითადი უფლების შემზღუდავი მოქმედების დროს, უნდა დავინახოთ ამ ძირითადი უფლების მნიშვნელობის ფარგლებში და განვმარტოთ იმგვარად, რომ ამ თავისუფლებათა შინაარსი, რომელიც თავისუფალ დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი ცხოვრებაში, მათ დაუბრკოლებელ განხორციელებას და მოქმედებას აუცილებელ წინაპირობად ადგენს, ყველა შემთხვევაში ხელშეუხებელი და დაცული იქნება. აქედან უკვე ნათლად ჩანს აღნიშნულ თავისუფლებათა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ისინი სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს წარმოადგენენ და არა მარტო მოქალაქეთა, არამედ ყველა ადამიანის ძირითადი უფლებებია. ინფორმაციის დაუბრკოლებლად მიღებისა და გავრცელების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საკუთარი აზრის თავისუფლად და შეუფერხებლად გამოთქმის გარეშე წარმოადგენელი

და შეუძლებელია ადამიანის თვითგანვითარება. უპირველეს ყოვლისა, სწორედ დემოკრატიამ აძლევს ყველა მოქალაქეს გარანტირებულ შესაძლებლობას თავისუფლად მიიღოს და გააერცულოს ინფორმაცია და გამოთქვას თავისი აზრი. სწორედ ეს ძირითადი უფლებები უზრუნველყოფს აზრთა მუდმივი ჭიდილის, საჯარო ინტელექტუალური დაპირისპირების შესაძლებლობას, რაც დემოკრატიის სასიცოცხლო ელემენტია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებით უზრუნველყოფილი აზრის თავისუფლება, აგრეთვე ინფორმაციისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებები ხასიათდება ორი ნიშნით: პირველი არის ურთიერთკავშირი კონსტიტუციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტთან, ანუ დემოკრატიის პრინციპთან<sup>1</sup> – დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია თავისუფალი და კარგად ინფორმირებული აზრისა და თავისუფალი მედიის გარეშე. მეორე ნიშანი კი ისაა, რომ ეს თავისუფლებები შეიცავს ადამიანის ღირსებისა (მ. 17) და პიროვნული უფლებების (მ. 16 – საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება) პატივისცემიდან გამომდინარე კომპონენტებს, რადგან ადამიანის ელემენტარული მოთხოვნილებაა ინფორმაციის მიღება, გაერცულება და თავისი აზრის გამოთქმა, საკუთარი ცოდნის გაფართოება იმისათვის, რათა ამით განვითარდეს და ჩამოყალიბდეს როგორც პიროვნება. სწორედ აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ცხადი ხდება, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებებს დემოკრატიული წყობილებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ფართოდ განმარტა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი – გამოხატვის თავისუფლება,<sup>2</sup> და აღნიშნა, რომ ამ მუხლით უზრუნველყოფილი პრესის თავისუფლება ნიშნავს არა მარტო პრესისა და ჟურნალისტების უფლებას მოიპოვონ და მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია, არამედ, იმავდროულად, საზოგადოების იმ უფლებასაც, რომ სათანადოდ და სრულყოფილად იყოს ინფორმირებული.<sup>3</sup>

<sup>1</sup> მ. 1, 3. 2: „საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“.

<sup>2</sup> მ. 10 პ. 1: „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას პქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გააერცულოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად.“

<sup>3</sup> „სანდი თაიმსი“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ („Sunday Times- v. the United Kingdom), 1979 წლის 26 აპრილი.

## II. მუსლი 24. პ. 1 - ინფორმაციის თავისუფლება

## 1. შესავალი

როგორც აღინიშნა, 24-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებულია ინფორმაციის თავისუფლების ძირითადი უფლება: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.“ ამ უფლების ძირითადი კომპონენტია ინფორმაციის თავისუფლად მიღების გარანტია. უფრო კონკრეტულად – ყველას აქვს უფლება, ყოველგვარი დაბრკოლებისა და შეფერხების გარეშე მიიღოს ინფორმაცია საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან. თითქმის ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში, რომელთა კონსტიტუციებიც აღიარებენ ინფორმაციის თავისუფლებას, მათ შორის საქართველოშიც, ეს ძირითადი უფლება იმ პერიოდის შედეგია, როცა სხვადასხვა ტოტალიტარული რეჟიმის დროს აკრძალული იყო ინფორმაციის მიღება უცხო ქვეყნების პრესიდან, რადიო- და სატელევიზიო სადგურებიდან. ყოველი მოქალაქის, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი პიროვნების, განვითარებისა და დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცებისათვის ინფორმაციის თავისუფლება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით აზრისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებები. ეს ცხადი ხდება თუნდაც იმ გარემოებიდან, რომ ინფორმაციის თავისუფლება, ფაქტობრივად, აზრის თავისუფლების წინაპირობაა, რადგან აზრის თავისუფლების გონივრული და პასუხისმგებლობით აღსავსე გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ საშუალება წინასწარ შეუფერხებლად მოიპოვონ ინფორმაცია. გარდა ამისა, ინფორმაციის ფლობას დიდი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის.

## 2. რატომ სწორი

მართალია, ინფორმაციის თავისუფლება მჭიდროდაა დაკავშირებული აზრისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებებთან, მაგრამ მაინც მათგან დამოუკიდებელი ძირითადი უფლებაა, თუმცა შინაარსობრივად შედარებით ვიწრო სფეროს მოიცავს: ინფორმაციის თავისუფლებით დაცულია პირის მიერ ინფორმაციის მოპოვება და მიღება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან.

ამგვარ წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ ყველა წარმონაქმნი, რომელიც ფლობს ინფორმაციას, მიუხედავად იმისა, ეს ინფორმაციები შეიცავს აზრებსა და ფაქტებს, თუ ეხება მხოლოდ საჯარო ან მხოლოდ კერძო საკითხებს.

წყარო საყოველთაოდ ხელმისაწვდომია იმ შემთხვევაში, თუ იგი ტექნიკურად გამოსადეგია და განკუთვნილია იმისათვის, რომ საზოგადოებას, ანუ პირთა განუსაზღვრელ წრეს მოუპოვოს და მიაწოდოს ინფორმაციები. საყოველთაოდ ხელმისაწვდომ წყაროებს განეკუთვნება, მაგალითად, საჯარო კომუნიკაციის ისეთი საშუალებები, როგორიცაა გაზეთი, ჟურნალი, წიგნი, პლაკატები, საინფორმაციო ფურცელი, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი და ა.შ. უცხო ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებისა და რადიო- თუ სატელევიზიო სადგურებისაგან ინფორმაციის მიღება ასევე დაცულია ინფორმაციის თავისუფლებით.

საყოველთაოდ ხელმისაწვდომ წყაროდ არ შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, პოლიციის რადიოტალღის მოსმენა და მისგან ინფორმაციის მოპოვება, ასევე სასა-

მართლო ან სახელმწიფო უწყებათა შიდასაწყებო აქტები (თუ ისინი არ არის მოთავსებული საჯარო არქივებში) და ადმინისტრაციული ნორმები, რომლებიც მიიღეს ზემდგომმა ადმინისტრაციულმა უწყებებმა და განკუთვნილია ქვემდგომი დაწესებულებებისათვის.

იქიდან გამომდინარე, რომ წყაროს საყოველთაოდ ხელმისაწვდომად მიჩნევის აუცილებელი და, ამავე დროს, საკმარისია მხოლოდ ტექნიკური, ანუ ფაქტობრივი აღჭურვილობა და მისი გამოსადეგობა ინფორმაციის მიწოდებისათვის, სახელმწიფოს არა აქვს უფლება სამართლებრივი ნორმებით გადაწყვიტოს და დაადგინოს წყარო საყოველთაოდ ხელმისაწვდომია თუ არა. მაგალითად: გაზეთი, რომელიც ფოსტიდან აბონენტთან მიაქვთ, არის ინფორმაციის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყარო, რადგან გაზეთის ამ ნომრის მთლიანი გამოცემა ყველასათვის ხელმისაწვდომია. ის გარემოება, რომ გაზეთის კონკრეტული, აბონენტისათვის განკუთვნილი ეგზემპლარი მხოლოდ აბონენტს ეკუთვნის და არავის აქვს მისი მითვისების უფლება, არაფერს ცვლის. სწორედ ამიტომ პრესა, ტელევიზია, რადიო და ინტერნეტი, როგორც მასობრივი, საჯარო კომუნიკაციის საშუალებები, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებია იმ შემთხვევაშიც, როცა ისინი უცხო ქვეყნებში ფუნქციონირებენ და საქართველოს მოსახლეობას აწვდიან ინფორმაციებს.

ინფორმაციის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულია როგორც ინფორმაციის პასიური მიღება, ისე ინფორმაციის აქტიური მოპოვება, მიუხედავად საამისოდ გამოყენებული საშუალებებისა. აქედან გამომდინარე, ფოტოგრაფირებაც ინფორმაციის მოპოვების გარკვეულ სახეობას წარმოადგენს. დაცულია აგრეთვე ინფორმაციის შენახვა, დამუშავება და ამისთვის საჭირო დამხმარე ტექნიკური საშუალებების მოპოვება და გამოყენება. ამასთან, ინფორმაციის თავისუფლება არ წარმოშობს მოთხოვნას სახელმწიფოს მიმართ, რომ ამ უკანასკნელმა მოიპოვოს და მოქალაქეს მიაწოდოს ინფორმაციები.

ინფორმაციის თავისუფლების ძირითად უფლების სუბიექტია ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელსაც სურს ინფორმაციის მიღება. ეს უფლება ვრცელდება განსაკუთრებულ სამართლებრივ მდგომარეობაში მყოფ ფიზიკურ პირებზეც (მაგალითად, სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მყოფ პატიმრებსა და მსჯავრდებულებზეც).

### 3. დაცულ სფეროში ჩარევა

ინფორმაციის თავისუფლების ძირითადი უფლება ირღვევა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ისეთი ღონისძიებით, რომელიც კრძალავს ინფორმაციის მიღებას ან ამისთვის აწესებს ნებართვას. ერთადერთი საინფორმაციო წყაროს შეწყვეტა და ამ წყაროსთან დაშვების შეფერხებაც ინფორმაციის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევაა. ფსიქოლოგიური ზეგავლენაც, მაგალითად, ინფორმაციის მიღების რეგისტრირება, მოქმედებს და არღვევს ამ ძირითადი უფლებით უზრუნველყოფილ ინფორმაციის შეუფერხებლად და დაუბრკოლებლად მოპოვების გარანტიას. ყველა აღნიშნული ჩარევა არღვევს აგრეთვე პრესის თავისუფლებას მაშინვე, როგორც კი ასეთი ჩარევა თუნდაც ერთი საყოველთაოდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო წყაროს მიმართ მოქმედებს. აქ სულაც არ არის აუცილებელი, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევამ

მოიცავს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ყველა წყარო. მაგალითად, ღია სასამართლო პროცესები საყოველთაოდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო წყაროა და ამ პროცესებიდან საზოგადოების მუდმივად ან დროებით გამოთიშვა და პროცესებზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა არდაშეება ინფორმაციის თავისუფლების დარღვევაა. ასევე ირღვევა საგამოძიებო იზოლაციაში მყოფი პატიმრის უფლება ინფორმაციის მოპოვებაზე, როცა მას უკრძალავენ რადიოს ან ტელევიზიის საშუალებით ინფორმაციის მიღებას იმ საფუძვლით, რომ მას შეუძლია იგივე ინფორმაცია გაზეთებიდან მიიღოს. მძიმე დარღვევაა აგრეთვე სახელმწიფოს მიერ ინტერნეტში რომელიმე ვებგვერდის აკრძალვა და დახურვა.

#### IV. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

24-ე მუხლის მე-4 პუნქტით მოცემულია ის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური სიკეთეები, რომელთა დაცვაც სახელმწიფოს საქმიანობის უპირველეს მიზანს წარმოადგენს და რომელთა დაცვაც აუცილებელია თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისათვის. ეს მიზნებია: სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულის თავიდან აცილება, სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვა, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა. სწორედ ამ (და არა რომელიმე სხვა) კონსტიტუციურ სიკეთეთა დაცვის მიზნით შეიძლება შეიზღუდოს ინფორმაციის თავისუფლება. ამასთან, მე-4 პუნქტით კონსტიტუცია ადგენს, რომ ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვა განხორციელდეს მხოლოდ კანონის საფუძველზე და მხოლოდ ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში აღნიშნულ სიკეთეთა დასაცავად. ინფორმაციის თავისუფლებით დაცულ სფეროში მხოლოდ ამ პირობათა დაცვით განხორციელებული ჩარევა იქნება კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებული. ამის ერთ-ერთი მაგალითია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის<sup>1</sup> და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის<sup>2</sup> შესაბამისი დებულებები, რომელთა მიხედვითაც, საქმეთა განხილვა შესაძლებელია მოხდეს დახურულ სხდომაზე და „მით პრესა და ტელევიზია გამოეთიშოს პროცესს, რის შედეგადაც საზოგადოება ვეღარ მიიღებს ინფორმაციას. ეს ჩარევა დაცულ სფეროში კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებულია, რადგან ორგანული კანონი ადგენს, რომ სასამართლოში „დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში,“<sup>3</sup> ამ შემთხვევებს კი დაწვრილებით განსაზღვრავს საპროცესო კოდექსი, რომლის მიხედვითაც: „საქმის განხილვისას სასამართლოს (მოსამართლის) განჩინებით (დადგენილებით) შეიძლება ჩატარდეს მთლიანად ან ნაწილობრივ დახურული სასამართლო სხდომა: სახელმწიფო, სამსახურებრივი ან კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით“, აგრეთვე „პირადი მითოწერის და სატელეგრაფო შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებისას.“ გარდა ამისა, მხარის მოთხოვნით, მთლიანად ან

<sup>1</sup> 1997 წლის 13 ივნისი.

<sup>2</sup> 1998 წლის 20 თებერვალი.

<sup>3</sup> ორგანული კანონის მ. 12, პ. 2.

ნაწილობრივ დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება „არასრულწლოვანის დანაშაულის საქმე, სქესობრივი დანაშაულის და სხვა კატეგორიის საქმეები, რათა არ ვახშაურდეს ცნობები საქმეში მონაწილე პირის ინტიმური ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შესახებ“, ან „როდესაც ამას მოითხოვს პროცესის მონაწილის და მისი ოჯახის წევრების ან ახლო ნათესავების პირადი უსაფრთხოების დაცვა.“ როგორც ვხედავთ, ეს ჩარევა დაცულ სფეროში ხორციელდება კონსტიტუციის 24-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ინფორმაციის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს აგრეთვე სხვა ძირითად უფლებებთან კოლიზიის შემთხვევაში. უცხო ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში ცნობილია რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული ასეთი შემთხვევების შესახებ. მაგალითად, ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიხედვით, სახლის გამაჩირავებელს შეუძლია მოითხოვოს დამქირავებლისაგან ამ უკანასკნელის მიერ დაყენებული სატელიტური ანტენის მოშორება საკუთარი სახლის სახურავიდან, რადგან თავად სახლში უკვე შემოყვანილია საკაბელო ხაზი. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნა გამართლებულია, რადგან, ჯერ ერთი, სახლის მესაკუთრის საკუთრების უფლება დამქირავებლის ინფორმაციის თავისუფლების ძირითად უფლებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია და, მეორე, საკაბელო ხაზით დამქირავებელს შეუფერხებლად შეუძლია სასურველი ინფორმაციის მიღება. სხვა ვითარება იქმნება, როცა, მაგალითად, საქმე გვაქვს უცხოელთან, რომელსაც არ შეუძლია საკაბელო ხაზის საშუალებით მიიღოს მშობლიურ ენაზე მაუწყებელი რადიო- თუ სატელევიზიო გადაცემები. აქ სატელიტური ანტენის საშუალებით ინფორმაციის მოპოვების ინტერესი გაცილებით მაღლა დგას დამქირავებლის საკუთრების ინტერესზე და სასამართლოც შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

**III. მუხლი 24. პ. 2 - მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება**

24-ე მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული ტერმინი „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები“ მოიცავს როგორც პრესას, ისე ელექტრონულ მედიას. ინფორმაციის აღნიშნული საშუალებებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მათი ცალ-ცალკე განხილვა.

**1. პრესის თავისუფლება**

**ა) შესავალი**

აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებათა მსგავსად, პრესის თავისუფლება დემოკრატიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ძირითადი უფლებაა. დამოუკიდებელი, სახელმწიფო ზეგავლენისა და ცენზურისაგან თავისუფალი პრესა დემოკრატიული წესწყობილების არსებითი შემადგენელი ნაწილია. თანამედროვე დემოკრატიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავისუფალი, რეგულარულად მოქმედი პოლიტიკური პრესა, რადგან, თუ მოქალაქეს სურს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, იგი არა მარტო სრულყოფილად უნდა იყოს ინფორმირებული,

<sup>1</sup> კოდექსის მ. 16, ნაწ. 4.

არამედ ასევე უნდა იცნობდეს სხვების მოსაზრებებს, რათა შეძლოს მათი შეფასება, აწონ-დაწონა და საჯარო დისკუსიებში აქტიური მონაწილეობა. თავისუფალი პრესა უზრუნველყოფს და ინარჩუნებს ამ დისკუსიის მუდმივ მიმდინარეობას იმით, რომ მოიპოვებს ინფორმაციებს, აწვდის მათ მოქალაქეებს და საკუთარ აზრებსაც გამოთქვამს. იგი გამოხატავს საზოგადოებასა და მის ცალკეულ სოციალურ ჯგუფებში გაჩენილ ახალ-ახალ მოსაზრებებსა და მოთხოვნებს; მასში გამოხატულია საჯარო, საზოგადოებრივი აზრიც. დემოკრატიულ სახელმწიფოში ამ ფუნქციის მქონე თავისუფალი პრესა ფაქტობრივად წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს, ერთი მხრივ, ხალხსა და, მეორე მხრივ, პარლამენტსა თუ მთავრობაში მის (ხალხის) წარმომადგენლებს შორის. ხალხი მეტწილად სწორედ პრესის საშუალებით ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლს. პარლამენტისა და მთავრობის წევრებს პრესის საშუალებით მათდამი განხორციელებული კონტროლი და საზოგადოებრივი ზემოქმედება აიძულებს, კონკრეტული პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღონ მოსახლეობის უმრავლესობის შეხედულებების შესაბამისად.


### ბ) ცნება და დაცული სფერო

„პრესის“ ცნება ფართოდ უნდა განიმარტოს. იგი მოიცავს ყველა ცნობას, ინფორმაციას და აზრს, რომლებიც იბეჭდება ან სხვაგვარად ვრცელდება. „პრესაში“ იგულისხმება არა მარტო ბეჭდვითი სახის გამოცემები, არამედ ინფორმაციის საჯარო გავრცელებისათვის ტანკუთვნილი ნებისმიერი სახის გამოცემა, მათ შორის, ვაზეთები, ჟურნალები, ბიულეტენები, საინფორმაციო ფურცლები, პლაკატები, ფოტოასლები, მკითხველთა წერილები, სარეკლამო აფიშები და ა.შ. (მაგრამ არა ვიდეოკასეტები).

პრესის თავისუფლება მოიცავს ორ – სუბიექტურ (ინდივიდუალურ) და ობიექტურ (ინსტიტუციურ) – ასპექტს. პრესის სფეროში დასაქმებულ პირებსა და საწარმოებს გარანტირებული აქვთ სუბიექტური ძირითადი უფლება, რომელიც მათთვის უზრუნველყოფს სახელმწიფო იძულებისა და ზეგავლენისაგან თავისუფალ სამოქმედო სფეროს და ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, განსაკუთრებული უფლება უარი თქვას ინფორმაციის მიმწოდებლის დასახელებაზე) მათ განსაკუთრებულ სამართლებრივ მდგომარეობას. ობიექტური მხრივ პრესის თავისუფლებით უზრუნველყოფილია აგრეთვე „თავისუფალი პრესის“ ინსტიტუტი. აქ იგულისხმება პრესის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა, დაწყებული ინფორმაციის მოპოვებით და დამთავრებული ცნობებისა და მოსაზრებების გავრცელებით, ამდენად, პრესის თავისუფლებით დაცულია გამოცემლობების, საინფორმაციო სააგენტოებისა და სხვა მსგავსი იმ დაწესებულებების დაფუძნებისა და საქმიანობის პროცესი, რომლებიც აწარმოებენ და ავრცელებენ ინფორმაციას. გარდა ამისა, პრესის თანამშრომელთა და დაწესებულებათა უფლება მიიპოვონ ინფორმაცია, აგრეთვე საჯარო დაწესებულებათა ვალდებულება მიაწოდონ პრესას ინფორმაციები, გამომდინარეობს და ვერდნობა სწორედ ამ ინსტიტუციურ გარანტიას.

როგორც აღინიშნა, პრესის თავისუფლებით დაცულია ყველა სახის გამოცემა; იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ე.წ. „სერიოზული“, „პოლიტიკური“ პრესით და მოქმედებს გასართობი, სენსაციური თუ ე.წ. „ყვითილი“ პრესის მიმართაც. თუმცა ამ „განსხვავებას“ შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს იმ შემთხვევებში, როცა კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გაირკვეს დასაშვებია თუ არა პრესის თავისუფლების შეზღუდვა. დაცული სფერო მოიცავს აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულების

(სამინისტროს, უნივერსიტეტის, ქარხნის და ა.შ.) შიდასაუწყებო საინფორმაციო გამოცემებს, რომლებიც უპირველესად გათვალისწინებულია ამ დაწესებულებათა თანამშრომლებისათვის, მაგრამ ამავე დროს განკუთვნილია ინფორმაციის საჯარო გავრცელებისათვისაც. ასევე დაცულია არასრულწლოვანთა საქმიანობა, ანუ სკოლებში გამოცემული სასკოლო გაზეთები თუ ნებისმიერი სხვა სახის საინფორმაციო ფურცლები.



პრესის თავისუფლება მოიცავს აგრეთვე განცხადებების ნაწილს და მკითხველთა გამოხატულებას. განცხადებები და მკითხველთა წერილები დაცულია თუნდაც იმის გამო, რომ ყოველი განცხადებისა და წერილის გამოქვეყნება ფაქტობრივად ცნობის, ინფორმაციის გავრცელებაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ განცხადებათა გამოქვეყნებიდან მიღებული შემოსავალი ძალიან მნიშვნელოვანია ყოველი გაზეთის, ჟურნალისა და სხვა ნებისმიერი გამოცემის ეკონომიკური საფუძვლების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, რაც პრესის დამოუკიდებლობის აუცილებელი წინაპირობაა.

პრესის თავისუფლებით დაცულია გამოცემის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ტენდენციის, მიმართულების დადგენის უფლებაც. შესაბამისად, პრესის თავისუფლება გამოცემლის ძირითადი უფლებაა. ეს გარანტია, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული, რადგან დაუმეხველია სახელმწიფომ რამე ზეგავლენა მოახდინოს პრესაზე (პრესის „გარეგანი თავისუფლება“). ამასთან ერთად, გამოცემელი არ არის უფლებამოსილი შეუზღუდავად და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს გაზეთის შინაარსი, რადგან არა მხოლოდ ის, არამედ რედაქტორებიც და ჟურნალისტებიც პრესის თავისუფლების ძირითადი უფლების მფლობელები არიან და საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ გამოიყენონ კიდევ ეს უფლება. პრობლემა შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, როცა გამოცემელი რედაქტორს, ეს უკანასკნელი კი ჟურნალისტს მიუთითებს, რომ რამე მოვლენის შესახებ კონკრეტული შინაარსის წერილი მოამზადოს. აქ საქმე გვაქვს ძირითადი უფლების მფლობელი სამი სუბიექტის ინტერესების კოლიზიასთან. ასეთი „კოლიზირებული“ მდგომარეობიდან გამომდინარე პრობლემები (პრესის „შინაგანი თავისუფლება“) ყოველ დაწესებულებაში შიდაორგანიზაციული წესებით უნდა მოწესრიგდეს, რომლებიც, თავის მხრივ, უნდა ითვალისწინებდეს მოცემული ძირითადი უფლებით ყველა სუბიექტისათვის უზრუნველყოფილ დაცვას.

პრესის თავისუფლებით გარანტირებულ უფლებათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელო-



ვანესია სარედაქციო საიდუმლოების დაცვა. თავისუფალი პრესის გამართულად ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა სარედაქციო საქმიანობაში ჩაურევლობა და საიდუმლოების აბსოლუტური დაცვა. სახელმწიფოს არა აქვს უფლება რამე საშუალებით ჩაერიოს გამოცემის სარედაქციო საქმიანობაში და შეიქმნას წარმოდგენა იმ მექანიზმებზე, რომელთა შედეგადც წარმოიშობა თავისუფალი გაზეთისა თუ ჟურნალის მომდევნო ნომერი. სარედაქციო საიდუმლოების დაცვა ნიშნავს არა მარტო გამოცემის თანამშრომელთა შორის წარმოებული საუბრებისა და კონტაქტების, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმ ურთიერთობის სანდობასა და გაუთქმელობას, რომელიც არსებობს ჟურნალისტებსა და ინფორმაციის მომწოდებლებს („ინფორმაციის წყარობს“, „ინფორმანტებს“) შორის. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ინფორმაციის საშუალებებმა შეძლონ თავიანთი ძირითადი ფუნქციის – ინფორმაციის მოპოვებისა და მიწოდების – სრულყოფილად შესრულება. ცნობილია, რომ ისინი ხშირად სარგებლობენ კერძო შეტყობინებებითა და ცნობებით, რომელთა მოპოვებაც მათ ზოგჯერ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ ინფორმანტი დარწმუნებულია, რომ მისი ანონიმურობა, თუკი მას ეს სურს, დაცული იქნება. ამ საკითხთან დაკავშირებით მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ კონკრეტული სასამართლო საქმე, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა იმის გამო, რომ ეს მოხდა საქართველოში:

2003 წელს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება გაზეთ „P.S.“-სა და ქუთაისის ვიცე-მერის ონისე უგრეხელიძეს შორის მიმდინარე დავის შესახებ. საქმის მასალების მიხედვით, გაზეთის რედაქციასა და ქალაქის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს შორის დავა წარმოიშვა გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის გამო, რომელშიც ურნალისტი გამოთქვამდა მოსაზრებას უგრეხელიძის ნათობის ბიზნესში მონაწილეობის შესახებ, ამასთან, სტატიაში მოცემული ინფორმაციის ზოგიერთი წყარო არ იყო დასაბუთებული. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოცემულ შემთხვევაში ურნალისტი მოქმედებდა კეთილსინდისიერად და არ დაურღვევია ურნალისტიკის ნორმები. მან გადაამოწმა ინფორმაცია სხვა წყაროებთან და კომენტარისათვის თავად ვიცე-მერსაც მიმართა. ვიცე-მერმა თავი აარიდა კომენტარს, თუმცა, გაზეთის შემდგომ ნომრებში ორჯერ დაიბეჭდა მისი კომენტარი, სადაც იგი უარყოფდა ნათობის ბიზნესში მონაწილეობას. სასამართლომ მიიჩნია, რომ ურნალისტმა თავის წერილში მხოლოდ მოსაზრება გამოთქვა, მაგრამ არსად არ ამტკიცებდა უგრეხელიძის მხრიდან კანონის ან მორალის ნორმების დარღვევას. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ურნალისტი ვალდებულია დააკმაყოფილოს ინფორმაციის მომწოდებელ პირთა თხოვნა მათი ავტორობის არგამხელის შესახებ, ამიტომ, რესპონდენტის თხოვნით, ურნალისტმა არ დაასახელა მისი ვინაობა. აღნიშნულის საფუძველზე, სასამართლომ ამ ნაწილში არ დააკმაყოფილა ვიცე-მერის სარჩელი.<sup>1</sup>

სარედაქციო საიდუმლოებასთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული შემთხვევა, როცა ერთმანეთს დაუპირისპირდა აზრისა და პრესის თავისუფლებები: 1977 წლის მარტიდან ივლისის ჩათვლით მწერალი გიუნტერ ვალრაფი ჰანს ესერის სახელითა და გვარი, ინკოგნიტოდ მუშაობდა გაზეთ „ბილდის“ ჰანოვერის რედაქციაში. მოგვიანებით მან გამოაქვეყნა წიგნი სათაურით: „გამოაშკარავება – ადამიანი, რომელიც „ბილდში“ ჰანს ესერი იყო“. ამ წიგნში

<sup>1</sup> იხ. „გამოხატვის თავისუფლება“ მე-2 ტომი, თბილისი, 2005, გვ. 438, საქმე „ონისე უგრეხელიძე „P.S.“-ისა და თინათინ დვალისშვილის წინააღმდეგ“, 2003 წლის 21 ივლისი.

მწერალი, გაზუთის რედაქციის საქმიანობის სხვა დეტალებთან ერთად, მოგვითხრობდა ერთ-ერთი სარედაქციო შეკრების შინაარსსა და მიმდინარეობაზე და სიტყვა-სიტყვით გადმოსცემდა მის მონაწილეთა მიერ გამოთქმულ აზრებს. გარდა ამისა, წიგნში გამოქვეყნებული იყო მწერლის მიერ მომზადებული მანუსკრიპტის გვერდის ფაქსიმილე, რომელიც პირადად ჰქონდა ჩასწორებული უფროს რეპორტიორს. ამ მანუსკრიპტის სურათის ქვეშ იყო ავტორის ასეთი მინაწერი: „მე მოვაშადა სტატია სათამაშო მოედნებზე. ეს სტატია საკუთრი ხელით გააყალბა ზივი ტრიკოლემ და ტექსტში ჩამატა ციტატები“.

ამ საქმის ზემოაღნიშნული განსაკუთრებულობა სწორედ ის იყო, რომ გიუნტერ ვალრაფსაც და გაზეთ „ბილდ“<sup>1</sup> შეეძლოთ საკუთარი უფლებების დასაცავა? გამოყენებინათ აზრისა და პრესის თავისუფლებები. ორივე მხარის ინტერესების, კერძოდ, ერთი მხრივ, შეძლებისდაგვარად სრულყოფილ ინფორმაციაზე საზოგადოების ინტერესისა და, მეორე მხრივ, მაქსიმალურად მშვიდ სარედაქციო საქმიანობაზე გაზეთ „ბილდის“ ინტერესის შედარებისა და აწონ-დაწონის შედეგად, გაირკვა, რომ სარედაქციო შეკრების შინაარსისა და მიმდინარეობის სიტყვა-სიტყვით გადმოცემა დაუშვებელი იყო. ეს, ერთი მხრივ, ნიშნავდა სარედაქციო საიდუმლოებაში მძიმე ჩარევას, მეორე მხრივ კი – არ ააშკარავებდა, რამე განსაკუთრებით მძიმე შეცდომას და ასევე არ აღწერდა რამე მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. სამაგიეროდ, დასაშვები იყო მანუსკრიპტის გვერდის გამოქვეყნება, რადგან იგი ეხებოდა მხოლოდ რედაქციის ცალკეულ თანამშრომლებს შორის ურთიერთობას და, მოსამართლეთა აზრით, სარედაქციო შეკრების დაწვრილებით გადმოცემასთან შედარებით გაცილებით ნაკლებად ერიოდა სარედაქციო საიდუმლოებაში!

სარედაქციო საიდუმლოების განსაკუთრებული მნიშვნელობა კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პრესის თავისუფლება იცავს მართლსაწინააღმდეგოდ მოპოვებული ინფორმაციების გავრცელებასაც. ეს არ ნიშნავს, რომ პრესა<sup>2</sup> უფლება აქვს ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო საშუალებით მოიპოვოს ინფორმაცია, მაგრამ, თუ ჟურნალისტი მიიღებს სხვის მიერ კანონის (მაგალითად, სამსახურებრივი საიდუმლოების ნორმათა) დარღვევით მოპოვებულ ინფორმაციებს, მათი გავრცელება უკვე პრესის თავისუფლების ნაწილია და დაუკულია ამ ძირითადი უფლებით პრესას რომ ასეთი ინფორმაციების გამოქვეყნების უფლება არ ჰქონდეს, იგი ზშირ შემთხვევაში ვერ შეძლებდა თავისი ძირითადი ფუნქციის – საჯარო დისკუსიისა და დებატების საშუალებით საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისა და ხელისუფლებისადმი საზოგადოებრივი კონტროლის ეფექტიან განხორციელებას.

პრესის თავისუფლებიდან გამომდინარეობს პრესის<sup>3</sup>, როგორც ინსტიტუტის, ძირითადი ფუნქცია და ჟურნალისტების, როგორც ინფორმაციის საშუალებათა თანამშრომლების, ყველაზე მნიშვნელოვანი უფლება – მოიძიონ, მიიღონ და გაავრცელონ ინფორმაცია. ამ უფლების განხორციელების მიზნით ჟურნალისტს შეუძლია შევიდეს ნებისმიერ დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, შეხვდეს თანამდებობის პირებს, მოითხოვოს საჭირო დოკუმენტები, ჩაიწეროს მასალა ნებისმიერი საშუალებით, გააშუქოს მასობრივი ღონისძიებები: შეკრებები, მანიფესტაციები, დემონსტრაციები, თავყრილობები და ა.შ. ჟურნალისტს უფლება აქვს არ გაამხილოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის

<sup>1</sup> იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ტ. 66, გვ. 116 და მომდევნო.

წყაროს შესახებ მონაცემები, აგრეთვე უარი თქვას რედაქციის კონკრეტული დავალბების შესრულებაზე, თუ მიაჩნია, რომ ეს დავალბება არღვევს კანონს, და თავისი პოზიციის დასაცავად გამოიყენოს პრესის თავისუფლების ძირითადი უფლება. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით განმტკიცებულია ჟურნალისტის ზემოაღნიშნული უფლებები და ხაზგასმულია, რომ გამოხატვის თავისუფლება (სხვასთან ერთად) ნიშნავს ჟურნალისტის უფლებას დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებები.<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2005 წლის 25 მარტს შეტანილი ცვლილებების მიხედვით ჟურნალისტი არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება მოწმის სახით პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, რომ პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებულია არა მარტო უფლებები, არამედ – გარკვეული ვალდებულებებიც. პრესა ვალდებულია არ გაავრცელოს აშკარად მცდარი ცნობები და მონაცემები. ეს ვალდებულება ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, დაუშვებელია სინამდვილის დაფარვა და გაყალბება, მეორე მხრივ კი – აუცილებელია სინამდვილის შესაბამისი ინფორმაციების გავრცელება. ეს ვალდებულება გამომდინარეობს არა მარტო კონკრეტულ ინფორმაციაში მოხსენიებულ პირთა ღირსებისა და პიროვნული უფლების დაცვის აუცილებლობიდან, არამედ იმ მოთხოვნიდან, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში საჯარო, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესი მხოლოდ მაშინ შეიძლება ნორმალურად და გონივრულად განვითარდეს, როცა იგი ნამდვილ ფაქტებსა და ინფორმაციებს ემყარება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჟურნალისტები და რედაქციო ვალდებული არიან გაავრცელონ მხოლოდ უტყუარი, ნამდვილი ფაქტები, ანუ მხოლოდ „სიმართლე“. მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ ამ „სიმართლის“ დასადგენად, ანუ ყველა საშუალებით ეცადონ გადაამოწონ და სხვა წყაროების დახმარებით დაადასტურონ მოპოვებული ინფორმაცია. თუ ამ ცდის მიუხედავად, ჟურნალისტები ვერ დაადგენენ „სიმართლეს“, მათ უფლება აქვთ გამოაქვეყნონ ის ინფორმაცია და შესაბამისი კომენტარები, რომლებიც მათ ხელთ აქვთ და იქვე მიუთითონ ამ ინფორმაციის გადამოწმების მცდელობების შესახებ. ამდენად, როცა პრესას აქვს კონკრეტული ინფორმაცია, ცდილობს, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ ახერხებს მის გადამოწმებას, თუმცა აქვს საფუძვლიანი ეჭვი ამ ინფორმაციის ნამდვილობაზე, მას უფლება აქვს გამოაქვეყნოს აღნიშნული ცნობები, მიუხედავად იმისა, რომ გამოაქვეყნების მომენტში მათი ნამდვილობა ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. ამასთან, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებელია მოპოვებული ინფორმაციიდან მნიშვნელოვანი ფაქტების დამალვა რამე მიზნით და შეგნებულად მხოლოდ „ნახევარი სიმართლის“ გავრცელება. ასევე დაუშვებელია, მაგალითად, საქვეყნოდ ცნობილ საზოგადო მოღვაწესთან ან საჯარო პირთან პირადი ცხოვრების შესახებ გამოგონილი, ჭორების საფუძველზე საკუთარი ფანტაზიით შეთხზული ინტერვიუს გამოქვეყნება და გავრცელება. ასეთ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ადამიანის ღირსებას და პიროვნულ უფლებებს. სწორედ ასეთი იყო სასამართლოს გადაწყვეტილება მონაკოს პრინცესა კაროლინასა და სახელგანთქმულ გერმანელ მოცურავესთან – ფრანცისკა ვან ალმზიკთან დაკავშირებულ საქმეზე, რომელთა შესახებაც ერთ-ერთი ჟურნალის გარეკანზე

<sup>1</sup> მ. 3, პ. 2, ქვა. „დ“.

<sup>2</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მ. 95, ნაწ. 1, ქვა. „ა“.

გამოქვეყნდა ცნობები ამ პირების (სინამდვილეში არარსებული) დაქორწინების განზრახვის შესახებ. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრესას უფლება აქვს ყურადღებით ჩატარებული კვლევის შემდეგ მკითხველს მოუთხროს იმ განზრახვებსა თუ გარემოებებზე, რომელთა ნამდვილობაც გამოქვეყნების მომენტში აბსოლუტური სიზუსტით არ არის დადგენილი. მაგრამ ისეთი ფაქტების გავრცელება, რომელთა სიყალბე წინასწარვე ცნობილია, რითაც მუდმივად ირღვევა კონკრეტული ფიზიკური პირის პიროვნული უფლებები, დაუშვებელია.<sup>1</sup>

როგორც აღინიშნა, პრესი თავისუფლება არა მარტო ფაქტებისა და ცნობების, არამედ მოსაზრებათა და შეფასებათა გავრცელებასაც მოიცავს. მოსაზრება და შეფასება კი ხშირად შეიძლება კრიტიკულიც იყოს. პრესის თავისუფლება არ არის აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლება და იგი შეიძლება შეიზღუდოს კონსტიტუციით განსაზღვრული პირობების საფუძველზე, მაგრამ დემოკრატიული სასოციალური სახელმწიფოს ყოველთვის უმჯობესია, რომ აღამაინებმა ღიად გამოთქვან თავიანთი აზრები და პრესისა და ტელევიზიის საშუალებით გააკრიტიკონ ყველაფერი, რასაც ისინი გასაკრიტიკებლად მიიჩნევენ, ვიდრე ღუმილით შეხედნენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. ამასთან დაკავშირებით, მეტად საინტერესოა პროფესიონალ კრიტიკოსთა მიერ გამოთქმული შეხედულებების სამართლებრივი მხარე. კრიტიკოსები ზომსწორად პრესითა და ტელევიზიით გავრცელებული შემოქმედებითი საქმიანობის შედეგების – გამოქვეყნებული ნაწარმოების, შესრულებული მუსიკის ან წარმოდგენილი ფილმისა თუ სპექტაკლის შეფასებით არიან დაკავებული და ხშირია შემთხვევა, როცა მათ მწვავე კრიტიკულ შეფასებას ზოგიერთი ავტორი ღირსების შელახვად და ზოგადი პიროვნული უფლების დარღვევად მიიჩნევს. ცნობილია აღმშოთხებული ავტორების მიერ კრიტიკოსთა შესახებ გამოთქმული რამდენიმე ფრაზა. მაგალითად, ერთ-ერთი კრიტიკოსის მიმართ გოეთეს აღმშოთხებას საზღვარი არ ჰქონდა. იგი ხმამაღლა გაყვიროდა: „მოკალით ეგ ძაღლი..., ეგ კრიტიკოსია;“ ერთ-ერთი ავტორი სარკასტულ პასუხს სწერდა კრიტიკოსს: „მე ვზივარ ჩემი სახლის ყველაზე პატარა ოთახში და თქვენი კრიტიკა წინ მაქვს, ცოტა ხანში კი უკან მექნება;“ კიდევ ერთი ცნობილი ავტორი: კი ცდილობდა სიმშვიდის შენარჩუნებას; და აღნიშნავდა: „ის მე მაკრიტიკებს, ე.ი. ვარ სეობ“ (პერიფრაზი დეკარტის ცნობილი გამოთქმისა: „cogito, ergo suri“).

კრიტიკის სამართლებრივი მნიშვნელობის შეფასებასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა და, შეიძლება ითქვას, სამაგალითოა ერთი სამოქალაქო სამართლებრივი დავა, რომელშიც მოსარჩელე იყო ღირიფორი ქალი, ხოლო მოპასუხე – გაზეთ „საღამოს“ რედაქტორი. სადავო გახდა აღნიშნულ გაზეთში 1955 წლის 18 ნოემბერს გამოქვეყნებული კრიტიკული შეფასება წინა დღეს გამართული კონცერტის თაობაზე. ღირიფორი უკვე სტატიის სათაურით იყო უქმყოფილო: „ევა სატარა ჯოხით“; ტექსტით კიდევ უფრო არასასიამოვნო იყო: „წლების წინ ქერათმიანი, ტემპერამენტით აღსაყვ ქალიშვილი იდგა პულტთან და მოსწავლეუთა კონცერტზე ღირიფორობდა ბერლიოზის უკერტიურას. გუმინ კი იმავე ადგილზე, მაგრამ უკვე ახალ დარბაზში იდგა იგივე მარტა ლინცი და ღირიფორობდა ბერლინის სიმფონიურ ორკესტრს“. კრიტიკოსის რეზიუმე ასეთი იყო: „ამ ხნის განმავლობაში მარტა ლინცი ვერ გახდა ღირიფორი“. პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა ღირიფორის სარჩელი. ეს გადაწყვეტილე-

<sup>1</sup> იხ. გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს (BGH) გადაწყვეტილება ჟურნალში NJW (Neue Juristische Wochenschrift) 1995 წ., მე-13 ნომერი, გვ. 861 და მომდევნო.

ბა ზემდგომი ინსტანციის სასამართლომაც დაადასტურა. სასამართლოთა არგუმენტაციის მიხედვით აღნიშნულ სტატიაში გამოთქმული კრიტიკა არ სცილდებოდა პროფესიული და შინაარსობრივი კრიტიკის ფარგლებს. ის გარემოება, რომ მოსარჩელის, როგორც ღირიყორის, მიერ განხორციელებული საქმიანობის დამკვირვებებს იმავდროულად ღირიყორი აღიქვამდა მისი, როგორც ადამიანის, პიროვნული უფლების შელახვად, მაინც ვერ უგულებელყოფდა კრიტიკოსის მიერ თავის შეხედულებათა გამოხატვის უფლებას. მოსარჩელე ასევე მიუთითებდა, რომ წინადადება – „ამ ხნის განმავლობაში მარტა ლინცი ვერ გახდა ღირიყორი“ – სრული სიცრუე იყო, რადგან ამ პერიოდში იგი ხუთ სხვადასხვა ორკესტრს ღირიყორობდა. სასამართლომ ეს არგუმენტაციაც უარყო და გააქარწყლა იმ დასაბუთებით, რომ სტატიის აშკარად გამოხატული სარკაზმი არ სცილდებოდა დასაშვებ ზღვარს, რომლის ფარგლებშიც კრიტიკას უფლება ჰქონდა ემოქმედა თავისუფალ კულტურულ ცხოვრებაში. აღნიშნული წინადადება ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენდა ღირიყორის შემოქმედებით საქმიანობის კრიტიკულ შეფასებას და არაფერი ჰქონდა საერთო მოსარჩელის მუსიკალურ წარსულთან, რის გამოც გაუგებარი იყო მოსარჩელის მტკიცება, რომ ამით იგი „სიბინძურეში ამოსვარეს“.

დაბოლოს, კრიტიკის მნიშვნელობასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ საქვეყნოდ ცნობილი გამონათქვამი კრიტიკოსთა საქმიანობის შესახებ: „რაც უნდა წერონ კრიტიკოსებმა, მათი კრიტიკა არასოდეს იქნება მათ დუმილზე უარესი“.

#### ბ) დაცულ სფეროში ჩარევა და მისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

პრესის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევა სახელმწიფოს ყველა ისეთი ღონისძიება, რომელიც პრესის საშუალების საქმიანობის შეჩერებას ან შეწყვეტას იწვევს. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, გაზეთების ან სარედაქციო დოკუმენტების ჩამორთმევა; სარედაქციო ოთახების ჩხრეკა ან სარედაქციო საიდუმლოების სხვაგვარი დარღვევა, პრესის საქმიანობის შესახებ ჩვენების გამოძალვა; სასამართლო პროცესებზე დაშვების შეზღუდვა და ა.შ. ამასთან, პრესის თავისუფლებით დაცულ სფეროში განხორციელებული სახელმწიფოებრივი ჩარევა შესაძლოა გამართლებული იყოს იმ შემთხვევებში, როცა ის ზორციელდება კანონის საფუძველზე, აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის და მიზნად ისახავს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ სიკეთეთა დაცვას.

აღსანიშნავია, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით,<sup>1</sup> კონსტიტუციის 24-ე მუხლის შესაბამისად, პრესის თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით დაზუსტდა და განისაზღვრა დაცულ სფეროში ჩარევის პროცედურა. კანონის მიხედვით, პრესის თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზნმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღუმატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს.“<sup>2</sup> „ნათელი და განჭვრეტადი კანონი“ ნიშნავს ჯეროვანი სიზუსტით ფორმულირებულ ნორმას, რომელიც არ შეიცავს

<sup>1</sup> 2004 წლის 24 ივნისი.

<sup>2</sup> ა. 8, პ. 1.

ზოგად, ორაზროვან და ბუნდოვან დებულებებს და პირს აძლევს საშუალებას დაარეგულიროს საკუთარი მოქმედება, აგრეთვე წინასწარ, ცხადად განსაზღვროს მისი სამართლებრივი შედეგები.<sup>1</sup> „ეიწროდ მიზანმიმართული კანონი“ კი გულისხმობს ნორმას, რომელიც აწესებს შეზღუდვის პირდაპირ მოთხოვნას, კონკრეტულ კრიტიკიუმებსა და ამომწურავ ჩამონათვალს და შეიცავს ამ ნორმის არამიზნობრივად გამოყენების საწინააღმდეგო გარანტიებს.<sup>2</sup> გარდა ამისა, კანონი ასევე უნდა იყოს: (1) პირდაპირ მიმართული ლეგიტიმური მიზნების განხორციელებისაკენ; (2) კრიტიკულად აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის; (3) არადისკრიმინაციული და (4) პროორციულად შემზღუდევი. როგორც უკვე აღინიშნა, ლეგიტიმური საჯარო მიზნები ჩამოთვლილია კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტში. დემოკრატიული საზოგადოებისათვის კრიტიკულად აუცილებელი შეზღუდვა კი ნიშნავს ლეგიტიმური მიზნიდან გამომდინარე შეზღუდვას, რომელიც ემსახურება დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის შეუცვლელი და სისიცოცხლო მნიშვნელობის სიკეთის დაცვას და რომელიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როცა ამოწურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ყველა სხვა გონივრული და ქმედითი შესაძლებლობა.<sup>3</sup> არადისკრიმინაციულობის პრინციპით იკრძალება გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღების აკრძალვა და დგინდება თანაბარი მოპყრობის ვალდებულება.<sup>4</sup> პროპორციული შეზღუდვის პრინციპი კი მოითხოვს, რომ ძირითადი უფლების შეზღუდვა იყოს ლეგიტიმური მიზნისა და კრიტიკული აუცილებლობის შესაბამისი, რომელიც ამ მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი და ყველაზე ნაკლებად შემზღუდავი საშუალებაა. უფრო მკაცრი ზომების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა სხვაგვარად შეუძლებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა და კრიტიკული აუცილებლობის მოთხოვნის დაკმაყოფილება.<sup>5</sup> პრესის თავისუფლებით დაცულ სფეროში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი ჩარევის შემოწმება სასამართლომ უნდა განხორციელოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით დადგენილ დებულებებსა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის ზემოხსენებულ ნორმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

გარდა ზემოთქმულისა, პრესის თავისუფლებით დაცულ სფეროში სახელმწიფოს ჩარევის შინაარსის განსაზღვრისას აუცილებელია პრესისა და აზრის თავისუფლებებით დაცული სფეროების მკვეთრი გამოიჯეხა. როგორც ცნობილია, პრესისა და აზრის თავისუფლებები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მოქალაქეთა და პოლიტიკოსთა მოსაზრებები სწორედ პრესის საშუალებით მიეწოდება საზოგადოებას; პრესა უზრუნველყოფს საჯარო დისკუსიას და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოებმა ზუსტად განსაზღვრონ, რა შემთხვევაში უნდა შეამოწმონ განსახილველი დაცვის შინაარსი და გარემოებები პრესის თავისუფლებისა და რა შემთხვევაში – აზრის თავისუფლების საფუძველზე. აქ ყურადღება უნდა მიექცეს უმთავრეს კარგებებს – დაცულ სფეროს: პრესის თავისუ-

<sup>1</sup> მ. 1, ქაბ. “ა”.  
<sup>2</sup> მ. 1, ქაბ. “უ”.  
<sup>3</sup> მ. 1, ქაბ. “ტ”.  
<sup>4</sup> მ. 1, ქაბ. “ს”.  
<sup>5</sup> მ. 1, ქაბ. “უ”.

ფლებით დაცული სფერო ირდევია იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება პრესის სფეროში დასაქმებულ პირთა მიერ თავიანთი ფუნქციების განხორციელებას, თავად გამოცემას (გაზეთისა თუ ჟურნალის კონკრეტულ ნომერს), პრესის ინსტიტუციური-ორგანიზაციული საქმიანობის პირობებსა და ძირითად წესებს ან ზოგადად თავისუფალ პრესას, როგორც ინსტიტუტს. მაგრამ, როცა დება საკითხი – დასაშვებია იყო თუ არა რომელიმე კონკრეტული მოსაზრება თუ შეხედულება ან უნდა მოითმინოს და აიტანოს თუ არა კონკრეტულმა პირმა მასზე გამოთქმული და პრესის საშუალებით გავრცელებული, მისთვის არასასიამოვნო შეფასებები და კრიტიკა, ასეთ შემთხვევებში, მიუხედავად ამ გამოცემის გავრცელების რაოდენობისა და არეალისა, შემოწმების საფუძველს წარმოადგენს აზრის თავისუფლების ძირითადი უფლება. შესაბამისად, აუცილებელია, რომ სასამართლოებმა იმ მოსაზრებათა და შეხედულებათა დასაშვებობის საკითხი, რომლებიც გადმოცემულია წიგნებში, ჟურნალებში, გაზეთებში, საინფორმაციო ფურცლებსა და პლაკატებზე, ანუ იმ საშუალებებით, რომლებსაც „პრესის“ ცნება მოიცავს, უნდა განიხილონ მხოლოდ აზრის (და არა პრესის) თავისუფლების ძირითად უფლებასთან მიმართებით საქმის კონკრეტული გარემოებების შემოწმების საფუძველზე.

გარდა 24-ე მუხლით განსაზღვრული პრესის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობებისა, საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა, აზრის თავისუფლების მსგავსად, პრესის თავისუფლება უპირისპირდება ადამიანის ღირსებას და პიროვნულ უფლებებს და ამ კოლიზიის გადაწყვეტისას ღირსებას და პიროვნულ უფლებებს შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა, ანუ პრესის თავისუფლება შეიზღუდოს. საყურადღებოა, რომ ამ ძირითად უფლებათაგან არც ერთს არა აქვს რამე უპირატესობა მეორის მიმართ. ამიტომ, კონკრეტულ შემთხვევაში მოცემული გარემოებების მიხედვით, უნდა მოხდეს კოლიზირებული ძირითადი უფლებების შედარება და აწონდაწონა. ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არაერთხელ აღნიშნულ თანაბრობის პრინციპს. ამ წესის მიხედვით, ყოველთვის, როცა საქმე ეხება საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის საგანს ან საჯარო პირს, თავიდანვე გამოითქმის ვარაუდი პრესისა და ელექტრონული მედიის თავისუფლების, ანუ თავისუფალი საჯარო დისკუსიის სასარგებლოდ.

გარდა იმისა, რომ ადამიანის პიროვნულ უფლებებსა და პრესის თავისუფლებას შორის კოლიზიის შემთხვევების გადაწყვეტისას გამოიყენება მხარეთა ინტერესების შედარების მეთოდი, უნდა დადგინდეს აგრეთვე საზოგადოების განსაკუთრებული ლეგიტიმური ინტერესის არსებობა, რაც ხორციელდება ე.წ. „პიროვნული“ და „შინაარსობრივი“ მასშტაბების საფუძველზე. პიროვნული მასშტაბის დროს ივარაუდება საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება საჯარო პირს, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მყოფ პიროვნებას და მის საქმიანობას. შინაარსობრივი მასშტაბის დროს კი საქმე გვაქვს საგანთან ან მოვლენასთან, რომლის მიმართაც არსებობს საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი. რის გამოც გამართლებულია ამ საკითხზე საჯარო დისკუსიისა და დებატების, ხშირად კი მწვავე, ბევრისათვის არასასიამოვნო და აღმაფოთებელი კრიტიკის გამოთქმა და კამათის გამართვა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რამდენიმე გადაწყვეტილებაში ხაზი გაუსვა ზემოაღნიშნულ შემთხვევებში პრესის განსაკუთრებულ როლს და მის უპირატესობას დაპირისპირებულ კონსტიტუციურ სიკეთეთა მიმართ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ძირითადი ფუნდამენტია და მისი პროგრესისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ძირითად პირობაა. იგი უზრუნველყოფს არა მარტო ყველასათვის მისაღები, სასიამოვნო და საინტერესო ინფორმაციის, მოსაზრებებისა და იდეების გავრცელებას, არამედ ისეთი ცნობების გავრცელებასაც, რომლებიც ბევრისათვის შეურაცხყოფელი, აღმამფრთხი და არასასიამოვნოა. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და გახსნილობის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს „დემოკრატიული საზოგადოებ“<sup>1</sup> ამასთან ერთად, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნულ პრინციპებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როცა საქმე პრესას ეხება. იმ შემთხვევაშიც კი, როცა პრესამ არ უნდა გადააბიჯოს სხვა პირთა ღირსებისა და პიროვნული უფლებების დაცვისათვის დადგენილ ზღვარს, მას უფლება აქვს განახორციელოს თავისი ძირითადი ფუნქცია: ინფორმაციისა და მოსაზრებების მოპოვება და გავრცელება როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებისათვის განსაკუთრებულად საინტერესო ნებისმიერ სხვა საკითხზე. უფრო მეტიც, პრესის თავისუფლება საზოგადოებისათვის პოლიტიკურ ლიდერთა იდეებისა და საქმიანობის წარმოჩენისა და მათზე საზოგადოებრივი აზრის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი და საუკეთესო საშუალებაა. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური დებატების თავისუფლება საფუძვლად უდევს დემოკრატიული საზოგადოების შესახებ კონცეფციას, რასაც უმთავრესი ადგილი უჭირავს კონვენციამი.<sup>2</sup>

საქმეზე „სანდი თაიში“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ<sup>3</sup> სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პრესამ თავისი (ზემოაღნიშნული) ძირითადი ფუნქცია ეფექტიანად უნდა შეასრულოს მართლმსაჯულების ობიექტურ განხორციელებასთან დაკავშირებით. მართალია, დავის განხილვისა და გადაწყვეტის დამოუკიდებელი ფორუმი სასამართლოა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დავის წინასწარი განსჯა და განხილვა არ შეიძლება გაიმართოს კიდევ სადღაც, მაგალითად, პროფესიულ ჟურნალში, მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებასა და, შესაბამისად, საზოგადოების ფართო ფენებში. ბუნებრივია, პრესამ ხელი არ უნდა შეუშალოს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპს, მაგრამ პრესას აქვს უფლება და თანაც საზოგადოების წინაშე ვალდებულებაც მოიპოვოს და გაავრცელოს ინფორმაცია და შეხედულებები, რომლებიც სასამართლოთა საქმიანობას ეხება.<sup>3</sup>

პრესის თავისუფლება შეიძლება დაარღვევს სახელმწიფოს მიერ კონკრეტული გაზეთისა თუ ჟურნალის დაფინანსებით. სახელმწიფოს მიერ პრესის ცალკეული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების დაფინანსება და მათთვის ხელის შეწყობა, ანუ ე.წ. სელექციური დახმარება აუარესებს კონკურენციას ამ სფეროში მოქმედ საწარმოთა შორის. ეს კი არღვევს იმ საწარმოთა პრესის თავისუფლებით დაცულ სფეროს, რომლებსაც სახელმწიფო არ ეხმარება. ამდენად, ასეთი მოქმედების

<sup>1</sup> იხ. *ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (Lingens v. Austria)*, 1986 წლის 24 ივნისი; *კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ (Castels v. Spain)*, 1992 წლის 23 აპრილი; აგრეთვე პენლისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Handyside v. the United Kingdom*), 1976 წლის 7 დეკემბერი.

<sup>2</sup> *ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (Lingens v. Austria)*, 1986 წლის 24 ივნისი.

<sup>3</sup> „სანდი თაიში“ *გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ („Sunday Times“ v. the United Kingdom)*, 1979 წლის 26 აპრილი; იხ. აგრეთვე *პრაგერი და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ (Pragger and Oberschlik v. Austria)*, 1995 წლის 26 აპრილი.



განსახორციელებლად სახელმწიფოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესაბამისი კანონიერი საფუძველი. გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, პრესის თავისუფლების ძირითადი უფლება დაცვით ფუნქციასთან ერთად შეიცავს ე.წ. გარანტიის ფუნქციას სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობის შესახებ (ინსტიტუციური გარანტია). როცა სახელმწიფო სელექციური დახმარებით ერევა პრესის თავისუფლებაში, იქმნება იმის საფრთხე, რომ საწარმოები, რომლებსაც სახელმწიფო ეხმარება, უარს იტყვიან სახელმწიფოს მიმართ თავიანთ ნეიტრალიტეტზე, რათა შეინარჩუნონ მომავალში ასეთი დახმარების მიღების შანსი. სათანადო კანონიერი საფუძვლის არსებობა ამის გამოც აუცილებელია, თუმცა ასეთი საფუძვლის არსებობის შემთხვევაშიც კი დაუშვებელია, რომ სახელმწიფოს დახმარებით განხორციელდეს გარკვეული მოსაზრებების გავრცელებისა და ტენდენციების განვითარების ხელშეწყობა ან დაბრკოლება. პრესის თავისუფლება ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებით სახელმწიფოსაგან მოითხოვს ნეიტრალიტეტის დაცვას, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსაზრებათა და შეხედულებათა შინაარსის მიხედვით დიფერენცირება დაუშვებელია. ამასთან, პრესის საწარმოს დამფუძნებლებს (პრესის თავისუფლებიდან და კონკურენციის განვითარების სახელმწიფოებრივი ვალდებულებიდან გამომდინარე) აქვთ სუბიექტური დაცვის უფლება, რომელიც მიმართულია კონკურენტთა დაფინანსების დაბრკოლებისა და თავიდან აცილებისაკენ (ე.წ. კონკურენტებისაკენ მიმართული დაცვითი სარჩელი), გამომცემლებს კი (თანასწორობის ძირითადი უფლებიდან გამომდინარე) აქვთ თანასწორუფლებიანობისა და თანაზომიერად მოპყრობის მოთხოვნის უფლება (ე.წ. მონაწილეთა კონკურენტული სარჩელი).

### 3. ელემტარული მედიის თავისუფლება

#### ა) შესავალი

ელექტრონული მედიის თავისუფლება (შემდგომში „ელ. მედიის თავისუფლება“) გულისხმობს რადიო- და სატელევიზიო კომპანიათა თავისუფლებას. ელ. მედიის თავისუფლებაზე ვრცელდება ყოველივე ის, რაც ზემოთ უკვე ითქვა პრესის თავისუფლების შესახებ. მნიშვნელობისა და შინაარსის მიხედვით, ელ. მედიის თავისუფლება არ განსხვავდება პრესის თავისუფლებისაგან. ისევე, როგორც თავისუფალი პრესა, დამოუკიდებელი, სახელმწიფო ზეგავლენისა და ცენზურისაგან თავისუფალი ელ. მედია დემოკრატიული წესწყობილების არსებითი შემადგენელი ნაწილი და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ელემენტია. პრესის თავისუფლების მსგავსად, ელ. მედიის თავისუფლებაც მოიცავს ინსტიტუციურ გარანტიას და მედიის ცალკეულ თანამშრომელთა ძირითადი უფლების გარანტიას. საბოლოოდ, პრესისა და ელ. მედიის თავისუფლებათა საშუალებით გარანტირებულია დემოკრატიული სახელმწიფოსათვის აუცილებელი ატრიბუტი: ცნობების, ინფორმაციის, საზოგადოებრივი ჯგუფებისა და პოლიტიკური გაერთიანებების მოსაზრებათა შეუფერხებელი მოძიება და გავრცელება, ამის საფუძველზე კი – საჯარო დისკუსიის მუდმივი მიმდინარეობა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება.


მიუხედავად ზემოთქმულისა, ელ. მედიის თავისუფლებას ახასიათებს გარკვეული თავისებურებები, რითაც იგი საგრძნობლად განსხვავდება პრესის თავისუფლებისაგან. ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ სწორედ ამ თავისებურებებს.

**ბ) ცნება და დაცული სფერო**

ელ. მედიის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულია ელ. მედიის შექმნასთან დაკავშირებული მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საქმიანობა, დაწყებული გადაცემისათვის პროდუქციისა და ინფორმაციის მოპოვებით და დამთავრებული მათი გავრცელებით. თავად ელ. მედია ნიშნავს ყოველგვარი სახის ე.წ. გამოსახვითი ნაშრომების (გამოსახულებათა) და აუდიონაწარმის შექმნასა და გავრცელებას ელექტრომაგნიტური ტალღების საშუალებით. უფრო კონკრეტულად, ეს არის აუდიო- და ვიდეოკავშირის გამოყენებით ინფორმაციის მოპოვება და გადაცემა. ამასთან, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ამ გამოსახულებათა და აუდიოსიგნალების გავრცელება ხორციელდება კაბელების საშუალებით თუ ყოველგვარი კაბელისა და ქსელის გარეშე. ამდენად, ელ. მედიის თავისუფლება პრესის თავისუფლებისაგან განსხვავდება, უპირველეს ყოვლისა, ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების ტექნიკური საშუალებებით.

ასევე არა აქვს მნიშვნელობა გავრცელებული გამოსახულებებისა და აუდიოსიგნალების შინაარსს. ელ. მედიის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულია ინფორმაციისა და აზრების ნებისმიერი ფორმატით გავრცელება: იგი იცავს ყველა გადაცემას, მიუხედავად მათი შინაარსისა და „სერიოზულობისა“. თანაბრად არის დაცული აუდიო- და ვიდეოინფორმაცია, ცნობები, კომენტარები, რადიო- და სატელევიზიო თამაშები, პოლიტიკური, შემეცნებითი, მუსიკალური, გასართობი, სპორტული და სხვა სახის გადაცემები. ასევე დაცულია სარეკლამო გადაცემები. ეს დაცვა მოქმედებს მაშინაც, როცა რეკლამა პროგრამის დაფინანსებას ემსახურება.

საჭიროების შემთხვევაში ამ ძირითადი უფლებით სარგებლობა შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს. აქ, უპირველეს ყოვლისა, კერძო სამართლის იურიდიული პირები იგულისხმება, თუმცა იგივე შეიძლება ითქვას საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე – ტელერადიოკომპანიებზეც. როგორც აღინიშნა, ზოგადად საჯარო სამართლის იურიდიული პირები ვერ იყენებენ ძირითად უფლებებს; არსებობს მხოლოდ ოთხი გამონაკლისი, რომელთაგან ერთი სწორედ ელ. მედიის თავისუფლების ძირითად უფლებას უკავშირდება. ამ გამონაკლისის საფუძველია ის გარემოება,



რომ სხვაგვარად ვერ იქნება უზრუნველყოფილი ასეთ მნიშვნელოვან სფეროში მოქმედი კომპანიის დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან.

მოცემულ სფეროში გარკვეული სირთულე წარმოიშობა ელ. მედიის თავისებურებიდან, რაც ამ სფეროში პრესის სფეროსაგან განსხვავებული ვითარების არსებობით გამოიხატება. ეს განსაკუთრებული ვითარება იმით ხასიათდება, რომ გადაცემი ტალღების სიმცირისა და რადიო-თუ სატელევიზიო საქმიანობასთან დაკავშირებული დიდი ფინანსური დანახარჯების გამო ამ საქმიანობის განხორციელების მსურველთა რაოდენობა შედარებით მცირეა. ასეთ მდგომარეობაში ელ. მედიის საშუალებით საზოგადოებრივი აზრის თავისუფალი ჩამოყალიბების პროცესი, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით კატეგორიულად მოითხოვს რადიო- და სატელევიზიო კომპანიების თავისუფლებას და სახელმწიფო ზეგავლენისაგან დამოუკიდებლობას. მაგრამ ამით ელ. მედიის თავისუფლება ვერ კიდევ არ არის სრულად უზრუნველყოფილი. სახელმწიფომ არა მხოლოდ (ნეგატიურად და პასიურად) არ უნდა მოახდინოს ზეგავლენა ელ. მედიაზე, არამედ, იმავდროულად (პოზიტიურად და აქტიურად) უნდა შექმნას ამ სფეროში ისეთი სამართლებრივი წესრიგი, რომლითაც გარანტირებული იქნება საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვანი შეხედულებების შეძლებისდაგვარად პროპორციულად ასახვა რადიოსა და ტელევიზიაში და საზოგადოებისათვის სრულყოფილი და ყოელისმომცველი ინფორმაციის მიწოდება. ამასთან, დაუშვებელია, რადიო- და სატელევიზიო კომპანიები განიცდიდნენ რამე გავლენას სახელმწიფოს ან გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფების მხრიდან. განსაკუთრებით საჯარო სამართლის იურიდიული პირები სტრუქტურულად იმგვარად უნდა იყვნენ ორგანიზებული, რომ არა მარტო სახელმწიფოს, არამედ ყველას შეეძლოს საკუთარი აზრის გამოთქმა.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ტექნიკური საშუალებები (სატელიტური კავშირი, საკაბელო ტელევიზია და ა.შ.) ამცირებს იმ ზღვარს, რომელიც ადრე წარმოქმნილი იყო გადაცემი ტალღების სიმცირისა და დიდი ფინანსური დანახარჯების გამო. მაგრამ ასეთ ვითარებაშიც სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს აზრებისა და შეხედულებების მრავალფეროვნების გადმოცემა როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირების – რადიო- და სატელევიზიო კომპანიების – მეშვეობით; ამავე დროს, იგი ყველა საშუალებით უნდა შეეცადოს აღკვეთოს მოსაზრებათა გადმოცემის მონოპოლიზაცია და ბოროტად გამოყენება. აწორედ ამას მოითხოვს სახელმწიფოსაგან კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც კრძალავს მასობრივი ინფორმაციისა და მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციას. ამასთან, ელ. მედიის თავისუფლება მოითხოვს, რომ კანონმდებელმა თვითონ, კანონის საშუალებით განსაზღვროს კერძო რადიო- და სატელევიზიო სადგურებისათვის უარის თქმის ან ნებართვის (ლიცენზიის) გაცემის წინაპირობები. ამ დროს კანონმდებელმა დამატებითი მოთხოვნებისა და წესების დადგენის უფლება არ უნდა გადაულოცოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, ანუ კანონქვემდებარე აქტებს.

ელ. მედიის თავისუფლება მოიცავს აგრეთვე რადიო- და სატელევიზიო სადგურების უფლებას სახელმწიფო ზეგავლენისაგან დამოუკიდებლად და თავისუფლად მიიღონ გადაწყვეტილება იმ თანამშრომელთა არჩევის, დანიშვნისა და დასაქმების შესახებ, რომლებიც გადაცემათა შინაარსზე მუშაობენ. იმისათვის, რომ რადიო- და სატელევიზიო სადგურები სისტემატურად ითვალისწინებდნენ მსმენელთა და მაყურებელთა მუდმივად ცვალებად საინფორმაციო მოთხოვნებსა და ინტერესებს, შესაძლოა აუცილებელი

იყოს, რომ ეს თანამშრომლები ხელმძღვანელობამ არა უვადოდ, არამედ განსაზღვრული ვადით დაასაქმოს. ელ. მედიის თავისუფლება საფუძველს უყრის იმ მიდგომას, რომ ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები ამ სფეროში უფრო მიზანშეწონილი და გონივრულია, ვიდრე სხვა სფეროებში.

**გ) დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი**

ელ. მედიის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევასთან დაკავშირებით, თავდაპირველად შეიძლება ითქვას ყოველივე ის, რაც უკვე აღინიშნა პრესის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევის განხილვისას. ეს იმას ნიშნავს, რომ დაცულ სფეროში ჩარევა ხდება ყველა შემთხვევაში, როცა სახელმწიფო სხვადასხვა სახის ღონისძიებით ტელერადიო კომპანიებს ხელს უშლის ამ ძირითადი უფლებით დაცული საქმიანობის განხორციელებაში. განსაკუთრებით სერიოზული და მძიმეა ჩარევა, როცა ეს ეხება სახელმწიფოს გავლენას პროგრამების შერჩევაზე, შინაარსსა და ფორმირებაზე, აგრეთვე გადაცემის ეთერში გაშვებაზე სახელმწიფო თანხმობის აუცილებლობას. თუმცა, პრესის თავისუფლების მსგავსად, ელ. მედიის თავისუფლებით დაცულ სფეროში განხორციელებული სახელმწიფოებრივი ჩარევა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ის ხორციელდება კანონის საფუძველზე, აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის და მიზნად ისახავს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ სიკეთეთა დაცვას. აქ ასევე მოქმედებს „სიტყვისა და გამოსატყვის თავისუფლების შესახებ“ კანონის შესაბამისი დებულებები, რომლებიც დაწერილებითაა ასახული პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებით.

მაგალითის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ელ. მედიის თავისუფლებით დაცულ სფეროში კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებულ ჩარევად იქნა მიჩნეული პროკურატურის მიერ სატელევიზიო კომპანიისათვის ვიდეომასალის ჩამორთმევა. ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა გერმანიის ერთ-ერთ ცენტრალურ და ყველაზე პოპულარულ ტელეკომპანიას – „ZDF“-ს, რომლის თანამშრომლებიც 1986 წელს ვიდეოაპარატურით იღებდნენ ატომურ სადგურ „ბროკლორფთან“ გამართული საპროტესტო დემონსტრაციის მიმდინარეობას. დემონსტრაციას დიდი არეულობა მოჰყვა პოლიციისა და მონაწილეების დაპირისპირების შედეგად. პროკურატურამ აღძრა საქმე და დაიწყო გამოძიება როგორც დემონსტრანტთა, ისე პოლიციის თანამშრომელთა მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მკვლელობის ცდისა და სხეულის დაზიანების ბრალდებით. პროკურატურამ „ZDF“-ს მოსთხოვა გამოძიებისათვის გადაეცა მისი თანამშრომლების მიერ გადაღებული, მაგრამ ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ვიდეომასალის ასლი. „ZDF“-ს არ სურდა ამ მასალის გამჟღავნება; იგი თანახმა იყო მხოლოდ იმ ნაწილის გაცემაზე, რომელიც უკვე გადაიცა ეთერით. მხოლოდ მას შემდეგ, რაც კომპეტენტურმა სასამართლომ ბრძანა „ZDF“-ის ოფისის გაჩხრეკა და „ბროკლორფის“ დემონსტრაციის შესახებ არსებული ყველა ვიდეომასალის ამოღება, „ZDF“-მა გასცა ეს მასალები, მაგრამ თან სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს.

სასამართლომ შეიძინა, რომ ამ შემთხვევაში ჩხრეკა და ამოღება დასაშვები იყო. მართალია, ეს ღონისძიება აშკარა ჩარევა იყო ელ. მედიის თავისუფლებაში, მაგრამ იგი გამართლებული იყო, რადგან ეყრდნობოდა კანონს, კერძოდ, სისხლის სამართ-

ლის საპროცესო კოდექსის დებულებებს, რომლებითაც განსაზღვრულია დანაშაულთა გახსნის მიზნით გარკვეული მტკიცებულებების მოპოვებისა და ამოღების აუცილებლობა (აქ არ არსებობდა ინფორმაციის დაცვის პრობლემა, რადგან „ZDF“-მა აღნიშნული მასალა თვითონ შექმნა). „ZDF“-ის ინტერესებისა და სახელმწიფოს (პროკურატურის) ინტერესების შედარებისა და აწონ-დაწონის დროს ასევე გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ საქმე ეხებოდა სისხლის სამართლის მიმე დანაშაულს, რომლის ჩადენაც ბრალად ედებოდათ არა მარტო დემონსტრანტებს, არამედ პოლიციელებსაც; გარდა ამისა, მოვლენები ღიად და საჯაროდ, ყველას თვალწინ განვითარდა, ასე რომ, ისინი „ZDF“-ის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა.<sup>1</sup>

ელ. მედიის თავისუფლებით დაცულ სფეროში გაუმართლებელი ჩარევის განსაკუთრებული შემთხვევაა ცენზურის დაწესება. საინტერესოა, რომ საქვეყნოდ ცნობილი გამონათქვამის მიხედვით, „მსოფლიოში არსებობს ორი საშინელი და, რომელთაგან უმცროსს ცენზურა ჰქვია, უფროსს კი – ინკვიზიცია“. როგორც ვიცით, „ინკვიზიცია“ რამდენიმე საუკუნის წინათ „გარდაიცვალა“, „ცენზურა“ კი ზოგ სახელმწიფოში დღესაც ცოცხალია.

საქართველოში ცენზურა მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე არსებობდა, 1995 წლის კონსტიტუციით კი ოფიციალურად გაუქმდა. კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მეორე წინადადებით ცენზურა აკრძალულია („ცენზურა დაუშვებელია“). აკრძალვა მოქმედებს როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ისე აზრის თავისუფლების მიმართ. „ცენზურის“ ცნებაში იგულისხმება მხოლოდ ე.წ. წინასწარი ცენზურა, რომელიც მოიცავს ყოველგვარ შემზღუდავ ღონისძიებას ინტელექტუალური ნაწარმოების (მოსაზრების, საგაზეთო წერილის, წიგნის, ფილმის, მუსიკის, რადიო- თუ სატელევიზიო გადაცემის) შექმნისა და გავრცელების პროცესში, მათ შორის, სახელმწიფო ორგანოს მიერ ნაწარმოების შინაარსის წინასწარ შემოწმებას და მის გავრცელებაზე ნებართვის გაცემას. ასეთი პრევენციული კონტროლის მექანიზმის არსებობაც კი, მიუხედავად იმისა, იგი ფორმალურად მოქმედებს თუ არა, დემოკრატიული წესწყობილებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ აზრთა ჭიდილს, საზოგადოებრივ დისკუსიას და ადამიანთა ინტელექტუალურ ცხოვრებას სერიოზულად შეაფერხებს და უდიდეს ნეგატიურ გავლენას მოახდენს მასზე. სწორედ ამიტომ ცენზურის აკრძალვის პრინციპიდან არ არსებობს არავითარი გამონაკლისი, იგი აბსოლუტურად შეუზღუდავია.

ცენზურასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“, რომლითაც სასამართლომ ცენზურის გარკვეულ სახედ მიიჩნია ავსტრიის სასამართლოს მიერ სტატიის ავტორისათვის ჯარიმის დაკისრება და აღნიშნა, რომ ასეთ სასჯელსაც კი შეეძლო დაემინებინა ავტორი მომავალში მსგავსი კრიტიკული გამოსვლისაგან. პოლიტიკური დებატების კონტექსტში კი ასეთი განაჩენი ხელს შეუშლის ჟურნალისტებს თავიანთი განსაკუთრებული წვლილი შეიტანონ იმ საკითხთა საჯაროდ განხილვაში, რომლებიც გავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრებაზე და რომელთა მიმართაც არსებობს საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი. ამგვარმა სანქციამ შესაძლოა ასევე

<sup>1</sup> იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ტ. 77, გვ. 65 და მომდევნო.

ხელი შეუშალოს პრესას ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოებრივი ინტერესების დარაჯის ფუნქციის შესრულებისას.<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ ცენზურის აკრძალვა გამორიცხავს რადიო- და სატელევიზიო კომპანიების მხრიდან იმ საარჩევნო რეკლამებისა თუ გადაცემების შინაარსობრივ შემოწმებას, რომლებსაც პოლიტიკური პარტიები მათთვის ოფიციალურად გამოყოფილი საეთერო დროის ფარგლებში ავრცელებენ. ამდენად, რადიო- თუ სატელევიზიო კომპანიის ხელმძღვანელს არა აქვს უფლება, რამე საფუძვლით აკრძალოს ასეთი გადაცემების ეთერში გაშვება. მას უფლება აქვს შეამოწმოს და გააკრიტიკოს საერთოდ წარმოადგენს თუ არა მოცემული სიუჟეტი საარჩევნო რეკლამას და აშკარად ხომ არ მოუწოდებს იგი მსმენელსა თუ მაყურებელს კონსტიტუციური წესრიგის საწინააღმდეგო გამოხველებისა და დანაშაულებრივი მოქმედებების ჩადენისაკენ.

### 3. საქართველოს კანონმდებლობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ

განსახილველ ძირითად უფლებასთან დაკავშირებით, საინტერესოა ის გარემოება, რომ საქართველოში 1991 წლის 10 აგვისტოდან 2004 წლის 24 ივნისამდე მოქმედებდა კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“. კონსტიტუციის მიღების შემდეგ, 1997 წელს, ამ კანონში შეიტანეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რის გამოც იგი განვილილი 13 წლის განმავლობაში მოცემულ სფეროში მოქმედი ძირითადი საკანონმდებლო აქტი იყო. მიუხედავად 1997 წელს განხორციელებული ცვლილებებისა, კანონი მაინც შეიცვალა რამდენიმე ნორმას, რომელთა კონსტიტუციურობაც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ერთ-ერთი მათგანი იყო მე-9 მუხლის დეზულება, რომელიც მხოლოდ 18 წლის ასაკს მიღწეულ პირებს აძლევდა გაზეთისა და ჟურნალის დაარსების უფლებას. ეს დეზულება არ შეესაბამება პრესის თავისუფლების ძირითადი უფლების მოთხოვნებს, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, პრესის თავისუფლებით დაცულია არასრულწლოვანთა (18 წლის ასაკს მიუღწეველ პირთა) საქმიანობაც, ანუ სკოლებში გამოცემული სასკოლო გაზეთები თუ ნებისმიერი სხვა სახის საინფორმაციო ფურცლები. კიდევ უფრო აშკარა იყო კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციასთან შეუსაბამობა, რომლის მიხედვითაც, მასობრივი ინფორმაციის საშუალების მიერ კანონის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში „ხდება იმ ტექნიკური საშუალებების კონფისკაცია, რომლებსაც საინფორმაციო საშუალება იყენებს ინფორმაციის მომზადებისა და გავრცელებისათვის“. ეს დეზულება ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის 21-ე მუხლს: იგი მძიმედ და გაუმართლებლად არღვევდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საკუთრების ძირითად უფლებას; ამასთან, დარღვეული იყო პრესისა და ელ. მედიის თავისუფლებებიც, რადგან ამ სფეროში მოქმედი იურიდიული პირების ტექნიკური საშუალებების კონფისკაცია ფაქტობრივად წარმოადგენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობისათვის აუცილებელი მატერიალური საფუძვლის მოსპობას, რაც სრულიად დაუშვებელია.

„პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონი

<sup>1</sup> ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (Lingens v. Austria), 1984 წლის 24 ივნისი.

ძალდაკარგულად გამოცხადდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონით, რომელიც სავსებით შეესაბამება კონსტიტუციას და კიდევ უფრო განამტკიცებს ინფორმაციის, აზრისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. კანონის მიხედვით, ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც, სხვასთან ერთად, გულისხმობს ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას; ცენზურის დაუშვებლობას, მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და პლურალიზმს, ყურნალისტიის უფლებას დაიცავას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებები.<sup>1</sup>

გარდა ზემოაღნიშნული კანონისა, განსახილველ სფეროში ამჟამად მოქმედებს კანონი „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“,<sup>2</sup> რომელიც ადგენს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ საფუძვლებს, აგრეთვე განსაზღვრავს ამ სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებებსა და მოვალეობებს. კანონის მიხედვით, კავშირგაბმულობის სფეროს ერთ-ერთი მიმართულებაა ელექტროკავშირი (ტელეკომუნიკაცია), რომელიც მოიცავს სადენიან, რადიო, რადიოსარელეო (სატელეფონო, მონაცემთა გადაცემის, სპეციალური დანიშნულების) და ტელერადიომაუწყებლობის ქსელებსა და საშუალებებს.<sup>3</sup> აღნიშნულ სფეროში საქმიანობას აწესრიგებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია,<sup>4</sup> რომელიც საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გასცემს ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიას,<sup>5</sup> რომელიც ხორციელდება ტელერადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების, საკაბელო ქსელის ან სიხშირული სპექტრის გამოყენებით (მ. 45<sup>5</sup>). კომისია ადგენს მაუწყებლობის სიხშირეთა განაწილების გეგმას, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება თავისუფალი სიხშირული სპექტრი (მ. 45<sup>5</sup>).

კანონის საფუძველზე კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შექმნით სახელმწიფომ ფაქტობრივად შეასრულა ის ვალდებულება, რომელსაც მას პირდაპირ აკისრებს ელ. მედიის თავისუფლების ძირითადი უფლება. კომისიას მინიჭებული აქვს საკმაოდ დიდი უფლებამოსილებები იმისათვის, რომ შეასრულოს სახელმწიფოს ვალდებულება – დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან სფეროში უზრუნველყოს მონაწილე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა თანასწორუფლებიანობა, შექმნას კონკურენტუნარიანი გარემო და ხელი შეუწყოს ტელერადიოსამაუწყებლო კომპანიების მიერ მოსახლეობისათვის მრავალფეროვანი ინფორმაციის დაუბრკოლებელ მიწოდებას.

<sup>1</sup> მ. 3, პ. 2, ქვბ. „გ“ და „დ“.

<sup>2</sup> 1999 წლის 23 ივლისი.

<sup>3</sup> მ. 1, ქვბ. „ნ“.

<sup>4</sup> მ. 7, პ. 2.

<sup>5</sup> მ. 45<sup>1</sup>.

მუხლი 25.

„1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

2. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.

3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.“

I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეკრებების თავისუფლებას აზრის თავისუფლებასთან არსებითად დაკავშირებულ ძირითად უფლებად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ იგი უკვე დიდი ხანია „დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელ და ძირითად ფუნქციონალურ ელემენტს მიეკუთვნება.“<sup>1</sup> შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება, ერთი მხრივ ემსახურება პიროვნების თავისუფალ განვითარებას საზოგადოებაში, მეორე მხრივ კი პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებაზე ხალხის ზეგავლენის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი და, შესაბამისად, დემოკრატიული გახსნილობის უმთავრესი შემადგენელი ნაწილია.<sup>2</sup> თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ასევე შეიძლება ითქვას, რომ შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება პირველყოფილი უშუალო დემოკრატიის გარკვეულ გამოხატულებასაც წარმოადგენს.<sup>3</sup>

II. დაცული სფერო

შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება ე.წ. საკომუნიკაციო ძირითადი უფლებაა და კონსტიტუციის 26-ე მუხლით აღიარებულ გაერთიანებების თავისუფლებასთან ერთად იცავს ადამიანთა კომუნიკაციას, შეკრების ფორმით ადამიანთა ურთიერთობას, ანუ, საერთო ჯგაშში, მოქალაქის, როგორც დამოუკიდებელი ინდივიდის, თავისუფალ განვითარებას საზოგადოებაში. ეს ძირითადი უფლება საფუძველს იღებს ბუნებითი სამართლიდან და წარმოადგენს პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის თავისუფ-

<sup>1</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ზალ ტვეშლაშვილი, ლელა გურაშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №2/2/180-183, 2002 წლის 5 ნოემბერი; იხ. აგრეთვე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე *ფოგტი გერმანიის წინააღმდეგ (Vogt v. Germany)*, 1995 წლის 26 სექტემბერი; *ჟლატფორმა, ექიმები მშვიდობისათვის*“ ავსტრიის წინააღმდეგ (*Plattform „Ärzte für das Leben“ v. Austria*), 1988 წლის 21 ივნისი; *ეზელინი საფრანგეთის წინააღმდეგ (Ezelin v. France)*, 1991 წლის 18 მარტი.

<sup>2</sup> იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ტ. 69, გვ. 315 და მომდევნო („ბროკლორფი“).

<sup>3</sup> იქვე.



უფლებისა და დამოუკიდებლობის უმთავრეს ნიშანს. იგი უზრუნველყოფს ადამიანის უფლებას, დაუბრკოლებლად შეხვედეს და ურთიერთობა ჰქონდეს სხვა ადამიანებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების ის მნიშვნელობა, რომლის მიხედვითაც ადამიანებს შეუძლიათ თავიანთი ინდივიდუალური ძირითადი უფლებები ერთად გამოიყენონ, ანუ ერთმანეთთან შეხვედრის, შეკრებისა და მანიფესტაციის საშუალებით.

საკურადღებოა, რომ გაბატონებული სამართლებრივი შეხედულებით, შეკრებების თავისუფლება გაცილებით ფართო და ყოვლისმომცველი უფლებაა, ხოლო მანიფესტაციების თავისუფლება, ანუ უფლება საკუთარი მოსაზრებების ერთობლივ საჯარო გაცხადებაზე, წარმოადგენს შეკრებების თავისუფლების ერთ-ერთ გამოხატულებას. ამ შეხედულებიდან გამომდინარე, კომენტარებში „შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების“ ნაცვლად ხშირად გამოყენებული იქნება „შეკრებების თავისუფლება“ და „შეკრებების ძირითადი უფლება.“

აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებათა მსგავსად, შეკრებების თავისუფლებაც ორი ძირითადი ნიშნით ხასიათდება. პირველი ნიშანი არის კავშირი კონსტიტუციით აღიარებულ დემოკრატიის პრინციპთან: დემოკრატიული სახელმწიფო ვერ იარსებებს, თუ მის მოქალაქეებს არ ექნებათ შესაძლებლობა, შეკრებებზე გამოთქვან თავიანთი პოლიტიკური შეხედულება, მოუსმინონ სხვა მოქალაქეთა მოსაზრებებს და მანიფესტაციების საშუალებით, ანუ სხვა მოქალაქეთან ერთად, საჯაროდ გამოხატონ თავიანთი შეხედულებები. აზრის თავისუფლების მსგავსად, შეკრებების თავისუფლებაც თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების არსებითი შემადგენელი ელემენტია. მეორე ნიშანი მდგომარეობს ადამიანის ღირსებისა და პიროვნული თავისუფლების პატივისცემასა და აღიარებაში: ადამიანის ელემენტარული მოთხოვნილებაა სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, საუბარი, დისკუსია და არა მათგან იზოლირება. სწორედ ამ ნიშნის გამოა, რომ შეკრებების ძირითადი უფლებით დაცულია როგორც საჯარო, ისე კერძო, როგორც პოლიტიკური, ისე არაპოლიტიკური შეკრებები. აღნიშნულს ადასტურებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც და აცხადებს, რომ „მშვიდობიანი შეკრების უფლება არის დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველი. იგი მოიცავს როგორც კერძო შეკრებებს, ასევე შეკრებებს საზოგადოებრივ ადგილებში.“ უფრო მეტიც, ევროპული სასამართლო ასევე აცხადებს, რომ შეკრებების თავისუფლება აზრის გამოხატვის თავისუფლების ბუნებრივი გაგრძელებაა და აზრის გამოხატვა, თავის მხრივ, შეკრებების თავისუფლების ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს.<sup>1</sup>


საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით ყველასათვის უზრუნველყოფილია უფლება, თავად გადაწყვიტოს შეკრების ადგილის, დროის, ფორმისა და შინაარსის საკითხები. დაუშვებელია, სახელმწიფომ აიძულოს ადამიანები, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ შეკრებაში ან არ მიუახლოვდნენ და არ მოუსმინონ შეკრების მონაწილეებს.

თავად „შეკრების“ ცნებაში იგულისხმება არანაკლებ ორი (ზოგიერთი მეცნიერის აზრით, არანაკლებ სამი) ადამიანის შეკრება. დაცულია ყველა საჯარო შეკრება,

<sup>1</sup> იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *ფოტი გერმანიის წინააღმდეგ (Vogt v. Germany)*, 1995 წლის 26 სექტემბერი.

რომელში მონაწილეობის უფლებაც ყველას აქვს, აგრეთვე კერძო შეკრებებიც, რომლებშიც მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული ადამიანები (მაგალითად, პერსონალური მიწვევის საფუძველზე) მონაწილეობენ. შეკრებების თავისუფლებაში იგულისხმება შეკრებები როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ, ანუ ღია ცისქვეშ. „გარეთ“, ანუ „ღია ცისქვეშ“ შეკრება გულისხმობს შეკრებას, რომელიც იმართება ისეთ ადგილზე, სადაც სხვა ადამიანებს უშუალო კონტაქტი აქვთ შეკრებაში მონაწილე ადამიანებთან, ანუ შეკრების ადგილი არ არის შემოსაზღვრული რაიმე ნაგებობით (ღობით, კედლებით და ა.შ.; მაგალითად, შიდა-ე.ი. ან სახურავის არმქონე სპორტული ნაგებობა - სტადიონი).

შეკრება შეიძლება წინააღმდეგობა იყოს მომზადებული და ორგანიზებულა, თუმცა შესაძლოა იგი სპონტანურად წარმოიშვას რაიმე მოვლენის გამო. ორივე სახის შეკრება დაცულია შეკრებების ძირითადი უფლებით. აქ უნდა გავითვალისწინოთ მხოლოდ ის, რომ შეკრებების ძირითადი უფლებით არ არის დაცული ადამიანთა მოულოდნელი შეჯგუფება რაიმე ფაქტთან დაკავშირებით, მაგალითად, ავტოკავშირის სანახავად ან ქუჩებში სროლის შედეგად მოკლული პირის გვაგონს. ასეთი შეჯგუფება უნდა განვასხვავოთ სპონტანური შეკრებისაგან, რომლის (ისევე როგორც წინასწარ ორგანიზებული შეკრების) ძირითადი მახასიათებელი ნიშანია საერთო, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი მიზნის საფუძველზე ადამიანთა წინასწარი შეთანხმება და შეხვედრა და არა მათი უბრალო თავშეყრა თუ ერთმანეთის გვერდით დგომა. იმავდროულად, საერთო მიზანი კონკრეტულ საკითხზე საერთო აზრის ჩამოყალიბებასა და გამონათქვასს გულისხმობს.



ზემოსხენებული საერთო მიზანი, რომელიც შეკრების ძირითადი მახასიათებელია, პოლიტიკური ხასიათისაა ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის. არაპოლიტიკური საკითხების გასარკვევად და გადასაწყვეტად ადამიანთა შეკრება ასევე ითვლება შეკრებების ძირითადი უფლებით დაცულ არაპოლიტიკურ შეკრებად.

შეკრებების ძირითადი უფლება არა მხოლოდ დამცავი უფლებაა (status negativus – ნეგატიური სტატუსი – სახელმწიფომ არ უნდა განახორციელოს არავითარი ინტერვენცია შეკრებების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში), არამედ მას ე.წ. აქტიური სტატუსიც (status activus) აქვს. იგი მოითხოვს სახელმწიფოსაგან აქტიურ

მოქმედებას მშვიდობიანი შეკრების განხორციელების უზრუნველსაყოფად. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას შეკრება და უზრუნველყოს შეკრების მონაწილეთა უსაფრთხოება სხვა პირთა აგრესიული ან სხვაგვარი ქმედებისაგან. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა ხელისუფლების პროტიური ვალდებულება ადამიანთა შეკრების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და განაცხადა: „დემონსტრაციამ შეიძლება შეურაცხყოს ან გააღიზიანოს სხვა პირები, რომლებიც არ იზიარებენ დემონსტრანტების იდეებსა და მოსაზრებებს. დემონსტრაციის მონაწილეთა უნდა შეეძლოს დემონსტრაციის ჩატარება ყოველგვარი შიშის გარეშე, ისე, რომ მათ წინააღმდეგ ოპონენტების მხრიდან ძალადობა არ იქნეს განხორციელებული. ასეთმა საფრთხემ შესაძლოა ხელი შეუშალოს გაერთიანებებსა და სხვა ჯგუფებს საკუთარი იდეების საჯაროდ გამოხატვაში. დემოკრატიულ საზოგადოებაში კონტრადემონსტრაციების ჩატარების უფლება არ შეიძლება გაფართოვდეს იმდენად, რომ დააბრკოლოს შეკრების უფლებით სარგებლობა“.<sup>1</sup> აქედან გამომდინარე, ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს პასიურობა და ჩაურევლობა შეკრებების ძირითადი უფლების დარღვევას ნიშნავს.

კონსტიტუციის 25-ე მუხლის შესაბამისად საქართველოში 1997 წლიდან მოქმედებს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“<sup>2</sup>, რომლის მე-3 მუხლის მიხედვით „შეკრება არის მოქალაქეთა ჯგუფის შეკრება ჭურჭელში ან გარეთ, მიტინგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით“, ხოლო „მანიფესტაცია არის მოქალაქეთა დემონსტრაცია, მასობრივი საჯარო გამოხატვა, ქუჩაში მსვლელობა სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით, ან მსვლელობა პლაკატების, ლოზუნგების, ტრანსპარანტების და სხვა სახითი საშუალებების გამოყენებით.“ აღნიშნული ფორმულირებების მიხედვით, ერთი შეხედვით მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის შეკრებებსა და მანიფესტაციებზეა საუბარი, თუმცა „მიტინგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში“ და „სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვა“ არაპოლიტიკური ხასიათისაც შეიძლება იყოს. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ისმის კითხვა: წარმოადგენს თუ არა მხოლოდ გასართობი და კომერციული, კულტურული და სპორტული ღონისძიებები, როგორებიცაა თეატრალური წარმოდგენები, სპორტული შეჯიბრებები ან სადღესასწაულო ზემიები და კარნავალები ქუჩებსა და მოედნებზე (მაგალითად, „თბილისობის“ დღესასწაული), კონსტიტუციის 25-ე მუხლით გათვალისწინებულ „შეკრებებს“? მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, ადამიანთა ასეთი შეხვედრები და ურთიერთობა უნდა ჩათვალოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ და ძირითადი უფლებით დაცულ „შეკრებებად“, რადგან ერთადერთი მოთხოვნა, რომელსაც კონსტიტუცია შეკრებების მიმართ აყენებს, არის „უიარაღოდ“, ანუ მშვიდობიანი შეკრება, კონსტიტუცია არ მიუთითებს შეკრების მიზნის რაიმე კონკრეტულ შინაარსზე (პოლიტიკურზე, კულტურულზე, გასართობზე, სპორტულზე და ა.შ.). თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ შეკრებების თავისუფლება აბრკოლებს ადამიანთა იზოლირებას და ხელს უწყობს მათ ინტენსიურ ურთიერთობასა და კონტაქტს, რათა თითოეულმა ადამიანმა, სურვილის შემთხვევაში, სხვებთან ერთად გამოთქვას საკუთარი

<sup>1</sup> პლატფორმა „ქიშობი მშვიდობისათვის“ ავსტრიის წინააღმდეგ (Platform „Ärte für das Leben“ v. Austria), 1988 წლის 21 ივნისი.

<sup>2</sup> 1997 წლის 12 ივნისი.

აზრი, ცხადი ვახდება, რომ კულტურული თუ სპორტული ღონისძიებების სანახავად ადამიანთა შეკრება ისევე უნდა იყოს დაცული შეკრებების თავისუფლებით, როგორც ნებისმიერი პოლიტიკური ხასიათის შეხვედრა, დისკუსია და დემონსტრაცია.

კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შეკრებების თავისუფლების ძირითადი უფლებით სარგებლობენ ფიზიკური პირები, განურჩევლად მათი მოქალაქეობისა. პირველ პუნქტში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ყველას (და არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს) აქვს შეკრების უფლება. გამონაკლისი არიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში მსახურობენ. გარდა ამისა, იგივე უფლება საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გამოიყენონ კერძო სამართლის იურიდიულმა პირებმაც, რომლებიც ძალიან ხშირად არიან შეკრებისა და მანიფესტაციების ორგანიზატორები. კონსტიტუციის აღნიშნული დებულების დაზუსტება მოხდა „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონით, რომლის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით დადგინდა, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელი არ შეიძლება იყოს 18 წლამდე ასაკის ან საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი.

საყურადღებოა, რომ წლების განმავლობაში მეტად სადავო იყო „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის ზემოთ ციტირებული მე-3 მუხლის კონსტიტუციურობა. კერძოდ, კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტის მიხედვით „ყველას, გარდა იმ პირებისა...“ (ანუ „ყველა პირს“, გარდა პოლიციის, სამხედრო ძალებისა და უშიშროების სამსახურის თანამშრომლებისა) აქვს შეკრების უფლება, კანონის მე-3 მუხლი კი შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეებად მხოლოდ „მოქალაქეებს“ მოიაზრებს. აქ საკმარისი არ არის კონსტიტუციის 27-ე მუხლზე მითითება, რომლის მიხედვითაც „სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა“. როგორც ზემოთ აღნიშნა, კონსტიტუცია იცავს როგორც პოლიტიკურ, ისე არაპოლიტიკურ, კულტურულ, სპორტულ, გასართობ და ა.შ. შეკრებებსა და მანიფესტაციებს, რომლებშიც მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ისე საქართველოში მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს. ამდენად, აქ მართლაც იდგა კონსტიტუციასთან შეუსაბამობის საკითხი, მაგრამ აღნიშნული სადავო ნორმა განმარტა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ და განაცხადა, რომ ცხადია ტერმინი „პირები“ უფრო ფართო მნიშვნელობისაა, ვიდრე ტერმინი „მოქალაქე“, მაგრამ კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით კანონის მე-3 მუხლში მითითებული ტერმინი „მოქალაქე“ თავისი შინაარსით იმავე შინაარსობრივი დატვირთვისაა, რაც ტერმინი „პირები“.<sup>1</sup> აქედან გამომდინარე, ყველას, გარდა კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი გამონაკლისებისა. გარანტირებული აქვს შეკრებისა და მანიფესტაციების თავისუფლება.

<sup>1</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ზაალ ტყემელაშვილი, ლელა გურაშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №2/2/180-183, 2002 წლის 5 ნოემბერი.

## III. ღაცულ სფეროში ჩარევა

შეკრება ან მანიფესტაცია შეიძლება ჩატარდეს ხელისუფლების ორგანოების ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილებისა და მათი ნებართვის გარეშე. კონსტიტუცია გარკვევით მიუთითებს, რომ წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა უნდა დაწესდეს კანონით; თანაც, ასეთი გაფრთხილება აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა „შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება“ (მ. 25, პ. 2).

კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულებიდან, ერთი მხრივ, ცხადი ხდება, რომ ჭერქვეშ შეკრებისათვის ხელისუფლების ორგანოების არავითარი წინასწარი გაფრთხილება (მით უმეტეს ნებართვა) არ არის საჭირო, მეორე მხრივ კი, ასევე ნათელია, რომ ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილება მხოლოდ მაშინაა აუცილებელი, როცა შეკრება ან მანიფესტაცია ხელს შეუშლის ტრანსპორტის ან ხალხის მოძრაობას. ბუნებრივია, ეს მოთხოვნა სპონტანურად წარმოშობილ დემონსტრაციაზე ვერ გავრცელდება, იგი მხოლოდ წინასწარ ორგანიზებულ აქციებს ეხება. აქ მნიშვნელოვანია სიტყვები „წინასწარი გაფრთხილება“, რომელთა მიხედვითაც ნათელია, რომ ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან მიიღონ აქციის ორგანიზატორებისაგან ეს გაფრთხილება და ასევე გაათარონ შესაბამისი ღონისძიებები ქუჩებსა თუ მოედნებზე ტრანსპორტისა და ხალხის მოძრაობის დროებით შესაცვლელად. აღსანიშნავია, რომ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონი სრულიად უსაფუძვლოდ ზღუდავდა ორგანიზატორთა ამ უფლებას და კონსტიტუციით გათვალისწინებულ „წინასწარ გაფრთხილებას“ ფაქტობრივად „ნებართვად“ აქცევდა. კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ხელისუფლების ორგანოს შეეძლო „არ მიეღო გაფრთხილება“ სხვადასხვა მიზეზით. ეს ნორმა, სრულიად სამართლიანად, არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ და განაცხადა, რომ „თავად ფორმულირება „გაფრთხილების არმიღება“ გაფრთხილების ინსტიტუტს ნებართვას უთანაბრებს. გაფრთხილება ზოგადად გულისხმობს ხელისუფლების ინფორმირებას შეკრების ჩატარების თაობაზე მხოლოდ იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა, ანუ ეს ცალმხრივი ქმედებაა, რომელიც არც ერთ შემთხვევაში არ მოიცავს ხელისუფლებისაგან პასუხის მოლოდინის ვალდებულებას. თავისთავად, ცხადია, როდესაც კანონმდებელი ხელისუფლებას აძლევს გაფრთხილების არმიღების შესაძლებლობას, იგი ვარაუდობს, რომ ხელისუფლება პრაქტიკულად უარს ეუბნება კონკრეტულ პირებს ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობაზე, ანუ ნებას არ აძლევს, ჩაატარონ შეკრება ან მანიფესტაცია. ამდენად, გაფრთხილების არმიღების ინსტიტუტი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.“<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ შეკრებების თავისუფლება არ იცავს ისეთ დემონსტრაციებს, რომელთა მიზანი მხოლოდ ტრანსპორტის მოძრაობის შეწყვეტა და ხალხის მოძრაობის შეფერხებაა, ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ და შეურიგდნენ იმ ფაქტს, რომ დემონსტრაციამ შეიძლება გამოიწვიოს მოძრაობის

<sup>1</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, შალ ტყეშელაშვილი, ლელა გურაშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №2/2/180-183, 2002 წლის 5 ნოემბერი.

შეფერხება. დემონსტრაციების თავისუფლება არ შეიძლება შეიზღუდოს იმით, რომ შეკრებები და მანიფესტაციები დაშვებულ იქნეს მხოლოდ ხალხის მოძრაობის ადგილებიდან მოშორებით მდებარე ტერიტორიაზე და ამით შეკრებას და მანიფესტაციას ფაქტობრივად გამოეცალგოს საზოგადოებაზე, მოსახლეობაზე ზემოქმედების ძალა. საერთო ჯამში, ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს და პატივი სცეს იმას, რომ თუკი ადამიანთა მიერ თავიანთი ძირითადი უფლებების გამოყენებას აუცილებლად მოჰყვება გარკვეული სირთულეები (თუნდაც ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხების სახით), დაუშვებელია აღნიშნულის აღსაკვეთად წინასწარ რაიმე ნორმების დადგენა ან მის საწინააღმდეგოდ რაიმე ზომების მიღება.

#### IV. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი

სახელმწიფოს მიერ შეკრებების თავისუფლების შეზღუდვის მიზნით რაიმე ზომების მიღება უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც აუცილებელია იმ სამართლებრივი სიკეთების დასაცავად, რომლებსაც შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების მსგავსი ღირებულება აქვთ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა, რომ „კანონმდებელს უფლება აქვს შეზღუდოს შეკრების თავისუფლების განზოცოება მხოლოდ სხვა თანაბარი ფასეულობის მქონე სამართლებრივი სიკეთების დასაცავად და პროპორციულობის პრინციპის მკაცრი გათვალისწინებით“.<sup>1</sup> ამ თვალსაზრისით უკიდურეს ღონისძიებას წარმოადგენს შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა. ბუნებრივია, ასეთი ჩარევის გამართლებისათვის აუცილებელია კონსტიტუციური საფუძველი და შესაბამისი საკანონმდებლო ნორმები, რომელთა მიხედვითაც უნდა იმოქმედონ ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა.

ხელისუფლების ორგანოების მხრიდან აღნიშნული ზომების მიღება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაკლებად მკაცრი ზომების მიღებით ვერ იქნება მიღწეული შეკრებისაგან ან მანიფესტაციისაგან მომდინარე (პოტენციური) საფრთხის – ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ზეღვრვის, კონსტიტუციური წყობილების შერყევის – თავიდან აცილება. საქართველოს კონსტიტუცია ასეთი ზომების მიღებას, ანუ ხელისუფლების მიერ „შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტას“ უშვებს „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგოდ ხასიათი მიიღო.“ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის თანახმად „კანონსაწინააღმდეგოდ ხასიათს“ შეკრება ან მანიფესტაცია მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ორგანიზებისას ან ჩატარებისას იქნება „მოქმედება კონსტიტუციური წყობილების დამზობის ან ძალადობით შეკველისა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ზეღვრვისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა, ან ისეთი მოწოდება, რომელიც წარმოადგენს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს“ (მ. 4), ან თუკი მის მონაწილეებს ექნებათ „იარაღი, ფეხთქეზი, აფვილაჲ აალებადი, ცრემლმდენი, რადიოაქტიური, ნერვულ-

<sup>1</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ზალ ტყემლაშვილი, ლელა გურაშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №2/2/180-183, 2002 წლის 5 ნოემბერი.

პარალიტიკური მოქმედების და მომწამლედი ნიუთიერებანი, ალკოჰოლიანი სს-მელები“ (მ. 11, პ. 3). ასეთ შემთხვევებში ხელისუფლების მიერ შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა წარმოადგენს ჩარევას შეკრების თავისუფლებაში, მაგრამ ეს ჩარევა გამართლებულია კონსტიტუციურ-სამართლებლივად, ეყრდნობა კანონის ნორმებს და აუცილებელია შეკრების თავისუფლების მსგავსი ღირებულების მქონე სამართლებრივი სიკეთების დასაცავად. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებისათვის კანონით დადგენილი ფორმალური და საორგანიზაციო ხასიათის მოთხოვნების დარღვევა არ ნიშნავს შეკრებისა თუ მანიფესტაციის „კანონსაწინააღმდეგო ხასიათს“.

„შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებულია ჩარევის კიდევ ერთი უკიდურესი შემთხვევა – შეკრების ან მანიფესტაციის აკრძალვა, ანუ მისი ჩატარების არდაშეება. საფუძველი ისევ მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის დაცვაა: ხელისუფლება უფლებამოსილია „არ დაუშვას შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება, თუ არსებობს პოლიციის მიერ შემოწმებული აშკარა მონაცემები, რომელთა შესაბამისად, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების შედეგად უშუალო საფრთხე ემუქრება კონსტიტუციურ წყობილებას, მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.“ ეს არის კიდევ ერთი შეუსაბამო კონსტიტუციის 25-ე მუხლთან, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს შეკრების ან მანიფესტაციის მხოლოდ შეწყვეტას (პ. 3; „შეწყვეტა“ ნიშნავს შეკრების ან მანიფესტაციის დაწყების შემდეგ სახელმწიფოს მიერ მის აღკვეთას) და არა მისი ჩატარების წინასწარ არდაშეებას. საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა ეს საკითხი და აღნიშნული ნორმა არ ჩათვალა ანტიკონსტიტუციურად. სავარაუდოა, რომ სასამართლომ გაითვალისწინა იმ სახელმწიფოთა გამოცდილება, რომლებიც იცნობენ ასეთ მექანიზმს და იქ შესაბამის ორგანოებს მათ ხელთ არსებული შემოწმებული მონაცემების საფუძველზე შეუძლიათ არ დაუშვან შეკრება ან მანიფესტაცია. ამ მექანიზმის საფუძველი მხოლოდ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების, მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა უნდა იყოს. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „ყველა კონკრეტულ შემთხვევაში სათანადო ორგანოების მხრიდან უნდა არსებობდეს საფრთხის პროგნოზი შესამჩნევი გარემოებებით, რაც უნდა ეყრდნობოდეს ფაქტებს, საქმის გარემოებებსა და სხვა დეტალებს.“ „...ეჭვი ან ვარაუდი არ უნდა იყოს შეკრების ან მანიფესტაციის დაშლის საფუძველი. სახელმწიფო ორგანომ, განსაკუთრებით, პრევენციული აკრძალვის განხორციელებისას, არ უნდა გამოიყენოს საშიშროების პროგნოზის შეფასებისადმი ძალიან მსუბუქი კრიტერიუმები, მით უმეტეს, რომ მცდარი შეფასების შემთხვევაში, კვლავ რჩება მისი დაშლის მოგვიანებით განხორციელების შესაძლებლობა.“<sup>1</sup> მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის დებულება უნდა გაეთვალისწინებინა, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს შეკრებისა და მანიფესტაციის მხოლოდ შეწყვეტას და არა წინასწარ აკრძალვას. კონსტიტუციის 25-ე მუხლის დებულების ასეთი ფართო (სასამართლოსეული) ინტერპრეტაცია კი ზღუდავს ძირითადი უფლების შინაარსს.

<sup>1</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალ-გაზრდა იურისტთა ასოციაცია, შალე ტყეშელაშვილი, ლელა გურაშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №2/2/180-183, 2002 წლის 5 ნოემბერი.

*მუხლი 26.*

„1. ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.

2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.

3. დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანს ა საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამზღობა ან ძალადობით შეცვლა, ჯუჯენის დამოუკიდებლობის ზეღყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხუჯ რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

4. დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა.

5. პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების, სახელმწიფო უშიშროების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.

6. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.“

**1. შესავალი**

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლით უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და პოლიტიკური პარტიების შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის თავისუფლება. შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების მსგავსად (მ. 25), ეს უფლებაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანების თვითგანვითარების ერთერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, მრავალპარტიული ზისტემა საქართველოს კონსტიტუციით შექმნილი თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების არსებითი შემადგენელი ნაწილი. და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის განმსაზღვრელი ძირითადი პრინციპია. მრავალპარტიული სისტემის გარეშე შეუძლებელია რომელიმე სახელმწიფოს დემოკრატიულობაზე ლაპარაკი. აქედან გამომდინარე, 26-ე მუხლის დებულება საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის შესახებ არის საქართველოს სახელმწიფოს ერთერთი უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური ნორმა.

საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის თავისუფლების ზემოაღნიშნული განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, თავდაპირველად აუცილებელია საქართველოს კონსტიტუციით შექმნილი თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების ძირითადი შინაარსის მიმოხილვა, რითაც კიდევ უფრო წარმოჩინდება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისათვის 26-ე მუხლით აღიარებული ძირითადი უფლების გადამწყვეტი მნიშვნელობა.

თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილება ადამიანის ძირითადი უფლებებით შექმნილ ღირებულებათა სისტემას მოიცავს. სწორედ ეს უფლებები, როგორც უხე-



ნაესი და ხელშეუვალი ღირებულებები, წარმოადგენს თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების საფუძველს. აქედან გამომდინარე, ამ წესწყობილების ქვაკუთხედი თავისუფალი და ღირსებადაცული ადამიანია, თავისუფლება და თანასწორობა კი — სახელმწიფოებრივი ერთიანობის მუდმივი და ძირითადი ღირებულებები. ამდენად, თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილება ტოტალიტარული სახელმწიფოს აბსოლუტურად საპირისპირო წესრიგია, რადგან ტოტალიტარული სახელმწიფო სრულიად გამორიცხავს და უარყოფს ადამიანის ღირსებას, თავისუფლებასა და თანასწორობას. ის მოსაზრება, რომ შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა სახის თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილება, მცდარია. იგი ეყრდნობა თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების ცნების აღრევას სახელმწიფო წყობილების იმ ფორმებთან, რომლებშიც ეს წესწყობილება შეიძლება აისახოს.

თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების ფუნქციონირება უზრუნველყოფილია კონსტიტუციითა და საკანონმდებლო აქტებით დადგენილი „თამაშის წესების“ სისტემით. საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი აზრისა და პრესის, შეკრებებისა და მანიფესტაციების, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის თავისუფლებები განაპირობებს და უზრუნველყოფს საქართველოში მრავალპარტიული სისტემის არსებობას და უფლებას ორგანიზებულ პოლიტიკურ ოპოზიციასზე. შედარებით მოკლე ვადებში რეგულარულად განმეორებული თავისუფალი არჩევნები უზრუნველყოფს ხალხის კონტროლს პოლიტიკური უმრავლესობის მიერ ძალაუფლების გამოყენებაზე. ხალხის წარმომადგენლობა (პარლამენტი) აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას. სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა, ურთიერთკონტროლირებად და ურთიერთშემზღუდავ შტოებზე განაწილების პრინციპი გამორიცხავს ერთ ხელისუფლებაში (ძირითადად საკანონმდებლო ან აღმასრულებელ ხელისუფლებაში) ძალაუფლების ზედმეტ კონცენტრირებას. ძირითადი უფლებებით მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფილია ცხოვრებისა და საქმიანობის თავისუფალი სფეროები. ამ უფლებათა დაცვას უზრუნველყოფს დამოუკიდებელი სასამართლოები, მთელ სახელმწიფო სისტემას კი — უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციური მართლმსაჯულება (საკონსტიტუციო სასამართლო).

იმის გამო, რომ თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილება, თავისი საჯაროობიდან, გახსნილობიდან, მრავალმხრივი გარანტიებიდან და ზოგადად მოქალაქეთა და საზოგადოების თავისუფლებიდან გამომდინარე, მუდმივად საფრთხეშია, იგი თავს იცავს იმ ძალებისაგან, რომლებიც სარგებლობენ ასეთი თავისუფლებით და მის უზენაეს ღირებულებებს, კონსტიტუციურ საფუძვლებს და მისი „თამაშის წესებს“ პრინციპულად ეწინააღმდეგებიან. თავდაცვის ნორმები ძირითადად მოცემულია კონსტიტუციაში და შემდეგ გავრცობილია სხვადასხვა კანონში. აქ შეიძლება დაეასახელოთ, მაგალითად, კონსტიტუციის 26-ე მუხლით განსაზღვრული პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის შეჩერებისა და აკრძალვის შესაძლებლობა.


ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციით შექმნილი თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილება შეიძლება განესაზღვროთ როგორც წესრიგი, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ ტოტალიტარულ და თვითნებურ მმართველობას და წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს, კანონის უზენაესობის წესრიგს. იგი ეფუძნება მოქმედი უმრავლესობის ნებას, შესაბამისად, ხალხის თვითგამორკვევას,

თავისუფლებასა და თანასწორობას. ამ წყობილების ფუნდამენტური პრინციპებია: (1) კონსტიტუციით აღიარებული და კონკრეტიზებული ადამიანის უფლებების, უპირველესად კი ადამიანის ღირსების, სიცოცხლისა და საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების პატივისცემა, (2) ხალხის სუვერენიტეტი, (3) ხელისუფლების დანაწილება, (4) ხელისუფლების პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე, (5) აღმასრულებელი ხელისუფლების კანონებით შებოჭვა, (6) სასამართლოს დამოუკიდებლობა, (7) მრავალპარტიულობა და შანსების თანასწორობა ყველა პოლიტიკური პარტიისათვის, რათა კონსტიტუციის შესაბამისად შექმნან და განახორციელონ ოპოზიცია. როგორც ვხედავთ, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის თავისუფლება დემოკრატიული წესწყობილების არსებითი შემადგენელი ნაწილია, სწორედ ის უზრუნველყოფს მრავალპარტიული სისტემის არსებობას, რომლის საფუძველზეც ყალიბდება უმრავლესობა, ამასთან ერთად, ამ ძირითადი უფლების გამოყენებით სხვა პოლიტიკურ ძალებს უფლება აქვთ შექმნან ოპოზიცია და განახორციელონ შესაბამისი საქმიანობა, რაც ლიბერალური დემოკრატიის განვითარების ფუძემდებლური პრინციპია.

## II. ღაცული სფერო

საზოგადოებრივი გაერთიანებებიდან და პოლიტიკური პარტიებიდან უნდა გამოვეყოთ „საზოგადოებრივი გაერთიანებები“, რომელიც ფართო ცნებაა და გულისხმობს ზოგადად გაერთიანებებს, მათ შორის, პროფესიულ კავშირებს („მათ შორის პროფესიული კავშირები“ - მ. 26, პ. 1), რომლებიც იქმნება შრომის სფეროში, და პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბების პროცესში.

საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის ძირითადი უფლება მოიცავს ინდივიდუალურ, კოლექტიურ და დემოკრატიის პრინციპიდან გამომდინარე კომპონენტებს. როგორც ინდივიდუალური უფლება, იგი უზრუნველყოფს ადამიანის მოქმედებისა და საქმიანობის თავისუფლების ელემენტარულ ფორმას, კერძოდ, ყოველი ადამიანის შესაძლებლობას სხვა ადამიანებთან ერთად გაერთიანდეს კონკრეტულ საზოგადოებრივ ჯგუფში. ამავე დროს, ამით ადამიანს ეძლევა შესაძლებლობა ძირითადი უფლებები გამოიყენოს არა მხოლოდ თვითონ, როგორც ინდივიდმა, არამედ სხვებთან ერთად, გაერთიანების სახით. ეს იმას ნიშნავს, რომ 26-ე მუხლით გარანტირებული ძირითადი უფლება ე.წ. ორმაგი უფლებაა, რადგან ამ უფლებით დაცული არიან არა მარტო გაერთიანების წევრები, როგორც ცალკეული ინდივიდები (ინდივიდუალური უფლება), არამედ აგრეთვე როგორც ერთი მთლიანობა – მათი გაერთიანება (კოლექტიური უფლება), ანუ იგი სახელმწიფოს ჩარევისაგან იცავს უშუალოდ გაერთიანებებს.



საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის ძირითადი უფლება, როგორც კონსტიტუციით შექმნილი თავისუფალი დემოკრატიული წყობილების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ელემენტი, წარმოადგენს აგრეთვე სოციალური ჯგუფების თავისუფალი ჩამოყალიბების პრინციპის საფუძველს. ეს პრინციპი არსებითად განსხვავდება როგორც ფეოდალიზმის ეპოქის სახელმწიფოების ორგანიზაციული ფორმისაგან, სადაც საზოგადოებრივი ჯგუფების შექმნა იყო არა თავისუფალი, არამედ დამოკიდებული ადამიანების წარმომავლობასა ან პროფესიაზე, ისე უახლოესი წარსულისა და ზოგიერთი თანამედროვე ტოტალიტარული სახელმწიფოს წყობილებისაგან, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრება მთლიანად ზემოდან ქვემოთ, ხელისუფლებისაგან არის ორგანიზებული.

ყველაფერი ეს მოკლედ ასეც შეიძლება გადმოვცეთ: პოზიტიური მხრივ დაცულია ინდივიდთა ინიციატივა შექმნან საზოგადოებრივი გაერთიანება (ან შეუერთდნენ უკვე შექმნილ გაერთიანებას) და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში. ნეგატიური მხრივ კი – უზრუნველყოფილია გაერთიანებაში და მის საქმიანობაში მონაწილეობაზე უარის თქმა და გაერთიანებიდან გამოსვლა.

დაცული სფერო მოიცავს ყოველი გაერთიანების უფლებას შექმნასა და არსებობაზე. დაცულია მოქალაქეთა უფლება თავად, დამოუკიდებლად და თავისუფლად განსაზღვრონ გაერთიანების შექმნის დრო, მიზანი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, სახელი და ადგილმდებარეობა (იურიდიული მისამართი). ასევე დაცულია გაერთიანების უფლება თავად მიიღოს გადაწყვეტილებები საკუთარი სტრუქტურის, გადაწყვეტილებების მიღების პროცედურისა და გაერთიანების საქმიანობის წარმართვის შესახებ. ამ უფლების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა თავისუფალი გაერთიანების შექმნა და არსებობა. დაცულია აგრეთვე გაერთიანებისათვის სახელის მინიჭების უფლება.

კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, აღნიშნული ძირითადი უფლება უზრუნველყოფილია საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანისათვის, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა („ყველას აქვს...“). იმავე მუხლის მე-2 პუნქტი კი პოლიტიკური პარტიების შექმნის უფლებას მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს ანიჭებს. ეს დებულება უშუალოდ უკავშირდება აქვს კონსტიტუციის 27-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც, „სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა“. გარდა ამისა, ამ ძირითადი უფლების შინაარსიდან გამომდინარე, იგი მოიცავს მხ-

ოლოდ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს – გაერთიანებებს და არა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რადგან ამ უკანასკნელთა წარმოშობა დაკავშირებულია ხელისუფლების მიერ საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტის გამოცემასთან და არა ფიზიკურ პირთა ინიციატივასთან. ეს კარგად ჩანს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნებიდან, რომელიც მოცემულია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>1</sup> მე-2 მუხლში: „საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განსაკუთრებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოებ კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, სავაჭარო-საბაზო-საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.“

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის ძირითადი უფლება არ მოიცავს საჯარო-სამართლებრივ გაერთიანებებს, ამ გაერთიანებათა არსებობა დაცულია კონსტიტუციის მე-16 მუხლით, რომლის მიხედვითაც, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. ეს უფლება, ერთი მხრივ, მე-17 მუხლთან კავშირში და მის საფუძველზე მოიცავს ადამიანის პიროვნულ უფლებებს, მეორე მხრივ კი – უზრუნველყოფს ადამიანის საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებას, რომლის მიხედვითაც, ადამიანის ნებისმიერი მოქმედება და საქმიანობა, რომელიც არ მიეკუთვნება მისი პირადი ცხოვრების სფეროს და არ ხდება პიროვნული უფლებით დაცულ სფეროში, დაცულია საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებით. ამ თავისუფლების ყოვლისმომცველი ზასიათიდან გამომდინარე, შეიძლება მისი შინაარსი მოკლედ ასე გადმოვცეთ: „ყველას შეუძლია გააკეთოს (ან არ გააკეთოს) ის, რაც მას სურს.“<sup>2</sup> სწორედ ამ თვალსაზრისით კონსტიტუციის მე-16 მუხლი უკავშირდება საზოგადოებრივ გაერთიანებათა თავისუფლებას, რადგან მე-16 მუხლით უზრუნველყოფილია პროფესიული ნიშნით შექმნილი არა საზოგადოებრივი (პროფესიული კავშირები), არამედ საჯარო-სამართლებრივი გაერთიანებების (როგორცაა სავაჭრო, ექიმთა და ადვოკატთა პალატები) შექმნა და არსებობა. მე-16 მუხლიდან გამომდინარე, იძულებითი წევრობა ამ ორგანიზაციებში ნიშნავს ჩარევას მე-16 მუხლით – ადამიანის საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებით დაცულ სფეროში. მაგრამ ეს ჩარევა შეიძლება კონსტიტუციურ სამართლებრივად გამართლებული იყოს და თანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გაერთიანება სახელმწიფომ დაარსა ლეგიტიმური საჯარო ამოცანების შესასრულებლად. აქ იგულისხმება ისეთი ამოცანები, რომელთა შესრულებაზეც არსებობს საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი, მაგრამ მათი შესრულება შეუძლებელია მხოლოდ ინდივიდთა კერძო ინიციატივით ან მხოლოდ სახელმწიფოს მხრივ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა ეს მიდგომა კონკრეტული საქმის განხილვისას („ლე კომპტი, ვან ლევენი და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ“<sup>3</sup>) და განაცხადა, რომ ბელგიის ექიმებს შეიძლება დაეკისროთ ვალდებულება გაერთიანდნენ „ექიმთა ორდენში, რომლის მიზან-

<sup>1</sup> 1999 წლის 28 მაისი.

<sup>2</sup> ლე კომპტი, ვან ლევენი და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ (*Le Comptie, Van Leuven and de Meyere v. Belgium*), 1981 წლის 23 ივნისი.

ნია სამედიცინო ეთიკისა და მისი წევრების პატივის, თავისუფლების, სანდოობისა და ღირსების დაცვა<sup>1</sup>. ორდენი საჯარო სამართლებრივი გაერთიანება იყო და ასრულებდა სახელმწიფო რეგულირების ფუნქციებს სამედიცინო სფეროში. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ ორგანიზაციაში გაწვევიანების მოთხოვნა არ ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-II მუხლის (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) შინაარსს, მით უმეტეს, რომ ორდენის წევრებს არ ეკრძალებოდათ სხვა გაერთიანებებში გაწვევიანება.

გაერთიანებათა თავისუფლება (როგორც ხშირად უწოდებენ საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის ძირითად უფლებას) პრაქტიკულად შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი წესების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც ინდივიდთა თავისუფალი ნების საფუძველზე შექმნილ გაერთიანებებს განუსაზღვრავენ ადგილს არსებულ სამართლებრივ სისტემაში, უზრუნველყოფენ მათ და მათი წევრების უფლებებს, აგრეთვე ითვალისწინებენ სხვა ინდივიდთა და საზოგადოების ინტერესებს. ასეთი დებულებების არსებობას თავიდანვე გულისხმობს და მოითხოვს კონსტიტუციით გარანტირებული გაერთიანებათა თავისუფლება, ამიტომ საკანონმდებლო ხელისუფლება არა მარტო უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიცაა შეიმუშაოს სამართლის ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფს გაერთიანებათა თავისუფლების რეალურ განხორციელებას. გაერთიანებათა შექმნისა და არსებობის შესახებ სამართლის ნორმები ჩამოყალიბებული უნდა იყოს იმგვარად, რომ უზრუნველყოს გაერთიანებათა უფლებაუნარიანობა და გამართული ფუნქციონირება.

ზემოაღნიშნული ნორმები საქართველოში დადგენილია სამოქალაქო კოდექსით, რომლის 24-ე-49-ე მუხლების საფუძველზეც უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი გაერთიანებათა (კავშირის, ფონდის) შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის კონსტიტუციური უფლება. კოდექსის მიხედვით, საზოგადოებრივი გაერთიანება შეიძლება შეიქმნას და არსებობდეს კავშირის (ასოციაციის) ან ფონდის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. კავშირი, ფონდი არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის მიზანიც არ არის სამეწარმეო საქმიანობა (მ. 30). საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან განსხვავებით, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ კანონში ან მის დამკუთმნებელ დოკუმენტებში აღნიშნული მიზნების შესაბამისი საქმიანობა, კავშირს (და ფონდს), როგორც კერძო სამართლის იურიდიულ პირს, საზოგადოებრივი გაერთიანებას, უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წესდებით გათვალისწინებული (მ. 25). პროფესიულ კავშირებთან მიმართებით ანალოგიურ ნორმებს ადგენს საქართველოს კანონი „პროფესიული კავშირების შესახებ“<sup>1</sup>.

### III. დაცულ სფეროში ჩარევა

საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის თავისუფლება არ არის აბსოლუტურად შეუზღუდავი ძირითადი უფლება. კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს ამ უფლებაში ჩარევის საფუძველებს,

<sup>1</sup> 1997 წლის 2 აპრილი.

რომელთა მიხედვითაც შეიძლება განზოცდეს სახელმწიფოს მიერ დაცულ სფეროში ჩარევა. ნებისმიერი სხვა საფუძვლით საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა თუ საქმიანობისათვის ხელის შეშლა დაცულ სფეროში სახელმწიფოს გაუმართლებელი ჩარევა იქნება. ასეთი ჩარევის მაგალითია გაერთიანების შექმნის პროცესში ხელისუფლების მიერ სამართლებრივი დაბრკოლებების შექმნა, გაუმართლებელი დამატებითი მოთხოვნების დადგენა, გაერთიანების რეგისტრაციის ვადების დაუდგენლობა, აგრეთვე პროცედურის ზედმეტად გართულება. ჩარევის ყველაზე მძიმე ფორმებია კონსტიტუციის 26-ე მუხლით განსაზღვრულ საფუძველზე გაერთიანების საქმიანობის შეჩერება და მისი აკრძალვა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის თავისუფლების ძირითადი უფლებით პოზიტიური მხრივ დაცულია ინდივიდთა ინიციატივა შექმნან საზოგადოებრივი გაერთიანება (ან შეუერთდნენ უკვე შექმნილ გაერთიანებას) და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში. ნეგატიური მხრივ კი უზრუნველყოფილია გაერთიანებაში და მის საქმიანობაში მონაწილეობაზე უარის თქმა და გაერთიანებიდან გამოსვლა. ამ განსაზღვრებიდან ნათლად ჩანს, რომ საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის თავისუფლების ძირითადი პრინციპია ნებაყოფლობითობა, ანუ ადამიანებს უფლება აქვთ თავად, ყოველგვარი იძულებისაგან დამოუკიდებლად მიიღონ გაერთიანების შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის გადაწყვეტილება. მეორე მხრივ კი – ასევე ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილით უარი თქვან გაერთიანების შექმნაზე ან მის საქმიანობაში მონაწილეობაზე და გამოვიდნენ გაერთიანების შემადგენლობიდან. ამდენად, ნებაყოფლობითობის პრინციპის საწინააღმდეგო და დაცულ სფეროში გაუმართლებელი საკანონმდებლო ჩარევა იქნება ისეთი ნორმა, რომელიც დაავალდებულებს ადამიანს რომელიმე გაერთიანების წევრობას ან აუკრძალავს გაერთიანების დატოვებას. მოცემული ძირითადი უფლების საწინააღმდეგო იქნება ასევე თავად გაერთიანების შიდაორგანიზაციული წესებით დადგენილი წევრობის სავალდებულობა და წევრობის დატოვების დაუშვებლობა. ადამიანის უფლებათა ვეროპულმა სასამართლომ დაადასტურა ეს მიდგომა კონკრეტულ საქმეზე („იანგი, ჯეიმსი და ვებსტერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ<sup>1</sup>) მიღებული გადაწყვეტილებით. ამ საქმის მიხედვით, კონკრეტულ პირებს (განმცხადებლებს) ემუქრებოდნენ სამსახურიდან დათხოვნით, თუ ისინი არ გაწევრიანდებოდნენ პროფკავშირებში. სასამართლომ განაცხადა, რომ არავინ არ შეიძლება აიძულოს გაწევრიანება რომელიმე გაერთიანებაში, მათ შორის პროფკავშირებში, რადგან გაერთიანების თავისუფლება მოიცავს გაერთიანებაში გაწევრიანებისაგან თავის შეკავების, გაწევრიანებაზე უარის თქმის უფლებასაც. მსგავსი ვითარება განიხილა სასამართლომ საქმეში „სიგურიონსონი ისლანდიის წინააღმდეგ<sup>2</sup> და დაადგინა, რომ კერძო გაერთიანებებში გაწევრიანების მოთხოვნა, როგორც ლიცენზიის მიღების პირობა, მისაღწევი მიზნის არათანაზომიერი საშუალებაა.

საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნულ საქმეში („იანგი, ჯეიმსი და ვებსტერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“) სასამართლომ პროფესიული კავშირების შექმნისა

<sup>1</sup> იანგი, ჯეიმსი და ვებსტერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Young, James and Webster v. the United Kingdom), 1981 წლის 13 აპრილი.

<sup>2</sup> სიგურიონსონი ისლანდიის წინააღმდეგ (Sigurjonsson v. Iceland), 1993 წლის 30 ივნისი.

და მათში გაერთიანების უფლება აღიარა „გაერთიანების თავისუფლების განსაკუთრებულ ასპექტად“. „პროფკავშირების შექმნის უფლება მოიცავს, მაგალითად, მათ მიერ საკუთარი წესების შემუშავებას, უფლებას დამოუკიდებლად აწარმოონ მოლაპარაკება, შექმნან ფედერაციები და ა.შ.“. აღნიშნულთან ერთად სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ გაერთიანების თავისუფლება გულისხმობს პროფკავშირების მიმართ არჩევანის თავისუფლებასაც და კვლავ ხაზი გაუსვა ნებაყოფლობითობის პრინციპს. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ პროფკავშირების საქმიანობის ძირითადი პრინციპები უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს საკანონმდებლო აქტებით, რომელთა შექმნისას სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს საზოგადოებრივ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის თავისუფლების შინაარსი და ნებაყოფლობითობის პრინციპი. საქართველოს კანონი „პროფესიული კავშირების შესახებ“ შესაბამეა ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს და აცხადებს, რომ „პროფესიული კავშირები არის საქმიანობის მიხედვით საერთო საწარმო, პროფესიული ინტერესებით დაკავშირებულ პირთა (მუშაკთა) ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება (ორგანიზაცია), რომლის მიზანია მისი წევრების შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა“ (მ. 2, პ. 1).

#### IV. ჩარევის კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძველი

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულია შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოს შეუძლია ჩაერიოს საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში. ამ დებულების მიხედვით, „დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო უფლებამოსილი და, ამასთანავე, ვალდებულიც არის, არ დაუშვას საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და პოლიტიკური პარტიების მიერ კონსტიტუციით განსაზღვრული თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების დამხობა ან შეცვლა და ამისთვის გამოიყენოს მის ხელთ არსებული სამართლებრივი მექანიზმები. 26-ე მუხლის აღნიშნული ნორმა სახელმწიფოს აძლევს კონსტიტუციური წესრიგის პრევენციული დაცვის შესაძლებლობას, რადგან აუცილებელია სახელმწიფოს ჰქონდეს კონსტიტუციური უფლებამოსილება იმისათვის, რათა თავიდანვე, დროულად და ქმედითად აღკვეთოს სახელმწიფოს, მისი არსებობისა და ფუნდამენტური კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ მიმდინარეული საფრთხე, რომელიც წარმოიშობა სისხლისსამართლებრივად დასჯადი და ანტიკონსტიტუციური კოლექტიური მისწრაფებებისგან. აღნიშნულთან ერთად, საჭიროა არსებობდეს სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციური წესრიგის დაცვის საკანონმდებლო პროცედურა. ამ პროცედურის, ანუ განსაზღვრულ ძირითად უფლებაში ჩარევისა და აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმების ამოქმედების სახელმწიფოსათვის სავალდებულო ძირითადი პრინციპები დადგენილია კონსტიტუციის იმავე მუხლის მე-6 პუნქტით:

„საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათ საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.“

კონსტიტუციის აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, აუცილებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათ საქმიანობის შეჩერების ან მათი აკრძალვის პროცედურა განისაზღვროს საკანონმდებლო აქტით, ამ შემთხვევაში ორგანული კანონით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით სწორედ „კანონიერების“ კრიტერიუმია გადამწყვეტი ელემენტი მოცემული ძირითადი უფლების შეზღუდვისას. სასამართლო მიიჩნევს, რომ შეზღუდვა უნდა იყოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლით კონკრეტულად და ვიწროდ მიზანმიმართულად დაწესებული.

საქართველოს კონსტიტუციისა და ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოში მიღებულია ორგანული კანონი „საზოგადოებრივ გაერთიანებათ საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს „კავშირის, ფონდის, პროფესიული კავშირისა და სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებათ საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის საფუძვლებს და წესს“ (მ. 1). აღნიშნულ საზოგადოებრივ გაერთიანებათ საქმიანობის შეჩერების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს, რომელსაც შეუძლია „3 თვემდე ვადით შეაჩეროს იმ საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობა, რომელიც არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე“ (მ. 3, პ. 1). სასამართლოს ასევე შეუძლია აკრძალოს საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლის მიზანია „საქართველოს კონსტიტუციური წვობილების დამზობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, კმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება, ან სასამართლოს მიერ მისი საქმიანობის შეჩერების შედეგ განაახლებს ამ კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ საქმიანობას“ (მ. 4). სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი გაერთიანების შეჩერების ან აკრძალვის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლოში.

## V. პოლიტიკური პარტიები

როგორც ზემოთ აღინიშნა, „საზოგადოებრივი გაერთიანებები“ ფართო ცნებაა და ზოგადად მოქალაქეთა გაერთიანების შექმნას გულისხმობს. მოქალაქეთა გაერთიანების ერთ-ერთი სახეა პოლიტიკური პარტია, რომლის არსებობაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოებისათვის და სწორედ ამიტომ გამორჩეულად არის მითითებული კონსტიტუციის 26-ე მუხლში.

### 1. ცნება და დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის შესაბამისად, პოლიტიკური პარტიების ცნებას, მათი შექმნისა და საქმიანობის საფუძვლებს, აგრეთვე მათი აკრძალვის წესს განსაზღვრავს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“

<sup>1</sup> 1997 წლის 14 ნოემბერი.



საქართველოს ორგანული კანონი.<sup>1</sup> ამ კანონის პირველი მუხლის თანახმად, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ... (პარტია) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება...“. „პარტია, როგორც თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნაწილი, არჩევნების მეშვეობით და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საშუალებებით მონაწილეობს მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ფორმირებასა და გამოხატვაში“ (მ. 2).

აღსანიშნავია, რომ ორგანული კანონის მხოლოდ მე-4 მუხლშია მოცემული მოკლე დებულება პარტიის იურიდიული ბუნების შესახებ: „პარტია არის არასამეწარმეო იურიდიული პირი“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კი მიუთითებს, რომ პარტია არის „საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაცია“ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი (მ. 1509, ნაწ. 1, ქპ. „ე“). კოდექსის ეს ნორმა საკმაოდ საკამათოა. როგორც აღინიშნა, ორგანული კანონი არ მიიჩნევს პარტიებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად. ასეთი მიდგომა სავსებით შეესაბამება პოლიტიკური პარტიის ბუნებას, რომელიც თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების აუცილებელი კონსტიტუციური ნაწილია, მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ფორმირება და მისი თავისუფალი გამოხატვა კი ძირითადად სწორედ პარტიების საშუალებით ხორციელდება. გარდა ამისა, პარტია, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისაგან განსხვავებით, არ წარმოიშობა კანონის ან ხელისუფლების სხვა ნორმატიული აქტის საფუძველზე. ორგანული კანონი მხოლოდ პარტიის შექმნისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელ წესებს, აგრეთვე რეგისტრაციის პროცედურას ადგენს, პოლიტიკური პარტია კი არსებობს არა იმის გამო, რომ არსებობს ეს ორგანული კანონი, არამედ იმიტომ, რომ კონსტიტუციით შეიქმნა თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილება, რომლის განუყოფელი და ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია პოლიტიკური პარტიები. ამით კონსტიტუცია ფაქტობრივად ავალდებულებს სახელმწიფო ხელისუფლებას შეიმუშაოს პოლიტიკურ პარტიათა გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო წესები, რაც განხორციელდა ზემოხსენებული ორგანული კანონით. ამდენად, პარტია შინაარსობრივად სრულიად განსხვავდება ყველა სხვა იურიდიული პირისგან, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან.

საწინააღმდეგო მოსაზრების მიხედვით, რომელიც სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნულ დებულებას ეყრდნობა, იმ გარემოებას, რომ პოლიტიკური პარტია საჯარო სამართლის იურიდიული პირია, განაპირობებს პარტიის მონაწილეობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა შექმნაში და არა ის, თუ რა უდევს საფუძველად მის შექმნას – ნების თავისუფალი გამოვლენა თუ ადმინისტრაციული აქტი. ამ ორი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრების სამართლებრივი არგუმენტაციის შედარება გვიჩვენებს, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის დებულებები გაცილებით მეტად შეესაბამება პოლიტიკური პარტიის ნამდვილ შინაარსს და იურიდიულ ბუნებას, ვიდრე სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმა.

<sup>1</sup> 1997 წლის 31 ოქტომბერი.

2. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი პოლიტიკური პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის ძირითად უფლებაში ჩარევა ან პარტიის აკრძალვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, იმავე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი პროცედურით. აღსანიშნავია, რომ ამ ძირითად უფლებაში ჩარევა, სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებათა მსგავსად, შეიძლება განხორციელდეს ჯერ კიდევ რეგისტრაციის ეტაპზე. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პოლიტიკური პარტიის რეგისტრაცია ხდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში (2005 წლის 1 მარტიდან სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის შესაბამისად, საზოგადოებრივი ორგანიზაციების – ფონდის; და კავშირის – რეგისტრაციას ახორციელებს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანო). სამინისტრო უფლებამოსილია უარი უთხრას პარტიას რეგისტრაციაზე, თუ მისი წესდება ან სარეგისტრაციოდ წარდგენილი სხვა დოკუმენტები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის ზემოხსენებულ მოთხოვნებს ან ორგანული კანონის სხვა დებულებებს. მოცემულ ძირითად უფლებაში ამ გარკვეულწილად პრევენციულ ჩარევას საფუძვლად უდევს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულება, რომლის მიხედვითაც, კონკრეტულ (იმავე პუნქტით განსაზღვრულ) შემთხვევებში დაუშვებელია საზოგადოებრივ გაერთიანებათა და პოლიტიკური პარტიების არა მართო „საქმიანობა“, არამედ „შექმნაც“. საზოგადოებრივ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის ძირითადი უფლების განხილვისას უკვე აღინიშნა, რომ დაცულ სფეროში პრევენციული ჩარევა აუცილებელია იმისათვის, რათა სახელმწიფოს ჰქონდეს საშუალება თავიდანვე დროულად და ქმედითად აღკვეთოს სახელმწიფოს, მისი არსებობისა და ფუნდამენტური კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ მიმართული საფრთხე, რომელიც წარმოიშობა სისხლისსამართლებრივად დასჯადი და ანტიკონსტიტუციური კოლექტიური მისწრაფებებიდან.

კონსტიტუციის 26-ე მუხლით დადგენილია კიდევ ორი შეზღუდვა, რომელთაგან პირველის მიხედვით, „დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა“ (პ. 4). ეს შეზღუდვა, ამავე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებთან ერისად, წარმოადგენს გაერთიანებათა თავისუფლებით დაცულ სფეროში სახელმწიფო ჩარევის კონსტიტუციურ საფუძველს, რომლის მიხედვითაც, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს აკრძალოს კონკრეტული პოლიტიკური პარტია.

26-ე მუხლის მე-5 პუნქტით გაერთიანების თავისუფლება ეზღუდება პირთა გარკვეულ კატეგორიებს. ამ პუნქტის მიხედვით, „პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალებში, სახელმწიფო უშიშროების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.“ მოცემული დებულების მიზანია სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მოცემული კატეგორიის საჯარო მოსამსახურეთა დამოუკიდებლობის, ობიექტურობისა და პოლიტიკური მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა.

ყველაზე მძიმე და რადიკალურ ჩარევას საერთოდ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კონკრეტულად კი პოლიტიკური პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში

მონაწილეობის ძირითად უფლებაში წარმოადგენს მათი აკრძალვა. სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებებისაგან განსხვავებით, რომელთა აკრძალვის საკითხსაც საერთო სასამართლოები იხილავენ, ორგანული კანონის თანახმად, „პოლიტიკური პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით...“ (მ. 35). ამ დებულების საფუძველი, ერთი მხრივ, პოლიტიკური პარტიების განსაკუთრებული მნიშვნელობაა, მეორე მხრივ კი – კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს „მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის“ საკითხები. ორგანული კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს აკრძალოს მხოლოდ ის პარტია, „რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირებები“ (მ. 36).

მუხლი 27.

„სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა“.

1. საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლი ადგენს სახელმწიფოს უფლებამოსილებას – დააწესოს შეზღუდვები უცხოელთა პოლიტიკურ საქმიანობაზე. კონსტიტუციის 27-ე მუხლის მიხედვით:

„სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს შეზღუდვები უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკურ საქმიანობაზე.“

კონსტიტუციის ამ დებულების მიზანია განასხვავოს საქართველოს მოქალაქეთა და უცხოელთა (როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქეთა, ისე მოქალაქეობის არმქონე პირთა) სამართლებრივი მდგომარეობა მათ პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველის კანონმდებლობის მიხედვით, პოლიტიკური საქმიანობის უფლება, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს ენიჭებათ, არ არის აბსოლუტური და, შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკურ საქმიანობაზე შეიძლება დაწესდეს შეზღუდვები (მაგალითად, თუ საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკურმა საქმიანობამ უკანონო ხასიათი მიიღო), სავარაუდოა, რომ 27-ე მუხლი მიზნად ისახავს უფრო ფართო შეზღუდვების დაწესებას უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონსტიტუციის 27-ე მუხლის გათვალისწინება მოკლებული იქნებოდა ლოგიკას.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოში უცხოელებად ითვლებიან:

ა) პირები, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები და აქვთ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი (უცხო სახელმწიფოს მოქალაქეები);

ბ) პირები, რომლებიც არც საქართველოს მოქალაქეები არიან და არც სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი აქვთ (მოქალაქეობის არმქონე პირები).<sup>1</sup>

მართალია, კონსტიტუციის 27-ე მუხლი ზოგადად ადგენს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკურ საქმიანობაზე შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობას, მაგრამ ისინი შეიძლება დაზუსტდეს კანონებით.

პირადი უფლებებისაგან განსხვავებით, რომლებიც ენიჭება ნებისმიერ პირს, მიუხედავად მოქალაქეობრივი სტატუსისა, პოლიტიკური უფლებები აქვთ ძირითადად კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეებს (მაგალითად, საარჩევნო უფლება). მიუხედავად ამისა, უცხოელებს შეიძლება ჰქონდეთ ისეთი უფლებები, როგორცაა სიტყვისა და აზრის თავისუფლება, ინფორმაციის თავისუფლება, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, რაც პოლიტიკურ უფლებებს განეკუთვნება. მართალია, საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ არ განსაზღვრავს, რას ნიშნავს „პოლიტიკური საქმიანობა“, მაგრამ ეს უნდა გავიგოთ როგორც ისეთი საქმიანობა, რომელიც გამ-

<sup>1</sup> იხ. უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის 1-ელი მუხლი.

ოიხატება სიტყვისა და აზრის თავისუფლების, ინფორმაციის თავისუფლების, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების განხორციელების გზით.

საქართველოს კანონმდებლობა საკმაოდ დეტალურად აწესრიგებს უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

„უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მიხედვით, „უცხოელებს საქართველოში ეკრძალებათ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ პოლიტიკურ გაერთიანებებში გაწევრიანება, მათ საქმიანობაში მონაწილეობა, პოლიტიკური გაერთიანებების დაფუძნება.“<sup>1</sup> ამასთანავე, კანონის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ უცხოელებს საქართველოში უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეების თანაბრად დააფუძნონ საზოგადოებრივი გაერთიანებები, გახდნენ პროფესიული კავშირების, კოოპერაციული ორგანიზაციების, სამეცნიერო, კულტურული, სპორტული საზოგადოებების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ამ ორგანიზაციების წესდებებს და საქართველოს კანონმდებლობას.

კანონმდებელმა სწორად გააეღო ზღვარი უშუალო პოლიტიკურ საქმიანობასა და საზოგადოებრივ საქმიანობას შორის.

ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება კანონით „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“, რომლის მიხედვითაც „საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ გამოთქვან, გაავრცელონ და დაიცვან თავიანთი თვალსაზრისი ინფორმაციის ნებისმიერი საშუალებით, აგრეთვე მოიპოვონ ინფორმაცია საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრების საკითხებზე.“<sup>2</sup> კანონი ადგენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაარსების უფლებას, რომელსაც სხვებთან ერთად ანიჭებს 18 წლის ასაკს მიღწეულ საქართველოს მოქალაქეებს.

„პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონი ასევე აწესრიგებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ინფორმაციის მიღების უფლებასა და პიროვნების შეურაცხყოფელი მასალის უარყოფისა და მასზე პასუხის უფლების საკითხს.

კანონის მე-19 მუხლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ოპერატიულად მიიღოს ცნობები სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ. ამავე კანონის მე-20 მუხლი ადგენს, რომ მოქალაქეს უფლება აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით რედაქციას მოსთხოვოს პიროვნების შეურაცხყოფელი მასალის უარყოფა. იგივე მუხლი ადგენს, რომ, თუ მოქალაქეს არ აკმაყოფილებს პასუხი, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

პოლიტიკურ საქმიანობას ასევე აწესრიგებს საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“<sup>3</sup> კანონის 1-ელი მუხლის მიხედვით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (შემდგომში—პარტია) არის საერთო მსოფლმხედველობრივი და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია ამ კანონით

<sup>1</sup> 1-ელი პუნქტი.  
<sup>2</sup> 1-ელი მუხლი.  
<sup>3</sup> 1997 წლის 31 ოქტომბერი.

დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში“. კანონის მე-5(1) მუხლის მიხედვით, პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება საქართველოს ყოველი მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა. ამავე კანონის მე-8 მუხლი ადგენს, რომ პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება აქვს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეს.

უდავოა, რომ პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და მის საქმიანობაში მონაწილეობა კონსტიტუციის 27-ე (უხლთ გათვალისწინებული „პოლიტიკური საქმიანობის“ ერთერთი სახეა. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონი პირდაპირ ადგენს, რომ საქართველოში პოლიტიკური პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება აქვს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეს, რაც, ცხადია, გამორიცხავს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მონაწილეობას არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიის შექმნაში, არამედ მის საქმიანობაში მონაწილეობასაც.

კონსტიტუციის 27-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვის დაწესების შესაძლებლობა ასევე ეხება შეკრებებისა და მანიფესტაციების განხორციელების უფლებას. ეს უფლება დადგენილია „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონით, რომელიც აწესრიგებს პირებისათვის საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლების განხორციელებას – წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბონ საჯაროდ და უიარაოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

კანონი განმარტავს როგორც „შეკრებას“, ისე „მანიფესტაციას“. კანონის მიხედვით, „შეკრება“ არის მოქალაქეთა ჯგუფის შეკრება ჭერქვეშ ან გარეთ, მიტინგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით.<sup>1</sup> „მანიფესტაცია“ არის მოქალაქეთა დემონსტრაცია, მასობრივი საჯარო გამოსვლა, ქუჩაში მსვლელობა სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით, ან საჯარო მსვლელობა პლაკატების, ლოზუნგების, ტრანსპარანტების ან სხვა სახეობითი საშუალებების გამოყენებით.

კანონი ადგენს, რომ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები არ შეიძლება იყვნენ პასუხისმგებელი პირები.<sup>2</sup>

საყურადღებოა, რომ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში გამოყენებულია ორი ტერმინი – „პირები“ და „მოქალაქეები“, რომელთაც, კანონის შინაარსიდან გამომდინარე, ანიჭებს იდენტურ მნიშვნელობას, თუ საწინააღმდეგო პირდაპირ არ არის დადგენილი.

კანონიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს ორგანული დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა და მოქალაქეობის არმქონე პირებმა შეიძლება ისარგებლონ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით (სხვა შემთხვევაში ეს დებულება პირდაპირ შეეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლს), მათ ეკრძალებათ შეკრების ან მანიფესტაციის რწმუნებულისა და ორგანიზატორის როლის შესრულება.

<sup>1</sup> მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი.

<sup>2</sup> კანონის განმარტებით (მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტი), „პასუხისმგებელი პირები“ არიან შეკრების ან მანიფესტაციის რწმუნებული და ორგანიზატორი.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის 27-ე მუხლით გათვალისწინებული დებულება უკავშირდება კონსტიტუციით დადგინდულ რამდენიმე უფლებასა და თავისუფლებას და ადგენს მათი შეზღუდვის შესაძლებლობას. ვინაიდან პოლიტიკური საქმიანობა ზოგადად შეიძლება განხორციელდეს ისეთი უფლებების გამოყენებით, როგორცაა, *inter alia*, სიტყვისა და აზრის თავისუფლება, ინფორმაციის თავისუფლება, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, საარჩევნო უფლება, კონსტიტუციის 27-ე მუხლი უნდა იქნეს განხილული ამ უფლებათა კონტექსტში.

## 2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2002 წლის 5 ნოემბერს განიხილა საქმე – „საქართველის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყემელაშვილი, ნინო ტყემელაშვილი, მია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომელიც ეხებოდა, *inter alia*, მოქალაქეობის არმქონე პირთა შეკრებებისა და მანიფესტაციის უფლებას.<sup>1</sup>

ამ საქმეში, სხვა სადავო საკითხებთან ერთად, დავის საგანი იყო „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.

მოსარჩელე მოითხოვდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების არაკონსტიტუციურად ცნობას ძირითადად კონსტიტუციის 25-ე მუხლის 1-ელ პუნქტთან მიმართებით.<sup>2</sup> მოსარჩელის აზრით, „კანონმდებელს არსად, არც ერთ პუნქტში არ მიუთითებია, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით მოსარჩეველ შესაძლებელია იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე ან სხვა კანონით შესაძლებელია დადგინდეს ამ უფლებით მოსარჩეველ პირთა წრე. კონსტიტუცია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ნათლად განასხვავებს მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე უფლებებისა და თავისუფლებების გაერცელების შემთხვევებსა და შესაძლებლობებს.“<sup>3</sup>

მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი განმარტავს შეკრების უფლებით მოსარჩეველთა წრეს: „ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ“ მოსარჩელის აზრით, კონსტიტუცია განასხვავებს უფლებებისა და თავისუფლებების გაერცელების შემთხვევებსა და შესაძლებლობებს მოქალაქეებსა

<sup>1</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები (2002 წელი), თბილისი, 2003, გვ. 58-82.

<sup>2</sup> მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების მიხედვით:

ა) „შეკრება“ არის მოქალაქეთა ჯგუფის შეკრება ჭერქვეშ ან გარეთ, მიტინგი საზოგადოებრივი თემურის ადგილებში სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით;

ბ) „მანიფესტაცია“ არის მოქალაქეთა დემონსტრაცია, მასობრივი საჯარო გამოხატვა, ქუჩაში მსვლელობა სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით, ამ მსვლელობა პლაკატების, ლოზუნგების, ტრანსპარანტებისა და სხვა სახითი საშუალებების გამოყენებით.

<sup>3</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები (2002 წელი), თბილისი, 2003, გვ. 60.

და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, ასეთებია, მაგალითად, კონსტიტუციის 22-ე, 26-ე, 28-ე, 29-ე, 34-ე, 41-ე, და სხვა მუხლები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის აზრით, კანონით გათვალისწინებული დებულებანი მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა განსხვავებული უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სადავო მუხლის აღნიშნულ პუნქტებში კანონმდებლის მიერ გამოყენებულია ტერმინი „მოქალაქე“. მაგალითად, „... მანიფესტაცია არის მოქალაქეთა დემონსტრაცია ...“ ან „... შეკრება არის მოქალაქეთა ჯგუფის შეკრება ჭერქვეშ ან გარეთ“ და დაასკვნა, რომ „ტერმინი „მოქალაქე“ თავისი შინაარსით სადავო მუხლებთან მიმართებაში საერთო და იმავე შინაარსობრივი დატვირთვისაა, რაც ტერმინი „პირები“. მან ასევე მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე (მუხლი 25-ე), როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირებს გარანტირებული აქვთ შეკრების თავისუფლება.“

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განიხილა კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობის საკითხი. მოსარჩელები ითხოვდნენ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის იმ დებულების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლის მიხედვითაც, შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებლები არ შეიძლება იყვნენ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები. მოსარჩელებს მიაჩნდათ, რომ მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლი შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ პოლიტიკური საქმიანობის უფლების შეზღუდვას, რაც არ შეიძლება გავრცელდეს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვაზე, მით უმეტეს ასეთ დათქმას არც კონსტიტუციის 25-ე მუხლი ითვალისწინებს.

მართალია, ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა, რომ იგი ვერ იმსჯელებს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობის შესახებ, ვინაიდან, მიიჩნევს აზრით, სარჩელი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ, სასამართლომ მაინც გამოხატა თავისი პოზიცია ამ საკითხზე. მან მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-16 მუხლზე და აღნიშნა, რომ იგი ნებადართულად აცხადებს ხელშემკერელი სახელმწიფოების მიერ უცხოელთა პოლიტიკურ საქმიანობაზე შეზღუდვების დაწესებას და ასეთ შეზღუდვებს დაშვებულად მიიჩნევს სწორედ კონვენციის მე-10 (გამოსატვის თავისუფლება), მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) და აგრეთვე მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლებთან მიმართებით.

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ: „კონვენციის მე-10, მე-11 და მე-14 მუხლებში ნათქვამია, არაფერი არ შეიძლება იქნეს განხილული ხელშემკერელი მხარეებისათვის ხელშემშლელად უცხოელთა პოლიტიკურ საქმიანობაზე შეზღუდვების დაწესებისათვის, ანუ ევროპული კონვენცია მე-16 მუხლის სახით ითვალისწინებს კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული შეზღუდვების დამატებით შეზღუდვას უცხოელებთან მიმართებით.“<sup>1</sup>

<sup>1</sup> სასამართლომ ასევე მოიხილა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების კანონმდებლობა ამ საკითხთან მიმართებით.



აღნიშნულ ორ სადავო საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, შეიძლება გააკეთდეს შემდეგი დასკვნები:

ა) კანონის მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებთან დაკავშირებით, რომლებშიც გამოყენებულია ტერმინი „მოქალაქე“ (და არა ზოგადად „პირები“), საკონსტიტუციო სასამართლომ გაითვალისწინა კანონით დაცული უფლების ობიექტი და მიზანი და განვრცობითად განმარტა ტერმინი „მოქალაქე“, რომელშიც მოიცვა ყველა პირი, მათ შორის უცხოელებიც. ასეთი განმარტება სრულად შეესაბამება როგორც საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლს, ისე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტს და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას) და შეესაბამება ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვის პრინციპს.

ბ) რაც შეეხება კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის იმ ნაწილის კონსტიტუციურობას, რომელიც აღგენს, რომ შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებლები არ შეიძლება იყვნენ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები, საკონსტიტუციო სასამართლომ, მართალია, აღნიშნა, რომ იგი ვერ იმსჯელებს სადავო დებულების კონსტიტუციურობაზე, მაგრამ ევროპული კონვენციის მე-16 მუხლზე მითითებით მან მაინც გამოხატა თავისი პოზიცია. ამ პოზიციის მიხედვით, იმის გამო, რომ ევროპული კონვენციის მე-16 მუხლი დასაშვებად მიიჩნევს სახელმწიფოების მიერ უცხოელთა პოლიტიკურ საქმიანობაზე შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობას ისეთ უფლებასთან დაკავშირებით, როგორცაა შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (კონვენციის მე-11 მუხლი), ასეთი შეზღუდვის დაწესება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლოს არ უმსჯელია იმაზე, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელება ყოველთვის არის თუ არა პოლიტიკური საქმიანობა. შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ ხაზი უნდა გაივლოს, ერთი მხრივ, იმ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელებას შორის, რომელიც პოლიტიკური საქმიანობაა და, მეორე მხრივ, იმას შორის, რომელიც ასეთი საქმიანობა არ არის. მართალია, თორიულად ნებისმიერი საკითხი შეიძლება განიმარტოს „პოლიტიკურად“, მაგრამ აუცილებელია ხაზი გაივლოს მათ შორის, რაც სასამართლოს შეფასების საგანია. საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა ვიწროდ უნდა განიმარტოს და მოიცვას მხოლოდ პოლიტიკასთან უშუალოდ დაკავშირებული საქმიანობა. შესაბამისად, კონსტიტუციის 27-ე მუხლით არ უნდა შეიზღუდოს მოქალაქეობის არმქონე პირების შეკრებისა და მანიფესტაციის ისეთი გამოვლინება, რომელიც ეხება წმინდა სოციალურ და სხვა „არა-პოლიტიკურ“ საკითხებს.

**მუხლი 28.**

„1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.

2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუენაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.“

**1. ღაცვის სფერო**

კონსტიტუციის 28-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს არჩევნების გზით მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაციის პროცესში, ხოლო რეფერენდუმზე გადაწყვეტოს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები.

ხალხის წარმომადგენლობა დემოკრატიის აუცილებელი ნიშანია. ამასთანავე, ხალხის წარმომადგენლობა გარკვეული დროით უნდა იყოს შემოფარგლული, რომლის შემდეგაც ხელისუფლება წინასწარ განსაზღვრული წესით უნდა შეიცვალოს.

არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული წესრიგისათვის. შემთხვევითი არ არის, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრეამბულაში კონვენციით დადგენილი უფლებების დაცვის მთავარ გარანტიად მოხსენიებულია „ჭეშმარიტად დემოკრატიული პოლიტიკური წესრიგი“. სწორედ ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე ითვალისწინებს კონსტიტუციის 28-ე მუხლი, რომ არჩევნების უფლება არის ინდივიდუალური, მამასადაამე, განუსხვისებელი და განუყოფელი უფლება, რომელიც სხვა პირს არ შეიძლება გადაეცეს.

კონსტიტუციის 28-ე მუხლით განმტკიცებული უფლება არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ ხელისუფლების დანაწილების კონტექსტში. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ადგენს, რომ ხელისუფლება, პირველ რიგში, უნდა დანაწილდეს ხალხსა და სახელმწიფოს შორის. კონსტიტუციის 28-ე მუხლით დადგენილი უფლება ეფუძნება რეპრეზენტატიული დემოკრატიის კონსტიტუციურ პრინციპს. ხალხი ყველა შემთხვევაში რჩება ხელისუფლების ერთადერთ წყაროდ, მათ შორის არჩევნების შემდეგაც. მაგრამ, ჯერ კიდევ რუსო აღნიშნავდა, რომ „ფრანგი ხალხი მხოლოდ ერთ დღეს არის თავისუფალი – არჩევნების დღეს“. არჩევნების შემდეგ ხალხს აქვს ხელისუფლებაზე ზემოქმედების ლეგიტიმური უფლება. ამავე დროს, ამ უფლებების რეალიზაცია დასამუშავია მხოლოდ კანონის დაცვით და მშვიდობიანი ფორმით.

კონსტიტუციის 28-ე მუხლი არ ადგენს დემოკრატიული მმართველობის განსაზღვრულ ფორმას. ამავე დროს, იგი სახელმწიფოს ავალდებულებს ჩამოაყალიბოს სახელმწიფო და თვითმმართველობის არჩევითი ორგანოები, რომელთა ლეგიტიმურობაც დადასტურებული იქნება დროის განსაზღვრული პერიოდულობით ჩატარებულ არჩევნებში.

კონსტიტუციის 28-ე მუხლი კრძალავს მმართველობის ისეთ ფორმას, როდესაც სახელმწიფოს მეთაურის კომპეტენციები არ იქნება შებოჭილი საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის მიერ. საქმეზე Van Dijk/van Hoof ადამიანის უფლებათა ევრო-

პულმა კომისიამ მიუთითა, რომ არჩევნების ინსტიტუტი ავტორიტარული მმართველობისაგან დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიაა – სახელმწიფოს მეთაურს არ უნდა შეეძლოს პარლამენტის თანხმობის გარეშე მმართველობა.<sup>1</sup>

კონსტიტუციის 28-ე მუხლი არ განსაზღვრავს საარჩევნო პრინციპებს. ამ პრინციპებს საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს კონკრეტული ორგანოს (პარლამენტის) არჩევნების წესის განსაზღვრისას. კონსტიტუციის 28-ე მუხლში განმტკიცებულ არჩევნების უფლებას სხვა ფუნქციონალური დანიშნულება აქვს, ვიდრე არჩევნების კონსტიტუციურ პრინციპებს.

კონსტიტუციის 28-ე მუხლი გამოიცხავს ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების რამე ფორმით შვზღუდავს ან გაუქმებას. ეს მოთხოვნა, ასევე, გამოდინარეობს კონსტიტუციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტიდან, რომლის თანახმადაც „საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“. წარმომადგენლობითი დემოკრატიის მნიშვნელოვან გარანტიებს აყალიბებს კონსტიტუციის მე-5 მუხლი, რომლის შესაბამისად, „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში“ (პ.1). ხალხის მიერ ძალაუფლების განხორციელების ფორმებად განსაზღვრულია რეფერენდუმი, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმები და თავისი (ხალხის) წარმომადგენლები (პ. 2.).

კონსტიტუციის 28-ე მუხლი ადგენს არა ყველა სახელმწიფო ორგანოს, არამედ მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. კონსტიტუციის 28-ე მუხლი არ ეხება სახელმწიფოს მეთაურის (საქართველოს პრეზიდენტის) არჩევნებს და არც ამ თანამდებობის დაკავების წესს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი არ შეიძლება იყოს მოქალაქის სარჩელი, თუ იგი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის არჩევის (ან დანიშნვის წესი) არღვევს 28-ე მუხლის მოთხოვნებს. კანონმდებელი არ არის შეზღუდული, რომ საერთოდ გააუქმოს პრეზიდენტის პოსტი ან შემოიღოს პრეზიდენტის დანიშნვის (და არა არჩევის) წესი. 28-ე მუხლიდან გამომდინარე, დაუშვებელია მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოების გაუქმება. ასეთ გარანტიებს სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობის მიმართ კონსტიტუციის 28-ე მუხლი არ ადგენს.

კონსტიტუციის 28-ე მუხლი არ აკონკრეტებს, რომ არჩევნების უფლება ვრცელდება მხოლოდ წარმომადგენლობით ორგანოებზე. ამავე დროს, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების შეზღუდვითი განმარტება გამომდინარეობს კონსტიტუციით განმტკიცებული რეპრეზენტატიული დემოკრატიის პრინციპიდან. საქართველოში წარმომადგენლობითი სახელმწიფო ორგანოებია საქართველოს პარლამენტი, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი საბჭოები. კონსტიტუციის 28-ე მუხლში მოცემული „თვითმმართველობის ორგანოებში“ უნდა ვიგულისხმოთ თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები, რომლებიც მოქმედებენ სოფელში, თემში, დაბაში, ქალაქში, აგრეთვე იმ ქალაქში, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში (ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი). ადგილობრივი თვითმმართველობის

<sup>1</sup> საქმე *Van Dijk/van Hoof*. ციტირებულია: Grabenwarter, Ch., *Europäische Menschenrechtskonvention*. Ein Studienbuch, Wien, 2003, S. 319.

წარმომადგენლობითი ორგანო საკრებულო, ხოლო აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა (მთავრობა).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლში მოცემული „საკანონმდებლო ორგანოების“ ცნება გულისხმობს მხოლოდ პირველადი, არაწარმოებული ხელისუფლების ორგანოებს. აღნიშნული თვისებები კი ახასიათებს მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლებას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების გარანტიებს, თუნდაც ეს ორგანოები ახორციელებდნენ სამართალშეზღვევითი საქმიანობას (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე თიმქე, 1995).

კონსტიტუციის 28-ე მუხლი შინაარსობრივი თვალსაზრისით არ იცავს ხელისუფლების არჩევითი ორგანოების უფლებამოსილებებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ არ დაიშვება არჩევითი ორგანოებისათვის სიმბოლური უფლებამოსილებების მინიჭება, ან არჩევითი ორგანოების უფლებამოსილებათა იმ სახით შეზღუდვა, როდესაც მათ არ შეუძლიათ სრულად განახორციელონ ხალხის რეპრეზენტატიული ორგანოს ფუნქცია. ეს მოთხოვნა აქტუალურია იმ შემთხვევაში, როდესაც არჩევითი (წარმომადგენლობითი) ორგანო საკუთარი სურვილით უარს ამბობს გარკვეულ კომპეტენციებზე და გადასცემს მათ სხვა სუბიექტებს. როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, თუ კონსტიტუციური მართლმსაჯულების პრაქტიკაში დღემდე სადავოა ის საკითხი, თუ რა ფარგლებში შეუძლია ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოს ნებაყოფლობით გადასცეს კომპეტენციათა ნაწილი სხვა, მათ შორის, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს.

კონსტიტუციის 28-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების ვადა უნდა იყოს გონივრული. არაკონსტიტუციური იქნება კანონი, რომელიც დაადგენს წარმომადგენლობითი ორგანოების უფლებამოსილების არაგონივრულ ვადებს და ამ ფორმით შეზღუდავს არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია იმსჯელოს არჩევითი ორგანოს უფლებამოსილების ვადის გონივრულობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ ღრობის სათანადო ინტერვალში ჩაატარონ თავისუფალი და ფარული არჩევნები იმ პირობით, რომ საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების დროს უზრუნველყოფილი იქნება ხალხის აზრის თავისუფალი გამოვლენა. აღსანიშნავია, რომ კონვენციის აღნიშნული ნორმა რამდენადმე განსხვავდება სხვა მუხლებისაგან. ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი ადგენს არა ინდივიდუალურ უფლებას, არამედ მკაფიოდ მიუთითებს, რომ სახელმწიფოები კისრულობენ თავისუფალი და ფარული არჩევნების ჩატარების ვალდებულებას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მხოლოდ მოგვიანებით მიიჩნია, რომ პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი ადგენს მოქალაქის უფლებას „არჩევნებზე და იყოს არჩეული“. სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფოების მიერ აღებული ვალდებულება გულისხმობს არა საარჩევნო პროცესში „ჩაურევლობას“, არამედ დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისაკენ მიმართული აქტიური ღონისძიებების განხორციელებას.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Mathieu-Mohin u. Clerfayt, Serie A 113, Z. 50.

„დროის სათანადო ინტერვალის“ ცნება საკმაოდ ბუნდოვანია. გარდა ამისა, ეს არ არის სამართლებრივად საკალდებულო მოთხოვნა, რომელიც ბოჭავს სახელმწიფოებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა არ მიუთითებს, თუ რა ვადა შეიძლება იყოს „არასათანადო“ ან „არაგონივრული“. ადამიანის უფლებათა კომისიის შეხედულებით, საარჩევნო პერიოდი არ უნდა იყოს იმდენად ხანმოკლე, რომ შეუძლებელი გახდეს გრძელვადიანი პროექტების განხორციელება. მეორე მხრივ, საარჩევნო პერიოდი არ შეიძლება იმდენად გახანგრძლივდეს, რომ არჩევითი ორგანოების შემადგენლობამ ვერ ასახოს ამომრჩეველთა ნება და არ გაითვალისწინოს ამომრჩეველთა განწყობაში მომხდარი ფუნდამენტური ცვლილებები. ქვემო საქსონიის (გერმანიის ფედერალური მიწა) პარლამენტთან დაკავშირებულ საქმეზე კომისიამ მიიჩნია, რომ ხუთწლიანი საარჩევნო პერიოდი „გამართლებული“ იყო. ჩვეულებრივ, მიღებულია, რომ საარჩევნო პერიოდი მერყეობდეს 5-იდან 8 წლამდე და არ უნდა აღემატებოდეს 8 წელს.<sup>1</sup>

არჩევნებში მონაწილეობის უფლება დაირღვევა იმ შემთხვევაშიც, თუ სათანადო საფუძვლების გარეშე გადაიწევა მორიგი არჩევნების ჩატარების ვადა და ამ ფორმით ამომრჩეველს არ მიეცემა საკუთარი ნების თავისუფალი გამოვლინების შესაძლებლობა.<sup>2</sup>

კონსტიტუციის 28-ე მუხლი იცავს როგორც აქტიურ, ისე პასიურ საარჩევნო უფლებას. პასიური საარჩევნო უფლება პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატისათვის იწყება 25 წლის ასაკიდან (კონსტიტუციის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტი). პასიურ საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებით კონსტიტუცია დიფერენციაციის სხვა კრიტერიუმებსაც ითვალისწინებს. პასიურ საარჩევნო უფლებასთან არის დაკავშირებული გარკვეული ხელმოწერების წარდგენის ვალდებულებაც. პროპორციული საარჩევნო სისტემით საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მსურველი პოლიტიკური გაერთიანების ინიციატივა დადასტურებული უნდა იყოს არანაკლებ 50000 ამომრჩეველის ხელმოწერით, ხოლო მაჟორიტარული სისტემით არჩევნების დროს – ამომრჩეველის სულ ცოტა 1000 ხელმოწერა.

კონსტიტუციის 28-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ არჩევნები უნდა იყოს თანასწორი. არჩევნებში თანასწორობა არ გულისხმობს, რომ ყველა საარჩევნო ხმას ექნება თანაბარი „წონა“. თანასწორობა, ასევე, არ ნიშნავს, რომ არჩევნებში მონაწილე კანდიდატს აქვს წარმატების თანაბარი შანსი. ნებისმიერ საარჩევნო სისტემაში არის ხმები, რომლებიც გავლენას ვერ ახდენს არჩევნების შედეგებზე. თანასწორობის პრინციპს, ასევე, არ არღვევს პროპორციული საარჩევნო სისტემა, როდესაც ხმების საკმაოდ დიდი რაოდენობა „იკარგება“ (თუ პარტიამ ვერ გადალახა დადგენილი საარჩევნო ბარიერი).

თანასწორობის მოთხოვნა ვრცელდება როგორც უშუალოდ ხმის მიცემის პროცესზე, ისე არჩევნების მოსამზადებელ პროცედურებზე. თანასწორობის პრინციპი, ასევე, თანაბრად მოიცავს არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიასა და ინდივიდს.

თანასწორობის პრინციპი უნდა იქნეს გათვალისწინებული საარჩევნო ოლქების დადგენისას. საარჩევნო ოლქები, ამომრჩეველთა რაოდენობის თვალსაზრისით, არ უნდა იყოს არაპროპორციული. ამ შემთხვევაში, დიფერენცირებულად უნდა იქნეს

<sup>1</sup> Frowein/Peukert, Europäische Menschenrechtskonvention, Kommentar, 1996, S. 837.

<sup>2</sup> BVerfGE I, 14.

განხილული მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემები. მაჟორიტარული სისტემით არჩევისას საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა შედარებით თანაბარ რაოდენობას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ვიდრე პროპორციული არჩევნების შემთხვევაში. საარჩევნო ოლქებში მოსახლეობის უთანაბრობის არაპროპორციულობასა და ამ ფორმით თანასწორობის პრინციპის დარღვევაზე მსჯელობა შეუძლია საკონსტიტუციო სასამართლოს.

თანასწორობის პრინციპს არ არღვევს არჩევნებში მონაწილეობისათვის დაწესებული ამომრჩეველთა ხელმოწერები (საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური გაერთიანების მონაწილეობის ინიციატივა დადასტურებული უნდა იყოს 50000 ამომრჩეველის ხელმოწერით, ხოლო მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში – 1000 ხელმოწერით მინც). ასევე, დასაშვებია, რომ ხელმოწერის ვალდებულებისაგან გათავისუფლდეს ის პარტია, რომელსაც არჩევნების დანიშნვის დროისათვის ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში. აღნიშნული წესი არ ეწინააღმდეგება თანასწორობის პრინციპს.

არჩევნებში დაცული უნდა იყოს პარტიათა შანსების თანასწორობა. პოლიტიკური პარტია აქტიურად მონაწილეობს ხალხის პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესში. თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, თითოეულ პარტიას უნდა ჰქონდეს საარჩევნო პროცესში თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობა. კონსტიტუცია მოითხოვს არჩევნების პროცესში მხოლოდ ფორმალური თანასწორობის დაცვას. კანონმდებელი არ არის ვალდებული გამოათანაბროს ის ფაქტობრივი განსხვავებები, რომელიც გამომდინარეობს პარტიათა რიცხობრივი რაოდენობიდან, მათი რეალური აქტიურობიდან, პოლიტიკური ამოცანებიდან და სხვ. ამავე დროს, კანონმდებელი არ არის უფლებამოსილი დაადგინოს ისეთი ნორმა, რომელიც გააღრმავებს პარტიათა შორის ფაქტობრივად არსებულ განსხვავებას. პარტიათა შანსების თანასწორობის პრინციპი მოიცავს არა მარტო ხმის მიცემის პროცედურას, არამედ მთელ საარჩევნო პროცესს – არჩევნების მომზადებას, საარჩევნო კამპანიას და სხვ.

პარტიათა შანსების თანასწორობა დაცული უნდა იყოს ტელევიზიასა და რადიოში. საზოგადოებრივი ტელევიზია და რადიო ნეიტრალური უნდა იყოს და არ უნდა ჩაერიოს პოლიტიკური პარტიების კონკურენციაში. პარტიათა თანაბარი კონკურენციის პრინციპი არ არის დარღვეული, როდესაც საარჩევნო პროპაგანდის საეთერო დროის განსაზღვრისას გარკვეული ხარისხით გათვალისწინებული იქნება პარტიის მნიშვნელობა.<sup>1</sup>

პარტიის მნიშვნელობის თვალსაზრისით, ანგარიშგასაწვევია პარტიის მიერ წინა არჩევნებში მიღწეული შედეგები. ცხადია, ეს არ გულისხმობს, რომ შენარჩუნდეს არსებული სტატუს-კვო. პოლიტიკური პროცესი დინამიკური ხასიათისაა. ასევე, ცვალებადია პარტიათა პოპულარობა და მათდამი ამომრჩეველის დამოკიდებულება. ამიტომ, პარტიის მნიშვნელობის განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა პარტიის დაარსების დრო, საქმიანობის უწყვეტი (ან წყვეტილი, კამპანიური) ხასიათი; პარტიის წევრთა რაოდენობა; პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურა და სხვ. ამავე დროს, პარტიათა ინდივიდუალური თავისებურებები გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ გონივრულ ფარგლებში.<sup>2</sup>

<sup>1</sup> BVerfGE 14, 137 f.

<sup>2</sup> BVerfGE 34, 104.

პარტია დამოუკიდებლად განსაზღვრავს საარჩევნო კამპანიისათვის გამოყოფილი საეთერო დროის შინაარსს. საარჩევნო კამპანიის ცენტრია არ დაიშვება. პოლიტიკურ გაერთიანებას შეუძლია პროპაგანდა გაუწიოს ისეთ იდეებს, რომლებიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას (მაგალითად, მოითხოვოს მონარქიის აღდგენა). ამავე დროს, პოლიტიკური პარტია არ არის უფლებამოსილი დაარღვიოს სისხლის სამართლის კანონი ან მოუწოდოს დანაშაულის ჩადენისაკენ.

კერძო ტელევიზია და რადიო, საჯარო-სამართლებრივი დაწესებულებებისაგან განსხვავებით, დამოუკიდებლად განსაზღვრავს საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის ფორმებს. მას არ ეკრძალება პარტიულ პროპაგანდაში მონაწილეობა (მათ შორის, რეკლამების ფორმით), მაგრამ შეუძლია უარი თქვას პარტიული რეკლამების გადაცემაზე, არ დაბეჭდოს საარჩევნო პლაკატები და სხვ.

პარტიათა კონკურენციის პროცესში სახელმწიფო ორგანოები უნდა იყვნენ ნეიტრალური, რამდენადაც ისინი ემსახურებიან ხალხს და არა რომელიმე პარტიას. საარჩევნო კამპანიაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა რომელიმე პარტიის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ არღვევს არჩევნებში შანსების თანასწორობის კონსტიტუციურ მოთხოვნას.

სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით არ უნდა ატარებდეს შენიღბული ან ღია საარჩევნო პროპაგანდის სახეს. საზოგადოებასთან მთავრობის ურთიერთობის საზღვრები მთავრდება იქ, სადაც იწყება საარჩევნო კამპანია. დაუშვებელია, რომ მთავრობამ საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმით ოპოზიციის მიმართ გააკეთოს კრიტიკული სამთავრობო განცხადებები, პროპაგანდა გაუწიოს მთავრობის საქმიანობაში მიღწეულ დადებით შედეგებს და სხვ.

კონსტიტუციის 28-ე მუხლიდან არ გამომდინარეობს მოქალაქის უფლება რომ განსაზღვროს სახელმწიფო ორგანოთა არჩევნების წესი. ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევის წესის დადგენა კანონმდებლის კომპეტენციაა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ არ მიიღო საჩივარი, რომელიც შეეხებოდა დიდი ბრიტანეთის პროპორციული საარჩევნო სისტემის ადამიანის უფლებათა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლთან შესაბამისობას. დიდი ბრიტანეთის ლიბერალური პარტია კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა ქვეყანაში მოქმედი საარჩევნო სისტემის მართლზომიერებას. კომისიამ მიუთითა, რომ არგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული სისტემები დემოკრატიულ ქვეყნებში გავრცელებული საარჩევნო სისტემებია, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების საბოლოო შედეგები გარკვეულწილად დამოკიდებულია საარჩევნო სისტემაზე. ამავე დროს, კომისიის აზრით, შეუძლებელია თანასწორობის უზრუნველყოფა საარჩევნო ხმების „წონის“ მიხედვით თავის გადაწყვეტილებაში კომისია დაეყრდნო გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსა და აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს. კომისიამ მიიჩნია, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემის შემოღება დიდი ბრიტანეთის რომელიმე ნაწილში შესაძლებელია, თუ არსებობს ამის საფუძვლები. კომისიამ გამართლებულად ჩათვალა ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქმედი საარჩევნო სისტემა გადასაცემი ხმის უფლებით, რამდენადაც აქ ცხოვრობს სპეციფიკური უმცირესობა კათოლიკური მოსახლეობა – და არჩევნები არსებითად ასახავს კონფესიურ და სოციალურ წინააღმდეგობებს.<sup>1</sup>

<sup>1</sup> E 8765/79, DR 21, 211.

რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება, ასევე, იმას გულისხმობს, რომ მოქალაქეები წყვეტენ მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც შეიძლება იყოს სარეფერენდუმო განხილვის საგანი. რეფერენდუმის მოწყობისა და გამართვის საკითხებს აწესრიგებს საქართველოს ორგანული კანონი რეფერენდუმის შესახებ (1996 წ.). ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „რეფერენდუმში არის საერთო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად“. რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება, ასევე, არის განუსხვისებელი და ხელშეუხებელი უფლება – რეფერენდუმში მონაწილეობა მოქალაქეებს შეუძლიათ მხოლოდ უშუალოდ და პირადად (ორგანული კანონი რეფერენდუმის შესახებ, მ.1. პ.5.). კანონი ზუსტად განსაზღვრავს საკითხთა იმ წრეს, რომელზეც არ შეიძლება რეფერენდუმის მოწყობა: ა) კანონის მისაღებად და გასაუქმებლად; ბ) ამნისტიისა და შეწყალების გამო; გ) საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებისა და დენონსირების შესახებ; დ) ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზღუდავს ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

## II. სუბიექტი

არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს. უცხოელები არ განეკუთვნებიან სახელმწიფო ერს – ხალხს. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების წყარო შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე ხელისუფლების დემოკრატიული ლეგიტიმაციის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება უცხოელებზე არ ვრცელდება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაშიც აღიარებულია, რომ მოქალაქეობა წარმოადგენს საარჩევნო უფლების რეალიზაციის წინაპირობას.<sup>2</sup>

სადავოა, თუ რამდენად ვრცელდება კონსტიტუციის 28-ე მუხლის მოქმედება პოლიტიკურ პარტიებზე. 28-ე მუხლი პირდაპირ არ მოიხსენიებს პოლიტიკურ პარტიებს. ამავე დროს, პოლიტიკური პარტიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ხალხის პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესში. პარტიები შეიმუშავენ საარჩევნო პროგრამებს, ეწევიან აქტიურ საარჩევნო პროპაგანდას და სხვ. უნდა ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკური პარტიებიც არიან ამ მუხლით გარანტირებული პასიური საარჩევნო უფლების სუბიექტი.

კონსტიტუციის 28-ე მუხლით განმტკიცებული საარჩევნო უფლების განხორციელების შესაძლებლობა უნდა მიეცეს საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქესაც. საზღვარგარეთ ამ უფლების რეალიზაცია, როგორც წესი, უზრუნველყოფილია საქართველოს საელჩოებში საარჩევნო უბნების გახსნის გზით. ამ საკითხს განსხვავებულად უდგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი. აღნიშნული მუხლი უცხოეთში მცხოვრები სხვა სახელმწიფოს მოქალაქეს არ ანიჭებს სამშობლოში გამართულ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებს, ასევე, არ აქვთ უფლება აირჩიონ იმ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო, რომლის მოქალაქეობაც მათ არ გააჩ-

<sup>1</sup> E 8765/79, DR 21, 211.



ნიათ. ასეთი შეზღუდვა მართლზომიერია და არ არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის მოთხოვნებს.<sup>1</sup>

### III. ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება

კონსტიტუციის 28-ე მუხლით დადგენილია, რომ „უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.“ არ დიშგება ხელისუფლების მიერ არჩევნების მართვა (მანიპულაცია) და მხოლოდ ერთი სიით არჩევნები – ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს არჩევანის საშუალება. ნების თავისუფალი გამოვლინების უფლება არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტზე ვრცელდება.

არჩევნები უნდა წარიმართოს ყოველგვარი სახელმწიფო, პოლიტიკური და ეკონომიკური ზემოქმედების გარეშე. არჩევნების თავისუფლება უნდა იყოს რეალიზებული არა მარტო ფორმალურად, არამედ ფაქტობრივადაც. დაუშვებელია პოლიტიკური ზეწოლა როგორც სახელმწიფოს, ისე სხვა ამომრჩეველებისა და ჯგუფების მხრიდან. არჩევნებში ნების თავისუფლების შეზღუდვად ჩაითვლება როგორც პირდაპირი მუქარა, ასევე სამსახურებრივი, პროფესიული ან ეკონომიკურ-ფინანსური დამოკიდებულების გამოყენება.

ნების თავისუფალი გამოვლინების პრინციპი მოქმედებს არჩევნებამდე, არჩევნების პროცესში და არჩევნების შემდეგაც. სახელმწიფო ვალდებულია ნების თავისუფალი გამოვლინება დაიცვას არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვა პირებისა და ჯგუფების მხრიდანაც. ჩვეულებრივ, სახელმწიფო ამ ფუნქციას ახორციელებს სისხლის სამართლის დეენის მუქარით.

რეფერენდუმის პროცესში ნების თავისუფალ გამოვლინებას ემსახურება კანონის დებულება, რომლის თანახმადაც, „აკრძალულია რეფერენდუმის დღეს კენჭისყრის დამთავრებამდე საზოგადოებრივი აზრის შესწავლა. შეიძლება ადრე განხორციელებული გამოკვლევის შედეგების გამოქვეყნება ან კომენტირება რეფერენდუმის დღემდე ერთი კვირით ადრე, თუ მათ პირდაპირი ან ირიბი კავშირი აქვთ რეფერენდუმზე გამოტანილ საკითხთან“ (ორგანული კანონი „რეფერენდუმის შესახებ, მ. 8.).

ხმის მიცემის შემდეგ ამომრჩეველთა გამოკითხვა კენჭისყრის დასრულებამდე აკრძალულია ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით (მაგალითად, გერმანია). ნების თავისუფალი გამოვლინება დარღვეული იქნება მაშინ, თუ „შუადღემდე ხმის მიცემა მოხდება გამოკითხვის შედეგების ცოდნის გარეშე, ხოლო ნაშუადღევს – შედეგების გაცნობის შემდეგ.“<sup>2</sup> ამომრჩეველთა გამოკითხვა არჩევნებამდე, არსებითად, არ არღვევს ნების თავისუფალი გამოვლინების კონსტიტუციურ მოთხოვნას.

ნების თავისუფალი გამოვლინება მჭიდროდ არის დაკავშირებული არჩევნების ფარულ ხასიათთან. ამავე დროს, ფარული არჩევნების პრინციპს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც იგი ხმის მიცემამდეც მოქმედებს. მართალია, ფარული არჩევნების პრინციპი, ძირითადად, სწორედ ხმის მიცემის დროსაა რეალიზებული, მაგრამ მოქმედებს მთელი საარჩევნო პროცესის განმავლობაში. არჩევნების ფარულობა გულისხმობს, რომ უნდა გამოირიცხოს ამომრჩეველის მიერ მიღებული გადაწყვეტილების

<sup>1</sup> E 6850/74, DR 5, 90.

<sup>2</sup> Von Münch/Kunig, Grundgesetzkommentar, Rdn.37a. აქვე მითითებული ლიტერატურით

(მომავალში) გამოვლენის შესაძლებლობა (მაგალითად, თუ ამომრჩეველი იძულებულია ჩაწეროს კანდიდატის სახელი და გვარი, რაც იძლევა ამ ხელმოწერის იდენტიფიკაციის საშუალებას).<sup>1</sup>

ნების თავისუფალი გამოვლინება გულისხმობს, რომ ამომრჩეველს უფლება აქვს საჯაროდ არ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება პარტიის ან კანდიდატისადმი. ნების თავისუფალი გამოვლინება, ასევე, მოითხოვს, რომ კანდიდატის მიერ წარსადგენ ხელმოწერათა რაოდენობა უნდა იყოს გონივრული. თვითონ ხელმოწერების წარდგენა არ ეწინააღმდეგება ნების თავისუფალი გამოვლინების კონსტიტუციურ მოთხოვნას, რადგან იგი აუცილებელია აჩვენების სათანადოდ ჩატარებისათვის და საარჩევნო წინადადების სერიოზულობის გადამოწმების შესაძლებლობას იძლევა.<sup>2</sup>

ნების თავისუფალი გამოვლინება არის არა მარტო ამომრჩეველის უფლება, არამედ ვალდებულებაც. ამომრჩეველი არ არის უფლებამოსილი, რომ სხვა პირთა თანდასწრებით შეაყოს საარჩევნო ბიულეტენი ან ღიად მისცეს ხმა. ამავე დროს, ხმის მიცემამდე და ხმის მიცემის შემდეგ ამომრჩეველი უფლებამოსილია თავისი გადაწყვეტილება განაცხადოს ღიად და საჯაროდ.<sup>3</sup>

ნების თავისუფალი გამოვლინება არ გულისხმობს მხოლოდ რომელიმე კანდიდატის ან პარტიის თავისუფალ არჩევას. ნების თავისუფლება ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს საარჩევნო კანდიდატების წამოყენების დროსაც. მაგალითად, პარტიის წევრებს უნდა მიეცეთ კანდიდატის წამოყენების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა. ამ უფლებით არ უნდა სარგებლობდნენ მხოლოდ პარტიის მმართველი ორგანოები.<sup>4</sup> პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები არ არიან შეზღუდული თავიანთი კანდიდატურების წარდგენაში. ამავე დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს სხვა მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობაც.<sup>5</sup>

ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლინებას არღვევს არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობა. ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს თითოეული კანდიდატის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის შესაძლებლობა ამავე დროს, ამომრჩეველს შეუძლია არც ერთ კანდიდატს არ მისცეს ხმა და არავინ აი აირჩიოს. იმ შემთხვევაში, თუ გარანტირებულია არჩევნების ფარულობა, ხმის სავალდებულო მიცემა არ არღვევს ნების თავისუფალ გამოვლინებას.<sup>6</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი არ იქნება დარღვეული. თუ კანონი ითვალისწინებს არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობას. ამასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა კომისია ხაზგასმით მიუთითებს, რომ დაცული უნდა იყოს ხმის ბათილად ცნობის პროცედურა. კონვენციას, ასევე, არ არღვევს წესი, როდესაც პარტია, რომელიც დააგროვებს ამომრჩეველთა ხმების 5%-ზე ნაკლებს, ვერ მიიღებს სადებუტატო ადგილებს. კომისიის აზრით, კონვენციის ამ მუხლიდან არ გამომდინარეობს ეროვნულ უმცირესობათა პარტიებისათვის ხელშეწყობის ვალდებულება.<sup>8</sup>

<sup>1</sup> Schmidt-Bleibtreu/Klein, Kommentar zum Grundgesetz, S. 793.

<sup>2</sup> E 6850/74, DR 5, 90.

<sup>3</sup> Von Münch/Kunig, Grundgesetz-Kommentar, II, Art. 38, Rdnr. 57.

<sup>4</sup> BVerfGE 47, 282.

<sup>5</sup> BVerfGE 89, 243, 264.

<sup>7</sup> Schmidt-Bleibtreu/Klein, Kommentar zum Grundgesetz, 9. Auflage, S. 792.

<sup>8</sup> E 1718/62, Yb 8, 169, 172.

არჩევნებში ნების თავისუფალ გამოვლინებას არ ზღუდავს კოლექტიური შიშის დანერგვისაკენ მიმართული მოქმედება. ამომრჩეველმა თვითონ უნდა განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება ისეთი საარჩევნო მოწოდებების მიმართ, როგორცაა მაგალითად: „თუ აირჩევთ X პარტიას, საქართველო დაილუქება“.

ნების თავისუფალი გამოვლინების პროცესში სახელმწიფოს ეკრძალება ნებისმიერი ფორმით ჩარევა. არჩევნების პროცესში თანამდებობის პირების (მერები, გამგებლები, პრეზიდენტის წარმომადგენლები) ჩარევა შეუთავსებელია მათ სახელმწიფო ფუნქციებთან. რაც შეეხება კერძო დაწესებულებებს, აგრეთვე, ეკლესიას, პროფკავშირებს, მათი ზეგავლენა ამომრჩეველთა ნების ფორმირებაზე არ ეწინააღმდეგება ნების თავისუფალი გამოვლინების პრინციპს.<sup>18</sup>

#### IV. შეზღუდვის ფარგლები

კონსტიტუციის 28-ე მუხლი დასაშვებად მიიჩნევს ცალკეულ შეზღუდვებს, რომლებიც გამომდინარეობს საარჩევნო პროცესის მიზნიდან და ბუნებიდან. ამავე დროს, საარჩევნო უფლების სფეროში განხორციელებული ნებისმიერი დიფერენციაცია დასაბუთებული უნდა იყოს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დიფერენციაციის ყველა საფუძველი კონსტიტუციამ უნდა განსაზღვროს. დიფერენციაციის კრიტერიუმების მართლზომიერებისათვის საკმარისია მათი კონსტიტუციური ლეგიტიმაცია.<sup>1</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში განხილულ საქმეზე 2/3/250-269. საქართველოს კონსტიტუციური (მონარქისტული) პარტიის თავმჯდომარე თემურ ჟორჯოლიანი და იგორ გიორგაძის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მოსარჩევეები მიიჩნევენ, რომ საქართველოს ორგანული კანონის – „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 92-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ნორმა, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მსურველთათვის აწესებს 10 წლის განმავლობაში საქართველოში მუდმივად ცხოვრების აუცილებლობას, ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 28-ე მუხლს, რადგან უზრუნველყოფილი არ არის ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება აირჩიოს და არჩეულ იქნეს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. მოსარჩევეების აზრით, ასევე არაკონსტიტუციური იყო ის შეზღუდვა, რომლის თანახმადაც, „საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი არ შეიძლება იყოს მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე“.

თავის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ საარჩევნო ცენზები არ მიიჩნია არადემოკრატიულობის მაჩვენებლად და ჩათვალა, რომ მათი არარსებობა „გამოიწვევს სრულ ქაოსს საარჩევნო პროცესებთან მიმართებაში, თავად არჩევნების ჩატარების შეუძლებლობის ჩათვლით“. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს „...როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლება, თუმცა ეს შეზღუდვები თვითნებური არ უნდა იყოს. ...შეზღუდვები დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გონივრულია. ...თავისუფალი არჩევნების უფლებაზე არსებული შეზღუდვები არ შეიძლება შეფასდეს როგორც რაიმე დისკრიმინაცია.“

<sup>1</sup> Von Münch/Kunig II, Art. 38 Rdn. 36.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში N 2/97/3, 2000 წლის 21 დეკემბერი, საქმეზე: მოქალაქეები: ბესარიონ ფანცულაია, ელგუჯა გულედანი, ჯემალ მიქელაძე, მურმან ზაქარაია და მანგული ხუბუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, რომელიც (სხვა საკითხებთან ერთად) შეეხებოდა კონსტიტუციის 28-ე მუხლთან „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების საქრებულოების არჩევნების შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესა ამისობის საკითხს.

მოსარჩლეების აზრით, მათ როგორც იძულებით გადაადგილებულ პირებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან, ჩამოერთვათ კონსტიტუციით გარანტირებული უფლება მონაწილეობა ინიღონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში. „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დევნილებისათვის დგება ცალკე სია და ისინი მონაწილეობას არ მიიღებენ ერთმანდატიანი ოლქის არჩევნებში.

სასამართლოს აზრით, კონსტიტუციის 28-ე მუხლი, რომელიც „ითვალისწინებს ჩვეულებრივ პირობებში ჩასატარებელ არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლებას, არ შეიძლება თანაბრად მოქმედებდეს არაორდინალური ვითარების დროს და თვლის, რომ ორგანული კანონი უფლებამოსილი იყო ამ პირთა არჩევნებში მონაწილეობის განსხვავებული წესი დაედგინა, საცხოვრებელი ადგილიდან მათი მოწყვეტის გამო. ... აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა... დღემდე თავის საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებას მოითხოვს. ასეთ ვითარებაში არჩევნებში მათი მონაწილეობის წესი შეიძლება არც დაემთხვას ნორმალურ სიტუაციაში არჩევნების ჩატარების დროს დადგენილ წესს, ხელი შეეშალოს საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის სრულად ამოქმედებას“.

სასამართლო კოლეგიის აზრით, ერთმანდატიან ოლქში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაწილეობა დაარღვევდა თანასწორობის პრინციპს, რადგანაც მათ ... საქართველოს პარლამენტში ჰყავთ წარმომადგენლები, მათ შორის მაჟორიტარულ წესით არჩეული დეპუტატები, რომლებიც არჩეული არიან საქართველოს იურისდიქციის დარღვევამდე ავტონომიური რესპუბლიკის მცხოვრებთა მონაწილეობით და ... კიდევ ერთი მაჟორიტარის არჩევა ამომრჩეველზე ერთი ხმის უფლების დარღვევას გამოიწვევდა, რასაც ყველა ამომრჩეველის თანასწორობის პრინციპის დარღვევა მოჰყვებოდა.“

აღამიანის უფლებათა კომისიამ მიუთითა, რომ საჩელმწიფოებს შეუძლიათ დაადგინონ გარკვეული შეზღუდვები, რომელიც, ამავდროულად, არ უნდა იყოს თვითნებური. ასე მაგალითად, დასაშვებია, რომ კანონი მოითხოვდეს განსაზღვრულ საარჩევნო ტერიტორიაზე ცხოვრებას.<sup>1</sup> კომისიამ დაადგინა, რომ გერმანიაში მოქმედი პარტიათა დაფინანსების სისტემა (როდესაც, პარტია, რომელიც გადალახავს საარჩევნო ბარიერს, მისთვის მიცემული თითოეული ხმისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს სათანადო დაფინანსებას) არ არღვევს არჩევნების თავისუფლებას.<sup>2</sup>

<sup>1</sup> BVerfGE NJW 1997, 1568.

<sup>2</sup> E 7730/76, DR 15, 137.

ადამიანის უფლებათა კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, ორპალატიანი პარლამენტის მქონე სახელმწიფოები უფლებამოსილი არიან მეორე პალატის წევრთა პასიური საარჩევნო უფლებისათვის დაადგინონ მაღალი ასაკობრივი ცენზი. კომისიამ მიიჩნია, რომ ბელგიაში მოქმედი წესი, რომლის თანახმადაც სენატორი სულ ცოტა 40 წლის უნდა იყოს, არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლს.<sup>1</sup> ამავე გადაწყვეტილებაში კომისიამ მართებულად მიიჩნია ზოგიერთ მონარქიულ სახელმწიფოში მოქმედი წესი, რომლის თანახმადაც პარლამენტის მეორე პალატის რამდენიმე წევრს მონარქი ნიშნავს. ბელგიის კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად, სენატის წევრები მეფის შვილები ან სამეფო ოჯახის პრინცები არიან, რომლებსაც აქვთ ტახტის მემკვიდრეობის უფლება.<sup>2</sup> ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციის 28-ე მუხლის მოთხოვნებს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტი ნიშნავს სენატის 5 წევრს. ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სენატის, როგორც არჩევითი ორგანოს – პარლამენტის ერთ-ერთი პალატის რიცხობრივი შემადგენლობა არ უნდა იყოს ისეთი, როდესაც მასში ხმათა უმრავლესობა ექნება პრეზიდენტის მიერ დანიშნულ 5 წევრს. პროპორცია სენატის არჩევით და დანიშნულ წევრებს შორის უნდა იყოს გონივრული – მასში არ უნდა დომინირებდნენ დანიშნული პირები.

დოქტრინის ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება იყოს არჩევნების შედეგად ქმედითი ხელისუფლების ჩამოყალიბება. ხელისუფლების ქმედითობის კონსტიტუციურად ლეგიტიმირებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, არ არის სასურველი, რომ ამომრჩეველთა ხმები დაქუცმაცდეს სხვადასხვა, მცირერიცხოვან პარტიებს შორის. საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიიღებენ მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 7 პროცენტს მაინც, ემსახურება სწორედ ქმედუნარიანი პარლამენტის ჩამოყალიბების მიზანს და, შესაბამისად, გამართლებულია. ამავე დროს, ეს ბარიერი არ შეიძლება იყოს აბსოლუტური – მისი გადასინჯვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ არსებითად შეიცვალა საზოგადოების პარტიულ-პოლიტიკური სტრუქტურა ან ურთიერთობები სახელმწიფოს შიგნით საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს საარჩევნო ბარიერის გონივრულობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი არ ადგენს არჩევნების პროცესში თანასწორობას. ამ მიდგომის საფუძველზე გადაწყვეტა ადამიანის უფლებათა კომისიამ კონვენციასთან ისლანდიის პარლამენტის არჩევნების შესაბამისობის საკითხი. ისლანდიის პარლამენტი (ალტინგი), ძირითადად, პროპორციული სისტემით აირჩეოდა. პარლამენტის 49 დეპუტატს ირჩევდნენ 8 საარჩევნო ოლქში პროპორციული საარჩევნო სისტემით. დანარჩენი 11 ადგილისათვის გათვალისწინებული იყო გათანაბრების სპეციალური პროცედურა, რომლის დროსაც მოქმედებდა განსაკუთრებული შედეგათი ქვეყნის სასოფლო, აგრარული ოლქებისათვის.

<sup>1</sup> E 6850/74, DR 5, 90.

<sup>2</sup> E6745/74 DR 2, 110, 113.

აღმოჩნდა, რომ ქვეყნის სასოფლო და ურბანულ რეგიონებში ამომრჩევლის ხმის „წონა“ არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. კერძოდ, ეს პროპორცია შეადგენდა 1 : 4,8. ანუ საპარლამენტო მანდატის მისაღებად დეპუტატობის კანდიდატს აგრარულ რეგიონებში უნდა მიეღო ამომრჩევლის 4-ჯერ ნაკლები ხმა, ვიდრე ქალაქში არჩეულ დეპუტატებს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ მიუთითა, რომ კონვენციის დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი არ აღგენს საარჩევნო უფლების თანასწორობის პრინციპს. ამჟამად დროს, ისლანდიის საარჩევნო სამართალი ქვეყნის ნაკლებად დასახლებული რეგიონის მოსახლეობას უნდა აძლევდეს პარლამენტში თავიანთი წარმომადგენლის არჩევის საშუალებას. სრული საარჩევნო თანასწორობის შემთხვევაში, ისლანდიის პარლამენტის წევრთა უმრავლესობა აირჩეოდა ორი, ტერიტორიულად ძალიან შეზღუდული საარჩევნო ოლქიდან. კომისიამ, ასევე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საარჩევნო სისტემის შედეგად ისლანდიის არც ერთი პარტია არ უნდა იყოს პრივილეგირებული სხვა პარტიების საზიანოდ.<sup>1</sup> კომისიის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გაკრიტიკებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. კერძოდ, აღინიშნა, რომ კომისია „ძალიან შორს წავიდა“, როდესაც მიუთითა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი არ ითვალისწინებს არჩევნების თანასწორობას. ხალხის ნების თავისუფალი გამოვლინება მიიღწევა არა ქვეყნის ტერიტორიათა წარმომადგენლობით, არამედ კენჭისყრაში ამომრჩეველთა მონაწილეობით.<sup>2</sup>

საარჩევნო ოლქებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ, ასევე, განიხილა ბელგიის საარჩევნო სისტემის კონვენციასთან შესაბამისობის საკითხი. ამ შემთხვევაში, კომისიამ მიიჩნია, რომ ბელგიაში მოქმედი საარჩევნო სისტემა არღვევს კონვენციის მოთხოვნებს. საქმე ეხებოდა ბელგიაში რეგიონალური საბჭოების არჩევნებს, რომლის დროსაც ფლანდრიის რეგიონის ტერიტორია საარჩევნოსამართლებრივად მიეკუთვნა ქვეყნის დედაქალაქს – ბრიუსელს. ფლანდრიის რეგიონის ამ ნაწილის ფრანგულენოვანმა მოსახლეობამ, ბრიუსელის ამომრჩეველთან ერთად, ხმა მისცა ფრანგულენოვან კანდიდატებს. მაგრამ, ფლანდრიის რეგიონალურ საბჭოში ფრანგულენოვანმა კანდიდატებმა ვერც ერთი ადგილი ვერ მიიღეს. ამ წესით ჩატარებული არჩევნების შედეგად რეგიონის ფრანგულენოვან მოსახლეობას არ ჰყავდა თავისი წარმომადგენელი ფლანდრიის რეგიონალურ საბჭოში. კომისიის აზრით, არჩევნების მსგავსი სისტემა ეწინააღმდეგება კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლს. საარჩევნო სისტემა, რომლის შედეგადაც განსაზღვრულ ჯგუფს (ამ შემთხვევაში, ფრანგულენოვან მოსახლეობას) ჩამორთმეული აქვს რეგიონალურ საბჭოში წარმომადგენლობის უფლება, ეწინააღმდეგება კონვენციით დადგენილ პრინციპებს.<sup>3</sup>

კანონმდებელს ეკრძალება დიფერენციაცია პოლიტიკური, მსოფლმხედველობრივი ან სოციალური ნიშნით. დაუშვებელია საარჩევნო უფლების შეზღუდვა კონსტიტუციის მე-14 მუხლში განსაზღვრული ნიშნებით (რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით). ასევე აკრძალულია განათლების ან ქონებრივი ცენზის დადგენა.

<sup>1</sup> E6745/74 DR 2, 110, 113.

<sup>2</sup> Frowein/Peukert, Europäische Menschenrechtskonvention, S. 839.

<sup>3</sup> Frowein/Peukert, Europäische Menschenrechtskonvention, S. 840.

კონსტიტუციის 28-ე მუხლი ადგენს დიფერენციაციის რამდენიმე კრიტერიუმს. პირველ რიგში, ეს ეხება ასაკს. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს 18 წლის მოქალაქეს. ამავე დროს, კანონმდებელს არ შეუძლია თვითნებურად განსაზღვროს აქტიური საარჩევნო უფლების ასაკი. თავისი ფსიქო-ფიზიოლოგიური მონაცემებით, 18 წლის ასაკის ადამიანს თავისუფლად შეუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება. შესაბამისად, არ არსებობს საარჩევნო ასაკის ქვედა საზღვრის შეცვლის არანაირი საჭიროება. საარჩევნო ასაკის შეცვლის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს, თუ რამდენად გონიერულია კანონმდებლის მოქმედება. იგივე შეიძლება ითქვას პასიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა მიმართ დადგენილი ასაკობრივი ცენზის შესახებაც.

კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში“.

არჩევნების მიზანია ხალხის პოლიტიკური ნების ფორმირება. შესაბამისად, გასაგებია, თუ რატომ არა აქვთ არაქმედუნარიან პირებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ცხადია, რომ პირი სასამართლომ უნდა აღიაროს არაქმედუნარიანად. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში პირის გარკვეული ხანი ყოფნის ფაქტი არ არის საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ მას არ მიეცეს არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება. სანამ სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას პირის ქმედუუნაროდ ცნობის შესახებ, მას აქვს (თუ სხვა მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს) არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

რამდენადმე სადავოა კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის მართლზომიერების საკითხი, რომლის თანახმადაც არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვთ იმ პირებს, რომლებიც სასამართლოს განაჩენით სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში იმყოფებიან. ასეთი შეზღუდვა ეფუძნება სახელმწიფო უშიშროების ინტერესებს. თუმცა, შეიძლება სადისკუსიო იყოს საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება ამ შეზღუდვის მიზანი არჩეულ საშუალებას.

დასაშვებია არჩევნებში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა (მაგალითად, განსაზღვრული ასაკით, გარკვეულ ტერიტორიაზე ცხოვრებით; ენის ცოდნით და სხვ.). ამავე დროს, ამ შეზღუდვის მიზანი უნდა იყოს ლეგიტიმური, ხოლო შეზღუდვის ფარგლებში უნდა განისაზღვროს თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე. დაწესებული შეზღუდვები არ უნდა არღვევდეს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლინებას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე პოდკოლზინა ლიტვის წინააღმდეგ. მომჩივანი იყო რუსული ენობრივი უმცირესობის წარმომადგენელი და როგორც კანდიდატი მონაწილეობდა ლიტვის პარლამენტის არჩევნებში. მას ჰქონდა ოფიციალური ცნობა, რომელიც ადასტურებდა ლიტვური ენის დადგენილ ფარგლებში ცოდნას. მიუხედავად ამისა, კანდიდატს მოსთხოვეს ენობრივი ტესტის განმეორებით ჩაბარება. ტესტის შედეგების საფუძველზე ლიტვის სახელმწიფო ორგანომ მიიჩნია, რომ კანდიდატმა დადგინო ფარგლებში არ იცოდა ლიტვური ენა. მას, როგორც კანდიდატს, აეკრძალა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა. სასამართლოს აზრით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლით გარანტირებულია არჩევნებში კანდიდატად წამოყენების უფლებაც (პასიური საარჩევ-

ნო უფლება). სახელმწიფოს შეუძლია ამ თვალსაზრისით დააწესოს გარკვეული შეზღუდვები, მაგრამ ეს შეზღუდვები უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლიტვის სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ იყო თანაზომიერი. ტესტი ჩაიბარა ერთმა სახელმწიფო მოხელემ, რომელმაც კანდიდატს მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები გამოჰკითხა.<sup>1</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *Mathieu-Mohin da Clerfayt* (1987) ჩათვალა, რომ არჩევლების თავისუფლების შეზღუდვა არ ეწინააღმდეგება კონვენციას, თუ ამ სისტემას ს ურს მოსახლეობის განსხვავებული ჯგუფის შანსების გათანაბრება და სტაბილური, დეცენტრალიზებული ორგანიზაციული სტრუქტურის შემოქმედებით შიდასახელმწიფო-არევი კონფლიქტის განეიტრალება.

---

<sup>1</sup> პოდკოლზინა ლარვინის წინააღმდეგ (*Podkolzina v. Latvia*), 2002 წლის 9 აპრილი.



**მუხლი 29.**

*„1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლით დადგენილ მოთხოვნებს.*

*2. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.“*

**I. ღაცვის სფერო**

კონსტიტუციის 29-ე მუხლი საქართველოს მოქალაქეს ანიჭებს სახელმწიფო სამსახურის განხორციელების შესაძლებლობას. კონსტიტუცია არ ადგენს სახელმწიფო თანამდებობის დაკავების თავისუფლებას. სახელმწიფო სამსახურისათვის დადგენილი სპეციფიკური თავისებურებები გამომდინარეობს თვითონ საგანთა ბუნებიდან. სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება იმას ნიშნავს, რომ ყველა მოქალაქეს აქვს ამ თანამდებობის დაკავების თანაბარი შესაძლებლობა. კონსტიტუცია უზრუნველყოფს მოქალაქის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო თანამდებობათა დაკავების პროცესში.

კონსტიტუციის 29-ე მუხლის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფო სამსახურზე. ამ ნორმის ადრესატი შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო.

კონსტიტუციის 29-ე მუხლის თანახმად საქართველოს ყოველ მოქალაქეს სახელმწიფო თანამდებობის დაკავების თანაბარი შანსი აქვს. სახელმწიფო თანამდებობაზე შერჩევა უნდა მოხდეს შესაძლებლობებისა და პროფესიული უნარის მიხედვით, რომლის დროსაც, ერთი მხრივ, არ უნდა დაზარალდეს მოქალაქე, ხოლო მეორე მხრივ, დაცულ იქნეს საჯარო ინტერესი და ჩამოყალიბდეს ქმედითი სახელმწიფო მმართველობა და მართლმსაჯულება.

სახელმწიფო თანამდებობის ცნება განმარტებულია საქართველოს კანონში „საჯარო სამსახურის შესახებ“. ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო თანამდებობა არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქის ადგილსა და სოციალურ-შრომით როლს საჯარო სამსახურის სისტემაში, მის უფლებებსა და მასზე დაკისრებულ მოვალეობებს“. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ვანმარტება საკმაოდ ბუნდოვანია და არ აყალიბებს სახელმწიფო თანამდებობის, თუნდაც, ძირითად ნიშნებს. ამავე კანონის თანახმად, სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობად ითვლება შრომითი ურთიერთობა არჩევით ან დანიშნვით თანამდებობაზე იმ დაწესებულებაში, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე „...ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობას და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვას“. კანონის შინაარსიდან გამომდინარე, „სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისა“ და „სახელმწიფო სამსახურის“ ცნებები უნდა განვიხილოთ როგორც იდენტური.

კონსტიტუციის 29-ე მუხლი „სახელმწიფო თანამდებობას“ მოიხსენიებს მხოლოდობით რიცხვში, მაგრამ მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს მოქალაქეს შეუძლია არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე სახელმწიფო თანამდებობის დაკავება. სახელმწიფო სამსახურში შეთავსების წესს არეგულირებს კანონი.

პირს უფლება აქვს დაიკავოს მხოლოდ კანონით დადგენილი თანამდებობები. სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება არ გულისხმობს, რომ მოქალაქეს შეუძლია რაიმე ფორმით განსაზღვროს სახელმწიფო თანამდებობების სახე ან ამ თანამდებობათა დაკავების წესი. სახელმწიფო თანამდებობის სახეებს, აგრეთვე, განსაზღვრულ თანამდებობათა დაკავების წესებს განსაზღვრავს მხოლოდ სახელმწიფო.

სახელმწიფო ადგენს თანამდებობათა ნუსხას, იერარქიას და სხვ. ცხადია, ეს არ ზღუდავს სახელმწიფო თანამდებობის დაკავების კონსტიტუციურ უფლებას. სახელმწიფო, ასევე, არ არის ვალდებული, რომ სახელმწიფო სამსახურში შექმნას და შეინარჩუნოს განსაზღვრული სამუშაო ადგილები. კონსტიტუციის 29-ე მუხლი არ ზღუდავს სახელმწიფოს ორგანიზაციულ თავისუფლებას. ამავე დროს, სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებაზე ვრცელდება სოციალური სახელმწიფოს პრინციპების მოქმედება. კერძოდ, გათვალისწინებული უნდა იყოს ორსული ქალების, უნარშეზღუდული პირების, ასაკოვანი პირების, მარტოხელა დედების და სხვა, სოციალურად დაუცველი პირების მდგომარეობა.<sup>1</sup>

სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება გულისხმობს, რომ პირს შეუძლია აირჩიოს რამდენიმე თანამდებობა და, ასევე, ერთდროულად განახორციელოს რამდენიმე თანამდებობა. სახელმწიფო სამსახურის შეცვლა ან სახელმწიფო სამსახურზე საკუთარი ნებით უარის თქმა, ასევე, აყალიბებს სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების შინაარსს.

სახელმწიფო თანამდებობის დაკავება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ნებაყოფლობით. აღნიშნული უფლება გამორიცხავს ნებისმიერი ფორმით იძულებას. იძულება არ დაიშვება როგორც სახელმწიფო თანამდებობის დაკავების დროს, ისე, სახელმწიფო სამსახურზე უარის თქმის შემთხვევაში (თუ პირი უკვე დანიშნულია). სახელმწიფო სამსახურიდან წამოსვლის წესები დადგენილია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით და, ასევე, შრომის კანონმდებლობით.

კონსტიტუციის 29-ე მუხლის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე. კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა შემოიფარგლება ფორმალური კრიტერიუმით, რომელიც ადგენს, რომ სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება აქვს საქართველოს ყოველ მოქალაქეს.

სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს იმ პირობების (ცოდნა, კვალიფიკაცია) შესაქმნელად, რომელთანაც დაკავშირებულია გარკვეული თანამდებობის დაკავება. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ იმ სასწავლო დაწესებულებებზე, რომლებიც საეციალურად ამზადებენ სახელმწიფო მოხელეებს. სახელმწიფო უფლებამოსილია დამოუკიდებლად განსაზღვროს სახელმწიფო მოხელეთა მომზადების, აგრეთვე, ამ პროცესში დამატებითი სასწავლო კურსების და სხვა ფორმების გამოყენების წესი. სახელმწიფოს შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს სახელმწიფო თანამდებობაზე შერჩევის კრიტერიუმებიც.

სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისას დაცული უნდა იყოს თანასწორობის პრინციპი, მათ შორის თანასწორობა ქალსა და მამაკაცს შორის. ანტიკონსტიტუციური იქნება სახელმწიფო სამსახურში ქალებისათვის განსაზღვრული კვოტის დადგენა. სახელმწიფო სამსახური უნდა იყოს ქმედითი. შესაბამისად, სახელმწიფო თანამ-

<sup>1</sup> Schmidt-Bleibtreu/Klein, Kommentar zum Grundgesetz, 9. Auflage, S308.

დებობის დაკავების გადამწყვეტი კრიტერიუმი შეიძლება იყოს მხოლოდ ცოდნა და პროფესიონალიზმი.

სახელმწიფო თანამდებობის დაკავებისას არ დაიშვება დისკრიმინაცია პარტიული კუთვნილების ნიშნით, როდესაც ზარალდება პროფესიული თვალსაზრისით უკეთესი კანდიდატურა. ასეთ შემთხვევებს უწოდებენ „დელოლოგიურ კორუფციას“, რომელიც აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს სახელმწიფო სამსახურს და მოქალაქის უფლებათა უხეში დარღვევაა.

სახელმწიფო აპარატი უნდა იყოს პარტიულად ნეიტრალური. შეიძლება სახელმწიფო მოხელე არ იზიარებდეს მთავრობის ოფიციალურ კურსს, მაგრამ სამსახურებრივი უფლებამოსილებების განხორციელებისას ამ პოლიტიკის მიმართ იგი ლოიალური უნდა იყოს.

სახელმწიფო თანამდებობის დაკავება, სამსახურში შერჩევა და მიღება უნდა მოხდეს კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით. თუ სამსახურში მიღებისას დარღვეული იქნება სახელმწიფო სამსახურში მიღების კრიტერიუმები (მათ შორის საგნობრივიც), პირს უფლება აქვს მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება.

სახელმწიფო თანამდებობის დაკავების პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე და საქვენო. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს, რომ „პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს კონკურსის შედეგების გათვალისწინებით“ (მ.29, პ. 1.). ამავე კანონის 30-ე მუხლით, თანამდებობაზე უკონკურსოდ შეიძლება დაინიშნონ: „ა) საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის მიერ თანამდებობაზე დასანიშნი ან ასარჩევი მოხელეები; ბ) მინისტრის მოადგილეები, თანამშრომლები და მჩრეკლები; გ) თანამდებობაზე დროებით შემცვლელეები; დ) დროებით მოვალეობის შემსრულებლები იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს; ე) სამსახურებრივი დაწინაურების შემთხვევაში; ვ) რეზერვში ჩარიცხული პირები.“

სახელმწიფო თანამდებობაზე მიღებისას დაცული უნდა იყოს რელიგიურ-მსოფლმშენებლობრივი ნეიტრალიტეტი.

საჯარო სამსახური მოიცავს მთლიანად საჯარო ფუნქციებს. სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს, თუ როგორ განახორციელებს ამ ფუნქციებს. საჯარო უფლებამოსილებების გადაცემა სხვა, არასახელმწიფო ორგანოებისთვის (მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის) სახელმწიფოს არ ათავისუფლებს მათ სათანადო განხორციელების ვალდებულებისაგან. ამ მიზნით, ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს ქმედითი სახელმწიფო ზედამხედველობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქმე 1/1/138, 171, 179, 209 „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ლეკვიშვილი, კობა გოცირიძე, კობა კობახიძე და სხვანაირი დამცველი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“. მოსარჩლეებს არაკონსტიტუციურად მიაჩნდათ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 85 2-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმადაც, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილი იყო კანონმდებლობით დადგენილი წესით და საფუძვლებით თავისი განკარგულებით 18 თვით

<sup>1</sup>Ingo von Münch (Hrsg.), Grundgesetzkommentar, Band 2, 2. Auflage, S. 360.

„სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება“ დაეკისრებინა იმ პირისათვის, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა ან ატესტაცია. მოსარჩლეების აზრით, ეს წესი ეწინააღმდეგება არა მარტო კონსტიტუციის 29-ე მუხლს, არამედ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 49-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც საქართველოს ყველა მოსამართლის უფლებამოსილების ვადაა ათი წელი.

მოსარჩლეები, ასევე, არაკონსტიტუციურად მიიჩნევენ „მოსასამართლოების კანდიდატების შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 მარტის N176 ბრძანებულების მე-10 მუხლის მე-7 პუნქტს, რომლის თანახმადაც, იუსტიციის საბჭოს სათანადო გადაწყვეტილება არ შეიძლება გაპროტესტდეს. კონკურსის მონაწილეს, რომელმაც ვერ გაიმარჯვა კონკურსში, უფლება არა აქვს მოითხოვოს უარის მოტივაცია. კონკურსის მონაწილეს არა აქვს შესაძლებლობა გაიგოს დამარცხების მიზეზები და ამის შესახებ მიიღოს სათანადო ინფორმაცია. აღნიშნული ნორმა პრეზიდენტმა გააუქმა თავისი ბრძანებულებით და ამიტომ, სასამართლოს არ უმსჯელია მისი კონსტიტუციურობის შესახებ.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „საქართველოს კანონმდებლობით საგამოცდო ვადით მოსამართლის გამწესება, რა სახითაც არ უნდა მოხდეს იგი, აშკარა იყო შენიღბული ფორმით, კონსტიტუციის საწინააღმდეგო მოქმედება იქნება“. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, „... სადავო 852-ე მუხლის პირველი პუნქტი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტთან, რომლის თანახმად „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.“ „...კანონით გათვალისწინებული წესი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას. საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის მეორე პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, „მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდება არანაკლებ 10 წლის ვადით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის, 29-ე მუხლის პირველი პუნქტის ერთ-ერთი მოთხოვნაა მოსამართლის თანამდებობის დაკავება იმ სახით, როგორც ამას ადგენს საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება. კერძოდ, არანაკლებ 10 წლის ვადით. კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა იმპერატიულ ხასიათს ატარებს და არ იძლევა რაიმე გამონაკლისის შესაძლებლობას.“

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა 29-ე მუხლის ბუნდოვანი შინაარსის გამო. ამიტომაც თვალმისაცემი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივაციის ძირითადი ნაწილი ეფუძნება კონსტიტუციის არა 29-ე, არამედ სხვა მუხლებს. კერძოდ, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში დიდი ადგილი დაუთმო მოსამართლის დამოუკიდებლობის კონსტიტუციურ გარანტიებს.

საქმეზე 2/3/250-269 საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტიის თავმჯდომარე თემურ ჟორჟოლიანი და იგორ გიორგაძის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შემოიფარგლა იმის ზოგადი კონსტატაციით, რომ „... თვით საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული (29-ე, გ.ხ.) მუხლი სახელმწიფო თანამდებობის დაკავებას კანონით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილებას უკაემი-

რებს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით, დაშვებულია კანონით დამატებითი მოთხოვნების გათვალისწინება.“

კონსტიტუციის 29-ე მუხლი ზოგადად განსაზღვრავს სახელმწიფო სამსახურის არსს. მნელია იმის თქმა, თუ როგორ უნდა შემოჭოს აღნიშნულმა კონსტიტუციურმა ნორმამ კანონმდებელი. 29-ე მუხლი, არსებითად, არ განსაზღვრავს კანონმდებლის მოქმედების თავისუფლების თუნდაც ზოგად ფარგლებს. ძირითად აქცენტს იგი საჯარო სამსახურის ფუნქციურ უზრუნველყოფაზე აკეთებს და ნაკლებად გამოყოფს საჯარო სამსახურში საერთო-საზოგადოებრივი ინტერესების მნიშვნელობას. კონსტიტუციის 29-ე მუხლის კონსტრუქცია (როდესაც საკითხის მოწესრიგება მთლიანად კანონმდებელს აქვს მინდობილი), სავარაუდოდ, ბევრ პრობლემას წარმოშობს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ 29-ე მუხლი მოითხოვს არსებით სრულყოფას.

## II. ჩარიჩის შარბლები

სახელმწიფო თანამდებობების დაკავების წესი ექვემდებარება მთელ რიგ შეზღუდვებს. ეს შეზღუდვები გამომდინარეობს იქიდან, რომ პირის საქმიანობა ზორციელდება საჯარო ხელისუფლების სფეროში, სადაც სახელმწიფო დამოუკიდებლად განსაზღვრავს მისი ფუნქციების რეალიზაციის ფორმასა და საშუალებას.

საჯარო სამსახურის შესახებ მე-15 მუხლი ადგენს სახელმწიფო თანამდებობაზე შერჩევის ფორმალურ და საგნობრივ კრიტერიუმებს. ფორმალური კრიტერიუმი, რომ სახელმწიფო მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 21 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას. ფაქტობრივი კრიტერიუმი, რომ მას ჰქონდეს „სათანადო ცოდნა და გამოცდილება“.

„ცოდნა“ გულისხმობს იმ არსებით უნარ-ჩვევებს (მათ შორის, მოტივაციას, ინფორმაციის სათანადო დონეს), რომლებიც სამსახურში უნდა იქნეს გამოყენებული. „ცოდნა“ არ მოიცავს მხოლოდ და მხოლოდ განათლებას – იგი არ უნდა გაეუ-თანაბროთ გამოცდაზე მიღებულ ნიშნებს. ეს უკანასკნელი ვერ იძლევა პირის პროფესიული საქმიანობის უნარის ობიექტურად შეფასების საშუალებას. „ცოდნა“ დადასტურებული უნდა იყოს პრაქტიკული საქმიანობით, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვივარაუდოთ, რომ პირი სათანადოდ შეასრულებს დაკისრებულ სამსახურებრივ უფლებამოსილებებს.<sup>1</sup>

„გამოცდილება“ გულისხმობს პირის ადრინდელ პრაქტიკულ საქმიანობას. პროფესიონალიზმის მოთხოვნა შედარებით ნაკლებ როლს ასრულებს სამსახურში მიღების დროს, მაგრამ მნიშვნელოვანი კრიტერიუმი სამსახურებრივი დაწინაურებისას.<sup>2</sup>

„ცოდნა და გამოცდილება“ უნდა გავიგოთ არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულ თანამდებობასთან მიმართებაში. ამ თვალსაზრისით, განსაზღვრულ სახელმწიფო თანამდებობების დაკავებისას დასაშვებია სპეციალური ფსიქოლოგიური ტესტების გამოყენება.<sup>3</sup>

<sup>1</sup> Maunz-Dürig, Grundgesetz. Kommentar, Art. 33, Rdnr. 19.

<sup>2</sup> Maunz-Dürig, Grundgesetz. Kommentar, Art. 33, Rdnr. 19.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 361.

კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტით, „სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება „კანონით“. ამ შემთხვევაში კონსტიტუცია გულისხმობს კანონს ფორმალური, და არა მატერიალური გაგებით.

სახელმწიფო თანამდებობაზე შერჩევის კრიტერიუმებმა მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს სუბიექტივიზმი და თვითნებობა. კანონმდებელი დამოუკიდებლად განსაზღვრავს ამ კრიტერიუმებს. სახელმწიფო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს გარკვეული ცნობების წარდგენა (მაგალითად, ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ). კანონმა, ასევე, შეიძლება დაადგინოს განსაზღვრული ინდივიდუალური ნიშნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს თანამდებობის პრეტენდენტი. თუ სახელმწიფო სამსახურში მისაღებ პირთა კვალიფიკაცია და პროფესიული უნარ-ჩვევები თანაბარია, გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს პირის ასაკი ან სამსახურებრივი სტაჟი.<sup>1</sup> საპასუხისმგებლო თანამდებობა შეიძლება მივიანდოთ მხოლოდ იმ მოხელეებს, რომლებსაც სათანადო პროფესიული გამოცდილება აქვთ.<sup>2</sup>

საჯარო სამსახურის პრინციპები მოქმედებს ყველა საჯარო-სამსახურებრივ ურთიერთობებზე, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. საჯარო სამსახურის შესახებ კანონით (მ.13.) დადგენილია საჯარო სამსახურის შემდეგი პრინციპები: „ა) საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხის ერთგულება; ბ) საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების უზენაესობის დაცვა მოსამსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას; გ) ადამიანისა და მოქალაქის უფლებების, თავისუფლებების და ღირსების პატივისცემა; დ) საქართველოს მოქალაქისათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა მათი უნარისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად; ე) მოსამსახურეთა პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა; ვ) საქვეყნოობა; ზ) საჯარო სამსახურის უპარტიოობა და საერო ხასიათი; თ) მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობა; ი) მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა“.

„საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხის ერთგულება“ ფართო ცნებაა. იგი მოიცავს ზემდგომი უფროსისადმი ერთგულების მოთხოვნასაც და, უწინარეს ყოვლისა, ეხება მოხელეთა სამსახურებრივ ქცევას. პერსონალური ერთგულების გამოვლინების ერთ-ერთი ფორმაა, მაგალითად, ზემდგომი თანამდებობის პირისადმი მორჩილების ვალდებულება.<sup>3</sup> მორჩილების ვალდებულება გულისხმობს, რომ უნდა შესრულდეს ზემდგომი თანამდებობის პირის კონსტიტუციის საწინააღმდეგო მითითებებიც.<sup>4</sup>

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი (მ.55) განსაზღვრავს, რომ „1. აკრძალულია განკარგულების გაცემა, თუ იგი: ა) ეწინააღმდეგება კანონმდებლობას; ბ) სცილდება განკარგულების გამცემის უფლებამოსილების ფარგლებს; გ) თხოულობს ისეთ ქმედებათა შესრულებას, რისი უფლებაც განკარგულების მიმღებს არ გააჩნია. 2. განკარგულების კანონიერებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ეჭვის თაობაზე მოსამსახურემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს განკარგულების გამცემს და

<sup>1</sup> BVerfGE 80, 123.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> BVerfGE 9, 268, 286.

<sup>4</sup> BVerfGE, NVwZ 1995, 680, ციტი: Schmidt-Bleibtreu/Klein, Kommentar zum Grundgesz, 9. Auflage, S. 716.

ზემდგომ უფროსს. განკარგულების წერილობითი ფორმით განმეორებისას, იგი უნდა შესრულდეს, გარდა ამ კანონის 56-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. ეს შემთხვევებია, თუ დავალების შესრულება მიმართული იქნება „ა) მისი მუდლის, მშობლის, ძმის, დის, შვილის ან სხვა ახლობელ ადამიანთა წინააღმდეგ; ბ) წინააღმდეგ ნაჩვენებია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის; გ) არ იძლევა ბავშვთა აღზრდისათვის დაწესებული შეღავათებით სარგებლობის საშუალებას; დ) მოითხოვს უფრო მაღალ კვალიფიკაციასა და სხვა პროფესიულ მომზადებას, ვიდრე მას აქვს.“ აღნიშნულ საკითხს გაცილებით უფრო მკაცრად უდგება დასავლური კანონმდებლობა და კონსტიტუციური მართლმსაჯულების პრაქტიკა. კერძოდ, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემდგომი თანამდებობის პირის მითითების შესრულების ვალდებულება ქვემდგომ სახელმწიფო მოხელეს არ აკისრია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს მითითება მას განსაკუთრებით მძიმე სამართალდარღვევისაქენ უბიძგებს.<sup>1</sup>

პერსონალური ერთგულების ვალდებულება არ მოიცავს მხოლოდ სამსახურებრივ ურთიერთობებს. კერძოდ, სამსახურებრივი საიდუმლოების არგატქმის ვალდებულება პირს ეკისრება სამსახურს გარეთაც.<sup>2</sup> საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის თანახმად, „... მოსამსახურე ვალდებულია, როგორც სამსახურებრივი ურთიერთობისას, ისე სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ არ გაავრცელოს სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოება, სხვა პირთა ოჯახურ და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რაც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით“.

სახელმწიფო მოხელე უნდა მოერიდოს საკუთარი პოლიტიკური მოსაზრებების ღიად და საქვეყნოდ გაცხადებას. მოხელის მიერ გამოთქმულმა პოლიტიკურმა მოსაზრებებმა არ უნდა შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ იგი არ არის უფროსის მიმართ ლოიალური. თანამდებობა არ უნდა იქნეს გამოყენებული იმისათვის, რომ პოლიტიკურ მოსაზრებებს შესძინოს მეტი წონა და დამაჯერებლობა. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მასწავლებლის (რომელიც გერმანიაში საჯარო მოხელედ ითვლება) მიერ ატომური ელექტროსადგურის საწინააღმდეგო პლაკატის ტარება სკოლაში მისი სამსახურებრივი საქმიანობისას, ეწინააღმდეგება სახელმწიფო მოხელისათვის დადგენილ ნეიტრალობის მოთხოვნას.<sup>3</sup> ცხადია, მასწავლებელს ვერაინ ვერ აუკრძალავს მსგავსი შინაარსის პლაკატის ტარებას სამუშაო ადგილის გარეთ.

ხელისუფლებისადმი მოხელის ლოიალური დამოკიდებულება განსაზღვრავს მისი ძირითადი უფლებების გარკვეულწილად „ლიმიტირებულ“ ხასიათს, მათ შორის, შეკრებებისა და მანიფესტაციების სფეროში (კონსტიტუციის 25-ე მუხლი). კონსტიტუციის 25-ე მუხლი ამ უფლებას ანიჭებს „ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალების. პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში“. ეს შეზღუდვა ვრცელდება სახელმწიფო მოხელეთა მხოლოდ ვიწრო წრეზე. სახელმ-

<sup>1</sup> BVerfGE, NVwZ 1995, 680, ციტ: Schmidt-Bleibtreu/Klein. Kommentar zum Grundgesetz, 9. Auflage, S. 716.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> BVerwGE გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება 84, 292.

წიფო მოხელის თავისუფლების მასშტაბი შეკრების კონსტიტუციური უფლების გამოყენებისას „ჩვეულებრივ“ მოქალაქესთან შედარებით უფრო შეზღუდულია. ასევე, შეზღუდულია სახელმწიფო მოხელის დაცვის სფერო ისეთ კონსტიტუციურ უფლებებში, როგორცაა სიცოცხლის უფლება (როდესაც პოლიტიკის ან სახანძრო დაცვის წარმომადგენლები ვალდებული არიან შეასრულონ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობა, თუნდაც გარკვეული საფრთხე ემუქრებოდეს მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას).

პრობლემურია ერთგულების პრინციპის საფუძველზე საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი. არსებითად, სათანადო დისციპლინური პროცედურის დაცვით საჯარო მოხელე თანამდებობიდან შეიძლება გათავისუფლდეს ერთგულების პრინციპის დარღვევის საფუძველზე. ამავე დროს, უნდა დადასტურდეს, რომ მოხელემ არ შეასრულა მასზე დაკისრებული სამსახურებრივი ვალდებულებები.<sup>1</sup> რადგან ერთგულების პრინციპის დარღვევის საფუძველზე მოხელის გათავისუფლება ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული, უნდა ვეცადოთ, რომ სახელმწიფო სამსახურში მივიღოთ კონსტიტუციისა და ხალხის (საკარაულოდ) ერთგული პირი.

ხელისუფლება დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ სახელმწიფო აპარატში დასაქმებული მოხელეები უერთგულებენ კონსტიტუციურ წესრიგს. სახელმწიფო მოხელე უნდა იყოს კონსტიტუციური მართლწესრიგის, ანუ სოციალური სამართლებრივი სახელმწიფოს, ხელისუფლების დანაწილების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების იდეაზე დაფუძნებული დემოკრატიული წესრიგის ერთგული. სახელმწიფოსადმი ერთგულების მოთხოვნა არ ზღუდავს მოქალაქის უფლებებს, რამდენადაც იგი კონსტიტუციური წესრიგის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ვისაც სურს ემსახუროს სახელმწიფოს, არ არის უფლებამოსილი იმოქმედოს სახელმწიფოს წინააღმდეგ.<sup>2</sup>

თუ პირს სახელმწიფო სამსახურში მიღებაზე უარი უთხრეს სახელმწიფოს ერთგულებაზე ეჭვის მოტივით, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს. განმცხადებელს უფლება აქვს გაეცნოს იმ არგუმენტებს, რომლის საფუძველზეც მას სამსახურში მიღებაზე უარი ეთქვა. იგივე პრინციპით შეიძლება გასაჩივრდეს გამოცდის, სამსახურებრივი ატესტაციის შედეგები და სხვ. ამ შემთხვევაში, სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ იმ მონაცემების სისწორის გარკვევით, რომელსაც გადაწყვეტილების მიღების დროს დაეყრდნო შესაბამისი ორგანო ან თანამდებობის პირი. სასამართლო, ასევე, არკვევს, თუ რამდენად იყო დაცული ამ მონაცემთა შეფასების ფარგლები.<sup>3</sup>

ერთგულების პრინციპის მოქმედება არ ეხება დამხმარე მოსამსახურეს. ამ პრინციპის ზოგადი ზასიათის გათვალისწინებით, მისი მოქმედება უნდა გავრცელდეს შტატგარეშე მოსამსახურეებზე. საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-8 მუხლის თანახმად, „შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომით ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად“.

<sup>1</sup> BVerfGE, NVwZ 1995, 349f., ციტ: Schmidt-Bleibtreu/Klein, Kommentar zum Grundgesetz, 9. Auflage, S. 716

<sup>2</sup> BVerfGE 39, 370.

<sup>3</sup> BVerfGE 39, 354.



საჯარო მოხელე და მისი ოჯახი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო ანაზღაურებით. უნდა გაეთვალისწინოთ, რომ საჯარო მოხელე მხოლოდ სახელმწიფოს ემსახურება. სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს საჯარო მოხელის შრომის ანაზღაურების საკითხს. ამავე დროს, იგი ითვალისწინებს ღირფერენციაციის მთელ რიგ, ობიექტურ კრიტერიუმებს. მაგალითად, შრომის ანაზღაურების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ოჯახი, შეილების რაოდენობა და სხვ. საჯარო მოხელის ანაზღაურება უნდა ითვალისწინებდეს შეცვლილ ეკონომიკურ და ფინანსურ ურთიერთობებს და, ასევე, ცხოვრების საერთო სტანდარტებს.<sup>1</sup> ანაზღაურება უნდა იყოს ღირფერენცირებული და სხვა კრიტერიუმებთან ერთად უნდა ითვალისწინებდეს თანამდებობრივ ევრაჩიას.

შეთავსებით საქმიანობის უფლება ეწინააღმდეგება საჯარო მოხელის სამსახურის ბუნებას, რადგან იგულისხმება, რომ მან მთელი თავისი სამუშაო ძალა უნდა მიუძღვნას სახელმწიფო სამსახურს.<sup>2</sup> საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად, „სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა ან შეთავსებით ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს სხვა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში, იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორგანოს წევრი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი“ (მ. 64, პ. 1.). საქართველოში საჯარო მოსამსახურეს არა აქვს აკრძალული შეთავსებით სამსახური. ამავე დროს, შეთავსებით სამსახურის შესაძლებლობა კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო მოსამსახურის მიერ შეთავსებით სხვა თანამდებობის დაკავება და ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმავე სახელმწიფო დაწესებულების სისტემაში“. ეს მოთხოვნა ვრცელდება ერთდროულად რამდენიმე საჯარო თანამდებობის შეთავსებაზე და არ ეხება შეთავსებით სასწავლო და სამეცნიერო მოღვაწეობას.

სახელმწიფო მოსამსახურე უნდა იყოს პოლიტიკურად ნეიტრალური. სახელმწიფო მოსამსახურეს არ ეკრძალება პარტიის წევრობა, მაგრამ უფლება არა აქვს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს პარტიული საქმიანობისათვის (საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 61-ე მუხლი). სახელმწიფო მოსამსახურე ლოიალურად უნდა ემსახურებოდეს ზემდგომს, მისი პოლიტიკური შეხედულებებისაგან დამოუკიდებლად.

კანონი იცავს სახელმწიფო მოხელის სტატუსს, მაგრამ არა მისთვის დაკისრებული სამსახურებრივი უფლებამოსილებების წრეს. ეს უკანასკნელი გაცილებით უფრო ნაკლებად არის დაცული, ვიდრე თვითონ მოსამსახურე. საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 53-ე მუხლი, მაგალითად, ეხება იმ განკარგულებათა შესრულებას, რომელიც არ უკავშირდება სამსახურის ადგილს, ხოლო 54-ე მუხლი – იმ დავალების შესრულებას, რომელიც არ შედის სამსახურებრივ მოვალეობათა რიცხვში. კანონი ამ შემთხვევაშიც ითვალისწინებს სახელმწიფო მოსამსახურის დაცვის გარანტიებს.

<sup>1</sup> BVerfGE 8, 14 ff.; 16, 115.

<sup>2</sup> BVerfGE 21, 345.

**მუხლი 30.**

„1. შრომა თავისუფალია.

2. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

3. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.

4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, აქასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით“.

**სოციალური სახელმწიფოს პრინციპი**

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში განმტკიცებულია სოციალური სახელმწიფოს პრინციპი. ეს პრინციპი, პირველ რიგში, პროგრამული დებულების შინაარსისაა, თუმცა, ამასთან ერთად, იგი სავალდებულო კონსტიტუციური ნორმის მნიშვნელობასაც იძენს. როგორც სავალდებულო ნორმა, ის, უწინარესად, კანონმდებლისკენაა მიმართული.<sup>1</sup> კანონმდებელმა უნდა უზრუნველყოს სოციალური სახელმწიფოს პრინციპის განხორციელება სამართლის თითოეულ დარგში – სამოქალაქო სამართალში (მაგალითად, ქირაენობის ხელშეკრულებისას – მხარეთა თანასწორობით), საპროცესო სამართალში (პროცესის მონაწილეთა თანასწორუფლებიანობით), სისხლის სამართალში, განათლებისა და საგადასახადო სფეროს მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემაში.<sup>2</sup>

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი აღმასრულებელ ხელისუფლებასაც გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს. მართალია, ის არ არის არავითარი კონკრეტული კანონიერი საფუძველი, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი ხელისუფლება გარკვეული უფლებამოსილების შესრულებას შეძლებდა, რაგრამ მისი ზოგადი მასშტაბიდან გამომდინარე, იგი აღმინისტრაციის მოქმედების სახელმძღვანელო პრინციპია.<sup>3</sup>

**1. სოციალური სახელმწიფოს პრინციპის სამართლებრივი ასპექტები**

სოციალური სახელმწიფოს პრინციპის სამართლებრივი ასპექტები შეუძლებელია ჩამოყალიბდეს ისეთი ზუსტი იურიდიული ფორმულირებით, რომელიც კონკრეტულ ვითარებაში განხორციელდება.<sup>4</sup> იგი ითვალისწინებს მხოლოდ შემდეგ ძირითად ვალდებულებებს:

<sup>1</sup> სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შესახებ: Zacher, Was können wir über das Sozialstaatsprinzip wissen? FS. Für Ipsen, 1977, S. 207 ff.; Katzenstein, Das Sozialstaatsprinzip in der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, ZFS 1985; Badura, Der Sozialstaat, DÖV 1989, 491 ff.; Neumann, Sozialstaatsprinzip und Grundrechtsdogmatik, DVBl. 1997, 92 ff.  
<sup>2</sup> Maurer, Staatsrecht, 1999, S. 236 ff.  
<sup>3</sup> Maurer, Staatsrecht, 1999, S. 236 ff.  
<sup>4</sup> Andre, Das Sozialstaatsprinzip und seine Verankerung im Grundgesetz, Sozialer Fortschritt 1990, 1; Bieback, Inhalt und Funktion des Sozialstaatsprinzips, Jura 1987, 229; Stern, Das Sozialstaatliche Prinzip, Stern I, 1984, E 21; Benda, Der Soziale Rechtsstaat, HbVerfR, 1983, 477.

ა) სოციალური ვალდებულება:

სახელმწიფო არა მარტო უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა იაქტიურად სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში. თუ XIX საუკუნეში სახელმწიფო საზოგადოებრივ და ეკონომიკურ სფეროში არ ერეოდა, თანამედროვე სახელმწიფო, პირიქით, აღნიშნულ სფეროში აქტიურობისათვის უკვე კონსტიტუციითაა ერთგვარად პასუხისმგებელი. მისი გააქტიურება განსაკუთრებით მაშინაა აუცილებელი, როდესაც ეკონომიკურ სფეროში თვითრეგულირების მექანიზმი აღარ ფუნქციონირებს, ან როდესაც საზოგადოების სუსტი ნაწილი სახელმწიფოს დახმარებას საჭიროებს.<sup>1</sup>

ბ) სახელმწიფოს მოქმედების მოვალეობა:

– სოციალური ხასიათის დახმარების გაწევა მათთვის, ვისაც ავადმყოფობის, სიბერის ან უბედური შემთხვევის გამო არ შესწევთ უნარი საკუთარ თავს მოუარონ.

– თითოეული მოქალაქის არსებობის ისეთი მინიმალური საშუალებებით უზრუნველყოფა, როგორცაა წყალი, დენი, ინფრასტრუქტურა და ა.შ.

– სახელმწიფოს მხრივ ისეთი მოქმედების განხორციელება, რომელიც, მართალია, საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის ფარგლებს სცილდება, მაგრამ სოციალურ-კულტურული თვალსაზრისით, თითოეულის განვითარებისა და ნორმალური არსებობის წინაპირობას წარმოადგენს. ეს ეხება სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, საავადმყოფოების, დასასვენებელი დაწესებულებების ქსელის შექმნას. ამასთან, საკმარისი არაა მათი მარტო შექმნა, აუცილებელია, რომ ისინი ფინანსურადაც გახდნენ ხელმისაწვდომი.

გ) სახელმწიფომ უნდა იზრუნოს საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის სო-

ციალური სამართლიანობისა და სოციალური თანასწორობის უზრუნველსაყოფად.<sup>2</sup> სწორედ მან უნდა შექმნას ყველასათვის თანაბარი საწყისი პოზიციები და ყველას მისცეს განვითარების თანაბარი შანსი.<sup>3</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ განათლების, პროფესიის არჩევასა და დაუფლებაში თითოეულისათვის თანაბარი სასტარტო პირობების შექმნაზე უნდა იზრუნოს.

## 2. ადამიანის უფლებებზე ზემოქმედება

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ერთგვარად ზემოქმედებს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებზე, მათი შინაარსის განმტკიცების ან შეზღუდვის თვალსაზრისით.<sup>4</sup>

მათთვის, ვისაც რეალური მატერიალური შესაძლებლობები არ გააჩნია, ხშირად კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები უსარგებლო და მხოლოდ ფორმალური, ქაღალდზე დაწერილი ნორმის მნიშვნელობით რჩება. ამ უფლებების რეალურად გამოყენების მიზნით სოციალური სახელმწიფო მათი განხორციელების ფაქტობრივ წინაპირობებსაც ქმნის. თითოეულის განვითარებისათვის თანაბარი პირობების შექმნით, ის თავისუფლებას ყველასათვის რეალურად უზრუნველყოფს და ამით კონსტიტუციური უფლებების განმტკიცებას უწყობს ხელს.<sup>5</sup>

<sup>1</sup> Jarass / Picroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, /3 u. Aufl.; S. 465.

<sup>2</sup> BVerfGE 22, 180 (204); 35, 202 (235); 69, 272 (314)

<sup>3</sup> Starck, MaK 6, 29 zu Art. 3;

<sup>4</sup> Neumann, Sozialstaatsprinzip und Grundrechtsdogmatik, DVBl. 1997, 92 ff.

<sup>5</sup> Bull, Die Staatsaufgaben nach dem Grundgesetz, 1977, E 11.

ადამიანის კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის საკითხში, სოციალური სახელმწიფო საზოგადოების ინტერესით ხელმძღვანელობს. მაგალითად, სოციალურმა სახელმწიფომ მესაკუთრე შეიძლება გარკვეულწილად შეზღუდოს, თუ არსებობს ამის საზოგადოებრივი საჭიროება.<sup>1</sup>

### 3. სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების ურთიერთმიმართება

სოციალური და სამართდებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპები ურთიერთგანმსაზღვრელი და ურთიერთგანპირობებულია.<sup>2</sup> სახელმწიფომ სოციალური ხასიათის მოქმედება ერთგვარ სამართლებრივ ჩარჩოში უნდა მოაქციოს და კანონისმიერი დათქმის საფუძველზე განახორციელოს, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს განუყოფელი ელემენტია. თავის მხრივ, სამართლებრივი სახელმწიფოც სოციალური სახელმწიფოს პრინციპით იძენს შინაარსს. სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმების დაცვა, მართალია, უმნიშვნელოვანესია თანამედროვე დემოკრატიული ტიპის სახელმწიფოში, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. კანონები და კანონქვემდებარე აქტები შინაარსითაც უნდა იყოს სამართლიანი. სოციალური სამართლიანობის მიღწევა კი სამართლებრივი სახელმწიფოს მუდმივ მოთხოვნად უნდა იქცეს.

### 4. თავისუფალი ეკონომიკა თუ სოციალური საბაზრო ეკონომიკა

სოციალური სახელმწიფოს შექმნა სოციალური საბაზრო ეკონომიკის რეალურ დამკვიდრებასთანაა გაიკვებებული. აქედან გამომდინარე, არსებობს აზრი, რომ სოციალური სახელმწიფოს პრინციპის აღიარებასთან ერთად კონსტიტუცია ერთმნიშვნელოვნად სოციალურ საბაზრო ეკონომიკას აღიარებს როგორც უპირატეს ეკონომიკურ სისტემას.<sup>3</sup> ასეთი დასკვნის გამოტანა მცდარია. საქართველოს კონსტიტუცია პრეამბულაში სოციალური სახელმწიფოს პრინციპთან ერთად თავისუფალი ეკონომიკის პრინციპსაც აღიარებს. ეს იმას ნიშნავს, რომ კონსტიტუცია, ეკონომიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ერთგვარად ნეიტრალურია.<sup>4</sup> კანონმდებელს შეუძლია ნებისმიერი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, მათ შორის სოციალური საბაზრო ეკონომიკისაც, თუ იგი კონსტიტუციას და, კანსაკუთრებით, კონსტიტუციით განმტკიცებულ ადამიანის უფლებებს დაიცავს. ადამიანის კონსტიტუციური უფლებები თითოეულს ეკონომიკურ სფეროში განვითარების შესაძლებლობას აძლევს. ამდენად, თავისუფალი ეკონომიკის პრინციპის კონსტიტუციაში გაამტკიცება ადამიანის კონსტიტუციური უფლებების საფუძველზე ნიშნავს ეკონომიკაში თავისუფალი კონკურენციის განვითარების ხელშეწყობას.

ამასთან, სახელმწიფომ თავისუფალი ეკონომიკა კონტროლის გარეშე არ უნდა

<sup>1</sup> იხ. „საკუთრების კონსტიტუციური უფლება“

<sup>2</sup> სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს ურთიერთმიმართებაზე: იხ. Heller, Rechtsstaat oder Diktatur?, 1930; Forsthoff / Bachof, Begriff und Wesen des sozialen Rechtsstaates, VVDStRL 12, 1954, S. 8 ff.; Abendroth, Zum Begriff des demokratischen und sozialen Rechtsstaates im Grundgesetz der Bundesrepublik Deutschland, FS. Für Bergstrasser, 1954, 279 ff.; Forsthoff (Hg.), Rechtsstaatlichkeit und Sozialstaatlichkeit, 1968; Degenhart, Rechtsstaat – Sozialstaat, 1983, S. 537 ff.; Benda, Der soziale Rechtsstaat, HbVerfR S. 719 ff.

<sup>3</sup> Hipperdey, Soziale Marktwirtschaft und Grundgesetz, 2. Aufl. 1961.

<sup>4</sup> BVerfGE 4, 7, 17 ff.; BVerfGE 50, 290, 338

დატოვოს. სახელმწიფომ იმაზე უნდა იზრუნოს, რომ საბაზრო კონკურენციამ ნამდვილად იმუშაოს და ბაზარზე მონოპოლია გამორიცხოს. მან უნდა უზრუნველყოს ისეთი პირობები, როდესაც სოციალურად სუსტი ფენები დაცული იქნებიან ეკონომიკურად ძლიერი ფენისაგან და მის ეკონომიკურ დაქვემდებარებაში არ მოქცევიან (სოციალური სახელმწიფოს პრინციპი).<sup>1</sup>

საქართველოს კონსტიტუცია ერთმნიშვნელოვნად არ აღიარებს რომელიმე ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის უპირატესობას. იგი ამ თვალსაზრისით, როგორც ითქვა, ნეიტრალურია. ეკონომიკური პოლიტიკის მასშტაბად რჩება კონსტიტუციით განმტკიცებული ადამიანის ისეთი უფლებები და ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები, როგორცაა სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპი.

## 5. სოციალური უფლებები

### ა) სოციალური უფლებები როგორც ინსტიტუტის გარანტია

სამართლის მეცნიერებაში ადამიანის უფლებების ინსტიტუტის გარანტიის მნიშვნელობას ზემოთ უკვე შევეხეთ, როდესაც საკუთრების კონსტიტუციური უფლების დოგმატიკას ვეხებოდით. უკვე ითქვა, რომ ინსტიტუტის გარანტიას ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებთან მიმართებით ზოგადად ის მნიშვნელობა აქვს, რომ ხდება უფლების, როგორც ობიექტური ღირებულების, პიროვნებისაგან დამოუკიდებლად აღიარება და უზრუნველყოფა. ამ კუთხით ინსტიტუტის გარანტია, პირველ რიგში, კანონმდებლისკენაა მიმართული. კანონმდებელს არ შეუძლია ისეთი ნორმის გამოცემა, რომელიც გარკვეული ინსტიტუტის, მაგალითად, საკუთრების ინსტიტუტის არსებობას ეჭვქვეშ დააყენებს.<sup>2</sup>

სოციალური უფლებების კონსტიტუციური განმტკიცება, პირველ რიგში, ისეთი ინსტიტუტის გარანტიის მნიშვნელობას იძენს, რომელიც, როგორც ღირებულება, პრინციპულად დიდ როლს თამაშობს სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში კონსტიტუციისა და კანონის ინტეგრატაციის დროს.<sup>3</sup>

### ბ) სოციალური უფლებები როგორც თავის დაცვის უფლებები

კონსტიტუციაში განმტკიცებული ძირითადი უფლებების იურიდიული ბუნება უშუალოდ მოქმედი სამართლის მნიშვნელობით ვლინდება (კონსტიტუციის მე-7 მუხლის მეორე წინადადება). ამით უფლებების სუბიექტს სამართლებრივად აქვს გარანტირებული სახელმწიფოს კანონსაწინააღმდეგო ჩარევისაგან სასამართლო წესით თავის დაცვის შესაძლებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური უფლებები, სხვა კონსტიტუციური უფლებებისაგან განსხვავებით, გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. ამასთან, ცალკე უნდა განვიხილოთ ის საკითხი, თუ როგორ მოქმედებს და რით გამოიხატება მოქალაქის სოციალური უფლებების უზრუნველყოფის მექანიზმი.

სოციალური უფლებების წარმოშობის კონცეფცია არ ემყარება კლასიკური უფლებების იმ ისტორიულ ტრადიციებს, რომლებიც სახელმწიფოს შესაძლო ძალმომრეო-

<sup>1</sup> Jarass / Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, 4. Aufl.; 1997, S. 465 ff.

<sup>2</sup> Wolff, Reichsverfassung und Eigentum, in: Festgabe für Kahl, 1923, S. 5/6 im Zusammenhang mit Art. 153 Abs. 1 S. 1 und Art. 154 Weimarer Reichsverfassung; Schmitt, Verfassungslehre, S.170 ff.; Freiheitsrechte und institutionelle Garantien der Reichsverfassung, S.4.

<sup>3</sup> Häußling, Soziale Grundrechte in der portugiesischen Verfassung von 1976, 1996, S. 62;

ბისაგან ცალკეული პირის დაცვას ისახავს მიზნად. აქ ერთმანეთს არ უპირისპირდება სახელმწიფო და პირი. კონსტიტუციაში სოციალური უფლებების განმტკიცებით სახელმწიფო ძირითადად თავის თავზე იღებს მათი განხორციელების პოზიტიურ ვალდებულებებს.<sup>1</sup> ამიტომ სოციალური უფლებების საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნაც ყოველთვის სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ვალდებულებების შესრულება და არა დარღვეული უფლებების აღდგენის მოთხოვნაა, როგორც ეს კლასიკური უფლებების შემთხვევაში გვეხდება.<sup>2</sup>

**გ) სახელმწიფოს შეზღუდული უნარი სარჩელის ობიექტის დაცვაზე**

ის, რომ კონსტიტუციური უფლებების საფუძველზე მოქალაქეს აქვს იურიდიული შესაძლებლობა – სარჩელი მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, წიუთითებს, პირველ რიგში, სარჩელის ადრესატის – სახელმწიფოს უფლებამოსილებაზე, მის უნარზე – უზრუნველყოს სარჩელის ობიექტი. ეს წინაპირობა სოციალური უფლებების შემთხვევაში ხშირად არ არსებობს.<sup>3</sup> ამდენად, სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სოციალური უფლებების სრული განხორციელების შესაძლებლობა შეზღუდულია (მაგალითისათვის გამოდგება კონსტიტუციაში განმტკიცებული შრომის უფლება).

შრომის უფლების კონსტიტუციური განმტკიცებით სახელმწიფო ერთგვარად კისრულობს თითოეულის დასაქმებისა და შრომის სამართლიანი ანაზღაურების ვალდებულებას. მაგრამ ზოგ შემთხვევაში აღნიშნული ვალდებულების შესრულება შორსაა სახელმწიფოს რეალური შესაძლებლობისაგან. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, სახელმწიფოს ხშირად არ შესწევს უნარი უზრუნველყოს თითოეული მოქალაქე სამუშაო ადგილით.<sup>4</sup>

სოციალური უფლებების განხორციელება სახელმწიფოს დიდ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამიტომ მათი რეალიზაცია არსებითადაა დამოკიდებული კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობაზე. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა სოციალური უფლებების უზრუნველყოფის რეალური საფუძველია.<sup>5</sup>

**დ) სოციალური უფლებების საკანონმდებლო რეგლამენტაციის აუცილებლობა**

სხვა კონსტიტუციური უფლებებისაგან განსხვავებით, სოციალური უფლებების რეალიზაცია მკაფიო საკანონმდებლო რეგლამენტაცია<sup>6</sup> და კონკრეტიზაციას მოითხოვს.<sup>6</sup> სოციალური უფლებების შინაარსი კონსტიტუციაში ძალიან ზოგადი ფორმითაა დეკლარირებული. სარჩელის კონკრეტული მოთხოვნებიდან გამომდინარე, აუცილებელია სოციალური უფლებების შინაარსის ზუსტი განსაზღვრა, ანუ იმის დადგენა, თუ რა მოცულობით კისრულობს სახელმწიფო ცალკეული სოციალური უფლების

<sup>1</sup> Romanski, Sozialstaatlichkeit und soziale Grundrechte im Grundgesetz der Bundesrepublik Deutschland und in der spanischen Verfassung, 1991; Hüßling, Soziale Grundrechte in der portugiesischen Verfassung von 1976, 1996.

<sup>2</sup> Maurer, Staatsrecht, 1999, S. 242.

<sup>3</sup> Hüßling, Soziale Grundrechte in der portugiesischen Verfassung von 1976, 1996, S. 64.

<sup>4</sup> Starck, in: Festgabe für das Bundesverfassungsgericht, S. 519; Limbach, in: FS für Helmrich, S. 282; Müller, in: Böckenförde, Soziale Grundrechte, S. 63.

<sup>5</sup> Böckenförde, in: Böckenförde, Soziale Grundrechte, S. 13; Jsensee, in: Der Staat, 19 (1980), S. 381; Müller, in: Böckenförde, Soziale Grundrechte, S. 63; Murswiek, in: Handbuch des Staatsrechts, Bd. V, S. 267; Starck, in: JuS, 1981, S. 241; ders., in: Festgabe für das Bundesverfassungsgericht, S. 518.

<sup>6</sup> Starck, in: Festgabe für das Bundesverfassungsgericht, S. 518 f.

განხორციელების ვალდებულებას.<sup>1</sup> აღნიშნულმა დეტალურმა რეგლამენტაციამ სოციალური უფლებების განხორციელების პირობები და მოცულობა უნდა დააკონკრეტოს. მაგალითად, „განათლების შესახებ“ კანონში კანონმდებელმა კონსტიტუციით განმტკიცებული განათლების ზოგადი შინაარსი და მისი რეალიზაციის პირობები კონკრეტულად ჩამოაყალიბა, რითაც უზრუნველყო განათლების კონსტიტუციური უფლების საფუძველზე სასამართლოში სარჩელის მოთხოვნის შინაარსის კონკრეტულად განსაზღვრის შესაძლებლობაც.

ე) დასკვნა

საქართველოში სოციალური უფლებები კონსტიტუციითაა რეგლამენტირებული. კონსტიტუციაში ისინი პროგრამული დებულების, სოციალური უფლებების ინსტიტუტის გარანტიისა და პირის უფლებების სახით არის წარმოდგენილი. პროგრამული დებულების მნიშვნელობით სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ან ცალკეული სოციალური უფლებების დეკლარირება სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტოს საქმიანობის მიზანდასახულობასა და ამოცანებს უსვამს ხაზს<sup>2</sup>. ინსტიტუტის გარანტიის ფორმით სოციალური უფლებების სამართლებრივი განმტკიცება მათ ღირებულებით მნიშვნელობას წარმოაჩენს.

არც ერთი აღნიშნული ფორმა არ უზრუნველყოფს სოციალური უფლებებისათვის უშუალოდ მოქმედი სამართლის მნიშვნელობის მინიჭებას. ამ მნიშვნელობას მხოლოდ პირის უფლების სახით ფორმულირებული სოციალური უფლებები იძენს. პირის სოციალური უფლებების საფუძველზე სარჩელის მოთხოვნის შესრულება კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარკვეულ თავისებურებასთანაა დაკავშირებული. კერძოდ, ლაპარაკია სოციალური უფლებების რეალიზაციისათვის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებისა და სოციალური უფლებების საკანონმდებლო რეგლამენტაციის აუცილებლობაზე.

შრომის კონსტიტუციური უფლება

საქართველოს კონსტიტუციაში სოციალური უფლებების დეკლარირება შრომის უფლების კონსტიტუციური განმტკიცებით იწყება. იგი 30-ე მუხლში ოთხი პუნქტისაგან შედგება.<sup>3</sup> შრომის კონსტიტუციური უფლების ინტერპრეტაცია ქვემოთ, პირველ თავში, უწინარეს ყოვლისა, მისი, როგორც სოციალური უფლების, შინაარსის გადმოცემით იწყება.

<sup>1</sup> Hüßling, Soziale Grundrechte in der portugiesischen Verfassung von 1976, 1996, S. 65.

<sup>2</sup> Bull, Die Staatsaufgaben nach dem Grundgesetz, E 11.

<sup>3</sup> 1. შრომა თავისუფალია

2. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

3. შრომითი ურთიერთობების მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.

4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით.

მეორე თავში შრომის კონსტიტუციური უფლების იმ ფუნქციას შევვებით, რომლის ძირითადი დანიშნულებაა სახელმწიფოს უკანონო ჩარევისაგან თავის დაცვა.

## 1. შრომის უფლების სოციალური ხასიათი

შრომის უფლება სოციალური უფლებების ერთგვარი საფუძველია. სოციალური უფლებების ისტორია შრომის უფლების ისტორიაა.<sup>1</sup>

შრომის უფლების, ისევე რე გორც სხვა სოციალური უფლებების, კონსტიტუციური განმტკიცებით სახელმწიფო თავის თავზე იღებს მათი განხორციელების ვალდებულებას. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,<sup>2</sup> მისი სრული განხორციელების შესაძლებლობა შეზღუდულია. კონსტიტუციის 30-ე მუხლთან მიმართებით სახელმწიფო ერთგვარად კისრულობს თითოეულის დასაქმებისა და შრომის სამართლიანი ანაზღაურების ვალდებულებას, მაგრამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით სახელმწიფოს ხშირად არ შესწევს უნარი – სრულად უზრუნველყოს თითოეული მოქალაქისათვის სამუშაო ადგილი.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველ პუნქტში ლაპარაკია მხოლოდ შრომის თავისუფლებაზე და სახელმწიფოს არანაირი ვალდებულება არ არის მითითებული, სინამდვილეში ეს არ გამოიციხავს შრომის უფლებასთან მიმართებით სახელმწიფოს ერთგვარ პოზიტიურ ვალდებულებას. აღნიშნული ვალდებულება შრომის უფლების, როგორც სოციალური უფლების, ხასიათიდან გამომდინარეობს. კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ინტერპრეტაცია შრომის უფლების ისტორიულ მნიშვნელობასა და კონსტიტუციაში მისთვის განსაზღვრულ ადგილს, კერძოდ, სოციალურ უფლებათა სისტემის საერთო ფუნქციასა და სულისკვეთებას უნდა შეესაბამებოდეს.

შრომის კონსტიტუციური უფლება, როგორც სოციალური უფლება, იმ პროგრამული დებულების მნიშვნელობას იძენს, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობის მიზანდასახულობასა და ამოცანებს განსაზღვრავს. ამ დებულების თანახმად, სახელმწიფო მიზნად ისახავს ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნას, სადაც თითოეულის დასაქმება იქნება უზრუნველყოფილი. თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, ამ მიზნის პრაქტიკული შესრულება ყოველთვის პირობითი და შეფარდებითია, რადგან მისი სრული განხორციელება თავად ამ ეკონომიკურ პირობებზეა დამოკიდებული. შრომის უფლებას, როგორც სოციალურ უფლებას, სამართლებრივი პრინციპის ხასიათი აქვს. სამართლებრივი პრინციპები კი, ზოგადად სამართლის ნორმებისგან იმით განსხვავდება, რომ ისინი კონკრეტულ ფაქტობრივ შემადგენლობას არ შეიცავენ. ამდენად, შეუძლებელია მათი შეფარდება განსაზღვრულ ფაქტობრივ შემადგენლობასთან. ისინი უფრო მეტად გარკვეული სამართლებრივი ღირებულების ოპტიმიზაციას წარმოადგენს.<sup>3</sup>

ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ფორმულირება – შრომა თავისუფალია, როგორც სოციალური პრინციპის გამოხატულება,

<sup>1</sup> Code, in: DVBl. 1990, s. 1207; Isensee, in: Der Staat, 19(1980), s. 373; Badura, Der Staat, s. 20.

<sup>2</sup> იხ. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი.

<sup>3</sup> Alexy, Zum Begriff des Rechtsprinzips, Rechtsrtheorie, Beiblatt I (1979), s. 63.



ნიშნავს ისეთი პროგრამული დებულების კონსტიტუციურ განმტკიცებას, რომელიც სახელმწიფოს უმუშევრობის თავიდან აცილების და დასაქმების რეალური პირობების შექმნის ერთგვარ სამოქმედო გეგმას უწყებს.

## II. შრომის უფლების საკანონმდებლო რეგლამენტაცია

სოციალური უფლებები, მათი ზოგადი ფორმულირებიდან გამომდინარე, ითხოვს საკანონმდებლო რეგლამენტაციას. შრომის კონსტიტუციური უფლება საკანონმდებლო მოწესრიგებას საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში ჰპოვებს. ქვემოთ განვიხილავთ შრომითი ურთიერთობების მნიშვნელოვან სფეროებს.

### 1. შრომითი უფლებები

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-2 მუხლი კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსს აკონკრეტებს და მუშაკთა ძირითად შრომით უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს. ამის მიხედვით, კონსტიტუციის ფორმულირება – შრომა თავისუფალია – იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მუშაკს აქვს იმ შრომითი საქმიანობის უფლება, რომელსაც თავისუფლად ირჩევს ან რომელსაც იგი თანხმდება. ამასთან, ის განსაზღვრავს მოქალაქის უფლებას – აირჩიოს საქმიანობის სფერო და პროფესია, აგრეთვე – უმუშევრობის დროს ისარგებლოს სახელმწიფო გარანტიებით.

კანონმდებელი კონსტიტუციის 30-ე მუხლის განმარტებისას იმ სამ ძირითად ასპექტს წარმოაჩენს, რომლებიც კონსტიტუციის 30-ე მუხლთან მიმართებაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზის დროს იქნება მნიშვნელოვანი. კერძოდ, პირველ რიგში, ლაპარაკია მოქალაქის მიერ შრომითი საქმიანობის თავისუფლად განხორციელების შესაძლებლობაზე. კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე ასპექტი ეხება მოქალაქის მიერ საქმიანობის სფეროს არჩევის თავისუფლებას და, ბოლო, მესამე ასპექტი, რომელიც კიდევ ერთხელ ხაზგასმით გამოყოფს შრომის კონსტიტუციური უფლების სოციალურ ხასიათს, ეხება უმუშევრობის დროს მოქალაქის სახელმწიფო გარანტიებით სარგებლობის უფლებას.

კანონმდებელი იქვე განსაზღვრავს მუშაკის ძირითად უფლებებს. კერძოდ, მუშაკს უფლება აქვს მოითხოვოს შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობები. მას ასევე უფლება აქვს მოითხოვოს სამუშაოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის მდგომარეობის მოშლისას მიყენებული ზიანის მთლიანად ანაზღაურება. დასვენების უფლებით სარგებლობაც მუშაკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა შრომითი ურთიერთობების სფეროში. ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანაბარი მუშაობის პირობებში მუშაკს უნდა ჰქონდეს თანაბარი ანაზღაურება შრომის ხარისხისა და დატვირთვის შესაბამისად.

### 2. კომპენსაციის უფლება

შრომის კანონთა კოდექსის III<sup>1</sup> თავი ითვალისწინებს გათავისუფლებული მუშაკის კომპენსაციებსა და შეღავათებს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გათავისუფლებული მუშაკის ინტერესების დაცვას და, შესაბამისად, დეტალურად ადგენს მუშაკის

გათავისუფლების საფუძველსა და წესს. კერძოდ, მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ უნდა ეცნობოს მუშაკს პერსონალურად, ერთი თვით ადრე. ამ შეტყობინებას მუშაკი ხელმოწერით უნდა აღასტურებდეს.

რაც შეეხება სამსახურის ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, თანამშრომელთა რიცხოვნობის ან შტატების შემცირების გამო გათავისუფლებული მუშაკების შრომის ხელშეკრულების შეწყვეტას, კანონმდებელი გათავისუფლებული მუშაკისათვის დახმარების სახით ერთი თვის საშუალო ხელფასის გაცემას ითვალისწინებს. მათ ასევე უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი, მაგრამ დათხოვნის დღიდან არა უმეტეს ორი თვის განმავლობაში, გასასვლელი დახმარების მიცემის გაუთვალისწინებლად.

### 3. სამუშაო დრო და დასვენების უფლება

მუშაკის უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია სამუშაო დროის ნორმალური ხანგრძლივობის განსაზღვრა და დასვენების უფლების უზრუნველყოფა (შრომის კანონთა კოდექსის IV-V თავი).

სამუშაო დროის ნორმალური ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 41 საათს კვირაში. აღნიშნული დროის შემცირებული ხანგრძლივობა წესდება 16-დან – 18 წლამდე ასაკის მუშებისა და მოსამსახურეებისთვის – 36 საათი კვირაში, ხოლო 14-დან – 16 წლამდე ასაკის პირებისათვის – 24 საათი კვირაში.

საერთო წესის მიხედვით დაწესებული მუშაობის ხანგრძლივობა ღამით მუშაობის დროს მცირდება ერთი საათით. ღამის სამუშაოს ხანგრძლივობა შეიძლება იყოს გათანაბრებული დღის სამუშაოსთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს აუცილებელია წარმოების პირობების გამო.

კანონმდებელი შრომის კანონთა კოდექსის 48-ე მუხლში მკაცრად განსაზღვრავს იმ პირთა ნუსხას, ვისაც ღამით მუშაობა ეზღუდება მათივე მდგომარეობის გათვალისწინებით. ლაპარაკია ორსულ ქალებზე, მეძუძურ დედებსა და ქალებზე, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის შვილები ჰყავთ. შეზღუდვები ეხება ასევე ტუბერკულოზის აქტიური ფორმით დაავადებულ მუშაკებსა და იმ თანამშრომლებს, რომელთაც არ შესრულებიათ 18 წელი.

დასვენება თითოეული მუშაკის კანონიერი უფლებაა. საერთო დასვენების დღედ გამოცხადებულია კვირა. ზუთდღიანი სამუშაო კვირის დროს მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ ორი დასვენების დღე კვირაში, ექვსდღიანი სამუშაო კვირის დროს კი – ერთი დასვენების დღე.

შრომის კანონთა კოდექსის 65-ე – 74-ე მუხლები განსაზღვრავს შვებულების ინსტიტუტის შინაარსს, მისი მიცემის წესსა და პირობებს. ყველა მუშაკს აქვს უფლება ისარგებლოს ყოველწლიური შვებულებით სამუშაო ადგილისა და სამუშაო ხელფასის შენარჩუნებით. შვებულება მოიცავს არანაკლებ 24 სამუშაო დღეს, თუ შრომის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მუშაკს შვებულება ეძლევა უწყვეტი მუშაობის 11 თვის გასვლის შემდეგ. აღნიშნულ ვადაზე ადრე შვებულება ეძლევათ ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო, 18 წელზე ნაკლები ასაკის თანამშრომლებს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა პირებს.

სამსახურის ხელმძღვანელის ნებართვით მუშაკს შეიძლება მიეცეს მოკლევადიანი უხელფასო შვებულება ოჯახური პირობებისა და სხვა საპატიო მიზეზის გათვალისწინებით.

#### 4. შრომის ანაზღაურების უფლება

შრომის ანაზღაურების უფლებას შრომის კანონთა კოდექსის VI თავი აწესრიგებს. ამ თავის თანახმად, მუშაკისათვის შრომის ანაზღაურება დამოკიდებულია შრომის ოდენობასა და ხარისხზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანასწორი და სამართლიანი ანაზღაურების პრინციპს. კერძოდ, შრომის ანაზღაურებისას აკრძალულია რაიმე შეზღუდვა მუშაკის რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სამართლიანი ანაზღაურების პრინციპი მოითხოვს, რომ განსაკუთრებით მძიმე სამუშაოსათვის, შრომის მანე პირობებში და მძიმე კლიმატურ პირობებში მუშაობისათვის დადგინდეს შრომის გადიდებული ანაზღაურება. ეს ეხებათ მაღალმთიანი რეგიონების ტერიტორიაზე განლაგებულ საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებსაც. კანონმდებლობით მათ ხელფასებსა და პენსიებზე წესდება 50 %-იანი დანამატი.

კანონმდებელი ადგენს მინიმალური ხელფასის უზრუნველყოფის აუცილებლობას და განსაზღვრავს, რომ მუშაკის თვიური ანაზღაურება არ შეიძლება იყოს მინიმალურ ხელფასზე ნაკლები. მის ოდენობას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. მინიმალური ხელფასის დაცვა სავალდებულოა ყველა დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად.

#### 5. ჯანსაღი და უსაფრთხო შრომის უფლება

შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა სამსახურის ადმინისტრაციის მოვალეობაა. შრომის კანონთა კოდექსის XI თავი ადგენს ადმინისტრაციისათვის შრომის სავალდებულო დაცვის წესებს. ადმინისტრაციამ უნდა დანერგოს უსაფრთხოების ტექნიკის თანამედროვე საშუალებანი და უზრუნველყოს ისეთი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, რომლებიც ალკეოს მუშებსა და მოსამსახურეებს შორის დაავადების გაჩენას. ადმინისტრაციას ეკისრება ასევე მოაქუშავე პერსონალის ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, ზანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და შრომის დაცვის სხვა წესებთან დაკავშირებით.

თითოეული სამსახური პასუხისმგებელია მოსამსახურე პერსონალისათვის მიყენებული იმ ზიანის გამო, რომელიც გამოწვეულია შრომითი მოვალეობის შესრულებისას მათი დასახიჩრებით ან ჯანმრთელობისათვის სხვაგვარი ზიანის მიყენებით.

#### 6. ქალთა შრომის უფლება

შრომის კანონთა კოდექსი ცალკე XII თავს უთმობს ქალთა შრომის საკითხს. იგი კრძალავს ქალის შრომას მანე პირობებიან სამუშაოებზე. კოდექსით აკრძალულია ასევე ქალის მიერ ისეთი სიმძიმის გადატანა ან გადაადგილება, რომელიც აღმატება ქალისთვის დადგენილ ზღვრულ ნორმებს.

კანონმდებელი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო ქალთა შრომისთვის გარკვეული შეღავათების დაწესებას. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 159-ე მუხლის მიხედვით, ქალებს ორსუ-

ლობისა და მშობიარობის გამო ეძლევათ შვებულება მშობიარობამდე 70 კალენდარული დღის ხანგრძლივობით და მშობიარობის შემდეგ 56 კალენდარული დღის ხანგრძლივობით. კანონი განსაზღვრავს აგრეთვე უხელფასო შვებულებას დედებისათვის, რომლებსაც ჰყავთ სამ წლამდე ასაკის ბავშვები. ასეთ დედებს უხელფასო შვებულება ეძლევათ იქამდე, ვიდრე ბავშვი მიაღწევს სამი წლის ასაკს. გარდა ამისა, შვებულების განმავლობაში დედებს ენახებათ სამუშაო ადგილი.

კანონმდებელი ორსული და ბავშვიანი ქალებისთვის ადგენს სამუშაოზე მიღების გარანტიებსა და სამუშაოდან დათხოვნის აკრძალვას. კერძოდ, აკრძალულია სამუშაოზე მიღებისას ქალებისთვის უარის თქმა ორსულობის ან სამ წლამდე ასაკის ბავშვის ყოლის შემთხვევაში. დაუშვებელია, რომ ადმინისტრაციამ დაითხოვოს ორსული ქალები და ის ქალები, რომლებსაც სამ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, გარდა ორგანიზაციის სრული ლიკვიდაციის შემთხვევისა.

**7. 18 წელზე უფრო ახალგაზრდა პირთა შრომის უფლება**

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის XIII თავი ეხება 18 წელზე უფრო ახალგაზრდა პირთა შრომის უფლების რეალიზაციის კონკრეტულ საკითხებს. კანონმდებელი გამოიკვლია შემთხვევაში დაშვებულად მიიჩნევს 14 წლის ასაკს მიღწეულ პირთა სამუშაოზე მიღებას. რაც შეეხება იმ პირებს, რომელთაც 16 წელი შეუსრულდათ, მაგრამ არ მიუღწევიათ 18 წლის ასაკამდე, ისინი შრომით ურთიერთობებში უფლებრივად გათანაბრებული არიან სრულწლოვანებთან. აკრძალულია აღნიშნულ პირთა შრომის უფლების რეალიზაცია მძიმე, მავნე ან საშიშპირობიან სამუშაოზე, აგრეთვე მიწისქვეშა სამუშაოზე. ასევე, იკრძალება თვრამეტე წელზე უფრო ახალგაზრდა პირთა დასაქმება ღამისა და დასვენების დღეებში.

**II შრომის უფლება როგორც თავის ღაცვის უფლება**

შრომის კონსტიტუციურ უფლებას სოციალურ ხასიათთან ერთად კლასიკური უფლების მნიშვნელობა აქვს, რომლის ძირითადი დანიშნულება გამოიხატება სახელმწიფოს უკანონო ჩარევისაგან თავის დაცვაში. მოქალაქეს შეუძლია მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული შრომის უფლების დარღვევის შემთხვევაში სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს დარღვეული უფლების აღდგენა. თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლომ უფლების კონსტიტუციური კონტროლის საფუძველზე უნდა დაადგინოს უფლების დაცვის სფერო, მისი შეზღუდვის შესაძლებლობა და ამ შეზღუდვის კონსტიტუციური გამართლების საფუძველები.

**1. დაცვის სფერო**

პირველ რიგში, დასადგენია კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი. შრომის უფლება პროფესიის უფლებას ნიშნავს. აღნიშნული უფლება სამი ძირითადი ასპექტით გამოიხატება: მოქალაქეს შეუძლია პროფესიული საქმიანობის თავისუფლად განხორციელება, მას უფლება აქვს თავისუფლად აირჩიოს ესა თუ ის პროფესია და აგრეთვე უარი თქვას რომელიმე პროფესიის არჩევაზე.

უწინარესად გასარკვევია, თუ რა საქმიანობა შეიძლება დახასიათდეს პროფესიად და მოექცეს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის დაცვაში. პროფესიული

საქმიანობა არის ყველა ის საქმიანობა, რომელიც რაღაც დროის ხანგრძლივობაში ცხოვრების მატერიალური საფუძვლების შექმნასა და შენარჩუნებაზეა ორიენტირებული და რომელიც საზოგადოებისთვის საზიანო არ არის.<sup>1</sup>

აღნიშნული ცნებიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი ელემენტის გამოყოფა შეიძლება. პირველ რიგში, პროფესიული საქმიანობის უმთავრესი თავისებურებაა ის, რომ იგი ცხოვრების მატერიალური საფუძვლების შექმნასა და შენარჩუნებაზეა ორიენტირებული. მაშინაც კი, როდესაც კონკრეტული საქმიანობა მომგებიანი არ არის, შეიძლება ის წარმოადგენდეს გარკვეულ პროფესიას და კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით იყოს დაცული, თუ იგი თავისი არსით, ობიექტურად არის ორიენტირებული ცხოვრების მატერიალური საფუძვლების შექმნასა და შენარჩუნებაზე. მაგალითად, შემოქმედებაც პროფესიაა, იმის მიუხედავად, თუ როგორ უზრუნველყოფს ხატვა, მწერლობა ან აკომპანირება შემოქმედის ნორმალურ არსებობას, რადგან ეს საქმიანობა სწორედ ცხოვრების მატერიალური პირობების შექმნაზეა ორიენტირებული. სამაგიეროდ, უბრალო ჰობი ვერ ჩაითვლება პროფესიულ საქმიანობად, რადგან მისი განხორციელება მატერიალური სიკეთის მიღებას საერთოდ არ ეწყობა.

პროფესიული საქმიანობა გარკვეული დროის ხანგრძლივობაზეა გათვლილი. დროის ხანგრძლივობა არ ნიშნავს იმას, რომ კონკრეტული საქმიანობა დროის ხანგრძლივ მონაკვეთში განხორციელდეს. პროფესიული საქმიანობა შეიძლება დროის უმოკლეს ფარგლებშიც შესრულდეს, მთავარია, არსებითად შესაძლებელი იყოს ამ საქმიანობის გარკვეული დროის ხანგრძლივობაზე გათვლა.

პროფესია არ უნდა იყოს საზოგადოებისათვის საზიანო. ლაპარაკია, პირველ რიგში, ისეთ საქმიანობაზე, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ექვემდებარება. ამასთან, საზოგადოებისთვის საზიანო შეიძლება იყოს ისეთი სახის საქმიანობა, რომელიც, მართალია, დანაშაული არ არის, მაგრამ ამორალურია (მაგალითად, პროსტიტუცია).

შრომის კონსტიტუციური უფლების დაცვის სფეროს განსაზღვრის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მისი გამოიყენა საკუთრების კონსტიტუციური უფლებისგან. პრაქტიკაში ხშირია ამ უფლებების დაცვის სფეროების არეულობა. კერძოდ, ხშირად სამეცნიერო საქმიანობა საკუთრების უფლების რეალიზაციასთან არის გაიგივებული. შრომის კონსტიტუციური უფლება იცავს უშუალოდ საქმიანობას, ხოლო საკუთრების კონსტიტუციური უფლება – საქმიანობის კონკრეტულ შედეგს.<sup>2</sup>

## 2. უფლების შეზღუდვა

შრომის უფლების, ანუ გარკვეული პროფესიის უფლების შეზღუდვის ფორმალური საფუძვლები წარმოდგენილია კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეოთხე პუნქტში, რომლის მიხედვითაც შრომითი უფლებების დაცვა განისაზღვრება კანონით, ე.ი პროფესიის თავისუფლება საკანონმდებლო რეგულირებით გარკვეულ შეზღუდვებს

<sup>1</sup> Badura, Arbeit als Beruf (art. 12 GG), in: Festschrift Herschel, 1982, s. 21; Breuer, Freiheit des Berufes nach Art. 12 Abs. 1 GG, JA 1984, 534; Häberle, Arbeit als Verfassungsproblem, JY 1984, 3456 Hege, Das Grundrecht der Berufsfreiheit im Sozialstaat, 1977; Hoffmann, berufsfreiheit als Grundrecht der Arbeit Pietycker, Artikel 12 Grundgesetzes § freiheit des Berufs und Grundrecht.

<sup>2</sup> BVerfGE 50, 290 (340); 65, 237 (248).

ექვემდებარება. აღნიშნული შეზღუდვა შეიძლება შეეხოს პროფესიის უფლების ორ ასპექტს. კერძოდ, სახელმწიფომ შეიძლება კანონით შეზღუდოს ან პროფესიული საქმიანობის თავისუფალი განხორციელების უფლება (საქმიანობის თავისუფლება), ან გარკვეული პროფესიის თავისუფალი არჩევის უფლება (არჩევის თავისუფლება).

შეზღუდვა, რომელიც პროფესიის არჩევის თავისუფლებას ეხება, თავის მხრივ შეიძლება სახელმწიფო ნებართვის სუბიექტურ კრიტერიუმებზე და, მეორე მხრივ, სახელმწიფო ნებართვის ობიექტურ კრიტერიუმებზე იყოს დამოკიდებული.

სახელმწიფო ნებართვის ობიექტური კრიტერიუმები, რომლებიც პროფესიის არჩევის თავისუფლებას ზღუდავს, პიროვნების კვალიფიკაციისაგან დამოუკიდებელი კრიტერიუმებია. აღნიშნული შეზღუდვა ეხება ისეთი პროფესიის არჩევას, სადაც მომუშავე პერსონალის რაოდენობამ საჭირო ზღვარს მიაღწია, სადაც დასაქმების შესაძლებლობა ობიექტური ფაქტორებითაა განპირობებული.

სახელმწიფო ნებართვის სუბიექტური კრიტერიუმები, რომლებიც პროფესიის არჩევის თავისუფლებას ზღუდავს, პიროვნების სუბიექტურ მონაცემებზე, კერძოდ მის ასაკზე, გამოცდილებაზე, განათლებაზე და ა.შ. დამოკიდებული კრიტერიუმებია.

### 3. უფლების შეზღუდვის კონსტიტუციური გამართლება

პროფესიის უფლების შეზღუდვის კონსტიტუციური გამართლების ფარგლებში გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ე.წ. სამსაფეხურიანი თეორია განავითარა<sup>1</sup>: პროფესიის უფლების შეზღუდვის ინტენსიურობის მიხედვით არსებობს სამი საფეხური. პირველ საფეხურზე დგას ყველაზე ნაკლები ინტენსიურობის შეზღუდვა, რომელიც პროფესიული საქმიანობის თავისუფალი განხორციელების (საქმიანობის თავისუფლება) უფლებას ეხება.

მეორე საფეხურზე დგას შეზღუდვა, რომელიც პროფესიის არჩევის უფლებას (არჩევის თავისუფლება) სახელმწიფო ნებართვის სუბიექტური კრიტერიუმების საფუძველზე ეხება. დაბოლოს, პროფესიის არჩევის უფლება ყველაზე ინტენსიურად სახელმწიფო ნებართვის ობიექტური კრიტერიუმების მიხედვით იზღუდება. თითოეულ შემთხვევაში შეზღუდვას შეესაბამება შეზღუდვის გამართლების საფუძველებიც. რაც უფრო ინტენსიურია შეზღუდვა, მით უფრო მაღალი უნდა იყოს მისი გამართლების მოთხოვნებიც. სწორედ ამგვარი მოთხოვნებით გამოიხატება თანაზომიერების პრინციპი.<sup>2</sup>

თანაზომიერების პრინციპის მიხედვით, უფლების შეზღუდვის საშუალება მისაღები, აუცილებელი და პროპორციული უნდა იყოს. შეზღუდვის მიზანთან დამოკიდებულებაში სწორედ აუცილებლობისა და პროპორციულობის ელემენტები წარმოაჩენენ პროფესიის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის სამ საფეხურს. თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე მიზნის მისაღწევად შეზღუდვა მაშინ არის აუცილებელი, როდესაც არ არსებობს სხვა საშუალება, რომელიც მინიმალური ზიანის მიყენების ხარჯზე შეზღუდავდა უფლების სუბიექტს. პროფესიის კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით, თუ რამდენად ინტენსიური და შესაბამისად, აუცილებელია მოქალაქის შეზღუდვა, ეს განისაზღვრება

<sup>1</sup> BVerfGE 7, 377

<sup>2</sup> თანაზომიერების პრინციპის შესახებ იხ. თავი „საკუთრების კონსტიტუციური უფლება“, კერძოდ, ამ თავის ქვეთავი „დამიანის უფლების შეზღუდვის კონსტიტუციური გამართლება“.

ზემოთ ჩამოთვლილი საფეხურების მიხედვით: სახელმწიფო ნებართვის ობიექტური კრიტერიუმების მიხედვით ყველაზე ინტენსიურია მოქალაქის პროფესიის უფლების შეზღუდვა, ნაკლებად ინტენსიურია შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფო ნებართვის სუბიექტურ კრიტერიუმებს უკავშირდება, და მინიმალურია შეზღუდვის ის ფორმა, რომელიც პროფესიული საქმიანობის თავისუფალ განხორციელებას ეხება. პროფესიის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა მაღალ საფეხურზე მხოლოდ მაშინაა თანაზომიერი, ეი აუცილებელი, როდესაც შეზღუდვის მიზნის მიღწევა სხვა, დაბალ საფეხურზე შეუძლებელია.

ითოეული საფეხურის შესაბამისი შეზღუდვა, ასევე შეზღუდვის მიზნის პროპორციული უნდა იყოს. შეზღუდვის მიზანი მით უფრო ღირებულია, რაც უფრო ინტენსიურია შეზღუდვა. მაგალითად, სახელმწიფო ნებართვის ობიექტური კრიტერიუმების მიხედვით ყველაზე ინტენსიური შეზღუდვა გამართლებულია, თუ ის უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი სიკეთისთვისაა აუცილებელი და თუ იგი, ამასთანავე, მძიმე საფრთხის თავიდან ასაცილებლადაა გათვალისწინებული. სახელმწიფო ნებართვის სუბიექტური კრიტერიუმების მიხედვით, შეზღუდვა მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, როდესაც კანდიდატის მიერ პროფესიის განხორციელება გარკვეულ პირობებსა და მოთხოვნებს უპასუხებს, რომელთა გარეშეც კონკრეტული პროფესიის გამოყენება შეუძლებელი და გაუმართლებელი იქნებოდა. პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელი, შესაბამისად, მისი შემზღუდავი ნორმების შინაარსი კი, საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით მიზანშეწონილი უნდა იყოს.<sup>1</sup>

<sup>1</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ცნობილ გადაწყვეტილებაში, სადაც პროფესიის კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით სამსაფეხურიანი თეორია შემუშავდა, რაის საგანი იყო სავაჭრო ობიექტების დახურვის შესახებ კანონმდებლობის კონსტიტუციურობის საკითხი. აღნიშნული კანონის მიხედვით, განისაზღვრა მალაზიების დახურვის ერთიანი ღირ. მოსარჩელე თელიდა, რომ სავაჭრო ობიექტის დახურვის შესახებ კანონში კონკრეტული დროის განსაზღვრამ შეზღუდა მისი უფლება – გაყიდოს პროდუქცია ნებისმიერ დროს. მისი პროფესიის მთავარი დანიშნულება პროდუქციის გაყიდვაა. აღნიშნული პროფესიული საქმიანობის თავისუფალი განხორციელება მას გარკვეული დროის შემდეგ სადავო კანონით აღარ შეეძლო. მაშასადამე, ეს იყო პროფესიული უფლების შეზღუდვის ფაქტი.

აღნიშნული შეზღუდვის კონსტიტუციური გამართლების თვალსაზრისით, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ე.წ. სამსაფეხურიანი თეორია განაიეთარა, რომლის მიხედვითაც, პროფესიის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის სამი საფეხური გამოიყო. ყველაზე მაღალ, მესამე საფეხურზე დგას პროფესიის უფლების შეზღუდვის ის ფორმა, რომელიც ყველაზე ინტენსიურია და სახელმწიფოს ნებართვის ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე პროფესიის არჩევის თავისუფლებას ეხება. მეორე საფეხურზე მდგომი პროფესიის უფლების შეზღუდვის საშუალებაც პროფესიის არჩევის თავისუფლებას ღაზავს, მხოლოდ უფრო ნაკლები ინტენსიურობით და სახელმწიფო ნებართვის სუბიექტური კრიტერიუმების მიხედვით. პირველ საფეხურს შესაბამება პროფესიული საქმიანობის შეზღუდვის საშუალება, რომელიც ყველაზე ნაკლები ინტენსიურობით ღაზავს უფლებას.

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სავაჭრო ობიექტების განსაზღვრულ დროში დახურვის შესახებ კანონმა მოსარჩელის პროფესიული საქმიანობის თავისუფლად განხორციელების უფლებას შეზღუდა. აღნიშნული შეზღუდვა, სამსაფეხურიანი თეორიის მიხედვით, შეზღუდვის პირველ საფეხურს შეესაბამება. ასეთი სახის შეზღუდვა კი გამართლებულია, თუ ის საზოგადოებრივი ინტერესების გონივრული შეფასების საფუძველზეა მიზანშეწონილი. ამ შემთხვევაში გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მოსარჩელის პროფესიის უფლების შეზღუდვა შემდეგი არგუმენტებით დაასაბუთა: ყოველ მომუშავე ადამიანს სჭირდება გარკვეული დრო დასვენების და საკუთარი ოჯახისათვის, რათა ძაღები მოერიბოს. ამასთან, სავაჭრო ობიექტების განსაზღვრულ დროში დახურვის კანონმდებლობა მონოპოლიის აკრძალვასაც ითვალისწინებს, როდესაც ყველა სავაჭრო პუნქტისათვის ერთიანი დახურვის დროს განსაზღვრავს.

**4. შრომის კონსტიტუციური უფლების სხვა სტრუქტურული ელემენტები**

კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტებში დაკონკრეტებულია შრომის კონსტიტუციური უფლება (30-ე მუხლის პირველი პუნქტი). მართალია, კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე პუნქტში ლაპარაკია თავისუფალი მეწარმეობისათვის კონკურენციის გასაფართოებლად სახელმწიფოს ვალდებულებასა და მონოპოლიური საქმიანობის აკრძალვაზე, მაგრამ ეს შინაარსი თავად შრომის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტიიდან გამომდინარეობს. პროფესიის არჩევის თავისუფლებითა და გარკვეული პროფესიული საქმიანობის თავისუფლად განხორციელებით თითოეული, იქნება ეს მეწარმე, კერძო მესაკუთრე თუ მუშაკი, თავისთავად ექვემდებარება კონკურენციის პირობებში. აღნიშნულ პირობებში მოქმედება ნიშნავს პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფარგლებში მოქმედებას, შესაბამისად, იგი პროფესიის უფლების დაცვას ექვემდებარება. ამდენად, შრომის თავისუფლება კონკურენციის თავისუფლებასაც ნიშნავს, რაც მონოპოლიურ საქმიანობას გამორიცხავს.<sup>1</sup>

კონსტიტუციის 30-ე მუხლის მესამე პუნქტი სახელმწიფოს აკისრებს ერთგვარ მოვალეობას დაიცვას შრომითი ურთიერთობების მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე საქართველოს მოქალაქეთა შრომის უფლებები საზღვარგარეთ ამ ნორმას ძირითადად დეკლარირების ხასიათი აქვს, რომელიც შრომის უფლების სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარეობს.

რაც შეეხება კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეოთხე პუნქტს, იგი, როგორც ზემოთ ითქვა, შრომის თავისუფლების შეზღუდვის თვალსაზრისით, ერთგვარ კანონისმიერი დათქმის როლს თამაშობს და, შესაბამისად, 30-ე მუხლის პირველი პუნქტის შეზღუდვის ფორმალურ კონსტიტუციურ საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, იგი განსაკუთრებით გამოყოფს არასრულწლოვანისა და ქალის შრომითი უფლებების დაცვისა და შრომის სამართლიანი ანაზღაურების, შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების უზრუნველყოფის საკითხებს, რაც საქართველოს შრომის კანონთა კოდექსითაა რეგლამენტირებული.

**სასამართლო პრაქტიკა**

კონსტიტუციის 30-ე მუხლთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არცთუ ცოტა გადაწყვეტილება აქვს გამოტანილი. ქვემოთ წარმოვაჩინო კონსტიტუციო სასამართლოს მიერ შრომის თავისუფლების ინტერპრეტაციის რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს.

1. საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში<sup>2</sup> სადავო გახდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997 წლის ორგანული კანონის 86-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვითაც, რაიონის (ქალაქის) სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს,

<sup>1</sup> საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობისა და კონკურენტული გარემოს შექმნისათვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის შექმნასა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას აწესრიგებს საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ.“  
№ 2/80-9



გარდა იმ მოსამართლეებისა, რომლებიც დანიშნული ან არჩეული არიან, ამ კანონის შესაბამისად, უფლებამოსილება 1998 წლის 1 მაისს უნდა შეწყვეტოდა.

აღნიშნული კანონით, უფლებამოსილება ვადამდე უწყდებოდა ასევე რაიონისა და საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს, რომლებიც დანიშნული და არა არჩეული არიან. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ეს გარემოება ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 30-ე მუხლით მინიჭებულ უფლებას, კერძოდ, შრომის თავისუფლებას და შრომითი უფლებების დაცვას.

ამ შემთხვევაში საინტერესოა არა იმდენად საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება, რამდენადაც ის, თუ როგორ გაიგეს მათ კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი. საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ: „საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი ეხება შრომის თავისუფლებას და შრომითი უფლებების დაცვის საკითხებს. ამ მუხლის პირველი პუნქტი აღიარებს არა შრომის უფლებას, არამედ შრომის თავისუფლებას, ე.ი. თავისუფალი შრომის უფლებას. შრომა თავისუფალია – ეს ნიშნავს, რომ ადამიანს მინიჭებული აქვს უფლება თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო. შრომა თავისუფალია – ეს ნიშნავს იმასაც, რომ სახელმწიფო უკვე აღარ იღებს მოქალაქეთა შრომითი დასაქმების ვალდებულებას. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ უარი თქვას უკვე დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებების დაცვაზე. ე.ი. სახელმწიფო უარს ამბობს მოქალაქეთა შრომითი დასაქმების ვალდებულებაზე, მაგრამ კისრულობს ვალდებულებას დაიცვას დასაქმებულ მოქალაქეთა შრომითი უფლებები.“

30-ე მუხლის პირველი პუნქტის ასეთ გაგებას საკონსტიტუციო სასამართლო სხვა გადაწყვეტილებებშიც ვხვდებით.<sup>1</sup> პირველი, რაც აღნიშნულ ინტერპრეტაციაში ყველაზე მეტად თვალშისაცემია, კონსტიტუციური უფლების ბუნდოვანი გაგებაა. თავდაპირველად საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტი (შრომა თავისუფალია) აღიარებს არა შრომის უფლებას, არამედ შრომის თავისუფლებას. აქედან შეიძლება დასკვნის გამოტანა, თითქოსდა, შრომის უფლება არ ნიშნავს შრომის თავისუფლებას. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლო იქვე, წინადადების ბოლოს აღნიშნავს, რომ 30-ე მუხლის პირველი პუნქტი აღიარებს არა შრომის უფლებას, არამედ თავისუფალი შრომის უფლებას. ე.ი. ის, რაც თავიდან უარყოფილია, ბოლოს მაინც აღიარებულია, კერძოდ აღიარებულია შრომის უფლებისა და შრომის თავისუფლების შინაარსობრივი იდენტურობა. ზოგადად, ძირითადი უფლებების კონსტიტუციური განმტკიცება, როგორც ისტორიულად, ისე თანამედროვე გაგებით, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მნიშვნელოვან სფეროში უკავშირდება თავისუფლების სამართლებრივ გარანტიებს. ამიტომ ძირითადი უფლებების გამიჯვნა თავისუფლების ცნებისაგან არასწორია.

საკონსტიტუციო სასამართლო თავის ინტერპრეტაციაში იქვე აღნიშნავს: შრომა თავისუფალია ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო უკვე აღარ იღებს მოქალაქეთა შრომითი დასაქმების ვალდებულებას. ასეთი განმარტება საერთოდ საეჭვოს ხდის შრომის კონსტიტუციური უფლების სოციალურ ხასიათს. იგი უფრო სოციალისტურ იდეოლოგიად და კონტრ-არგუმენტად შეიძლება იყოს გაგებული, რადგან სიტყვა „უკვე

<sup>1</sup> № 2/4-24

ადარ“ ერთგვარი ისტორიული გამოცდილების უარყოფას უსვამს ხაზს, თანაც სოციალისტურ სახელმწიფოში შრომა ვალდებულებასთან იყო გაიგივებული. მართლაც, 1995 წლის საქართველოს კონსტიტუცია შრომის თავისუფლებას განამტკიცებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს მისი სოციალური (არა სოციალისტური) ხასიათის იგნორირებას, კერძოდ, სახელმწიფოს მხრიდან უმუშევართა დასაქმების ვალდებულების უარყოფას. ეს ვალდებულება, როგორც ზემოთ ითქვა, სოციალური სახელმწიფოს პოლიტიკის მიზანდასახულებიდან და ამოცანებიდან გამომდინარეობს, კერძოდ კი – იმ ამოცანებიდან, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნას ისახავს მიზნად, რაც თეორიული დასაქმებას შეუწყობს ხელს. ამდენად, სოციალური სახელმწიფო უარს ვერ იტყვის მოქალაქეთა შრომითი დასაქმების ვალდებულებაზე. სხვა საკითხია მისი განხორციელების შესაძლებლობა. როგორც ითქვა, ეს ყოველთვის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე დამოკიდებულია.

ყოველივე ამის საპირისპიროდ, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის დაცვაში მოიაზრებს მხოლოდ დასაქმებულ მოქალაქეებს და, შესაბამისად, სახელმწიფოს ვალდებულებას მხოლოდ დასაქმებულ მოქალაქეთა შრომითი უფლებების დაცვაში ზედავს. ასეთი ლოგიკა კიდევ ერთხელ უკარგავს შრომის უფლებას თავის სოციალურ შინაარსს. ამისგან განსხვავებით, უფრო დახვეწილია კანონმდებელი თავის ფორმულირებაში, როდესაც საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნავს, რომ კონსტიტუციით გარანტირებული შრომის თავისუფლება მუშაკთა ძირითად შრომით უფლებებთან ერთად უმუშევრობის დროს სახელმწიფო გარანტიებით სარგებლობასაც აღგენს.

რაც შეეხება შრომის კონსტიტუციური უფლების, როგორც თავის დაცვის უფლების მნიშვნელობას, საკონსტიტუციო სასამართლო, ამ თვალსაზრისით, მართებულად გამოყოფს შრომის უფლების ორ ასპექტს. კერძოდ, შრომა თავისუფალია ნიშნავს, ერთი მხრივ იმას, რომ ადამიანს მინიჭებული აქვს უფლება თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში (საქმიანობის თავისუფლება) და, მეორე მხრივ, ეს ნიშნავს იმას, რომ მას ასევე აქვს უფლება თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო (პროფესიის არჩევის თავისუფლება). შრომის კონსტიტუციური უფლების მესამე ელემენტზე, რომელიც ამ უფლების სოციალურ ხასიათს გამოყოფს, როგორც ითქვა, საკონსტიტუციო სასამართლო არაფერს ამბობს.

2. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე პუნქტს ეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება.<sup>1</sup> აქ სადავო იყო „საქართველოს ტერიტორიაზე თანბაქოს ნაწარმის წარმოების, იმპორტის, საბითუმო და საცალო ვაჭრობის მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 28 ივნისის №391 ბრძანებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გასატარებელ აუცილებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 18 თებერვლის №55 ბრძანებულების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან და 30-ე მუხლის მეორე პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით.

ზემოაღნიშნული სადავო ბრძანებულების მიხედვით, მისი გამოქვეყნებიდან ერთი

<sup>1</sup> №1/4/154, 200

თვის შემდეგ აიკრძალა იმ თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია, რომელიც არ შეესაბამებოდა 1998 წლის №391 ბრძანებულების მოთხოვნებს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, თამბაქოს შუა ნაწარმზე ინფორმაცია პროდუქციის შესახებ უნდა ყოფილიყო ქართულ ენაზე და ამ ინფორმაციას ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებათა შემადგენლობის ჩამონათვალი და ოდენობა უნდა აესახა. აგრეთვე, მითითებული უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მოთხოვნა თამბაქოს მავნელობის შესახებ, მაგალითად ის, რომ „მოწევა იწვევს კიბოს“ და სხვა.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის №55 ბრძანებულებით, შპს „ჯგუფი ქალაქურის“ საკუთრებაში არსებული თამბაქოს ნაწარმი დალუქა საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტრომ, რითაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი განიცადა. მისი აზრით, სადავო ბრძანებულებით დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომლის მიხედვითაც, „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას.“ კერძოდ, იგი თვლის, რომ ბრძანებულების შესაბამისად, სახელმწიფომ მეწარმეებს დაუღუქა საქონელი და მოუსპო არა მარტო თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობისა და მოგების მიღების შესაძლებლობა, არამედ არ დაუტოვა არანაირი გზა ზიანის თავიდან ასაცილებლად.

სამოტივაციო ნაწილში საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით სინამდვილეში დასტურდება შპს „ჯგუფი ქალაქურის“ საკუთრებაში არსებული თამბაქოს ნაწარმის დალუქვის ორი ფაქტი. მაგრამ არ მოიპოვება ისეთი საბუთი, რომლითაც დამტკიცებოდა სასაწყობო სათავსების დალუქვა და მატერიალური ზიანის მიყენება სადავო აქტის საფუძველზე და მის შესაბამისად. სათანადო მტკიცებულება მოსარჩელე მხარემ სასამართლოს ვერ წარუდგინა. ამდენად, საქმის მასალებში მინიშნებაც კი არ არის სადავო ბრძანებულებაზე, იმაზე, რომ თამბაქოს ნაწარმი სწორედ აღნიშნული აქტის საფუძველზე და მინცდამინც ქართული ნიშნების არარსებობის გამო დაიღუქა. ამიტომ, სასამართლოს აზრით, სადავო აქტის არაკონსტიტუციურად მიჩნევა მოსარჩელე მხარის მიერ მითითებულ შესაბამის მოტივზე დაყრდნობით შეუძლებელი და გამორიცხული იყო.

მიუხედავად ამ დასკვნისა, საკონსტიტუციო სასამართლომ თეორიულად დაუშვა იმის შესაძლებლობა, რომ სადავო ბრძანებულებით მართლაც შეზღუდულიყო შპს „ჯგუფი ქალაქურის“ კუთვნილი თამბაქოს ნაწარმის სათავსების დალუქვით თავისუფალი მეწარმის საქმიანობის განხორციელების უფლება. ამ შემთხვევაშიც, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, „ადამიანის უსაფრთხოების, მისი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით პროდუქციის რეალიზაციის სათანადო წესების დადგენა და მათი შესრულების უზრუნველყოფა ვერანაირად ვერ ჩაითვლება საკუთრების უფლების შეზღუდვად, აგრეთვე თავისუფალი მეწარმეობის განვითარებისათვის ხელის შეშლად საქართველოს კონსტიტუციის 21-ე და 30-ე მუხლებთან მიმართებაში“. მართლაც, თუ პრეზიდენტის 2000 წლის №55 ბრძანებულების საფუძველზე ფიზიკური ან იურიდიული პირის გარკვეული პროფესიული საქმიანობა შეიზღუდებოდა, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა განესაზღვრა კონსტიტუციის 30-ე მუხლით განმტკიცებული პროფესიული საქმიანობის დაცვის სფერო და მისი შეზღუდვის კონსტიტუციური გამართლების საფუძველები.

პროფესიის კონსტიტუციური უფლების, როგორც თავის დაცვის უფლების დაცვის

სფეროა, უფლებამოსილი პირის (ფიზიკური თუ იურიდიული პირი) საქმიანობის თავისუფლად განხორციელების შესაძლებლობა (საქმიანობის თავისუფლება) ან მის მიერ ამა თუ იმ პროფესიის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობა (არჩევის თავისუფლება).

იმ შემთხვევაში, როცა საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის №55 ბრძანებულების საფუძველზე მოხდებოდა შპს „ჯგუფი ქალაქურის“ საკუთრებაში არსებული თამბაქოს ნაწარმის დაღუპვა და მისი რეალიზაციის შეზღუდვა, მაშინ ეს იქნებოდა კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პროფესიის უფლების, კერძოდ, პროფესიული საქმიანობის, მათ შორის სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლად განხორციელების შეზღუდვა. ამრიგად, თავისუფალი მეწარმეობა კონკრეტული სუბიექტის ხელში კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტითაა დაცული. რაც შეეხება 30-ე მუხლის მეორე პუნქტს, იგი პროგრამული დებულების ხასიათისაა, რომელიც სახელმწიფოს აკისრებს ერთგვარ ვალდებულებას, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის ბრძანებულებით, სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს თავის დაცვის უფლება კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ექნებოდა. შესაბამისად, სარჩელშიც სადავო ბრძანებულების კონსტიტუციურობის საკითხი 30-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებაში დაისმებოდა.

მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლო პრეზიდენტის 2000 წლის № 55 ბრძანებულებით კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის, კერძოდ, პროფესიული საქმიანობის თავისუფალი განხორციელების შეზღუდვის ფაქტს დაადგინდა, მას ამ შეზღუდვის კონსტიტუციური გამართლების არგუმენტები უნდა წარმოეჩინა. ზემოთ, როდესაც თავისუფალი პროფესიული საქმიანობის შეზღუდვის გამართლების მოთხოვნებზე იყო ლაპარაკი (ე.წ. სამსაფეხუროვანი თეორია), აღინიშნა, რომ ასეთი სახის შეზღუდვა პროფესიის არჩევის თავისუფლების შეზღუდვასთან შედარებით, ნაკლებად ინტენსიურია და მისი გამართლება საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით მიზანშეწონილი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტაციის შესაბამისად, ადამიანის უსაფრთხოების, მისი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით პროდუქციას რეალიზაციის სათანადო წესების დადგენა და ამ გზით სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვა კონსტიტუციურად გამართლებული და მიზანშეწონილი იქნებოდა.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის ივნისის გადაწყვეტილებაში სადავო გახდა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2003 წლის 14 აგვისტოს №13 დადგენილება.<sup>1</sup>

მოსარჩელე კონსტიტუციურ სარჩელეში მოითხოვდა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2003 წლის 14 აგვისტოს №13 დადგენილების არაკონსტიტუციურად ცნობას იმ მოტივით, რომ ამ დადგენილებით სემეკმა შელახა მომხმარებელთა ინტერესები, რაც საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე პუნქტს ეწინააღმდეგება.

მოსარჩელის აზრით, იმ ფაქტს, რომ 2002 წლის დეკემბრიდან სს „საქგაზი“ აღარ წარმოადგენდა შუამავალს სს „თბილგაზს“ და კომპანია „იტერას“ შორის,

<sup>1</sup> № 2/2/245

უნდა გამოეწვია მომხმარებლისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფის შემცირება იმ ოდენობით, რასაც შეადგენდა სს „საქგაზის“ წილი. ანუ სს „თბილგაზსა“ და კომპანია „იტერას“ შორის პირდაპირი კავშირის დამყარებას მოჰყვა ბუნებრივი გაზის საბითუმო ტარიფის, 183 ლარის შემცირება 177,4 ლარამდე, რასაც უნდა გამოეწვია მიწოდების ტარიფის შეცვლა, მაგრამ სამომხმარებლო ტარიფი არ შეცვლილა, რადგან ს.ს. სს „თბილგაზმა“ ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფი გაზარდა ზუსტად იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც სს „საქგაზის“ წილის ამოვარდნის შემდეგ ტარიფში დაიკლო საბითუმო ფასმა. ანუ სს „თბილგაზმა“ განაწილების ტარიფი გაზარდა სს „საქგაზის“ წილის (5,60 ლარის) რაოდენობით და ნაცვლად 70,40 ლარისა გახდა 76,00 ლარი.

სასამართლო განხილვის დროს მოსარჩელის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სემეკს სადავო აქტის მიღებისას უნდა ეხელმძღვანელა „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ლიცენზიის მფლობელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაბალანსება, მომსახურებისა და საქონლის ეფექტიანი ფასწარმოქმნა და მიწოდება“. ამ შემთხვევაში კი სემეკი ერთმნიშვნელოვნად მიემხრო ლიცენზიატს, ანუ ტარიფის შემადგენელ ზოგიერთ კომპონენტში სს „თბილგაზს“ დაუდგინდა უფრო მეტი ფასი, ვიდრე თვითონ განაცხადში იყო მოცემული.

მოსარჩელის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია ტარიფის გათავისებობა, რასაც არ ახორციელებს სემეკი. აქედან გამომდინარე, იგი ფიქრობს, რომ სემეკი აშკარად იცავს არა მომხმარებლის, არამედ სახელმწიფოს ან ლიცენზიატის ინტერესებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, არ შეიძლება გვერდი აუაროთ იმ გარემოებას, რომ ქვეყანაში ბუნებრივი გაზის განაწილება რეალურად ბუნებრივი მონოპოლიის პირობებში ხორციელდება. სწორედ ასე ხდება სს „თბილგაზის“ შემთხვევაშიც, თუმცა, მოპასუხებ ვერ წარმოადგინა ბუნებრივი მონოპოლიების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის მტკიცებულება, რომელსაც „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი ამტკიცებს.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ გამოირიცხავს მონოპოლიურ საქმიანობას, ხოლო ზემოაღნიშნული კანონის მე-5 მუხლი დასაშვებლად მიიჩნევა იმას, რომ ნაწილობრივ ან მთლიანად არ გავრცელდეს კანონის მოქმედება მონოპოლიური საქმიანობის ცალკეულ სახეებზე. აქედან გამომდინარე, სს „თბილგაზი“, რომელიც თავისი საქმიანობით ფაქტობრივად ბუნებრივი მონოპოლისტია, საქართველოს კონსტიტუციით დაშვებულ და საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ამ გამონაკლის შემთხვევად უნდა მივიჩნიოთ.

რაც შეეხება კონსტიტუციური სარჩელის საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე პუნქტის იმ ნაწილთან მიმართებას, რომლის შესაბამისადაც, „მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით“, სასამართლო კოლეგია თვლის, რომ კონსტიტუციის აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სწორედ კანონმა უნდა გაითვალისწინოს ამ უფლების დაცვასთან დაკავშირებული კონკრეტული გარე-

მოვები. „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესავალ ნაწილში განსაზღვრულია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებელთა უფლებების დაცვა მოიცავს სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ საფუძვლებს. ამდენად, მობასუნის მოსაზრება, რომ სოციალური დაცვა სახელმწიფოს ფუნქციაა და იგი არ შედის ეკონომიკის, მათ შორის მარეგულირებელი ორგანოების მოვალეობაში, კანონს არ ემყარება.

იმავე კანონის ზოგადი დებულების მეორე მუხლში ჩამოთვლილია მომხმარებელთა უფლებები: „საქონლის, სამ ქმოს, სავაჭრო და სხვა სახის მომსახურების სტანდარტებთან შესაბამისი სათანაო ხარისხი; პროდუქციის უსაფრთხოება; სათანადო ინფორმაცია პროდუქციის რაოდენობაზე, ხარისხსა და ასორტიმენტზე; არასათანადო ხარისხის მქონე ან მომხმარებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, აგრეთვე მისი ქონებისათვის საზიანო პროდუქციით მიყენებული ზარალის ანაზღაურება; საკუთარი უფლებების დაცვა სასამართლოსა და შესაბამისი რწმუნების მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ.“

სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნული მუხლის დებულებაში კანონით დადგენილი ამ და სხვა უფლებების დაცვა იგულისხმება.

ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვაში მარტო ტარიფის შემცირების მოსაზრება სწორი არ იქნებოდა. გაზის ქსელის გამართულ მდგომარეობაში ყოფნა, ბუნებრივი გაზის განუწყვეტელი მიწოდების უზრუნველყოფა, ავარიების თავიდან აცილება და სხვა მომხმარებელთა ინტერესების დაცვისკენ მიმართული საქმიანობაა.

კონსტიტუციური სარჩელი სემეკის დადგენილებას არაკონსტიტუციურად მიიჩნევს ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფის გაძვირების მოტივით. სინამდვილეში, მოსარჩელის აზრით, მობასუნეს სს „საქგაზის“ გამოთავისუფლებული წილი, შესაბამისად, მოხმარების ტარიფის შემცირებისაკენ უნდა მიემართა. მაშასადამე, მოსარჩელე ტარიფის გაზრდაზე კი არა, შემცირებაზე უარს ხდის სადავოდ, რაც ერთი და იგივე არ არის და იურიდიული შედეგიც სხვადასხვაა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ტარიფის ცვლილება სამომხმარებლო ტარიფის შენარჩუნებით არ არის საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე პუნქტით აღიარებული მომხმარებელთა კანონით დაცული უფლებების შელახვა.

სასამართლო თვლის, რომ ტარიფის დადგენის ან შეცვლის დროს ტარიფის ცალკეული კომპონენტების გადაადგილების, ტარიფში ცალკეული დანახარჯების შეტანის სისწორის დადგენა სცილდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებს და ეს პემეკის კონპეტენციას განეკუთვნება.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი „ბუნებრივი გაზის ტარიფის შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ, სემეკის 2003 წლის 14 აგვისტოს №13 დადგენილების არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე პუნქტთან მიმართებით.

**მუხლი 31.**

**„სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად კანონი ადგენს შეღავათებს“.**

**მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების  
ქონსტიტუციური  
გარანტიები**

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი სახელმწიფოს აკისრებს მოვალეობას იზრუნოს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ამასთან, აღნიშნული მუხლის მეორე წინადადება კანონმდებელს ავალდებს, რომ მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად დაადგინოს შეღავათები. კონსტიტუციის ამ მოთხოვნის შესრულების კონკრეტული გეგმა კანონმდებელმა მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ კანონში ასახა.

„მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ კანონის მიხედვით, მაღალმთიან რეგიონად ითვლება დასახლებული ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე და მის ზედათ.

აღნიშნული კანონის მიზანს წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფომ, კონსტიტუციის 31-ე მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, გაატაროს მაღალმთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების პოლიტიკა თანამედროვე მოთხოვნებისა და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, გააძლიეროს მაღალმთიან რეგიონებში სამეურნეო და სოციალურ-კულტურული აქტივობა, აღორძინოს დაცლილი და ნახევრად დაცლილი სოფლები და თემები, განავითაროს მრეწველობა, რაციონალურად გამოიყენოს ადგილობრივი რესურსები და დაასაქმოს მოსახლეობა, დაიცვას თვითმყოფადი ლანდშაფტები და ეკოსისტემა მავნე ზემოქმედებისაგან.

„მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, ხელისუფლება ვალდებულია მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მიზნით შეიმუშაოს შეღავათიანი საკრედიტო-საინვესტიციო ღონისძიებების სახელმწიფო პროგრამა, რომლის პარამეტრები ყოველწლიურად უნდა აისახოს სახელმწიფო ბიუჯეტში. აღნიშნულმა პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს ტურიზმის, საკურორტო და რეკრეაციული მეურნეობის განვითარებას, ისტორიულ-არქიტექტურული და ბუნებრივი ძეგლების დაცვას, რესტავრაციას და ტურიზმის სამსახურში ჩაყენებას, სამოსათხილამურო და სპორტის სხვა სახეობების განვითარებას, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული ტრადიციების აღორძინება-განვითარებას და შესაბამისი სამეცნიერო ცენტრების შექმნას, მცირე და საშუალო ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარებას ადგილობრივი, ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების გზით, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საქმიანობის ელექტრონიკური უზრუნველსაყოფად მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების მშენებლობასა და ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენების პროექტების დაფინანსებით.

„მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მესამე პუნქტი მაღალმთიანი რეგიონების სოფლის საკრებულოებს ავალდებულებს ახლად დასახლებულებს გაუწიოს ფინანსური დახმარება ადგილობრივი ბიუჯეტიდან და ფონდიდან, რომელიც იქმნება შემოწირულობების, ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის, საძოვრების გაქირავების, სხვადასხვა საწარმოო საქმიანობის, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების ხარჯზე.

საქართველოს შრომის კნონთა კოდექსის მე-80 მუხლი განსაზღვრავს განსაკუთრებულ პირობებში შრომის ანაზღაურების წესს. კერძოდ, მე-80 მუხლის მეორე პუნქტი ადგენს, რომ „მაღალმთიანი რეგიონების ტერიტორიაზე განლაგებულ საბიუჯეტო ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და უწყებებში, აგრეთვე მათ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში დასაქმებულ პირთა ხელფასებსა და პენსიებზე წესდება დანამატი 50 %-ის ოდენობით.



**მუხლი 32.**

**„სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრის სტატუსი განისაზღვრება კანონით.“**

**უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეთა დასაქმება და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფა**

კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ უკავშირდება კონსტიტუციის 32-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც, „სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრობის სტატუსი განისაზღვრება კანონით.“ კონსტიტუციის 30-ე და 32-ე მუხლები შრომის უფლების ინტერპრეტაციის ერთიან საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოში უმუშევრად დარჩენილ პირთა სტატუსს განსაზღვრავს და მათ დასაქმებას აწესრიგებს კანონი „დასაქმების შესახებ.“ ამ კანონის თანახმად „უმუშევარი არის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამუშაო ასაკის შრომისუნარიანი ან ნაწილობრივ შრომისუნარიანი პირი, რომელსაც არა აქვს სამუშაო, ეძებს მას და მზად არის სამუშაოს შესასრულებლად“.

კანონით ცალკეა განსაზღვრული სამუშაოს მაძიებლის ცნება, ასეთად ითვლება სამუშაო ასაკის შრომისუნარიანი ან ნაწილობრივ შრომისუნარიანი პირი (უმუშევარი, დასაქმებული, თვითდასაქმებული), რომელიც რეგისტრირებულია დასაქმების სამსახურში და მისი მეშვეობით ეძებს სამუშაოს. სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაციას და აღრიცხვას ახორციელებს დასაქმების სახელმწიფო სამსახური, რაც მიზნად ისახავს აღნიშნულ პირთა სოციალურ დაცვას.<sup>1</sup> სამუშაოს მაძიებლად ან უმუშევრად რეგისტრაცია უფასოა და იგი ხორციელდება დასაქმების სახელმწიფო სამსახურის რაიონული განყოფილებების მეშვეობით.

დასაქმების სახელმწიფო სამსახური სამუშაოს მაძიებლისა და დამსაქმებლისაგან მოწოდებული ინფორმაციისა და შრომის ბაზრის კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე აღრიცხავს უმუშევრებს და დადგენილი ფორმის მიხედვით ქმნის საინფორმაციო ბანკს, რომლის მონიტორინგი წარმოებს პერიოდულად.<sup>2</sup>

კონსტიტუციის 32-ე მუხლი იცავს მხოლოდ სამუშაოს მაძიებელთა იმ კატეგორიას, რომლებიც არიან უმუშევრები, ხოლო დასაქმებულებულ და თვითდასაქმებულ სამუშაოს მაძიებლებზე კონსტიტუციის 32-ე მუხლი არ ვრცელდება.

საქართველოს კანონმდებლობა იცნობს დასაქმების სპეციალურ, რეგიონულ, ადგილობრივ და ეროვნულ პროგრამებს, რომელთა მიზანია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, დასაქმებულთა რაოდენობისა და დასაქმების ეფექტიანობის გაზრდა.

ამ მიზნით სახელმწიფო ახორციელებს უმუშევრობის პრევენციულ ღონისძიე-

<sup>1</sup> დებულება „სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესისა და პირობების დადგენის შესახებ“, მუხლი 1.

<sup>2</sup> 2001 წლის 28 სექტემბრის საქართველოს კანონი „დასაქმების შესახებ“.

ბებს, რაც მოიცავს სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებს არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით.<sup>1</sup>

პრევენციული ღონისძიებების სახით სახელმწიფო ხელს უწყობს სამეწარმეო საქმიანობის დაწყების მიზნით რეგისტრირებული უმუშევრებისათვის სასწავლო კურსებისა და კონსალტინგური მომსახურების ორგანიზებას. რეგისტრირებული უმუშევრები, რომლებმაც გადაწყვიტეს სამეწარმეო საქმიანობის დაწყება, შეიძლება და სპეციალიზირებულ კონსალტინგ-ცენტრებში გაიგზავნება დასაქმების სახელმწიფო სამსახურის მიერ საქართველოს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული კვოტის ფარგლებში.

„უმუშევრის სოციალური დაცვის და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული სახსრებიდან სესხი ან სუბსიდია შეიძლება გაიცეს დასაქმების სახელმწიფო სამსახურში რეგისტრირებულ უმუშევრებზე, რომელთაც გადაწყვიტეს სამეწარმეო საქმიანობის დაწყება. ამავე პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების თაობაზე საზოგადოების ინფორმირება წარმოებს როგორც პროგრამის ფარგლებში ასევე დასაქმების სახელმწიფო სამსახურის მეშვეობით.

სოციალური დაცვის მიზნით რეგისტრირებულ უმუშევარზე წარმოებს უმუშევრის შემწეობის ვაცემა სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრებიდან.<sup>2</sup> უმუშევარს შემწეობა ენიშნება დასაქმების სახელმწიფო სამსახურის მიერ მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. პირს, რომელსაც დაენიშნება შემწეობა, ეძლევა უმუშევრის შემწეობის ბარათი.<sup>3</sup>

კონსტიტუციის 32-ე მუხლი უმუშევრის სტატუსთან ერთად ეხება საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პრობლემებს. საქართველოს კანონმდებლობით, საარსებო მინიმუმი განიმარტება, როგორც „ერთ სულ მოსახლეზე სამომხმარებლო საქონლის ღირებულებითი გამოხატულება, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შესაბამისად უზრუნველყოფს ადამიანის მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას“<sup>4</sup>. აქვე აღსანიშნავია, რომ საარსებო მინიმუმი არის სოციალური ორიენტირი, რომელიც გამოიყენება შემწეობის და სხვა სოციალური გასაცემლების მინიმალური ოდენობის განსაზღვრისათვის. უფრო მეტიც, სახელმწიფო, იმ შემთხვევაში თუ სამომხმარებლო ფასების ზრდის შედეგად გაუარესდა თანაფარდობა მინიმალურ შემოსავალსა და საარსებო მინიმუმს შორის, კისრულობს ვალდებულებას, ამ თანაფარდობის აღდგენასთან დაკავშირებით.

საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობას, ნორმებსა და ნორმატივებს ადგენს და აუცილებლობის შემთხვევაში გადასინჯავს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 17 მარტის №28 დადგენილების, „უმუშევრის

<sup>1</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №24/5 2002 წლის 25 იანვარი „უმუშევრობის პრევენციული ღონისძიებების წესის შესახებ“.

<sup>2</sup> 2001 წლის 28 სექტემბრის საქართველოს კანონი დასაქმების შესახებ“, მუხლი 21.

<sup>3</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №66/6 2005 წლის 4 მარტი „უმუშევრის შემწეობის დანიშვნისა და ვაცემის წესის შესახებ“.

<sup>4</sup> 1997 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონი „საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ“.

შემწეობის ოდენობისა და მისი გაცემის ვადის განსაზღვრის თაობაზე“ თანახმად“ „სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოში“ რეგისტრირებული უმუშევრის შემწეობა განისაზღვრება ყოველთვიურად 20 (ოცი) ლარის ოდენობით. თუმცა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №111/6 2003 წლის 8 მაისის ბრძანებით, „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“, განსაზღვრული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება 20 ლარით წარმოუდგენელია.

**მუხლი 33.**

*„გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით. კანონი ადგენს აგრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების საქმიანობის გარანტიებს“.*

**ბაზიციზის კონსტიტუციური უფლება**

კონსტიტუციის 33-ე მუხლი განამტკიცებს გაფიცვის უფლებას<sup>1</sup>. აღნიშნული უფლების შინაარსის გარკვევის თვალსაზრისით, აუცილებელია მისი კონსტიტუციის 25-ე მუხლის შინაარსისგან გამიჯვნა, რომელიც იცავს საჯარო შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას.

„შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების მიხედვით, შეკრება არის მოქალაქეთა ჯგუფის თავშეყრა ჭერქვეშ ან გარეთ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით; ხოლო მანიფესტაცია არის მოქალაქეთა დემონსტრაცია, მასობრივი საჯარო გამოსვლა, ქუჩაში მსვლელობა ღოზუნგების, ტრანსპარანტებისა და სხვა სახეითი საშუალებების გამოყენებით. შეკრებებისა და მანიფესტაციების აღნიშნულ საკანონმდებლო განმარტებას იზიარებს საკონსტიტუციო სასამართლოც თავის გადაწყვეტილებაში.<sup>2</sup>

რაც შეეხება გაფიცვის კონსტიტუციურ უფლებას, მის ზუსტ განმარტებას კანონმდებელი არ იძლევა, ასევე არ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს რამე სახის გადაწყვეტილება კონსტიტუციის 33-ე მუხლთან დაკავშირებით.

გაფიცვა, ისე როგორც შეკრება და მანიფესტაცია, შეიძლება იყოს მოქალაქეთა თავშეყრა პროტესტის ან სოლიდარობის გამოხატვის მიზნით. როგორც ჩანს, პროტესტი ან სოლიდარობა შეკრების, მანიფესტაციისა და გაფიცვის საერთო ნიშანია, მაგრამ იმდენად, რამდენადაც კონსტიტუციამ შეკრებებისა და მანიფესტაციის უფლება თავის დაცვის კლასიკურ უფლებათა ჯგუფში განამტკიცა და გაფიცვის უფლები-საგან გამიჯვნა, რომელიც სოციალურ უფლებებს განეკუთვნება, შესაბამისად, ამით მან მათი განსხვავებული ხასიათიც წარმოაჩინა. ეს განსხვავება თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნის, კერძოდ, პროტესტის ან სოლიდარობის შინაარსის თავისებურებებით უნდა განისაზღვროს.

შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს მოქალაქეთა პროტესტის ან სოლიდარობის შინაარსი შეიძლება პოლიტიკური ან აპოლიტიკური ხასიათით განისაზღვროს, ხოლო გაფიცვის შემთხვევაში – მხოლოდ სოციალური ხასიათით. ამასთან, გაფიცვის უფლება არსებითად უკავშირდება ცალკეული სამსახურის ფარგლებში დასაქმებული პირის შრომით უფლებებს, განსაკუთრებით მის მოთხოვნებს ადმინისტრაციასთან ან ხელისუფლებასთან დაკავშირებით. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, უფლება მოითხოვოს უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნა და სამუშაოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის მდგომარეობის მოშლისას მიყენებული ზიანის მთლიანი ანაზღაურე-

<sup>1</sup> 33 მუხლით გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით. კანონი ადგენს აგრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების საქმიანობის გარანტიებს. №2/2/180-183

ბა, ან უფლება მოითხოვოს სამართლიანი ანაზღაურება შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და სხვა.

მართალია, კონსტიტუციის 33-ე მუხლის მეორე წინადადება ადგენს, რომ გაფიცვის უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით, მაგრამ ქართული კანონმდებლობა არ აკონკრეტებს ამ კონსტიტუციურ მოთხოვნას. არც საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, არც რამე სხვა სპეციალური კანონმდებლობა არ განსაზღვრავს გაფიცვის უფლების განხორციელების წესს. არსებობს მხოლოდ გარკვეული სახელმწიფო სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები, სადაც გაკვრითაა ლაპარაკი გაფიცვის უფლებებზე. მაგალითად, „პოლიციის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, აკრძალულია პოლიციის თანამშრომლის გაფიცვა ან მასში მონაწილეობა.

„პოლიციის შესახებ“ კანონის აღნიშნული დებულება, რომელიც პოლიციას უკრძალავს გაფიცვის უფლებას, არაკონსტიტუციურია. მართალია, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურის ფარგლებში გაფიცვის უფლება განსაკუთრებულ შეზღუდვებს უნდა დაექვემდებაროს, მაგრამ მისი სრული აკრძალვა კონსტიტუციის 33-ე მუხლის საწინააღმდეგო იქნება. წინასწარი გაფრთხილებისა და განსაკუთრებული პირობების შემთხვევაში პოლიციელსაც უნდა ჰქონდეს უფლება გამოხატოს თავისი პროტესტი საჯაროდ მის სოციალურ მდგომარეობასთან, მაგალითად, სახელფასო უზრუნველყოფასთან ან მუშაობის სხვა პირობებთან დაკავშირებით.

ამდენად, გაფიცვის კონსტიტუციური უფლება ყველასათვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი, მაგრამ აუცილებელია დეტალურად განისაზღვროს მისი განხორციელების წესი, განსაკუთრებით სასიცოცხლო მნიშვნელოვანი სამსახურის ფარგლებში.

**მუხლი 34.**

„1. სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გაძლიერებას, ეროვნულ და ზოგადსააკოებრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.

2. საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობით დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით.“

**კულტურის განვითარების კონსტიტუციური  
გარანტიები**

**1. კულტურის განვითარების ხელშეწყობა და დაცვა**

საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის სიტყვები „სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას...“ აფიქსირებს ერთს მხრივ სახელმწიფოს კეთილ ნებას და მეორეს მხრივ მის ვალდებულებასაც კულტურის განვითარების საქმეში. ის ფაქტი, რომ საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლი მოთავსებულია სოციალური უფლებების ჯგუფში მეტყველებს სახელმწიფოს ერთგვარ აქტიურ როლზე კულტურის სფეროში. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ავალებს ხელისუფლებას, საკანონმდებლო რეგლამენტაციის გზით, შექმნას ქვეყანაში კულტურის განვითარების ხელშეწყობი პირობები. ყოველივე ეს გულისხმობს კულტურის სფეროში მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების დაცვასა და რეალიზაციას, ისეთი ნორმა-პრინციპების განსაზღვრას, რომლებიც ხელს შეუწყობენ კულტურულ ფასეულობათა და შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგების მაქსიმალურ გამოყენებას, ასევე კულტურის პოპულარიზაციას.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ სახელმძღვანელო ფუნქციონალური პრინციპების გამოყენებას, რომლებმაც უნდა განაპირობონ სამართლებრივი წესრიგი კულტურის სფეროში და დაარეგულირონ კულტურული და შემოქმედებითი მოღვაწე სუბიექტთა ძირითადი ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი ურთიერთობები.

ა) კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქის შეუზღუდავი მონაწილეობის პრინციპი. კულტურის განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავი მონაწილეობის ხელშეწყობა. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, კულტურული მოღვაწეობა საქართველოში ადამიანის ხელშეუვალ უფლებად ითვლება. კულტურულ ცხოვრებაში მოღვაწეობა, რაც კულტურული ფასეულობების დაცვას, შენარჩუნებას, კვლევას, გავრცელებასა და ათვისებას ნიშნავს, უნდა განხორციელდეს თითოეული მონაწილისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფით. „კულტურის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად: საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან კულტურულ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა.<sup>1</sup> კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანს აქვს ნებისმიერი სახის

<sup>1</sup> იხ. „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი.

შემოქმედებითი მოღვაწეობის, ანუ კულტურული ფასეულობების შექმნის, აღდგენისა და ინტერპრეტაციის უფლება, თავისი ინტერესებისა და უნარის შესაბამისად.

კულტურულ ცხოვრებაში პირის შემზღუდავი მონაწილეობის კონსტიტუციური პრინციპი კავშირშია კულტურული და შემოქმედებითი მოღვაწეობის ხელმისაწვდომობისა და საჯაროობის შეუზღუდველობის უზრუნველყოფასთან. მონაწილეთათვის მაღალი ხარისხის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ქმნის უმთავრეს საფუძველს ამ სფეროში ეფექტური მოღვაწეობისათვის.

სახელმწიფო, როგორც წესი განსაზღვრავს მონაწილეთა უფლებამოსილებებს და აღგენს მოქმედების თავისუფლების ფარგლებს, მათ შორის სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ურთიერთობებს, ამ ურთიერთობათა ძირითად პრინციპებსა და თავისებურებებს.

ბ) თავისუფალი კულტურული მოღვაწეობისა და შემოქმედებით პროცესში ჩაურევლობის პრინციპი.

კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანის ერთ-ერთ ფუძემდებლურ უფლებად შეიძლება ჩაითვალოს კულტურული თვითმყოფადობის დაცვის, გამოვლენისა და მხატვრულ-ესთეტიკური ორიენტაციის თავისუფლად არჩევის უფლება, რაც თავის მხრივ სახელმწიფოსაგან ყოველგვარი ზემოქმედებისა და ცენზურის შესაძლებლობას გამორიცხავს. სახელმწიფო აღგენს შემოქმედებითი მოღვაწეობის საკმაოდ ვრცელ საზღვრებს და თავს იკავებს ამ პროცესში ჩარევისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ამ უფლების რეალიზაციამ შელახა სხვათა უფლებები და კანონიერი ინტერესები. აღნიშნული პრინციპის აღიარება სახელმწიფოს მიერ წარმოშობს თავისუფალი კულტურული მოღვაწეობისა და შემოქმედებით პროცესში მისი ჩაურევლობის სამართლებრივი გარანტიების შექმნის ვალდებულებას.

გ) შემოქმედებითი მოღვაწეობის თავისუფლებისა და სრული დამოუკიდებლობის პრინციპი.

სახელმწიფო ქმნის წინაპირობას, რათა შემოქმედებითი მოღვაწეობის დამოუკიდებლობის ხარისხი მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი. მის მისაღწევად საკმარისი არაა საკანონმდებლო გზით მხოლოდ სახელმწიფოს ჩარევისაგან დაცვის უზრუნველყოფა. შემოქმედებითი მოღვაწეობის დამოუკიდებლობა მთლიანად სახელმწიფოს მხრიდან ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა კულტურის სფეროში მონაწილეობის წარმოშობისათვის არახელსაყრელი სამართლებრივი გარემოს შექმნა. შემოქმედებითი მოღვაწეობის დამოუკიდებლობის ხარისხს ასევე, განაპირობებს სახელმწიფოს ეკონომიკური რეგულირების ფორმა კულტურის სფეროში. სახელმწიფო აწარმოებს რა, მიზანდასახულ პოლიტიკას კულტურის სფეროში, განსაზღვრავს პრიორიტეტულ პროგრამებს, რომელთა შესრულება გარანტირებული უნდა იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სხვა ფონდებიდან სახსრების გამოყოფის მეშვეობით. აღნიშნული პროგრამები ემსახურება არამარტო სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების საქმიანობის განვითარებას, არამედ ხელს უწყობს ამ სფეროში კერძო და არასახელმწიფო ორგანიზაციების ფუნქციონირებას, რაც აისახება მაგალითად საგადასახადო შეღავათებით, გრანტებით, სუბსიდიებით და კანონით დაწესებული სხვაგვარი დახმარებებით.

კულტურის სფეროში შემოქმედებითი მოღვაწეობის თავისუფლების შეზღუდვის

შემთხვევაში პირს უნდა ჰქონდეს ეფექტური დაცვის გარანტია კონსტიტუციური კონტროლის სასამართლო ორგანოში მიმართვისა და დარღვეული უფლების აღდგენის სახით.

## 2. კულტურულ მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნების საკანონმდებლო რეგლამენტაცია

საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მეორე პუნქტი ავალდებულებს საქართველოს ყოველ მოქალაქეს იზრუნოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტებით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა არის კულტურის ის ნაწილი, რომელმაც საზოგადოების განვითარების პროცესში დაიმკვიდრა, შეინარჩუნა ან აღიდგინა ფასეულობის მნიშვნელობა და რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას.<sup>1</sup>

სახელმწიფო გამოდის ერის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მესაკუთრედ. იგი ერთის მხრივ აღიარებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მოქმედ სამართალსუბიექტთა თანასწორუფლებიანობას, მაგრამ კანონით ადგენს ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებს, რომელთა დადგომის შემთხვევაში საზოგადოებრივი ინტერესის პრიორიტეტი არის შენარჩუნებული. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა საკუთრების უფლებიდან წარმოშობილი ურთიერთობები. საკუთრების უფლების სამართლებრივი რეჟიმის საერთო წესისგან განსხვავებულ რეგულირებასთან გვაქვს საქმე, როდესაც საუბარია კულტურის უძრავი თუ მოძრავი ძეგლების შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, რომ „უძრავი ძეგლი მესაკუთრეს (მფლობელს) იძულებს წესით ჩამოერთმევა იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს უძრავი ძეგლის დაცვას, რის გამოც ძეგლს ემუქრება დაზიანების, განადგურების ან გატაცების საფრთხე.“<sup>2</sup> უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის ძეგლები, როგორც ისტორიული ფასეულობის შემადგენელი ნაწილი, წარმოადგენს არამარტო მისი მფლობელის საკუთრებას, არამედ ასევე განეკუთვნება კაცობრიობის საერთო საგანძურის განუყოფელ ნაწილს. სწორედ ასეთი ორმაგი დატვირთვა განაპირობებს მისი სამართლებრივი რეგულირების თავისებურებებს.

„კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი უძრავი ძეგლების მესაკუთრეს ავალდებულებს, დაიცვას მის საკუთრებაში არსებული უძრავი ძეგლი, გაიღოს ხარჯები მისი მოვლა-პატრონობისათვის, აცნობოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის განმახორციელებელ ორგანოებს უძრავი ძეგლის მდგომარეობის ცვლილების შესახებ, დაიცვას მის საკუთრებაში არსებული უძრავი ძეგლის დამცავი ზონის რეჟიმი, შესაბამისი ორგანოს წერილობითი თანხმობის გარეშე არ დაუშვას უძრავი ძეგლის, მისი ნაწილებისა თუ ფრაგმენტების გადაკეთება, გადაადგი-

<sup>1</sup> იხ. „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „თ“ პუნქტი.

<sup>2</sup> იხ. „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტი.



ლება და დაშლა, ხოლო უძრავი ძეგლის დაცვის ზონაში – მიწის სამუშაოების ჩატარება, მიცვალებულთა დაკრძალვა, მრავალწლიანი მცენარეების დარგვა და მოსპობა ან უძრავი ძეგლის ისეთი ექსპლუატაცია, რომელიც ზიანს მიაყენებს ან სახეს შეუცვლის მას.<sup>1</sup> აღნიშნული ვალდებულები შეადგენენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემის ნაწილს და ემსახურებიან მისი დაცვა-შენარჩუნების უზუნველყოფას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობების საქართველოდან მათი უკანონო გატანისა და უნებართვო არქეოლოგიური გათხრებისაგან დაცვა. ამავდროს სახელმწიფოს ამოცანაა ხელი შეუწყოს საქართველოსა და სხვა სახელმწიფოების ხალხთა კულტურული ურთიერთობების განმტკიცებასა და კულტურულ ფასეულობათა გაცნობას ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოსა და უცხო ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ საქართველოში დროებით შემოტანილ და საქართველოდან დროებით გატანილ კულტურულ ფასეულობათა დაცვა და მათ სახელმწიფოში დაბრუნება. („კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პრეამბულა.) საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებსა და კანონმდებლობის შესაბამისად კულტურული ფასეულობის მესაკუთრეს უფლება აქვს, თხოვნით მიმართოს საქართველოს შესაბამის ორგანოებს, მხარდაჭერა აღმოუჩინონ საქართველოდან უკანონოდ გატანილი ან უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკანონო მფლობელობაში მყოფი კულტურული ფასეულობის საქართველოში დასაბრუნებლად. როგორც უკვე აღინიშნა კულტურულ ფასეულობაზე კანონიერი მესაკუთრის უფლების აღდგენის გარანტი სახელმწიფოა.

იმისათვის, რომ ეფექტურად იქნეს დაცული კულტურული მემკვიდრეობა, საჭიროა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსტიტუციური სრულყოფა, იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ვალდებულებების განსაზღვრა კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად და შესანარჩუნებლად. ამ სფეროს განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებასა და ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებას, ასევე ქართული კულტურის აქტიურ ჩართვას ერთიანი მსოფლიოს კულტურულ პროცესებში.

<sup>1</sup> იხ. „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

**მუხლი 35.**

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.
2. სახელმწიფო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო წესებთან და სტანდარტებთან.
3. სკოლამდელ აღზრდას უზრუნველყოფს სახელმწიფო. დაწყებითი და საბაზო განათლება საკლდებულოა. მიქალაქებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლებლებში უფასოდ მიიღონ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება.
4. სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კანონით დადგენილი წესით.“

**ბანათოლების კონსტიტუციური უფლება**

განათლების უფლება საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლში პირის უფლების სახით ფორმულირებული სოციალური უფლებაა. ვიდრე უშუალოდ მის შინაარსს გადმოვეცემოდ, აუცილებელია ზოგადად პირის სოციალური უფლება განვასხვავოთ კლასიკური თავის დაცვის უფლებებისაგან. თავის დაცვის უფლებების (მაგალითად საკუთრების, თავისუფალი მიმოსვლის, სიტყვის, რწმენისა და ა.შ) ძირითადი მნიშვნელობა ისაა, რომ მოქალაქე დაიცვას სახელმწიფოს არაკანონიერი ჩარევისაგან. ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის უფლების კონსტიტუციურობის დადგენით განისაზღვრება. მეთოდოლოგიურად, საკონსტიტუციო სასამართლომ, უწინარესად, შეზღუდული უფლების დაცვის სფერო, შემდეგ კი ამ შეზღუდვის კონსტიტუციური გამართლების საფუძვლები უნდა განსაზღვროს.

რაც შეეხება პირის სოციალურ უფლებებს, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული უფლებები, თავდაცვის უფლებებისაგან განსხვავებით, მიმართულია არა სახელმწიფოს კონკრეტული აქტიური მოქმედების წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, სახელმწიფოს იმ უმოქმედობაზე, რომლის შესრულების ვალდებულებაც მას აკისრია. ამ შემთხვევაში მოქალაქე თავს არ იცავს სახელმწიფოს უკანონო ჩარევისაგან, ის სახელმწიფოსაგან გარკვეული მოქმედების შესრულებას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, სოციალურ უფლებებში სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვა მაშინ ხდება, როდესაც, მიუხედავად სახელმწიფოს ზოგადი ვალდებულებისა, რომ მან იმოქმედოს კონკრეტული უფლების სასარგებლოდ, ის მაინც უმოქმედოდ დარჩა (სარჩელის საფუძველი).<sup>1</sup>

სოციალურ უფლებებთან მიმართებაში საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური კონტროლი ძირითადად გამოიხატება იმაში, რომ მან უნდა განსაზღვროს შეიძლება თუ არა სახელმწიფოსაგან გარკვეული მოქმედების მოთხოვნა კონკრეტული სოციალური უფლების საფუძველზე. სახელმწიფოს უმოქმედობით სოციალური უფლებების შეზღუდვას მაშინ ექნება კონსტიტუციური გამართლება, თუ კონკრეტ-

<sup>1</sup> Piroth/Schlink, Grundrechte – Staatsrecht II, S.

ულ შემთხვევაში საჯარო ინტერესები ან მესამე პირის ინტერესები თანაზომიერადაა გათვალისწინებული.<sup>1</sup>

### 1. განათლება და თანასწორუფლებიანობა

განათლების კონსტიტუციური უფლება უშუალოდაა დაკავშირებული თანასწორუფლებიანობის კონსტიტუციურ პრინციპებთან. 35-ე მუხლის ფორმულირება იწყება სიტყვით „ყველა“ რაც თავისთავად სამართლებრივად მოიცავს ყველა ადამიანის თანასწორობას განათლების კონსტიტუციური უფლებით სარგებლობაში განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და, მათ შორის, მოქალაქეობისა.

განათლების კონსტიტუციური უფლება თითოეულს აძლევს განვითარების თანაბარ შანსს.<sup>2</sup> განათლების ყველასათვის თანასწორი უზრუნველყოფით სახელმწიფოს წინაშე დგას საზოგადოებაში სოციალური უთანასწორობის თავიდან აცილების მოვალეობა. სოციალური და დემოკრატიული სახელმწიფოს განსაკუთრებული ამოცანაა ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბება, რომლის წევრ მოქალაქეებს ექნებათ უნარი თავისუფლად მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების დემოკრატიული განვითარების პროცესებში, შექმნან ურთიერთგაგებისა და ტოლერანტობის საფუძველი.<sup>3</sup>

განათლების უფლების საფუძველზე ყველასათვის განვითარების თანაბარი შანსის მიცემა გულისხმობს აგრეთვე სახელმწიფოს მხრიდან განათლების მიღების უფლების უზრუნველსაყოფად სათანადო სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნას.

განათლების კონსტიტუციურ უფლებასთან დაკავშირებით, თანასწორობის პრინციპის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ნორმალური განვითარებისაგან გადახრილ პირთათვის სახელმწიფოს მხრიდან განვითარებისა და სოციალური ადაპტაციის პირობების შექმნა („განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მესამე პუნქტი).

თანასწორობა განათლების სფეროში ნიშნავს ასევე ყველასათვის საერთო და თანაბარი სასწავლო პროგრამებითა და შეფასების კრიტერიუმებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ადგენს ერთიან საგანმანათლებლო სტანდარტებს, კერძოდ, ადგენს სასწავლო დისციპლინათა ნუსხას, განსაზღვრავს საგნების ციკლთა შორის თანაფარდობას, სასწავლო დატვირთვის დასაშვებ მაქსიმუმს, სასწავლო პროგრამის შინაარსის სავალდებულო მინიმუმს, სწავლების დიფერენცირების ზღვრულ ნორმებს, სასწავლო-მატერიალური ბაზის და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატიულ მოთხოვნებს და სხვა („განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი).

### 2. საგანმანათლებლო ცენზი

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მესამე პუნქტი ზოგადად განსაზღვრავს საგანმანათლებლო ცენზის სახეებს: დაწყებითი და საბაზო განათლება, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ცენზი. „განათლების შესახებ“ საქართვე-

<sup>1</sup> Picoth/Schlink, Grundrechte – Staatsrecht II, S.

<sup>2</sup> Häußling, Soziale Grundrechte in der portugiesischen Verfassung von 1976, 1996, S. 228.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 229

ლოს კანონი აკონკრეტებს საქართველოში დადგენილ სახელმწიფო საგანმანათლებლო ცენტრების ნუსხას: დაწყებითი ზოგადი განათლება, საბაზო ზოგადი განათლება, საშუალო ზოგადი განათლება, სახელობო მომზადება, დაწყებითი პროფესიული განათლება, საშუალო პროფესიული განათლება და უმაღლესი განათლება. აღნიშნული კანონის იმავე თავში კანონმდებელი დეტალურად ადგენს თითოეული ზემოთ დასახელებული საგანმანათლებლო ცენტრის თავისებურებას. მე-11 მუხლის მიხედვით, ზოგადი განათლების მიზანია ოსწავლეთა მიერ ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, ზნეობრივ ღირებულებათა შემეცნება, აზროვნების განვითარება, ზოგადი მეცნიერული საფუძვლების ათვისება და სხვა. თავის მხრივ, ზოგადი განათლება დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების (მიხედვით ხორციელდება. ყველა საფეხურის გავლა და განათლების მიღება იძლევა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების უფლებას.

„განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი პროფესიული განათლების ცენტრს ეხება. აღნიშნული ცენტრის ფარგლებში იგი გამოყოფს სახელობო მომზადების, დაწყებით პროფესიულ, საშუალო პროფესიულ და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. სახელობო მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია პირისათვის განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ხელობის დაუფლება. სახელობო მომზადება შეიძლება მხოლოდ დაწყებითი ზოგადი განათლების მიღების შემთხვევაში. დაწყებითი პროფესიული განათლება პირს აძლევს კვალიფიციური შრომის უნარ-ჩვევების გამოუმუშავებას. აღნიშნული განათლების მიღების პირობაა საბაზო ზოგადი განათლება. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ამზადებს საშუალო რგოლის სპეციალისტებს. რაც შეეხება უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, მათი მიზანია შესაბამისი პროფესიის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება. უმაღლესი განათლების მიღება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს მიღებული აქვს საშუალო ზოგადი განათლება.

### 3. განათლების კონსტიტუციური უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები

განათლების კონსტიტუციური უფლების განხორციელებისათვის 35-ე მუხლი სახელმწიფოს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს. ეს განსაკუთრებით ეხება უფასო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღებას. „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მეშვიდე პუნქტის მიხედვით, დაწყებითი და საბაზო განათლების მიღებას თავის ხარჯზე უზრუნველყოფს სახელმწიფო. მოქალაქეებს უფლება აქვთ განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლებლებში უფასოდ მიიღონ ასევე პროფესიული და უმაღლესი განათლება.

სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფართო ქსელი, რომელიც ყველა მოსწავლისათვის თანაბარ პირობებს შექმნის ცოდნის რეალურად შეძენის თვალსაზრისით. ეს ეხება უფასო სწავლებასთან ერთად მოსწავლეების საკვებით და სხვა, სწავლისათვის აუცილებელი საშუალებებით მომარაგებას. სახელმწიფო უზრუნველყოფს აგრეთვე სკოლამდელ აღზრდას მის დაფინანსებასა და მატერიალური ბაზის შექმნაში მონაწილეობით სკოლამდელმა აღზრდამ უნდა მოამზადოს ბავშვი სკოლისათვის, საფუძველი ჩაუყაროს მისი აზროვნების, ემოციური სამყაროს

და ნებისყოფის ფორმულირებას, მის ფიზიკურ, გონებრივ და ესთეტიკურ აღზრდას... („განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი)

მათი ცოდნისა და უნარის შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თითოეულისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო ცენტრის მიღება, სამეცნიერო კვლევისა და კულტურული შემოქმედების განხორციელება.

სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და კოორდინაცია გაუწიოს მის განხორციელებას.

#### 4. განათლების კონსტიტუციური უფლება და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 29 დეკემბრის №2/35 გადაწყვეტილებაში სადავო გახდა „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა.

მოსარჩელის აზრით, საქართველოს კანონი „განათლების შესახებ“ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლსა და მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ, მას მიაჩნია, რომ „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მეთორმეტე პუნქტის თანახმად, სახელმწიფო დაკვეთით განსაზღვრული სასწავლო ადგილების დაკავება ხდება კონკურსით, რომლის პირობებსა და ჩატარების წესს ადგენს საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი პრინციპების საფუძველზე. ამავე კანონის 47-ე მუხლის მიხედვით, საშუალო განათლების მიღების ფარგლები განსაზღვრულია საბიუჯეტო დაფინანსებით უზრუნველყოფილი სახელმწიფო დაკვეთით, წესი კი – კონკურსით, რომლის პირობებსაც ადგენს განათლების სამინისტრო.

მოსარჩელე თვლის, რომ „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ორი მუხლიდან არცერთი არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მესამე პუნქტს, რომლის შესაბამისადაც, მოქალაქეებს სახელმწიფო სასწავლებლებში საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების უფასოდ მიღების უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში, რაც გამოირიცხავს ამ უფლებამოსილების სხვაზე, კერძოდ, საქართველოს განათლების სამინისტროზე დელეგირებას.

მოსარჩელეს ასევე მიაჩნია, რომ, როდესაც „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლით 2003 წლისათვის საშუალო განათლების სახელმწიფო ხარჯზე უზრუნველყოფა საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან შეთანხმებას დაუკავშირდა, ამან არსებითად შეზღუდა საქართველოს სუვერენიტეტი, დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის პირველი პუნქტისა და 48-ე მუხლის მოთხოვნა, რომელთა მიხედვითაც, საქართველო დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფოა, ხოლო საქართველოს პარლამენტი – ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. აქედან გამომდინარე, განათლების სფეროს პრიორიტეტების განსაზღვრა, რომელიც ქვეყნის საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს, თავად სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების განსჯისა და გადაწყვეტის ობიექტია.

საკონსტიტუციო სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მესამე პუნქტში მითითებული უფასო საშუალო განათლების მიღების კანონით დასადაგენი წესი განსაზღვრულია „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მეორე მუხტითა და 47-ე მუხლით. მისი აზრით, „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი განათლების სამინისტროს აძლევს მხოლოდ კანონის მიერ შერჩეული კონკურსის პირობების, მისი ჩატარების წესის და არა უფასო განათლების მიღების წესის დადგენის უფლებამოსილებას. სასამართლო იქვე დასძენს, რომ კონსტიტუციის 35-ე მუხლის მესამე პუნქტში სწორედ ისეთ პრინციპზეა საკმარისი, რომელიც არსებითად საკანონმდებლო აქტით განისაზღვრება. მის განხორციელებას განათლების სამინისტროს მიერ დასადაგენი კონკრეტული გარემოებები და პირობებიც კი ვერ შეცვლის, ანუ იგი ვერ დაადაგენს უფასო საშუალო განათლების მიღების წესს.

საკონსტიტუციო სასამართლო ასკენის, რომ განათლების შესახებ კანონის სადავო მუხლები არ დარღვეულა და, შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილებათა გადაშეცემა არ მომხდარა.

„განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლთან მიმართებაში, რომლის მიხედვითაც, უფასო საშუალო განათლების მიღებაზე ეტაპობრივი გადასვლის საკითხი ორ პირობასთან, კერძოდ, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებასთან და საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შემდეგი გადაწყვეტილება გამოიტანა:

განათლების სფეროს მოწესრიგების თვალსაზრისით, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინება გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს კანონმდებლობისათვის. სწორედ ეს არის ასახული საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მესამე პუნქტში, როგორც ამას მიიჩნევს საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის მიხედვითაც დაშვებულია უფასო საშუალო განათლების წესი და ფარგლები, ეი კონსტიტუცია გარკვეული პირობების არსებობისას არ გაპროცხავს ფასიან საშუალო განათლებას. ამდენად, ეს პირობა არაფრით არ ზღუდავს კანონმდებელს თავის კონსტიტუციურ ფარგლებში.

უფასო საშუალო განათლების მიღებაზე ეტაპობრივი გადასვლის საკითხის საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან შეთანხმების აუცილებლობას საკონსტიტუციო სასამართლო არ მიიჩნევს კონსტიტუციურად. ამის მიხედვით, სახელმწიფო ვერ გადავა ეტაპობრივად უფასო საშუალო განათლებას, თუ აღნიშნულ საკითხზე არ იქნა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების თანხმობა, ანუ თუ 2003 წლამდე „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონში სახელმწიფო მოისურვებდა სახელმწიფო დაკვეთის ფარგლების ისეთი პროცენტული მაჩვენებლებით განსაზღვრას, რომლებსაც საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები არ დაეთანხმებოდნენ, ბიუჯეტის შესახებ კანონში, სახელმწიფო ვერ ასახავდა თავის უშუალო ნებას.

აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლში არსებული ჩანაწერი: „საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან შეთანხმებით“, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მესამე პუნქტსა და, შესაბამისად, 48-ე მუხლით საქართველოს პარლამენტისათვის მინიჭებულ სუვერენულ საკანონმდებლო უფლებამოსილებას.

**მუხლი 36.**

- „1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.
2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.
3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.“

**1. შესავალი**

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლი მიზნად ისახავს ოჯახთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებას. იგი ადგენს:

- „1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.
2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.
3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.“

კონსტიტუციის 36-ე მუხლი ამომწურავად არ განსაზღვრავს ოჯახთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობას. იგი ყურადღებას ამახვილებს მის ისეთ სამ ასპექტზე, როგორცაა: ა) მეუღლეთა უფლებრივი თანასწორობა და ნებაყოფლობა; ბ) ოჯახის კეთილდღეობა; გ) დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვა. ამიტომ, მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილდეს ხსენებულ სამ ასპექტზე.

**2. მეუღლეთა უფლებრივი თანასწორობა და ნებაყოფლობა**

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის 1-ელი პუნქტი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ორ ელემენტზე: ა) მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობაზე და ბ) ქორწინების ნებაყოფლობაზე.

კონსტიტუციის 36-ე მუხლის 1-ელი პუნქტი არ ითვალისწინებს *in expresso*, რომ პირებს აქვთ ქორწინების უფლება. თუმცა, ვინაიდან 1-ელი პუნქტი ადგენს, რომ ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას, უდავოა, რომ პირებს აქვთ ქორწინების უფლება. კანონმდებლის განზრახვა ასეთი რომ არ ყოფილიყო, 1-ელი პუნქტი აქ არ იქნებოდა გათვალისწინებული.

კონსტიტუციაში არც პირდაპირი მითითებაა ოჯახის შექმნის უფლებაზე. ეს უფლება გამომდინარეობს მე-2 პუნქტიდან. ნათელია, რომ ორი უფლება (ქორწინების უფლება და ოჯახის შექმნის უფლება) მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. სიტყვა „ოჯახზე“ მითითების საფუძველზე შეიძლება იმის მტკიცება, რომ პირებს აქვთ არა მარტო ქორწინების, არამედ ოჯახის შექმნის უფლება.

მართალია, კონსტიტუციის 36-ე მუხლის 1-ელი პუნქტი ადგენს, რომ ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას, იგი არ მიუთითებს მეუღლეთა მოვალეობების თანასწორობაზე. კონსტიტუცია არც მეუღლეთა შორის კერძო სამართლებრივი ხასიათის უფლება-მოვალეობათა და თავიანთ შვილებთან ურთიერთობაში თანასწორობაზე მიუთითებს.

კონსტიტუციის დებულება ძალიან ზოგადია ქორწინების უფლებასთან დაკავშირებით. თუმცა, კანონმდებლობა ითვალისწინებს კონკრეტულ დებულებებს ქორ-

წინებისა და ოჯახის შექმნის უფლებასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (1997 წლის 26 ივნისი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნის თანახმად, რომელიც აწესრიგებს საოჯახო სამართლის საკითხებს, „ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოში“ (1106-ე მუხლი).<sup>1</sup>

სამოქალაქო კოდექსის მიიღვით ქორწინებისათვის აუცილებელია მხოლოდ: ა) საქორწინო ასაკის მიღწევა და ბ) დასაქორწინებელ პირთა თანხმობა (1107-ე მუხლი). კოდექსი ადგენს საქორწინო ასაკს, რომელიც განისაზღვრება 18 წლით (1108-ე მუხლი).<sup>2</sup>

სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ ქორწინება არის კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის. ამდენად, საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს, რომ მხოლოდ საწინააღმდეგო ბიოლოგიური სქესის პირებს შეუძლიათ დაქორწინება, რაც შეესაბამება ევროპული კონვენციის მე-12 მუხლის ამჟამინდელ განმარტებას.

მიუხედავად იმისა, რომ დასაქორწინებელ პირთა თანხმობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ქორწინებისათვის, ის არ უნდა იქნეს ისე გაგებული თითქოს კანონმდებლობით არ შეიძლება დაწესდეს შეზღუდვა მის მიმართ. საქმეზე – *ჰამერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hamer v. the United Kingdom)* – ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიამ განაცხადა, რომ:

„ასეთმა კანონმდებლობამ შეიძლება დაადგინოს ფორმალური წესები ისეთი საკითხების მიმართ, როგორცაა შეტყობინება, საჯაროობა და ქორწინების საზეიმო აღნიშვნასთან დაკავშირებული ფორმალობები. ... მან ასევე შეიძლება დაადგინოს არსებითი ნორმები, რომლებიც ემყარება საყოველთაოდ აღიარებული საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მოსაზრებებს. ამის მაგალითებია ნორმები ქორწინებასთან დაკავშირებული ქმედუნარიანობის, თანხმობის, ნათესავეებს შორის ქორწინების აკრძალვის ან ორცოლიანობის თავიდან აცილების იქსაზე. თუმცა ... ეროვნულ კანონმდებლობას არ შეუძლია სხვაგვარად შეზღუდოს პირობის ან პირთა კატეგორიებს სრული ქმედუნარიანობა ქორწინების უფლების მიმართ. მას არც ამ უფლების განხორციელებაში არსებითად ჩარევა შეუძლია.“<sup>3</sup>

სამოქალაქო კოდექსი ასევე ადგენს, რომ „ქორწინების რეგისტრაცია ხდება მოქალაქობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში დასაქორწინებელ პირთა მიერ არჩეული ადვოკატის მიხედვით.“ (1111-ე მუხლი).

როგორც აღინიშნა, საქართველოს კანონმდებლობით ქორწინების რეგისტრაცია ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაცია ორგანოში. მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება (1151-ე მუხლი). ამდენად, საქართველოს

<sup>1</sup> სამოქალაქო კოდექსის ტექსტი და მისი თარგმანი ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია IRIS-ის ინტერნეტ-გვერდზე: [www.iris.ge].

<sup>2</sup> თუმცა, 1108-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს, რომ გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია პირის ქორწინება 16 წლის ასაკიდან.

<sup>3</sup> თუმცა, 1108-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს, რომ გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია პირის ქორწინება 16 წლის ასაკიდან. 62-ე პუნქტი.



კანონმდებლობის მიხედვით, მამაკაცსა და ქალს შორის დაურეგისტრირებელი კავშირი ქორწინებად არ მიიჩნევა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ქორწინების სამოქალაქო რეგისტრაციამ შეიძლება წამოჭრას ეკლესიის მიერ შესრულებული ქორწინების სტატუსის საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-3 მუხლი ითვალისწინებს, რომ „სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

რაც შეეხება მეუღლეთა თანასწორობას, საქართველოს კანონმდებლობა აყალიბებს საკმაოდ დეტალურ წესებს ამ მიმართებით. სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ზოგად დებულებას მეუღლეთა თანასწორობის შესახებ. იგი ადგენს, რომ „საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები“ (1152-ე მუხლი).

კოდექსი პირდაპირ კრძალავს დისკრიმინაციას მეუღლეებს შორის. კოდექსის მიხედვით, „დაქორწინებისას და საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება უფლებათა პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიხედვით“ (1153-ე მუხლი).

მეუღლეთა თანასწორობის შესახებ ზოგადი დებულების გარდა, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს თანასწორობის კონკრეტულ გარანტიებს. სამოქალაქო კოდექსის 1159-ე მუხლის მიხედვით: „თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.“

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მეუღლეთა უფლებებისა და მოვალეობების თანასწორობას არა მარტო მათ შორის ურთიერთობაში, არამედ ასევე შვილების მიმართ. 1197-ე მუხლი ადგენს, რომ „შვილების მიმართ მშობლების თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ ...“ შვილების მიმართ მშობლების თანასწორობა შეიძლება პრობლემური გახდეს რამდენიმე მშობლის არსებობის შემთხვევაში. ასეთი მდგომარეობა შეიძლება წარმოიშვას მშობლების განქორწინებისა და ერთ-ერთი მშობლის მიერ სხვა პირზე ქორწინების შემთხვევაში, რომელთანაც შვილს შეიძლება მსგავსი ურთიერთობა ჩამოუყალიბდეს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მდგომარეობა პირდაპირ არ არის მოწესრიგებული კოდექსით, იგი ითვალისწინებს პრინციპს „შვილის ინტერესების სასიკეთოდ“, რომელიც ადეკვატურად უპასუხებს პრობლემას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პრაქტიკაში.<sup>1</sup>

<sup>1</sup> 1198-ე მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით: „მშობლები უფლებამოსილი და მოვალენი არიან აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით.“ ამავე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს: „მშობლების უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შვილების ინტერესების საწინააღმდეგოდ.“

ამდენად, სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ ადგენს, რომ საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობანი.<sup>1</sup>

მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით თავიანთ შვილებთან ურთიერთობაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს ასეთ სტანდარტს იმ დებულების მიხედვით, რომელიც უზრუნველყოფს შვილების მიმართ მშობლების თანასწორ უფლებებსა და მოვალეობებს.

საქართველოს კანონმდებლობა ასევე უზრუნველყოფს მეუღლეთა თანასწორობას განქორწინების შემთხვევაში. სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ „შვილების მიმართ მშობლებს აქვთ თანაბარი უფლებები და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები იმ შემთხვევაშიც, როცა ისინი განქორწინებული არიან.“

### 3. დედამთა და ბავშვმთა უფლებების დაცვა

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს, რომ „დედამთა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.“

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის ეს დებულება არ ადგენს რაიმე კონკრეტულ უფლებას და იგი მხოლოდ ბლანკეტური ხასიათისაა, მას ორგანო მნიშვნელობა აქვს. პირველი, ეს დებულება გამოყოფს ადამიანთა ორ ისეთ კატეგორიას – დედებსა და ბავშვებს, რომელიც განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს. მეორე, ეს დებულება ავალდებულებს კანონმდებელს მიიღოს კანონი (კანონები), რომელიც უზრუნველყოფს დედამთა და ბავშვთა უფლებების დაცვას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სხვადასხვა ნორმატიული აქტი აწესრიგებს დედამთა და ბავშვთა დაცვის საკითხებს, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს საქართველოს შრომის კანონთა მოქმედი კოდექსი. კოდექსის სპეციალური თავი ეძღვნება როგორც ქალის, ისე ახალგაზრდობის შრომას.

კოდექსის მე-12 თავით ვითვალისწინებული შეღავათების უმრავლესობა ეხება დედებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოდექსის ის დებულებები, რომლებიც ეხება: ა) სამუშაოს, სადაც ქალის შრომის გამოყენება აკრძალულია (156-ე მუხლი); ბ) ქალის შრომის შეზღუდვას ღამის და ზეგანაკვეთურ სამუშაოზე (157-ე მუხლი); გ) შვებულებას ბავშვის მოვლის გამო (159-ე მუხლი); დ) დამატებით უხელფასო შვებულებას დედებისათვის, რომლებსაც ჰყავთ სამ წლამდე ასაკის ბავშვები (161-ე მუხლი); ე) შესვენებას ბავშვის კვებისათვის (163-ე მუხლი); ვ) იმ ქალების სამუშაოზე მიღების გარანტიას და სამუშაოდან დათხოვნის აკრძალვას, რომელთაც ბავშვები ჰყავთ (164-ე მუხლი).

შრომის კანონთა კოდექსი ასევე აწესრიგებს ახალგაზრდობის შრომის საკითხებს. კოდექსის მე-13 თავი ადგენს ბავშვების შრომით უფლებებსა და განსაზღვრავს მათ შეღავათებს. კოდექსის მიხედვით, „არასრულწლოვანი (პირნი, რომლებსაც არ მიუღწევიათ თვრამეტი წლის ასაკამდე) შრომით ურთიერთობებში უფლებებივად გათანაბრებულნი არიან სრულწლოვნებთან, ხოლო შრომის დაცვის, სამუშაო დროის, შვებულებებისა და შრომის ზოგიერთი სხვა პირობების მხრივ სარგებლობენ იმ

<sup>1</sup> იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, მეხუთე წიგნი, 2002, გვ. 25, გვ. 100-101.

შეღვათებით, რომლებიც დადგენილია შრომის კოდექსით და შრომის კანონმდებლობის სხვა აქტებით“ (168-ე მუხლი).

კოდექსი ასევე ადგენს, რომ დაუშვებელია თექვსმეტ წელზე ნაკლები ასაკის პირთა მიღება სამუშაოზე (167-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), თუმცა, გამონაკლის შემთხვევაში, შეიძლება სამუშაოზე მიღებულ იქნენ პირნი, რომლებსაც თხუთმეტი წელი შეუსრულებათ (მე-2 ნაწილი).

შრომის კოდექსი ასევე ითვალისწინებს მთელ რიგ შეღვათებსა და გარანტიებს ბავშვთა შრომის უფლებებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოდექსის ის დებულებები, რომლებიც ეხება: ა) სამუშაოებს, რომლებზედაც აკრძალულია თერამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა პირთა შრომის გამოყენება (169-ე მუხლი); ბ) ღამისა და ზეგანაკეთურ სამუშაოზე თერამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების დასაქმების აკრძალვას (171-ე მუხლი); გ) თერამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების შევებულებებს (172-ე მუხლი); დ) თერამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების დათხოვნის შეზღუდვას (177-ე მუხლი).

ღედათა და ბავშვთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ (1997 წლის 10 დეკემბერი), რომელშიც სპეციალური თავი ეძღვნება უსაფრთხო დედობასა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას.

ასევე მიღებულია მთელი რიგი ისეთი კანონებისა, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვთა უფლებების დაცვას, როგორცაა მაგალითად, საქართველოს კანონი „ბავშვთა ბუნებრივი კვების დაცვისა და ხელშეწყობის, ხელოვნული საკვების მოხმარების შესახებ“ (1999 წლის 9 სექტემბერი), რომლის მიზანია ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა უსაფრთხო და ადეკვატური საკვებით უზრუნველყოფის გზით; კანონი „ობოლ და მშობელთა მზრუნველობასმოკლებულ ბავშვთა შეილობილად აყვანის შესახებ“ (1999 წლის 22 ივნისი), რომლიც მიზანია შეილობილად აყვანის სისტემის ამოქმედებით უზრუნველყოს ბავშვების ოჯახურ გარემოში აღზრდის უპირატესი უფლება და შეამციროს სოციალური ობლობის მასშტაბები, ხელი შეუწყოს ბავშვის პიროვნების ფორმირებას, სოციალიზაციასა და ადაპტაციას საზოგადოებაში; კანონი „ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“ (1999 წლის 22 ივნისი), რომლის მიზანია განსაზღვროს ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის არსი, ფორმები და ზოგადი პრინციპები.

საქართველო გახდა მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებების მონაწილე ბავშვთა უფლებების სფეროში და, შესაბამისად, იკისრა საერთაშორისო ვალდებულებები – უზრუნველყოს ბავშვთა უფლებების დაცვა. ასეთ საერთაშორისო ხელშეკრულებებს განეკუთვნება: კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, საერთაშორისო კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივი აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ, ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის „შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა მონაწილეობის თაობაზე“ დამატებითი ოქმი.

**მუხლი 37.**

„1. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს **ჯანმრთელობის დაზღვევით**, როგორც ხელმისაწვდომი **სამედიცინო დახმარების** საშუალებით, **კანონით დადგენილი წესით** განსაზღვრულ პირობებში **უზრუნველყოფილია** უფასო **სამედიცინო დახმარება**.

2. **სახელმწიფო აკონტროლებს** **ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას**, **სამკურნალო საშუალებათა წარმოებას** და ამ საშუალებებით **ვაჭრობას**.

3. **ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს** **ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში**, **სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი**. **ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს**.

4. **ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად**, **საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად**, **ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით** **სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას**.

5. **ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია** **მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ**.“

**ჯანმრთელობის დაცვის კონსტიტუციური უზღვევა**

საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ სოციალურ უფლებათა ნუსხაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **ჯანმრთელობის დაცვის უფლებას**, რომელიც კონსტიტუციის 37-ე მუხლშია ჩამოყალიბებული. როგორც სხვა სოციალურ უფლებებთან მიმართებაში, ისე აქაც, **ჯერ კონსტიტუციის 37-ე მუხლის შინაარსს გადმოცემთ** და შემდეგ მის საკანონმდებლო კონკრეტიზაციას წარმოვაჩინთ.

კონსტიტუციის 37-ე მუხლი ერთ-ერთი ფართო მოცულობისა და შინაარსის მქონე მუხლია. იგი ხუთი პუნქტისაგან შედგება. თითოეული მათგანის დახასიათებამდე აუცილებელია ყურადღების გამახვილება ზოგადად **ჯანმრთელობის დაცვის კონსტიტუციურ უფლებაზე**.

**1. ჯანმრთელობის ცნება**

ვიდრე უშუალოდ **ჯანმრთელობის კონსტიტუციური უფლების შინაარსს** გავაანალიზებდეთ, საჭიროა იმის გარკვევა, თუ რას გულისხმობს **კონსტიტუცია ჯანმრთელობაში**. ეს მხოლოდ სამედიცინო კატეგორიაა, თუ უფრო ფართო მოცულობის ცნება? **ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტების** მიხედვით, **ჯანმრთელობა ზოგადად არის ადამიანის როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად და სოციალურად კარგად ყოფნა**. როგორც ჩანს, ეს დეფინიცია შორს ღვას **ჯანმრთელობის წმინდა სამედიცინო გაგებისაგან**. ამის მიხედვით, **ადამიანის კარგად ყოფნა შეიძლება შეილახოს არა მარტო ფიზიკური თვალსაზრისით, არამედ სულიერი პრობლემებითაც**, მათ შორის **მაგნე გარემო პირობების ზემოქმედებითაც**.<sup>1</sup> **ჯანმრთელობის აღნიშნული ფართო ცნება უდევს საფუძვლად კონსტიტუციის 37-ე მუხლს**.

<sup>1</sup> Jaeger, in: Böckenförde, Soziale Grundrechte, S. 101

## 2. ჯანმრთელობის დაცვის უფლება როგორც თავის დაცვის სოციალური უფლება

ჯანმრთელობის დაცვის კონსტიტუციური უფლება ერთი მხრივ, გარანტირებულია როგორც ადამიანის თავის დაცვის უფლება. ამ თვალსაზრისით, იგი მჭიდროდ უკავშირდება კონსტიტუციის მე-15 მუხლს, რომლის მიხედვითაც სიცოცხლე ადამიანის ხელშეუხებელი უფლებაა. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ყველა პირობა იმისათვის, რათა თითოეული ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას არავითარი საფრთხე არ შეექმნას. დღეს, აღნიშნული უფლებები არა მარტო კონკრეტული საფრთხის თავიდან აცილების საშუალებაა, არამედ, ამასთანავე, უზილავი, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე პოტენციურად მავნე ზემოქმედების საშუალებებისაგან (როგორცაა ნარკოტიკი, ალკოჰოლი, ნიკოტინი, საკვებ პროდუქტებში ქიმიური ნივთიერებები და სხვა<sup>1</sup>) დაცვის საფუძველიც.

მეორე მხრივ, ჯანმრთელობის დაცვის უფლებას სოციალური უფლების მნიშვნელობა გააჩნია. ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალური უზრუნველყოფა სახელმწიფოს აქტიურობაზე, კერძოდ, მის მიერ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებაზეა დამოკიდებული. აღნიშნულ ვალდებულებათა ძირითად ამოცანას უნდა წარმოადგენდეს თითოეული ადამიანის ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა და მისი განმტკიცება, საჭიროების შემთხვევაში მათთვის სამედიცინო დახმარების გაწევა. ქვემოთ სწორედ ჯანმრთელობის დაცვის კონსტიტუციური უფლების, როგორც სოციალური უფლების, საკანონმდებლო რეგლამენტაციას წარმოვადგენთ.

### 3. ჯანმრთელობის დაზღვევა

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის დაზღვევისა და სამედიცინო დახმარების საყოველთაო უფლება. უფასო სამედიცინო დახმარების პირობებს, კანონი აღნიშნული პუნქტის მეორე წინადადებით განსაზღვრავს:

„სამედიცინო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა გარანტირებული აქვთ არა მარტო საქართველოს მოქალაქეებს, არამედ საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებსაც. ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის სისტემაში, თუ სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული, მაშინ როდესაც ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევის უფლება საქართველოში მცხოვრები ყველა პირის უფლებაა.

კონსტიტუციით განმტკიცებული სამედიცინო დახმარების საყოველთაო უფლების მქონე სუბიექტთა წრეს განსაზღვრავს „პაციენტის უფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის შესაბამისადაც, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს აქვს სამედიცინო მომსახურების უფლება.<sup>2</sup> ამავე კანონით დაუშვებელია პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენეტიკური მემკვიდრეობის, რწმენისა და

<sup>1</sup> Suhr, in: Böckenförde, Soziale Grundrechte, S. 114

<sup>2</sup> „პაციენტის უფლების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლი.

აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო.

საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სხვა სახელმწიფოში იმყოფება, აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებიც საქართველოში არიან, ჯანმრთელობის დაცვის უფლება გარანტირებული აქვთ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად, ხოლო მათი არარსებობისას მოქმედებს იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც პირი იმყოფება.<sup>1</sup>

„სამედიცინო დაზღვევის შესახებ“ – საქართველოს კანონით სამედიცინო დაზღვევა არის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სოციალური გარანტია, რომლის მიზანია სადაზღვევო შესატანებისა და აკუმულირებული ფულადი სახსრების მეშვეობით სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ხელშეკრულების საფუძველზე პირისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯის ანაზღაურება.

არსებობს სამედიცინო დაზღვევის ორი სახე: სავალდებულო და ნებაყოფილობითი. „სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს სავალდებულო სოციალური დაზღვევის სახეებს, რომელთა შორისაცაა ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევა.<sup>2</sup> ჯანმრთელობის დაცვის სადაზღვევო შემთხვევა, ამავე კანონის თანახმად, გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან სამართლებრივ-ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა სისტემის შექმნას, რომელიც დაზღვეულს უზრუნველყოფს სადაზღვეო გასაცემლებით, ანუ ჯანმრთელობის დაცვის ხარჯის ანაზღაურებით, რაც სამედიცინო მომსახურების საბაზისო პაკეტის შესაბამისად ხორციელდება. ამასთან, კანონის შესაბამისად, მზღვეველი არის საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, რომლის ვალდებულებებზეც, დაზღვეულთა მიმართ სახელმწიფო იღებს სუბსიდიურ პასუხისმგებლობას. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო პასუხისმგებელია სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მოცულობასა და ხარისხზე.

სახელმწიფოს მიერ სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევას ექვემდებარება ყველა სამხედრო მომსახურე. დაზღვეული სამხედრო მოსამსახურის დაჯრის შემთხვევაში გაიცემა ერთჯერადი სადაზღვევო თანხა.<sup>3</sup>

სახელმწიფო ხელს უწყობს უსაფრთხო დედობას. ორსული ქალების სამედიცინო მეთვალყურეობას, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ სამედიცინო დახმარებას სახელმწიფო უზრუნველყოფს სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის გზით.<sup>4</sup>

„სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დონორი ექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან სავალდებულო სამედიცინო დაზღვევას თავისი ფუნქციის შესრულების შედეგად ინფექციური სნეულებებით დაა-

<sup>1</sup> „პაციენტის უფლების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლი.  
<sup>2</sup> „სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის “ზ” პუნქტი.  
<sup>3</sup> „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლი.  
<sup>4</sup> საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“.

ვადების ან მისი ჯანმრთელობის შელახვის თავიდან აცილების მიზნით დაზღვევა ამ დროს ხდება სისხლის გადასხმის სამსახურის ბიუჯეტის ხარჯზე.

საქართველოში „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, ზორციელდება ეკოლოგიური დაზღვევა, მათ შორის ეკოლოგიურად განსაკუთრებით საშიში საქმიანობის ობიექტების სავალდებულო ეკოლოგიური დაზღვევა. ეკოლოგიური დაზღვევით შემოსული თანხა გამოიყენება ეკოლოგიური ავარიის, აგრეთვე კატასტროფის შედეგების აღმოფხვრისა და მათი პროფილაქტიკისათვის.

#### 4. უფასო სამედიცინო დახმარება

საქართველოს კანონმდებლობით, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო დაფინანსების ძირითადი ფორმაა პროგრამული და მიზნობრივ-პროგრამული დაფინანსება. ამასთან, სამედიცინო მომსახურების თანაბრად ხელმისაწვდომობა ზორციელდება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების საშუალებით. სამედიცინო საქმიანობის სამართალსუბიექტს, რომელიც დადგენილი წესით მონაწილეობს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში, შესრულებული სამუშაო აუნაზღაურდება სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული ტარიფებისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

მოქმედი კანონმდებლობით, ექიმი მოვალეა პაციენტს აღმოუჩინოს დახმარება და უზრუნველყოს მისი უწყვეტობა, თუ გამოხატულია სიცოცხლისათვის საშიში, მათ შორის თვითმკვლელობის ცდით განპირობებული მდგომარეობა ან პაციენტი საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას (სამედიცინო დახმარება, რომლის გარეშეც გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესება) ექიმის სამუშაო ადგილზე, სხვა შემთხვევაში აუცილებელია ოფიციალურად გაფორმებული ან სიტყვიერი შეთანხმება.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა ექიმის არასამუშაო ადგილზე ევალება არა მარტო ექიმს, არამედ ნებისმიერ მოქალაქეს და ამ დროს დაუშვებელია რამე საზღაურის მოთხოვნა.

სახელმწიფო ადგენს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას მედიცინის მუშაკისათვის, თუ იგი არ აღმოუჩენს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფს.<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო უფასო სამედიცინო დახმარებას სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების მეშვეობით ახორციელებს. მაგალითად, თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით,<sup>2</sup> თბილისში მოსახლეობის უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროგრამული უზრუნველყოფა ქალაქის ბიუჯეტიდან განხორციელდა.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო მიზნობრივად აფინანსებს ჩიყვისა და სხვა ენდოკრინული დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობის პროგრამებს.

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლი.

<sup>2</sup> გადაწყვეტილება „ქ. თბილისის მოსახლეობის უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ“.

სამხედრო მოსამსახურე სამხედრო-სამედიცინო ქვედანაყოფში, სამხედრო ნაწილებსა და სამხედრო-სამედიცინო დაწესებულებებში სარგებლობს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე მკურნალობის უფლებით.

საქართველოს კანონმდებლობა იცავს ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის სამართლებრივ და ეკონომიკურ საფუძვლებს. აღნიშნული პირების ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძიებათა დაფინანსება ხდება ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.

სოციალურ დაცვაში კანონმდებელი გულისხმობს:

- ა) სავალდებულო სამედიცინო დაზღვევას
- ბ) სამედიცინო დაწესებულებების მიერ რეკომენდებული საკურორტო მკურნალობის ყოველწლიურად უზრუნველყოფას სამედიცინო-სოციალური პროგრამების ასიგნებათა ფარგლებში.<sup>1</sup>

საქართველოს კანონმდებლობა იცნობს სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის განვითარების სახელმწიფო პროგრამას, რომლის განხორციელებაზეც პასუხისმგებელი არიან მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.

სახელმწიფო ასევე უზრუნველყოფს სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის განვითარების ორგანიზაციას, დონორობის პროპაგანდის ღონისძიებების, კადრის დონორთა საკომპენსაციო თანხის, სისხლის გაღების დღეს დონორის კვების ღირებულების, სისხლითა და მისი პრეპარატებით სამკურნალო დაწესებულებების მომარაგების ღონისძიებების დაფინანსებას. დაფინანსება ხორციელდება საქართველოს და საზღვარგარეთის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების საქველმოქმედო შენატანების ხარჯზეც.<sup>2</sup>

სახელმწიფო უზრუნველყოფს ფსიქიკურად დაავადებულთა სამედიცინო და სოციალურ დახმარებას, იცავს მათ უფლებებსა და ინტერესებს.<sup>3</sup>

ფსიქიატრიული დახმარება შეიძლება განხორციელდეს ნებაყოფლობით და იძულებით. ნებაყოფლობითი დახმარების დროს სტაციონარში პაციენტი თავსდება მისი თხოვნით ან თანხმობით, 16 წლის ასაკამდე კი, მშობლების ან მეურვის თანხმობით. ამასთან, თუ ნებაყოფლობითი სტაციონირებული პაციენტი უარს აცხადებს მკურნალობის გაგრძელებაზე, მაგრამ მისი ფსიქიკური დაავადება გამწვავდა იმდენად, რომ საჭიროებს გადაუდებელ მკურნალობას, პაციენტის მკურნალობა შეიძლება გაგრძელდეს მისი სურვილის გარეშეც, სამედიცინო კომისიის დასკვნის შესაბამისად. გადაუდებელი შემთხვევის კრიტერიუმებად კანონმდებელს მიაჩნია ვითარება, როდესაც პაციენტი საფრთხეს უქმნის სხვის ან თავის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და როდესაც შეიძლება მისმა მოქმედებებმა გამოიწვიოს მძიმე მატერიალური ზარალი. ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების დადგომისას სახელმწიფო უზრუნველყოფს პაციენტის იძულებით მკურნალობას.

<sup>1</sup> საქართველოს კანონი „ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის შესახებ“.

<sup>2</sup> საქართველოს კანონი „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“.

<sup>3</sup> საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“.



სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებას, პაციენტის ფსიქი-ატრიული მკურნალობის სახით, ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XVIII თავი, რომელშიც განსაზღვრულია სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების დანიშვნის საფუძვლები და სახეები, რითაც სახელმწიფო გამოხატავს თავის პოლიტიკას აღნიშნულ სფეროში.

საქართველოში მოქმედებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეაბილიტაციის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სოციალურ-ეკონომიკური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სხვა ღონისძიებების კომპლექსი, რათა პირს აღუდგეს ორგანიზმის დარღვეული ფუნქციები. აქვე უნდა ითქვას, რომ რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა და ამ პირს ან მის წარმომადგენელს შეუძლიათ უარი თქვან პროგრამაზე ან მის ნაწილზე, მაგრამ თანხმობის შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან მისი წარმომადგენელი იღებს ვალდებულებას მონაწილეობა მიიღოს პროგრამის განხორციელებაში.

ზემოაღნიშნული პროგრამის დაფინანსება ხდება სახელმწიფო და საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან; სხვა წყაროებიდან, რომლებიც აკრძალული არაა საქართველოს კანონმდებლობით; სურვილის შემთხვევაში, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან მისი წარმომადგენლის მიერ.

საქართველოში მოქმედებს შიდსთან ბრძოლისა და პროფილაქტიკის ეროვნული პროგრამა. ამ დაავადების გავრცელების საწინაარმდეგო ღონისძიებებს ხელმძღვანელობს კანონით შექმნილი შიდსის სამთავრობო კომისია, ხოლო ახორციელებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.<sup>1</sup> აღნიშნული პროგრამის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, აგრეთვე საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციების, კომერციული სტრუქტურებისა და ცალკეული პირების მიერ შემოწირული თანხების ხარჯზე, თუმცა მოქალაქის სურვილისამებრ აივ ინფექცია/შიდსზე სამედიცინო გამოკვლევა ფასიანია. მოქმედი კანონმდებლობით აივ ინფექცია/შიდსით დაავადების შემთხვევაში სამედიცინო დახმარებისა და სოციალური დაცვის უფლება უზრუნველყოფილი აქვთ არა მარტო ქვეყნის მოქალაქეებს, არამედ უცხოელებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს. სახელმწიფო უზრუნველყოფს აივ ინფიცირებული/შიდსით დაავადებული პირების უფასო დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და დისპანსერულ მეთვალყურეობას მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო სამედიცინო პროგრამის ფარგლებში.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და დაწესებულებები, მედიცინის ყველა მუშაკი ვალდებულია აივ ინფიცირებულს გაუწიონ სამედიცინო დახმარება; კანონით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას ზუსტად უნდა დაიცვან აივ ინფექცია/შიდსის გავრცელების საწინააღმდეგო მოთხოვნები და უზრუნველყონ როგორც პაციენტთა, ისე სამედიცინო პერსონალის უსაფრთხოება, წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობით.<sup>2</sup>

სახელმწიფო შიდსით სხვათა ინფიცირებას აცხადებს სისხლის სამართლებრივი

<sup>1</sup> საქართველოს კანონი „ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექციის (შიდსის) პროფილაქტიკის შესახებ“.

<sup>2</sup> „ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექციის (შიდსის) პროფილაქტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესამე პუნქტი.

წესით დასჯად მოქმედებად და პროფესიული მოვალეობის შესრულებისას სხვისთვის შიშის შეყრისათვის ითვალისწინებს სანქციას თანამდებობის დაკავებისა ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით.<sup>1</sup>

სახელმწიფო წარმართავს და აფინანსებს სხვადასხვა დაავადების მკურნალობისათვის საჭირო ღონისძიებებს. მაგალითად, სახელმწიფო თავის თავზე იღებს ტუბერკულოზთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელებას. ასევე ნაქისრი ვალდებულებების ფარგლებში, იმ დაავადებების მქონე პირებს, რომლებიც საჭიროებენ მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალ ობს (შაქრიანი და უშაქრო დიაბეტი და სხვა), უზრუნველყოფს სასიცოცხლოდ აუცილებელი მედიკამენტებით, დაავადებასთან დაკავშირებული გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური რეაბილიტაციით.

სახელმწიფო სამედიცინო დახმარებას უწევს ობოლ და მშობლების ზრუნვას მოკლებულ, ფიზიკური და ფსიქიკური დეფექტების მქონე ბავშვებს, მათთვის განკუთვნილ დაწესებულებებში, უზრუნველყოფს დასაქორწინებელ, აგრეთვე, შვილის ყოლის მსურველ წყვილთა უფასო ნებაყოფლობით სამედიცინო-გენეტიკურ კონსულტაციას.<sup>2</sup>

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მყოფ პირთათვის ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების საშუალებით ხორციელდება.

კანონმდებელი სახელმწიფოს აკისრებს პასუხისმგებლობას მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვისათვის სტიქიური უბედურებისა და ტექნოგენური კატასტროფების დროს. ჯანმრთელობის დაცვის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, სამედიცინო, დაწესებულებები და შესაბამისი პროფესიული გაერთიანებები მონაწილეობენ მოსალოდნელი კატასტროფების სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში.

გარდა ამისა, საგანგებო მდგომარეობის, ეპიდემიური აფეთქების, ეპიდემიის შედეგად დაზიანებულთა და დაავადებულთა სამედიცინო დახმარების ზარჯებს ასევე სახელმწიფო გაიღებს.

სახელმწიფო მიზნად ისახავს ნარკომანიით დაავადებულთა ჯანმრთელობის დაცვას და, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან აფინანსებს ნებაყოფლობითი მკურნალობის სრულ კურსს. მოქმედი კანონმდებლობა იცნობს ნარკომანიით დაავადებულთა სავალდებულო მკურნალობასაც თავისუფლების დროებითი შეზღუდვის, პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. სახელმწიფო აფინანსებს ნარკომანიით დაავადებულთა გამოკვლევასა და ექსპერტიზას, დიაგნოსტიკას, დისანსიერისა, მკურნალობასა და სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარებას „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

ნარკომანიით დაავადებულს ნარკოლოგიური დახმარება გაეწევა შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, გაცხადებულად ან ანონიმურად, ნებაყოფლობითი ან სავალდებულო წესით.

ზემოთ განხილული და სხვა ყველა სამედიცინო და სოციალური დახმარების

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე მუხლი.

<sup>2</sup> საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 135-ე და 137-ე მუხლები.

სახელმწიფო პროგრამა ყოველწლიურად აისახება „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში და მუნიციპალურ ბიუჯეტში.<sup>1</sup>

## 5. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა კონტროლი

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ჯანმრთელობის დაცვაში ყველა დაწესებულების, სამკურნალო საშუალებათა წარმოებისა და ამ საშუალებებით ვაჭრობის კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო.

კანონით სამედიცინო დაწესებულება განიშარტება, როგორც სამედიცინო საქმიანობის განმახორციელებელი, სამედიცინო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ლიცენზიის) მქონე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი.<sup>2</sup> ამავე კანონით სამედიცინო დაწესებულებას ეკრძალება სამედიცინო საქმიანობა სათანადო ლიცენზიის გარეშე. ყველა სამედიცინო დაწესებულების სამედიცინო საქმიანობის ხარისხს აკონტროლებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

გარდა სამედიცინო დაწესებულებებზე ზედამხედველობისა, სახელმწიფო ახორციელებს სამედიცინო დაწესებულებების პერსონალის კონტროლს სერტიფიკატის მიწოდების გზით, რომლის ძირითადი მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა არაკომპეტენტური სამედიცინო პერსონალის საქმიანობისაგან. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ნებართვის, ლიცენზიისა და სერტიფიკატის გარეშე სამედიცინო, საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობისათვის გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სახდელი.<sup>3</sup> მასთან, უკანონო საექიმო ფარმაცევტული საქმიანობა სახელმწიფოს მიერ სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებადაა აღიარებული.<sup>4</sup>

საქართველოს კანონმდებლობა იცნობს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტს, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი სამედიცინო განათლების და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს.<sup>5</sup>

მიმდინარე კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ახორციელებს ზედამხედველობას დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის სათანადო პროფესიულ განათლებასა და პრაქტიკულ მომზადებაზე, მის პროფესიულ საქმიანობაზე.

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელმაც დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი და მიიღო დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი.

საექიმო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობა გამოიხატება შემდეგში:

<sup>1</sup> საქართველოს 2004 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის დანართი №8.

<sup>2</sup> საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“.

<sup>3</sup> „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 154-ე მუხლის მეორე პუნქტი.

<sup>4</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 246-ე მუხლი.

<sup>5</sup> საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“.

- ა) სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლი;
- ბ) სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების კონტროლი;
- გ) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტური მეთვალყურეობა;
- დ) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების პერიოდული შემოწმება საჭიროებისამებრ;
- ე) დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის პროფესიული ვარგისიანობის დადგენა.

დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მიერ განხორციელებული მომსახურების ხარისხი წელიწადში ერთხელ მაინც კონტროლდება სახელმწიფოს მხრიდან, ხოლო 5 წელიწადში ერთხელ აღნიშნული სუბიექტები სერტიფიცირებისათვის საჭირო კრიტერიუმებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისობაზე შეფასდებიან.

სახელმწიფო უფლებამოსილია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში შეაჩეროს ან გააუქმოს სერტიფიკატის მოქმედება.

მოსახლეობის ხარისხიანი, უსაფრთხო და ეფექტიანი წამლებით უზრუნველყოფა, წამლის მიმოქცევისა და გამოყენების სფეროში დასაქმებული ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობა, სპეციალისტისა და ფარმაცევტული დაწესებულების თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა, სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის მართვის სფეროში დასაქმებული სახელმწიფო ორგანოების, დაწესებულებების უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

სახელმწიფო პოლიტიკა სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სფეროში ითვალისწინებს: მოსახლეობის უზრუნველყოფას ეფექტიანი, უსაფრთხო და მაღალი ხარისხის აუცილებელი ასორტიმენტის სამკურნალო საშუალებებით; სამეცნიერო კვლევის მხარდაჭერას, ახალი ტექნოლოგიების შექმნასა და დანერგვას; სამკურნალო საშუალებების წარმოების განვითარებას. ამისათვის სახელმწიფო აფინანსებს პრიორიტეტულ სიზნობრივ პროგრამებს, ხელს უწყობს სამკურნალო საშუალებების ფასწარმოქმნის რეკულირებას.<sup>1</sup> სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სფეროში სახელმწიფო მართავს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – წამლის სააგენტოს მეშვეობით.<sup>2</sup>

მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის კონსტიტუციური უფლების რეალიზაციისათვის სახელმწიფო პასუხისმგებელია:

- ა) მოსახლეობისათვის სასიცოცხლო აუცილებელი წამლების ხელმისაწვდომობაზე;
- ბ) სამკურნალო საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფის ერთიან სისტემაზე;
- გ) წამლების, ვაქცინების, შრატების და კბილსაწინააღმდეგო საშუალებების სავალდებულო ასორტიმენტის მარაგის უზრუნველყოფაზე.

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მეორე პუნქტში მოცემული დებულების განსახორციელებლად სახელმწიფოში მოქმედებს სამკურნალო საშუალებების

<sup>1</sup> „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

<sup>2</sup> „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მეორე პუნქტი.

ხარისხის უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემა, რომელიც მოიცავს ფარმაცევტულ განათლებას, სამკურნალო საშუალებების რეგისტრაციას, ფარმაცევტული დაწესებულებების ლიცენზირებასა და აკრედიტაციას, ფარმაცევტული კადრებისა და სამკურნალო საშუალებების სერტიფიკაციას, ფარმაცევტული საქმიანობის ინსპექტირებას, სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლს და ფარმაცევტულ ინფორმაციას.

საქართველოს ტერიტორიაზე ნებადართულია მხოლოდ რეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების გაცემა-გამოყენება, მცირე გამოწილის გარდა, რაც „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონითა განსაზღვრული.

საქართველოში მოქმედებს სამკურნალო საშუალებების სახელმწიფო რეგისტრი, ანუ ცნობარი, რომელიც მოიცავს საქართველოში წარმოებისათვის და სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენებისათვის ნებადართული სამკურნალო საშუალებების ნუსხას. იმ შემთხვევაში, თუ სამკურნალო საშუალებას აღმოაჩნდა ადამიანისათვის (ცხოველისათვის) ან მისი შთამომავლობისათვის ზიანის მომტანი თვისება, წამლის სააგენტო აუქმებს ან დროებით, რეგისტრაციის შეჩერების მიზეზის აღმოფხვრამდე, აჩერებს საქართველოში სამკურნალო საშუალებების რეგისტრაციას.

სამკურნალო საშუალებების საცალო გაცემის უფლება ნებადართულია მხოლოდ სათანადო ლიცენზიის მქონე ფარმაცევტულ დაწესებულებებზე. ამასთან, კანონმდებელი კრძალავს სამკურნალო საშუალებების საბითუმო რეალიზაციას ხარისხის დამდასტურებელი სერტიფიკატის გარეშე. უსაფრთხოების მოთხოვნებთან შეუსაბამო, უხარისხო საქონლის გამოშვებას ან გაყიდვას სახელმწიფო სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებად მიიჩნევენ.<sup>1</sup>

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, ნარკოტიკული და მათი შემცველი საშუალებები, შხამები და შხამშემცველი საშუალებები, ცალკეული ფსიქოტროპული და ძლიერმოქმედი ნივთიერებები სპეციალურ სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება.

სახელმწიფო სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებად მიიჩნევენ შხამის ბრუნვის წესის დარღვევას, ანუ გასაღების მიზნით შხამის უკანონოდ დამზადებას, წარმოებას, შეძენას, შენახვას, გადაზიდვასა და გასაღებას.<sup>2</sup>

კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსის ცალკე XXXIII თავი დაუთმო ნარკოტიკული საშუალებების, მათი ანალოგის – პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებულ ქმედებებს და დააწესა შესაბამისი სანქციები.

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-8 მუხლების შესაბამისად, ნარკოტიკული საშუალებების საქართველოში შემოტანა ზორციელდება მხოლოდ სახელმწიფოს დაკვეთით. საქართველოს წლიური მოთხოვნების გათვალისწინებით, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების სახელმწიფო კვოტებს ყოველწლიურად განსაზღვრავს საქართველოს

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 251-ე მუხლი.

<sup>2</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 249-ე მუხლი.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და დასამტკიცებლად წარუდგენს გაეროს ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტს.

იმავე კანონის შესაბამისად, სამკურნალო დანიშნულების ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული ნივთიერებები ექვემდებარება სავალდებულო შეფუთვასა და მარკირებას.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შემოტანის (გატანის) შემდეგ საქართველოს საბაჟო ორგანოები აფიქსირებენ შემოტანილი (გატანილი) ნივთიერებების რაოდენობასა და ამ ინფორმაციას აწვდიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

საქართველოს ტერიტორიაზე იმ საბაჟო პუნქტების ნუსხას, საიდანაც ნებადართული იქნება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების შემოტანა და გატანა, განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი.<sup>1</sup>

აღნიშნულის გარდა ყველა სახელმწიფო ორგანო, იურიდიული პირი და ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებულ საქმიანობას, ვალდებულია თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილობითი ფორმით.<sup>2</sup>

## 6. ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უზღვევა

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მესამე პუნქტი განამტკიცებს თითოეული ადამიანის უფლებას იცხოვროს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ამავდროულად, კანონმდებელი ყველას აკისრებს ვალდებულებას, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

სიტყვა „გარემო“ „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განიმარტება როგორც ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემოს ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ცოცხალ და არაცოცხალ, შენარჩუნებულ და ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს და მათ მიერ ჩამოყალიბებულ ბუნებრივ ლანდშაფტს.

„ბუნებრივი გარემო“ ურთიერთდამოკიდებული ბუნებრივი ელემენტებისა და მათ მიერ ჩამოყალიბებული ბუნებრივი ლანდშაფტების ერთობლიობაა.

კონსტიტუცია იცნობს ასევე „კულტურული გარემოს“ ცნებას, რომელიც ზემოთ აღნიშნული კანონით, მოიცავს ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ გარემოს, სახეცვლილ და შერეული ტიპის ეკოსისტემებს, ურთიერთდამოკიდებულ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს და მათ მიერ ჩამოყალიბებულ ანთროპოგენულ ლანდშაფტებს.

<sup>1</sup> „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მეექვსე და მეშვიდე პუნქტები.

<sup>2</sup> „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლი.

კანონმდებელი ამკვიდრებს „ფასიანი ბუნებათსარგებლობის“ ცნებას, რაც ნიშნავს, რომ საქმიანობის სუბიექტისათვის მიწის, წყლის, ტყის, ფლორისა და ფაუნის წიაღისა და წიაღისეულის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა ფასიანია.

საქმიანობის სუბიექტში კი მოიაზრება ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ეწევა სამეწარმეო, სამეურნეო ან ყველა სხვაგვარ საქმიანობას, განახორციელებს განსაზღვრულ და განვითარების გეგმებსა და პროექტებს, ინფრასტრუქტურულ პროექტებს, განაშენიანებისა და სექტორული განვითარების გეგმებს, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყლის, ტყის, მიწის, წიაღისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენებისა და სარგებლობის პროექტებისა და პროგრამების ჩათვლით, ასევე, იმ არსებული საწარმოების მნიშვნელოვან რეკონსტრუქციას და ტექნიკურ და ტექნოლოგიურ განახლებას, რომლებიც ახდენენ ან შეუძლიათ მოახდინონ გავლენა გარემოზე.<sup>1</sup>

## 7. ბუნებრივი და კულტურული ბარემოს გაფრთხილების მოვალეობა

გარდა კონსტიტუციით ნაკისრი ვალდებულებისა გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი მოქალაქეს ავალდებს დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები გარემოს დაცვის სფეროში, იზრუნოს გარემოს დაცვაზე, მოსალოდნელი ან მომხდარი ბუნებრივი და ტექნოგენური ავარიისა და სხვა ეკოლოგიური კატასტროფის შესახებ ინფორმაციის მიღებისას დროულად აცნობოს სათანადო კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს ან განაცხადოს ამის შესახებ საჯაროდ.

თავის მხრივ, სანიტარიული კოდექსის მე-6 მუხლი ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის სფეროში ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს ავალდებს:

ა) თავის საქმიანობაში დაიცვას სანიტარიული ნორმები;

ბ) შეიმუშაოს და განახორციელოს პროფილაქტიკური სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია გარემოს დაბინძურების, ინფექციური და მასობრივი არაგადამდები დაავადებებისა და მოშენების აღმოცენება-გავრცელების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციისკენ, მუშაკის შრომის პირობების გაუმჯობესებისკენ;

გ) მიაწოდოს სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამის ორგანოს ინფორმაცია ავარიული სიტუაციის, წარმოებისა და ტექნოლოგიური პროცესების შესახებ, რამაც გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს სანიტარიული ნორმების დარღვევა;

დ) სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის დაწესებულებას მოთხოვნისთანავე მიაწოდოს თავისი საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია.

კონსტიტუციით განმტკიცებული გარემოს დაცვის ვალდებულების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით იმ სატრანსპორტო საშუალებების ზახზე გაშვება, რომლებსაც გამონაბოლქვში აღ-

<sup>1</sup> საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“.

მოაჩნდება დადგენილ ნორმაზე მეტი გამატყუციანებელი ნივთიერებანი, წარმოადგენს ადმინისტრაციულ გადაცდომას.<sup>1</sup> ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის X კარი მთლიანად ეთმობა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს.

## 8. ბარემოს დაცვა და რაციონალური უსწავლობისარგებლობა

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მეოთხე პუნქტი ადგენს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობაზე სახელმწიფოს ვალდებულებებს, რომელთა მიზანია ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა საზოგადოების (ახლანდელი და მომავალი თაობების) ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით.

საქართველოს სანიტარიული კოდექსის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაში შედის შრომის, ყოფაცხოვრების, დასვენების, კვების, სწავლებისა და აღზრდის, რადიაციული და ქიმიური უსაფრთხოების განმსაზღვრელი სანიტარიულ-ჰიგიენური წესებისა და ნორმების, აგრეთვე სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური წესების დაცვის ზედამხედველობა, ქვეყნის საზღვრებზე სახელმწიფო სანიტარულ-ჰიგიენურ და სანიტარიულ-საკარანტინო ზედამხედველობასთან დაკავშირებული საკითხები.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 90-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო პასუხისმგებელია მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვისათვის სტიქიური უბედურებისა და ტექნოგენური კატასტროფის დროს. ჯანმრთელობის დაცვის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, სამედიცინო დაწესებულებები და შესაბამისი პროფესიული გაერთიანებები მონაწილეობენ მოსალოდნელი კატასტროფების სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 73-ე მუხლის თანახმად, გადამდები (მათ შორის ზოოანთროპონიზური, ზოონოზური ბუნების) ენდემური დაავადებებისა და ეპიდემიების, აგრეთვე, განსაკუთრებით გავრცელებული არაგადამდები დაავადებების კონტროლია შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების პრეროგატივაა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, სახელმწიფო მხარს უჭერს თამბაქოს წვეის და ალკოჰოლის ნაწარმის ჭარბი გამოყენების საპროფილაქტიკო ღონისძიებებს და ქმნის მათი განხორციელების მექანიზმებს. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოწვეის შეზღუდვა და მცირეწლოვანთათვის თამბაქოსა და ალკოჰოლური ნაწარმის მიყიდვის მოწესრიგება ხდება „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით.

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად გარემოს დაცვითი საქმიანობა ითვალისწინებს გარემოს დაცვის საფუძვლების სწავ-

<sup>1</sup> საქართველოს „ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი“, მუხლი 133.



ლებას, რაც მოიცავს სკოლამდელი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ეტაპებს. ამავე კანონით, ზემოაღნიშნულ სასწავლებლებში განსაზღვრულია გარემოს დაცვის მართვის, ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის პროფილის სხვა საგნების სპეციალური კურსის სწავლება.

ნიშნდობლივია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის შესაბამისად, მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება:

- ა) გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა;
- ბ) მიწის, წიაღისეულისა და ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა.

სანიტარული კოდექსის 37-ე მუხლი ადგენს სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური ან/და იურიდიული პირის ვალდებულებებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყონ საორგანიზაციო, საინჟინრო-ტექნიკური, სამკურნალო-პროფილაქტიკური, პროფილაქტიკური სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-უბიდასაწინააღმდეგო ღონისძიებების დროულად განხორციელება ინფექციური და მასობრივი არაგადამდები დაავადებებისა და მოშხამვის თავიდან აცილების, ხოლო, მათი აღმოჩენის შემთხვევაში, ლიკვიდაციის მიზნით.

### 9. სამშუაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების უფლება

საქართველოს კონსტიტუციით გამტკიცებული ყველას უფლება – ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი,<sup>1</sup> ორგანულადაა დაკავშირებული ამავე მუხლის მეხუთე პუნქტთან, რომელიც ანიჭებს ადამიანს უფლებას მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამშუაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ.

ზემოთ მოხსენებული უფლების განხორციელების ხელშემწყობი პრინციპი გადმოცემულია „გარემოს მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმადაც, ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ ღია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

ამ მიზნით, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, საზოგადოებრიობის ინფორმირებისათვის, სამინისტრო ყოველწლიურად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნულ მოხსენებას, რომლის შედეგადაც სახელმწიფო ორგანოები და სახელმწიფო იურიდიული პირები ვალდებული არიან მოთხოვნიდან არა უგვიანეს ორი თვისა უსასყიდლოდ მიაწოდონ სამინისტროს მათ ხელთ არსებული ინფორმაცია.

ეროვნული მოხსენების გამოქვეყნებასა და გავრცელებასთან დაკავშირებული ზარჯის დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

გარემოს მდგომარეობის შესახებ მომხმარებელთა უკეთ ორიენტირების მიზნით, სახელმწიფო საქართველოში წარმოებულ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას ანიჭებს ეკომარკას, რომელიც მუითითებს, რომ პროდუქცია დამზადებულია ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულისაგან, რესურსთდამზოგველი და საუკეთესო ტექნოლოგიითა და ტექნიკით.

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის შესაბამე პუნქტი.

საქართველოს სანიტარიული კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის სფეროში ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს უფლება აქვს:

- ა) სახელმწიფო ორგანოსაგან მიიღოს ინფორმაცია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და ეპიდემიური სიტუაციის, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გარემო ფაქტორების შესაძლო მავნე ზეგავლენის, აგრეთვე მოქმედი სანიტარიული ნორმების შესახებ;
- ბ) ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ორგანოს მიერ გადაწყვეტილებების განხილვასა და პროგრამების შემუშავება-განხილვაში.

### მუხლი 38.

„1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განზოცხლებას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.“

## 1. ღაცვის სფერო

კონსტიტუციის 38-ე მუხლი ეხება თანასწორობის პრინციპს. თანასწორობის ზოგად პრინციპს აწესრიგებს კონსტიტუციის მე-14 მუხლიც. კონსტიტუციის 38-ე მუხლი უნდა განვიხილოთ როგორც სპეციალური ნორმა, რამდენადაც იგი ადგენს თანასწორობას როგორც უმცირესობათა უფლებების დაცვის ერთ-ერთ ფორმას. ცნებას – „უმცირესობა“ – მოიხსენიებს კონსტიტუციის 38-ე მუხლის არა პირველი, არამედ მე-2 პუნქტი. სისტემური და ლოგიკური განმარტების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კონსტიტუციის 38-ე მუხლი უმცირესობებთან მიმართებით არის სპეციალური ნორმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი იქნებოდა კონსტიტუციის მე-14 მუხლით განმტკიცებული თანასწორობის პრინციპის გამეორება. კონსტიტუციის 38-ე მუხლი ადგენს როგორც უმცირესობათა, ისე დემოკრატიული წესრიგის დაცვის მნიშვნელოვან გარანტიებს.

### 1. უმცირესობის ცნება

როგორც საერთაშორისო სამართალი, ისე შიდასახელმწიფო კანონმდებლობა მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე თავშეკავებულად უდგებოდა უმცირესობათა უფლებებს. უმცირესობათა ცნება პირველად ჩამოყალიბდა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტში (1966 წ.). თუმცა, პაქტის 27-ე მუხლში მოცემული უმცირესობის ცნება საკმაოდ ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თხოვნით ფრანკესკო კაპოტორტიმ (Capotorti) ჩამოაყალიბა უმცირესობის ცნება. ეს უკანასკნელი დღემდე ითვლება როგორც უმცირესობის კლასიკური განმარტება. კაპოტორტის განმარტებით, უმცირესობა არის სახელმწიფოს დანარჩენ მოსახლეობაზე რიცხობრივად მცირე ჯგუფი, რომელსაც არ უკავია ავტონომიური პოზიცია და რომლის წევრებს – ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს – ახასიათებთ ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი ნიშნები, რომლებიც მას სხვებისაგან განასხვავებს და, რომლებიც (სულ მცირე იმპლიციტურად მაინც) გამოხატავენ საკუთარი კულტურის, ტრადიციების, რელიგიის ან ენის შენარჩუნებისაკენ მიმართულ სოლიდარობის გრძნობას.<sup>1</sup>

<sup>1</sup> In.: Sabine Nora Faisst, Minderheitenschutz im Grundgesetz und in den Landesverfassungen, Tübingen, 2000, S. 21.

აღამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში უმცირესობათა უფლებები მკაფიოდ არ არის გამოყოფილი. უმცირესობათა წარმომადგენლებს შეუძლიათ დაეყრდნონ არა სპეციალურ, არამედ კონვენციით დადგენილ სხვა უფლებებს. წარუმატებლად დასრულდა კონვენციის დამატებითი ოქმის შემუშავების ცდა, რომელსაც სპეციალურად უნდა მოეწესრიგებინა უმცირესობათა უფლებები.

1995 წლის 1 თებერვალს ევროსაბჭოს ფარგლებში მიღებულ იქნა ჩარჩო-ხელშეკრულება ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ. 2003 წლის მარტისათვის იგი რატიფიცირებული იყო 35 სახელმწიფოს მიერ. ხელშეკრულების თანახმად, უმცირესობათა წარმომადგენლებს არა აქვთ ინდივიდუალური ან კოლექტიური განცხადებით მიმართვის უფლება. ჩარჩო-ხელშეკრულება მონაწილე სახელმწიფოებისაგან მოითხოვს მხოლოდ მოხსენების წარდგენას (მ. 25.).

უმცირესობებს, ჩვეულებრივ, გამოყოფენ ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ნიშნით. ისეთი ნიშნები, როგორცაა სექსუალური ორიენტაცია (ჰომოსექსუალიზმი), სქესი – ისტორიულად – არ ყოფილა უმცირესობათა განმსაზღვრელი ნიშანი.

კონსტიტუციის 38-ე მუხლში კანონმდებელმა განსაკუთრებით გამოყო ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ნიშნები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში გაითვალისწინეს ისტორიული გამოცდილება, რომელიც გვიჩვენებს, რომ ინდივიდების და ხალხის ჯგუფის დისკრიმინაცია ყველაზე უფრო მოსალოდნელია სწორედ ამ ნიშნების საფუძველზე.

საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს დისკრიმინაციას როგორც „ეროვნული“, ისე „ეთნიკური“ ნიშნით. კონსტიტუციის შინაარსიდან გამომდინარე არ ჩანს, თუ რა ნიშნით განასხვავებს კანონმდებელი ამ ორ ცნებას. სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, ცნება „ეთნიკური“ მოიცავს რასობრივ და ეროვნულ უმცირესობასაც. „ეთნიკურობა“ მოიცავს ბიოლოგიურ, ისტორიულ და კულტურულ ელემენტებს.<sup>1</sup> ეროვნული უმცირესობა გულისხმობს მოსახლეობის იმ ჯგუფს, რომელსაც აქვს სამშობლო, სადაც იგი აყალიბებს მოსახლეობის უმრავლესობას.<sup>2</sup> ეთნიკურობა და ეროვნულობა გამოიყენება როგორც სინონიმური ცნებებიც. მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსახლეობის ჯგუფს სხვაგან აქვს სამშობლო, არ არის საკმარისი პირობა იმისათვის, რომ ეს ჯგუფი (თუ იგი სხვა პირობებსაც არ აკმაყოფილებს) უმცირესობად ვადიაროთ.

კონსტიტუციის 38-ე მუხლში გამოყენებული „ეთნიკურობისა“ და „ეროვნულობის“ ცნებები არ არის იდენტური. უნდა ვივარაუდოთ, რომ „ეროვნულობა“ გულისხმობს ხალხის იმ ჯგუფს, რომელსაც აქვს სამშობლო, სადაც იგი აყალიბებს უმრავლესობას. „ეთნიკურობა“ მოიცავს ხალხის იმ ჯგუფს, რომელსაც არა აქვს სამშობლო იმ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, სადაც იგი უმცირესობას წარმოადგენს.

„ეროვნულობა“ და „ეთნიკურობა“ განსხვავდება „რასის“ ცნებისაგან. რასის წევრი სინამდვილეში შეიძლება არ ატარებდეს იმ ნიშნებს, რომელსაც მას მიაწერენ (როგორც რასის წევრს). რასის ნიშნები მემკვიდრეობით გადადის. რასას არ „იჩრევენ“, ისევე როგორც ვერ შეცვლიან მემკვიდრეობით მიღებულ ნიშნებს. განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს ეთნიკური უმცირესობის შემთხვევაში. ეთნიკური უმცირესობის ახლად

<sup>1</sup> Niemerth, Minderheiten im Völkerrecht, 1996, S. 36.

<sup>2</sup> Franke/Hofmann, Nationale Minderheiten, 1992, S. 401.

დაბადებული ბავშვი შეიძლება მომავალში უმრავლესობის წევრი გახდეს (ან ასიმილაციის გზით ან თუ მისი ერთ-ერთი მშობელი უმრავლესობის წარმომადგენელია).

უმცირესობისადმი კუთვნილების გრძნობა სუბიექტურია. პირი თავის თავს სუბიექტურად უნდა განიხილავდეს განსაზღვრული უმცირესობის წარმომადგენლად. ერთ-ერთი კრიტერიუმში, ამ შემთხვევაში, არის წარმოშობა (როდესაც მისი მშობლები არიან ეროვნული უმცირესობის წევრები) და ენა (რომელიც მან გარკვეულ ფარგლებში მაინც უნდა იცოდეს).

„რელიგიური კუთვნილება“ არ გულისხმობს, რომ ინდივიდი ან ჯგუფი აუცილებლად რომელიმე რელიგიის ან რწმენის მიმდევარი უნდა იყოს – საკმარისია, რომ მისი რელიგიური შეხედულებები განსხვავდებოდეს უმრავლესობის რელიგიისაგან. რელიგიურ უმცირესობად ჩაითვლება ათეისტური ჯგუფიც, რომელიც ცხოვრობს რელიგიური უმრავლესობის გარემოცვაში.

„ენობრივი“ კუთვნილება მოიცავს როგორც დედაენას, ისე დიალექტსაც. ნორმის სისტემური განმარტებიდან გამომდინარე (რამდენადაც აღნიშნული ნორმა ეხება უმცირესობის უფლებების დაცვას), „ენის“ ცნება უფრო ვიწროდ უნდა განიმარტოს. უმცირესობის უფლებებთან მიმართებით დიალექტი არ მიეკუთვნება „ენას“. მოსახლეობის ჯგუფი, რომელიც დიალექტზე ლაპარაკობს, თავის თავს, ჩვეულებრივ, უმრავლესობას მიაკუთვნებს. ამ შემთხვევაში, არ არსებობს უმცირესობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი – ჯგუფური ცნობიერების განცდა.

რელიგიური ან ეროვნული უმცირესობების ენათა ევროპული ქარტია არ იცავს ენობრივ დიალექტს. ამ ქარტიის 1ა მუხლის თანახმად, რეგიონალური ან ეროვნული უმცირესობის ენა არ მოიცავს ოფიციალურ, სახელმწიფო ენას და დიალექტებს, ასევე მიგრანტთა ენებს. ენობრივი უმცირესობა, ჩვეულებრივ, წარმოადგენს ეთნიკურ ან რელიგიურ უმცირესობას, რამდენადაც ენა მხოლოდ ჯგუფის შიგნით შეიძლება განვითარდეს – ენის ინდივიდუალურად განვითარება შეუძლებელია.

აღამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა უმცირესობის ენასთან დაკავშირებული დავა. ბელგიის ფრანგულენოვანი მშობლები 800 ბავშვის სახელით აცხადებდნენ, რომ დისკრიმინაციული იყო ბელგიის 1930-იან წლებში მიღებული კანონი ენის შესახებ. სახელმწიფო სკოლებში ფრანგული ენა არ ისწავლებოდა, ხოლო კერძო სკოლები, რომლებიც მეცადინეობას ორ (მათ შორის ფრანგულ) ენაზე ატარებდნენ, არანაირ სუბვენციებს არ იღებდნენ. მშობლების აზრით, კანონი ეწინააღმდეგებოდა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლს (განათლება). კონვენციის მე-8 მუხლს (ოჯახი და კერძო ცხოვრება) და მე-14 მუხლს (თანასწორობა). აღამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან დაკავშირებით მიუთითა, რომ ეს მუხლი ეროვნულ უმცირესობას არ აძლევს (უმცირესობის) განსაზღვრულ ენაზე მეცადინეობის უფლებას. კონვენციის მე-8 მუხლთან დაკავშირებით (ოჯახური ცხოვრება), სასამართლომ აღნიშნა, რომ აღზრდასთან დაკავშირებული ღონისძიებები შეიძლება არღვევდეს დაცვის სფეროს (მაგალითად, იწვევდეს მშობლებისაგან ბავშვების თვითნებურ დაშორებას). სასამართლოს აზრით, კერძო სკოლებისათვის სუბვენციების გაცემაზე უარი (რის შედეგადაც დაიხურა ფრანგულენოვანი კერძო სკოლების უმეტესობა) არ არღვევს კონვენციის მე-8 მუხლს. მე-8 მუხლი არ უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულებებში მშობლიურ ენაზე მეცადინეობის უფლებას. თანასწორობა არ არის დარღვეული,

როდესაც ფლანდრიული რეგიონის ფრანგულენოვან სკოლებს არ ეძლევათ სუბვენციები. შესაბამისად, სახეზე არ არის თვითნებური უთანასწორო განხილვა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, თანასწორობა არ იძლევა იმის უფლებას, რომ საკუთარი არჩევანის მიხედვით მოვითხოვოთ ამა თუ იმ ენაზე სწავლება.

ფრანგულენოვანი მშობლების აზრით, თანასწორობის პრინციპი დარღვეული იყო სპეციალური სტატუსის მქონე ბრიუსელის მოსაზღვრე რეგიონებში. კერძოდ, აქ მოქმედებდა ორენოვანი რეჟიმი (ხოლო სკოლები სუბვენციებს იღებდნენ). ამ სკოლებში მეცადინეობის უფლება ჰქონდათ კომუნაში მცხოვრებ ფრანკოფონ ოჯახებს. ამ კომუნების ფარგლებს გარეთ (მაშასადამე, ფლანდრიულენოვან ტერიტორიაზე) მცხოვრებ ფრანკოფონ ბავშვებს არ ჰქონდათ ბრიუსელის მოსაზღვრე რეგიონების ფრანგულენოვან სკოლებში სწავლის საშუალება. ფლანდრიულენოვანი სკოლები, პირიქით, ბავშვებს იღებდნენ საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ეს განსხვავება ეფუძნება არა (დასაშვებ) ადმინისტრაციულ ან ფინანსურ, არამედ მხოლოდ ენობრივ მოსაზრებებს. ამ შემთხვევაში, სასამართლოს აზრით, დარღვეული იყო კონვენციის მე-14 მუხლი პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან მიმართებით.<sup>1</sup>

„უმცირესობის“ ერთ-ერთი კრიტერიუმია რიცხობრივი რაოდენობა. ამასთანავე, რაოდენობრიობა უნდა განვიხილოთ სახელმწიფოს მთელ მოსახლეობასთან, და არა რომელიმე რეგიონთან მიმართებაში. შეუძლებელია იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ საიდან იწყება „უმცირესობა“: არ არსებობს ფიქსირებული რიცხვი, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, რომ მოსახლეობის ესა თუ ის ჯგუფი არის „უმცირესობა“.

განსაზღვრულ ტერიტორიაზე უმცირესობა შესაძლებელია აყალიბებდეს უმრავლესობას. გარდა ამისა, რიცხობრივად მცირე ჯგუფი შეიძლება საზოგადოებაში გაბატონებულიც იყოს (აპარტიდის რეჟიმი). მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც საზოგადოებაში დომინირებს, სამართლებრივი თვალსაზრისით არ უნდა განვიხილოთ როგორც უმცირესობა. უმცირესობის ცალკე ჯგუფად განხილვის ერთ-ერთი კრიტერიუმია მისი „სუსტი“ პოზიციები.<sup>2</sup>

ინდივიდი დამოუკიდებლად განსაზღვრავს უმცირესობისადმი კუთვნილების საკითხს. იგი თავისუფლად წყვეტს, სურს თუ არა მას უმცირესობის წევრობა. სახელმწიფო არ არის უფლებამოსილი „გადაამოწმოს“ ან სადავო გახადოს უმცირესობისადმი კუთვნილება. უმცირესობისადმი კუთვნილების საკითხი არ არის „დაცული“ ობიექტური კრიტერიუმებით. მაგალითად, პირი შესაძლებელია თავის თავს განიხილავდეს უმცირესობის წევრად, მიუხედავად იმისა, რომ არ ფლობს ამ უმცირესობის ენას ან გააჩნია განსხვავებული რელიგიური შეხედულებები.

უმცირესობისადმი კუთვნილების სურვილი შეიძლება იყოს ანგარიშითი, თუ პირს სურს ისარგებლოს უმცირესობის მიმართ დადგენილი გარკვეული შეღავათებით. კონსტიტუციის მე-14 მუხლიდან გამომდინარეობს, რომ ასეთი უთანასწორობა მოითხოვს განსაკუთრებულ ლეგიტიმაციას. შესაბამისად, უმცირესობის მიმართ დადგენილი პრივილეგიები არც ისე „მიმზიდველი“ უნდა იყოს იმისათვის, რომ ინდივიდმა საკუთარი იდენტურობის უარყოფის ფასად მოინდომოს ამ შეღავათებით სარგებლობა. „უმცირ-

<sup>1</sup> Series A 6 (1968), S. 42.

<sup>2</sup> Faissit, Minderheitenschutz im Grundgesetz und in den Landesverfassungen, S. 24.

ესობის კარგად ყოფნა“ არ უნდა ნიშნავდეს „უმრავლესობის ცუდად ყოფნას“. კონსტიტუცია იცავს არა მარტო უმცირესობას (უმრავლესობასთან მიმართებაში), არამედ, ასევე, „უმცირესობას უმცირესობაში“. ეს უკანასკნელი მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც უმრავლესობის წევრები უმცირესობის განსახლების ტერიტორიაზე აყალიბებენ უმცირესობას.

უმცირესობისადმი კუთვნილება არ ათავისუფლებს პირს იმ ვალდებულებებისაგან, რომელიც მას ეკისრება როგორც სახელმწიფოს მოქალაქეს. უმცირესობის წევრი, ამავდროულად, არის სახელმწიფოს მოქალაქე და იგი ვალდებულია დაემორჩილოს კონსტიტუციასა და სამართლის ნორმებს. უმცირესობისადმი კუთვნილება პრივილეგია არ არის.

უმცირესობის წევრები უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ვერ იქნებიან კონსტიტუციის 38-ე მუხლის სუბიექტები. „უცხოელების უმცირესობა“ არ არის კონსტიტუციის 38-ე მუხლის სუბიექტი.

კონსტიტუციის 38-ე მუხლი მოქმედებს როგორც „ძველი“, ისე „ახალი“ უმცირესობების მიმართ. „უმცირესობაში“ იგულისხმება კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე ჩამოყალიბებული უმცირესობები. კონსტიტუციის მიზანი არ არის ახალი უმცირესობების ჩამოყალიბება. ამავე დროს, ახლად ჩამოყალიბებული უმცირესობებიც სარგებლობენ 38-ე მუხლში განტყიცებული უფლებებით.

უმცირესობა, როგორც ჯგუფი, შეიძლება კომპაქტურად ცხოვრობდეს გარკვეულ რეგიონში, ან მისი განსახლების არეალი არ იყოს გეოგრაფიულად მკაფიოდ შემოსაზღვრული. „ტერიტორია“ არ არის უმცირესობის განმსაზღვრელი კრიტერიუმი. რელიგიური უმცირესობა, მაგალითად, შესაძლებელია თანაბრად იყოს წარმოდგენილი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

უმცირესობათა უფლებების დაცვისაკენ მიმართული ნორმების სუბიექტი შესაძლებელია იყოს: 1. ინდივიდი როგორც უმცირესობის ჯგუფის წევრი (ძირითადად, ეს არის პროცედურული ხასიათის ნორმა, რომლის მეშვეობითაც ხდება უმცირესობის ჯგუფის წევრის უფლებების რეალიზაცია); 2. უმცირესობის ჯგუფის ყველა წევრი (ნორმები, რომლებიც ეხება სკოლას, დედაენით სარგებლობას პირად ცხოვრებაში და საჯაროდ); 3. ჯგუფი (ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ პოლიტიკურ ან კულტურულ ავტონომიას, პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში უმცირესობის მონაწილეობის ფორმებს და სხვ.).

გარკვეული პრობლემა იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც უმცირესობა ორგანიზებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით. საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც მონაწილეობს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში, ვერ იქნება კონსტიტუციით განმტყიცებული ძირითადი უფლებების სუბიექტი. საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის მინიჭებული უფლებამოსილებები (მათ შორის კულტურის ან სხვა სფეროში) იქნება კომპეტენცია და არა უფლება.

უმცირესობათა უფლებები სპეციფიკური შინაარსისაა იმდენად, რამდენადაც არის კოლექტიური, და არა ინდივიდუალური უფლება. უმცირესობის უფლებებს კონსტიტუცია, არსებითად, მხოლოდ 38-ე მუხლში ეხება. ამავე დროს, უმცირესობათა კოლექტიური უფლება უშუალოდ უკავშირდება კონსტიტუციით განმტყიცებულ ძირითად ინდივიდუალურ უფლებებს. ადამიანის უფლებებსა და უმცირესობათა უფლებებს შორის მიმართების საკითხი მოიცავს პრობლემათა ფართო წრეს, რომელთა აქ

განხილვაც მიზანშეწონილი არ იქნებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ უმცირესობათა უფლება ადამიანის უფლებების შემადგენელი ნაწილია. შემთხვევითი არ არის, რომ უმცირესობათა ცნება პირველად სწორედ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტში (1966 წ.) ჩამოყალიბდა.

საქართველოს ზონსტიტუცია ეფუძნება იმ კონცეფციას, რომლის თანახმადაც უმცირესობის კოლექტიური უფლებები დაცული უნდა იყოს ინდივიდუალური უფლებების მეშვეობით. აქედან გამომდინარეობს კონსტიტუციის შედარებით თავშეკავებული დამოკიდებულება უმცირესობათა კოლექტიური უფლებების მიმართ. ასეთი მიდგომა დამახასიათებელია თანამედროვე დასავლური კონსტიტუციონალიზმისათვის. უმცირესობათა კოლექტიური უფლებების „ინდივიდუალიზაცია“, ანუ მათი „გადაყვანა“ ადამიანის ძირითადი უფლებების სიბრტყეში არ უნდა განვიხილოთ როგორც უმცირესობის უფლებათა დარღვევა. ასეთი მიდგომა კონსტიტუციურ სამართლებრივად ლეგიტიმურია, რამდენადაც სწორედ ადამიანი არის ძირითადი კანონის უმაღლესი მიზანი და ღირებულება.

ინდივიდის კულტურულ და ეთნიკურ იდენტურობას იცავს კონსტიტუციის მე-17 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია“. მოქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავს ამა თუ იმ ჯგუფის იძულებით ასიმილაციას, ასევე, წამება, გენოციდი, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა წარმოადგენს ღირსების კონსტიტუციური ნორმის დარღვევას. ადამიანის ღირსების შემლახველი მოქმედება შესაძლებელია გამოიხატოს ეთნიკური შუღლის გაღვივებით, ეთნიკური ჯგუფისადმი უპატივცემულო, აგდებული დამოკიდებულებით (როდესაც იგი განიხილება როგორც მეორეხარისხოვანი). ამასთანავე, ყოფით ურთიერთობებში გამოთქმული შეხედულებები (მაგალითად, მოწოდება – „საქართველო ქართველებისათვის“) ან უმცირესობათა მიმართ გარკვეული კლიშეს გამოყენება (მაგალითად, „ბოშები ქურდაცაცები არიან“) მხოლოდ მაშინ ჩაითვლება სამართალდარღვევად, თუ ისინი შეიცავენ დანაშაულის ნიშნებს.

უმცირესობის უფლებებსა და ძირითად უფლებას შორის კოლიზიის საინტერესო შემთხვევა განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ! ამ საქმეში მომჩივანი იყო ტელეფურნალისტი. მან ინტერვიუ ჩამოართვა დანიის ერთ-ერთი ახალგაზრდული რასისტული ორგანიზაციის წევრებს. ინტერვიუში ისინი აშკარად უპატივცემულოდ მოიხსენიებდნენ ეთნიკურ უმცირესობებს („შავკანიანები... არ არიან ადამიანური არსებები. ...აიღე გორილას სურათი... და ამის შემდეგ შეხედე შავკანიანს – მას სხეულის იგივე ფორმა აქვს. ...შავკანიანი ადამიანი კი არ არის, არამედ ცხოველია, და ეს ეხება ყველა უცხოელს, თურქებს, იუგოსლაველებს...). ინტერვიუ აჩვენებს ერთ-ერთ სერიოზულ სატელევიზიო საკვირაო აღმანახში. გადაცემის წარდგენისას პროგრამის ხელმძღვანელმა მოუთხა, რომ მას სურდა რასისტული ახალგაზრდობისა და მისი სოციალური ფესვების წარმოჩენით საზოგადოების ყურადღება მიექცოდა სულ უფრო მზარდი რასიზმისათვის. გადაცემის მონაწილეები ეურნალისტმა წარადგინა როგორც „ახალგაზრდული ექსტრემისტული ჯგუფის“ წევრები. წამყვანი ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ არ ებიჯნებოდა ცალკეულ შეხედულებებს (რომელთა პროვოცირებასაც ის თავისი კითხვებით ახდენდა). მას არც საბოლოო რეზიუმე გაუკეთებია და არ აღუნიშნავს, რომ გადაცემაში გამოთქმუ-

<sup>1</sup> *ჯერსილი დანიის წინააღმდეგ (Jersild v. Denmark)*, 1994 წლის 23 სექტემბერი



ლი აზრები მიუღებელი იყო და დასაგმობი. რასისტული და დისკრიმინაციული მოწოდებების ხელშეწყობისა და წაქეზებისათვის ჟურნალისტი 1000 კრანით დააჯარიმეს. დანიის მთავრობა, სხვა არგუმენტებთან ერთად, ვფუნებოდა გაეროს კონვენციას რასიზმის ყველა ფორმის დაძლევის შესახებ (1965). აღნიშნული კონვენციის მე-5 მუხლით კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები (მათ შორის, დანია) ვალდებული არიან აკრძალონ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, ინფორმაციის თავისუფლება იცავს „სხვათა“ იდეების გავრცელებას. მომჩივანი გასამართლებული იყო დანიის სისხლის სამართლის კოდექსით. სასჯელის მიზანი იყო სხვათა (უმცირესობათა) პატივის დაცვა. ევროპულ სასამართლოს ერთი მხრივ, უნდა გაეთვალისწინებინა გაეროს ანტირასისტული კონვენციის მე-5 მუხლი და ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-10 მუხლი (ინფორმაციის თავისუფლება) უნდა განემარტა გაეროს კონვენციასთან შესაბამისობაში. რასისტული შეხედულებები არ წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დაცვის სფეროს. მეორე მხრივ, ჟურნალისტს რასისტული შეხედულებები თვითონ არ გამოუთქვამს. პრესას აკისრია განსაკუთრებული ფუნქცია საზოგადოებაში. ტელეგადაცემას არ სურდა რასისტული იდეების პროპაგანდა. ინტერვიუ გადაცემული იყო სერიოზულ სატელევიზიო ალმანახში. პრესისა და ინფორმაციის თავისუფლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ, მისი შეზღუდვისას სახეზე უნდა იყოს მნიშვნელოვანი საფუძვლები. სასამართლოს წევრთა ზმები გაიყო (თორმეტი შეიღის წინააღმდეგ). უმცირესობის უფლებებთან მიმართებით სასამართლომ უპირატესობა ინფორმაციის თავისუფლებას მიანიჭა. ჟურნალისტიისათვის დაკისრებული ჯარიმა ჩაითვალა როგორც „არათანაზომიერი“, რომელიც არღვევდა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლს.

უმცირესობათა უფლებები დაცულია თანასწორობის ზოგადი ნორმით (კონსტიტუციის მე-14 მუხლი). ამავე დროს, კონსტიტუციის 38-ე მუხლის კონსტრუქცია რამდენადმე განსხვავდება თანასწორობის ზოგადი პრინციპისაგან. კონსტიტუციის მე-14 მუხლი განსაზღვრავს ფორმალურ თანასწორობას, როდესაც იგი ადგენს, რომ ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე. კონსტიტუციის 38-ე მუხლის მოქმედება მე-14 მუხლისაგან განსხვავებით ვრცელდება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე. თუმცა, ეს გარემოება შინაარსობრივად ბევრს არაფერს ცვლის. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, იმის გარკვევა, თუ რას ადგენს კონსტიტუციის 38-ე მუხლი – ფორმალურ, თუ მატერიალურ თანასწორობას.

კონსტიტუციის 38-ე მუხლი უნდა განვიხილოთ როგორც სპეციალური ნორმა. ჯერ ერთი, ამ მუხლში ჩამოთვლილი დისკრიმინაციის ამკრძალავი ნიშნები უფრო ვიწროა, ვიდრე მე-14 მუხლისა. უნდა ვივარაუდოთ, რომ კონსტიტუციის 38-ე მუხლი ადგენს თანასწორობის არა ფორმალურ, არამედ მატერიალურ კრიტერიუმებს. კერძოდ, იგი ესწრაფვის საქართველოს მოქალაქეების თანასწორობას სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუმცა, მატერიალური თანასწორობის თვალსაზრისით, კონსტიტუციის 38-ე მუხლი არ იძლევა ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაციის საშუალებას. იგი არ კმაყოფილდება მხოლოდ იმის დადგენით, რომ მოქალაქეები „თანასწორი არიან კანონის წინაშე“ (ფორმალური თანასწორობა). ამავე დროს, სადავოა, რამდენად შეიძლება მივიჩნიოთ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში თანასწორობა – ფაქტობრივ თანასწორობად.

იურიდიული თანასწორობა გამოიხატება დისკრიმინაციის აკრძალვით, როდესაც არ დაიშვება უმრავლესობისაგან კულტურის, რელიგიის, ეროვნული ან ეთნიკური, ენობრივი ნიშნით განსხვავებული ჯგუფის უთანასწორობა. მხოლოდ იურიდიული თანასწორობის აღიარება არ არის საკმარისი უმცირესობის ჯგუფური იდენტურობის დასაცავად. ამა თუ იმ ჯგუფის მიმართ გატარებული ხელშეწყობის პოლიტიკა მოითხოვს კონსტიტუციურ-სამართლებრივ ლეგიტიმაციას და შესაძლებელია გამართლდეს ფაქტობრივი თანასწორობის კონსტიტუციურად ლეგიტიმური მიზნით.

კონსტიტუციის მე-14 მუხლი არ ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ საზოგადოებაში დაამყაროს ფაქტობრივი თანასწორობა. იურიდიული თანასწორობის მოთხოვნა არის ის მაქსიმუმი, რომელიც გამომდინარეობს ამ მუხლიდან. კონსტიტუციის 38-ე მუხლიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფოს შეუძლია გაატაროს ფაქტობრივი თანასწორობის მიღწევის ღონისძიებები. ამავე დროს, იგი ვალდებულია დაიცავს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დადგენილი თანასწორობის უფლების მოთხოვნები.

ფორმალური თანასწორობა ნიშნავს, რომ „არსებითად თანასწორი თვითნებურად არ უნდა იქნეს განხილული უთანასწოროდ, ისევე როგორც არსებითად უთანასწორო თვითნებურად არ უნდა იქნეს განხილული თანასწორად“.<sup>1</sup> თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფო არ არის ვალდებული, რომ გაატაროს არსებული ეთნიკური განსხვავებულობის შენარჩუნებისა და გადრმავებისაკენ მიმართული პოლიტიკა. კონსტიტუციის 38-ე მუხლი, ასევე, უშუალოდ არ ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ რომელიმე ჯგუფის მიმართ გაატაროს განსაკუთრებული ხელშეწყობის პოლიტიკა. კონსტიტუცია მხოლოდ იცავს მოქალაქეების შესაძლებლობას, რომ „... ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ“.

კონსტიტუციის 38-ე მუხლი აყალიბებს დამცავ უფლებას. ანუ ის იცავს ეთნიკურ უმცირესობებს სახელმწიფოს ჩარევისაგან, საშუალებას აძლევს მათ იმოქმედონ თავისუფლად, თავიანთი ჯგუფური იდენტურობის განმსაღწერელი ნიშნების განსავეითარებლად. საქართველოს მოქალაქეს არა აქვს უფლება, რომ 38-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს მოსთხოვოს აქტიური პოლიტიკის გატარება უმცირესობათა კულტურის განვითარებისათვის. სახელმწიფოს ეკრძალება ჩაერიოს უმცირესობათა კულტურაში. საკუთარი კულტურისა და ენის განვითარების საკითხებს უმცირესობა წევრებს დამოუკიდებლად. სახელმწიფოს არ ეკისრება არც სხვა, ფაქტობრივი უთანასწორობის გათანაბრების ვალდებულება, მათ შორის უმცირესობებისათვის პრივილეგიების დადგენის გზით. სახელმწიფოს მიერ უმცირესობის კულტურული თავისებურებების დაცვის ვალდებულება არ გამომდინარეობს 38-ე მუხლიდან.

აღამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმი (რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს მიერ) ეხება სახელმწიფოს ისეთ მოქმედებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ეროვნულ უმცირესობათა ფაქტობრივი თანასწორობის მიღწევას. მე-12 ოქმის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ დისკრიმინაციის დაუშვებლობის მოთხოვნა სახელმწიფოებს ხელს არ უშლის განახორციელონ სრული და ქმედითი თანასწორობისაკენ მიმართული ღონისძიებები იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებები „გამართლებულია ობიექტურად და გონივრულად“.

<sup>1</sup> BVerfGE 4, 144; 78, 104.

სახელმწიფო ვალდებულია უმცირესობა დაიცავს ასიმილაციისაგან. „ასიმილაცია“ აღნიშნავს უმცირესობის კულტურული თვითმყოფადობის მოსპობისაგან განხორციელებულ მიზანმიმართულ მოქმედებებს – კულტურულ ექსპანსიას, როდესაც უმცირესობას აკრძალული აქვს საკუთარი კულტურისა და ენის განვითარება. უმრავლესობის კულტურა, არსებობდა, ყოველთვის გარკვეულ გავლენას ახდენს უმცირესობის კულტურაზე. ცხადია, ეს კულტურული გავლენა არ შეიძლება ჩაითვალოს ასიმილაციის ცდად. სახელმწიფოს ეკრძალება უმცირესობის კულტურული ასიმილაციისაგან მიმართული ღონისძიებების გატარება. ამავე დროს, ასიმილაციად არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს მოქმედება, რომლის მიზანია ინტეგრაციული პროცესების წახალისება. სახელმწიფო ვალდებულია, რომ იზრუნოს საზოგადოებაში უმცირესობის სრულფასოვან ინტეგრაციაზე.

თანასწორობის პრინციპი შინაარსობრივად განსხვავდება დისკრიმინაციის აკრძალვისაგან. თანასწორობის პრინციპი უშვებს უთანასწოროდ განხილვის შესაძლებლობას. დისკრიმინაციის აკრძალვა, კონსტიტუციის 38-ე მუხლში ჩამოთვლილი ნიშნების (ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი კუთვნილება) მიხედვით, გამორიცხავს ნებისმიერი ფორმით უთანასწორობას. დისკრიმინაციის ამკრძალავი ნიშნების მიმართ შეუძლებელია გატარდეს როგორც ხელშეწყობის, ისე შეზღუდვის ან აკრძალვის პოლიტიკა.

კონსტიტუციის 38-ე მუხლი განსაზღვრავს იმ სფეროებს, რომლებიც მოქალაქეებს შეუძლიათ თავისუფლად განავითარონ. კერძოდ, ეს არის კულტურა და დედაენით სარგებლობა პირად ცხოვრებაში და საჯაროდ. კონსტიტუცია ცალკე არ გამოყოფს პოლიტიკური ნების ფორმირების პროცესში უმცირესობის მონაწილეობის სფეროს. შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციის 38-ე მუხლი შემოიფარგლება უმცირესობისათვის მხოლოდ კულტურული ავტონომიის მინიჭებით.

კულტურის განვითარება, ასევე დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ სარგებლობის უფლება მოიცავს უმცირესობის ჯგუფის ყველა წარმომადგენელს, მიუხედავად მათი განსახლებისა. ამ უფლებათა რეალიზაცია შესაძლებელია მოხდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

კონსტიტუციის 38-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო „მოელის“ უშუალოდ მოქალაქეების აქტიურობას თავიანთი ენისა და კულტურის განვითარების პროცესში. სახელმწიფო კმაყოფილება დამცავი ფუნქციით. „ჩარევის გარეშე“ კულტურისა და ენის განვითარება გულისხმობს, რომ ამ პროცესში მონაწილეობა ეკრძალება როგორც ხელისუფლებას, ისე მესამე პირებს. სახელმწიფო ვალდებულია არ დაუშვას უმცირესობათა უფლებებში სხვა, გარეშე სუბიექტების ჩარევა.

კონსტიტუციის 38-ე მუხლიდან არ გამომდინარეობს სახელმწიფოს ვალდებულება, რომ ეროვნულ უმცირესობას გაუხსნას სკოლები ან სკოლებში დამატებით შემოიღოს ეროვნული უმცირესობის ენა როგორც სასწავლო დისციპლინა. თუ ეს უკანასკნელი სახელმწიფომ შემოიღო როგორც სასწავლო საგანი, მისი სწავლება უნდა მოხდეს ნებაყოფლობით – ნებისმიერი იძულება დაუშვებელია. უმრავლესობის წარმომადგენლებსაც, ასევე, უნდა მიეცეთ უმცირესობათა ენის სწავლის შესაძლებლობა. როგორც მთლიანად სასკოლო განათლება, ისე ეროვნული უმცირესობის ენის სწავლება არ უნდა ემსახურებოდეს ამა თუ იმ ჯგუფის გამიჯვნას უმრავლესობისაგან ან სხვა უმცირესობისაგან.

უმცირესობას შეუძლია ფინანსური დახმარება მოითხოვოს თავისი კულტურული დაწესებულებებისათვის. ამასთანავე, ეს მოთხოვნა ლეგიტიმური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გარკვეულ სუბვენციებს აძლევს უმრავლესობის მსგავსი ტიპის კულტურულ დაწესებულებებს.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტი (1966წ.), ასევე, შემიფარგლება იმ ნიშნების ჩამოთვლით, რომლის მიხედვითაც არ დაიშვება დისკრიმინაცია. ამავე დროს, პაქტი არ ადგენს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას განახორციელოს უმცირესობათა აქტიური ხელშეწყობის პოლიტიკა.

განსხვავებულად უდგება ამ საკითხს ევროსაბჭოს ჩარჩო-ხელშეკრულება ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო, აუცილ ებლობის შემთხვევაში, ხელს უწყობს ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სფეროში ეროვნული უმცირესობის და უმრავლესობის წარმომადგენელთა ფაქტობრივ თანასწორობას (მ.4., აბზ.2). უმცირესობების მიმართ განხორციელებული ხელშეწყობის პოლიტიკა არ განიხილება როგორც დისკრიმინაცია (მ.4, აბზ. 3.). აღნიშნული ხელშეკრულების მე-5 მუხლის პირველი აბზაცით დადგენილია სახელმწიფოს ვალდებულება ხელი შეუწყოს უმცირესობის კულტურის განვითარებას.

კონსტიტუციის 38-ე მუხლი მიმართულია სახელმწიფოსაკენ და იცავს კულტურისა და დედაენის სფეროს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისაგან. აღნიშნული მუხლი არ მოქმედებს მესამე პირების მიმართ.

კონსტიტუციის 38-ე მუხლი უშუალოდ არ იცავს უმცირესობის განსახლების გეოგრაფიულ არეალს. კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება“. მიმოსვლის უფლება ლოგიკურად გულისხმობს, რომ პირს აქვს განსაზღვრულ ადგილზე „დარჩენის“ უფლებაც. სახელმწიფო ვერ ჩაერევა ვერც პირის მიმოსვლის და ვერც განსაზღვრული ადგილის შერჩევის პროცესში. კონსტიტუციის 22-ე მუხლი იცავს იძულებითი გადაადგილებისაგან. მარს ალია, მიმოსვლის უფლება არ განიხილება როგორც უმცირესობის უფლება, მაგრამ იგი იძულებითი გადასახლებისაგან იცავს მოქალაქეს როგორც უმცირესობის წევრს. უმცირესობის წევრებს აქვთ საცხოვრებელი ადგილზე „დარჩენის“ უფლება.

მიმოსვლის უფლება უმცირესობებთან ჰომოგენობით აქტიური ხდება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შესაძლებელია შეიცვალოს იმ რეგიონის დემოგრაფიული სტრუქტურა, სადაც უმცირესობა კომპაქტურად ცხოვრობს. ეს ცვლილება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტების განხორციელებასთან (ვთქვით, რეგიონში შენდება ქარხანა, რომელიც მოითხოვს კვალიფიციური სპეციალისტების სხვა რეგიონებიდან მოწვევას). ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს მოქმედება არ შეიძლება განვიხილოთ როგორც დისკრიმინაციული. მუშახელის თავისუფალი გადაადგილება საბაზრო ეკონომიკის აუცილებელი პირობაა. მიმოსვლის თავისუფლება, როგორც ძირითადი უფლება, დაცულია კონსტიტუციის 22-ე მუხლით, ხოლო 30-ე მუხლის მე-2 ნაწილით „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას.“ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაც, ასევე იცავს ქვეყნის თავისუფლებას და ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებას.

კონსტიტუციის 38-ე მუხლი განსაკუთრებით გამოყოფს დედაენით თავისუფლად სარგებლობის უფლებას პირად ცხოვრებაში და საჯაროდ. ენით თავისუფლად სარგებლობის უფლება გამომდინარეობს კონსტიტუციის მე-16 მუხლიდან, რომლის თანახმადაც, „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება“. ენა პიროვნების იდენტურობის განმსაზღვრელი ელემენტია – ვისაც ენა აქვს, იმას აქვს სამყარო. ყველა ადამიანის ენა, მეტყველება ინდივიდუალური და განუმეორებელია. და რამდენადაც არც ერთ ადამიანს არა აქვს ისეთივე ენა, მეტყველება, როგორც სხვებს, თითოეულ ადამიანს აქვს სხვებისაგან განსხვავებული სამყარო (არტურ კაუფმანი).

უმცირესობის ენის მოქმედების არეალს, ობიექტურად, ზღუდავს სახელმწიფო ენა. სახელმწიფო ენის დადგენა ეფუძნება მართლზომიერ ინტერესს. სახელმწიფო ენა ასრულებს ინტეგრაციულ ფუნქციას, აადვილებს კომუნიკაციას. იგი ასევე აუცილებელია სახელმწიფო ორგანოთა ნორმალური ფუნქციონირებისათვის, სამართლის ერთგვაროვანი შეფარდებისათვის და სხვ. სახელმწიფო ენა არ ხელყოფს პიროვნების იდენტურობას. უმცირესობის ენა სავსებით შესაძლებელია ისწავლებოდეს სახელმწიფო ენასთან ერთად. კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას, უზრუნველყოფილია სახელმწიფო ენის შესწავლისა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა“.

II. კონსტიტუციის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას“.

ჩვენი აზრით, გამართლებული არ არის კონსტიტუციაში ცალკე, ზაზგასმით იმის გამოყოფა, რომ უმცირესობათა უფლებები უნდა განხორციელდეს სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მოთხოვნით. კონსტიტუციის ტექსტიდან გამომდინარე, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ უმცირესობა იმთავითვე „საშიშია“ სახელმწიფოსათვის, საფრთხეს უქმნის სახელმწიფო წესრიგსა და მთლიანობას.

კონსტიტუციის მსგავსი კონსტრუქცია უმცირესობის მიმართ აყალიბებს ნეგატიურ საზოგადოებრივ აზრს. მნიშვნელოვნად ზარალდება ნდობის ფაქტორიც უმცირესობა განიხილება როგორც საზოგადოების ნაწილი, რომელსაც „არ შეიძლება ენდო“. ასეთი მიდგომა უკვე თავისთავად უქმნის საფრთხეს ინტეგრაციულ პროცესებს, ხელს უწყობს გაუცხოებას უმცირესობასა და უმრავლესობას შორის.

კონსტიტუციის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისითაც, შეიძლება ითქვას, რომ ზედმეტია. ამავე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულებები ვრცელდება მხოლოდ უმცირესობაზე, რომლის წევრებიც არიან საქართველოს მოქალაქეები. საქართველოს მოქალაქეს, ცხადია, ეკისრება კონსტიტუციისა და სუვერენიტეტის დაცვის მოვალეობა. ანუ კონსტიტუციის 38-ე მუხლის მეორე პუნქტში მითითებული მოვალეობები უკვე იმთავითვე გამომდინარეობს უმცირესობათა მოქალაქეობრივი კუთვნილებიდან.

**მუხლი. 39.**

„საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.“

**I. შესავალი**

კონსტიტუციის 39-ე მუღი არ ადგენს ქცევის განსაზღვრულ წესს, რამდენადაც არ შეიცავს აკრძალვას, მოთხოვნას ან ნებართვას. შესაბამისად, ამ მუხლით არ არის განმტკიცებული რომელიმე ძირითადი უფლება. 39-ე მუხლის საფუძველზე უნდა დაუშვათ, რომ ზოგიერთი „ძირითადი უფლება თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან“.

ნებისმიერი ნორმა, მათ შორის ძირითადი უფლებაც, ყალიბდება პრინციპის საფუძველზე. ამავე დროს, არ არსებობს ძირითადი უფლება, რომელიც „თავისთავად გამომდინარეობს“ კონსტიტუციის პრინციპებიდან. თუ დაუშვებთ ასეთი უფლების არსებობას, უნდა განვსაზღვროთ, თუ რა სახით შეიძლება არსებობდეს იგი. იგულისხმება, რომ ეს ძირითადი უფლება არ არსებობს ნორმის სახით. მაგრამ ძირითადი უფლება უნდა არსებობდეს სწორედ ნორმის სახით, რომელიც ადგენს ქცევის განსაზღვრულ წესს. ნორმა არის ძირითადი უფლების ყოფიერების ერთადერთი ფორმა. პრინციპებიდან შეუძლებელია დედუქციურად იქნეს ქცევის მკაფიოდ განსაზღვრული მოდელი. ძირითადი უფლება გამომდინარეობს პრინციპებიდან, მაგრამ არა „თავისთავად“, ძირითადი უფლება აუცილებლად უნდა იქნეს აყვანილი ნორმის რანგში. ამასთანავე, ეს უნდა იყოს პოზიტიურად განმტკიცებული ნორმა (და არა „ზეპოზიტიური ნორმა“). ძირითადი უფლებები, მართალია, სახელმწიფოსაგან არ არის წარმოებული, მაგრამ ის, ამავე დროს, არც ბუნებისსამართლებრივი ნორმაა. ძირითადი უფლება არის „პოზიტივიზებული ნორმა“. ძირითადი უფლება შეიძლება განვიხილოთ როგორც პრინციპი. მაგრამ, ასეთი მიდგომა მინც აქ ამართლებს კონსტიტუციის 39-ე მუხლის დებულებას.

შეიშენას იმსახურებს ამავე მუხლში მოხსენიებული „ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებული უფლებების“ შინაარსი. „საყოველთაოდ აღიარებული უფლებები“ სხვა არაფერია, თუ არა თვითონ კონსტიტუციაში, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და იმ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში განმტკიცებული უფლებები, რომლებსაც უკვე შეეერთდა საქართველო და რომლებიც, შესაბამისად, წარმოადგენს სამართლის წყაროს. არახუსტია თვითონ ცნებაც: „საყოველთაოდ აღიარებული“. ძირითადი უფლების სავალდებულოობა არ შეიძლება განისაზღვროს იმის მიხედვით, იგი „საყოველთაოდ არის აღიარებული“, „აღიარებული“ თუ „ნაწილობრივ აღიარებული“. მსგავსი გრადაცია (აღიარების თვალსაზრისით) არანაირ გავლენას არ ახდენს ძირითადი უფლების შინაარსზე. ძირითადი უფლება ან მოქმედებს, ან არ მოქმედებს – მისი ნორმატიული სავალდებულოობა არანაირად არ უკავშირდება აღიარებას.

კონსტიტუციის 39-ე მუხლთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა

იყოს სამართლის პრინციპებსა და ნორმას შორის კავშირის ზოგიერთი ასპექტის განხილვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ურთიერთკავშირი საერთო ხასიათისაა და მოიცავს არა მარტო კონსტიტუციას, არამედ სამართლის სხვა წყაროებსაც.

პრინციპსა და კონსტიტუციურ ნორმას შორის არსებობს შემდეგი ურთიერთკავშირი: 1) კონსტიტუციური ნორმის საფუძველზე შესაძლებელია კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტა. მხოლოდ კონსტიტუციური პრინციპის საფუძველზე ვერ ხერხდება კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტა. სამართლის პრინციპი მხოლოდ ნორმასთან (ძირითად უფლებასთან) ერთად იძლევა კონკრეტული ურთიერთობის გადაწყვეტის შესაძლებლობას. პრინციპი არის არგუმენტი, რომელიც გეჩვენებს განსაზღვრულ მიმართულებას, მაგრამ არ გვაძულებს, რომ გადაწყვეტილება მივიღოთ ამ არგუმენტის საფუძველზე. მხოლოდ პრინციპის საფუძველზე (სამართლის ნორმის გარეშე) შეუძლებელია კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტა;<sup>1</sup> 2) კონკრეტულ ნორმასა და პრინციპს შორის კონკურენციისას უპირატესობა ენიჭება სამართლის ნორმას; 3) სამართლის ნორმა ან მოქმედებს, ან საერთოდ არ მოქმედებს. იმ შემთხვევაში, თუ ერთმანეთთან კოლიზიაში მოდის ორი ან მეტი ნორმა, მაშინ ერთ-ერთ ნორმას უნდა მიენიჭოს უპირატესობა;<sup>2</sup> 4) სამართლის ორი ან მეტი პრინციპის კოლიზიის შემთხვევაში თითოეული მათგანი ინარჩუნებს საეკვალდებულობას: უნდა მოხდეს მხოლოდ ამ პრინციპების აწონ-დაწონა, ანუ პრინციპი იძენს მხოლოდ შეფარდებით უპირატესობას; 5) ახალი ნორმის ჩამოყალიბება, ჩვეულებრივ, სამართლის პრინციპის საფუძველზე ხდება.

გარკვეული კავშირი არსებობს კონსტიტუციის პრინციპსა და ღირებულებას შორის. პრინციპი გამომდინარეობს პოზიტიური სამართლიდან ან იურიდიული ტრადიციიდან. ღირებულებები არსებობდა სამართლამდე და სამართლისაგან დამოუკიდებლად. კონსტიტუციაც ეფუძნება განსაზღვრულ ღირებულებით სისტემას. ღირებულებას აქვს პოლიტიკური ან ეთიკური მოქმედება. ღირებულება მოქმედებს იმიტომ, რომ მოქმედებს – ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. რამდენადაც პრინციპები ემპირიული სინამდვილისგან ყალიბდება (ღირებულებებისაგან განსხვავებით), მათ აქვთ არა ნორმატიული, არამედ მოდელური ხასიათი. არსებობს „ღიდი“ და „პატარა“ ღირებულებები და, შესაბამისად, „ღიდი“ და „პატარა“ პრინციპები. ამავე დროს, ღირებულება ახასხავს უფრო დიდ და აბსტრაქტულ საბოლოო მიზანს, რომელიც თავის მხრივ, არ აყალიბებს რაიმე მიზნის მოღწევის საშუალებას. მრავალი „პატარა“ პრინციპი კი არის არა თვითმიზანი, არამედ საშუალება სხვა მიზნის მისაღწევად.

ღირებულება ფუნდამენტურია, პრინციპი, პირიქით, პლურალური. პრინციპი უშვებს გამონაკლისს. ამიტომაც ხდება მათი აწონ-დაწონა. მეტწილ შემთხვევაში ღირებულება აბსოლუტურია და არ უშვებს გამონაკლისს. ღირებულება გახდება სამართლის პრინციპი, თუ იგი აღიარებულ იქნა მართლწესრიგის მიერ. ამით ღირებულება კარგავს ფუნდამენტალისტურ ხასიათს (რამდენადაც მას უწევს დანარჩენ სამართლებრივ პრინციპებთან კონკურენცია).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში N 2/6/

<sup>1</sup> Dworkin, R., Bürgerrechte ernst genommen, übersetzt von Ursula Wolf, S. 54ff.

<sup>2</sup> Alexy, R., Theorie der Grundrechte, 1986, S. 146.

205.232(2003 წლის 3 ივლისი)<sup>1</sup>, მიუთითა, რომ 39-ე მუხლი – „... არ არის უფლებათა და თავისუფლებათა მტვირთველი ნორმა“. მიუხედავად იმისა, რომ 39-ე მუხლი არ განამტკიცებს ძირითად უფლებებს (და, როგორც ასეთი, არც ნორმას), გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ „...კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნული დავის საგნის კონსტიტუციურობის დადგენისას, კონსტიტუციის 39-ე მუხლიდან გამომდინარე, შესაძლებელია იმსჯელოს მხოლოდ იმ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევაზე, რაც საქართველოს კონსტიტუციით უშუალოდ არ არის გათვალისწინებული, მაგრამ გამომდინარეობს მისი პრინციპებიდან და ზოგადი სულისკვეთებიდან“. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, „საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე: მოსარჩელემ თვითონ უნდა განსაზღვროს მისი ის დარღვეული უფლება, რომელსაც კონსტიტუცია პირდაპირ ითვალისწინებს, მაგრამ რაც გამომდინარეობს მისი არსიდან.“ აქვე მითითებულია, რომ „... საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ, თავის 2002 წლის 18 აპრილის N 1/1N126,129,158 გადაწყვეტილებაში განმარტა, „რომ მოსარჩელეთა მოთხოვნები შეეხება მათი იმ კატეგორიის. უფლებების დაცვას, რაც მართალია, ცალკე არაა გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ მისი პრინციპებიდან...“ და „მოსარჩელეთა აღნიშნული... უფლებები უნდა მივიჩნიოთ კონსტიტუციის 39-ე მუხლის შინაარსით გათვალისწინებულ და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ... უფლებებად...“.

კონსტიტუციის პრინციპები შეიძლება იყოს დაწერილი და დაუწერელი. დაწერილი პრინციპები გამოხატულია კონსტიტუციური ნორმებით. დაუწერელი სამართლის პრინციპი მკაფიოდ არ არის გამოხატული სამართლის ნორმაში, გამომდინარეობს სამართლის ერთიანი სისტემიდან და კონკრეტიზებულია სასამართლო გადაწყვეტილებებში. კონსტიტუციის დაუწერელი პრინციპია, მაგალითად, თანაზომიერების პრინციპი, რომელიც მხოლოდ არასრულყოფილადაა ფორმულირებული კანონში. საქართველოს კონსტიტუციაში განმტკიცებულია დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოს, სოციალური სახელმწიფოს, ხელისუფლების დანაწილებისა და სხვა პრინციპები.

**II. დემოკრატიის პრინციპი საქართველოს კონსტიტუციაში**

საქართველოს კონსტიტუცია არ იცნობს დემოკრატიის მკაფიოდ დადგენილ ცნებას. კონსტიტუციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი მხოლოდ განსაზღვრავს, რომ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის „დემოკრატიული რესპუბლიკა“. ანუ დემოკრატიის ცნებას კონსტიტუცია, არსებითად, იყენებს ზედსართავი სახელის მნიშვნელობით.

დემოკრატია შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობით გავიგოთ. დემოკრატია შეიძლება განვმარტოთ როგორც ხალხის მმართველობა (დემოკრატია როგორც ხალხის მმართველობა ხალხის მეშვეობით) ან მმართველობის მიზნიდან გამომდინარე (ხალხ-

<sup>1</sup> 1. მოქალაქე აეთანდღე რეჟიმში საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. 2. მოქალაქე ნელი მუძლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.



ის საკეთილდღეოდ, ხალხისათვის), ან როგორც ხალხის ნების ფორმირების პროცესი (დემოკრატია როგორც უმრავლესობის მმართველობა), ანდა როგორც თანასწორობა (დემოკრატია როგორც თანასწორობის ბატონობა).

ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოები მხოლოდ განსაზღვრული ვადით არიან არჩეული და, მასშადად, ლეგიტიმირებული. არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა არ დაიშვება, გარდა კონსტიტუციით გათვალისწინებული წესისა (კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი). სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი (მ. 5. პ. 1.). სახალხო სუვერენიტეტის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო ორგანოები იყენენ დემოკრატიულად ლეგიტიმირებული. კონსტიტუციის 28-ე მუხლით განმტკიცებული არჩევნებში მონაწილეობის უფლება არის იმის გარანტია, რომ დაუშვებელია ხელისუფლების არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოების უფლებამოსილებათა გაუმართლებელი შეზღუდვა ან გაუქმება.

დემოკრატიის ორგანიზაციული პრინციპებია თავისუფლება და თანასწორობა, რომლებიც გარკვეული თვალსაზრისით ბოჭავს უმრავლესობის მმართველობას. თანასწორობა არ გულისხმობს საყოველთაო ეგალიტარიზმს. რუსო თანასწორობას განმარტავდა როგორც ისეთ მდგომარეობას, როდესაც საზოგადოების არც ერთი წევრი არ არის იმდენად მდიდარი, რომ შეეძლოს „სხვების ყიდვა“, და არაინ არის იმდენად ღარიბი, რომ იძულებული იყოს „სხვებს მიეყიდოს“. სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას საზოგადოების პოლარიზაცია „ძალიან მდიდარ“ და „ძალიან ღარიბ“ ფენებად. საშუალო ფენა პოლიტიკური სტაბილურობისა და დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

დემოკრატიის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო უნდა ემსახურებოდეს ადამიანებს, და არა პირიქით. სახელმწიფოს ერთადერთი და უზენაესი მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანი. სახელმწიფო არის არა მიზანი, არამედ საშუალება ადამიანის მიზნისათვის. ადამიანი დგას სახელმწიფოს საქმიანობის ცენტრში. სახელმწიფო ხელისუფლება შებოჭილია ადამიანით, მისი უფლებებით.

დემოკრატიის პრინციპსა და ადამიანის ღირსებებისა და თავისუფლებების დაცვას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. კონსტიტუცია არ განიხილავს ადამიანს როგორც საზოგადოებისაგან იზოლირებულ ინდივიდს. ინდივიდსა და საზოგადოებას შორის არსებობს გარკვეული ანტაგონიზმი. კონსტიტუცია უშუაებს ამ წინააღმდეგობას იმ ფარგლებში, რაშიც არ არის დარღვეული პიროვნების ანდივიდუალური ავტონომია. ადამიანს აქვს თვითგამორკვევის თავისუფლება. თავისუფალი თვითგამორკვევის სფეროში ნებისმიერი ჩარევა არის ადამიანის ღირსების ხელყოფა. ამავე დროს, ადამიანის ჭეშმარიტი არსება ყალიბდება სხვა ინდივიდებთან კავშირსა და ურთიერთობაში – სოციალური სოლიდარობა ინდივიდუალური ღირსების დაცვის პირობაა.

კონსტიტუციის დამდგენი ძალაუფლება აქვთ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს. საქართველოს მოქალაქეების ცნება მოიცავს კონსტიტუციის ტერიტორიული მოქმედების ფარგლებში მცხოვრებ სახელმწიფო ხალხს. ამ თვალსაზრისით, საქართველოს მოქალაქეების ცნება არ არის დამოკიდებული ინდივიდის ასაკზე.

სახელმწიფო ნება უნდა ჩამოყალიბდეს ხალხის ნების შესაბამისად, და არა პირიქით. დემოკრატიის კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარეობს ისიც, რომ თითოეული მოქალაქე პოლიტიკურად თანასწორია და საკუთარი აზრის თავისუფალი გამოხატვის შესაძლებლობა აქვს. უმცირესობას უნდა ჰქონდეს იმის შანსი, რომ

გახდეს უმრავლესობა. განსაკუთრებით დაცული უნდა იყოს საპარლამენტო ოპოზიციის საქმიანობა.

დემოკრატიული წესრიგი შესაძლებელია ფუნქციონირებდეს მხოლოდ კარგად ინფორმირებული საზოგადოებრივი აზრის პირობებში. ინფორმაციის მიღებისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიის წინაპირობაა. დემოკრატიის პრინციპი მოითხოვს, რომ საკანონმდებლო ორგანოს წევრების არჩევნები მოხდეს საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე. ამ წესის რაიმე ფორმით რევიზია იქნებოდა დემოკრატიის პრინციპის დარღვევა.

დემოკრატიული ლეგიტიმაციის მოპოვება ხელისუფლებას შეუძლია მხოლოდ თავისუფალ არჩევნებში. არჩევნების თავისუფლება მხოლოდ ხმის მიცემის პროცედურით არ შემოიფარგლება, არამედ მოიცავს საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მთელ პროცესს. ამ ამოცანის რეალიზაციას ემსახურება, მაგალითად, პარლამენტის სხდომების საჯაროობა (მ. 60, პ. 1.), ასევე სასამართლო გადაწყვეტილების საქვეწოდ გამოცხადება (მ. 85. 5. 1.).

კონსტიტუციის პრემულიდან გამომდინარე უნდა ვაღიაროთ, რომ კონსტიტუცია განასხვავებს კონსტიტუციის დამდგენ ძალაუფლებას (pouvoir constituant) და კონსტიტუციურსამართლებრივად ორგანიზებულ ხელისუფლებას (pouvoirs constitues), რომელიც წარმოებულია კონსტიტუციის დამდგენი ხელისუფლებისაგან. კონსტიტუციის დამდგენი ხელისუფლების წყაროა საქართველოს მოქალაქეები. ეს ხელისუფლება, ასევე, არის სამართლის წყარო. ხალხის ხელისუფლება არის არა „ერთჯერადი“, არამედ „გაგრძელებადი“ ხელისუფლება, რომელსაც პერმანენტულად შეუძლია აწარმოოს ახალ-ახალი სამართალი. კონსტიტუციის დამდგენი ხელისუფლება შედარებით ნაკლებად არის შებოჭილი. ლოგიკურად, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ წყარო (ამ შემთხვევაში ხალხი) შებოჭილია მის მიერვე დადგენილი ხელისუფლების ორგანოების სისტემით კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“. საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებს ხალხი მხოლოდ „იყენებს“ თავისი ძალაუფლების განსახორციელებლად.

სახალხო სუვერენიტეტი დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპია. ხალხი ერთდროულად არის როგორც ხელისუფლების სუბიექტი, ისე (როგორც სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობლიობა) ობიექტი. სახალხო სუვერენიტეტი გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების სუბიექტისა და ობიექტის იდენტურობას. „მმართველებისა“ და „მართულთა“ იდენტურობა არ წარმოადგენს ფიქციას – სახალხო სუვერენიტეტი უზრუნველყოფს „თავისუფლებას ქვეშევრდომობაში“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Kommentar zum Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Band 1., 1984, S. 1271.

## III. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი უშუალოდ არ აწარმოებს ძირითად უფლებებს (ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა პრინციპი). სოციალური სახელმწიფოს პრინციპის პროგრამული მნიშვნელობა აქვს კანონმდებლისათვის – ის არის სახელმწიფოს მიზანი. სოციალური სახელმწიფო დინამიკური ცნებაა, რომელშიც ასახულია ცხოვრების არსებული სტანდარტები, საზოგადოების სოციალურ და ეკონომიურ სფეროში მიმდინარე პროცესები.

კონსტიტუცია არ აკონკრეტებს, თუ რა საშუალებით და რა დროში უნდა იქნეს მიღწეული სოციალური სახელმწიფოს მიზანი. ამ თვალსაზრისით, კანონმდებელი სარგებლობს მოქმედების ფართო თავისუფლებით. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ადგენს სახელმწიფოს ამოცანებს, მაგრამ არაფერს ამბობს როგორ უნდა განხორციელდეს ეს ამოცანა.<sup>1</sup> კანონმდებელი უფლებამოსილია დააკონკრეტოს არა მარტო მიზნის მიღწევის საშუალებები, ფორმები და დრო, არამედ თვითონ სოციალური სახელმწიფოს მიზნის სფეროც.<sup>2</sup>

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი თავისთავად არ აწარმოებს კონკრეტულ ძირითად უფლებას, მაგრამ ღიდ როლს თამაშობს ძირითადი უფლებების განმარტების პროცესში. სარჩელი, რომელიც ეფუძნება მხოლოდ სოციალური სახელმწიფოს პრინციპის დარღვევას, ჩვეულებრივ, არ მიიღება. ინდივიდის მოთხოვნა და (მისი შესაბამისი) სახელმწიფოს კონკრეტული ვალდებულება უნდა გამოძინარეობდეს მხოლოდ ძირითადი უფლებებიდან. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ნორმატიულ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ ძირითად უფლებებთან კავშირში.

სოციალური სახელმწიფო ესწრაფვის სოციალურ უსაფრთხოებასა და სოციალურ გათანაბრებას.<sup>3</sup> სოციალური სახელმწიფოს მიზანია, გაჭირვებისა და სიღარიბის შემთხვევაში დახმარება და თითოეული ადამიანის ღირსეული საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფა; მეტი თანასწორობა ქონებრივ მდგომარეობაში არსებული განსხვავების დაძლევის გზით; მეტი უსაფრთხოება ცხოვრების „მოულოდნელობების“ წინაშე; საერთო კეთილდღეობის დონის ამაღლება და გაფართოება.<sup>4</sup>

ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს მოქალაქეების ღირსეული ყოფის მინიმალური პირობები მაინც. კანონმდებელი დამოუკიდებლად წყვეტს, როდის ან რა საშუალებები გამოიყენოს სოციალური სახელმწიფოს მიზნის რეალიზაციისათვის. საარსებო მინიმუმის შემთხვევაში კანონმდებელს მოქმედების ასეთი თავისუფლება არ გააჩნია. კანონმდებელი ვალდებულია აქტიურად იმოქმედოს იმ შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ემოქმედება ადამიანის ღირსეული ყოფისათვის მინიმალური პირობების უზრუნველყოფას.<sup>5</sup> საარსებო მინიმუმი არის ის სფერო, რომელიც კანონმდებელს არ აძლევს უმოქმედოდ ყოფნის უფლებას. კანონმდებელი არღვევს კონსტიტუციას, თუ იგი უმოქმედოდაა მამინ, როდესაც არ არის უზრუნველყოფილი ადამიანის საარსებო

<sup>1</sup> BVerfGE 100, 271.

<sup>2</sup> BVerfGE 59, 231.

<sup>3</sup> Karl-Peter Sommermann, in.: v. Mangoldt/Klein/Starck, Grundgesetz. Kommentar, Band 2., 4. Auflage, S. 53.

<sup>4</sup> Zacher, H., Das soziale Staatsziel, in.: Handbuch für Staatsrecht, I, §25, S. 1045.

<sup>5</sup> BVerfGE 82, 60.

მინიმუმში.<sup>1</sup> საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია კანონმდებელს მიუთითოს საარსებო მინიმუმის უზრუნველსაყოფად განსხვავებული ღონისძიებების შესახებ. ანტიკონსტიტუციური იქნება სახელმწიფოს მოქმედება იმ შემთხვევაშიც, თუ არსებული რესურსები იძლევა საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის საშუალებას, მაგრამ ხელისუფლება მათ არ იყენებს.

ცხადია, სახელმწიფო არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფაზე. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს საზოგადოებაში მაღალი სოციალური სტანდარტების დამკვიდრებაზე. უნდა გაეითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ სოციალური სახელმწიფოს ცნება დინამიკურია და მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზოგადოებრივი განვითარების ღონეზე.

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ბოჭავს არა მარტო კანონმდებელს, არამედ აღმასრულებელ ხელისუფლებასაც. ძირითად უფლებებში ჩარევისას კანონმდებელს შეუძლია დაეყრდნოს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს (თანაზომიერების პრინციპთან ერთად). კანონმდებლისაგან განსხვავებით, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო არ არის უფლებამოსილი ძირითად უფლებებში ჩარევის მართლზომიერება დაასაბუთოს სოციალური სახელმწიფოს მიზნიდან გამომდინარე.<sup>2</sup> როგორც ყველა სახელმწიფო მიზანი, სოციალური სახელმწიფოს მიზანიც უნდა განხორციელდეს მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოს საშუალებებით,<sup>3</sup> მათ შორის კანონის უზენაესობისა და კანონიერების პრინციპის დაცვით.

სახელმწიფო ვალდებულია საერთო სიკეთის გადანაწილებაში არ დაუშვას ზღვარგადასული უსამართლობა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ ბრძოლა უნდა გამოუცხადოს სიმდიდრეს ან მდიდარს „ჩამოართვას“ და ღარიბს „მისცეს“. სახელმწიფო პოლიტიკა უნდა ემსახურებოდეს სიმდიდრის გამრავლებას, რომლის დროსაც იგი მიუსაფართა სახლებს კი არ ააშენებს, არამედ სიღარიბისაგან დაგვიცავს (რუსო). სახელმწიფო პოლიტიკა არ უნდა იყოს ცალმხრივი, ანუ არ უნდა ატარებდეს მდიდრებისათვის ხელშეწყობისა და ღარიბების დაჩაგვრის ხასიათს. უნდა აღინიშნოს, რომ სამართლიანობის კატეგორია შედარებით ნაკლებ როლს ასრულებს სოციალური სახელმწიფოს კონცეფციაში. სამართლიანობა სუბიექტური კატეგორიაა. თანამედროვე პლურალური საზოგადოების რთული და მრავალფეროვანი სტრუქტურებიდან გამომდინარე, თითქმის შეუძლებელია არსებობდეს სამართლიანობის შესახებ მეტნაკლებად ერთიანი შეხედულებები.

სოციალური დახმარების ინსტიტუტი სოციალური სახელმწიფოს არსებითი ნაწილია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ადამიანის ღირსეული მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაზე. სახელმწიფო ვალდებულია მოქალაქეს ასეთი პირობები შეუქმნას სოციალური დახმარების მეშვეობით.<sup>4</sup> სოციალური სახელმწიფოს პრინციპის მოქმედება, ასევე, ვრცელდება შემოსავლების დაბეგვრის სისტემაზე. კერძოდ, დაბეგვრის შემდეგ დარჩენილი თანხა არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმზე ნაკლები. სოციალური დახმარება უნდა გაეწიოს იმ პირებს,

<sup>1</sup> Karl-Peter Sommermann, in.: v. Mangoldt/Klein/Starck, Grundgesetz. Kommentar, Art. 20. Rdn. 115.

<sup>2</sup> BVerfGE 59, 231.

<sup>3</sup> BVerfGE 88, 203.

<sup>4</sup> BVerfGE, 82, 85.

რომლებიც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო აქტიურად ვერ მონაწილეობენ საზოგადოების ცხოვრებაში. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მოსახლეობის ნაკლებადუზრუნველყოფილი ფენები. სახელმწიფოს, ასევე, გარკვეული ვალდებულება ეკისრება სამუშაოდან გათავისუფლებული პირების მიმართ. უმუშევართა რესოციალიზაციაზე ზრუნვა სახელმწიფოს ერთერთი სოციალური ვალდებულებაა. კონსტიტუციის 32-ე მუხლის თანახმად, „სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში“.

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი მოქმედებს განათლების სფეროშიც. ენერგიით უზრუნველყოფაც პიროვნების ღირსეული ყოფის აუცილებელი ელემენტი და სახელმწიფოს სოციალური ვალდებულებაა.<sup>1</sup>

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი საგადასახადო პოლიტიკაშიც უნდა იქნეს გათვალისწინებული. საშემოსავლო გადასახადის ოდენობა ორიენტირებული უნდა იყოს პირის ფინანსურ მდგომარეობაზე. დაბეგვრის სისტემა უნდა იყოს მარტივი, ამ შემთხვევაში, ის უფრო სამართლიანიც იქნება.

სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, ხელისუფლება ვალდებულია ხელი შეუწყოს მსჯავრდებულთა, აგრეთვე ნასამართლევ პირთა რესოციალიზაციას. მსჯავრდებულებს უფლება აქვთ სახელმწიფოს მოსთხოვონ ამ მიმართულებით გარკვეული ღონისძიებების გატარება. მსჯავრდებულებს, აგრეთვე ნასამართლევ პირებს უნდა მიეცეთ საზოგადოების ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის შანსი. რესოციალიზაციის უფლებით სარგებლობს ის პირიც, რომელსაც მისჯილი აქვს უვალო თავისუფლების აღკვეთა.<sup>2</sup>

ძირითადი უფლებები, ასევე, ზღუდავს სოციალური სახელმწიფოს პრინციპის მოქმედების სფეროს. მაგალითად, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი არ უნდა არღვევდეს კონსტიტუციით დადგენილ თანასწორობას.<sup>3</sup> თუ სახელმწიფომ სოციალური დახმარება გაუწია მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფს, თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, ასეთმა ღონისძიებებმა უნდა მოიცვას მოსახლეობის დანარჩენი ჯგუფებიც.<sup>4</sup>

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, თანასწორობის პრინციპთან ერთად, მოითხოვს, რომ სამართლებრივი დაცვა არ იყოს დამოკიდებული ინდივიდი: ქონებრივ მდგომარეობაზე. ნაკლებად შეძლებულ პირებს უნდა გაეწიონ დახმარება საპროცესო ხარჯების დაფარვაში.<sup>5</sup> გაწეული საპროცესო ხარჯები სფეროზე არ უნდა უქმნიდეს ადამიანის საარსებო მინიმუმს.<sup>6</sup>

სოციალური სახელმწიფოსა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს შორის არსებობს ურთიერთკავშირი და, გარკვეული აზრით, ანტაგონიზმიც. სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი ღირებულებაა ადამიანის ღირსება და ინდივიდუალური თავისუფლება. სამართლებრივი სახელმწიფო მოითხოვს, რომ სოციალურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევა უნდა მოხდეს განსაზღვრული ფარგლების დაცვით, რამ-

<sup>1</sup> B VerfGE 38, 270; 45, 78; 66, 258.

<sup>2</sup> B VerfGE 45, 187 ff.

<sup>3</sup> B VerfGE 12, 367.

<sup>4</sup> B VerfGE 97, 35.

<sup>5</sup> B VerfGE 9, 131; 10, 270; 22, 86.

<sup>6</sup> B VerfGE 78, 117 ff.

დენადაც ზღვარგადასულმა ჩარევამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის ინდივიდუალურ ავტონომიასა და თავისუფლებას. სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი სიკეთის განაწილების სფეროში გატარებული აქტიური სოციალური პოლიტიკა არ უნდა აჩლუნგებდეს ინდივიდუალურ ინტერესს. სოციალური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ევალიტარიზმი არ უნდა ესწრაფოდეს არსებული განსხვავებების სრულ ნიველირებას. აქტიური ხელშეწყობისა და დახმარების პოლიტიკამ არ უნდა დაამკვიდროს მასობრივი სოციალური პარაზიტიზმის იდეოლოგია, რომელიც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ეკონომიკურ განვითარებას. ასეთი პოლიტიკა, საბოლოოდ, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სოციალური სახელმწიფოს მომავალსაც (როდესაც გასანაწილებელი არაფერი დარჩება, ცხადია, შეუძლებელია ვილაპარაკოთ „სოციალურად ორიენტირებულ“ განაწილებაზე). საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას“ (მ.30, პ. 2.). შეიძლება დავასკვნათ, რომ ტოტალურ თანასწორობასთან მიმართებით სახელმწიფომ უპირატესობა მიანიჭა ინდივიდუალური ინიციატივისა და თავისუფლების იდეას. მხოლოდ თავისუფალ და ინიციატივიან ადამიანს შეუძლია უზრუნველყოს პროგრესი, მათ შორის, ეკონომიკურიც. განაწილების სისტემა არ უნდა ახშობდეს ასეთ კერძო ინიციატივას.

თავისუფლება სამართლებრივი სახელმწიფოს უზენაესი ღირებულებაა. სახელმწიფო მაქსიმალურად თავშეაყვებულად უნდა ჩაერიოს ინდივიდუალური თავისუფლების სფეროში. ნებისმიერი ასეთი ჩარევის მართლზომიერება უნდა იქნეს დასაბუთებული. სოციალური სახელმწიფოს მიზანზე დაყრდნობით, სახელმწიფო ვერ გაამართლებს ინდივიდის თავისუფლების სფეროს გაუმართლებელ შეზღუდვას. ამავე დროს, სახელმწიფოს სოციალური აქტივობა არ უნდა წარმართოს ინდივიდუალური თავისუფლების შეზღუდვისა და საყოველთაო თანასწორობის დამკვიდრების მიმართულებით. ცხადია, თავისუფლების პრინციპის დაცვა სახელმწიფოს არ ათავისუფლებს მთელი რიგი სოციალური ვალდებულებებისაგან. ინდივიდუალური თავისუფლების რეალიზაციაში მოითხოვს გარკვეულ სოციალურ და ეკონომიკურ წინაპირობებს, რომელთა ჩამოყალიბებაზეც უნდა იზრუნოს სახელმწიფომ. სოციალური სახელმწიფო არ ცდილობს ინდივიდუალური ინიციატივის „დაჩლუნგებას“. სოციალური სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარება არის „დახმარება თვითდახმარებისათვის“<sup>1</sup>, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, მიზნად ისახავს თავისუფლების ხელშეწყობას. ინდივიდუალური თავისუფლება, ამავდროულად, აყალიბებს არსებული დოვლათის მართლზომიერი განაწილებისა და ამ სფეროში სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბს.<sup>2</sup>

ინდივიდის განვითარებაში სოციალური სახელმწიფო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს განათლებას, მეცნიერებასა და კულტურას. ამ თვალსაზრისით, სოციალური სახელმწიფო კულტურის სახელმწიფოცაა.<sup>3</sup>

<sup>1</sup> Karl-Peter Sommermann, in.: v. Mangoldt/Klein/Starck, Grundgesetz. Kommentar, Band 2. Art. 20. Rdn. 106.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, Rdn. 107.

## IV. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში სამართლებრივი სახელმწიფო განმარტებულია როგორც სახელმწიფოს მიზანი. „სამართლებრივი სახელმწიფო“ წმინდა გერმანული ცნებაა. სხვა, განსაკუთრებით ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, არ არსებობს მისი ადეკვატური ცნება. „etat de droit“-ის და „stato di diritto“-ს ცნებები ჩამოყალიბდა გერმანული „სამართლებრივი სახელმწიფოს“ გაუღენით.<sup>1</sup>

სამართლებრივი სახელმწიფოსაგან შინაარსობრივად განსხვავდება „Rule of Law“-ის ინგლისური პრინციპი. ეს უკანასკნელი, ძირითადად, მოიცავს Common Law-ს ქვეყნებს. საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო ორგანიზაციების პრაქტიკაშიც უფრო მეტად გავრცელებულია „Rule of Law“-ის პრინციპი. სამართლებრივ სახელმწიფოსა და „Rule of Law“-ის შორის არსებული განსხვავება რამდენადმე „შეარბილა“ თანამედროვე დასავლური დემოკრატიის განვითარების საერთო ტენდენციებმა. თუმცა, მთელი რიგი მსგავსებების მიუხედავად, სამართლებრივი სახელმწიფო და Rule of Law არ არის სინონიმური ცნებები.

„Rule of Law“-ის ცალკეულმა დებულებებმა განვითარება ჰპოვა როგორც Common Law-ის სამოსამართლო სამართალში, ისე ცალკეულ სამართლებრივ აქტებში (მაგალითად, Magna Carta). ისტორიულად, „Rule of Law“ ჩამოყალიბდა როგორც სამართლის მიერ მონარქის შეზღუდვის პრინციპი. მოგვიანებით იგი ტრანსფორმირებულ იქნა საპარლამენტო სუვერენიტეტის (Supremacy of Parliament) პრინციპად. ინგლისური „Rule of Law“-ისგან განსხვავებით, გერმანული „სამართლებრივი სახელმწიფო“ არ იყო მმართველობის საპარლამენტო სისტემასთან დაკავშირებული. „Rule of Law“-ს ბრიტანული კონცეფციის თანახმად, შეუძლებელია პარლამენტის შეზღუდვა კონსტიტუციით. და პირიქით, სამართლებრივი სახელმწიფოს გერმანული თეორია ეფუძნება კონსტიტუციის მიერ კანონმდებლის შეზღუდვის იდეას. Rule of Law მოქმედებს არა როგორც (კანონმდებ) არსებული სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდველი პრინციპი, არამედ იგი ხელისუფლების საფუძველია.

„Rule of Law“ ერთდროულად არის როგორც ინდივიდუალურ-სამართლებრივი, ისე პოლიტიკური პრინციპი.<sup>2</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისაგან განსხვავებით, Rule of Law არ არის დოგმატიზებული – ლეგალიზმი დღემდე წარმოადგენს კონტინენტური სამართლის სისტემის ძირითად დამაბასიათებელ ნიშანს.<sup>3</sup> Rule of Law-ის ბრიტანული კონცეფცია შეიძლება განხილული იქნეს სამ ასპექტში: 1) Rule of Law წარმოადგენს საზოგადოების ფილოსოფიურ მოდელს, რომელიც ეფუძნება დემოკრატიის პრინციპებს და ასახავს სამართლისა და წესრიგის იდეას, ანარქიის, ომისა და კონფლიქტის საპირისპიროდ; 2) Rule of Law არის ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპი, რომლის თანახმადაც, ხელისუფლება უნდა დაემორჩილოს სამართალს; 3) როგორც პოლიტიკური პრინციპი „Rule of law“ აყალიბებს იმ სახელმძღვანელო დებულებებს, რომელზეც ორიენტირებული უნდა იყოს კანონმდებელი.<sup>4</sup> ინდივიდუალური უფლებების დაცვის თვალსაზრისით „Rule of law“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პროცესუალურ გარანტიებს („natural justice“).

<sup>1</sup> Kommentar zum Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, 1984, S. 1290.

<sup>2</sup> Kommentar zum Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, 1984, S. 1290.

<sup>3</sup> Karl-Peter Sommermann, in.: v. Mangoldt/klein/Starck, Grundgesetz, Band 2. Art. 20, Rdn. 236.

<sup>4</sup> Karl-Peter Sommermann, in.: v. Mangoldt/klein/Starck, Grundgesetz, Band 2. Art. 20, Rdn. 236.

აშშ-ის კონსტიტუცია ეფუძნება „Rule of law“-ის ბრიტანული მოდელისაგან რამდენადმე განსხვავებულ კონცეფციას. Rule of Law-ის ამერიკულ და სამართლებრივი სახელმწიფოს კონტინენტურ-ევროპულ პრინციპს მრავალი საერთო ნიშანი აქვთ. ეს მსგავსება, პირველ რიგში, განპირობებულია იმით, რომ აშშ-ს აქვს დაწერილი კონსტიტუცია.

აშშ-ის კონსტიტუციის „მაგების“ სახელმძღვანელო იდეა იყო „limited government“, როდესაც სახელმწიფო მესაკუთრებს იცავს საზოგადოების ქვედა ფენების „დემოკრატიული უმრავლესობისაგან“. ამერიკულმა კონსტიტუციონალიზმმა განავითარა „რესპუბლიკის“ მოდელი, რომელშიც („დემოკრატიისაგან“ განსხვავებით) სამოქალაქო უფლებების შინაარსი არ ამოიწურება მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობის უფლებით. „ფედერალისტის“ ავტორთა შეხედულებით, დემოკრატია ვერ თავსდება პირად თავისუფლებასა და საკუთრების უსაფრთხოებასთან (Federalist Nr. 10.). Federalist Papers-ის მიხედვით, კონსტიტუციური კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს „მმართველების“ კონტროლს „მართლებზე“. ერთმანეთი უნდა აკონტროლონ თვითონ „მმართველებმაც“. ხელისუფლების დანაწილება საჭიროა იმისათვის, რომ კანონმდებელი მოექცეს განსაზღვრულ ჩარჩოებში. ამ მიზნით ყალიბდება უზენაესი სასამართლო. კანონების კონსტიტუციურობაზე უზენაესი სასამართლოს კონტროლის უფლებამოსილებას ამერიკის კონსტიტუცია უშუალოდ არ ითვალისწინებდა, მაგრამ იგი გამომდინარეობდა ჯერ კიდევ Federalist Papers-იდან (Nr. 78). აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „limited government“-ის კონცეფციის განვითარებაში. შემთხვევითი არ არის, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს ამერიკულ ანალოგიად მიიჩნევენ „Due process of law“-ის პრაქტიკას, როდესაც უზენაესი სასამართლო უფლებამოსილია შეამოწმოს, თუ რამდენად „გონიერულია“ ძირითად უფლებებში (განსაკუთრებით საკუთრების, სახელშეკრულებო და ეკონომიკური თავისუფლების სფეროში) განხორციელებული საკანონმდებლო ჩარევა.<sup>1</sup>

განსახვავებენ მატერიალურ და ფორმალურ სამართლებრივ სახელმწიფოს. მატერიალური სამართლებრივი სახელმწიფოს მოდელს საფუძვლად უდევს სამართლიანობის იდეა. სამართლიანობა დღემდე განიხილება როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს არსებითი ნიშანი.<sup>2</sup> ამასთანავე, სამართლებრივი სახელმწიფო ესწრაფვის არა სამართლიანობის აბსტრაქტული იდეის რეალიზაციას, არამედ ინდივიდუალური თავისუფლების დაცვასა და ხელშეწყობას.<sup>3</sup> სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციაში სამართლიანობის იდეის ჩართვა, როდესაც სამართლიანობის მასშტაბი პოზიტიური კონსტიტუციური წესრიგის მიღმა დგას, დაკავშირებულია გარკვეულ საფრთხესთან. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად სამართლიანობა ზშირად გათანაბრებულია კონსტიტუციის ღირებულებით წესრიგთან ან ძირითად უფლებებთან.

ფორმალური სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი ელემენტებია: კონსტიტუციის უზენაესობა; ხელისუფლების დანაწილება; კანონიერების პრინციპი; სასამართლოს დამოუკიდებლობა; სამართლებრივი უსაფრთხოება.

სამართლებრივი სახელმწიფოს თეორია აღიარებს, რომ პარლამენტის სუვერენიტეტი არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი. პარლამენტის შეუზღუდავი სუვერენიტეტის

<sup>1</sup> Karl-Peter Sommermann, in.: v. Mangoldt/Klein/Starck, Grundgesetz, Band 2. Art. 20, Rdn. 1291.

<sup>2</sup> B VerfGE 3, 225.

<sup>3</sup> Karl-Peter Sommermann, in.: Mangoldt/Klein/Starck, Grundgesetz, Art. 20, Rdn.



იდეა განსაკუთრებით გავრცელებულია ბრიტანულ კონსტიტუციონალიზმში. სამართლებრივი სახელმწიფოს თეორიის თანახმად, კანონმდებელი შებოჭილია კონსტიტუციური წესრიგით. სწორედ ამ შებოჭვის იდეას ეფუძნება კანონების კონსტიტუციურობის შემოწმების ინსტიტუტი, რომელსაც ახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს ხალხის წარმომადგენლების (უმრავლესობის) მიერ მიღებული კანონების კონსტიტუციურობის საკითხს და შეუძლია გარკვეული ზეგავლენა იქონიოს საკანონმდებლო ინიციატივაზეც.

სამართლებრივ სახელმწიფოში საკანონმდებლო საქმიანობა მოქცეულია გარკვეულ ფარგლებში და ვერ განხორციელდება თვითნებურად, მხოლოდ მიზანშეწონილების, პოლიტიკური აუცილებლობის და სხვა, მსგავსი მოსაზრებების საფუძველზე. კანონმდებელს მოქმედების გარკვეული თავისუფლება აქვს მხოლოდ კონსტიტუციური მართლწესრიგის ფარგლებში. კანონმდებელი დამოუკიდებლად წყვეტს, თუ რა ფარგლებში და როდის გაითვალისწინოს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი. ამასთანავე, კანონმდებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხს წყვეტს საკონსტიტუციო სასამართლო.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი არ არსებობს კონკრეტული აკრძალვის ან მოთხოვნის ფორმით. სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგადი პრინციპი ყოველთვის მოითხოვს კონკრეტიზაციას. მაგალითად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ კანონმდებელი შებოჭილია კონსტიტუციური წესრიგით; მოქალაქეს აქვს ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის უფლება; აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა ხორციელდება კანონიერების პრინციპის დაცვით; დაცულია კანონის უზენაესობა; მოსამართლე შებოჭილია კანონით; განხორციელებულია ხელისუფლების დანაწილება; ხელისუფლება შებოჭილია სამართლით და სხვ.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მოქმედება ვრცელდება როგორც საჯარო, ისე კერძო სამართალზეც.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო პროცესი იყოს ღია (მ.85.პ.1.). სასამართლო პროცესი, სამართლებრივი დაცვის ეფექტიანობის მოთხოვნიდან გამომდინარე, უნდა ჩატარდეს დროის გონივრულ ინტერვალში. ამასთანავე, პროცესის ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა განისაზღვროს კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით ბრალეული პირი, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, არ უნდა განვიხილოთ როგორც მხოლოდ პროცესის „ობიექტი“. პროცესის მონაწილეს უნდა ჰქონდეს საკუთარი უფლებების დაცვისა და პროცესის შედეგზე ზემოქმედების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარეობს ბრალდებულის უფლება მოითხოვოს პროცესის გონივრულ ვადაში წარმართვა და დაჩქარება – დაუშვებელია პროცესის გაუმართლებელი გაჭიანურება. ხანგრძლივად მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესი, როგორც წესი, განიხილება როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება. სასამართლოს გადაწყვეტილებები უნდა იყოს დასაბუთებული და არგუმენტირებული.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს, რომ სასჯელი უნდა იყოს ჩადენილი ქმედობის სიმძიმისა და პირის ბრალეულობის ადეკვატური. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს უდანაშაულობის პრეზუმფცია და კონსტიტუციური ნორმა, რომლის თანახმადაც, არაყის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის (ne bis e idem) (მ. 42, პ. 4.).

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს ეფუძნება სახელმწიფოს ვალდებულება, რომ ჩამოაყალიბოს სისხლისსამართლებრივი დაცვის ეფექტიანი სისტემა. დამნაშავე აუცილებლად უნდა გამოვლინდეს და სამართლიანად დაისჯოს არსებული კანონის ფარგლებში. სახელმწიფო ვალდებულია გამოიძიოს ყველა დანაშაული. ცხადია, ამ პროცესში სახელმწიფო შებოჭილია ძირითადი უფლებებით.

კონსტიტუციის უზენაესობა სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრინციპია. კონსტიტუციას აქვს უზენაესი იურიდიული ძალა. საქართველოს კონსტიტუციას უპირატესობა აქვს საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების მიმართაც. კონსტიტუციის მე-1 მუხლს მე-2 პუნქტის თანახმად, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ა შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“. სამართლებრივი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, არსებითად, იურიდიულად ბათილია – „საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას“ (მ.6. პ.1.).

კანონის უზენაესობა სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრინციპია. კანონის უზენაესობის პრინციპი მოქმედებს როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ყველა სფეროზე, სამართალშემოქმედებით საქმიანობის სფეროს ჩათვლით. იურიდიული ძალა არა აქვს აღმასრულებელი ხელისუფლების აქტს, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას ან კანონს.

კანონიერების პრინციპი გულისხმობს, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს არა მარტო კანონის საფუძველზე, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრული სფეროები შეიძლება მოწესრიგდეს მხოლოდ კანონით. მთელი რიგი სფეროების სამართლებრივი რეგლამენტაცია მხოლოდ კანონმდებელს შეუძლია. პარლამენტი არ არის უფლებამოსილი, რომ ეს ფუნქცია გადასცეს აღმასრულებელ ხელისუფლებას. პარლამენტს, როგორც დემოკრატიულად დეიგიტიმიზირებულ ორგანოს, აქვს უფლება განაზღვროს საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სფეროთა სამართლებრივი საფუძვლები. ცხადია, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს სათანადო უფლებამოსილებები მისთვის მინიჭებული კომპეტენციების განსაზღვრისთვის. ამავდროულად, ფუძემდებლური მნიშვნელობის მქონე სფეროში სამართალშემოქმედებით საქმიანობა უნდა განახორციელოს მხოლოდ პარლამენტმა (ეს, განსაკუთრებით, ეხება ადამიანის უფლებათა სფეროს).

კანონი ბოჭავს სასამართლო ხელისუფლებასაც. მოსამართლეს გადაწყვეტილება გამოაქვს მხოლოდ კანონის საფუძველზე. კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მოსამართლე თვის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს“. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კონსტიტუცია არ განიხილავს სამოსამართლო სამართალს როგორც სამართლის დამოუკიდებელ წყაროს. მოსამართლეს შეუძლია (და ვალდებულიცაა) შეავსოს საკანონმდებლო ხარვეზი. ამავდროულად, ხარვეზის შევსებას საფუძველად უნდა დაედოს იურიდიული მეთოდები და, მაშასადამე, უნდა განხორციელდეს რაციონალური არგუმენტაციის გზით და არა თვითნებურად. მოსამართლემ უნდა იმოქმედოს მხოლოდ არსებული მართლწესრიგის ფარგლებში. მოსამართლის გადაწყვეტილება უნდა ეფუძნე-

ბოდეც არა სუბიექტურ სამართლებრივ შეხედულებებს, არამედ კონსტიტუციური მართლწესრიგისათვის იმანენტურ ღირებულებით წარმოდგენებს.<sup>1</sup>

სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი მოითხოვს, რომ კანონის ტექსტი ჩამოყალიბდეს ნათლად და გარკვევით. ნორმის ადრესატს უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად განსაზღვროს ქცევის ის მოდელი, რომლის შესრულებასაც ნორმა მოითხოვს. ეს წესი თანაბრად ეხება როგორც კანონის შინაარსს, ისე კანონის მიზანსა და მოქმედების ფარგლებს. მოქალაქეს უნდა შეეძლოს იმის პროგნოზირება, თუ რამდენად შეესაბამება მისი ქცევა კანონის მოთხოვნებს. კანონის ტექსტი მით უფრო გარკვეული უნდა იყოს, რაც უფრო „ღრმად“ ერევა იგი ძირითადი უფლებების სფეროში. ბუნდოვანი, წინააღმდეგობრივი და გაურკვეველი კანონი შეიძლება აღიარებულ იქნეს იურიდიული ძალის არმქონედ.<sup>2</sup> განსაკუთრებით ძირითადი უფლებების სფეროში მოქმედი კანონი უნდა იყოს გარკვეული და ნათელი. კანონმდებელი ვალდებულია ზუსტად განსაზღვროს ძირითად უფლებებთან დაკავშირებული კანონის მოქმედების სფერო და მიზანი.

სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების აქტები, ისე სასამართლო გადაწყვეტილებები იყოს სტაბილური. ინდივიდს არ უნდა ჰქონდეს იურიდიული შედეგების შესაძლო გადასინჯვის პერმანენტული შიში. სამართლის სტაბილურობის მოთხოვნა შესაძლებელია შეეწინააღმდეგოს სხვა პრინციპებს, მათ შორის სამართლიანობის პრინციპსაც. ასეთ შემთხვევაში, კანონმდებელი, როგორც წესი, უპირატესობას ანიჭებს სამართლებრივ უსაფრთხოებას.

სამართლებრივ უსაფრთხოებას ემსახურება კანონის უკუქაღის აკრძალვა. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლიდან გამომდინარე, უკუქაღა არა აქვს კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო განასხვავებს კანონის ნამდვილ (რეტროაქტულ) და არანამდვილ (რეტროსპექტულ) უკუმოქმედებას. ნამდვილი უკუმოქმედება სახეზეა მაშინ, როდესაც კანონი ეხება წარსულში მომხდარ და უკვე წარსულშივე დასრულებულ ფაქტობრივ ურთიერთობებს. კანონის არანამდვილი უკუმოქმედებისას ნორმა ეხება თანამედროვე, მიმდინარე და ჯერ კიდევ დაუსრულებელ სამართლებრივ ურთიერთობებსა და ფაქტებს. არსებითად, დასაშვები და კონსტიტუციურია, რომ კანონს მიენიჭოს არანამდვილი (რეტროსპექტული) უკუქაღა. ყველა შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროში კანონის უკუქაღის საკითხს, გათვალისწინებული უნდა იქნეს თანაზომიერების პრინციპი.

### V. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“. კონსტიტუციის მე-5 მუხლი განამტკიცებს ხელისუფლების პორიზონტალურ დანაწილებას. უნდა ვივარაუდოთ, რომ კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილია ხელისუფლების ვერტიკალური დანაწილება. ამ ნორმის შესა-

<sup>1</sup> BVerfGE 34, 269.

<sup>2</sup> BVerfGE 1, 45.

ბამისად, „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამოჯენის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“. ხელისუფლების ვერტიკალური დანაწილების პრინციპის იდეას აგრძელებს კონსტიტუციის მე-3 მუხლი, სადაც ჩამოთვლილია საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები. ხელისუფლების ჰორიზონტალური დანაწილების მიზანია გამოირიცხოს ძალაუფლების კონცენტრაცია ერთი სახელმწიფო ორგანოს ხელში. ხელისუფლების ჰორიზონტალური დანაწილების გზით ასევე, ხდება სხვადასხვა ორგანოს შორის უფლებამოსილებათა ფუნქციონალური, გადანაწილება სახელმწიფო მმართველობის რაციონალური განხორციელების მიზნით. ხელისუფლების ვერტიკალური დანაწილება გულისხმობს, რომ სახელმწიფო უკლებამოსილება გადანაწილებულია სხვადასხვა ტერიტორიულ დონეს შორის.

ხელისუფლების დანაწილების იდეური საწყისები განავითარა ჯერ კიდევ არისტოტელემ. პირობითად შეიძლება ითქვას, რომ არისტოტელე განასხვავებდა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, მაგრამ ამ განსხვავებათა თეორიული საფუძვლები მას არ ჩამოუყალიბებია. ხელისუფლების დანაწილების ძირითადი მიზანი, კერძოდ, ადამიანის თავისუფლების დაცვა და ძალაუფლების კონცენტრაციის თავიდან აცილება განავითარა ჯონ ლოკმა. ლოკის აზრით, ხელისუფლების დანაწილებას უნდა შეეზღუდა ტირანია. ლოკი, ძირითადად, განასხვავებდა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას. ხელისუფლების დანაწილების კლასიკური თეორიის ავტორია მონტესკიე. მონტესკიეს შეხედულებით, თავისუფლების დაცვა შეუძლებელია, თუ ერთი პირის ხელში მოქცეული იქნება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. თუ სასამართლო ხელისუფლება შერწყმული იქნება საკანონმდებლოსთან, მაშინ მოსამართლე თვითნებურად განახორციელებს ძალაუფლებას, რამდენადაც მოსამართლე ამავედროულად კანონმდებელიც იქნება. თუ მოსამართლე აღმასრულებელ ხელისუფლებასთან იქნება შერწყმული, მაშინ მისი საქმიანობა რეპრესიულ ფუნქციებს შეიძენს. ხელისუფლების დანაწილება, მონტესკიეს აზრით, ინდივიდუალური თავისუფლების დაცვის აუცილებელი პირობაა.

მონტესკიეს შეხედულებები საფუძვლად დაედო აშშ-ის კონსტიტუციას. ამავე დროს, აშშ-ის კონსტიტუციამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი მიანიჭა სასამართლო ხელისუფლებას. ამერიკის კონსტიტუციის ავტორებმა არ გაიზიარეს მათ მიმართ გამოთქმული მწვავე კრიტიკა, რომ საკანონმდებლო ორგანოზე მაღლა არ უნდა იდგეს რომელიმე სხვა ინსტანცია. აღნიშნულ კრიტიკას, ძირითადად, ბრიტანული იდეოლოგიური ფესვები ჰქონდა. შემთხვევითი არაა, რომ ინგლისის უზენაესი სასამართლო არის არა მართლმსაჯულების, არამედ საკანონმდებლო ორგანოს (ლორდთა პალატა) ნაწილი. დიდი წინააღმდეგობისა და კრიტიკის მიუხედავად, აშშ-ის კონსტიტუციით უზენაეს სასამართლოს მიენიჭა საკანონმდებლო ორგანოს – კონგრესის მიერ მიღებული კანონის კონტროლის ფუნქცია.

თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფოს<sup>1</sup> მოდელში რეალიზებულია არა მარტო ხელისუფლების ფუნქციონალური დანაწილება სხვადასხვა ორგანოს შორის,

<sup>1</sup> Sommermann, Karl-Peter, Staatsziele, S. 207.

არამედ, პირველ რიგში, ხელისუფლების დანაწილება ხალხსა და სახელმწიფოს შორის. მოქალაქე წარმოადგენს არა ხელისუფლების ობიექტს, არამედ ხელისუფლების სუბიექტს. ადამიანის უფლებები იმთავითვე ბოჭვენ ხელისუფლებას, მათ შორის კანონმდებელსაც, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი. კონსტიტუციურ პრაქტიკაში კონსტიტუციური სახელმწიფოს იდეა პირველად რეალიზებულ იქნა 1803 წელს, როდესაც აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ საქმეზე *Marbury versus Madison* არაკონსტიტუციურად გამოაცხადა ფედერალური შტატის კანონი. მართალია, ეს გადაწყვეტილება არ ეხებოდა ძირითად უფლებებს, მაგრამ ამ აქტით აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა, რომ მომავალში იგი უფლებამოსილი იყო ემსჯელა კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე (მათ შორის ძირითად უფლებებთან მიმართებით).

საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების სისტემა გამორიცხავს ძალაუფლების კონცენტრაციას ერთი ორგანოს ხელში. ხელისუფლების დანაწილება აწონასწორებს, აბალანსებს და ურთიერთკონტროლის საშუალებას აძლევს სამივე ხელისუფლებას. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ემსახურება სახელმწიფოს საქმიანობის რაციონალიზაციის ამოცანასაც.

კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში განასხვავებენ ხელისუფლების დანაწილებისა და ხელისუფლების დაყოფის ცნებებს. პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში ამ ცნებებს განსხვავებული შინაარსით იყენებდნენ. მაგალითად, მედისონი აღიარებდა „distribution of power“-ს და არა „division of power“-ს. მონტესკიესთან ვხვდებით როგორც „დანაწილების“, ისე „დაყოფის“ ცნებებს. თითოეული მათგანი არსებითად აღნიშნავს ერთი და იგივე ფენომენს, მაგრამ მხოლოდ განსხვავებული რაკურსით. „ხელისუფლების დაყოფა“ ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფო ფუნქციათა დიფერენციაციასა და ინსტიტუციურ გამიჯვნაზე. „ხელისუფლების დანაწილება“ ხაზგასმით გამოყოფს, რომ დაუშვებელია ძალაუფლების კონცენტრაცია ერთი ორგანოს ხელში. გერმანულენოვან სიერცემში, ძირითადად, გაცრეკელებულია ხელისუფლების დანაწილების ცნება. ანგლოსაქსურ და ფრანგული სამართლის სიერცემში უფრო ემზრობიან ხელისუფლების დაყოფის ცნებას (*separation of powers/separation des pouvoirs*).<sup>1</sup> გერმანიის კონსტიტუციის თანახმად, ხელისუფლების დანაწილება უკავშირდება არა მარტო სახელმწიფო ფუნქციებს, არამედ სახელმწიფო ორგანოებსაც. შესაბამისად, გამოყოფენ ხელისუფლების ფუნქციურ და ინსტიტუციურ დანაწილებას. ამასთანავე, ხელისუფლების ფუნქციური დანაწილება განმარტებულია როგორც ხელისუფლებათა განსხვავება, ხოლო ინსტიტუციური დანაწილება – როგორც ხელისუფლებათა დაყოფა.<sup>2</sup> ხელისუფლების პერსონალური დანაწილება, ჩვეულებრივ, გულისხმობს თანამდებობრივ შეუთავსებლობას<sup>3</sup> (საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში“ (მ. 86. პ. 3.).

<sup>1</sup> Sommermann, in.: v Mangoldt/Klein/Starck, Grundgesetz, Art. 20, Rdn. 199.

<sup>2</sup> Maunz/Dürig, Grundgesetz, Art. 20 V, Rdn. 13.

<sup>3</sup> იქვე, Rdn. 16.

საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი სახელმწიფო ორგანოთა სისტემა ეფუძნება არა ხელისუფლებათა მკაცრ გამოიჯენას, არამედ ხელისუფლებათა დაბალანსების, ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების იდეას. სხვა ხელისუფლებასთან შედარებით, ყოველგვარი ჩარევისაგან განსაკუთრებით დაცულია სასამართლო ხელისუფლება (მ.82, პ. 3.; მ. 84; მ. 87). სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით (მ. 84, პ. 5.), და ეს სმინ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია კანონმდებლის მიერ მიღებული აქტი ან მისი ნაწილი ცნოს არაკონსტიტუციურად და იურიდიული ძალის არმქონედ.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მიზანი არ არის ერთმანეთისაგან მკაცრად იზოლირებული ხელისუფლებების ჩამოყალიბება. არც ერთ თანამედროვე პოლიტიკურ სისტემაში ხელისუფლებები ერთმანეთისაგან ორგანიზაციულად და ფუნქციურად მკაცრად არ არის გამოიჯნული. ამერიკის კონსტიტუციის ავტორებიც მიუთითებდნენ, რომ შეუძლებელია ხელისუფლებათა მკაცრი ფუნქციური და ინსტიტუციური განსხვავება (The federalist Nr. 47.). თითოეული ხელისუფლება დაცულია მხოლოდ თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ხელისუფლების არც ერთ შტოს არ უნდა ჰქონდეს შეუზღუდავი უფლებამოსილებები, ისევე როგორც ხელისუფლების ყველა შტოს უნდა ჰქონდეს საკმარისი უფლებამოსილებები, რომლებიც აუცილებელია მისთვის დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად.

## VI. თანაზომიერების პრინციპი

თანზომიერების პრინციპის ისტორია სათავეს იღებს ანტიკური პერიოდის სამართლიანობის თეორიიდან.<sup>1</sup> ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში თანაზომიერების პრინციპს აკისრია დამკავი ფუნქცია.<sup>2</sup>

თანაზომიერების პრინციპი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება ჩარევა უფლებების ან კომპეტენციების სფეროში. თანაზომიერების პრინციპი მოითხოვს, რომ დადგინდეს კავშირი კანონის მიზანსა და ამ მიზნის მისაღწევად არჩეულ საშუალებას შორის. მიზნის მისაღწევად არჩეული საშუალება უნდა იყოს სათანადო და აუცილებელი. საშუალება სათანადოა, თუ იგი უზრუნველყოფს ან ხელს უწყობს დასახული მიზნის მიღწევას. საშუალება აუცილებელია, როდესაც კანონმდებელს არ შეეძლო აერჩია სხვა, თანაბრად ქმედითი საშუალება, რომელიც არ შეზღუდავდა ან უფრო ნაკლებად შეზღუდავდა ძირითად უფლებებს. თანაზომიერების პრინციპი ვიწრო გაგებით გულისხმობს, რომ უფლების შეზღუდვა გონივრულად უნდა შეესაბამებოდეს ძირითადი უფლებების მნიშვნელობას. უფლების შეზღუდვა და ინდივიდისათვის დამდგარი ზიანი, გონივრულად პროპორციული უნდა იყოს საზოგადოებრივი ინტერესის.

თანაზომიერების პრინციპი ბოჭავს ყველა სახელმწიფო ორგანოს, მათ შორის კანონმდებელსაც.

<sup>1</sup> Franz Wieacker, Geschichtliche Wurzeln des Principis der verhältnismäßigen Rechtsanwendung, in: Festschrift Robert Fischer, Berlin, 1979. ციტ.: Mangoldt/Klein/Starck, Grundgesetz, Art. 20, Rdn. 299.

<sup>2</sup> BVerfGE 81, 310.

მუხლი 40.

„1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

2. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმძებელს.

3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლით აღიარებულია სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი – უდანაშაულობის პრეზუმფიცია. ეს მუხლი, კონსტიტუციის მე-18 და 42-ე მუხლებთან ერთად, ე.წ. საპროცესო ძირითად უფლებათა ბლოკის შემადგენელი ნაწილია, რომლებიც ადამიანსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობათა განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს პრინციპებს შეიცავენ. ამ მუხლებით აღიარებულ უფლებებს ხშირად მართლმსაჯულების ძირითად უფლებებსაც უწოდებენ. საყურადღებოა, რომ საქართველოს კონსტიტუცია უდანაშაულობის პრეზუმფიციის ცალკე გამოყოფით (დამოუკიდებელი მუხლით მისი აღიარებით) ზაზს უსვამს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მაგრამ მისი განმარტებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ 42-ე მუხლის სხვადასხვა პუნქტში მოცემული დებულებები თავისთავად ძალიან მნიშვნელოვან, უდანაშაულობის პრეზუმფიციაზე არანაკლები მნიშვნელობის პრინციპებს წარმოადგენენ, ამ პრინციპებსა და უდანაშაულობის პრეზუმფიციას შორის კი არსებითი შინაარსობრივი ურთიერთკავშირია. უდანაშაულობის პრეზუმფიცია სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია, შესაბამისად, იგი, ყველა სხვა პრინციპთან ერთად, სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების ფრთხილ ბქვეშ არის გაერთიანებული და, აქედან გამომდინარე, მართებული იქნება მათი ერთად განხილვა. ამ მიდგომას ამყარებს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლიც, რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს ძირითად უფლებას და მის შემადგენელ, მასთან შინაარსობრივად დაკავშირებულ სხვა უფლებებსაც, მათ შორის, უდანაშაულობის პრეზუმფიციას.<sup>1</sup> აქედან გამომდინარე, მე-40 მუხლის განხილვა მიზანშეწონილია კონსტიტუციის 42-ე მუხლის კომენტარების ფარგლებში.

<sup>1</sup> იხ. კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ყოველი ბრალდებული უდანაშაულოდ მიიჩნევა, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად“.

მუხლი 41.

„1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობა: სიან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არაეისთვის არ უნდა იყოს ხე ღმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შე ხხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანრთელობის, სხვათა უფლებებისა დ. თავისუფლებების დასაცავად.“

I. დაცვის სფერო

კონსტიტუციის 41-ე მუხლით განმტკიცებული უფლება, არსებითად, არის რეაქცია საბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელ მასობრივ ჯაშუშობასა და შანტაჟზე, როდესაც ტოტალიტარულ რეჟიმს ჰქონდა ინდივიდის შესახებ ამომწურავი და დეტალური ინფორმაცია, პირადი ცხოვრების ჩათვლით.

თანამედროვე საზოგადოებაში ინდივიდის სოციალური როლი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინფორმაციის ცოდნის დონეზე. შესაბამისად, აუცილებელი ხდება პერსონალური ინფორმაციის მოპოვებისა და გამოყენების პროცესში სახელმწიფო საქმიანობის კონტროლის ქმედითი გარანტიების ჩამოყალიბება.

ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების საკითხებს, ასევე, აწესრიგებს კონსტიტუციის 24-ე მუხლი (პ. 1.) და 37-ე მუხლი (პ.5.). აღნიშნული მუხლები ეხება „სხვათა“ იდეებისა და შეხედულებების მიღებისა და გამოყენების შესაძლებლობას. მთგან განსხვავებით, კონსტიტუციის 41-ე მუხლის საფუძველზე, მოქალაქეს შეუძლია გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მის შესახებ არსებულ ინფორმაციას.

სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციის გაცნობა ინფორმაციული თვითგამორკვევისა და პირის თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელოვანი პირობაა. კონსტიტუციის 41-ე მუხლი არამართლ ადგენს პირის შესახებ არსებული მონაცემების გაცნობის შესაძლებლობას, არამედ, ასევე, გარკვეულ ფარგლებში აქცევს სახელმწიფო დაწესებულებათა თავსუფლებას ინფორმაციის მოპოვების პროცესში. სახელმწიფო არ არის უფლებამოსილი განაზორციელოს ადამიანის „რეგისტრირება და კატალოგიზაცია“ მთელ მის პერსონალ ერობასა და ინდივიდუალობაში.<sup>1</sup> სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული ინფორმაცია არ შეიძლება იყოს ყოვლისმომცველი, რამდენადაც ამ შემთხვევაში სახელმწიფოს, ასევე, შესაძე პირებს გაუდვილებათ პიროვნებით მანიპულაცია. პიროვნული მონაცემების ფართო ბაზა იძლევა იმის საშუალებას, რომ პიროვნება გახდეს მართვადი. პირის შესახებ არსებული ინფორმაცია, ასევე, გავლენას ახდენს შესაძე პირების ქცევაზე (ინდივიდთან დამოკიდებულების თვალსაზრისით). სახელმწიფო არ არის აბსოლუტურად თავისუფალი, რომ მოიპოვოს ინფორმაცია ამა თუ იმ პირზე. ინდივიდს უნდა შეეძლოს იმის

<sup>1</sup> BVerfGE 26, 169



პროვოზირებაც, თუ რა სახის პერსონალურ ინფორმაციას ფლობენ სახელმწიფო დაწესებულებები. პიროვნება დაცული უნდა იყოს მონაცემთა არამართლზომიერი მოპოვების, დამახსოვრების, დამუშავების, გამოყენებისა და გადაცემისაგან.

მონაცემთა მოპოვება და დამუშავება, როგორც წესი, ზორციელდება ისე, რომ ინდივიდმა არ იცის ამის შესახებ. ამიტომ, კანონი ზუსტად უნდა განსაზღვრავდეს ინდივიდულურ მონაცემთა დამუშავების პროცესში სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებებს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა რუმინეთის მოქალაქის Rotaru-ს საჩივარი. მომჩივნის აზრით, მისი უფლებები დარღვეული იყო რუმინეთში მოქმედი კანონმდებლობით. კერძოდ, კანონი არ ადგენდა საიდუმლო პოლიციის უფლებამოსილების ფარგლებს ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების პროცესში. არ იყო განსაზღვრული ინფორმაცია, რომლის მოპოვება და შენახვაც დასაშვებია იყო. ასევე არ იყო მოწესრიგებული, თუ რა პირობებში და რა პროცედურით შეიძლება ინფორმაციის მოპოვება. გარდა ამისა, კანონი არ ადგენდა მოპოვებული ინფორმაციის შენახვის ვადას. კანონი ასევე არ ითვალისწინებდა მოქალაქის უფლებების დაცვისა და სახელმწიფო ორგანოების კონტროლის გარანტიებს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში დარღვეული იყო ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება და პირის ინდივიდუალური ავტონომია.<sup>1</sup>

მონაცემთა ელექტრონული დამუშავების შესაძლებლობები კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ინფორმაციის უკანონო მიზნით გამოყენებისა და გავრცელებისაგან დაცვის გარანტიებს.<sup>2</sup> ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე შესაძლებლობათა გათვალისწინებით, კანონმდებელი ვალდებულია გაითვალისწინოს პიროვნების ინდივიდუალურ მონაცემთა დაცვის ღონისძიებები. კანონმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ინდივიდუალური მონაცემების წაშლის წესიც.<sup>3</sup>

კონსტიტუციის 41-ე მუხლი ადგენს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, რომ გასცეს მოქალაქის შესახებ არსებული ინფორმაცია. „ინფორმაციაში“ უნდა ვიგულისხმოდ მხოლოდ პიროვნებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ინფორმაცია. ამ კავშირის ინტენსივობასა და მნიშვნელობას განსაზღვრავს თავად ინდივიდი.

კონსტიტუციის 41-ე მუხლით დაცული უფლებისათვის მნიშვნელობა არა აქვს სახელმწიფო გამოიყენებს თუ არა პირის შესახებ მის ხელთ არსებულ ინფორმაციას. თვითონ ფაქტი ან თუნდაც ვარაუდი ინფორმაციის არსებობის შესახებ, მოქალაქეს აძლევს მისი გაცნობის უფლებას.

კონსტიტუციის 41-ე მუხლი არ აკონკრეტებს, თუ რა იგულისხმება მოქალაქეზე არსებული ინფორმაციაში. მოქალაქე დამოუკიდებლად განსაზღვრავს, თუ რა სახის ინფორმაციის გაცნობის საშუალება უნდა მიეცეს მას სახელმწიფო დაწესებულებებში.

ინფორმაციის წყაროა ინფორმაციის ყველა მატარებელი, დამოუკიდებლად მისი სახისა, ინფორმაციის შენახვის თანამედროვე საშუალებების ჩათვლით მოქალაქეს შეუძლია გაეცნოს ყველა ინფორმაციას მიუხედავად იმისა, იგი ხელით არის დამუშავებული (კარტოთეკები და სხვ.), თუ ინახება ელექტრონული ფორმით. ამასთანავე,

<sup>1</sup> EGMR, Ur. v. 4.5.2000, Rotaru, Nr. 28341/95, Z. 57 ff. ციტირებული: Grabenwarter, Ch., Europäische Menschenrechtskonvention, Wien, 2003, S. 209.

<sup>2</sup> BVerfGE 65, 46.

<sup>3</sup> BVerfGE 65, 44.

მნიშვნელობა არა აქვს ეს ინფორმაცია ეხება ფაქტებს, აზრებს, შეხედულებებს, პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროს. მნიშვნელობა არა აქვს ინფორმაციის მოპოვების წყაროსაც. წყარო შეიძლება იყოს ყველაფერი, საიდანაც შესაძლებელია ინფორმაციის მოპოვება: ადამიანი, რომელიც იძლევა გარკვეულ ცნობებს ან გამოთქვამს აზრს, ინფორმაციის მატარებლები, სადაც დამახსოვრებულია ან შენახულია ინფორმაცია.

მოქალაქეს აქვს ინფორმაციის გაცნობის საშუალება მისი მოპოვების ფორმებისაგან დამოუკიდებლად. კერძოდ, მნიშვნელობა არა აქვს მოქალაქეზე არსებული ინფორმაცია მოპოვებული იყო საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროდან თუ ინფორმაციის წყარო ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებისათვის. მოქალაქეზე არსებული ინფორმაცია შესაძლებელია მოპოვებული იყოს სოციოლოგიური გამოკითხვის პროცესში, მოწმის სახით დაკითხვისას, გამოძიებისას ამოღებული დოკუმენტების გაცნობის პროცესში ან სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული სხვა ღონისძიებების შედეგად.

მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია არა მარტო სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული წყაროებიდან, არამედ, ასევე ინფორმაცია ამ წყაროების შესახებაც. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება აქვს არა სახელმწიფო ორგანოს, არამედ მხოლოდ მოქალაქეს. აქედან გამომდინარე, მოქალაქემ უნდა იცოდეს, თუ რომელ დაწესებულებას, როგორ და რა სახით შეუძლია მოიპოვოს პიროვნების შესახებ ინფორმაცია.

საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს, რომ მის შესახებ არსებული ინფორმაცია მოიპოვოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში. მნიშვნელობა არა აქვს სახელმწიფო დაწესებულება საქართველოში მდებარეობს, თუ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

სახელმწიფო დაწესებულება უნდა გავივით საჯარო დაწესებულების ანალოგიურად. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი საჯარო დაწესებულებას, ინფორმაციის თავისუფლებასთან მიმართებაში, ფართოდ განმარტავს. კერძოდ, ამ კოდექსის თანახმად, საჯარო დაწესებულებას მიეკუთვნება „სახელმწიფო ან თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, აგრეთვე პირი, რომელიც კანონმდებლობის ან ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო დაწესებულების სახელით ასრულებს კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს; საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დაფინანსებას იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან“ (27-ე მუხლი).

კონსტიტუციის 41-ე მუხლიდან არ გამომდინარეობს პირის უფლება, რომ მასზე არსებული ინფორმაციის გაცნობა მოსთხოვოს არასახელმწიფო, კერძო დაწესებულებებს. გარკვეული პრობლემა შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქის შესახებ ინფორმაცია ინახება არა სახელმწიფო დაწესებულებებში, არამედ სახელმწიფო ან თვითმმართველობის ორგანოების მიერ ჩამოყალიბებულ კერძო სამართლის ორგანიზაციული ფორმის მქონე დაწესებულებებში (რომლებიც არ ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან). უნდა ვივარაუდოთ, რომ მოქალაქეს უფლება აქვს მოსთხოვოს მის შესახებ არსებული ინფორმაციის გაცნობა იმ არასახელმწიფო ორგანოებსაც, რომლებმაც ეს ინფორმაცია მოიპოვეს სახელმწიფო ორგანოთა დაკვეთით.

მოქალაქეს უფლება აქვს არა მარტო გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში

არსებულ ინფორმაციას, არამედ – „თავი დაცვას“ არასწორი ინფორმაციისაგან. მაგალითად, მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს მასზე არსებული მცდარი ინფორმაციის ჩასწორება ან მისი განადგურება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 46-ე მუხლის თანახმად, „პირს უფლება აქვს მოითხოვოს მონაცემებში შესწორების შეტანა ან უკანონოდ მოპოვებული ინფორმაციის განადგურება. ....საჯარო ინფორმაციის შესწორების შეტანამდე პირის განცხადება საჯარო ინფორმაციის უზუსტობის შესახებ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და თან უნდა დაერთოს მას“.

არ არის აუცილებელი, რომ ინფორმაციის გაცნობა მოქალაქეს სჭირდებოდეს საკუთარი სამართლებრივი ინტერესების რეალიზაციის ან დაცვის მიზნით. კონსტიტუციის 41-ე მუხლიდან გამომდინარე, ინფორმაციის მოთხოვნის საკმარისი საფუძველია, რომ მოქალაქეს „უბრალოდ სურს“ მასზე არსებული ინფორმაციის გაცნობა.

არ დაიშვება სახელმწიფო ზემოქმედება ამ ინფორმაციის შერჩევის პროცესში. რამდენადაც ინფორმაციის გაცნობის ერთ-ერთი მიზანია, რომ მოქალაქემ გაარკვიოს მათი სისწორე, ეს უფლება დაცული უნდა იყოს სახელმწიფო ორგანოთა ყოველგვარი ჩარევისაგან. სახელმწიფო ორგანოთა ჩარევა შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით. კერძოდ, ჩარევის ერთ-ერთი ფორმაა, როდესაც სახელმწიფო ორგანო არ გასცემს სათანადო ინფორმაციას. ჩარევა იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახელმწიფო ორგანო ახორციელებს ინფორმაციის გაცნობის კონტროლს. კონსტიტუციის 41-ე მუხლიდან გამომდინარე, მოქალაქეს დაუბრკოლებლად უნდა შეეძლოს მასზე არსებული ინფორმაციის გაცნობა.

კონსტიტუციის 41-ე მუხლიდან არ გამომდინარეობს, რომ მოქალაქეს ყოველგვარი სასყიდლის გარეშე შეუძლია გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 39-ე მუხლის მიხედვით, „პირს უფლება აქვს გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები“. ამავე დროს, კონსტიტუცია კანონმდებელს არ ავალდებულებს დაადგინოს ისეთი წესი, რომლის შესაბამისადაც სახელმწიფომ უნდა აანაზღაუროს ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებული (საჯარაუდო) ხარჯები (მათ შორის ასლების გადაღებასთან დაკავშირებული).

კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მოქმედების სფერო მოიცავს არა მარტო მოქალაქეზე არსებულ ინფორმაციას, არამედ „სახელმწიფო დაწესებულებებში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. უნდა ითქვას, რომ მსგავსი ნორმა იშვიათია ევროპის დემოკრატიული სახელმწიფოების კონსტიტუციურ პრაქტიკაში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს „სხვათა“ იდეების მოპოვებას, დამუშავებას და შემდგომ გადაცემას. ამ მუხლის შესაბამისად, პიროვნებას აქვს იდეებისა და ცნობების მიღების უფლება სახელმწიფო ორგანოთა ჩარევის გარეშე. კონვენციის თანახმად, პირს უფლება აქვს ეს მონაცემები მიიღოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან. კონვენცია არ ადგენს სახელმწიფო ორგანოთა ვალდებულებას, რომ გასცენ ინფორმაცია.

საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საქართველოს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“, ადგენს, თუ რა ინფორმაცია მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობათა, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი კომერციულ საიდუმლოებაში გულისხმობს, რომ ის არის „... ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას (მ. 27<sup>2</sup>, პ.1.)“.

პროფესიული საიდუმლოება არის ინფორმაცია „... რომელიც წარმოადგენს სხვის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას“ (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>3</sup>-ე მუხლი). სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის პირველი მუხლის „ო“ პუნქტის თანახმად, პროფესიულ საიდუმლოებაში იგულისხმება „აღსარების საიდუმლოება, პარლამენტის წევრის, ექიმის, ჟურნალისტის, უფლებადამცველის, დამცველის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით მათთვის განდობილი ინფორმაცია, აგრეთვე პროფესიული ფასეულობის მქონე ინფორმაცია, რომელიც პირისათვის ცნობილი გახდა კონფიდენციალობის დაცვის პირობით, მის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს პირის პროფესიულ რეპუტაციას“.

სახელმწიფო ორგანოებში არსებული ოფიციალური დოკუმენტების გაცნობის ფორმებსა და პროცედურას დეტალურად არეგულირებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პერსონალური ინფორმაციის, ასევე სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული ოფიციალური დოკუმენტების გაცნობის წესს ადგენს კანონი. კონსტიტუცია, ამ შემთხვევაში, „კანონში“ გულისხმობს კანონს ფორმალური და არა მატერიალური გაგებით. სახელმწიფო დაწესებულებებში ინფორმაციის მოპოვების წესი შესაძლებელია განსაზღვროს მხოლოდ კანონმდებელმა. კანონი ზუსტად და მოქალაქეებისათვის გასაგებად უნდა ადგენდეს ამ ინფორმაციის გაცნობის წესს.

ინფორმაციის გაცნობა მნიშვნელოვანია ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ზმირ შემთხვევაში პირს უზნებლდება საკუთარი უფლებების სამართლებრივი დაცვა სწორედ იმის გამო, რომ მისთვის ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია ძირითადი უფლებების დარღვევის მიზეზების შესახებ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ინფორმაციის გაცნობის თვალსაზრისით. თავდაპირველად, ეს ეხებოდა სახელმწიფო დოკუმენტების გაცნობას იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო ევროდა ძირითად უფლებებში. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ორგანოებში არსებული ინფორმაციის გაცნობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ შემთხვევებში, როდესაც

საქმე ეხებოდა პირის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას. უკანასკნელ პერიოდში, სასამართლო პრაქტიკამ ინფორმაციის გაცნობაზე უფლება გააერთიანა გარემოს დაცვის სამართალზეც.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის დარღვევად ჩათვალა, როდესაც სასამართლო პროცესზე (რომელიც ეხებოდა ბავშვზე მზრუნველობის უფლებას) მშობლებს არ გააცნეს ოჯახის შესახებ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტები. ევროპული სასამართლოს აზრით, როცა სახელმწიფო ერევა ძირითად უფლებებში, აუცილებლად უნდა იყოს უზრუნველყოფილი სახელმწიფო ორგანოებში არსებული ინფორმაციის გაცნობა.<sup>1</sup> სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციის მიღების უფლება უშუალოდ არ გამოდინარეობს კონვენციის მე-10 მუხლიდან (ინფორმაციის თავისუფლება). სასამართლოს აზრით, აღნიშნული მუხლი ინფორმაციას იცავს მხოლოდ მესამე პირების მხრიდან ჩარევისაგან. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა აღიარებს, რომ პირს უფლება აქვს გაეცნოს სახელმწიფო დოკუმენტებს, როდესაც ხელისუფლება ერევა მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში.<sup>2</sup> Gaskin-ის საქმეზე მომჩივანი მოითხოვდა სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში არსებული პერსონალური აქტების გაცნობას. მას სურდა გაეგო, თუ როგორ ეპყრობოდნენ მას ბავშვობისას სხვადასხვა მეურვე-ოჯახებში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მომჩივანს ჰქონდა ამის უფლება ოჯახის და პირადი ცხოვრების უფლებიდან გამომდინარე (კონვენციის მე-8 მუხლი). მართალია, სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას ამ ინფორმაციის გაცნობაზე, მაგრამ ეს უარი უნდა გადამოწმდეს დამოუკიდებელ ორგანოში.<sup>3</sup> ევროპული სასამართლოს აზრით, სახელმწიფოს აკისრია ინფორმაციის გაცნობის პოზიტიური ვალდებულება, რამდენადაც ეს ინფორმაცია აუცილებელია პირადი ცხოვრების უფლების რეალიზაციისათვის. ინფორმაციის გაცნობის უფლება შეზღუდვასაც ექვემდებარება. მაგალითად, ავადმყოფის მხრიდან ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია დაექვემდებაროს საქმიან კონტროლს.<sup>4</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, ინფორმაციის გაცნობის პოზიტიური ვალდებულება სახელმწიფოს ეკისრება არა მარტო ძირითად უფლებებში ჩარევისას, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ამ ინფორმაციის გაცნობა აუცილებელია პირადი ცხოვრების სფეროს დასაცავად.

სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციის გაცნობის თვალსაზრისით საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც დაკავშირებულია გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ“. კონსტიტუციის 41-ე მუხლთან მიმართებით

<sup>1</sup> მაკ მიქელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*McMichael v. UK*), 1995 წლის 24 თებერვალი

<sup>2</sup> ლინდერი შვედეთის წინააღმდეგ *Leander v. Sweden* (1987 წლის 26 მარტი); გასკინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Gaskin v. UK*), 1989, წლის 7 ივლისი; გუერა იტალიის წინააღმდეგ (*Guerra v. Italy*), 1979 წლის 19 თებერვალი.

<sup>3</sup> გასკინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Gaskin v. UK*), 1989 წლის 7 ივლისი;

<sup>4</sup> მარტინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Martin v. UK*), 2004 წლის 19 თებერვალი

ეს არის სპეციალური ნორმა, რამდენადაც მოიცავს ურთიერთობათა უფრო ვიწრო წრეს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია განასხვავებს ორი სახის ინფორმაციას: 1. ინფორმაცია უსაფრთხოების პრევენციული ზომებისა და უბედური შემთხვევებისას გატარებული ღონისძიებების შესახებ და 2. სამრეწველო ან სხვა სახის საქმიანობის შედეგად წარმოშობილი ეკოლოგიური საფრთხის შესახებ.<sup>1</sup> ამ უფლებიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს ეკისრება არა მარტო ინფორმაციის გაცნობის, არამედ იმ ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გავრცელების პოზიტიური ვალდებულება, რომელიც არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.<sup>2</sup> სახელმწიფოს ვალდებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ ადამიანს გააცნოს მასზე არსებული ინფორმაცია. სახელმწიფოს ეკისრება ინფორმაციის მოპოვების ვალდებულებაც, თუ არსებობს ჯანმრთელობის ან პირადი ცხოვრების ხელყოფის საფრთხე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა კომისიის ზემოაღნიშნული შეხედულება. სასამართლომ ჩათვალა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ ადგენს სახელმწიფოს მიერ ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების ვალდებულებას. ამავე დროს, ნორმის ასეთი ინტერპრეტაცია, სასამართლოს აზრით, სახელმწიფოებს არ ათავისუფლებს გარემოს შესახებ ინფორმაციის მოპოვების ვალდებულებისაგან. ეს ვალდებულება გამომდინარეობს კონვენციის მე-8 მუხლიდან. სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან მომჩივანს არ მიეცა თავის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცნობის საშუალება.<sup>3</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ინფორმაციის გაცნობის უფლებას, ძირითადად, ასაბუთებს კონვენციის მე-8 მუხლიდან (პირადი ცხოვრების უფლება) გამომდინარე. ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების ყოფილი მოსამსახურეები ეჭვობდნენ, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება დაკავშირებული იყო ატომური იარაღის გამოცდაში მონაწილეობასთან. მომჩივნები სახელმწიფოსაგან მოითხოვდნენ შესაბამისი დოკუმენტების გაცნობას. დიდი ბრიტანეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ ასეთ ინფორმაციას სახელმწიფო არ ფლობდა. სასამართლოს წევრთა უმრავლესობის აზრით, ამ შემთხვევაში კონვენციის მე-8 მუხლი დარღვეული არ იყო. სამი მოსამართლის განსხვავებული აზრით, ატომური ექსპერიმენტისას სახელმწიფო ვალდებულია მოიპოვოს ინფორმაცია მასში მონაწილე ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. სახელმწიფო მუდმივად უნდა აკონტროლებდეს ამ ადამიანების ჯანმრთელობას და აწვდიდეს ინფორმაციას, სულ ცოტა, სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდში მაინც. მოსამართლეთა განსხვავებული აზრით, სახელმწიფო ვალდებულია მოიპოვოს ინფორმაცია ჯანმრთელობისათვის (პოტენციურად) საშიში საქმიანობის შესახებ.<sup>4</sup>

საქმეზე L.C.B. ლეიკემით დაავადებული მომჩივანი ეჭვობდა, რომ ავადმყოფობა უკავშირდებოდა ატომურ ექსპერიმენტში მისი მამის მონაწილეობას. მომჩივანი მოითხო-

<sup>1</sup> გუერა იტალიის წინააღმდეგ (*Guerra v. Italy*), 1998 წლის 19 თებერვალი

<sup>2</sup> იქვე

<sup>3</sup> იქვე

<sup>4</sup> იქვე

მაკინლეი და ეგანი გავრთიანებული საზღვრის წინააღმდეგ (*McGinley and Egan v. UK*), 1998 წლის 9 ივნისი

ოვდა ამ გამოცდის შესახებ ინფორმაციის გაცნობას. გარდა ამისა, მომჩივნის აზრით, სახელმწიფო ვალდებული იყო მისი მშობლები გაეფრთხილებინა შესაძლო რისკის შესახებ. ევროპული სასამართლოს აზრით, რადგანაც არსებული ინფორმაცია „მწირი“ იყო, სახელმწიფოს არ ეკისრებოდა მომჩივნის მშობლებისათვის მისი გაცნობის ვალდებულება.<sup>1</sup> უნდა ვივარაუდოთ, რომ მომჩივნის მშობლების ინფორმირების ვალდებულება სახელმწიფოს დაეკისრებოდა, თუ არსებული ინფორმაცია იქნებოდა საკმარისი (და არა მწირი).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეხედულებით, მონაცემთა დაცვა ინდივიდის პირადი ავტონომიის უმნიშვნელოვანესი სფეროა. თუ სახელმწიფო ფლობს ინფორმაციას ინდივიდის პირადი სფეროს ცალკეული ასპექტების შესახებ, მას არა აქვს ამ ინფორმაციის რეგისტრაციის ან სხვა მიზნით გამოყენების უფლება.<sup>2</sup> დაცული უნდა იყოს არა მარტო ინდივიდის პირადი მონაცემები, არამედ ინფორმაცია მისი სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი საქმიანობის (მაგალითად, პოლიტიკური საქმიანობის) შესახებ.<sup>3</sup> სასამართლოს აზრით, სამსახური ის ადგილია, რომელიც პიროვნებას აძლევს სხვა ადამიანებთან კონტაქტების დამყარების შესაძლებლობას. მით უფრო, რომ კერძო და სამსახურებრივი სფეროების ერთმანეთისაგან გამიჯვნა სულ უფრო რთული ხდება.<sup>4</sup>

საქმის Z. ფინეთის წინააღმდეგ (1997) კონკრეტული გარემოებები შემდეგი იყო: მომჩივანი Z დაქორწინებული იყო X-ზე, მაგრამ მოგვიანებით გაშორდა მას. X და Z შიდასწრით იყვნენ დაავადებული. X-ს ბრალი ედებოდა სექსუალური დანაშაულისა და მკვლელობის მცდელობისათვის (შიდასწრით სხვა პირების განზრახ ინფიცირების გამო). სასამართლო პროცესზე Z-მა, როგორც მუდმივად, გამოიყენა ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება. Z-ის აზრით, სასამართლო პროცესზე დაირღვა ბევრი უფლება. კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილებით, Z-ის ნების საწინააღმდეგოდ, მისმა ექიმმა და ფსიქიატრმა მისცეს ჩვენება; ამოღებულ იქნა Z-ის ავადმყოფობის სამედიცინო დოკუმენტაცია და იგი თან დაერთო საქმის მასალებს; სასამართლოს გადაწყვეტილებით პროცესუალური აქტები, Z-ს სრული სახელის მითითებით, საჯარო უნდა ყოფილიყო 10 წლის შემდეგ; Z-ს იდენტურობა და მისი ავადმყოფობა უნდა გამოქვეყნებულიყო სააპელაციო სასამართლოს განაჩენში (და არა მხოლოდ პროცესის მასალებში). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული ღონისძიებები სინამდვილეში წარმოადგენს პირად ავტონომიაში ჩარევას. ამასთანავე, ჩარევა განხორციელდა სისხლის საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე. ჩვენების სავალდებულობა და სამედიცინო დოკუმენტების ამოღება ემსახურებოდა დანაშაულებრივი ქმედობის თავიდან აცილების ლეგიტიმურ მიზანს. განაჩენის გამოქვეყნების სავალდებულობა, ასევე, ემსახურებოდა სხვათა უფლებების დაცვას, რადგან საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ნდობა სასამართლო ორგანოების მიმართ. სასამართლო პროცესზე Z-ის ექიმის მიერ ჩვენების მიცემის სავალდებულობა

<sup>1</sup> L.C.B გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (L.C.B v. UK), 1998 წლის 9 ივნისი

<sup>2</sup> ლინდერი შვედეთის წინააღმდეგ (Leander v. Sweden), 1987 წლის 26 მარტი

<sup>3</sup> EGMR, UrL. v. 25.3.1998, Kopp, RJD 1998-II, Z.53; EGMR, UrL. v. 4.5.2000, Rotaru, Nr. 28341/95, Z. 43 f. ციტი.: Grabenwarter, Ch., Europäische Menschenrechtskonvention, Wien, 2003, S. 207.

<sup>4</sup> EGMR, UrL. v. 16.12.1992, Niemietz, Serie A 251-B; EGMR, UrL. v. 16.2. 2000, Amann, Nr. 27798/95, Z.65. ციტი.: Grabenwarter, Ch., Europäische Menschenrechtskonvention, Wien, 2003, S. 209.

შესაბამება თანაზომიერების პრინციპს. ამავე დროს, განაჩენში Z-ის მონაცემების გამოქვეყნებას ლეგიტიმური მიზანი არა აქვს. პროცესის აქტების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ინდივიდის პირად მონაცემთა დაცვას აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა. შიდა დავადების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებამ შესაძლებელია იქონიოს დრამატული შედეგები პირის ოჯახურ ცხოვრებაზე. მსგავსი ინფორმაციის გამოქვეყნება შესაძლებელია გამართლდეს მხოლოდ მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დადგენილი 10 წლის ვადა იყო მცირე. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი ავტონომია.<sup>1</sup>

კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად“.

კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი არ აკონკრეტებს, თუ რა უნდა ვიგულისხმობთ „კერძო საკითხებში“. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადამიანის ინტიმური ცხოვრების სფეროს მიკუთვნებული ურთიერთობები განსაზღვრავს „კერძო საკითხების“ შინაარსს.

„ოფიციალური ჩანაწერები“ შეიძლება ინახებოდეს როგორც სახელმწიფო (მაგალითად, დაკითხვის ოქმი როგორც ინფორმაციის წყარო), ისე არასახელმწიფო დაწესებულებაში (მაგალითად, ჯანმრთელობის გამოკვლევის აქტი).

კონსტიტუციის 41-ე მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს აკრძალული აქვს არა მარტო „ადამიანის ჯანმრთელობასთან მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა ან გამოყენება“, არამედ შეზღუდულია მანამდეც, სანამ ამ ინფორმაციას დააფიქსირებს „ოფიციალურ ჩანაწერებში“.

ძირითადი უფლებების ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა შეზღუდვის კანონმდებლის მოქმედების თავისუფლება. კონსტიტუციის 41-ე მუხლი პერსონალური ინფორმაციის მოპოვების პროცესში სახელმწიფოს მოქმედების ასეთ მატერიალურ კრიტერიუმებად განსაზღვრავს „სახელმწიფო უშიშროებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას“. ამასთანავე, ეს კრიტერიუმები მოქმედებენ როგორც მონაცემთა მოპოვების, ისე მათი შემდგომი დამუშავებისა და გადაცემის პროცესში (წინააღმდეგ შემთხვევაში ინდივიდი იქნებოდა აბსოლუტურად „აღრიცხვული და კატალოგირებული“). ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ასევე კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დაცვის ცალკეულ გარანტიებს.

<sup>1</sup> Reports 1997-I, 323 ff.



## II. შეზღუდვის ფარგლები

პირად მონაცემებზე უფლება არ არის აბსოლუტური და შეუზღუდავი. პიროვნება შეიძლება ჩამოყალიბდეს და განვითარდეს მხოლოდ საზოგადოებაში. მისთვის, ასევე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოციალური კონტაქტები. პიროვნება არის საზოგადოების წევრი, ხოლო პირად (თუნდაც პერსონალურ) ინფორმაციაში ყოველთვის აისახება სოციალური რეალობა. ინდივიდს აქვს ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება იმ ფარგლებში, სანამ საერთო ინტერესი არ უშვებს ამ შეზღუდვის შესაძლებლობას. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება შესაძლებელია შეზღუდოს საერთო ინტერესებიდან გამომდინარე და თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე. შეზღუდვის ფარგლები არ უნდა გასცდეს საერთო ინტერესის სფეროს.<sup>1</sup>

ინდივიდი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ სახელმწიფო დაწესებულებები დაინტერესდებიან მასზე არსებული ინფორმაციით. ცალკეული სახელმწიფო ფუნქციების განხორციელება (მათ შორის დაგეგმვის ან მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის სფეროში) მოითხოვს სათანადო ინფორმაციულ უზრუნველყოფას.

შეზღუდვა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ კანონის მიერ განსაზღვრულ საფუძველზე. კონსტიტუცია ასევე განსაზღვრავს ამ უფლების შეზღუდვის მატერიალურ კრიტერიუმს, როდესაც ადგენს, რომ ისინი არ უნდა შეიცავდნენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

პერსონალური ინფორმაციის მოპოვება უნდა მოხდეს თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე, საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვით. ამასთანავე, გათვალისწინებულ უნდა იყოს მონაცემთა სახეები და მათი მნიშვნელობა პიროვნების ინდივიდუალური, ინტიმური ცხოვრების სფეროსათვის. ინდივიდის ინტიმური ცხოვრების სფერო მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს საჯარო ხელისუფლების ჩარევისაგან.<sup>1</sup> მონაცემთა მოპოვება უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს (მაგალითად, სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებასა და აღკვეთას). ამავე დროს, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულის ხასიათი და ინდივიდუალური ცხოვრების სფეროში ჩარევის მასშტაბები.

ჯანმრთელობასა და, საერთოდ სამედიცინო მონაცემებთან მიმართებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ინდივიდის პირადი ცხოვრების დაცვას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სისხლისსამართლებრივი ღვეწის ინტერესებთან მიმართებით. სამედიცინო ინფორმაცია დაცული უნდა იყოს როგორც ინდივიდის პირადი ცხოვრების, ისე სამედიცინო პროფესიის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე. პაციენტებმა დახმარებისათვის თავისუფლად უნდა მიმართონ სამედიცინო დაწესებულებებს. მათ არ უნდა ჰქონდეთ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების გამოქვეყნების შიში. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს გაცილებით მეტი საშიშროება იმისა, რომ ისინი საფრთხეს შეუქმნიან საკუთარ ჯანმრთელობას, ხოლო გადაძვლები ავადმყოფობების შემთხვევაში – სხვათა ჯანმრთელობასაც.<sup>2</sup>

<sup>1</sup> B VerfGE 65, 1.<sup>2</sup> B VerfGE 65 45.

*მუხლი 42.*

„1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

3. დაცვის უფლება გარანტირებულია.

4. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

5. არავინ არ აკებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

6. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.

7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.

8. არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.

9. ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან.“

საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილ ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ე.წ. საპროცესო ძირითად უფლებათა ბლოკს, რომელიც შედგება მე-18, მე-40 და 42-ე მუხლებისაგან. ამ ბლოკის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი კი 42-ე მუხლია, რომლის თითოეული პუნქტი ადამიანსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობათა უმნიშვნელოვანეს პრინციპებს შეიცავს. ესენია: სასამართლო დაცვის, იგივე სამართლიანი სასამართლოს უფლება, უფლება კანონიერ სასამართლოზე, დაცვის უფლება, ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ დასჯის დაუშვებლობა (ne bis in idem); იმ დანაშაულისათვის დასჯის დაუშვებლობა, რომელიც მისი ჩადენის დროს დანაშაულად არ ითვლებოდა (nulla poena sine lege), კანონის უკუძალის პრინციპი, შეჯიბრობითობის, იგივე საშუალებათა თანასწორობის პრინციპი, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებების იურიდიული ძალის საკითხი და უკანონოდ მიყენებული ზარალის სახელმწიფო სახსრებიდან სრული ანაზღაურების უფლება. ამ უფლებებს ხშირად მართლმსაჯულების ძირითად უფლებებსაც უწოდებენ.

**1. სასამართლო დაცვის (სამართლიანი სასამართლოს) ძირითადი უფლება**

*1. შესავალი*

42-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. სასამართლოსათვის მიმართვის და სამართლებრივი დაცვის ეს ძირითადი ნორმა განმტკიცებულია იმავე მუხლის მე-3 პუნქტით, რომლის მიხედვითაც, „დაცვის უფლება

გარანტირებულია“, აგრეთვე მე-18 მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტებით, რომლებიც დაკავებული ან დაპატიმრებული პირის უფლებებს განსაზღვრავს:

„2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

3. ... დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებამშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით...“

„5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე ... შეუძლია მოითხოვოს დამკველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს“.

აღამიანის სრულყოფილი და სამართლიანი დაცვა უზრუნველყოფილია 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით, რომლის მიხედვითაც, „ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს“. ამ პუნქტში მოცემული დებულება შეეჯიბრობითობის (იგივე საშუალებათა თანასწორობის) პრინციპს ეფუძნება. დიდი მნიშვნელობა აქვს 42-ე მუხლის მე-8 პუნქტსაც, რომელიც აცხადებს, რომ „არაფრად არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.“ სწორედ ამ და ზემოთ ციტირებული დებულებებიდან გამომდინარე, როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლო დაცვის უფლებას ხშირად „სამართლიან სასამართლოზე“ აღამიანის ძირითად უფლებას“ უწოდებენ.

ზემოთქმულთან ერთად, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია და გაბატონებული სამართლებრივი შეხედულება სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების არსებით, განუყოფელ შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ აღამიანსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობათა განმსაზღვრელ კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს – უდანაშაულობის პრეზუმფციას. საქართველოს კონსტიტუცია ხაზს უსვამს ამ პრინციპის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ცალკე, დამოუკიდებელი მუხლით აღიარებს მას (მ. 40). მიუხედავად ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ 42-ე მუხლის სხვადასხვა პუნქტში მოცემული დებულებები თავისთავად ძალიან მნიშვნელოვან, უდანაშაულობის პრეზუმფციაზე არანაკლები მნიშვნელობის პრინციპებს წარმოადგენენ, მაგრამ შინაარსობრივი ურთიერთკავშირის გამო ისინი სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების ფრთებქვეშ არის გაერთიანებული. ასეთივე შინაარსობრივი ურთიერთკავშირიდან და კონსტიტუციურ-სამართლებრივი ერთიანობიდან გამომდინარე, მართებული იქნება სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და მისი შემადგენელი ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის – უდანაშაულობის პრეზუმფციის ერთად განხილვა. ამ მიდგომას ამყარებს კონვენციის მე-9 მუხლიც, რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს ძირითად უფლებას და მის შემადგენელ, მასთან შინაარსობრივად დაკავშირებულ სხვა უფლებებსაც, მათ შორის, უდანაშაულობის პრეზუმფციას: მე-2 პუნქტის მიხედვით, „ყოველი ბრალდებული უდანაშაულოდ მიიჩნევა, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.“

### II. ღაცული სმეპო

როგორც აღინიშნა, სასამართლო დაცვის, იგივე სამართლიანი სასამართლოს უფლება საპროცესო ძირითადი უფლებათა და წარმოადგენს საპროცესო სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მატერიალური სამართალ-

ლი. ფიზიკური პირის პრეტენზიას სამართლიან სასამართლო დაცვაზე, ანუ სასამართლო-სათვის მიმართვაზე ხშირად „ადამიანის უძველეს პროცესუალურ უფლებას“ უწოდებენ. ამ უფლების მიხედვით, ყველას შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მისი საქმის სამართლიანი საჯარო სასამართლო მოსმენა, თუ მიაჩნია, რომ სახელმწიფომ დაარღვია მისი უფლებები; არავინ არ შეიძლება იყოს სასამართლო პროცესის შიშველი ობიექტი, ყველას უნდა ჰქონდეს სამართლებრივი შესაძლებლობა პროცესის მიმდინარეობისას გამოთქვას თავისი შეხედულება, რათა ამით გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს თავად პროცესზე და სასამართლოს გადაწყვეტილებაზეც. 42-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სასამართლო დაცვის ძირითადი უფლება ფორმალურად სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას ნიშნავს, ხოლო შინაარსობრივად – ადამიანის სრულყოფილ, ყოვლისმომცველ სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს. სრულყოფილი და ყოვლისმომცველი დაცვა კი უპირველესად ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა იმ მოქმედებისა თუ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას და სამართლებრივ შემოწმებას, რომლებიც ადამიანის უფლებებს არღვევს. 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ვრცელდება როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე. თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების არსებობისა და გამართული ფუნქციონისათვის აღნიშნულ დებულებას ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს. ამას ადასტურებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც, რომელმაც საქმეზე – „*დელკური ბელგიის წინააღმდეგ*“<sup>1</sup> – განაცხადა: „დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლიან სასამართლო განხილვაზე უფლებას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ მისი შეზღუდვით ახსნა-განმარტება მერ მუხლის პირველი პუნქტის ჭრილში დაუშვებელია“.

განსახილველი ძირითადი უფლების მფლობელია ყველა ფიზიკური პირი განურჩევლად მოქალაქეობისა. ამასთან, კონსტიტუციის 45-ე მუხლზე დაყრდნობით, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გავრცელებას იურიდიულ პირებზე, და სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საჭიროების შემთხვევაში მისი გამოყენების უფლება აქვთ კერძო სამართლის იურიდიული პირებსაც.

სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, ყველას აქვს უფლება დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე. სასამართლოს დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ შექმნილი სამართლებრივი სისტემით, რომელიც განსაზღვრავს სასამართლოს წევრების დანიშვნის წესს, სასამართლოზე შემოქმედების განხორციელების აღმკვეთ გარანტიებს, აგრეთვე მოსამართლეთა პირადი და სოციალური უსაფრთხოების გარანტიებს. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ მოთხოვნას და ადგენს მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიებს, რომელთა დიდი ნაწილიც მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე თავში – „სასამართლო ხელისუფლება“. გარდა ამისა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი აცხადებს, რომ „*მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აკრძალულია და ისჯება კანონით*“ (მ. 8, პ. 2).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლო

<sup>1</sup> *დელკური ბელგიის წინააღმდეგ (Delcourt v. Belgium)*, 1970 წლის 1 იანვარი.

უნდა იყოს დამოუკიდებელი როგორც აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან, ისე მხარეებისაგან.<sup>1</sup> სასამართლომ ასევე განსაზღვრა „მიუკერძოებლობის“ შინაარსი და განაცხადა, რომ „მიუკერძოებლობა ნიშნავს წინაზრახვის ან მიკერძოების უქონლობას. მოცემულ კონტექსტში უნდა განვსხვავოთ: სუბიექტური მიდგომა, რომელიც კონკრეტული საქმის ირგვლივ მოსამართლის პირად მრწამსს ასახავს, და ობიექტური მიდგომა, რომელიც განსაზღვრავს, არსებობდა თუ არა საკმარისი გარანტიები, რათა გამოიცილებული ყოფილიყო ნებისმიერი ეჭვი ამასთან დაკავშირებით.“<sup>2</sup> საერთოდ, მოქმედებს იმის პრეზუმფცია, რომ კანონის საფუძველზე დანიშნული მოსამართლის მიუკერძოებლობა არასოდეს იწვევს ეჭვს, თუ არ არსებობს ჩვენებები, რომლებიც საპირისპიროს ამტკიცებს. გარდა ამისა, ყოველ საქმესთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა იქნეს გამოკვლეული, არსებობს თუ არა მოსამართლის ქცევისაგან დამოუკიდებელი უდავო ფაქტები, რომლებიც მის მიუკერძოებლობაზე ახდენენ გავლენას. ამ დროს მნიშვნელობას იძენს ყველა გარემოება, განურჩევლად მათი ხასიათისა. ეს გარემოებები საბოლოოდ გავლენას ახდენს მთლიანად სასამართლო სისტემის მიმართ მოსახლეობის ნდობაზე, რაც თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების არსებობისა და განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების მნიშვნელოვანი ელემენტია სასამართლო განხილვის საჯაროობა. ამ პრინციპის არსებობა არა მხოლოდ მხარეთა, არამედ საზოგადოების ინტერესებშიც შედის. სასამართლო განხილვის საჯაროობის პრინციპის რეალური მოქმედება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საზოგადოების ნდობის ზარისხს მართლმსაჯულებისადმი. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ძირითადი უფლების ამ მოთხოვნას და ადგენს, რომ სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე; დაზარულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში; სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში საჯაროდ უნდა გამოცხადდეს, ხოლო სასამართლო სხდომაზე კინო- და ფოტოგადაღების, აუდიო- და ვიდეოჩანაწერის აკრძალვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილებით.<sup>3</sup> საყურადღებოა, რომ ევროპული კონვენცია ასევე ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც სასამართლო სხდომა შეიძლება დაიხუროს და პრესა ან საზოგადოება არ დაიშვას მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე, რაც სრულიად სამართლიანი დებულებაა, რადგან შესაძლებელია კონკრეტულ შემთხვევებში ეს აუცილებელი იყოს მხარეთა ინტერესების დასაცავად ან გამომდინარეობდეს დემოკრატიულ სახელმწიფოში ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესების დაცვის აუცილებლობიდან.<sup>4</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა

<sup>1</sup> *კემპელი და ფელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Campbell and Fell v. the United Kingdom)*, 1984 წლის 28 იანვარი.

<sup>2</sup> *პიერსაკი ბელგიის წინააღმდეგ (Piersack v. Belgium)*, 1982 წლის 1 ოქტომბერი.

<sup>3</sup> იხ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 1997 წლის 13 ივნისი, მ. 12. იხ. კონვენციის მ. 6, პ. 1, წინ. 2: „სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნეს დაშვებული დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებისათვის, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანის ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ანდა, რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს შეაქრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობის გამო, ეინადან საქვეყნობა დაზარალებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.“

სასამართლომ განმარტა, რომ საჯაროობა მოითხოვება სამართალწარმოების ნებისმიერი ეტაპის მიმართ, რომელიც ზეგაყენას ახდენს განსასჯელის საქმის „განსაზღვრაზე“<sup>1</sup> ამასთან, საჯაროობა არ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, როცა ორივე მხარე მოითხოვს სხდომის დახურვას.<sup>2</sup>

სასამართლო დაცვის, იგივე სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო მოსმენისას დაცული უნდა იყოს მხარეთა თანასწორობა, სასამართლო პროცესის ყოველ მონაწილეს უნდა ჰქონდეს საკუთარი შეხედულებების გამოთქმისა და პოზიციის დაფიქსირების თანაბარი შესაძლებლობა. არც ერთ მხარეს არ უნდა მიეცეს რამე არსებითი უპირატესობა მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით. საშუალებათა თანასწორობის, იგივე შეჯიბრებითობის ეს პრინციპი უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა ზოგადად, არამედ ყოველი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების მიმართ, რომელიც სასამართლო განხილვის საგანია. მხარეებს უფლება აქვთ ჰქონდეთ ინფორმაცია მოწინააღმდეგე მხარის ფაქტებისა და არგუმენტების შესახებ. ამავე დროს, თითოეულ მხარეს უნდა ჰქონდეს საკუთარი შეფასების გამოხატვისა და საწინააღმდეგო არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობა ყველა იმ მტკიცებულების მიმართ, რომელსაც წარმოადგენს მეორე მხარე ან რომელსაც იხილავს სასამართლო საკუთარი ინიციატივით. სასამართლოს არა აქვს უფლება გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნოს იმ ფაქტებს, რომელთა შესახებაც მხარეებს არ გამოუთქვამთ საკუთარი შეხედულება. საკუთარი შეხედულების, საწინააღმდეგო არგუმენტების გამოთქმისა და პოზიციის დაფიქსირების უფლება მოიცავს აგრეთვე შუამდგომლობათა წარდგენის უფლებას. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების ამ მოთხოვნას – „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის<sup>3</sup> მიხედვით, „მართლმსაჯულება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე საქმეში მონაწილე ყველა პირის თანასწორობის საფუძველზე“; ხოლო „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.“<sup>4</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით კი „მხარეებს სრული თანასწორობის საფუძველზე უფლება აქვთ წამოადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მათს გამოკვლევაში, განაცხადონ შუამდგომლობა და აცილება, გამოთქვან საკუთარი აზრი სისხლის სამართლის საქმის ნებისმიერ საკითხზე.“<sup>5</sup>

ზემოაღნიშნულ პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც აღიარებულია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა სამართლიანი სასამართლო დაცვის ძირითადი უფლების დარღვევა იმ საქმეებში, რომლებშიც ეროვნულმა სასამართლოებმა გადაწყვეტილება მიიღეს ბრალდების იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებზეც ინფორმაცია არ მიეწოდა მოპასუხე

<sup>1</sup> აქსენი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ (*Axen v. Federal Republic of Germany*), 1983 წლის 8 დეკემბერი.

<sup>2</sup> ლე კომპტე, ვან ლეუენი და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ (*Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*), 1981 წლის 23 ივნისი.

<sup>3</sup> 1997 წლის 13 ივნისი.

<sup>4</sup> ა. 6.

<sup>5</sup> ა. 15, ნაწ. 3.

მხარეს.<sup>1</sup> სასამართლომ ასევე დააფიქსირა ამ პრინციპის დარღვევა საქმეებში, რომლებშიც ერთერთ მხარეს უარი უთხრეს საქმის მასალების გაცნობაზე<sup>2</sup> და როდესაც ერთერთ მხარეს სასამართლოს მიერ უარი ეთქვა წარდგენილი მტკიცებულების განხილვაზე.<sup>3</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როცა მხარეს ეძლევა საკუთარი შეხედულების გამოთქმისა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა, მაგრამ იგი უარს ამბობს ამ შესაძლებლობის გამოყენებაზე, ეს სრულიადაც არ ნიშნავს სასამართლო დაცვის ძირითადი უფლების დარღვევით პროცესის ჩატარებას. დაუშვებელია მხარემ მოახდინოს სასამართლო პროცესის ბლოკირება იმით, რომ არ გამოიყენოს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების მისთვის არაერთხელ მიცემული შესაძლებლობა. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ასეთ შემთხვევებში, ჯერ ერთი, მხარის მიერ პროცესში მონაწილეობაზე უარის თქმა მოტივირებული უნდა იყოს არაორაზროვანი ფორმით,<sup>4</sup> და მეორე, თუ პირი უარს განაცხადებს სასამართლოს მოსმენაში მონაწილეობაზე, მისი ინტერესების დამცველი აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს პროცესში.<sup>5</sup>

შეჯიბრებითობის, ანუ საშუალებათა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარეობს იმის აუცილებლობა, რომ ნებისმიერი პირი მისთვის გასაგებ ენაზე ელტალურად იქნეს ინფორმირებული მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების შინაარსის შესახებ. ეს ეხება ყველანაირ ინფორმაციას, რომელიც ბრალდებულს უნდა ეცნობოს ბრალდების წაყენებისა და საქმის აღძერის დროს, აგრეთვე სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას. ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევად შეაფასა შემთხვევა, როდესაც მოქალაქემ განაცხადა, რომ მას ენობრივი ბარიერი ჰქონდა და აუცილებლად საჭიროებდა თარჯიმნის დახმარებას, მაგრამ ეროვნულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა.<sup>6</sup> სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ „განსასჯელი, რომელიც ვერ ფლობს სამართალწარმოების ენას, არასამართლიან პირობებში აღმოჩნდება, თუ მას არ მიეცა საშუალება გაეცნოს საბრალდებო აქტსა და სხვა დოკუმენტებს მისთვის გასაგებ ენაზე“.<sup>7</sup> სამართალწარმოებაში არსებული ყველა დოკუმენტისა თუ განაცხადის შინაარსის გაგება აუცილებელია განსასჯელისათვის, რათა მან იხსრებლოს სამართლიანი სასამართლო განხილვის ძირითადი უფლებით.<sup>8</sup> ამასთან, სასამართ-

<sup>1</sup> ბრანდშტეტერი ავსტრიის წინააღმდეგ (*Brandstetter v. Austria*), 1991 წლის 28 აგვისტო; იმბროსია შვეიცარიის წინააღმდეგ (*Imbrosia v. Switzerland*), 1993 წლის 24 ნოემბერი; ბულუთი ავსტრიის წინააღმდეგ (*Bulut v. Austria*), 1996 წლის 22 თებერვალი; გარსია ალვა გერმანიის წინააღმდეგ (*Garcia Alva v. Germany*), 2001 წლის 13 თებერვალი.

<sup>2</sup> კეროიარვი ფინეთის წინააღმდეგ (*Kerajarvi v. Finland*), 1995 წლის 19 ივლისი; მაკმიკელი კეროიარვი საფრანგეთის წინააღმდეგ (*McMichael v. the United Kingdom*), 1995 წლის 24 თებერვალი; ფუშერი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Foucher v. France*), 1997 წლის 18 მარტი.

<sup>3</sup> დე ჰაესი და გისელსი ბელგიის წინააღმდეგ (*De Haes and Gijssels v. Belgium*), 1997 წლის 24 თებერვალი; მანტოვანელი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Mantovanelli v. France*), 1997 წლის 18 მარტი.

<sup>4</sup> პუატრიმოლი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Poitrimol v. France*), 1993 წლის 23 ნოემბერი.

<sup>5</sup> ფელდაოა ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Felladoah v. Netherlands*), 1994 წლის 22 სექტემბერი.

<sup>6</sup> ბროჯიკი იტალიის წინააღმდეგ (*Brozicek v. Italy*), 1989 წლის 19 დეკემბერი.

<sup>7</sup> კამასინსკი ავსტრიის წინააღმდეგ (*Kamasinski v. Austria*), 1989 წლის 29 დეკემბერი.

<sup>8</sup> ლუდიკი, ბელკასამი და კოკი გერმანიის წინააღმდეგ (*Luedicke, Belkasm and Koc v. Germany*), 1978 წლის 28 ნოემბერი.

ლომ არ მიიჩნია კონვენციის მე-ნ მუხლის დარღვევად შემთხვევა, როდესაც სახელმწიფომ პირს დაუნიშნა ადვოკატი, რომელსაც შეეძლო როგორც სამართალწამოების ოფიციალურ, ისე პირის მშობლიურ ენაზე საუბარი და ამით თავისი დასაცავის სრულყოფილი დაცვა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით, სასამართლოებში სამართალწარმოება ზორციელდება სახელმწიფო ენაზე, იმავდროულად კი სავალდებულოა პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინოს თარჯიმანი. თარჯიმნის მომსახურება უნდა ანაზღაურდეს ბიუჯეტის ხარჯზე.<sup>1</sup>

42-ე მუხლის მე-3 პუნქტით უზრუნველყოფილია დაცვის უფლება. ეს უფლება მოიცავს პირის შესაძლებლობასა და სურვილს დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან, თუ მას არ შეუძლია სამართლებრივი დახმარების ანაზღაურება საკუთარი სახსრებით, მიეცეს ამის საშუალება უფასოდ იმ შემთხვევებში, როცა ამას მოითხოვს სამართლიანი მართლმსაჯულების ინტერესები. დაცვის უფლების ამ მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ავალდებულებს სასამართლოს და ყველა სხვა თანამდებობის პირს, რომლებიც სისხლის სამართალწარმოებას ახორციელებენ „ეჭვმიტანილი, ბრალდებული და განსასჯელი უზრუნველყონ დაცვის უფლებით, განუმარტონ მათი უფლებები, მისცენ შესაძლებლობა დაიცვან თავი კანონით ნებადართული ყველა საშუალებით, დაიცვან მათი უფლებები და თავისუფლებები.“<sup>2</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით აღმინის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიცია ასევე სრულიად ნათელია. კონვენციის მე-ნ მუხლის მე-3 პუნქტის განმარტებისას სასამართლომ განაცხადა, რომ „როდესაც არსებობს თავისუფლების აღკვეთის საფრთხე, მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს დაცვის უფლების უზრუნველყოფას.“<sup>3</sup>

დაცვის უფლება გულისხმობს აგრეთვე პირის უფლებას ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალება საკუთარი დაცვის მოსამზადებლად. ამ უფლებათა მჭიდრო ურთიერთკავშირი აშკარაა, რადგან ბუნებრივია, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება დაცვის მოსამზადებლად არის სწორედ ადვოკატის მოთხოვნის უფლება. აქედან გამომდინარეობს აგრეთვე იმის აუცილებლობა, რომ ბრალდებულისა თუ განსასჯელის დამცველს ჰქონდეს კლიენტთან თავისუფალი და კონფიდენციალური დაკავშირებისა და შეხვედრების უფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაწერილებით განმარტა დაცვის უფლების შინაარსი და აღნიშნა, რომ დამცველის დახმარება უზრუნველყოფილი უნდა იყოს „დაკავების მომენტიდან“, რადგან დაკავებულ, ბრალდებულ თუ განსასჯელ პირს სჭირდება დამცველის დახმარება თავისი „კანონიერი ინტერესების დასაცავად და მისთვის კვალიფიციური იურიდიული დახმარების გასაწევად“.<sup>4</sup> სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულია დაცვის და დასაცავი პირის უფლება, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს დასაცავი პირის სურ-

<sup>1</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მ. 10.

<sup>2</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მ. 11, ნაწ. 1.

<sup>3</sup> იხ. *ბენამი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Benham v. the United Kingdom)*, 1996 წლის 10 ივნისი; იხ. აგრეთვე *არტიკო იტალიის წინააღმდეგ (Artico v. Italy)*, 1980 წლის 13 მაისი.

<sup>4</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერაძე, რევაზ ჯიშყვიანი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №2/3/182, 185, 191; 2003 წლის 29 იანვარი.



ვილიდან. „საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს დაცვის უფლების ისეთ პირობებს, როდესაც უპირატესობა ენიჭება დასაცავი პირის სურვილსა და უნარს, ჰყავდეს დამცველი.“<sup>1</sup> სასამართლოს აზრით, დაცვის მხარეს უნდა მიეცეს გონივრული, საკმარისი დრო და შესაძლებლობა განახორციელოს სრულფასოვანი დაცვა, რაც გულისხმობს ისეთ დროს და შესაძლებლობას, რომელიც, სისხლის სამართლის ყოველი კონკრეტული საქმის სირთულიდან გამომდინარე, დაცვის მხარეს მისცემდა სრულფასოვანი მომზადების შესაძლებლობას.

აღმდინის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ კონსულტაციები და შეხვედრები ადვოკატსა და ბრალდებულს (განსაკუთრებით შორის უნდა მიმდინარეობდეს სხვების დაუსწრებლად, კერძო გარემოში, რათა დაცული იყოს ამ პირთა კონფიდენციალური ურთიერთობა და თავად ადვოკატის პროფესიული საიდუმლოება.<sup>2</sup> ამასთან, სასამართლომ განაცხადა, რომ ცალკეულ გამონაკლის შემთხვევებში, სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს ასეთი შეხვედრები, მაგალითად, როდესაც იკვეთება დასაბუთებული ეჭვი, რომ ადვოკატი ბოროტად იყენებს თავის პროფესიულ მდგომარეობას და საიდუმლოდ ათანხმებს თავის კლიენტთან მტკიცებულებათა დამალვის ან განადგურების, ან სასამართლო პროცესის სხვა სერიოზული გზით ობსტრუქციის გეგმას.<sup>3</sup>

42-ე მუხლის მე-6 პუნქტით კონსტიტუცია აღიარებს სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს – ბრალდებულის უფლებას მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და დაკითხვა ისეთსავე პირობებში, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს. ეს უფლება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს ეყრდნობა და უზრუნველყოფს პირის უფლებას დაკითხოს თვითონ ან დაკითხონ მის წინააღმდეგ ჩვენების მიძემები მოწმეები, აგრეთვე გარანტირებული იყოს დაცვის მოწმეთა დასწრება და დაკითხვა მის წინააღმდეგ ჩვენების მიძემ მოწმეთა თანაბარ პირობებში. ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – „ბიონიში ავსტრიის წინააღმდეგ“<sup>4</sup> – დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლომ დაცვის მიერ გამოძახებული მოწმეები უნდა დაკითხოს ისეთივე პირობებში, როგორც თავის მხრივ ექსპერტად მოწვეული მოწმეები. აღსანიშნავია, რომ სასამართლო მუდმივად აფიქსირებდა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას იმ საქმეებში, რომლებშიც ეროვნული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი დაფუძნებული იყო ანონიმურ მოწმეთა ჩვენებებზე, რომელთა დაკითხვის საშუალებაც არ ჰქონდა დაცვის მხარეს.<sup>5</sup> სასამართლომ ასევე დააფიქსირა დარღვევა საქმეში, როცა სისხლის სა-

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფიროზ ბერიავილი, რევაზ ჯიმშურიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №2/3/182, 185, 191; 2003 წლის 29 იანვარი.

<sup>2</sup> კანი ავსტრიის წინააღმდეგ (*Can v. Austria*), 1985 30 სექტემბერი; კემპელი და ფელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Campbell and Fell v. the United Kingdom*), 1984 წლის 28 იანვარი.

<sup>3</sup> კემპელი და ფელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Campbell and Fell v. the United Kingdom*), 1984 წლის 28 იანვარი.

<sup>4</sup> ბიონიში ავსტრიის წინააღმდეგ (*Bünisch v. Austria*), 1985 წლის 6 მაისი.

<sup>5</sup> კოსტოვსკი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Kostovski v. Netherlands*), 1989 წლის 20 ნოემბერი; ვინდიშ ავსტრიის წინააღმდეგ (*Windisch v. Austria*), 1990 წლის 27 სექტემბერი; სადი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Saidi v. France*), 1993 წლის 20 სექტემბერი.

მართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირს არ მიეცა საშუალება დაეკითხა ბელგიის სამეფო ოჯახის წევრი იმ მტკიცებულებებთან დაკავშირებით, რომლებზეც დაფუძნებული იყო მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები.<sup>1</sup> ამავე დროს, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულ სასამართლოს უფლება აქვს უარი უთხრას განსასჯელის მხარეს მოწმის გამოძახებაზე, თუ ნათელია, რომ მოწმის ჩვენებას საქმის არსებითი განხილვისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

სასამართლო დაცვის ანუ სამართლიანი სასამართლო განხილვის უმნიშვნელოვანესი ელემენტია ბრალდებულის უფლება არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დუმილის უფლება. საქართველოს კონსტიტუცია განაგრცობს ამ უფლებას და 42-ე მუხლის მე-8 პუნქტით აცხადებს, რომ „არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.“ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმეზე „სუნდერსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“<sup>2</sup>), აღნიშნული უფლება წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სასამართლებრივ ნორმას და სისხლის სამართლის პროცესში იგი ვრცელდება ნებისმიერ დასჯად ქმედებაზე და ნებისმიერ ბრალდებაზე. ამ უფლების ძირითადი შინაარსი ისაა, რომ განსასჯელი დაიცვას ხელისუფლების იძულებისაგან, კერძოდ, არ იქნეს მოპოვებული მტკიცებულებანი განსასჯელის იძულების გზით.

სასამართლო დაცვა ეფექტიანი შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როცა იგი დროულად ხორციელდება. ერთი მხრივ, ეს ნიშნავს, რომ, სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო პროცესები უნდა ჩატარდეს გონივრულად მისაღებ ვადებში და არ მოხდეს მათი დაუსრულებელი გაჭიანურება. ამით სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლება მოითხოვს მართლმსაჯულება განხორციელდეს ისეთი დაყოვნების გარეშე, რომელიც ძირს უთხრის მისდამი ადამიანების ნდობას. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ისეთი პროცედურები, რომლებიც შეესაბამება ძირითადი უფლების ამ მოთხოვნას და უზრუნველყოფს მოქალაქის უფლებას სამართლიან, დროულ და ეფექტიან სასამართლოზე. სწორედ ამ პრინციპს შეესაბამება 2005 წლის 25 მარტს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომლითაც მნიშვნელოვნად შემცირდა წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა და საერთო ვადა განისაზღვრა არა უმეტეს 4 თვით (მ. 162 ნაწ. 1), ხოლო საერთო სასამართლოებში (I ინსტანციის სასამართლოდან უზენაესი სასამართლოს ჩათვლით) საქმის განხილვისას განსასჯელის პატიმრობის მაქსიმალური ვადა შეადგენს 12 თვეს, ნაკვლად ადრინდელი 30 თვისა (მ. 162 ნაწ. 11). ამ ცვლილებებით ბრალდებულისათვის დაცვის გაცილებით მაღალი სტანდარტები დაწესდა და ფაქტობრივად ყველა ვადა – წინასწარი პატიმრობისა თუ სასამართლო განხილვისას განსასჯელის პატიმრობისა – ორჯერ შემცირდა. აქვე შევნიშნავთ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით, კერ-

<sup>1</sup> ბრიკმონ ბელგიის წინააღმდეგ (*Bricmont v. Belgium*), 1989 წლის 7 ივლისი.

<sup>2</sup> სუნდერსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Saunders v. the United Kingdom*), 1996 წლის 17 დეკემბერი, იხ. აგრეთვე ფუნიკე საფრანგეთის წინააღმდეგ (*Fuinke v. France*), 1993 წლის 23 თებერვალი..

ძოდ, საქმის სირთულის მოძიების ქცევისა და ეროვნული ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მოქმედების გათვალისწინებით.<sup>1</sup>

მეორე მხრივ, სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების მოთხოვნა ხელისუფლების ისეთი გადაწყვეტილებების მაქსიმალური შემცირება, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს. ამ მოთხოვნას შეესაბამება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის<sup>2</sup> 29-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმა, რომლის მიხედვითაც, სარჩელის წარდგენა სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედებას. ეს ნორმა კონსტიტუციურ-სამართლებრივად უზრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების კონკრეტული გამოხატულება და საჯარო-სამართლებრივი პროცესის ფუნდამენტური პრინციპია. ბუნებრივია, აქ შეიძლება არსებობდეს შემთხვევები, როცა ადმინისტრაციული აქტის მოქმედების და აღსრულების შეჩერება არ ხდება, რადგან მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესი მოითხოვს კონკრეტული ღონისძიების დაუყოვნებლივ განხორციელებას, მაგრამ ეს შემთხვევები მხოლოდ გამონაკლისი უნდა იყოს ზოგადი წესიდან. ასეთი გამონაკლისები ჩამოთვლილია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მეორე ნაწილში, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციული აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ:

- ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან;
- ბ) იგი წარმოადგენს პოლიციის ორგანოს ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც გამოცემულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით;
- გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;
- დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ, თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა;
- ე) ეს გათვალისწინებულია კანონით.“

სამართლიანი სასამართლოს ძირითად უფლებას ეწინააღმდეგება ისეთი ნორმები, რომლებიც არაგონივრულ სასამართლო ხარჯებს ადგენენ და პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის სასამართლოსათვის მიმართვას. ეს განსაკუთრებით სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებს ეხება. სასამართლო დაცვა არ უნდა იყოს დამოკიდებული მოქალაქეთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე და მათ ფინანსურ შესაძლებლობებზე. კანონმდებელი ვალდებულია გაითვალისწინოს ეს მოთხოვნა შესაბამისი ნორმების დადგენით, სასამართლოებმა კი უნდა მიიღონ მხედველობაში მოქალაქის სოციალური მდგომარეობა. საყურადღებოა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, სასამართლოს შეუძლია, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, აგრეთვე

<sup>1</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: *ქელისი და სისი საფრანგეთის წინააღმდეგ (Pelissier and Sassi v. France)*, 1999 წლის 25 მარტი; *პორტინგტონი საბერძნეთის წინააღმდეგ (Portington v. Greece)*, 1998 წლის 23 სექტემბერი; *ბარფუსი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (Barfuss v. Czech Republic)*, 2000 წლის 31 ივლისი

<sup>2</sup> 1999 წლის 23 ივლისი.

მოიწიოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე (მ. 47) ან კიდევ ერთ ან ორივე მხარეს გადაუღოს ან გაუნაწილედლოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა, ანდა შეამციროს ხარჯების ოდენობა (მ. 48).

**III. დაცულ სფეროში ჩარევა**

უსაშველოდ გრძელი და დაუსრულებელი სასამართლო პროცედურა არის კონსტიტუციით უზრუნველყოფილი სასამართლო დაცვის ძირითადი უფლების ფაქტობრივი გაუქმება და, შესაბამისად, დაცულ სფეროში მძიმე ჩარევა. ასევე მძიმე ჩარევაა ისეთი შემთხვევა, როცა სასამართლოს გადაწყვეტილება ეყრდნობა შეცდომას, ანუ გადაწყვეტილება მიღებულია სწორედ ამ შეცდომის საფუძველზე. ეს კი მაშინ ხდება, როცა არ არის გამორიცხული, რომ პროცესზე კონკრეტული პირის გამოკითხვა და მოსმენა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი შეიძლება ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, პირმა, რომელიც მსგავსი შემთხვევის გამო დარღვეულად მიიჩნევა სასამართლო დაცვის ძირითად უფლებას, უნდა მოიყვანოს ის ფაქტები, რომლებსაც ის წარმოადგენდა სასამართლო პროცესზე მისი მოსმენის შემთხვევაში, რადგან სწორედ ამ გზით შეიძლება შემოწმდეს, შეეძლო თუ არა სასამართლოს სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება აღნიშნული ფაქტებისა და გარემოებების მოსმენის შემთხვევაში.

საქართველოს კანონი „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილებათა სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“<sup>41</sup> სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას სასამართლოებში მოსამართლის არყოფნის ან განსახილველი საქმების რაოდენობის მკვეთრი ზრდის შემთხვევაში ამ სასამართლოში მოსამართლის უფლების განსახორციელებლად მიავლინოს სხვა სასამართლოს მოსამართლე (მ. 13), რათა ამით თავიდან აიცილოს საქმეთა განხილვის ვადების და, შესაბამისად, სასამართლო დაცვის ძირითადი უფლების დარღვევა.

**IV. ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი**


სასამართლო დაცვის ძირითადი უფლება საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ადამიანის სამართლებრივი დაცვის პროცედურული და ორგანიზაციული ნორმები, რც უნდა შეესაბამებოდეს 42-ე მუხლის მოთხოვნებს და სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შინაარსს. აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სხვა ძირითად უფლებებთან კოლიზიის შემთხვევაში. თუმცა ძალიან ძნელია იმის თქმა, თუ რომელ უფლებასთან შეიძლება მოხდეს კოლიზია. აქედან გამომდინარე, არ არსებობს არავითარი შესაძლო კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი ჩარევის გასამართლებლად.

**2. მ. 42. პ. 2 – უფლება კანონიერ სასამართლოზე**

ადამიანის ძირითადი უფლება კანონიერ სასამართლოზე, სხვა საპროცესო ძირითად უფლებებთან ერთად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შემადგენელი ნაწილი და კონკრეტული გამოხატულებაა. საქართველოს კონსტიტუცია ამ ძირითად

უფლებას უზრუნველყოფს 42-ე მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის მიხედვითაც, „ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე“. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის გაბატონებული სამართლებრივი შეხედულება, აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს. კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველი ადამიანი „აღჭურვილია გონიერულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ“. სწორედ ამ კონცეფციის შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუცია აღნიშნულ ძირითად უფლებას 42-ე მუხლის მე-2 პუნქტით აღიარებს და ამით ხაზს უსვამს მის პირდაპირ კავშირს სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან.

კანონიერ სასამართლოზე ძირითადი უფლების სუბიექტია ყველა ფიზიკური პირი, განურჩევლად მათი მოქალაქეობისა თუ მოქალაქეობის არქონისა. ეს უფლება არის გარანტია, რომლის საფუძველზეც თავიდან ავიცილებთ ფიზიკური პირის სასამართლო გზით დაცვაზე სხვადასხვა საშუალებებით ზეგავლენისა და სასამართლო პროცესის მანიპულირების საფრთხეს. დაუშვებელია სასამართლოთა განსჯადობისა და შემადგენლობის ისეთი წესით განსაზღვრა, რომლის მიზანიც იქნება კონკრეტულ სასამართლო საქმეთა ამორჩევა და განხილვა. ეს ძირითადი უფლება სახელმწიფოსაგან მოითხოვს სასამართლო განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას. ამ მოთხოვნის შესაბამისად, საერთო სასამართლოების სისტემა, სასამართლოთა შინაარსობრივი, ტერიტორიული და ინსტანციური იურისდიქცია განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“ და საპროცესო კოდექსებით.



კანონიერ სასამართლოზე ადამიანის ძირითადი უფლება მოქალაქეებს იცავს მოსამართლეთა ან სასამართლოთა მიერ მათთვის „სასურველი“ საქმეების საკუთარი შეხედულებისამებრ „ამორჩევის“ შესაძლებლობისაგან. შესაბამისად, აღნიშნული უფლება გამოირიცხავს შემთხვევითობას საქმეთა ამორჩევისა და მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის საკითხებში. ნეგატიური თვალსაზრისით, უზრუნველყოფილია უფლება, რომლის მიხედვითაც, კანონით გათვალისწინებული კონკრეტული გარემოებების შემთხვევაში დაუშვებელია საქმის განხილვა კონკრეტული მოსამართლის მიერ (ე.წ. აცილების უფლება). აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია შექმნას შესაბამისი პირობები ამ ძირითადი უფლების რეალური განხორციელებისათვის, კერძოდ კი – შეიმუშაოს კანონები, რომელთა საშუალებითაც წინასწარვე მაქსიმალურად ნათლად იქნება განსაზღვრული, თუ როგორ განაწილდება სასამართლოში საქმეები და რომელი მოსამართლე განიხილავს კონკრეტულ საქმეს.

კანონიერი სასამართლოს ძირითადი უფლების ზემოხსენებულ მოთხოვნას შეესაბამება საქართველოს კანონი „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილებათა სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“, რომლითაც განსაზღვრულია რაიონულ (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესი (მ. 1). საქართველოს საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები ნაწილდება რიგიობის წესით, რაც გულისხმობს მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილებას საქმეთა შემოკლების რიგისა და მოსამართლეთა რიგიობის მიხედვით (მ. 4). რიგიობით პირველი ნომერი ენიჭება იმ მოსამართლეს, რომლის გვარის პირველი, ზოლო იგივეობის შემთხვევაში მომდევნო ასო ანბანის მიხედვით პირველია (მ. 5). სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეები და სხვა მასალები მოსამართლეთა შორის ნაწილდება სასამართლოში საქმის შემოსვლის თანამიმდევრობის მიხედვით; შემოსვლის რიგით ყოველი მომდევნო საქმე გადაეცემა რიგიობით მომდევნო მოსამართლეს (მ. 8).

მოცემულ ძირითად უფლებაში ჩარევაა, მაგალითად, ის შემთხვევები, როცა სასამართლოებში საქმეთა განაწილების კანონითა და სასამართლოთა სამუშაო რეგლამენტით დადგენილი წესების დარღვევით საქმეს იხილავს ე.წ. არასათანადო მოსამართლე. მძიმე ჩარევაა აგრეთვე საქმის განხილვა სასამართლოთა ტერიტორიული ან ინსტანციური იურისდიქციის დარღვევით.

საქართველოს კონსტიტუციით უფლება კანონიერ სასამართლოზე უზრუნველყოფილია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ანუ იგი აბსოლუტური ძირითადი უფლებაა. შესაბამისად, დაუშვებელია რამე სახით მისი შეზღუდვა. აღნიშნული უფლების ნებისმიერი ფორმით შეზღუდვა დაცულ სფეროში კონსტიტუციურ-სამართლებრივად გაუმართლებელი ჩარევა იქნება. ასევე გაუმართლებელია ჩარევა კოლიდირებული სამართლებრივი სიკეთის დასაცავად, რადგან ასეთი სიკეთე უბრალოდ არ არსებობს.

### 3. მ. 40 - უღანაშაულობის პრინციპი

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუცია მე-40 მუხლით აღიარებს თავისუფალ ადამიანსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობათა განმსაზღვრელ ერთ-

ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს – უდანაშაულობის პრეზუმფციას. იმავდროულად, 42-ე მუხლით კონსტიტუცია აღიარებს სამართლიანი სასამართლოს ძირითად უფლებას და მის შემადგენელ იმ ცალკეულ უფლებებსა თუ პრინციპებს, რომლებიც ადამიანის საპროცესო უფლებათა ძირითადი ბირთვია. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და გაბატონებული სამართლებრივი შეხედულება უდანაშაულობის პრეზუმფციას მიიჩნევს სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების არსებით, განუყოფელ შემადგენელ ნაწილად და ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპად, ხოლო საქართველოს კონსტიტუცია ზუსტ უსვამს ამ პრინციპის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ცალკე, დამოუკიდებელი მუხლით აღიარებს მას (მ. 40). ამავე დროს, კონსტიტუცია იზიარებს ევროპული კონვენციის მიდგომასაც, რადგან მე-40 მუხლით აღიარებული უდანაშაულობის პრეზუმფცია კონსტიტუციურ-სამართლებრივად 42-ე მუხლით განსაზღვრული სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია.

კონსტიტუციის მე-40 მუხლის მიხედვით:

*„1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.*

*2. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალდებულს.*

*3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“*

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი განმტკიცებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითაც, რომელიც კონსტიტუციის მე-40 მუხლის დებულებიდან გამომდინარე და აცხადებს, რომ ბრალდებულს უფლება აქვს უარი თქვას ბრალდებაზე, ხოლო კანონით დადგენილი წესით დაუდასტურებელი ეჭვი უნდა გადაწყდეს არა მარტო ბრალდებულის, არამედ ეჭვმიტანილის სასარგებლოდაც (მ. 10).

ზემოაღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებს პირის დაკავების მომენტიდან სისხლისსამართლებრივი განხილვის მთელი პერიოდის განმავლობაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლო სტადია, რადგან ნებისმიერი შენიშვნა, რომელსაც მოსამართლე გააკეთებს საქმის განხილვის დამთავრების ან პირის გამართლების დროს, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად ჩაითვლება. გარდა ამისა, მართალია, ეს პრინციპი ძირითად საპროცესო გარანტიას წარმოადგენს, მაგრამ მისი მოქმედებისა და გამოყენების სფერო გაცილებით ფართოა. უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა თანაბრად საეალდებულოა როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ყველა სახელმწიფო ორგანოსა და მოსამართლისათვის, ისე ნებისმიერი სხვა სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირისათვის. ანუ, ისევე როგორც მოსამართლეები თავიანთი მოვალეობის შესრულებისას არ უნდა ეყრდნობოდნენ წინასწარ ჩამოყალიბებულ აზრს ბრალდებულისა თუ განსასჯელის მიმართ, სხვა სახელმწიფო ორგანოთა თანამდებობის პირებიც არ უნდა გამოთქამდნენ მოსაზრებებს პირის ბრალულობის შესახებ. უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ან მის დაწყებამდე ქვეყნდება მიკერძოებუ-

ლი და არაობიექტური პუბლიკაციები, სადაც ბრალდებული უკვე დამნაშავედ არის შერაცხული. ამ დროს სახელმწიფოს ვალდებულებაა ბრალდებულს შეუქმნას ყველა პირობა იმისათვის, რომ მან ასევე პრესის საშუალებით გააბათილოს საგაზეთო პუბლიკაციების არგუმენტები.

მე-40 მუხლით ადამიანი არ არის დაცული სახელმწიფოს იმ მოქმედებებისაგან, რომლებიც თან სდევს სისხლისსამართლებრივ დევნას (მაგალითად, წინასწარი დაკავება ან დაპატიმრება). მაგრამ უდანაშაულობის პრეზუმფცია იცავს ადამიანს სხვა პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო პასუხისმგებლობის დაკისრებისაგან. გარდა ამისა, უდანაშაულობის პრეზუმფციის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი – „ყოველგვარი ეჭვი – ბრალდებულის სასარგებლოდ“ (in dubio pro reo) – ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმია მტკიცებულებათა შეფასებისას. მოსამართლე ვალდებულია არ აღიაროს ისეთი ფაქტებისა და მტკიცებულებების უტყუარობა, როდესაც ნეიტრალური მხრიდან ობიექტური შეფასებისას რჩება ამ მტკიცებულებათა უტყუარობის ეჭვი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მრავალწლიანი პრაქტიკა ადასტურებს უდანაშაულობის პრეზუმფციის ზემოაღნიშნულ შინაარსს. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების შემადგენელი ნაწილია,<sup>1</sup> და აცხადებს, რომ ამ პრინციპის დაცვა ევალება ყველა სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირს. საქმეში „ალენე დე რიბემონი საფრანგეთის წინააღმდეგ“<sup>2</sup> სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევად მიიჩნია შინაგან საქმეთა მინისტრისა და კრიმინალური პოლიციის დირექტორის განცხადება, რომლებმაც ქალბატონი რიბემონი მკვლელობის თანამონაწილედ და წამქეზებლად მოიხსენიეს, თუმცა ამ დროს ქალბატონ რიბემონს ოფიციალურად ჯერ კიდევ არ ჰქონდა წაყენებული ბრალი და, შესაბამისად, სასამართლო განხილვაც არ იყო დაწყებული.

უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა საჭიროა გამამართლებელი განაჩენის გამოტანის დროსაც. ევროპულმა სასამართლომ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად მიიჩნია ავსტრიის ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ, როცა გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, დაუმშვებელია ეროვნული სასამართლო ეყრდნობოდეს პირის ბრალეულობის ეჭვს და ამ საფუძველით უარი უთხრას მას კომპენსაციაზე. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ, რადგან პირი გამართლებული აქნა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის საფუძველზე, ანუ იმის გამო, რომ ყველა ეჭვი გადაწყდა მისი, როგორც ბრალდებულის, სასარგებლოდ, ეროვნულმა სასამართლომ არ შეიძლება არ დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა იმ საფუძველით, თითქოს მანინც „არსებობს ეჭვი პირის ბრალეულობის შესახებ“.<sup>3</sup> ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დარღვევა საქმეში „მინელი შვეიცარიის წინააღმდეგ“<sup>4</sup>, რომელშიც შურნალისტი სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დააჯარიმეს ცილისწამებისათვის იმ საფუძველით, რომ იგივე

<sup>1</sup> *ბარბერა, მესეგე და ჰაბარდო ესპანეთის წინააღმდეგ (Barbera, Messegue and Jabardo v. Spain)*, 1988 წლის 6 დეკემბერი.

<sup>2</sup> *ალენე დე რიბემონი საფრანგეთის წინააღმდეგ (Allenet de Ribemont v. France)*, 1995 წლის 10 თებერვალი.

<sup>3</sup> *სეკანინა ავსტრიის წინააღმდეგ (Sekanina v. Austria)*, 1993 წლის 25 ივნისი.

<sup>4</sup> *მინელი შვეიცარიის წინააღმდეგ (Minelli v. Switzerland)*, 1983 წლის 21 თებერვალი.



ბრალდებით სხვა ჟურნალისტს სასამართლომ ჯარიმის გადახდა დააკისრა. სასამართლომ აღნიშნა, რომ, როცა ადამიანს არ ეძლევა სამართლებრივი დაცვის საშუალება, ეს ნიშნავს უდანაშაულობის პრეზუმეციის დარღვევას.

ევროპულმა სასამართლომ გააფართოვა ამ პრინციპის მოქმედების სფერო და განაცხადა, რომ ზოგ შემთხვევაში იგი ვრცელდება სამოქალაქო საქმეებზეც, რომლებსაც სასამართლო განიხილავს „სისხლისსამართლებრივის“ კონტექსტში (აღნიშნულის ერთ-ერთი მაგალითი შეიძლება იყოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული დისციპლინური სამართალწარმოება).<sup>1</sup> გარდა ამისა, სასამართლომ გაითვალისწინა უდანაშაულობის პრეზუმეციის ის კომპონენტი, რომლითაც იგი იცავს ადამიანს სხვა პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო პასუხისმგებლობის დაკისრებისაგან და საქმეში „ა. პ., მ. პ. და თ. პ. შვეიცარიის წინააღმდეგ“<sup>2</sup> ამ პრინციპის დარღვევად მიიჩნია სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მოქმედება. ამ ორგანოებმა ჯარიმის გადახდა დააკისრეს ფიზიკურ პირებს, რომლებსაც დაქირავებული ჰქონდათ იმ პირთა საცხოვრებელი ბინები, რომლებიც დამნაშავედ ცნეს გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების გამო.

უდანაშაულობის პრეზუმეციის პრინციპის დარღვევად ითვლება ნებისმიერი შემთხვევა, როდესაც ხელყოფილია მისი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი, რომელიც აცხადებს: „ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალდებულს.“ უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს, რომ არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა (მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება). აქედან გამომდინარე, უდანაშაულობის პრეზუმეციის დარღვევა იქნება ნებისმიერი შემთხვევა, როდესაც სასამართლო მტკიცების ტვირთს ბრალდების მხრიდან გადაიტანს დაცვის მხარეზე და გადაწყვეტილებას დაასაბუთებს იმით, რომ ბრალდებულმა ვერ დაამტკიცა თავისი უდანაშაულობა. ევროპულმა სასამართლომ სწორედ ამ ნაწილის და, შესაბამისად, უდანაშაულობის პრეზუმეციის პრინციპის დარღვევა დააფიქსირა საქმეში „ტელფნერი ავსტრიის წინააღმდეგ“<sup>3</sup> და განაცხადა, რომ სასამართლოს წევრები თავისი მოვალეობის შესრულებას არ უნდა შეუდგნენ წინასწარ ჩამოყალიბებული აზრით, რომ განსასჯელმა ჩაიღინა მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაული, მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს და ყოველი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ; უდანაშაულობის პრეზუმეცია ირღვევა იმ შემთხვევაში, როცა მტკიცების ტვირთი გადატანილია ბრალდების მხრიდან დაცვის მხარეზე. განსახილველ საქმეში ეროვნულმა სასამართლოებმა, რომლებმაც ვერ დაადგინეს *prima facie* დამაჯერებელი შემთხვევა ბრალდებულის საწინააღმდეგოდ, მტკიცების ტვირთი ბრალდების მხრიდან გადაიტანეს დაცვის მხარეზე, რითაც დაარღვიეს უდანაშაულობის პრეზუმეციის პრინციპი.

<sup>1</sup> ალბერი და ლე კომპტე ბელგიის წინააღმდეგ (*Albert and le Compte v. Belgium*).

<sup>2</sup> ა. პ., მ. პ. და თ. პ. შვეიცარიის წინააღმდეგ (*A.P., M.P. and T.P. v. Switzerland*), 1997 წლის 29 აგვისტო; იხ. აგრეთვე ე. ლ., რ. ლ. და ჯ.ო.ლ. შვეიცარიის წინააღმდეგ (*E.L., R.L. and J.O.-L. v. Switzerland*), 1997 წლის 29 აგვისტო.

<sup>3</sup> ტელფნერი ავსტრიის წინააღმდეგ (*Telfner v. Austria*), 2001 წლის 20 მარტი.

4. მ. 42. პ. 4 - ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ დასჯის დაუშვებლობა (NE BIS IN IDEM)

ne bis in idem, ანუ ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ დასჯის დაუშვებლობა ასევე საპროცესო ძირითადი უფლება და ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი პრინციპია. საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ამ პრინციპს 42-ე მუხლის მე-4 პუნქტით, რომლის მიხედვითაც, „არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის“.

აღნიშნული ძირითადი უფლებით დაცულია ნებისმიერი ფიზიკური პირი, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა თუ მოქალაქეობის არქონისა. დაცული სიკეთე არის ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ დასჯის დაუშვებლობა. „ერთი და იგივე დანაშაული“ ნიშნავს წარსულში არსებულ გარემოებებს, რომელთა საფუძველზეც აღიძრა და სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე, ხოლო სასამართლო განაჩენის მიხედვით, კონკრეტული ბრალდებული პირი ცნობილ იქნა დამნაშავედ ან თანამონაწილედ. ანუ მოცემული პრინციპის ამოქმედების აუცილებელი წინაპირობაა კანონის საფუძველზე მიღებული და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენის არსებობა. ამ საქმესთან დაკავშირებით ახალი გარემოებების გაჩენა, მაგალითად, დანაშაულის ჩადენისათვის პირის დასჯიდან გარკვეული დროის შემდეგ დანაშაულის მსხვერპლის ჯანმრთელობის გაუარესება ან (ისი გარდაცვალება, არ შეიძლება ჩაითვალოს საქმის განახლების და ამ „ახალი“ დაწინაშაულისათვის პირის დასჯის საფუძველად. დასჯილი პირისათვის დამატებითი ან უფრო მკაცრი სასჯელის დაკისრება დაუშვებელია და ეწინააღმდეგება პრინციპს ne bis in idem. იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლისსამართლებრივ სასჯელთან ერთად პირს დაეკისრება დისციპლინური სასჯელიც, მაგრამ ორივე სახის სასჯელის საფუძველი ერთი და იგივე დანაშაულია, ასევე სახეზე გვაქვს ne bis in idem პრინციპის დარღვევა.

ne bis in idem პრინციპი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლომ გამოიტანა პირის გამამართლებელი გადაწყვეტილება. დაუშვებელია იმავე საკითხთან დაკავშირებით ახალი საქმის აღძერა და სისხლისსამართლებრივი ღვენა. ეს დადასტურებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით, რომლის მიხედვითაც, სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას, ხოლო აღძრული უნდა შეწყდეს, თუ „არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ანდა სასამართლოს (მოსამართლის) განჩინება (დადგენილება) იმავე ბრალდებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე“. გამონაკლისია შემთხვევა, როცა საქმეში გამოიკვეთება და წარმოიშობა ახალი გარემოებები, რომელთა სამართლებრივი განხილვა და შეფასება არ მომხდარა სასამართლო პროცესზე.

ne bis in idem პრინციპის ამოქმედების აუცილებელ წინაპირობაში, რომლის მიხედვითაც უნდა არსებობდეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, იგულისხმება, რომ ეს უნდა იყოს საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილება. ანუ სხვა სახელმწიფოთა სასამართლოების გადაწყვეტილებათა არსებობა არ იწვევს ne bis in idem პრინციპის ამოქმედებას და პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით იმ დანაშაულისათვის, რომელიც მან უცხო სახელმწიფოში ჩაიდინა. ამას ადასტურებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექ-

სი, რომელიც აცხადებს, რომ „საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს ამ კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით“.<sup>420</sup>

42-ე მუხლის მე-4 პუნქტის ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ ne bis in idem პრინციპი აბსოლუტურად უზრუნველყოფილია, ანუ კონსტიტუცია არ ადგენს ამ პრინციპის შემზღვევ ფარგლებს. შესაბამისად, ამ პრინციპის ნებისმიერი დარღვევა ანტიკონსტიტუციურია და შეუძლებელია რაიმე საფუძველით ამ დარღვევის კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლება.

**5. მ. 42. პ. 5 - არაპოთარპი სსსჯელი კანონის ზარეშე  
(NULLA POENA SINE LEGE), კანონის უქუქალა**

**ა) nulla poena sine lege**

კანონიერების უმნიშვნელოვანესი პრინციპი nulla poena sine lege (სიტყვისიტყვით: არაერთარი სსსჯელი კანონის გარეშე) ნიშნავს ადამიანის დასჯის დაუშეშეშობას იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს კანონით არ იყო განსაზღვრული სამართალდარღვევად. საქართველოს კონსტიტუცია ამ პრინციპს, რომელიც, იმავედროულად, საპროცესო ძირითად უფლებას წარმოადგენს, 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით აღიარებს: „არაერთ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა“. ეს პრინციპი ასევე აღიარებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით, რომლის მიხედვითაც „ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს“.

აღნიშნული ძირითადი უფლებით დაცულია ყველა ფიზიკური პირი, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიული პირები. გარდა ამისა, ამ ძირითად უფლებას საფუძველად უდევს სამართლებრივი სახელმწიფოს სამი უმნიშვნელოვანესი პრინციპი:

კანონიერების პრინციპი  
კანონის არაორაზროვნებისა და განსაზღვრულობის პრინციპი  
სისხლის სამართლის კანონის უქუქალის პრინციპი

კანონიერების პრინციპის მიხედვით, სისხლის სამართლის დანაშაულის სახეები და სსსჯელი მხოლოდ კანონით უნდა განისაზღვროს; სსსჯელი გამოყენებული უნდა იქნეს ასევე მხოლოდ კანონის საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, მიღებული და ამოქმედებულია კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დადგენილი საკანონმდებლო ნორმების დაცვით.

კანონის არაორაზროვნებისა და განსაზღვრულობის პრინციპი კანონმდებლისაგან მოითხოვს გასაგებობა, არაორაზროვნა და კონკრეტული სისხლისსამართლებრივი ნორმების დადგენას, რათა მოქალაქეთათვის შესაძლებელი იყოს კანონის ნორმათა

გაგება და ამ ნორმათა შესაბამისად მოქმედება. დაუშვებელია სისხლის სამართლის სფეროში ანალოგიის გამოყენება პირის საზიანოდ, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დასაშვებადაა მიჩნეული ანალოგია პირის სასარგებლოდ, რაც შეიძლება განხორციელდეს სამოსამართლო სამართალშემოქმედებით, რომელსაც საფუძვლად შეიძლება დაედოს კოდექსის 32-ე და 38-ე მუხლებით აღიარებული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი და ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებები.<sup>1</sup>

კანონის არაორაზროვნებისა და განსაზღვრულობის პრინციპის საწინააღმდეგო იქნება, მაგალითად, კანონის ასეთი ნორმა: „ყველა ქმედება, რომელიც არ შეესაბამება ზნეობის ნორმებს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით“.

კანონის უკუძალის პრინციპის განსაკუთრებული მნიშვნელობა გაითვალისწინა კონსტიტუციის კანონმდებელმა და 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებით აღიარა იგი: „კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“. ეს პრინციპი სრულად აისახა და განიმარტა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლში:

*„1. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ამსუბუქებს სასჯელს ან სხვაგვარად აუმჯობესებს დამნაშავეს მდგომარეობას, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, ამკაცრებს სასჯელს ან სხვაგვარად აუარესებს დამნაშავეს მდგომარეობას, უკუძალა არა აქვს.*

*2. თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში.*

*3. თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი“.*

კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულებიდან და სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლიდან იკვეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ, თუ ახალი კანონი სხვაგვარად აუმჯობესებს ან სხვაგვარად აუარესებს დამნაშავეს მდგომარეობას, მაშინ ახალ კანონს უკუძალა ექნება. მაგალითად, თუ ახალმა კანონმა დააწესა ზანდაზმულობის ან ნასამართლობის გაქარწყლების ახალი ვადები ან განსხვავებული წესი, უკუძალა ექნება ახალ ნორმებს, მიუხედავად იმისა, იგი ამსუბუქებს თუ ამკაცრებს პირის მდგომარეობას. ეს წესი საეჭვო შეესაბამება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის დებულებას, რადგან დანაშაულის ჩამდენ პირს კონსტიტუცია და სისხლის სამართლის კანონი გარანტიას აძლევს მხოლოდ ორ საკითხში:

- ა) ქმედების დანაშაულებრიობის დაწესებას ქმედების ჩადენის შემდეგ არ აქვს უკუძალა;
- ბ) ქმედების დასჯადობის გამკაცრებას ქმედების ჩადენის შემდეგ არ აქვს უკუძალა.

ყველა სხვა შემთხვევაში სისხლის სამართლის კანონს უკუძალა აქვს. აღნიშნულ საპროცესო ძირითად უფლებაში ჩარევა დაუშვებელია. კონსტიტუცია არ ადგენს ამ ძირითადი უფლების შეზღუდვის რამე საფუძველს. იგი აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლებაა. ასევე არ არსებობს ამ ძირითადი უფლების კოლიზიური კონსტიტუციური უფლება ან სამართლებრივი სიკეთე.

## ბ) სამართლებრივი სახელმწიფო და ნდობის დაცვის პრინციპი

კანონის უკუძალის კონსტიტუციურ პრინციპთან ერთად აუცილებელია სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის – ნდობის დაცვის – განხილვა. ეს პრინციპი კონკრეტულად არ არის მითითებული კონსტიტუციის რომელიმე მუხლში, მაგრამ იგი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია, რომელიც, თავის მხრივ, კონსტიტუციით შექმნილი ახალი ქართული სახელმწიფოს საფუძველს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, თავდაპირველად აუცილებელია თავად სამართლებრივი სახელმწიფოს შინაარსის მოკლედ განხილვა და მისი მნიშვნელობის წარმოჩენა.

საქართველოს კონსტიტუციის არც ერთი მუხლი არ შეიცავს უშუალო მითითებას სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპზე, მაგრამ საკონსტიტუციო სამართალი შედგება არა მარტო კონსტიტუციაში უშუალოდ მოცემული დებულებებისაგან, არამედ აგრეთვე ამ დებულებების შემკერელი, შინაარსობრივად მათი გამაერთიანებელი საყოველთაო პრინციპებისა და იდეებისაგან, რომლებიც კანონმდებელმა არ დააკონკრეტა არც ერთ წინადადებაში. საქართველოს კონსტიტუციის მიერ აღიარებულ ერთ-ერთ ასეთ ძირითად პრინციპს განეკუთვნება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი.

ყველაზე მოკლე და მარტივი განმარტებით, სამართლებრივია სახელმწიფო, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლება შეზღუდულია სამართლით. უფრო კონკრეტულად, სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება გადმოსცემს კონსტიტუციის შესაბამისად მიღებული კანონებით სახელმწიფოს (აღმასრულებელი ხელისუფლების) შეზღუდვის, ხოლო კონსტიტუციით მიღული სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის იდეას. საქართველოს კონსტიტუცია პრაქტიკულად გარკვევით მიუთითებს, რომ საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება, ძირითად ნაწილში კი უპირობოდ იზიარებს სამართლებრივი სახელმწიფოს ზემოაღნიშნულ ფუნდამენტურ დებულებას და აცხადებს, რომ „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში“ (მ. 5, პ. 1). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დებულება სულ რამდენიმე სიტყვისაგან შედგება, სწორედ ის შეიცავს სამართალზე ორიენტირებული სახელმწიფოს იდეას. ამ დებულების განმარტების შედეგად სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი გამოხატულია შემდეგი სახით: კანონმდებლობა შეზღუდულია კონსტიტუციით, უფრო კონკრეტულად – კონსტიტუციით შექმნილი და განმტკიცებული სამართლებრივი წესრიგით, აღმასრულებელი ხელისუფლება და მართლმსაჯულება კი – კონსტიტუციის შესაბამისად მიღებული კანონებით, ანუ სამართლით (მე-ნ მუხლის პირველი პუნქტით დადასტურებულია კონსტიტუციის უზენაესობა და მისი უპირატესი ძალა ყველა სხვა აქტის მიმართ: „საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას“). აღმასრულებელ ხელისუფლებას ეკრძალება თავისუფალი, მხოლოდ საკუთარი შეხედულებების შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. იგი აუცილებლად უნდა იყოს ორიენტირებული მოქმედი სამართლის ნორმებზე, განსაკუთრებით – კონსტიტუციასა და კანონებზე, ეს კი, ანუ კანონის უპირატესობა, კანონის ნორმის უპირატესი ძალა, სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია. კონსტიტუციით განმტკიცებული აღნიშნული ნორმა ნიშნავს, რომ კანონის სახით გადმოცემულ

სახელმწიფოს ნებას უპირატესი ძალა აქვს ნებისმიერი სხვა ფორმით გამოხატული სახელმწიფოს ნების მიმართ (რა თქმა უნდა, კონსტიტუციის გარდა). საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის მუხლებში მითითებულია, რომ ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე (მაგალითად: მ. 19 – სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებები; მ. 20 – პირადი ცხოვრებისა და საქმიანობის თავისუფლება; მ. 21 – საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება; მ. 22 – თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება; მ. 24 – ინფორმაციის თავისუფლება; მ. 25 – შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება და ა.შ.), ანუ სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან პიროვნების მიმართ ყოველგვარი მოქმედების განხორციელების, მის ცხოვრებასა და საქმიანობაში ჩარევის აუცილებელი წინაპირობაა კანონის არსებობა, რაც ასევე სამართლებრივი სახელმწიფოს განუყოფელი ნიშანია. აღნიშნული დებულების მიხედვით, სახელმწიფოს (ამ შემთხვევაში აღმასრულებელ ხელისუფლებას) შეუძლია მოქალაქეთა თავისუფლებაში ან მათი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩარევა მხოლოდ მაშინ, თუ იგი კანონით იქნება უფლებამოსილი.

მე-5 მუხლში მოცემული უმნიშვნელოვანესი დებულების გარდა, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი დაკონკრეტებულია კონსტიტუციის სხვა მუხლებშიც:

ა) უპირველეს ყოვლისა, ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციის დებულებები სახელმწიფო ორგანოების შექმნისა და ფუნქციონირების, აგრეთვე მათი უფლებამოსილებების შესახებ, რომელთა მიხედვითაც, სახელმწიფო ხელისუფლება საფუძველშივე სამართლით არის შეზღუდული;

ბ) სამართლებრივი სახელმწიფო წარმოდგენილია სახელმწიფოს ძირითადი კანონით, ანუ კონსტიტუციით აღიარებული და განმტკიცებული ადამიანის ძირითადი უფლებების გარეშე. კონსტიტუციის მე-2 თავში მოცემულია ადამიანის ძირითადი უფლებები, რომლებიც უშუალოდ მოქმედ სამართალს წარმოადგენს და რომლებიც შეზღუდულია ხალხი და სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას (მ. 7). განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის მე-18 და 42-ე მუხლების დებულებებს, რომლებიც გარანტირებულია ყოველი ადამიანის უფლება – თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს, აქვე მოცემულია ე.წ. საპროცესო ძირითადი უფლებები;

გ) ხელისუფლების დანაწილების პრინციპი (მ. 5, პ. 4);

დ) 82-ე-91-ე მუხლების დებულებები, რომლებიც განსაზღვრავს დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების შექმნისა და ფუნქციონირების საფუძველსა და უფლებამოსილებებს, აგრეთვე აფუძნებს შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვილ საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

სამართლებრივი სახელმწიფოს ცნება შეიცავს სამართლიანობის იდეას. ეს იდეა ყოველი სახელმწიფოებრივი მოქმედების მიზნად სახავს მატერიალური სამართლიანობის მიღწევასა და შენარჩუნებას. სამართლიანობის იდეა მოითხოვს სამართლიანობისაკენ სწრაფვას არა ზოგადად, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონები სამართლიან ნორმებს უნდა შეიცავდეს, სამართლიან წესებს უნდა ადგენდეს და ამ ნორმათა გამოყენებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ხელისუფლების ორგანოთა ან სასამართლოთა მხრივ სამართლიან, ანუ შინაარსობრივად

გამართულ გადაწყვეტილებამდე და შედეგებამდე უნდა მიეყავდეთ. თუ რა არის მოცემულ შემთხვევაში სამართლიანი, ამის თქმა შესაძლებელია მხოლოდ ყველა მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინებისა და შეფასების შემდეგ. სამართლიანობის მოთხოვნის დარღვევა, მაგალითად, სისხლის სამართლის დამნაშავეის მიმართ მისი ბრალის შეუსაბამო, ზედმეტად მკაცრი სასჯელის გამოყენება, ანუ თუ არ იქნება გათვალისწინებული მისი ბრალის სიდიდე. ასევე უსამართლო იქნება სამხედრო პირის ან საჯარო მოხელის დისციპლინური წესით რამდენჯერმე დასჯა ერთი და იმავე სამსახურებრივ გადაცდომისათვის ან პირის ისეთი ქმედებისათვის, რომელიც ერთდროულად სამსახურებრივ გადაცდომასა და სისხლისსამართლებრივ დანაშაულს წარმოადგენს, აგრეთვე პირისათვის ერთდროულად დისციპლინური სახდელისა და სისხლისსამართლებრივი სასჯელის დაკისრება.

სამართლებრივი უსაფრთხოება, სამართლიანობის მსგავსად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მისი მიზანია, საზოგადოებაში სამართლებრივი მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა. მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, თუ რას შეიძლება დაეყრდნონ ისინი და რისი ნდობა უნდა ჰქონდეთ. სამართლებრივი უსაფრთხოება ნიშნავს, რომ არ შეიძლება მუდმივად განახლდეს ყოველი სამართლებრივი დავა და რომ სამართლებრივი მშვიდობა მყარდება სასამართლოს გადაწყვეტილებით. სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება გასაჩივრდეს და გადაისინჯოს მხოლოდ მაშინ, როცა იგი უსამართლოა; ამისათვის აუცილებელია კანონით განსაზღვრული პირობების შესრულება. კანონმდებელმა ამ სფეროში სამართლიანობის იდეა გამოხატა იმით, რომ დასაშვებად მიიჩნია სასამართლოს მიერ განხილული დავის ხელახალი განხილვა და საქმის გადასინჯვა მხოლოდ რამდენიმე ზუსტად განსაზღვრული გარემოების არსებობისას. ამას ადასტურებს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-5 პუნქტიც: „სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით“.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს აგრეთვე თანაზომიერების (იგივე პროპორციულობის) პრინციპი. ამ პრინციპის მიხედვით, ფიზიკური პირი დაცული უნდა იყოს მისი ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროში საჯარო ხელისუფლების ზედმეტი, არასაკმარისი ჩარევისაგან. თუ ასეთი ჩარევა გადაუღებელი და აუცილებელია, მას უნდა ჰქონდეს კანონით განსაზღვრული საფუძველი, ამასთან, ეს საფუძველი თავისი შინაარსის, ფორმის, მიზნისა და გავრცელების მიხედვით, უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული, ნათელი და არაორაზროვანი, რათა მოქალაქემ ადვილად შეიძინოს იგი. თანაზომიერების პრინციპი საშუალებასა და მიზანს შორის ურთიერთობის საფუძველია. ძირითადი უფლების შეზღუდვა რამე საშუალებით დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი გამოსადეგი და აუცილებელია დასახული მიზნის მისაღწევად. საშუალება გამოსადეგია, თუ მისი დახმარებით შესაძლებელია დასახული მიზნის მიღწევა. საშუალება აუცილებელია, თუ არ არსებობს სხვა გზა, რომელსაც მსგავსი მოქმედების ძალა აქვს, მაგრამ გაცილებით უფრო ნაკლებად ზღუდავს ძირითად უფლებას. შესაბამისად, აუცილებელია ყოველთვის ყველაზე უფრო რბილი, მოქნილი, არარადიკალური საშუალების გამოყენება. ამასთან, ყველა შემთხვევაში, გამოყენებული საშუალება მისაღწევი მიზნის პროპორციული უნდა იყოს.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემად-

გენელი ნაწილია უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომელიც უკვე განვიხილეთ და რომელიც აღიარებულია კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით: „*ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით*“; „*არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს*“.

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპით ასევე აკრძალულია ბრალდებული-სათვის სასჯელის დაკისრება ბრალის დადასტურების გარეშე, ანუ ყოველი სასჯელის უცილობელი წინაპირობაა ბრალის არსებობა (*nulla poena sine culpa*), ბრალდების მტკიცების მოვალეობა კი ბრალმდებელს ეკისრება. თუ პირს ბრალი არ მიუძღვის, მისი დასჯა დაუშვებელია.

საქართველოს კონსტიტუცია, თავისი საერთო კონცეფციის შესაბამისად, გარკვევით აღიარებს აგრეთვე ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. ყოველი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის საფუძვლად მიჩნეული ეს პრინციპი გაცხადებულია კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით: „*სახელმწიფო ხელისუფლება ზორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით*“. კონსტიტუციის დებულებებით განსაზღვრულია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებათა შექმნისა და საქმიანობის წესი და მათი უფლებამოსილებები, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ხელისუფლებებისა. კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-3 პუნქტი სასამართლო ხელისუფლების შესახებ პირდაპირ მიუთითებს, რომ „*სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები*“.

თუ ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ისტორიულ განვითარებას გადავხედავთ, მის ფესვებს ისევ არისტოტელესთან ვნახავთ არისტოტელე განასხვავებდა ეწ. რჩევების (სადაც რჩევებს აძლევენ, ბჭობენ სხვადასხვა საკითბზე) ხელისუფლებას (საკანონმდებლო ხელისუფლება), მაგისტრატს (აღმასრულებელი ხელისუფლება) და მართლმსაჯულებას. ჯონ ლოკი ხელისუფლებას ანაწილებდა ხალხზე, პარლამენტზე, მონარქსა და ადგილობრივ თვითმმართველობაზე (*Two treatises of government*, 1690). შარლ ლუი მონტესკიეს საქვეყნოდ ცნობილ ნაშრომში – „*კანონთა გონი*“ (1748) – მოცემული დებულებების შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების დაყოფა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად პირველად გვხვდება პენსილვანიის შტატის კონსტიტუციაში (1776), შემდეგ – ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში (1787), მე-18 საუკუნის ბოლოს კი მას იმეორებს იმანუელ კანტი („*სამართლის თეორიის მეტაფიზიკური საფუძვლები*“, 1798).

ხელისუფლების დანაწილება მიზნად არ ისახავს მხოლოდ ხელისუფლების ორგანიზაციულ განაწილებას სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოზე. ის ძირითადად მიმართულია ძალმომრეობითი, ერთპიროვნული, დიქტატორული მმართველობის საფრთხის თავიდან აცილების ან შემცირებისკენ მაინც. ხელისუფლების უზურპაციისა და უსამართლო მმართველობის საფრთხე მინიმუმამდეა დასული, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს არა ერთი პირი ან ერთი სახელმწიფო ორგანო, არამედ როცა სახელმწიფოს ამოცანები განაწილებულია სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს შორის.

ხელისუფლების ორგანიზაციული დანაწილებისას სახელმწიფოს ძირითადი ფუნ-



ქციები განაწილებულია სხვადასხვა ორგანოზე იმგვარად, რომ არც ერთ მათგანს არ შეუძლია ლეგალურად, კანონიერი გზით მოიპოვოს მთელი სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლი. ამასთან, ერთი ხელისუფლების წარმომადგენლები არ შეიძლება იყვნენ სხვა ხელისუფლების თანამდებობის პირები (ხელისუფლების პერსონალური დანაწილება). მაგალითად, დაუშვებელია მოქმედი მოსამართლე იმავე დროს იყოს პარლამენტის წევრი ან მინისტრი, ისევე როგორც დაუშვებელია, მოქმედი სახელმწიფო მოხელე იყოს მოსამართლე ან პარლამენტის წევრი.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მიზანია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ხელისუფლების სამ სხვადასხვა განშტოებას შორის ურთიერთკონტროლისა და ურთიერთგაწონასწორების მექანიზმის (checks and balances) შექმნა. საქართველოს კონსტიტუცია იზიარებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ამ ძირითად იდეას და ამიტომ ხელისუფლებათა აბსოლუტურ გაყოფას კი არ ახდენს, არამედ ქმნის ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების სისტემას. კონსტიტუციის მიხედვით, ხელისუფლების დანაწილების აზრია არა სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციების მკაცრი გაყოფა, არამედ ის, რომ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები ერთმანეთს აკონტროლებენ და ზღუდავენ, რათა გაწონასწორდეს სახელმწიფოს ძალაუფლება და დაცული იყოს პიროვნების თავისუფლება. აღნიშნული სისტემა გამოხატულია კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლში, მაგალითად: პარლამენტი აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას (მ. 48, მ. 56, მ. 59, მ. 60, პ. 2, მ. 64), სასამართლოები (საერთო სასამართლოები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო) აზორციელებენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების აქტების კონტროლს კანონებსა და კონსტიტუციასთან მათი შესაბამისობის თვალსაზრისით; თავის მხრივ, საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობს პრეზიდენტი ე.წ. ვეტო უფლებით, ამავე დროს, ასამოქმედებლად ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს (მ. 68).

ურთიერთკონტროლისა და ურთიერთგაწონასწორების სისტემაში ძირითადად ერთი ხელისუფლების ორგანო ნიშნავს ან ირჩევს სხვა ხელისუფლების თანამდებობის პირებს და პირიქით. საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლის შესაბამისად, მთავრობის შემადგენლობას ამტკიცებს პარლამენტი, 90-ე მუხლის მიხედვით კი უზენაესი სასამართლო მოსამართლეებს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს პარლამენტი.

გარკვეულ შემთხვევებში, ხელისუფლების სპეციფიკური ამოცანები შეიძლება აღსასრულებლად გადაეცეს სამართლებრივად თვითმოყოფად და დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია მოაწესრიგოს შესაბამისი ურთიერთობები საკუთარი პასუხისმგებლობითა და შეხედულებისამებრ. ასეთ ორგანოებად საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს საქართველოს ეროვნულ ბანკსა და კონტროლის პალატას, რომელთა დამოუკიდებლობის გარანტიები და უფლებამოსილებები აღწერილია 95-ე და 97-ე მუხლებში. ამ მუხლებით განსაზღვრულია, რომ ეროვნული ბანკი და კონტროლის პალატა თავიანთ საქმიანობაში დამოუკიდებელი არიან. მათთვის გადაცემული სახელმწიფოებრივი ამოცანების მნიშვნელობიდან გამომდინარე და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ზემოაღნიშნული ნიშნის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოსა და საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობებზე პირთა განმწესებაში მონაწილეობენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამართლებრივი სახელმწიფოს კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილია ნდობის დაცვის პრინციპი, რომელიც არსებითადაა დაკავშირებული კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით აღიარებულ სისხლის სამართლის კანონის უკუძალის პრინციპთან.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ნდობის დაცვის პრინციპი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლებრივი სახელმწიფოს კიდევ ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილთან – სამართლებრივ უსაფრთხოებასთან. ხშირ შემთხვევაში სამართლებრივი უსაფრთხოება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ნდობის დაცვას ნიშნავს, კერძოდ, მოქალაქის იმ ნდობის დაცვას, რომ მის მოქმედებას მოგვიანებით არ მოჰყვება მისთვის არასასურველი ის სამართლებრივი შედეგები, რის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო მოქმედების განხორციელებისას. სწორედ აქედან გამომდინარე, ნდობის დაცვა ეხება უკუძალის მქონე და არა მომავალში მოქმედ სამართლებრივ ნორმებს.

ნდობის დაცვის პრინციპიდან გამომდინარე, დაუშვებელია ე.წ. „ნამდვილი უკუძალის“ მქონე კანონებისა თუ კანონქვემდებარე აქტების მიღება. ნამდვილი უკუძალა სახეზე გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა ახალი კანონი ეხება წარსულში განხორციელებულ და არსებითად უკვე დამთავრებულ მოქმედებებს თუ გარემოებებს და ადგენს ახალ ნორმებს ამ გარემოებათა შესახებ. ასეთია, მაგალითად, კანონი, რომელიც წარსულში განხორციელებულ მოქმედებებზე აწესებს გადასახადს და მოითხოვს მათ გადახდას ფიზიკური თუ იურიდიული პირებისაგან. ეს კანონი ეწინააღმდეგება ნდობის დაცვის პრინციპს, რადგან არყევს მოქალაქეთა ნდობას სამართლებრივი სახელმწიფოსადმი და, შესაბამისად, ანტიკონსტიტუციურია. მაგრამ ხშირია შემთხვევა, როცა კანონის ნორმები ეხება არა მარტო წარსულში მომხდარ ან მომავალში განსახორციელებელ მოქმედებებს, არამედ აწმყოში მიმდინარე მოვლენას, რომელიც წარსულში წარმოიშვა, აწმყოში აგრძელებს მოქმედებას და შეწყდება მომავალში. ასეთ კანონებს მხოლოდ ნაწილობრივ აქვს უკუძალა და მათ ე.წ. „არანამდვილი უკუძალის“ მქონე ნორმები ჰქვია. მაგალითად, კანონმა შეიძლება დააწესოს ამჟამად არსებული საგადასახადო შეღავათების მომავალში გაუქმების თარიღი. ასეთი ნორმები ძირითადად არ ეწინააღმდეგება ნდობის დაცვის პრინციპს, მაგრამ მაინც, ყოველ ასეთ შემთხვევაში აუცილებელია მოცემული კონკრეტული შემთხვევის გარემოებების შეფასება და იმის გარკვევა, თუ რამდენად მნიშვნელოვნად შეიცვალა (გაუარესების თვალსაზრისით) მოქალაქის სამართლებრივი მდგომარეობა. ამ შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოქალაქის ინტერესის (რომელსაც სურს მოქმედი ნორმის მომავალში არსებობა) შედარებას სახელმწიფოს ინტერესთან, რომელსაც გარკვეული მოსაზრების გამო სურს არსებული ნორმის შეცვლა.

სწორედ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის აღნიშნულ უმნიშვნელოვანეს ნორმას ეფუძნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლი, რომლის მიხედვითაც, „კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქვეითი ძალა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქვეითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას“. ამდენად, ნდობის დაცვის პრინციპისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზემოხსენებული მუხლის საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს კანონის უკუძალის პრინციპის ნამდვილი შინაარსი.

## 6. მ. 42. პ. 7 – კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები

## ა) შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.“ ეს დებულება მეორდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტში და უშუალოდ უკავშირდება კონსტიტუციის მე-20 მუხლით უზრუნველყოფილ ადამიანის პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ძირითად უფლებებს. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფის (მ. 157), კერძო საუბრის საიდუმლოების (მ. 158), პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების (მ. 159), ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის (მ. 160) დარღვევისათვის. ეს პასუხისმგებლობა ეკისრებათ არა მარტო კერძო პირებს, არამედ სახელმწიფოს წარმომადგენელ იმ ოფიციალურ პირებსაც, რომლებიც კანონის მოთხოვნათა დარღვევით იჭრებიან ადამიანის პირად ცხოვრებაში. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ადამიანის პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებები მხოლოდ კანონის საფუძველზე და კანონით გათვალისწინებულ კონკრეტულ შემთხვევებში შეიძლება შეიზღუდოს, ეს შეზღუდვა კი სახელმწიფომ შეიძლება განახორციელოს მხოლოდ კანონით დადგენილი წესების შესაბამისად (რაც დაწერილებით არის აღწერილი 46-ე მუხლის კომენტარის ფარგლებში). ყოველივე ამის ერთერთი მთავარი საფუძველი კი კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტია, რომელიც ზღუდავს სახელმწიფოს და ავალდებულებს მას, საჭიროების შემთხვევაში, მხოლოდ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და არა საკუთარი სურვილისამებრ ჩაერიოს ადამიანთა ცხოვრებაში. ამავე დროს, აღნიშნული დებულება აფრთხილებს სახელმწიფოს, რომ კანონით დადგენილი წესების დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას არ ექნება იურიდიული ძალა და იგი პასუხს აგებს ამ დარღვევისათვის, ისევე როგორც ნებისმიერი კერძო პირი, რომელიც სხვა ადამიანის პირად ცხოვრებაში უკანონოდ ჩაერევა.

## ბ) ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებები

მიუხედავად იმისა, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით თითქოს ყველაფერი ნათელი და გარკვეულია, მაინც უნდა შევჩერდეთ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის დებულებაზე. ეს ნორმა ყურადღებით უნდა განიმარტოს. თავდაპირველად ისე ჩანს, რომ ამ ნორმით იურიდიული ძალის არმქონედ არის გამოცხადებული ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც კანონის დარღვევით იქნება მოპოვებული. კონსტიტუციის მიღების შემდეგ საქართველოს სასამართლოთა სამართალშემოქმედება ცხადყოფს, რომ მოსამართლეები, კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობაზე დაყრდნობით, ასეთ მტკიცებულებებს უარყოფენ, არ მიიჩნევენ დასაშვებად და გადაწყვეტილების მიღებისას არ ითვალისწინებენ მათ. როცა საქმე ეხება სახელმწიფოს (საგამოძიებო ორგანოების) მიერ ბრალდების სასარგებლოდ (ანუ ბრალდებულის საწინააღმდეგოდ) კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს, ბუნებრივია, ასეთი მიდგომა აუცილებელია და სავსებით შესაბამება

კონსტიტუციის მოთხოვნას. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ქვეყანაში კონსტიტუციითა და კანონმდებლობით აღიარებულ სამართალწარმოების თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს, ეს იმას ნიშნავს, რომ დაცვის მხარესაც აქვს უფლება და შეეცდება მოიპოვოს ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებები. სწორედ ასეთ მტკიცებულებებზე არ ვრცელდება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი ზოგადი ნორმა, რადგან ამ ნორმის მთავარი მიზანია დაისაჯოს მხოლოდ დამნაშავე; იგი უკრძალავს სასამართლოს უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებას სწორედ იმიტომ, რომ არ მოხდეს უდანაშაულო ადამიანის დასჯა. აქედან გამომდინარე, როცა დაცვის მხარე წარადგენს ბრალდებულის აშკარად გამამართლებელ მტკიცებულებებს, რომლებიც ნამდვილად კანონის დარღვევით არის მოპოვებული, სასამართლომ უნდა გამოიყენოს ეს მტკიცებულებები და გადაწყვეტილების მიღებისას, სხვა მტკიცებულებებსა და გარემოებებთან ერთად, გაითვალისწინოს მათი მნიშვნელობაც. მაგალითისათვის შეიძლება წარმოვიდგინოთ სასამართლო პროცესი, რომელშიც განსასჯელს ბრალი ედება მეზობლის მკვლელობაში, რომელთანაც მას სხვადასხვა საყოფაცხოვრებო პრობლემის გამო მეტად რთული და დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. სასამართლო პროცესზე დაცვის მხარეს მოაქვს მტკიცებულება – ვიდეოფირი, რომელიც უკანონოდ არის მოპოვებული. ვიდეოფირის უკანონობას თავად დაცვის მხარეც აღიარებს, რადგან აცხადებს, რომ ვიდეოფირი მოიპარეს იმ საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთი მობინადრის ბინიდან, რომლის სადარბაზოსთანაც მოხდა მკვლელობა. ამ მობინადრეს კი, თავის მხრივ, ასევე კანონის დარღვევით ჰქონდა დამონტაჟებული სადარბაზოს შესასვლელთან ფარული ვიდეოკამერა, რომელიც აფიქსირებდა ყველა შემსვლელსა და გამომსვლელს, აგრეთვე ქუჩაში გამგლეულ მოქალაქეებს. ამ ვიდეოფირზე აღბეჭდილი იყო მკვლელობის ფაქტიც და, გვიანი დამისა და სიბნელის მიუხედავად, გარკვევით ჩანდა, რომ მკვლეელი სულ სხვა პირი იყო. ბუნებრივია, რომ ასეთი მტკიცებულება, რომელიც ამართლებს ბრალდებულს, აუცილებლად უნდა გამოიყენოს სასამართლომ და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. თუ სასამართლო ასეთ შემთხვევებში უარს იტყვის იმ (უკანონოდ მოპოვებული) მტკიცებულების გამოყენებაზე, რომელიც აშკარად აბათილებს ბრალდებას და ამართლებს ბრალდებულს, მივიღებთ ვითარებას, როცა ნამდვილი დამნაშავე დაუსჯელი დარჩება, ნამდვილად უდანაშაულო კი უსამართლოდ დაისჯება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2004 წლის 13 თებერვალს შევიდა დამატება, რომელიც შეესაბამება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის დებულების ზემოთ განმარტებულ მოთხოვნებს. ამ დამატების მიხედვით, „სისხლის სამართლის პროცესში პირის ჩვენების სარწმუნოების შესაფასებლად დასაშვებია ფარული აუდიო- ან ვიდეოჩანაწერი, თუ იგი დაფიქსირებულია: ა) ფარულად იმ პირის მიერ, რომლის წინააღმდეგ მიმართული იყო დან.შაული და რომელიც არის საუბრის ან ქმედების მონაწილე; ბ) ტექნიკური საშუალებით შემთხვევით, რაც ასახავს განხორციელებულ ქმედებას.“ რაც შეეხება ფარული აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის დასაშვებობის საკითხს, მისი „განხილვა და გადაწყვეტა ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით“.<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ საპრო-

<sup>1</sup> სისხლის სამართლის კოდექსის მ. 5 – „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის“.

ცესო კოდექსის 110-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, დასაშვებ მტკიცებულებად ითვლება ნებისმიერი სახის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი, „რომლის მოპოვებისას ადვილი არ ჰქონდა პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევას“. ამასთან, კოდექსი სავალდებულოდ მიიჩნევს ასეთ შემთხვევაში ფარული ჩაწერის მწარმოებელი პირის მოწმის სახით სასამართლოში დაკითხვას „ფარული ჩანაწერის წარმომავლობასთან დაკავშირებით.“

ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოთა შესაბამისი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა, რაც საშუალებას მოგვცემს შევადაროთ ისინი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის დებულების ზემოთ მოცემულ განმარტებას. ამ სახელმწიფოებში მოსამართლეები ავტომატურად და ფორმალურად არ უარყოფენ უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებებს. მაგალითად, შოტლანდიაში მოქმედებს ძირითადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ყველა მტკიცებულება დასაშვებია, თუ მას შეხება აქვს საქმესთან. ინგლისსა და უელსშიც ესაა მტკიცებულებათა დასაშვებობის მთავარი კრიტერიუმი. უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლად იცნობა სასამართლოს შეხედულებისამებრ, მაგრამ არა ავტომატურად. ყოველთვის დაუშვებლად ცნობენ მტკიცებულებას, რომელიც ზიანს აყენებს დაცვის მხარის ინტერესებს. ძალიან განსხვავებულია ჰოლანდიის კანონმდებლობა, სადაც არ არსებობს ნორმა, რომელიც კრძალავს კერძო პირების მიერ უკანონოდ მოპოვებული და სახელმწიფო ორგანოებისათვის გადაცემული მტკიცებულების დაუშვებლობას, თუმცა ჰოლანდიაშიც სრულიად დაუშვებელია ბრალდებულის პირადი ცხოვრებისა და ინტერესების დამცველი ნორმის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება სასამართლოს მიერ. დანიაში კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება აუცილებლად არ იწვევს მის დაუშვებლობას. სასამართლო, როგორც წესი, მას მხედველობაში იღებს, მაგრამ ეს არ ეხება გამოძიების მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს და, ამასთან, პოლიციის მოხელე, რომელმაც უკანონოდ მოიპოვა მტკიცებულება, პასუხს აგებს ამისათვის. საფრანგეთში უმთავრესია მოსამართლის შინაგანი რწმენა. მტკიცებულებათა შეფასებისას მოსამართლე სარგებლობს სრული თავისუფლებით, მაგრამ იგი ვერ დაეყრდნობა სახელმწიფოს მიერ კანონის ან ბრალდებულის უფლებათა დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს. გერმანიაშიც ასევე გადამწყვეტია მოსამართლის შინაგანი რწმენა, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება კი ავტომატურად დაუშვებლად არ ითვლება. იტალიაში მოსამართლეს შეუძლია დაეყრდნოს ისეთ მტკიცებულებას, რომელიც კანონში უშუალოდ არ არის მოხსენიებული, თუ იგი საქმეს უშუალოდ ეხება და არ ხელყოფს ბრალდებულის უფლებებს. ბრალდებულის მიერ წარმოდგენილი უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებები კი ყოველთვის დასაშვებია. ამერიკის შეერთებულ შტატებში ხშირია შემთხვევა, როცა სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს დაცვის მხარის მიერ უკანონოდ მოპოვებულ წერილობით და ვიდეოაუკუმენტურ მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

გ) კერძო საუბარი და ფარული ჩანაწერები

განსახილველ საკითხს მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის პირადი ცხოვრების სფეროში და კერძო საუბრისას გამოყენებული ფარული მოსმენისა და ჩანაწერის მტკიცებულებად აღიარების პრობლემა. ზემოთ უკვე დაწვრილებით აღვწერეთ სახ-

ელმწიფოს მიერ ადამიანების პირადი ცხოვრებისა და კერძო საუბრების მოსმენისა და ჩაწერის კონსტიტუციური და საკანონმდებლო საფუძვლები. კონსტიტუციის მე-20 მუხლი და კანონმდებლობის ზემოთ დასახელებული დებულებები უზრუნველყოფს ადამიანის პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობას. სახელმწიფოს ამ სფეროში შეჭრა შეუძლია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და კანონით დადგენილი წესით. კანონის მოთხოვნათა დარღვევით ადამიანის პირადი ცხოვრებიდან რამე დეტალების დაფიქსირება დაუშვებელია, ამ გზით მოპოვებულ მტკიცებულებებს არა აქვს იურიდიული ძალა და სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინებს მათ.

სხვა ვითარება იქმნება კერძო პირების მხრიდან ინდივიდთა პირად ცხოვრებაში ჩარევისას. ადამიანის პირადი ცხოვრების, მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებები, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული და იცავს ინდივიდს სახელმწიფოსაგან. მაგრამ, ამავე დროს, ეს უფლებები (და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი დებულებები) უზრუნველყოფს ადამიანის პირადი ცხოვრების ყოვლისმომცველ დაცვას, რომელიც მიმართულია კერძო პირების მხრიდან ჩარევის წინააღმდეგაც. თუ არ არსებობს თვით ინდივიდის თანხმობა, დაუშვებელია რომელიმე ფიზიკური პირი ჩაერიოს მის პირად ცხოვრებაში, თვალყური ადევნოს მას ფარულად, მოუსმინოს მის საუბარს, ფარულად ჩაწეროს და ა.შ. მაგრამ, ადამიანის პირადი ცხოვრების სფეროს ასეთი ყოვლისმომცველი დაცვის მიუხედავად, აქაც არსებობს გამონაკლისი და იგი, უპირველეს ყოვლისა, საჯარო პირებს ეხება.

როგორც ცნობილია, საჯარო პირების პირადი ცხოვრების მიმართ, რომლებიც მნიშვნელოვან საჯარო ფუნქციებს ასრულებენ და, შესაბამისად, გამუდმებით არიან საზოგადოების ყურადღების ცენტრში, ჩვეულებრივ მოქალაქეებთან შედარებით უფრო სუსტად ვრცელდება ძირითადი უფლებებით უზრუნველყოფილი დაცვა. ისინი იძულებული არიან შეეგუონ ამ მდგომარეობას, რადგან ეს გამოწვეულია მათივე სურვილით იმუშაონ მნიშვნელოვან სახელმწიფო თანამდებობებზე და შეასრულონ ისეთი ფუნქციები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის. აქედან გამომდინარე, საჯარო პირმა უნდა იცოდეს, რომ ყოველი შეცდომა და ამ ფუნქციების არაჯეროვანი შესრულება მკაცრად იქნება შეფასებული და გაკრიტიკებული საზოგადოების მიერ პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით. სწორედ ამიტომ უნდა განვსახვათ საჯარო პირის პირადი ცხოვრება ჩვეულებრივ მოქალაქეთა პირადი ცხოვრებისაგან. საჯარო პირის პირადი ცხოვრების სფერო მისი საცხოვრებელი სახლის კარის ზღურბლთან მთავრდება (ამას ადასტურებს დემოკრატიულ სახელმწიფოთა მრავალწლიანი სამართალშემოქმედება). როგორც კი ამ ზღურბლს გადმოაბიჯებს, იგი ყველასათვის საჯარო პირია და მისი საუბრებისა თუ საქმიანობის მიმართ საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი იზრდება. შესაბამისად, კერძო საუბარი და ურთიერთობა მას შეიძლება ჰქონდეს ძირითადად საკუთარ სახლში თავისი ოჯახის წევრებთან და სხვა უახლოეს ნათესაებთან. მაგრამ, როცა საჯარო პირი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ესაუბრება კერძო პირს, არის თუ არა ეს კერძო საუბარი და მისი პირადი ცხოვრების სფერო? რა თქმა უნდა, არა. საჯარო პირი ამ დროს თავის საჯარო ფუნქციას ასრულებს; ამიტომ ეს არ არის კერძო

საუბარი და, შესაბამისად, იგი არ არის დაცული პირადი ცხოვრების, კერძო საუბრისა და მიმოწერის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებებით. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო პირის მიერ ნებისმიერი ფორმით მიღებული ან გაცემული ინფორმაცია არის საჯარო ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, როცა საჯარო პირი, იქნება ეს მინისტრი, პროკურორი, მოსამართლე თუ ვინმე სხვა, ინდივიდს საუბრისას მოსთხოვს ქრთამს და ამ ყველაფერს ინდივიდი ფარულად ჩაიწერს, ცხადია, რომ ამ ჩანაწერის საფუძველზე უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, ხოლო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მისი მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიღებისას.

**მუხლი 44.**

**„1. საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს.**

**2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.“**

პიროვნების სამართლებრივი სტატუსი მოიცავს არა მარტო ძირითად უფლებებს, არამედ მოვალეობებს სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე. ძირითადი უფლებებისაგან განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუციაში მოვალეობებს მოკრძალებული ადგილი უჭირავს. ამ თვალსაზრისით, იგი არსებითად განსხვავდება საბჭოთა პერიოდის კონსტიტუციებისაგან, რომლებიც დეტალურად არეგულირებდნენ მოქალაქეთა მოვალეობებს. ეს გარემოება ნათლად გვიჩვენებს საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის კონცეპტუალურად განსხვავებულ მიდგომას ადამიანისა და მოქალაქის მოვალეობებისადმი.

კონსტიტუციის 44-ე მუხლის მიზანია როგორც ცალკეული ინდივიდების, ისე მთლიანად საზოგადოებისა და სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა. „საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა“ (მ.101, პ.1). სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკურ ინსტიტუტს, ნორმალური ფუნქციონირება შეუძლია მხოლოდ სტაბილური და ქმედითი საფინანსო სისტემის პირობებში – გადასახადები აყალიბებს სახელმწიფოს ძირითად შემოსავლებს. ამიტომ „სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობით და წესით“ (მ.94, პ. 1.). ადამიანს შეუძლია განვითარდეს მხოლოდ ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს (მ.37, პ.3).

კონსტიტუციის 44-ე მუხლი არ იყენებს ტერმინს „ძირითადი მოვალეობები“, მაშინ როდესაც „ძირითადი უფლებები“ კონსტიტუციური კატეგორიაა. უნდა ვივარაუდოთ, რომ კონსტიტუციის ნორმებიდან გამომდინარე, ვალდებულებები არ არის მოქალაქის ძირითადი ვალდებულებები. კონსტიტუციის 44-ე მუხლი შინაარსობრივად არ მოიცავს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს, რომელიც მან უნდა განახორციელოს ძირითადი უფლებების დაცვისა და რეალიზაციის მიზნით.

კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის სუბიექტი არ არის „ყველა ადამიანი“. ამავე დროს, მისი სუბიექტების წრე მოიცავს არა მარტო საქართველოს მოქალაქეებს, არამედ „საქართველოში მცხოვრებ ყოველ პირს.“ „მცხოვრები“, ამ შემთხვევაში, უნდა გავიგოთ როგორც საქართველოს ტერიტორიაზე „მყოფი“ პირი, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა კადით იმყოფება იგი საქართველოს ტერიტორიაზე ან აქვს თუ არა მას საქართველოში საცხოვრებელი ბინა, არის თუ არა რეგისტრირებული დადგენილი წესით და ა. შ.

კონსტიტუციის 44-ე მუხლში გამოყენებული „პირის“ ცნება მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს. საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დაცვა იურიდიულ პირებსაც მოეთხოვებათ. მაგალითად, გადასახადების გადახდის მოვალეობა არ შეიძლება დაეკისროს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს ან მხოლოდ ფიზიკურ პირს.

მოვალეობების ცნება შინაარსობრივად განსხვავდება ადამიანის უფლებებისაგან.



ადამიანის უფლებები არ არის წარმოებული სახელმწიფოსაგან. მიუხედავად იმისა, რომ სადავო ადამიანის უფლებების ზეპოზიტიური ან ბუნებისსამართლებრივი შინაარსი, არააინ უარყოფს, რომ ეს უფლებები სახელმწიფოს და ხალხს ბოჭავს როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი. ასეთი შინაარსი, ცხადია, ადამიანის მოვალეობებს არა აქვს. მოვალეობის სუბიექტი არ შეიძლება იყოს ადამიანი, როგორც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი სუბიექტი. ძირითადი უფლებისაგან განსხვავებით, მოვალეობა არ შეიძლება იყოს წინასახელმწიფოებრივი. მოვალეობა, ძირითადად, გამომდინარეობს სახელმწიფოს მიერ თავისუფლებისა და წესრიგის დაცვის აუცილებლობიდან.<sup>1</sup> უფლებებისაგან განსხვავებით, მოვალეობა ეგალიტარისტულია და ესწრაფვის ვალდებულებების თანაბრად გადანაწილებას.<sup>2</sup>

ადამიანი კონსტიტუციის უზენაესი მიზანია. პიროვნების თავისუფალი განვითარება არის თვითონ ადამიანის და არა სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტის, უფლებამოსილება. პიროვნების ინდივიდუალური ავტონომიისა და თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, „სახელმწიფოს საქმე არ არის გახადოს ადამიანი იმაზე უკეთესი, ვიდრე ის სინამდვილეშია“.<sup>3</sup> შესაბამისად, მოვალეობებს არ შეიძლება ჰქონდეს ძირითადი უფლებების რანგი. მოვალეობა არის მეორადი, განპირობებული, წარმოებული, და არა მკონსტიტუიერებული ცნება.<sup>4</sup>

კონსტიტუცია არ ადგენს მოვალეობათა კონკრეტულ ნუსხას, იგი შემოიფარგლება იმის ზოგადი კონსტატაციით, რომ საქართველოში მცხოვრებმა ყველა პირმა დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობის მოთხოვნები. ამ შემთხვევაში, „კანონმდებლობის“ ცნება მოიცავს სახელმწიფოში მოქმედ ყველა, შესასრულებლად საავალდებულო ქცევის წესს.

კონსტიტუციის 44-ე მუხლი ადგენს მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის მოვალეობას. ასევე კონსტიტუციით განმტკიცებული მოვალეობაა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით (მ. 94, პ. 1.); საქართველოს დაცვა (მ.101, პ.1.); ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის მიერ (მ.101, პ.2.). ზემოაღნიშნული მოვალეობები კანონის დაცვის ზოგადი მოთხოვნის კონკრეტიზაციაა.

მოვალეობა არა მარტო აქსიოლოგიურად და რაოდენობრივად „ჩამორჩება“ ვალდებულებას, არამედ თვისებრივადაც. კერძოდ, ძირითადი უფლებებისაგან განსხვავებით, მოვალეობები მუდმივად მოითხოვს კონკრეტიზაციასა და სანქციონირებას მოქმედ კანონმდებლობაში. ამ თვალსაზრისით, მოვალეობები არის *leges imperfectae*.<sup>5</sup> მოვალეობები კონსტიტუციაში ფორმულირებულია როგორც „პოტენციური სამართალი“, რომლის რამდენადმე პროგრამული ხასიათის კონკრეტიზაცია არის მხოლოდ კანონმდებლის პრეროგატივა. კანონის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე, აღმასრულებელი ხელისუფლება უშუალოდ ვერ დაადგენს ძირითად მოვა-

<sup>1</sup> Hofmann, H., Grundpflichten und Grundrechte, in: Isensee/Kirchhof, Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band V, Allgemeine Grundrechtslehren, Heidelberg, 2000, S.342.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> BVerfGE 22, 180.

<sup>4</sup> Hofmann, H., Grundpflichten und Grundrechte, S. 343.

<sup>5</sup> Hofmann, H., Grundpflichten und Grundrechte, S. 345.

ლეობებს – აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ეს უნდა გააკეთოს კანონის საფუძველზე.<sup>1</sup>

კანონით დადგენილი მოვალეობები მოითხოვს დასაბუთებას, რადგან ნებისმიერი მოვალეობის დადგენა იმთავითვე ნიშნავს თავისუფლების შეზღუდვას. თუმცა, ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულებით, სამხედრო ვალდებულება, გადასახადის გადახდის ვალდებულება ან დაწყებითი განათლების სავალდებულოება არ შეიძლება იყოს ძირითადი უფლების შეზღუდვა. მოვალეობა უნდა გავიგოთ არა როგორც უფლებების შეზღუდვა, არამედ როგორც თავისუფლების „ინსტიტუციონალიზაცია“.<sup>2</sup>

მოვალეობების დადგენისას ძირითადი მასშტაბი უნდა იყოს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები. კანონმდებელი შებოჭილია სწორედ ამ ძირითადი უფლებებით. შინაარსობრივი თვალსაზრისით, მოვალეობებს არა აქვთ ძირითადი უფლებების თანაბარი რანგი. მოვალეობების დადგენის დროს, კანონმდებელმა იმთავითვე უნდა გაითვალისწინოს ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

ამავე დროს, კონსტიტუციურსამართლებრივად უფლებასა და მოვალეობას შორის არ შეიძლება იყოს რანგობრივი განსხვავება. როგორც უფლება, ისე მოვალეობა თანაბრად მნიშვნელოვანია დემოკრატიული წესრიგის უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც. შეუძლებელია, რომ კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა იყოს „მეორე რანგი“.<sup>3</sup> უფრო მეტიც, კონკრეტულ შემთხვევაში, კონსტიტუციურსამართლებრივად ლეგიტიმირებული კანონიერი მოვალეობა „იმორჩილებს“ კიდევ თავისუფლების უფლებას. კერძოდ, ეს ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც მოვალეობა უფლების მიმართ მოქმედებს როგორც Lex-posterior, როგორც გვიან გამოცემული ნორმა.<sup>4</sup>

მოვალეობები, მათი გადასინჯვის თვალსაზრისით, უფრო ნაკლებად არის დაცული, ვიდრე ძირითადი უფლებები. ამავე დროს, არანაირ გადასინჯვას არ შეიძლება დაექვემდებაროს კონსტიტუციის დაცვის მოთხოვნა. გადასახადების გარეშე, ასევე, შეუძლებელია თანამედროვე სახელმწიფოს და მთლიანად საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირება. ეს ეხება არა მარტო სახელმწიფო აპარატის შენახვას, არამედ საზოგადოებაში სოციალური თანასწორობის მინიმალური სტანდარტების დამკვიდრებას, განაწილების მეტ-ნაკლებად სამართლიანი სისტემის შემოღებას და სხვ.

II. კონსტიტუციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები“.

ძირითადი უფლებები და თავისუფლებები მოქალაქეს იცავს სახელმწიფოსთან მიმართებით.<sup>5</sup> აქედან გამომდინარეობს, რომ ადამიანის ქცევის თავისუფლება იმთავითვე ზღვარდებულა საზოგადოების სხვა წევრების უსაფრთხოებითა და თავისუფლებით.

„სხვათა უფლება“ გამომდინარეობს კლასიკური პრინციპიდან: *neminem laedere*,

<sup>1</sup> BVerfGE 56, 249. ციტი: Hofmann, H., Grundpflichten und Grundrechte, S. 345

<sup>2</sup> Hofmann, H., Grundpflichten und Grundrechte, S. 348.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 349.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> Ipsen, J., Staatsrecht II, Grundrechte; 7. Auflage, 2004, S. 225.

რომელიც დასაბამს იღებს ჯერ კიდევ ადამიანის უფლებათა ბუნებითსამართლებრივი კონცეფციიდან. ამ პრინციპის თანახმად, ადამიანის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვა ადამიანის თავისუფლება და სადაც შეიძლება დაირღვეს „სხვათა“ სამართლებრივად დაცული სიკეთე.

„სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებში“ უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ კონსტიტუციურსამართლებრივად დაცული უფლებები და არა სხვა, ფაქტობრივად არსებული ინტერესები. „ინტერესის“ შინაარსის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია. იგი, ასევე, შეიცავს არაერთგვაროვანი და განსხვავებული ინტერპრეტაციის საფრთხეს. მართლწესრიგით განსაზღვრული უფლებები, პირიქით, ნორმატიული ხასიათისაა, რომლის შინაარსის განმსაზღვრელი ქცევის წესი ზუსტად და გარკვევით უნდა ჩამოყალიბდეს.

კონსტიტუციური მართლმსაჯულების პრაქტიკაში, ასევე, კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში ნაკლებად მიმართავენ „სხვათა უფლებების“ დაცვის ინსტიტუტს. შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციური მართლწესრიგისათვის „სხვათა უფლებები“ არსებით როლს არ ასრულებს. კონსტიტუციური მართლწესრიგი იმავე ითვე გულისხმობს, რომ ძირითადად უფლებებმა არ უნდა დაარღვიოს „სხვათა უფლებებიც“.

„სხვათა უფლებები“ განმტკიცებული უნდა იყოს კანონმდებლობაში. ამ მომენტიდან, ისინი ავტომატურად ხდებიან მართლწესრიგის ნაწილი და კარგავენ დამოუკიდებელ მნიშვნელობას. სადავოა კონსტიტუციური მართლწესრიგისა და სხვათა უფლებების სუბსიდიარობის საკითხიც. ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, კონსტიტუციურ წესრიგთან მიმართებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს „სხვათა უფლებებს“. ამ შემთხვევაში, სხვათა უფლებები იძენს კონსტიტუციური მართლწესრიგის მასშტაბის მნიშვნელობას.<sup>1</sup>

„სხვათა უფლებები“ გულისხმობს არა „ზეპოზიტიურ“, არამედ მხოლოდ კონსტიტუციით დადგენილ უფლებებსა და თავისუფლებებს. თუ დაუშვებთ, რომ ძირითადი უფლებები არ მოქმედებს მესამე პირების მიმართ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ „სხვათა უფლებების“ ცნება არ მოიცავს ძირითად უფლებებს. ცალკეული შეხედულებების თანახმად, „სხვათა უფლებები“ (კონსტიტუციური მართლწესრიგისაგან განსხვავებით) ეხება არა სახელმწიფოსა და მოქალაქეს, არამედ მოქალაქეთა შორის წარმოშობილ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს.<sup>2</sup> საკითხისადმი ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება სამართლის იდეას. სამართალი იცავს ადამიანის ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ ღირებულებებს, როგორცაა სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება. ცხადია, ამ ღირებულებებს იცავს ძირითადი უფლებებიც. შესაბამისად, „სხვათა უფლებებში“, პირველ რიგში, უნდა ვიგულისხმოთ სწორედ ძირითადი უფლებები.<sup>3</sup>

<sup>1</sup> Maunz-Dürig, Grundgesetzkommentar, S. 49.

<sup>2</sup> Jarass/Pieroth, Grundgesetz für Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 7. Auflage, Art. 2. Rdn. 15.

<sup>3</sup> Ipsen, J., Staatsrecht II, Grundrechte, S.226.

**მუხლი 45.**

*„კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.“*

**I. შესავალი**

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლი კიდევ ერთხელ ადასტურებს ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა უდიდეს მნიშვნელობას იმით, რომ აერცვლებს ამ უფლებებითა და თავისუფლებებით უზრუნველყოფილ დაცვას იურიდიულ პირებზე. აქედან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში იურიდიულმა პირებმაც შესაძლებელია თავი დაიცვან ამ უფლებებით მათ საქმიანობაში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ჩარევისაგან.

45-ე მუხლის არსებობისა და მისი მნიშვნელობის საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის საერთო კონცეფცია, რომელიც ეფუძნება თანამედროვე დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად პრინციპებს, მათ შორის კი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. სწორედ ისინი ადგენენ ობიექტურ ღირებულებათა სისტემას და ქმნიან დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველს. როგორც კონსტიტუციის მიერ მიღებული ძირითადი გადაწყვეტილება, ისინი მოქმედებენ სამართლის ყველა სფეროს მიმართ და ამავე დროს წარმოადგენენ ძირითად ორიენტირს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებისათვის. საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი წარმოგვიდგენს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების კატალოგს, რომლებითაც უშუალოდ არის შებოჭილი სახელმწიფო ხელისუფლება. ამასთან ერთად, საქართველოს სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. ზოგიერთი სხვა კონსტიტუციისაგან განსხვავებით, რომლებშიც ადამიანის უფლებებს მხოლოდ პროგრამული ხასიათი აქვს, ზემოთ აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები საქართველოს სახელმწიფოში მოქმედი სამართლის შემადგენელი ნაწილია, თავის მხრივ, უშუალოდ მოქმედებს და, შესაბამისად, ობიექტურ სამართალს წარმოადგენს. ამასთან, აღნიშნული დებულების შესაბამისად, ამ უფლებებით შეზღუდულია არა მარტო სახელმწიფო, არამედ ხალხიც, რომელიც თავისი ნების გამოხატვისას ვალდებულია გაითვალისწინოს ეს უფლებები და ყოველი კონკრეტული საკითხი მათ შესაბამისად გადაწყვიტოს.

ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა მთავარი მახასიათებელი ნიშანია ის, რომ მათი საშუალებით ფიზიკურ პირებს შეუძლიათ თავი დაიცვან სახელმწიფოს მხრიდან მათი ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩარევისაგან. ამასთან, რადგან ძირითადი უფლებებით შებოჭილია სახელმწიფო ხელისუფლება, მათი დაცვის ვალდებულება ეკისრება როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელ, ისე სასამართლო ხელისუფლებას. სასამართლო ხელისუფლებამ კი უნდა ვიგულისხმობთ

არა მარტო საერთო სასამართლოები, არამედ, უპირველესად, საკონსტიტუციო სასამართლო. საქართველოს კონსტიტუციითა და „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით<sup>1</sup> დადგენილია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს „ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას“ (მ. 1, პ. 1). კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი საკონსტიტუციო სასამართლო „*მოქალაქის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით*“.

აღნიშნული დებულების ზარევი აშკარაა: იგი საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართით საკუთარი უფლებების დაცვის საშუალებას აძლევს მხოლოდ „მოქალაქეს“, ანუ საქართველოს მოქალაქეებს. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია მთელი რიგი უფლებებისა, რომელთა გამოყენება შეუძლია არა ყველა ადამიანს, არამედ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს. საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „*საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა*.“ ასეთი გამონაკლისი კი კონსტიტუციაში მოცემულია, მაგალითად, 26-ე მუხლში, რომლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მხოლოდ „*საქართველოს მოქალაქეებს*“ აქვთ „*უფლება*“ „*ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში*.“ ასევე მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს აქვს რეფერენდუმსა და არჩევნებში მონაწილეობისა (მ. 28) და სახელმწიფო თანამდებობების დაკავების უფლება (მ. 29). ამ (და სხვა მსგავს) უფლებებს „სამოქალაქო უფლებები“ ეწოდება. მაგრამ ბევრი სხვა ძირითადი უფლება უზრუნველყოფილია არა მარტო საქართველოს მოქალაქის, არამედ ყველა ადამიანისათვის, ანუ საქართველოში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არქონე პირებისათვის (მაგალითად, კონსტიტუციის მ. 16 – „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება“, მ. 17, პ. 1 – „ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია“, მ. 18, პ. 1 – „ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია“, მ. 19, პ. 1 – „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება“, მ. 20 – „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით... ხელშეუხებელია“, მ. 23, პ. 1 – „ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია“, მ. 24, პ. 1 – „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“ და სხვ.). შესაბამისად, ეს უფლებები წარმოადგენს არა „სამოქალაქო“, არამედ „ადამიანის უფლებებს“<sup>2</sup> და მათი გამოყენების უფლება ყველა ადამიანს აქვს. თუ დაირღვევა საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა და მოქალაქეო-

<sup>1</sup> 1996 წლის 31 იანვარი.

<sup>2</sup> ზემოაღნიშნული ჩამონათვალიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ აკეთებს ბევრ გამონაკლისს: ძირითადი უფლებების დიდი უმრავლესობის გამოყენება ყველა ადამიანს შეუძლია და არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს.

ბის არმქონე პირთა ეს ძირითადი უფლებები, მათ, კონსტიტუციის 89-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან მათი ცხოვრებისა და საქმიანობის სფეროებში ჩარევისაგან თავის დაცვის არავითარი საშუალება არ ექნებათ.

1996 წელს საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის დებულების ხარვეზი გამოსწორდა „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც, „საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის შესახებ საკონსტიტუციო სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს სახალხო დამცველს, საქართველოსა და სხვა სახელმწიფოთა ფიზიკურ პირებს, თუ მათ მიანიათ, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი“<sup>1</sup>. თუმცა ამ დებულებით ხარვეზი მხოლოდ ნაწილობრივ გამოსწორდა: სარჩელის შეტანის უფლება მიეცათ მხოლოდ სხვა სახელმწიფოს ფიზიკურ პირებს და არა მოქალაქეობის არმქონე პირებს.

ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულება საკონსტიტუციო სასამართლოს ამოქმედებიდან 2002 წლის თებერვლამდე მოქმედებდა. მაგრამ მას, ზემოაღნიშნული მცირე ხარვეზის გარდა, კიდევ ერთი, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ხარვეზი ჰქონდა.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ, როცა ლაპარაკია ძირითად უფლებებზე, საქმე გვაქვს ფიზიკურ პირსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობასთან. მაგრამ, როგორც ცნობილია, საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ ამით არ იზღუდება და 45-ე მუხლით აცხადებს, რომ „კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე“. რამდენადაც ღიძია ამ დებულების მნიშვნელობა, იმდენად შემაშფოთებელია ის, რომ 1996 წლიდან 2002 წლამდე, სრული ექვსი წლის განმავლობაში, აღნიშნული დებულება საერთოდ არ მოქმედებდა და მხოლოდ ქალაქზე დაწერილ ლამაზ სიტყვებზე რჩებოდა. შესაბამისად, იურიდიული პირები, რომლებიც საც კონსტიტუცია 45-ე მუხლით აძლევდა გარკვეული ძირითადი უფლებების თავიანთი ინტერესების დასაცავად გამოყენების საშუალებას, ამას რეალურად ვერ იყენებდნენ. აქ, უპირველეს ყოვლისა, თავად კონსტიტუციის ხარვეზია ზაზგასასმელი, თუმცა ასევე საყურადღებოა ისიც, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით ეს ხარვეზი არ გამოსწორდა და სიტუაცია უცვლელი დარჩა. გაუგებარია კონსტიტუციის მიდებისას და ორგანული კანონის შემუშავების პროცესში რატომ არ დაისვა სრულიად ლოგიკური კითხვა: თუ 45-ე მუხლით იურიდიულ პირებსაც მიეცათ უფლება კონკრეტულ შემთხვევებში გამოეყენებინათ ძირითადი უფლებები, ხომ უნდა დადგინდეს და არსებობდეს იურიდიული პირების მიერ ამ უფლების გამოყენების პროცედურა? ამ ხარვეზის გამოსასწორებლად მოსამართლეთა და იურისტთა წრეში არსებობდა ერთ-ერთი ასეთი მოსაზრება: თუ ძირითადი უფლება დაირღვევა იურიდიული პირების მიმართ, მაშინ ამ იურიდიული პირის წარმომადგენელმა ფიზიკურმა პირმა შეიტანოს კონსტიტუციური სარჩელი. ეს მოსაზრება თითქოს მართლაც მისაღებია, მაგრამ იგი სრულად ვერ ახდენს 45-ე მუხლით დადგენილი უფლების რეალიზაციას, რადგან 45-ე მუხლით უშუალოდ იურიდიულ

<sup>1</sup> ა. 39, პ. 1.

პირებს და არა მათ წარმომადგენელ ფიზიკურ პირებს ეძლევათ ძირითადი უფლებების გამოყენების საშუალება. თანაც, მათ შეუძლიათ არა ყველა, არამედ მხოლოდ გარკვეული ძირითადი უფლებების გამოყენება, რადგან იურიდიულ პირებზე ეს უფლებები ვრცელდება „მათი შინაარსის გათვალისწინებით“. ცხადია, რომ იურიდიულ პირს, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობების დამოუკიდებელი სუბიექტია და აქვს გარკვეული უფლებები და ვალდებულებები, უნდა ჰქონდეს მისთვის კონსტიტუციით უზრუნველყოფილი უფლების რეალიზაციის საკანონმდებლო საშუალება.

2002 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და დამატებების<sup>1</sup> შედეგად „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტი ასე ჩამოყალიბდა:

*„1. საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ:*

*ა) საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში მცხოვრებ სხვა ფიზიკურ პირებს და საქართველოს იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და მოვალეობანი;*

*ბ) საქართველოს სახალხო დამცველს, თუ მას მიაჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი“.*

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამჟამად ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით სახელმწიფოსაგან თავის დაცვის შესაძლებლობა აქვთ, ანუ ძირითადი უფლებების მფლობელი სუბიექტები არიან: ნებისმიერი ფიზიკური პირი (საქართველოს მოქალაქეები და „საქართველოში მცხოვრები სხვა ფიზიკური პირები“, ანუ მოქალაქეობის არმქონე პირებიც) და იურიდიული პირები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მათ კონსტიტუციური სარჩელის შეტანა შეუძლიათ არა მხოლოდ მათი ძირითადი უფლებების უშუალოდ დარღვევის შემთხვევაში, არამედ მაშინაც, როცა ჯერ არ დარღვეულა, მაგრამ არსებობს აშკარა საფრთხე და პირობები, რომ ეს უფლებები „შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს“.

## II. ძირითადი უფლებები და იურიდიული პირები

როგორც ხედავთ, დღეს მოქმედი საკანონმდებლო ბაზა საესებით უზრუნველყოფს კონსტიტუციის 45-ე მუხლით იურიდიული პირებისათვის გარანტირებულ ძირითად უფლებათა გამოყენების შესაძლებლობას. თუმცა აქ აუცილებლად უნდა შევნიშნოთ ერთი რამ: ამ მუხლის ფორმულირება აშკარად მიუთითებს, რომ ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც ძირითადი უფლებები თავიდანვე გარანტირებული აქვთ, არსებითად თანასწორი მაინც არ არიან; ძირითადი უფლებების გამოყენების პრიორიტეტი კვლავ ინდივიდს, ფიზიკურ პირს ეკუთვნის. 45-ე მუხლი მხოლოდ აღიარებს, რომ ძირითადი უფლებები ვრცელდება „აგრეთვე იურიდიულ პირებზე“ მხოლოდ მათი (ძირითადი უფლებების) შინაარსის გათვალისწინებით, ანუ აქ დაღვენილია გარკვეული

<sup>1</sup> 2002 წლის 12 თებერვალი.

პირობა, რომლის თანახმადაც, კონკრეტული ძირითადი უფლება, მისი შინაარსის მიხედვით, შეიძლება გავრცელდეს იურიდიულ პირზეც. ეს ფორმულირება ორ ძირითად კითხვას ბაღებს:

ა) კონკრეტულად რომელმა იურიდიულმა პირებმა შეიძლება გამოიყენონ ძირითადი უფლებები?

ბ) კონკრეტულად რომელი ძირითადი უფლება (მისი შინაარსის გათვალისწინებით) შეიძლება გავრცელდეს იურიდიულ პირებზე?

სანამ უშუალოდ ამ კითხვებს გავცემდეთ პასუხს, უნარდლება მივაქციოთ კიდევ ერთ გარემოებას: კონსტიტუციის 45-ე მუხლი ზოგადად „იურიდიულ პირებზე“ მიუთითებს, ხოლო „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია „საქართველოს იურიდიული პირები“.<sup>1</sup> ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ „ეროვნულ“ იურიდიულ პირებს შეუძლიათ ძირითადი უფლებების გამოყენება, ხოლო „ეროვნულია“ თუ არა იურიდიული პირი, ეს შეიძლება გაირკვეს მისი ოფიციალური მისამართი, მიხედვით. შესაბამისად, იურიდიული პირი არის „უცხოელი“, თუ მისი ადგილსამყოფელი, ანუ ოფიციალური იურიდიული მისამართი და საქმიანობის ფაქტობრივი ადგილი არ მდებარეობს კონსტიტუციით განსაზღვრულ სახელმწიფო ტერიტორიაზე. ამის საპირისპიროდ, საქართველოს ტერიტორიაზე ქართული კანონმდებლობის მიხედვით დაფუძნებული „უცხოელი“ იურიდიული პირის შეიღობილი კომპანია, ფილიალი ან წარმომადგენლობა შეიძლება ჩავთვალოთ „ეროვნულ“ იურიდიულ პირად; შესაბამისად, მას უფლება ექნება საჭიროების შემთხვევაში თავი დაიცვას ძირითადი უფლებებით.

ა) ძირითადი უფლებები და კერძო სამართლის იურიდიული პირები

არავითარ ეჭვს არ იწვევს ისეთი ძირითადი უფლებების არსებობა, რომლებიც არა მარტო ფიზიკურ, არამედ იურიდიულ პირებზეც ვრცელდება. დაფუძნების (შექმნის) აქტის საფუძველზე იურიდიულ პირს წარმოეშობა გარკვეული უფლებები და მოვალეობები, მაგრამ მისი უფლებაუნარიანობა მაინც მუდმივად შეზღუდულია, რადგან იგი ვერ ვრცელდება იმ უფლებებზე, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს მარტო ფიზიკურ პირს მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი თვისებების საფუძველზე.<sup>2</sup> აღნიშნული პრინციპი მოქმედებს ძირითადი უფლებების დონეზეც, რომლის დეფინირება შეგვიძლია უფრო დაწერილებით: იურიდიულმა პირებმა შეიძლება გამოიყენონ ყველა ძირითადი უფლება, გარდა ისეთებისა, რომელთა გამოსაყენებლადაც აუცილებელია ადამიანისათვის დამახასიათებელი ისეთი ბუნებრივი თვისებები, როგორცაა მისი სხეულის თვისებები, განსაკუთრებით – სქესი, ასაკი, ნათესაობა, რასა, ფიზიკური თვითდამკვიდრება და ფიზიკური გადაადგილების თავისუფლება, ერთი მხრივ, და შინაგანი სულიერი თვისებები, მეორე მხრივ. ეს დებულება უფრო ნათელი გახდება, თუ აღვნიშნავთ, რომ, მაგალითად, იურიდიულ პირებზე ვერ გავრცელდება მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი პატივისა და ღირსების (მ. 17, პ. 1), აგრეთვე სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები (მ. 15, პ. 1). ზამაგიეროდ იურიდიულმა

<sup>1</sup> გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-3 აბზაცის მიხედვით, ძირითადი უფლებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ასევე მხოლოდ „ეროვნულ იურიდიულ პირებზე“ შეიძლება გავრცელდეს.

<sup>2</sup> მდრ. შევიკარის სამოქალაქო კოდექსის 53-ე მუხლი: „იურიდიული პირს შეიძლება ჰქონდეს ყველა უფლება და მოვალეობა, გარდა ისეთებისა, რომლებიც არსებითად დაკავშირებულია მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელ ისეთ ბუნებრივ თვისებებთან, როგორცაა სქესი, ასაკი, ნათესაობა და ა.შ.“



პირებმა, ფიზიკური პირების მსგავსად, შეიძლება გამოიყენონ, მაგალითად, საკუთრების უფლება (მ. 21). აღნიშნულ საკითხს უფრო დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

საყურადღებოა, რომ ყოველი ძირითადი უფლების შემთხვევაში ცალკე უნდა გაირკვეს და შემოწმდეს, თავისი შინაარსის მიხედვით, შეიძლება თუ არა მის (ძირითადი უფლების) მიერ ფიზიკური პირის მიმართ გარანტირებული დაცვა იურიდიულ პირზეც გავრცელდეს. ამ დროს, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ძირითადი უფლებები, პირველ რიგში, ინდივიდუალური უფლებებია, რომლებიც იცავს სახელმწიფო ჩარევის საფრთხეში მყოფი ადამიანის თავისუფლების კონკრეტულ სფეროს. დაცვის ამ ფარდამი იურიდიული პირების მოქცევა მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი და გონივრული, როცა მათი შექმნა და საქმიანობა ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარების გამოხატულებათა, ანუ როცა ფიზიკური პირების დაცვა იურიდიული პირების დაცვასაც საჭიროდ და მიზანშეწონილად წარმოაჩენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძირითადი უფლება, თავისი შინაარსის მიხედვით, შესაძლოა გავრცელდეს იურიდიულ პირზე იმ შემთხვევაში, თუ ამ უფლებით დაცული ფიზიკური პირის საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს იურიდიული პირის მიერაც, ანუ თუკი იურიდიული პირის საქმიანობა შეიძლება აღმოჩნდეს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის ისეთსავე საფრთხეში, როგორც ფიზიკური პირის საქმიანობის ესა თუ ის სფერო.

ზემოაღნიშნული წინაპირობები ფაქტობრივად მთლიანად შესრულებულია კერძო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში, რომელთა შესახებ მსჯელობისას შეგვიძლია თამამად დავადასტუროთ, რომ ისინი ფლობენ ძირითად უფლებებს და აქვთ მათი გამოყენების იურიდიული შესაძლებლობა. ეს თანაბრად ეხება კერძო სამართლის როგორც კომერციულ (სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კოოპერატივი და ა.შ.), ისე არაკომერციულ (კავშირი, ფონდი) იურიდიულ პირებს. ყველა ამ იურიდიული პირის მიმართ შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ მათი შექმნა და საქმიანობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარების გამოხატულებათა, ანუ, სხვაგვარად, მათ საქმიანობას სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის ისეთივე საფრთხე ემუქრება, როგორც ფიზიკური პირის საქმიანობის ამა თუ იმ სფეროს.

შესაძლოა, თავდაპირველად გარკვეული გაუგებრობა გამოიწვიოს ფონდების მიმართ ამ პრინციპის გავრცელებამ, მაგრამ საქმე ის არის, რომ კონსტიტუციის 45-ე მუხლის დებულებამ ვრცელდება არა მარტო წევრობაზე დამყარებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე, არამედ არაწევრობაზე დაფუძნებულ იურიდიულ პირებზეც, ანუ ფონდზეც. ფონდი, როგორც ცნობილია, იქმნება კერძოსამართლებრივი აქტით — დამფუძნებლების ხელმოწერით დადასტურებული დამფუძნებელი აქტით, რომელიც შედგება ცოცხალ ან გარდაცვლილ პირთა ნების (ანდერძის ან სამემკვიდრეო ხელშეკრულების, ანდა კონკრეტული მიზნის მიღწევის თუ კონკრეტული პრობლემის გადაჭრის სურვილის) საფუძველზე. შინაარსის გათვალისწინებით, სრულიად ლოგიკურია, რომ ფონდზე გავრცელდეს კონსტიტუციის მე-16 (პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება) და 21-ე (საკუთრების უფლება) მუხლებით გათვალისწინებული ძირითადი უფლებები. ფონდების მიერ ძირითადი უფლებების გამოყენებისას არა აქვს მნიშვნელობა, საქმე კერძო ფონდებს ეხება თუ საჯაროს. ასევე არავითარ რიგს არ თამაშობს ის, ფონდები ფიზიკურმა პირებმა დააფუძნეს თუ იურიდიულმა.

ძირითადი უფლებების გამოყენება არ შეუძლია ყველა კერძო სამართლის იურიდიულ პირს. ძირითად უფლებებს ვერ ფლობენ და ვერ იყენებენ კერძო სამართლის ის იურიდიული პირები, რომლებიც შექმნილია სახელმწიფოს მიერ და რომლებიც ასრულებენ საჯარო ხელისუფლების ამოცანებსა და ფუნქციებს. აქ მნიშვნელობა არა აქვს როგორი ფორმით ახორციელებს საქმიანობას სახელმწიფო – უშუალოდ თუ მის მიერ დაფუძნებული რომელიმე კერძო სამართლის იურიდიული პირის საშუალებით. მაგალითად, საწარმო, რომელიც დაკავებულია მომარაგების ფუნქციით და იმყოფება საჯარო ხელისუფლების დაქვემდებარებაში, წარმოადგენს მხოლოდ განსაკუთრებულ და განსხვავებულ ფორმას, რომლის მეშვეობითაც ხდება საჯარო ხელისუფლების განხორციელება.

**ბ) ძირითადი უფლებები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები**

სხვაგვარი ვითარებაა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან დაკავშირებით. კონსტიტუციის 45-ე მუხლის დებულება არ იზღუდება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირებით. ამ დებულების მიხედვით, ძირითადი უფლებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება ზოგადად იურიდიულ პირებზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძირითადი უფლებები, მათი არსიდან გამომდინარე, არ შეიძლება გამოიყენონ საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა, რადგან ეს ფაქტობრივად გამოიწვევს იმას, რომ სახელმწიფო ან მის მიერ სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ფუნქციისა და ამოცანის შესასრულებლად შექმნილი იურიდიული პირი (საჯარო სამართლის იურიდიული პირი), რომელიც მმართველობის სისტემის, სახელმწიფო ადმინისტრაციის შემადგენელი ნაწილია, ძირითადი უფლებებით გათვალისწინებულ დაცვას საკუთარი თავის წინააღმდეგ გამოიყენებს. ეს ცხადი ხდება დებულებიდან, რომ ძირითადი უფლებები თავისი არსით წარმოადგენს ადამიანის დამცავ იმ უფლებებს, რომლებიც მიმართულია სახელმწიფოს (შესაბამისად სახელმწიფოს ყველა ორგანოს) თუ საჯარო, სახელმწიფოებრივი ფუნქციის განმახორციელებელი დაწესებულებების) მხრიდან მათი (ფიზიკური პირების) ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩარევის წინააღმდეგ. შესაბამისად, ძირითადი უფლებები განსაზღვრავს ინდივიდსა და საჯარო ხელისუფლებას შორის ურთიერთობას და ამ პრინციპთან შეუსაბამო იქნებოდა, სახელმწიფო რომ ყოფილიყო ამ უფლებების მფლობელი და ადრესატიც. სახელმწიფო ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს შორის დავა თავისი არსით მათ შორის კომპეტენციათა გამოიჯენის შესახებ დავაა, რომელიც უნდა გადაწყდეს მათ უფლებამოსილებათა თაობაზე სახელმწიფოს მიერ მიღებული შესაბამისი აქტებით თუ შიდა დებულებებით დადგენილი წესით. ასეთ დავს არაფერი აქვს საერთო ძირითადი უფლებებისათვის ტიპურ კონფლიქტებთან სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს არ შეუძლიათ დაეყრდნონ ძირითად უფლებებს და გამოიყენონ ისინი თავიანთი უფლებების დასაცავად. იგივე შეიძლება ითქვას, მაგალითად, სააქციო საზოგადოების შესახებ, რომლის ერთადერთი ამოცანაა ქალაქში კომუნალური ფუნქციების შესრულება (კომუნალური მომსახურება) და რომლის ერთადერთი აქციონერი არის ადგილობრივი თუ სახელმწიფო გაერთიანება – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

გამონაკლისები აქაც არსებობს. მათი არსებობა შეიძლება დავასაბუთოთ იმით, რომ ზოგიერთი, განსაკუთრებით სპეციფიკური ტიპის საჯარო სამართლის იურიდი-

ული პირი საქმიანობას ახორციელებს კონკრეტული ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში; ეს იურიდიული პირები ემსახურებიან ფიზიკურ პირებს და ეხმარებიან მათ ინდივიდუალური უფლებების განხორციელებაში, იმავდროულად კი ისინი არსებობენ როგორც თვითმყოფადი, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ან დისტანცირებული დაწესებულებები. ჩვენ აქ ცალ-ცალკე განვიხილავთ ამ გამონაკლისებს:

1. უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ უნივერსიტეტები, ანუ ზოგადად უმაღლესი სასწავლებლები. როგორც აღინიშნა, არც სახელმწიფოსა და არც მის დაწესებულებებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს არ შეუძლიათ ძირითადი უფლებების, როგორც სუბიექტური საჯარო უფლებების, გამოყენება, ანუ ისინი არ შეიძლება იყვნენ ერთდროულად ძირითადი უფლებების მფლობელებიც და ადრესატებიც. მაგრამ ეს პრინციპი არ მოქმედებს მაშინ, როცა სახელმწიფო დაწესებულებები იცავენ ძირითად უფლებებს ისეთ სფეროში, რომელშიც ისინი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი არიან. ეს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ უნივერსიტეტებზე, უმაღლეს სასწავლებლებზე შეიძლება ითქვას, რომლებსაც აფუძნებს და აფინანსებს სახელმწიფო, მაგრამ სამეცნიერო საქმიანობისა და კვლევის სფეროში თავისუფალი და სახელმწიფოსაგან სრულიად დამოუკიდებელი არიან.

ბუნებრივია, თავად უმაღლესი სასწავლებლები, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები, არ ეწევიან სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო საქმიანობას, მაგრამ მათ ძირითადი უფლებების გამოყენება სჭირდებათ იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ ამ სფეროში მოქმედი ყველა მეცნიერ-მკვლევრისა და მასწავლებლის დაცვას. ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად კი აუცილებელია უნივერსიტეტს ჰქონდეს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება, რათა მეცნიერ-მკვლევართა, მასწავლებელთა და ამ სფეროს სხვა მონაწილეთა საქმიანობა დაიცვას სახელმწიფოს ჩარევისაგან.

2. ასევე გამონაკლისია რელიგიის სფერო და ამ სფეროში მოქმედი რელიგიური გაერთიანებები – საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ამასთან დაკავშირებით თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ეკლესიები და სხვა რელიგიური გაერთიანებები, სხვა საჯარო-სამართლებრივი წარმონაქმნებისაგან განსხვავებით, საერთოდ არ არიან სახელმწიფოსთან ორგანულად შერწყმული. საკმაოდ საკამათოა საკითხი, ეს ორგანიზაციები შეიძლება ჩამოყალიბდნენ კერძო სამართლის იურიდიული პირების სახით თუ მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირები უნდა იყვნენ, მაგრამ, რელიგიური გაერთიანებები საჯარო სამართლის იურიდიული პირებიც რომ იყვნენ, ისინი მაინც არანაირი სახით არ არიან ინკორპორირებული სახელმწიფოში, ანუ, ფართო გაგებით, ისინი არ წარმოადგენენ „უშუალო სახელმწიფოებრივ“ ორგანიზაციებს ან ადმინისტრაციულ დაწესებულებებს. მათი მთავარი ამოცანები, უფლებამოსილებები და ფუნქციები ორიგინალურია და არა წარმოშობილი, ნაწარმოები ან სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული. მათ, თავიანთი განსაკუთრებული სპეციფიკურობის გათვალისწინებით, შეუძლიათ სახელმწიფოს წინაშე წარდგინდნენ დამოუკიდებელი პირის სახით და გამოიყენონ საკუთარი უფლებები. ამ თვალსაზრისით მათ ძირითადი უფლებების გამოყენების სრული უფლება აქვთ.

ძირითადი უფლებების გამოყენება შეუძლიათ არასაყოველთაოდ აღიარებულ, ნაკლებად ცნობილ რელიგიურ გაერთიანებებსაც. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით აღიარებული აღმსარებლობისა და რწმენის, ანუ რელიგიის თავისუფლება

გარანტირებულია არა მარტო დიდი, ძლიერი და ცნობილი ეკლესიებისა თუ რელიგიური გაერთიანებების წევრთათვის, არამედ ყველა სხვა რელიგიური გაერთიანების მიმდევართათვის. რელიგიის თავისუფლების ძირითადი უფლება არ არის დამოკიდებული ასეთი გაერთიანების მიმდევართა დიდ რაოდენობაზე ან მის სოციალურ მნიშვნელობაზე. ეს გამომდინარეობს სახელმწიფოსათვის სავალდებულო მოთხოვნიდან დაიცვას მსოფლმშენებლობრივ-რელიგიური ნეიტრალიტეტი, და აგრეთვე რელიგიათა და აღმსარებლობათა პარიტეტის პრინციპიდან.

3. კიდევ ერთი გამოწვევის ეხება საჯარო-სამართლებრივ სატელევიზიო და რადიოსადგურებს. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით აღიარებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ მოქალაქის ინდივიდუალური ძირითადი უფლება თავისი ცხოვრების ერთ-ერთი თავისუფალი სფეროს უზრუნველყოფისა და სახელმწიფო ჩარევისაგან დაცვის შესახებ. პირველ გამოწვევისზე მითითებით შეგვიძლია დავასაბუთოთ, რომ საჯარო-სამართლებრივი სატელევიზიო და რადიოსადგურები სახელმწიფოს ისეთი დაწესებულებებია, რომლებიც იცავენ ძირითად უფლებებს მეტად სპეციფიკურ სფეროში და ამ სფეროში სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი არიან. კერძო-სამართლებრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გარდა, სატელევიზიო და რადიოსადგურებს სახელმწიფოც ქმნის საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების ძირითადი უფლების განსაზოგადოების ბუნებრივი საფუძვლიდან და თვითმმართველი წარმონაქმნები; მათი შიდა ორგანიზაცია კი ისეთი უნდა იყოს, რომ გამოირიცხოს სახელმწიფოს გადამწყვეტი და ყოვლისმომცველი გავლენა. სწორედ ასეთი ნორმების დადგენას და შესაბამის შიდა ორგანიზაციას მოითხოვს კონსტიტუციის 24-ე მუხლით აღიარებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება. აღსანიშნავია, რომ სწორედ 24-ე მუხლის მსგავსი ნორმების საფუძველზე იქმნება დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებში საზოგადოებრივი ტელევიზიები — საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი არიან და საზოგადოების ინტერესებისა და ღირებულებების შესაბამისად ფუნქციონირებენ. შესაბამისად, ასეთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს — სატელევიზიო და რადიოსადგურებს შეუძლიათ, კონსტიტუციური სარჩელის შეტანით დაიცვან თავი და, თუ სახელმწიფო ჩაერევა მათ საქმიანობაში, გამოიყენონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების ძირითადი უფლება.

4. ბოლოს, კიდევ ერთი გამოწვევის შესახებ: კონსტიტუციის 23-ე მუხლით გარანტირებული ინტელექტუალური შემოქმედების, ანუ ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლება შეიძლება გამოიყენონ არა მარტო კერძო სამართლის, არამედ ამ სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმაც. ცნობილია, რომ საჯარო ხელისუფლება აფუძნებს და უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის გაერთიანების არსებობას, რომელთა საქმიანობაც უშუალოდ არის დაკავშირებული ხელოვნებასთან. ასეთია, მაგალითად, სახელოვნებო, მუსიკალური უმაღლესი სასწავლებლები, ანსამბლები, ორკესტრები, გალერეები, მუზეუმები, თეატრები და ა.შ. მათი საშუალებით საზოგადოება ახლოს ეცნობა ხელოვნების ნიმუშებს. ამავ დროს ეს გაერთიანებები სახელმწიფოს მხრიდან მათი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩარევის ისეთსავე

საერთოზე არიან, როგორც ფიზიკური პირები. შესაბამისად, ისინიც ისევე უნდა იყვნენ დაცული ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლებით, როგორც ფიზიკური პირები. ამდენად, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა – სახელოვნებო და მუსიკალურმა უმაღლესმა სასწავლებლებმა, გალერეებმა, მუზეუმებმა და თეატრებმა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია თავი დაიცვან სახელმწიფოს მხრიდან მათი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩარევისაგან სწორედ ხელოვნების თავისუფლების ძირითადი უფლების გამოყენებით.

გ) ძირითადი უფლებები, რომლებიც შეიძლება გავრცელდეს იურიდიულ პირებზე ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ შეუძლებელია ზოგადი, აბსტრაქტული პასუხი გაცეს კითხვას: შინაარსის გათვალისწინებით რომელი ძირითადი უფლებები შეიძლება გავრცელდეს იურიდიულ პირებზე? ცხადია, რომ იურიდიულ პირებზე ვერ გავრცელდება ისეთი ძირითადი უფლებები, რომლებიც მხოლოდ ფიზიკურმა პირმა, ინდივიდმა შეიძლება გამოიყენოს. კონსტიტუციით აღიარებული ასეთი ძირითადი უფლებებია: მ. 13 - მოქალაქეობა, მოქალაქეობის ჩამორთმევისა და საქართველოს მოქალაქის საქართველოდან გაძევების დაუშვებლობა; მ. 14 - კანონის წინაშე თანასწორობის უფლება, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა; მ. 15, პ. 1 - სიცოცხლის უფლება; მ. 17 - ადამიანის ღირსება და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება; მ. 28 - საარჩევნო უფლება; მ. 29 - სახელმწიფო თანამდებობის დაკავების თანასწორი უფლება; მ. 35 - განათლების უფლება; მ. 36 - ოჯახი და ქორწინება, დედათა და ბავშვთა უფლებები; მ. 37 - ჯანმრთელობის დაცვის უფლება; მ. 47 - თავშესაფრის უფლება.

ყველა სხვა ძირითადი უფლება შესაძლებელია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გავრცელდეს (კერძო სამართლის) იურიდიულ პირებზე. მოკლედ შევხებით რამდენიმე მათგანს:

იურიდიულ პირებს შეუძლიათ თავიანთ უფლებათა დასაცავად გამოიყენონ კონსტიტუციის მე-16 მუხლით აღიარებული საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. ამ დებულების ტექსტიდან გამომდინარე, ეს ძირითადი უფლება თითქოს მხოლოდ ფიზიკურ პირებზე შეიძლება გავრცელდეს, მაგრამ, თუ კარგად დავეკვირდებით, ვნახათ, რომ ადამიანებმა საკუთარი პიროვნება შესაძლოა სწორედ იურიდიული პირის დაფუძნებითა და მის მიერ განხორციელებული კომერციული თუ არაკომერციული საქმიანობით განავითარონ. აქედან გამომდინარე, საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება გაცილებით ფართო და ბევრისიმომცველია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ეს ძირითადი უფლება ფაქტობრივად უზრუნველყოფს საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებას ფიზიკური პირებისათვის, რომლებსაც სრული უფლება აქვთ და შეუძლიათ იურიდიული პირების დაფუძნებით განხორციელონ კონკრეტული სამეურნეო საქმიანობა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ თავად იურიდიულმა პირმა, როგორც ასეთმა, საჭიროების შემთხვევაში (სახელმწიფოს მხრიდან მის საქმიანობაში ჩარევის დროს) შესაძლოა დაიცვას თავისი უფლებები სწორედ მე-16 მუხლზე მითითებით – საქმიანობის საყოველთაო თავისუფლების გარანტიის საყუბველზე.

იურიდიულ პირებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ კონსტიტუციის მე-19 მუხლით უზრუნველყოფილი სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებები. თუმცა,

ცხადია, რომ იურიდიულ პირებს არც რწმენა აქვთ და არც საკუთარი სინდისით ნაკარნახევი გადაწყვეტილებების მიღება შეუძლიათ. მაგრამ მათ შეუძლიათ თავიანთი წევრების რწმენის გაერყელება და ხელშეწყობა, ასევე რელიგიური მიზნების მიღწევისაკენ სწრაფვა და ამისთვის საჭირო საქმიანობის განხორციელება. ამდენად, იურიდიული პირები (და არა მარტო ეკლესიები თუ რელიგიური გაერთიანებები) წარმოადგენენ უფლებამოსილ პირებს და შეუძლიათ მე-19 მუხლით აღიარებული ძირითადი უფლებების გამოყენება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19, 23-ე და 24-ე მუხლებში მოცემული სიტყვის, აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებები, ინტელექტუალური შემოქმედებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება ასევე შეიძლება გამოიყენონ იურიდიულმა პირებმა. მართალია, იურიდიულ პირს შეიძლება არ ჰქონდეს საკუთარი აზრი ანდა თავად არ განახორციელოს შემოქმედებითი ან სამეცნიერო საქმიანობა, მაგრამ მას შეუძლია გაავრცელოს თავის წევრთა ან სხვათა აზრები და ხელი შეუწყოს ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარებას, ამ გზით კი იგი ხდება ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროში და, შესაბამისად, შეუძლია მათი გამოყენება.

იურიდიულ პირებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ კონსტიტუციის 25-ე მუხლით აღიარებული შეკრებებისა და მანიფესტაციების ძირითადი უფლება. ყველა იურიდიულ პირს შეუძლია საკუთარი სახელით მოაწყოს შეკრებები ან მანიფესტაციები და, შესაბამისად, ამ უფლების სახელმწიფოს მიერ დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს 25-ე მუხლის საფუძველზე.

კონსტიტუციის 26-ე მუხლით აღიარებული გაერთიანებათა თავისუფლება ორ კომპონენტს მოიცავს: (1) გაერთიანების დაარსებისა და მასში გაწევრიანების უფლებას, (2) თვით გაერთიანების უფლებას წარმოშობაზე, არსებობასა და საქმიანობაზე. ორივე კომპონენტი შეიძლება გამოიყენონ იურიდიულმა პირებმაც. გამონაკლისია შემთხვევა, როცა გაერთიანება ფიზიკურ პირთა წევრობაზეა. მაგალითად, იურიდიული პირები არ შეიძლება იყვნენ პოლიტიკურ გაერთიანებათა წევრები.

კონსტიტუციის 22-ე მუხლით გათვალისწინებული თავისუფალი გადაადგილების ძირითადი უფლება იურიდიული პირებისათვის ნიშნავს უფლებას თავისი ადგილსამყოფლის თავისუფალ არჩევასა და შეცვლაზე.

კონსტიტუციის მე-20 მუხლში მოცემული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება ვრცელდება აგრეთვე სამუშაო ოფისებზე („პირადი საქმიანობის ადგილი“), ანუ ამ ძირითადი უფლების გამოყენება შეუზღუდავად შეუძლიათ იურიდიულ პირებსაც.

იგივე ეხება კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებულ საკუთრების უფლებასაც. ბუნებრივია, ყველა იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს საკუთრება და, შესაბამისად, ამ საკუთრების დაცვის უფლებაც (აქ შეგვიძლია მოვიხმოთ გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-17 მუხლი, რომლის მიხედვითაც, „ყველას აქვს უფლება ფლობდეს ქონებას როგორც ერთპიროვნულად, ისე სხვებთან ერთად“<sup>1</sup>). იურიდიულ პირებზე ვრცელდება აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის იმავე მუხლით აღიარებული მემკვიდრეობის უფლება.

<sup>1</sup> 1948 წლის 10 დეკემბერი, მ. 17, პ. 1: „Everyone has the right to own property alone as well as on association with others-

## მუხლი 46.

„1. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე და 41-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი. საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია არა უგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად.

2. თუ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, სხვა წარმომადგენლობით ორგანოს არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმების შემდეგ. ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი.“

## I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები სცილდება მათ ფორმალურ მახასიათებლებს. ისინი გაცილებით მეტია, ვიდრე პიროვნების თავისუფლების განსამტკიცებლად შექმნილი სამართლებრივი ტექნიკის ელემენტების სისტემა. სამართლებრივი სახელმწიფო მოიცავს არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ, იმედროულად, მატერიალურ წესრიგს, რომლის საფუძველიც, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ხელისუფლების უშუალოდ შემოჭავი ადამიანის ძირითადი უფლებებია. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლს. მასში მოცემული დებულება კონსტიტუციის უდიდესი მონაბოვარია. აღნიშნული დებულების მიხედვით, საქართველოს „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“<sup>1</sup>. ცხადია, რომ ამ დებულების საფუძველი, ისევე როგორც ადამიანის ძირითად უფლებათა აღიარებული სხვა ისტორიული დოკუმენტებისა, ბუნებითი სამართალია. საქართველო აღიარებს ადამიანის უფლებებს, როგორც ადამიანის ბუნებრივ (ბუნებით) უფლებებს, რომლებიც მას აქვს იმიტომ, რომ ადამიანია. ეს უფლებები ადამიანის დაბადებასთან ერთად წარმოიშობა, ზოგიერთი მათგანი კი ჯერ კიდევ დედის წიაღში მყოფ ნაყოფსაც (nasciturus) აქვს. შესაბამისად, სახელმწიფოს არ შეუძლია წართვას ან მიანიჭოს ისინი ადამიანს; სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს ამ უფლებებს და, ამავე დროს, დაიცავს ისინი. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, მოქმედი სამართლის შემადგენელი ნაწილია, თავის მხრივ, უშუალოდ მოქმედებს და, შესაბამისად, ობიექტურ სამართალს წარმოადგენს, განსხვავებით ზოგიერთი სხვა (მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რამდენიმე მხარის) კონსტიტუციისაგან, რომლებშიც ადამიანის უფლებები მხოლოდ პროგრამული, დეკლარაციული ხასიათისაა. საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული დებულების შესაბამისად, ამ უფლებებით შეზღუდულია არა მარტო სახელმწიფო, არამედ ხალხიც, რომელიც თავისი ნების გამოხატვისას ვალდებულია გაითვალისწი-

ნოს ისინი და ყოველი კონკრეტული საკითხი მათ შესაბამისად გადაწყვიტოს. ძირითად უფლებებსა და სახელმწიფოს ნებისმიერ აქტს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, ძალას კარგავს და არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერ აქტად.

როგორც აღინიშნა, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი ნიშნავს იმას, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება შებოჭილია კონსტიტუციით, უფრო კონკრეტულად – კონსტიტუციით შექმნილი და განმტკიცებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგით, აღმასრულებელი ხელისუფლება და მართლმსაჯულება კი – კონსტიტუციის შესაბამისად მიღებული კანონებით, ანუ სამართლით. „ხელისუფლების მბოჭავ“ ნორმებში, უპირველეს ყოვლისა, ისევე ადამიანის ძირითადი უფლებები უნდა ვიგულისხმოთ. სწორედ ისინი ბოჭავს როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს. აღმასრულებელი ხელისუფლება ორიენტირებული უნდა იყოს მოქმედი სამართლის ნორმებზე, ანუ კანონებზე, მაგრამ თვით ამ კანონების მიღებისას საკანონმდებლო ხელისუფლება შეზღუდულია ძირითადი უფლებებით, რადგან ყველა კანონი სწორედ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს უნდა შეესაბამებოდეს. ასევე შეზღუდულია სასამართლო ხელისუფლებაც, რომელმაც ისე უნდა განმარტოს და გამოიყენოს კანონის ნორმები, რომ არ დაირღვეს ძირითადი უფლებები. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის მიხედვით, ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვა დასაშვებია, მაგრამ მხოლოდ კანონის საფუძველზე. ეს კი ნიშნავს, რომ სახელმწიფოს შეუძლია ჩაერიოს მოქალაქეთა თავისუფლებაში ან მათი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ იგი ამისთვის კანონით იქნება უფლებამოსილი. თანაც, როგორც უკვე აღინიშნა, თავად კანონი და კანონის ნორმათა გამოყენებული სასამართლოს გადაწყვეტილება ასევე უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის ძირითადი უფლებების არსს.

ადამიანის ძირითადი უფლებების უშუალო და პირდაპირი მოქმედება განსაკუთრებით ნათლად ჩანს იქ, სადაც ყველაზე ხშირია სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთა პირადი თავისუფლების სფეროებში ჩარევის შემთხვევები: სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 და 42-ე მუხლების დებულებებით აღიარებულია ადამიანის ძირითადი საპროცესო უფლებები. დაუშვებელია, რომ საგამოძიებო ორგანოები და სასამართლო მოეპყრონ ადამიანს როგორც შიშველ ობიექტს. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი სისხლის სამართლის სფეროში მოკლედ ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

ა. ყოველი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელი სამართლიანი უნდა იყოს და შეესაბამებოდეს დანაშაულის სიმძიმესა და დამნაშავეს ბრალს. აქ განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება ზემოხსენებული თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპის მნიშვნელობა. იგი კრძალავს შეუსაბამო, გადაჭარბებული და სასტიკი სასჯელის გამოყენებას. იგივე არის განმტკიცებული კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით: „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება“;

ბ. ყოველი სასჯელის უცილებელი წინაპირობაა ბრალის არსებობა (nulla poena sine culpa). ყოველი ადამიანი უნდა დაისაჯოს მხოლოდ იმ დანაშაულისათვის, რომელიც მან ბრალულად ჩაიდინა. თუ პირს ბრალი არ მიუძღვის, მისი დასჯა დაუშვებელია;

გ. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდეს-



ბა კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით“ (უდანაშაულობის პრეზუმფცია – მ. 40, პ. 1);

დ. „არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის“ (ne bis in idem – მ. 42, პ. 4);

ე. „არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა“ (nulla poena sine lege -- მ. 42, პ. 5, წინ. 1).

## II. ძირითად უფლებათა შეზღუდვის საფუძვლები

როგორც აღინიშნა, ძირითადი უფლებების მთავარი მახასიათებელი მათი დამცავი ფუნქციაა. ისინი იცავენ ფიზიკურ პირებს მათი ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროში სახელმწიფოს ჩარევისაგან. ყველა ადამიანს შეუძლია თავისი კანონიერი ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ძირითადი უფლებები. უფრო კონკრეტულად: ადამიანებს უფლება აქვთ, სახელმწიფოს ჩარევისაგან დამოუკიდებლად და თავისუფლად იმოქმედონ იმ დაცულ სფეროში, რომელიც უზრუნველყოფილია ამ თუ იმ ძირითადი უფლებით. მაგალითად, კონსტიტუციის მე-19 მუხლით უზრუნველყოფილია სინდისის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებები. ეს ნიშნავს, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჩამოაყალიბოს და ჰქონდეს საკუთარი რწმენა, მსოფლმხედველობა და სინდისი, იცხოვროს მათ მიხედვით და მათ საფუძველზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მე-19 მუხლით დაცული სფერო მოიცავს ადამიანის რელიგიურ და მორალურ გრძნობებს და შინაგან რწმენას (Forum internum; აზროვნების სფერო), რელიგიური და მსოფლმხედველობრივი აღმსარებლობის თავისუფლებას (Forum externum; მოქმედების სფერო), აგრეთვე საკუთარი შინაგანი რწმენისა და სინდისის კარნახით (და მათ საფუძველზე) გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლებას. თუმცა სახელმწიფომ შეიძლება შეზღუდოს ძირითადი უფლებები, რის უფლებამოსილებაც კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული კონსტიტუციაში. საქართველოს კონსტიტუცია ყოველი კონკრეტული ძირითადი უფლების მიმართ მიუთითებს მათი შეზღუდვის შესაძლებლობის შესახებ, ხოლო ამავე დროს 46-ე მუხლით ადგენს ძირითადი უფლებების შეზღუდვის ზოგად საფუძვლებსაც. ძირითადი უფლებების „შეზღუდვა“ სახელმწიფოს მიერ სწორედ ძირითადი უფლებით „დაცულ სფეროში ჩარევას“ ნიშნავს. უფრო კონკრეტულად კი „ძირითადი უფლების შეზღუდვა“ ანუ „დაცულ სფეროში ჩარევა“ არის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი უზენაესი აქტი ან ღონისძიება, რომელიც ინდივიდს ხელს უშლის ან უკრძალავს ისეთი მოქმედების განხორციელებას, რომელიც ხდება ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციით ზოგიერთი ძირითადი უფლებისათვის არ არის დადგენილი შეზღუდვის საფუძველი. ასეთი ძირითადი უფლება აბსოლუტურად უზრუნველყოფილად ითვლება და სახელმწიფოს არც ერთ შემთხვევაში, თვით კანონის საფუძველზეც კი არ შეუძლია ამ უფლების შეზღუდვა. მაგალითად, ინტელექტუალური შემოქმედების ანუ ხელოვნების თავისუფლება აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლებაა (მ. 23, პ. 1). კონსტიტუციით შეზღუდვა დაწესებულია მხოლოდ შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელებაზე: გავრცელება შეიძლება აიკრძალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არღვევს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს (მ. 23, პ. 3). რაც შეეხება თავად შემოქმედებით პროცესს, მასში

ჩარევა და შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია. ასეთი აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლებები შეიძლება შეზღუდოს მხოლოდ სხვა ძირითად უფლებასთან კონფლიქტის დროს, როცა კონკრეტულ შემთხვევაში უპირატესობა სწორედ აბსოლუტურად უზრუნველყოფილ ძირითად უფლებასთან კოლიზირებულ, არანაკლები მნიშვნელობისა და მოქმედების ძალის მქონე ძირითად უფლებას უნდა მიენიჭოს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, როგორც უკვე აღინიშნა, ძირითადი უფლებების უმრავლესობა შეიძლება შეზღუდოს სახელმწიფომ. სახელმწიფოს მხრიდან ძირითად უფლებათა შეზღუდვა (დაცულ სფეროში ჩარევა) შეიძლება განხორციელდეს სამი საშუალებით: (1) კანონით – საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ; სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს კანონი, რომელიც შეზღუდავს ძირითად უფლებას; (2) აღმასრულებელი ორგანოების (ადმინისტრაციის) მოქმედებით – აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ; (3). სასამართლოს გადაწყვეტილებით – სასამართლო ხელისუფლების მიერ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებები ვალდებული არიან თავიანთი ყოველდღიურ საქმიანობაში გაითვალისწინონ ადამიანის ძირითადი უფლებები, მათი მნიშვნელობა და მოქმედების ძალა. გაცილებით მნიშვნელოვანია ამ უფლებათა გათვალისწინება სასამართლო ხელისუფლების მიერ, რადგან სწორედ სასამართლოები იყენებენ მოქმედ სამართალს, იხილავენ და წყვეტენ მოქალაქეთა შორის, მოქალაქეთა და სახელმწიფო ორგანოებს შორის დავის უდიდეს ნაწილს. მათი გადაწყვეტის პროცესში საჩართლის ნორმათა განმარტებისა და გამოყენების დროს ისინი ვალდებული არიან გაითვალისწინონ კონსტიტუციის საფუძველზე ადამიანის ძირითადი უფლებებით შექმნილი ღირებულებათა სისტემა. საქართველოს კანონმდებლობით, საქმის საპროცესო მხარე, თავად პროცესი, მოცემული საქმის შინაარსის შეფასება, გარემოებათა ანალიზი, სამართლის ნორმათა განმარტება და გამოყენება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არის მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი საერთო სასამართლოს კომპეტენცია. მაგრამ სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს ძირითად უფლებათა მნიშვნელობა საქმეთა განხილვისას და კონკრეტულ ნორმათა გამოყენებისას. ეს აუცილებელია იმ შემთხვევებშიც, როცა საქმე ეხება სამოქალაქო სამართლებრივ დავას ორ (ფიზიკურ თუ კერძო სამართლის იურიდიულ) პირს შორის. მიუხედავად იმისა, რომ, საყოველთაოდ გაბატონებული შეხედულებით, ძირითადი უფლებები უშუალოდ მოქმედებს მხოლოდ სახელმწიფოსა და მოქალაქეს და არა მოქალაქეთა (ან მოქალაქეთა და კერძო სამართლის იურიდიულ პირთა) შორის ურთიერთობებში, იმავე გაბატონებული შეხედულების მიხედვით, ძირითადი უფლებები ავითარებს ე.წ. შუალობით (არაპირდაპირი) მოქმედების ძალას ასეთ ურთიერთობებზე. შესაბამისად, ამ შემთხვევებშიც სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტება, გამოყენება და შეფარდება ორიენტირებული უნდა იყოს ძირითადი უფლებების მნიშვნელობასა და შინაარსზე. კონსტიტუციური ნორმები ირღვევა მაშინ, როცა სასამართლო გადაწყვეტილებაში იკვეთება ნორმათა განმარტებისას დაშვებული შეცდომა, რომელიც გამოწვეულია კონკრეტული ძირითადი უფლების მნიშვნელობისა და გამოსაყენებელ საკანონმდებლო ნორმებზე მისი ზეგავლენის ძალის, განსაკუთრებით კი ამ უფლებით დაცული სფეროს ფარგლების მცდარი შეფასებით. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: თუ სასამართლო ცდება და საქმის განხილვისას ძირითადი უფლებების ნამდვილ შინაარსს, სამართლის ნორმებზე მათი ზემოქმედების ძალას

მართებულად ვერ აფასებს, ეს ნიშნავს, რომ საერთო სასამართლო, რომელიც საჯარო ხელისუფლებას წარმოადგენს, უყურადღებოდ ტოვებს ძირითადი უფლების მნიშვნელობას, ამის შედეგად მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება კი არღვევს ამ უფლებას, ამიტომ ეს გადაწყვეტილება უნდა გააუქმოს ზემდგომი ინსტანციის კომპეტენტურმა სასამართლომ.

ძირითად უფლებათა შეზღუდვის ზემოხსენებულ სამსავე შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას რამდენიმე აუცილებელი პირობა:

(1) უპირველეს ყოვლისა, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონის საფუძველზე. მაშინაც კი, როდესაც კონსტიტუცია კონკრეტულად არ მიუთითებს კანონის არსებობაზე, დაუშვებელია ძირითადი უფლების შეზღუდვა რომელიმე სხვა (კანონქვემდებარე) აქტის საფუძველზე. მაგალითად, მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „დაუშვებელია“ სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებათა შეზღუდვა, „თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს“. აღნიშნულ პუნქტში კანონის აუცილებლობაზე პირდაპირი მითითების მიუხედავად, სახელმწიფოს მიერ შესაბამისი თავისუფლებების შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კონსტიტუციით ან კანონით განსაზღვრული „სხვათა უფლებების“ დაცვისა და სათანადო მექანიზმების გათვალისწინებით. ასევე ცხადია, რომ აღმსარებლებელი ხელისუფლების მოქმედებითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით განხორციელებული შეზღუდვა მხოლოდ და მხოლოდ კანონის ნორმებს უნდა ეყრდნობოდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, თავად კანონი უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის ძირითადი უფლებების არსს. ეს ნიშნავს, რომ: (ა) კანონი უნდა იყოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობასთან „ფორმალურად“ შესაბამისი, ანუ დაცული უნდა იყოს ყველა ფორმალური მოთხოვნა, რომელიც დადგენილია კონსტიტუციითა და კანონებით კანონპროექტის განხილვის, მიღების, კანონის ხელმოწერისა და გამოქვეყნების პროცედურებთან დაკავშირებით. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კონსტიტუციისა, კონსტიტუციური კანონისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების გარდა, საკანონმდებლო აქტებად (ანუ კონსტიტუციურ-სამართლებრივი გაგებით „კანონებად“) ითვლება ორგანული კანონი, კანონი, პარლამენტის რეგლამენტი და საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი.<sup>1</sup> ეს უკანასკნელი კონსტიტუციით აღიარებულია კანონის ძალის მქონე აქტად.<sup>2</sup> შესაბამისად, სწორედ ამ აქტების და მხოლოდ ამ აქტების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს ძირითადი უფლებათა შეზღუდვა; (ბ) „ფორმალურ შესაბამისობასთან“ ერთად კანონი აუცილებლად „მატერიალურად შესაბამისი“ უნდა იყოს. ეს ნიშნავს, რომ ძირითადი უფლების შეზღუდვისათვის საჭიროა არსებობდეს კონსტიტუციით განსაზღვრული საფუძველი. ეს საფუძველი (კონსტიტუციის შესაბამისი ნორმა) არის ძირითადი უფლების ზღვარი, ანუ ამით შეზღუდულია ძირითადი უფლება. ძირითადი უფლების შეზღუდვა, ანუ ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ აღნიშნული საფუძვლის მიხედვით. ასეთი საფუძვლის გარეშე სახელმწიფოს ექნებოდა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში საკუთარი შეზღუდვებისამებრ, ნებისმიერ სასურველ შემთხვევაში ჩარევის შესაძლებლობა, შედეგად კი

<sup>1</sup> ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი, მ. 5, პ. 1, 1996 წლის 29 ოქტომბერი.

<sup>2</sup> მ. 73, პ. 1, ქვა. “თ”.

ძირითად უფლებებს ფაქტობრივად არანაირი „ხელისუფლების შემოჭრები“ აღარ ექნებოდა. ზემოაღნიშნული საფუძველი მითითებულია კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლში. მაგალითად: საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გარანტირებულია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა თავისუფლება; იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დაღუპებულთა ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანებების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამცობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღიეგებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.“ მე-6 პუნქტის მიხედვით კი „საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით“. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ დადგენილია კონსტიტუციური ზღვარი, ანუ თავიდანვე დაუშვებელია ზემოაღნიშნული მიზნების (და მხოლოდ ასეთი მიზნების) მქონე გაერთიანება თუ შექმნა, იქვე მითითებულია წინაპირობა – კანონის არსებობა. ე.ი. კანონი, რომელიც კრძალავს კონსტიტუციის საწინააღმდეგო მიზნების მქონე გაერთიანებებს, წარმოადგენს ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში კონსტიტუციურად გამართლებული ჩარევის საფუძველს. ასეთი გაერთიანებები ვერ დაეყრდნობიან 26-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებს.

კონსტიტუციის 24-ე მუხლით უზრუნველყოფილია აზრისა და ინფორმაციის თავისუფლებები, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება; იმავე მუხლის მე-4 პუნქტში კი მითითებულია, რომ ეს თავისუფლებები „შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს“ სხვადასხვა საფუძველზე, ანუ მოცემულია შეზღუდვის შინაარსი. ეს დებულებები კანონის არსებობის აუცილებლობის კიდევ ერთი მაგალითია. ამასთან, მე-4 პუნქტი ხაზს უსვამს, რომ კანონით ძირითადი უფლების შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ პუნქტში ჩამოთვლილი პირობების უზრუნველსაყოფად. უფრო კონკრეტულად: ზემოაღნიშნულ ძირითად უფლებებში ჩარევა კონსტიტუციურსამართლებრივად გამართლებული იქნება, თუ იგი ხორციელდება კანონის საფუძველზე და კანონის მიზანია კონსტიტუციაში მითითებული მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დაცვა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში კანონის საფუძველზე განხორციელებული ჩარევის ლეგიტიმური მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ კონსტიტუციის შესაბამის მუხლებში მითითებული მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის დაცვა. ამ დებულებას ადასტურებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გადაწყვეტილება საქმეზე „ფუნკე საფრანგეთის წინააღმდეგ“<sup>1</sup>, რომელშიც სასამართლო იხილავდა საფრანგეთის ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ მოქალაქის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შესაბამისობას კონვენციასთან. ხელისუფლების განცხადებით, ჩხრეკის საფუძველი იყო მოქალაქის კანონსაწინააღმდეგო ფინანსური საქმიანობა. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ მოქალაქის პირად ცხოვრებაში ჩარევა ემსახურებოდა ლეგიტიმურ, კანონიერ

<sup>1</sup> ფუნკე საფრანგეთის წინააღმდეგ (Funke v. France), 1993 წლის 23 თებერვალი.

მიზანს — ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის შენარჩუნების ინტერესებს და, შესაბამისად, ასეთი ჩარევა კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებული იყო. საინტერესოა აგრეთვე საქმე „კლასი გერმანიის წინააღმდეგ“<sup>1</sup>, რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, აგრეთვე სახელმწიფო უშიშროების მიმართ ჯავშუშობისა და ტერორიზმის განსაკუთრებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად კონკრეტული მოქალაქის საქმიანობის საიდუმლო თვალთვალი არის პირადი ცხოვრების ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში გამართლებული ჩარევა, რადგან მას აქვს ლეგიტიმური საჯარო მიზანი.<sup>2</sup>

საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება აბსოლუტურად უზრუნველყოფილია კონსტიტუციის მე-16 მუხლით. ამ მუხლში არ არის მითითებული არც უშუალო კონსტიტუციური ზღვარი და არც შემზღუდავი კანონის არსებობის აუცილებლობა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება სრულიად შეუზღუდავად მოქმედებს და იგი აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ძირითადი უფლებაა? დაუშვებელია თუ არა ამ უფლების შეზღუდვის მიზნით კანონის მიღება? ეს მაგალითი წარმოაჩენს ძირითად უფლებას, რომელიც თავდაპირველად სრულიად შეუზღუდავ, ე.წ. აბსოლუტურ ძირითად უფლებად გვეჩვენება, მაგრამ სინამდვილეში მის მიმართაც მოქმედებს გარკვეული ზღვარი — ე.წ. შიდაკონსტიტუციური ზღვარი. ასეთი შეიძლება იყოს მესამე პირთა ძირითადი უფლებები ან სხვა უშიშვნელოვანესი კონსტიტუციური სიკეთეები.

(გ) კანონი უნდა იყოს ხელმისაწვდომი, ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბებული, მისი ნორმები — ცხადი, კონკრეტული და არაორაზროვანი, კანონის ნამდვილი აზრი — ადვილად მისახვედრი და გასაგები, მისი დარღვევის შედეგები კი — ადვილად განჭვრეტადი. აღნიშნულის აუცილებლობა დადასტურებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მრავალწლიანი პრაქტიკით. საქმეზე — „სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“<sup>3</sup> — სასამართლომ განაცხადა, რომ „უპირველეს ყოვლისა, კანონი უნდა იყოს ადეკვატურად ხელმისაწვდომი: მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საკმარისი ინფორმაცია კონკრეტულ გარემოებებში მისი საქმიანობის მიმართ გამოსაყენებელი სამართლებრივი ნორმების შესახებ.“ კანონის ხელმისაწვდომობა ნიშნავს მის გამოქვეყნებას, ანუ შიდა (სამსახურებრივი, უწყებრივი) სარგებლობის სამართლებრივი აქტი ვერ ჩაითვლება ხელმისაწვდომად. „გარდა ამისა, ნორმა ვერ ჩაითვლება „კანონად“, თუ იგი ფორმულირებული არ არის საკმარისი სიზუსტით, რაც შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეს იმოქმედოს დადგენილი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად“. ამასთან, „მოქალაქეს, გონივრულ ფარგლებში, ... უნდა შეეძლოს განჭვრეტა იმ შედეგებისა, რომლებიც ასეთ მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს.“ ეს მიდგომა სასამართლომ განავითარა საქმეში „მელოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“<sup>4</sup>, სადაც აღნიშნა, რომ „კანონმა საკმარისი სიზუსტით უნდა

<sup>1</sup> კლასი გერმანიის წინააღმდეგ (*Klass v. Germany*), 1978 წლის 6 სექტემბერი.

<sup>2</sup> ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Handyside v. the United Kingdom*), 1976 წლის 7 დეკემბერი

<sup>3</sup> „სანდი თაიმსი“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*„Sunday Times“ v. the United Kingdom*), 1979 წლის 26 აპრილი.

<sup>4</sup> მელოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Malone v. the United Kingdom*), 1984 წლის 2 აგვისტო.

განსაზღვროს ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოებისათვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლები და მათი განხორციელების საშუალებები, რათა ადამიანმა შეძლოს ადეკვატური დაცვის განხორციელება ხელისუფლების მხრიდან ჩარევის წინააღმდეგ.“ ამ საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ ინგლისისა და უელსის კანონები არ იყო საკმარისად ნათელი და განჭვრეტადი, რის გამოც ისინი ვერ უზრუნველყოფდნენ პირის უფლებების დაცვის მინიმალურ მოთხოვნას. სასამართლომ ასევე ნათლად განმარტა კანონის არაორაზროვნებისა და განჭვრეტადობის პრინციპის კიდევ ერთი ასპექტი: განჭვრეტის მოთხოვნის არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ პირმა უნდა შეძლოს განჭვრეტა, თუ საეარაულოდ როდის და როგორ განხორციელებენ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები მისი საუბრების მოსმენას, რაც ამ პირს ადეკვატური მოქმედების საშუალებას მისცემს.

(2) კანონის საფუძველზე განხორციელებული ძირითადი უფლებების შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის. საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ მითითებს ამ აუცილებლობაზე (მაგალითად, 22-ე მუხლის მე-3 და 24-ე მუხლის მე-4 პუნქტებში), რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია ძირითად უფლებათა შესაზღვრავად დაეყრდნოს ზოგად აუცილებლობას; შეზღუდვა გამოწვეული უნდა იყოს მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფოს, თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილების შენარჩუნებისა და არსებობის აუცილებლობით ანუ მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ასევე მოითხოვს, რომ ძირითად უფლებათა შეზღუდვისას სახელმწიფოებმა ყოველთვის უნდა გამოიყენონ კრიტერიუმი – „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“ და, ამავე დროს კონკრეტულ მუხლში მითითებული შეზღუდვის სხვა საფუძველი. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტერმინი „აუცილებელი“ არ არის „საჭირო“ სინონიმი; მას ასევე არა აქვს ისეთი გამოთქმების მნიშვნელობა, როგორცაა: „დასაშვები“, „მისაღები“, „საკმარისი“ ან „სასურველი“. თავისუფალი დემოკრატიული წესწყობილება, თავის მხრივ, გამოირჩევა ყოველგვარ ტოტალიტარულ და ძალმომრეობით მმართველობას და წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს, კანონის უზენაესობის სისტემას. იგი ეფუძნება (უზენაესი) მოქმედი უმრავლესობის ნებას, შესაბამისად, ხალხის თვითგამორკვევას, თავისუფლებასა და თანასწორობას. ამ წყობილების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი კი კონსტიტუციით აღიარებული და კონკრეტიზებული ადამიანის უფლებების, უპირველესად – ადამიანის ღირსების, სიცოცხლისა და საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების პატივისცემაა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელი ძირითადი უფლების შეზღუდვა არის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, ლეგიტიმური საჯარო მიზნის მისაღწევად აუცილებელი შეზღუდვა, რომელიც ემსახურება დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის შეუცვლელი და სასიცოცხლო მნიშვნელობის სიკეთის დაცვას და რომელიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როცა ამოიწურება ლეგიტიმური მიზნის მისაღწევი ყველა

<sup>1</sup> ქენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Handyside v. the United Kingdom*), 1976 წლის 7 დეკემბერი; ის. აგროთვე სილვერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Silver v. the United Kingdom*), 1983 წლის 25 მარტი.

სხვა გონივრული და ქმედითი საშუალება.

(3) რამდენად ინტენსიურად, რამდენად ფართოდ შეიძლება ჩაერიოს სახელმწიფო ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში? კონსტიტუციის ზემოთ განხილული მუხლებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ სახელმწიფოს შეუძლია დაცულ სფეროში ჩარევა. სახელმწიფოს მოქმედება გამართლებულია მაშინ, როდესაც (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში) სახეზეა ძირითადი უფლების ზღვარი, ანუ მისი შემზღუდავი კანონი, როდესაც არსებობს ძირითადი უფლების შეზღუდვის კონსტიტუციით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზანი და როდესაც ჩარევა აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

მაგრამ კანონმდებელს რომ ყოველი ასეთი ზღვრის, ანუ კონსტიტუციაში მითითებული კანონების საფუძველზე და კონსტიტუციით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნის არსებობისას ჰქონდეს უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ შეზღუდოს ძირითადი უფლებები და ჩაერიოს დაცულ სფეროში, მაშინ ეს უფლებები დაკარგავდა თავის მნიშვნელობას. სწორედ ამიტომ აქ მოქმედებს ე.წ. თანაზომიერების, იგივე პროპორციულობის პრინციპი (ე.წ. ზღვრის ზღვარი), რომელიც მოითხოვს, რომ ყოველი კანონი და მის საფუძველზე განხორციელებული ძირითადი უფლების შეზღუდვა, გარდა იმისა, რომ უნდა იყოს გამოწვეული მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებით, ასევე აუცილებლად უნდა იყოს ამ საჭიროების, ანუ მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერი (პროპორციული). ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევი ყველაზე ეფექტიანი და ყველაზე ნაკლებად რადიკალური, ძირითადი უფლების ნაკლებად შემზღუდავი საშუალება. უფრო მკაცრი ზომების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა სხვაგვარად შეუძლებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა და დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სიკეთის დაცვა. აქედან გამომდინარე, როცა სახელმწიფოს შეუძლია მიაღწიოს ლეგიტიმურ მიზანს ნაკლებად მკაცრი, არარადიკალური, მაგრამ თანაბრად ეფექტიანი ღონისძიების გატარებით, მაშინ უფრო მკაცრი და რადიკალური ზომების მიღება გაუმართლებელი იქნება და არ ჩაითვლება ლეგიტიმური საჯარო მიზნის მიღწევის პროპორციულად.<sup>1</sup>

აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ასევე მოითხოვს თანაზომიერების პრინციპის დაცვას სახელმწიფოებისაგან. სასამართლოს განმარტებით, ძირითადი უფლების შეზღუდვა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს ზემოთ აღნიშნული მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება. სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ყოველი ღონისძიება, რომლითაც იზღუდება აღამიანის კონკრეტული უფლება, მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების პროპორციული უნდა იყოს. ამასთან, ევროპული სასამართლო სახელმწიფოებს უტოვებს ე.წ. „თავისუფალი შეფასების ფარგლებს“, ანუ გარკვეულ თავისუფლებას იმის შესაფასებლად, აუცილებელია თუ არა აღამიანის კონკრეტული უფლების შეზღუდვა დემოკრატიულ საზოგადოებაში, მაგრამ არის თუ არა უფლების შეზღუდვა მწვავე

<sup>1</sup> ამასთან დაკავშირებით იხ. საქმეები: *იერსილი დანიის წინააღმდეგ (Jersild v. Denmark)*, 1994 წლის 23 სექტემბერი; *კემპბელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Campbell v. the United Kingdom)*, 1992 წლის 25 მარტი.

საზოგადოებრივი საჭიროების პროპორციული – სახელმწიფოს ასეთი შეფასება ექვემდებარება კონტროლს ევროპული სასამართლოს მხრიდან.<sup>1</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული ხელისუფლება გაცილებით უკეთ იცნობს თავის საზოგადოებას, მის მოთხოვნილებებსა და რესურსებს, ვიდრე საერთაშორისო სასამართლო. სწორედ ამიტომ, ეროვნულ ხელისუფლებას უკეთ შეუძლია შეაფასოს, თუ რა ღონისძიებების გატარებაა მართებული კონკრეტულ სფეროში. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლო პატივს სცემს საკანონმდებლო ხელისუფლების გადაწყვეტილებას ამ მიმართებით, თუ ეს გადაწყვეტილება არ არის მოკლებული გონივრულ საფუძველს.<sup>2</sup>

### III. 46-ე მუხლი - შეზღუდვის ზოგადი საფუძველი

კონსტიტუციის 46-ე მუხლი ითვალისწინებს ძირითად უფლებათა შეზღუდვის ზოგად საფუძველს: ეს არის ქვეყანაში შექმნილი საგანგებო და საომარი მდგომარეობები. ასეთ შემთხვევებში „*პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს*“ კონსტიტუციის მე-18 (პიროვნების თავისუფლება), მე-20 (პირადი მიმოწერისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობა), 21-ე (საკუთრების უფლება), 22-ე (მიმოსვლის თავისუფლება), 24-ე (აზრის, ინფორმაციისა და პრესის თავისუფლებები), 25-ე (შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება), 30-ე (შრომის თავისუფლება), 33-ე (გაფიცვის უფლება) და 41-ე (პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობა) მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებები. ამასთან, „*პრეზიდენტი ვალდებულია არა უგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად*“. კონსტიტუციის 62-ე მუხლის თანახმად, აღნიშნულ საკითხზე პარლამენტი გადაწყვეტილებას იღებს წვერთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

46-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს მხოლოდ ამ მუხლში მითითებული კონკრეტული ძირითადი უფლებები. დაუშვებელია რომელიმე სხვა უფლების შეზღუდვა, რომლებიც არ არის მოხსენიებული ამ მუხლში და ფაქტობრივად აბსოლუტური ძირითადი უფლებებია. ასეთია, მაგალითად, სიცოცხლის უფლება (მ. 15), ადამიანის ღირსება (მ. 17, პ. 1), ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება – ადამიანის წამების, არაპუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვა (მ. 17, პ. 2), ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება და შემოქმედებით პროცესში ჩარევის დაუშვებლობა (მ. 23), აგრეთვე სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლება (მ. 42). რაც შეეხება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიდგომას, კონვენციის მიხედვით, ასევე აბსოლუტურად ითვლება სიცოცხლის უფლება (მ. 2), წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვა

<sup>1</sup> იხ. *დაჯენი ვაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Dudgeon v. the United Kingdom)*, 1981 წლის 22 ოქტომბერი; *სილვერი ვაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Silver v. the United Kingdom)*, 1983 წლის 25 მარტი; *ჰენდისაიდი ვაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Handyside v. the United Kingdom)*, 1976 წლის 7 დეკემბერი.

<sup>2</sup> იხ. *ლითგოვ ვაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Lithgow v. the United Kingdom)*, 1986 წლის 8 ივლისი; *აუელი და რეინერი ვაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Powell and Rayner v. the United Kingdom)*, 1990 წლის 21 თებერვალი.



(მ. 3), მონობის, იძულებითი ან სავალდებულო შრომის აკრძალვა (მე-4 მუხლის პირველი პუნქტი) და სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის უკუქცევითი ძალის მინიჭების აკრძალვა (მ. 7).

კონსტიტუციის 46-ე მუხლში მითითებული პრეზიდენტის „გადაწყვეტილება“ ძირითადი უფლებების შეზღუდვის შესახებ არის არა ბრძანებულება, განკარგულება ან ბრძანება, არამედ კანონის ძალის მქონე დეკრეტი, რომლის გამოცემის უფლებამოსილებაც პრეზიდენტს მინიჭებული აქვს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით. იმასვე ადასტურებს „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“<sup>1</sup> და „საომარი მდგომარეობის შესახებ“<sup>2</sup> საქართველოს კანონები, რომლებიც კონკრეტულად მიუთითებს, რომ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს ძირითადი უფლებების შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონის ძალის მქონე დეკრეტის საფუძველზე. ეს მექანიზმი სავსებით შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და კონსტიტუციით გათვალისწინებულ ზოგად წესს მშვიდობიან დროს ძირითადი უფლებების შეზღუდვის შესახებ – მათ შეზღუდვის მხოლოდ კანონის საფუძველზე.

ზემოაღნიშნული კანონები განსაზღვრავს „საგანგებო“ და „საომარი“ მდგომარეობის შინაარსს: „საგანგებო მდგომარეობა არის დროებითი ღონისძიება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ცხადდება საქართველოს მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ზეღოფის, სამხედრო გადატრიალებისა თუ შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფებისა და ეპიდემიების დროს, სტიქიურ უბედურებათა, დიდი ავარიების, ეპიზოტოების ან სხვა შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას“ („საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ კანონის მ. 1); „საომარი მდგომარეობა გულისხმობს საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული წესების გამოცხადებას, რაც შეესაბამება ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს“. საომარი მდგომარეობა „მიზნად ისახავს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას“ („საომარი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მ. 1). ბუნებრივია, რომ ზემოაღნიშნულ პირობებში მართლაც შეიძლება საჭირო გახდეს ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა, რის უფლებაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს, რათა უზრუნველყოს მოსახლეობისა და სახელმწიფოს ინტერესები, სახელმწიფო უშიშროება და რაც შეიძლება სწრაფად აღადგინოს საზოგადოებრივი წესრიგი და კეთილდღეობა.

კონსტიტუციის 46-ე მუხლთან დაკავშირებით, მეტად საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება: მუხლის ტექსტიდან ნათელი ხდება, რომ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს სხვა ძირითად უფლებებთან ერთად შეიძლება შეიზღუდოს მე-18 მუხლით უზრუნველყოფილი ადამიანის თავისუფლება. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება შეიზღუდოს ამ მუხლის მე-4 პუნქტიც, რომლის თანახმადაც „დაუშვებელია დაკავებული თუ

<sup>1</sup> 1997 წლის 17 ოქტომბერი.

<sup>2</sup> 1997 წლის 31 ოქტომბერი.

სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება“ შედეგად, მიუხედავად დასკვნამდე, რომ საქართველოს კონსტიტუცია დასაშვებად მიიჩნევს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს ადამიანის მიმართ ფიზიკური და ფსიქიკური იძულების საშუალებათა გამოყენებას. ეს კი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, მათ შორის, ევროპის საბჭოს კონვენციას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ (მ. 3).<sup>1</sup>

მიუხედავად კონსტიტუციის ზემოხსენებული ხარვეზისა, ადამიანი საგანგებო ან საომარი მდგომარეობის მოქმედების პერიოდში მაინც დაცულია ფიზიკური ან ფსიქიკური იძულებისაგან. მის ასეთ ყოვლისმომცველ დაცვას უზრუნველყოფს კონსტიტუციის მე-17 მუხლი, რომელიც პირველი პუნქტით ადამიანის ღირსებას ხელშეუვალად აცხადებს, მე-2 პუნქტით კი დაუშვებლად მიიჩნევს „ადამიანის წამებას, არაჰუმანურ, სასტიკ ან პატივისა და ღირსების შემლახველ მოპყრობას და სასჯელის გამოყენებას“. კონსტიტუცია ამ დებულებით აბსოლუტურად კრძალავს ადამიანის ღირსების შემლახველ მოქმედებებს და არ უშვებს არაეთარ გამონაკლისს საერთო წესიდან. ეს აკრძალავს ეხება ღირსების შემლახველ ყველა სახის მოქმედებას, მათ შორის, ფიზიკურ და ფსიქიკურ იძულებას, და მოქმედებს როგორც მშვიდობიან პერიოდში, ისე საგანგებო თუ საომარი მდგომარეობის დროს. ამდენად, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს პრეზიდენტის კანონის ძალის მქონე დეკრეტით კონსტიტუციის მე-18 მუხლით უზრუნველყოფილი ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა არ ნიშნავს, რომ დასაშვებია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება შეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება. ამგვარი იძულებისაგან ადამიანი დაცულია კონსტიტუციის მე-17 მუხლით, რომლითაც აბსოლუტურად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე არის უზრუნველყოფილი ადამიანის ღირსება და აკრძალულია ნებისმიერი ღირსებაშემლახველი მოქმედება.

<sup>1</sup> მ. 3 – „ადამიანის წამება, არადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია“.

## მუხლი 47.

„1. საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქეთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისეხიბსა.

2. საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

3. დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომელსაც დეენიან პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედობისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.“

საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის 1-ელი პუნქტი უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მცხოვრები უცხოელი მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირების თანაბარ უფლებებსა და მოვალეობებს.

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების უმრავლესობა ვრცელდება „ყველა პირზე“ და არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე.<sup>1</sup> ასეთი მიდგომა შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, მათ შორის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.

მიუხედავად ამისა, საქართველოს კონსტიტუციის ზოგიერთი დებულება უზრუნველყოფს ცალკეულ უფლებებს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთათვის, ანუ კონსტიტუცია ადგენს განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს შორის. ეს არის პოლიტიკური და ზოგიერთი სხვა უფლება, რომლებითაც სარგებლობენ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები. მაგალითად, კონსტიტუციის მე-13(3) მუხლი ადგენს, რომ საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გამეება დაუშვებელია; კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში; კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქეთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში; 28-ე მუხლის 1-ელი პუნქტი ადგენს, რომ საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება; 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტი ითვალისწინებს, რომ საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს; კონსტიტუციის 32-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში; 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ მოქალაქეებს უფლება აქეთ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში სახელმ-

<sup>1</sup> იხ. „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტები.

წიფო სასწავლებლებში უფასოდ მიიღონ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება; კონსტიტუციის 41-ე მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

ამდენად, სხვა ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები სარგებლობენ კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლებით, გარდა კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლი თანასწორობას უზრუნველყოფს არა ზოგადად, არამედ ადგენს თანასწორობას, ერთი მხრივ, საქართველოს მოქალაქესა და, მეორე მხრივ, უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს შორის. საქართველოს კონსტიტუციაში რამდენიმე მუხლი ეძღვნება ზოგადად თანასწორობის საკითხს, მათ შორის მე-14 და 38-ე მუხლები.

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს, ვინ ითვლება უცხოელად საქართველოში, კერძოდ:

ა) პირები, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები და აქვთ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი (უცხო სახელმწიფოს მოქალაქეები);

ბ) პირები, რომლებიც არც საქართველოს მოქალაქეები არიან და არც სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი აქვთ (მოქალაქეობის არმქონე პირები).<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუცია მიუთითებს ორ სამართლებრივ წყაროზე — კონსტიტუციასა და კანონზე, რომლებმაც შეიძლება დაადგინოს უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ განსხვავებული უფლებები და მოვალეობები საქართველოს მოქალაქეებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო პრაქტიკაში უცხოელი მოქალაქეების სამართლებრივი რეჟიმი შეიძლება დადგინდეს არა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობით, არამედ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, კერძოდ, საერთაშორისო ხელშეკრულებით.<sup>2</sup>

კონსტიტუციიდან გამომდინარე, საქართველოს რამდენიმე კანონი ადგენს უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებრივ მდგომარეობას. თუ ზოგიერთი უფლება არ ითვალისწინებს რაიმე შეზღუდვას უცხოელების მიმართ, რამდენიმეს მიმართ ასეთი შეზღუდვა პირდაპირ დადგენილია. „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონი ადგენს, რომ საქართველოში მცხოვრებ უცხოელებს შეუძლიათ დაიკავონ ნებისმიერი თანამდებობა ან ხელი მიჰყონ ნებისმიერ შრომით საქმიანობას, რომელიც არ იკრძალება საქართველოს კანონმდებლობით, გარდა იმ თანამდებობისა და საქმიანობისა, რომლისთვისაც შესაბამისი კანონმდებლობით აუცილებელია საქართველოს მოქალაქეობა.<sup>3</sup> კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, საქართველოში მყოფ უცხოელებს აქვთ დასვენებისა და თავისუფალი დროის

<sup>1</sup> იხ. „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის 1-ელი მუხლი.

<sup>2</sup> იხ. რუსეთის კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>3</sup> მე-7 მუხლის 1-ელი პუნქტი.

გამოყენების უფლება საქართველოს მოქალაქეებთან თანაბარ საფუძველზე. საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელებს აქვთ დანაშაულის, პენსიისა და სხვაგვარი სოციალური უზრუნველყოფის უფლება თანაბრად საქართველოს მოქალაქეებისა.<sup>1</sup> კანონის მე-11 მუხლი ითვალისწინებს, რომ უცხოელებს საქართველოში შეუძლიათ ჰქონდეთ პირად საკუთრებაში, მექვიდრეობით მიიღონ ან ანდერძით დატოვონ ქონება, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. უცხოელებს საქართველოში აქვთ კულტურული ღირებულებებით სარგებლობის უფლება თანაბრად საქართველოს მოქალაქეებისა.<sup>2</sup> კანონის მე-14 მუხლის მიხედვით, უცხოელებს საქართველოში ეკრძალებათ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ პოლიტიკურ გაერთიანებებში გაწევრიანება, მათ საქმიანობაში მონაწილეობა და პოლიტიკური გაერთიანებების დაფუძნება. მიუხედავად ამისა, უცხოელებს საქართველოში უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეების თანაბრად დააფუძნონ საზოგადოებრივი გაერთიანებები, გახდნენ პროფესიული კავშირების ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ორგანიზაციის წესდებას და საქართველოს კანონმდებლობას. მე-15 მუხლის მიხედვით, უცხოელებს საქართველოში, თანაბრად საქართველოს მოქალაქეებისა, გარანტირებული აქვთ აზროვნების, შეხედულებების და სარწმუნოების თავისუფლება. კანონი პირდაპირ კრძალავს უცხოელების უფლებას, აირჩიონ და იყვნენ არჩეული საქართველოს პარლამენტში და სხვა არჩევით სახელმწიფო ორგანოებში. ასევე მათ არ შეუძლიათ საერთო სახალხო კენჭისყრაში (რეფერენდუმში) მონაწილეობა.<sup>3</sup>

„პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ გამოთქვან, გაავრცელონ და დაიცვან თავიანთი თვალსაზრისი ინფორმაციის ნებისმიერი საშუალებით, აგრეთვე მოიპოვონ ინფორმაცია საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრების საკითხებზე.<sup>4</sup> ამ დებულების შესაბამისად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაარსების უფლება აქვთ 18 წლის ასაკს მიღწეულ საქართველოს მოქალაქეებს.<sup>5</sup>

„პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონის მე-19 მუხლი ასევე ითვალისწინებს, რომ საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ოპერატიულად მიიღონ ცნობები სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ. მოქალაქეს უფლება აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით რედაქციას მოსთხოვოს პიროვნების შეურაცხყოფილი მასალის უარყოფა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონის ზოგიერთი დებულება შეიძლება მართლაც მართო საქართველოს მოქალაქეთა მიმართ გამოიყენება, ამჟამად, რომ პრაქტიკაში ამ კანონით გათვალისწინებული ტერმინი „საქართველოს მოქალაქე“ ფართოდ განიშარტება და მოიცავს უცხოელებსაც. ასეთი მიდგომა სრულად შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტებს.

<sup>1</sup> მე-10 მუხლის 1-ელი პუნქტი.

<sup>2</sup> მე-13 მუხლის 1-ელი პუნქტი.

<sup>3</sup> 21-ე მუხლი.

<sup>4</sup> 1-ელი მუხლი.

<sup>5</sup> მე-6 მუხლი.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-5(1) მუხლი ადგენს, რომ პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება საქართველოს ყოველი მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა. მე-8 მუხლის მიხედვით, პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება აქვს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეს.

„შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს როგორც შეკრებას, ისე მანიფესტაციას და ითვალისწინებს, რომ მათი მოწყობა შეუძლიათ მოქალაქეებს.<sup>1</sup> კანონის მე-4(1) მუხლი ასევე ამხვილებს ყურადღებას მოქალაქეებზე. იგი ადგენს, რომ შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისას და ჩატარებისას, აგრეთვე ცალკეული მოქალაქეების მიერ თავისი შეხედულებების საჯარო გამოხატვისას სავალდებულოა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვა.

„განათლების შესახებ“ კანონი ასევე ადგენს უცხოელთა მიერ განათლების მიღების წესს. კანონის მე-40 მუხლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფოს საგანმანათლებლო სტანდარტებით დადგენილი განათლება, მათ შორის დაწყებითი და საბაზო განათლება, ხოლო კანონით დადგენილ ფარგლებში – საშუალო და პროფესიული განათლებაც – სახელმწიფოს ხარჯზე. რაც შეეხება უცხოელებს, კანონი ადგენს, რომ საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა განათლების მიღების უფლება ხორციელდება საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა საფუძველზე.<sup>2</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევისათვის. კერძოდ, კოდექსის 142-ე მუხლის მიხედვით, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო, რამაც არსებითად ზღვყო ადამიანის უფლება, ისევეა ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

საყურადღებოა, რომ საქართველოს კონსტიტუცია ადგენს არა მხოლოდ თანასწორ უფლებებს, არამედ მოვალეობებსაც. პირველ რიგში, მოვალეობებში იგულისხმება კონსტიტუციისა და კანონების შესრულების ვალდებულება, რაც ეკისრებათ როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ისე უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს. მათი შეუსრულებლობა იწვევს კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომელმაც შეიძლება შეზღუდოს ამ პირის უფლებები და თავისუფლებები.

ვალდებულებებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის 1-ელი პუნქტი ითვალისწინებს, რომ საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ დებულების მიზანია პირს დააკისროს ვალდებულება – შესასრულოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთ-

<sup>1</sup> მე-3 მუხლი.

<sup>2</sup> მე-3 მუხლის მე-15 პუნქტი.

ოვნები, იგი საკმაოდ ავიწროებს ამ დებულების გამოყენების სფეროს. ეს დებულება ადგენს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესრულების ვალდებულებას „საქართველოში მცხოვრები ყოველი პირის“ მიერ. ცხადია, რომ არა მარტო უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, არამედ უცხოეთში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებიც შეიძლება არ შედიოდნენ ამ კატეგორიაში.

საქართველოს კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ადგენს, რომ საქართველოში მყოფი უცხოელები ვალდებული არიან დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს კანონები, პატივი სცენ ქართულ ენას, ქართველი ერის კულტურას, ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებსა და თავისუფლებებს.

საყურადღებოა, რომ საქართველოს ზოგიერთი კანონი აფართოებს კონსტიტუციით გათვალისწინებული დებულებების გამოყენებას უცხოელების მიმართ. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს, რომ „საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე.“ მიუხედავად ამ დებულებისა, რომელიც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს აკისრებს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე ზრუნვის ვალდებულებას, „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონი ადგენს, რომ უცხოელები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლებს და სხვა კულტურულ ღირებულებებს.<sup>1</sup> მართალია, იურიდიული შინაარსის თვალსაზრისით ამ ორ დებულებას შორის არსებობს გარკვეული განსხვავება, მაგრამ მათი შინაარსი ერთმანეთს მნიშვნელოვნად ემთხვევა.

აღსანიშნავია, რომ თანასწორობის უფლების შემოწმება ხდება ორსაფეხურიანი სისტემით.<sup>2</sup> პირველ რიგში უნდა დადგინდეს სახელმწიფოს მიერ არათანასწორი მოპყრობის ფაქტი. აქ მოქმედებს პრინციპი, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვნად თანასწორს არ შეიძლება სახელმწიფო უთანასწოროდ მოეპყროს, ხოლო მნიშვნელოვნად უთანასწოროს – თანასწორად. არათანასწორი მოპყრობის დასადგენად აუცილებელია შესაძარბეველი ჯგუფის არსებობა.

არათანასწორი მოპყრობის დადგენის შემდეგ უნდა განისაზღვროს კონსტიტუციურ-სამართლებრივად გამართლებულია თუ არა ასეთი მოპყრობა შესაძარბეველ ჯგუფებს შორის. ამისათვის უნდა დადგინდეს განსხვავებული მოპყრობის მიზანი, რომელიც უნდა განისაზღვროს არა თვითნებურად, საკუთარი შეხედულებისამებრ, არამედ გამომდინარეობდეს საგნის ბუნებიდან და ისახავდეს კანონიერ მიზანს.<sup>3</sup>

2. საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.“

საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს თავშესაფრით უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს. კონსტიტუციის მიხედვით, აღნიშნულ პირებს ეძლევათ თავშესაფარი საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად და კანონით დადგენილი წესით.

<sup>1</sup> მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>2</sup> კ. კუბაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003, გვ. 317.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 318-319.

საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლის ნორმებს შორის, რომლებიც ითვალისწინებს თავშესაფრის უფლებას, განსაკუთრებით აღსანიშნავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (1951 წელი) და მისი ოქმი (1967 წელი), რომელთა მონაწილეცაა საქართველო. ასევე საყურადღებოა 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და 1967 წლის დეკლარაცია ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ, რომლებიც ითვალისწინებს თავშესაფრის უფლებას.

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, აღსანიშნავია, რომ თავშესაფრის მიცემის უფლებას რამდენიმე ნორმატიული აქტი აწესრიგებს.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ჰ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით თავშესაფრის მიცემის საკითხებს წყვეტს საქართველოს პრეზიდენტი.

თავშესაფრის მიცემის საკითხებს ასევე აწესრიგებს საქართველოს კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, საქართველო თავშესაფარს აძლევს იმ უცხოელებს, რომლებიც თავიანთ ქვეყანაში იღვენიან ადამიანის უფლებათა და მშვიდობის დაცვისათვის, პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერული და სხვა შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის. იგივე მუხლი განსაზღვრავს, რომ არ შეიძლება თავშესაფრის მიცემა იმ უცხოელებისათვის, რომელთა შეხედულებები და საქმანობა ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამოცანებს და პრინციპებს და საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს.

უცხოელთათვის თავშესაფრის მიცემის, შეწყვეტის ან მოხსნის წესს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს დებულება „უცხოელებისათვის თავშესაფრის მიცემის შესახებ“ (1998 წლის 25 ივნისი). დებულების მე-6 პუნქტის მიხედვით, თავშესაფრის მქონე პირს უფლება აქვს:

ა) თავისი ოჯახის წევრებთან ერთად იცხოვროს საქართველოში და საკუთარი სურვილის გარეშე არ იქნეს დაბრუნებული თავისი მოქალაქეობის ან მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში;

ბ) ნებაყოფლობით დაბრუნდეს იმ ქვეყანაში, სადაც მუდმივად ცხოვრობდა, ან გაემგზავროს სხვა ქვეყანაში;

გ) ისარგებლოს „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარანტიებით.

დებულება ასევე ითვალისწინებს თავშესაფრის მქონე პირისათვის სტატუსის შეწყვეტასა და მოხსნას. დებულების მე-7 პუნქტის მიხედვით, თავშესაფრის მქონე პირს სტატუსი ჩამოერთმევა, თუ:

- ა) მან მიიღო საქართველოს ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;
- ბ) მან ნებაყოფლობით ისარგებლა იმ სახელმწიფოს მფარველობით, რომლის ტერიტორიაც იძულებით დატოვა;
- გ) იგი მუდმივ საცხოვრებლად გაემგზავრა საზღვარგარეთ;
- დ) აღარ არსებობს ის გარემოებები, რომელთა გამოც პირმა ითხოვა თავშესაფარი.

დებულება ითვალისწინებს, რომ თავშესაფრის მქონე პირს სტატუსი ეხსნება, თუ მან თავის შესახებ განზრახ წარადგინა არასწორი ინფორმაცია ან ყალბი დოკუმენტი.



ნიმანდობლივია, რომ გადაწყვეტილებას უცხოელისათვის თავშესაფრის როგორც მიცემის, ისე მოხსნის შესახებ იღებს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს კანონი „ლტოლვილთა შესახებ“ ასევე აწესრიგებს თავშესაფრის უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს.<sup>1</sup> იგი განსაზღვრავს ვინ ითვლება „ლტოლვილად“ და ადგენს მათ სამართლებრივ მდგომარეობას. კანონის მიხედვით, ლტოლვილად ითვლება „საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლისთვისაც საქართველო არ არის მისი წარმოშობის ქვეყანა და რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელი ქვეყანა, რადგანაც იდევნებოდა რასის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილების, რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო და არ შეუძლია ან არ სურს ისარგებლოს იმ ქვეყნის მფარველობით ასეთი საშიშროების გამო.“<sup>2</sup>

საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, თავშესაფრის მიცემის ორი სისტემა მოქმედებს. ერთის მიხედვით, თავშესაფარს იძლევა საქართველოს პრეზიდენტი. ასეთი თავშესაფარი მიეცემა იმ უცხოელს, რომლებიც „თავიანთ ქვეყანაში იდევნიებიან ადამიანის უფლებათა და მშვიდობის დაცვისათვის, პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერული და სხვა შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.“<sup>3</sup> მეორე მხრივ, თავშესაფრის მიცემა გათვალისწინებულია კონვენციით ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და საქართველოს კანონით „ლტოლვილთა შესახებ“. კონვენციისა და კანონის მიხედვით, ლტოლვილის სტატუსი მიეცემა პირებს, რომლებიც იდევნიებიან რასის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილების, რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო. ლტოლვილთა სტატუსს საქართველოში ანიჭებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო.

3. საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტი სამართლებრივი გარანტიებით უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე შემოხიზნულ პირებს. ამ დებულებით უზრუნველყოფილი გარანტია ლოგიკური გაგრძელებაა ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დებულებისა. კერძოდ, სახელმწიფო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს (მე-2 პუნქტი) და უზრუნველყოფს, რომ ეს პირები არ გადაეცენ სხვა სახელმწიფოს (მე-3 პუნქტი).

კონსტიტუციით დაზუსტებულია ის შემთხვევები, როდესაც იკრძალება შემოხიზნული პირის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა, კერძოდ, თუ პირი იდევნება: ა) პოლიტიკური მრწამსისათვის; და ბ) იმ ქმედობისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.

კონსტიტუციით გათვალისწინებული აკრძალვა ასახულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით: „არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, აგრეთვე ის, ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება, ან თუ

<sup>1</sup> 1999 წლის 18 თებერვალი.

<sup>2</sup> 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>3</sup> „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლი.

ჩადენილი დანაშაულისათვის სიკედილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს.<sup>1</sup>

კანონი „ლტოლვილთა შესახებ“ ასევე კრძალავს, რომ ლტოლვილი საკუთარი სურვილის გარეშე დაბრუნებულ იქნეს მისი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელ ქვეყანაში.

კონსტიტუციის 47-ე მუხლით გათვალისწინებული პრინციპი ასახავს მრავალი საერთაშორისო დოკუმენტით დადგენილ წესს. უპირველეს ყოვლისა, იგი განსაზღვრულია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციაში (1951 წელი), რომელიც კრძალავს პირის გაძევებას ან დეპორტაციას იმ სახელმწიფოში, სადაც მას საფრთხე ემუქრება.

ეს პრინციპი კიდევ უფრო დაზუსტდა საერთაშორისო დოკუმენტებსა და პრაქტიკაში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი კრძალავს პირის წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასა და სასჯელს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ეს დებულება ისე განმარტა, რომ სახელმწიფოს ეკრძალება პირის გადაცემა იმ სახელმწიფოსათვის, სადაც იგი შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასა და სასჯელს.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ასევე იხ. „უცხოელთათვის თვეშესაფრის მიცემის შესახებ“ დებულების პირველი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი.

<sup>2</sup> სხვა საქმეებთან ერთად იხ. *ზოერინგი ევროპული საფეოოს წინააღმდეგ (Soering v. the United Kingdom)*, 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, Series A, No. 161. ასევე იხ. კ. კორკელია, ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრეცედენტული სამართლის მიხედვით, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 5 №1 2002 წელი, გვ. 176-181.

## **ავტორების შესახებ**

**ლევან იზორია –**

სამართლის დოქტორი (გიოტინგენის უნივერსიტეტი, გერმანია); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორი

**კონსტანტინე კორკელია –**

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (ლეიდენის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები), პროფესორი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის საერთაშორისო და ევროპული სამართლის განყოფილების გამგე; საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე

**კონსტანტინე კუბლაშვილი –**

სამართლის დოქტორი (ჰანოვერის უნივერსიტეტი, გერმანია); საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

**გიორგი ხუბუა –**

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი

# საქართველოს კონსტიტუციის

## კომენტარები

ალაშიანის კირითაღი უფლებანი  
და თავისუფლებანი

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი  
2005

გამომცემლობის რედაქტორი მანანა ჩიკვილაძე  
ტექ. რედაქტორი ლია ნინიკაშვილი  
კორექტორები: მაია მენაღარიშვილი  
მარინე კილაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.10.05  
საბეჭდი ქაღალდი 70x108  $\frac{1}{16}$   
ნაბეჭდი თაბახი 26,75  
შეკვეთა №377 ტირაჟი 1000

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 112.